

მადლიერების გრძნობით ვუძღვნი თეატრ-  
მცოდნე ელენე შაფათაეას ხსოვნას, რო-  
მელიც დიდად დამეხმარა ამ შრომის შექ-  
მნაში.

გ. ზუნიკაშვილი

# თეატრალური ქუთაისი

თეატრმცოდნე გ. ბუნნიკაშვილის მონოგრაფიაში „თეატრალური ქუთაისი“ ნათლად, საქმის ცოდნით, ქრონოლოგიური წესით არის აღწერილი ქუთაისის თეატრალური ცხოვრება დასაბამიდან — დღევანდლამდე. ავტორს ღრმად შეუსწავლია ქუთაისის დრამატული, თოჯინების, საოპერო თეატრების მოღვაწეობა, თვითმოქმედი წრეების მუშაობა... „თეატრალურ ქუთაისს“ სიამოვნებით გაეცნობა ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული თეატრის წარსული .

© საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1976

M 605

80105

18—76 აღბ.

## I. სცენისმოყვარეთა წარმოდგენები 60-70-იან წლებში

პირველი წარმოდგენა ქუთაისში. ცარიზმის მმართველებმა და ქართულმა რეაქციულმა თავადაზნაურობამ ბოლო მოუღეს გიორგი ერისთავის მიერ 1850 წელს აღდგენილ ქართულ თეატრს. მისი დასი 1856 წელს დაიშალა, მაგრამ თეატრის არსებობის იდეა არ გამქრალა. „თერჯდალეულებმა“ სამოციან წლებში ქართული თეატრი აღიარეს ეროვნული თვითგამორკვევისა და ეროვნული კულტურის განვითარების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად. მათი თაოსნობით და მონაწილეობით, ორი ათეული წლის მანძილზე სცენისმოყვარეთა წარმოდგენების გამართვით თანდათან მომზადდნა ნიადაგი თეატრის აღსადგენად და 1879 წელს თბილისში კვლავ დაფუძნდა პროფესიული დასი.

ილია ჭავჭავაძე 1879 წელს თავის ეჟურნალ „ივერიაში“ წერდა: „ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავატარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგართა“...

რა თქმა უნდა, ნაგულისხმევი იყო, რომ თეატრი რეალისტური მიმართულებისა უნდა ყოფილიყო — გიორგი ერისთავის კრიტიკული რეალიზმის გამგრძობი, ამას კარნახობდნენ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მოთავენი და პრესა. გაზეთი „დროება“ (1873, № 402) წერდა: „თეატრი შეიძლება შეედაროს სარკეს. როგორც სარკეში დაინახავს კაცი თავის სახეს, ისე სცენაზე უყურებს საზოგადოება თავის გამოხატულებას. რამდენად კარგია სარკე, იმდენად სწორეთ და ნამდვილათ დაგანახვებს ის თვითუღს თქვენს სიკეთეს, ან ნაკლოვანებას. ასეა თეატრიც“...

ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის გარემოება, რომ ახალი თეატრალური მოძრაობა, რომელიც გიორგი ერისთავის თეატრის გაუქმებს 5 წლის შემდეგ აღმოცენდა, ქუთაისიდან დაიწყო. აქ გაი-

მართა სამოციანი წლების ქართული თეატრის პირველი წარმოდგენა, და, ამრიგად, ქუთაისს ენიჭება პირველობა თეატრის ხელახალ აღდგენაში.

ეს ისტორიული წარმოდგენა გაიმართა 1861 წლის 3 მარტს ქუთაისის საზოგადო საკრებულოში. სცენისმოყვარენმა წარმოადგინეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“ — სწორედ ის ნაწარმოები, რომლის დადგმითაც 1850 წელს გიორგი ერისთავმა აღადგინა ქართული თეატრი.

წარმოდგენის მომწყობთ კარგად ესმოდათ, რომ ისინი იყვნენ გიორგი ერისთავის დიდი საქმის გამგრძობნი (საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წარმოდგენის მონაწილეთა შორის იყო გიორგი ერისთავის თეატრის ერთ-ერთი ყოფილი მსახიობი ა. მეიფარიანი). ალბათ, ამიტომ, წარმოდგენის შემდეგ გამართულ ვახშამზე მოიხსენიეს გიორგი ერისთავიც.

ქუჩნალ „ცისკარის“ (№-3, 1861) ცნობით, წარმოითქვა სადღეგრძელო „გაყრის“ ავტორზე „და ყველა იქ მყოფთა პირთა ერთის ზმით ისურვეს მისი დღეგრძელობა“. ქუჩნალი შემდეგ წერდა: „ეს შემთხვევა არათუ სასიამოვნო იქნება ჩვენს მიერ დიდად პატივცემულის გ. დ. ერისთავისთვის, არამედ, ჩვენის აზრით, კიდევ აგრძნობინებს, რომ ბოღიში არ მოეთხოვება საზოგადოების წინაშე იმ ავტორსა, რომელიც ბუნებას შეუმკია მაღალი ნიჭითა და ის კი, როგორადაც „გაყრის“ ავტორი მარხავს მიწაში თავის ტალანტსა“...

„ცისკარში“ მოთავსებული ეს სტატია ეკუთვნოდა წარმოდგენის ერთ-ერთ ორგანიზატორს, შემდეგში ცნობილ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს. იგი გამოხატავდა ქართული საზოგადოების გულსტკივილსა და სამღურავს იმის გამო, რომ გიორგი ერისთავი სრულებით ჩამოსცილდა ქართულ თეატრსა და მწერლობას.

წარმოდგენის მომწყობნი იყვნენ დიმიტრი ბაქრაძე და გიორგი ლოლობერიძე. „გაყრაში“ როლებს ასრულებდნენ: ს. აბულაძე (ანდუყაფარი), ა. მეიფარიანი (ივანე), კ. წულუკიძე (პავლე), ნ. მაისუროვისა (მაკრინე), ე. წერეთელი (ნინო), ე. აგიაშვილი (ყარდაშვერდი), გ. მიზანდარი (მიკირტუმი), ლ. ფომინა (შუშანა), დ. ბაქრაძე (რამაზი), ა. მაჩაბელი (ბარძიმი), გ. ლორთქიფანიძე (ბარამ), გ. კლდიაშვილი (კომისიონერი), ო. დადიანი (ვაზირელი), ნ. ერისთავი (ბაზირი).

ქუთაისის საზოგადო საკრებულო. შენობა, რომელშიც წარმოდგენა გაიმართა, მდებარეობდა დღევანდელი მაიაკოვსკის ქუჩის ბოლოში, მას ჰქონდა ოთხი პატარა ოთახი და ერთი დარბაზი, სახელდახელოდ მოწყობილი სცენით (ამაზე უკეთესი სახლი იმ

დროს ქუთაისში არ მოიძებნებოდა). თავის დროზე ამ შენობაში ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი ცხოვრობდა. სწორედ ამ სახლში თავადმა დადგენილი 1855 წელს მოკლა გაგარინი. ახალმა გუბერნატორმა აქ ცხოვრება აღარ ისურვა და შენობა მიეკუთვნა საზოგადო საკრებულოს. ეს იყო ადგილობრივ თავადაზნაურთა და მოხელეთა საკლუბო ხასიათის ორგანიზაცია, რომელიც მართავდა საცეკვაო საღამოებს და სხვა გასართობებს. აქვე გაჩაღებული იყო ბანქოს თამაში. შენობას ეკვროდა ცარიელი ადგილი, რომელიც რიონის ნაპირამდე ჩადიოდა და ამ ადგილზე ზოგჯერ ჭიდაობა იმართებოდა. სამოციანი წლების დამლევს შენობის ნაწილი დაიწვა, მაგრამ 1871 წელს ქუთაისის ქალაქის მმართველობამ შენობა შეაკეთა და აქ მიიღეს ქუთაისში ჩამოსული იმპერატორი ალექსანდრე II, რის გამოც შენობას „სამეფო სახლი“ შეერქვა, თუმცა იგი კვლავ საზოგადო საკრებულოს ეკუთვნოდა.

წარმოდგენა აკაკი წერეთლის თაოსნობით. მეორე წარმოდგენა ქუთაისში ერთი წლის შემდეგ გამართა აკაკი წერეთელმა. ჩვენი გამოჩენილი მწერალი თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა თეატრისადმი და აქტიურად მონაწილეობდა თეატრალური ხელოვნების სარბიელზე როგორც წარმოდგენების ორგანიზატორი, რეჟისორი და როლების მოთამაშეც კი. აკაკი წერეთლის დაინტერესებას თეატრით მოწმობს მრავალი მისი დრამატული ნაწარმოები, სტატიები და ლექსები თეატრზე. ამ ლექსებს პოეტი დიდი წარმატებით კითხულობდა სცენიდან.

თეატრალური მონაწილეობა აკაკიმ ქუთაისში დაიწყო. 1862 წელს მისი ხელმძღვანელობით ქუთაისის სცენისმოყვარეებმა წარმოდგინეს ზურაბ ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. ამ წარმოდგენის შესახებ აკაკი 1910 წელს იგონებდა: „...ზოგიერთი დარბაისლები, ძველი კაცები, ჯავრობდნენ: ჯამბაზობა და მიიმუნობა რა საკადრისიაო, მაგრამ უმეტესობა კი კმაყოფილი დარჩა და იმ ზამთარს კიდევ ორჯერ-სამჯერ წარმოდგინეთ და დიდი ამბავიც იყო ხოლმე ყოველთვის (აკაკი, გახსენება თეატრის შესახებ, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №№-35, 36, 1910). სამწუხაროდ, არ შემორჩენილა ცნობები სახელდობრ თუ რა პიესები იყო ნათამაშევი „იმ ზამთარს კიდევ ორჯერ-სამჯერ“.

„1866 წელს რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, აკაკიმ მონაწილეობა მიიღო ქუთაისში საქველმოქმედო მიზნით გამართულ სალიტერატურო საღამოზე, — წაიკითხა თავისი „სცენები საპატიმროში“, რომლებშიც გამოყვანილი ჰყავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები. მისი გამოსვლა დამსწრეთ ძალიან მოეწონათ“ (ს. გერსამია, აკაკი წერეთელი და თეატრი, 1949).

აკაკი წერეთელმა კიდევ ერთხელ ითავა წარმოდგენის გამარ-  
თვა ქუთაისში, სახელდობრ 1867 წლის ყველიერში. სცენისმოყვა-  
რეებმა წარმოდგინეს ზურაბ ანტონოვის კომედია „ქმარი ხუთი  
ცოლისა“. ამ წარმოდგენაში პირველად გამოვიდა სცენაზე ათი  
წლის პატარა კოტიკო მესხი (მისი ნამდვილი სახელი იაკობი იყო,  
ხავშვობისას კოტიკო შეარქვეს, ხოლო შემდეგ ეს კოტიკო კოტედ  
აქცა).

ამ იშვიათი წარმოდგენებით აღინიშნა ქათაისის თეატრალური  
ცხოვრება სამოციან წლებში.

**ფილიმონ ქორიძის კონცერტი.** სამოციანი წლების დამლევს,  
სახელდობრ 1869 წელს, ქუთაისში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამ-  
ბავი მოხდა. ახალგაზრდა მომღერალმა ფილიმონ ქორიძემ თავისი  
კონცერტი გამართა. ეს იყო პირველი ქართველი პროფესიონალი  
მომღერლის პირველი კონცერტი.

ფილიმონ ქორიძემ ყრმობა ქუთაისში გაატარა, აქ სწავლობდა  
და აქედან გაემგზავრა იტალიაში სიმღერის შესასწავლად, ხოლო  
დაბრუნებისას პირველი კონცერტი ქუთაისშივე გამართა.

კონცერტი 1869 წლის 26 ივნისს შედგა საზოგადო საკრებულოს  
დარბაზში. ამ მოვლენას დიდ ადგილს უთმობს გაზეთი „დროება“  
(№-27, 1869). კონცერტს დიდი აღტაცება გამოუწვევია ხალხით გა-  
ჰედილ დარბაზში. „ჩვენი ახალი ქართველი მომღერალი მშვენიერ-  
ად მღეროდა. — ვკითხულობთ გაზეთში, — მის მშვენიერს, მაღალს,  
ძლიერს ხმას დიდი ზემოქმედება ჰქონდა მსმენელთა ესთეტიკურ  
გრძნობაზე. ასე რომ, კაცი ვერ დასთვლიდა რამდენჯერ გამოუძახეს  
ხელმეორედ სამღერად. ნამეტანი ტაშის ცემით ხელები რომ ეტკი-  
ნათ, ფეხებით დაიწყეს ბრახა-ბრუხი. თუმცა უმეტეს ნაწილს არ  
ესმოდა რას გალობდა ფ. ქორიძე, მაგრამ იმათ მოსწონდათ ჯერ  
ხმა და მერე ის უხაროდათ, რომ ჩვენი მიწის შვილი არისო“...

სცენისმოყვარეთა წარმოდგენები 1871-1874 წლებში. სა-  
მოცდაათიანი წლების დამდეგიდან თეატრალურ ცხოვრებას ქუთა-  
ისში ახალი, მუდმივი იმესვეურნი გაუჩინდნენ, სახელდობრ — ეფრო  
კლდიაშვილი და ანტონ ლორთქიფანიძე. ისინი თავკაცობდნენ წარ-  
მოდგენების გამართვას და თვითონაც თამაშობდნენ. ამ ადამიანე-  
ბის მეცადინეობით სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში,  
ქუთაისში, გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული ცნობებით, სულ ათი  
წარმოდგენა გაუმართავთ. უთამაშნიათ: ზ. ანტონოვის „მზის დაბ-  
ნელება საქართველოში“ და „ქმარი ხუთი ცოლისა“, გ. ერისთავის  
„ყვარყვარე ათაბაგი“ და „დავა“, გიორგი წერეთლის კომედია  
„ჯიბრი“, გ. სუნდუკიანის „პეპო“, ა. ყარინიანის „შუშანიკის წამე-  
ბა“, კომედია „თილისმით მოარშიყე“ (აგტორი უცნობია), ა. ოსტ-

როესკის „შემოსავლიანი ადგილი“, მოლიერის „ძალად ექიმი“. შეიძლება წარმოდგენები მეტიც იყო, მაგრამ პრესის ყურადღების გარეშე დარჩა, ხოლო, გარდა საგაზეთო ცნობებისა, იმ დროს ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებაზე რაიმე სხვა დოკუმენტი არ არსებობს.

გაბრიელ სუნდუკიანის ცნობილი კომედია „პეპო“ ქუთაისელმა სცენისმოყვარეებმა 1874 წლის 21 ოქტომბერს წარმოადგინეს. გაზეთ „დროების“ (№-448, 1874, 8 ნომბ.) ცნობით კომედია საერთოდ კარგად დაუღვამთ. პეპოს სცენისმოყვარე ქურციკიძე თამაშობდა „ზოგიერთ სცენებში კარგად და ზოგიერთში კი ცუდად, რადგან ქალაქური გამოთქმა ეძნელებოდა“. როგორც წესი, ყველა წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით იმართებოდა, მეტწილად სკოლების დასახმარებლად. ორი ასეთი საქველმოქმედო წარმოდგენის შესახებ, რომელიც 1873 წელს გაუმართავთ, გაზეთი „დროება“ (№-21, 1873) იტყობინებოდა, რომ ორივე წარმოდგენიდან ხუთას მანეთზე მეტი შემოსულა და ხარჯის გარდა სამას მანეთამდე დარჩენილა. ამ თანხიდან ნაწილი ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ გადაუციათ, ნაწილი კი ხელმოკლე ქაზიყელებისათვის დაურიგებიათ. უთამაშნიათ „ყვარყვარე ათაბაგი“, „ქქარი ხუთი ცოლისა“, „ჩიბრი“ და „ძალად ექიმი“. აქაი წერეთლის სიტყვით („განსენება თეატრის შესახებ“) ორი წლის შემდეგ „ყვარყვარე ათაბაგი“ ქუთაისელ სცენისმოყვარეთა მონაწილეობით თბილისშიც წარმოუდგენიათ, სადაც ეფრო კლდიაშვილი ასრულებდა მენახშირის ქალის როლს და თავისი თამაშით ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ „ზოგიერთს ისტერია მოუვიდაო“.

იმ ხანებში კიდევ ერთი ფაქტი იმოხდა. 1873 წლის სექტემბერში ქუთაისელმა სცენისმოყვარეებმა ქართულ-სომხური წარმოდგენა გამართეს. ქართულად წარმოადგინეს ა. კარინიანის ცნობილი დრამა „მუშანიკის წამება“. აქაი წერეთელმა „დროებაში“ (№-39, 1873) ამ წარმოდგენას საგანგებო წერილი მიუძღვნა. დიდი პოეტი მხარს უჭერდა წარმოდგენას და ამ ფაქტს ქართველ-სომეხთა მეგობრობის მნიშვნელოვან მოვლენად თვლიდა. ამასთანავე, აქაიკიმ ეს ამბავი იმისათვის გამოიყენა, რომ თბილისში სომეხ-ქართველთა ერთობლივი თეატრის შექმნის პროპაგანდა გაეწია.

სამოცდაათიანი წლების გაზეთები „დროება“ და სომხური „მშაქი“ იმ ხანებში ხშირად წერდნენ ამ ერთობლივი თეატრის შექმნის თაობაზე, რადგან არც ქართველებს და არც სომეხებს თბილისში თავიანთი თეატრებისათვის საკუთარი ბინა არ გააჩნდათ. აქაიკი წერეთელმა თავისი წერილით კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას ეს საკითხი.



ილია ჭავჭავაძე ქუთაისში. იმხანად ქუთაისის ილია ჭავჭავაძე ეწვია. 1874 წლის 18 აპრილს მან მონაწილეობა მიიღო სალიტერატურო საღამოში. წაიკითხა ი. მაჩაბელთან ერთად შესრულებული უ. შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანი. გაზეთი „დროება“ (№420, 1874, 26 აპრ.) იტყობინებოდა, რომ „მსმენელებს განსაკუთრებით მოეწონათ „მეფე ლირის“ თარგმანი“.

სცენისმოყვარეთა მუდმივი წრე. 1875 წელს ქუთაისის სცენას მეტი გამოცოცხლება დაეტყო. შეიქმნა სცენისმოყვარეთა მუდმივი წრე, რომელშიც შევიდნენ: ქალები — არამიანცი, ე. კლდიაშვილი, ან. მესხი (კოტე მესხის და), დები მ. და ალ. მრევლიშვილები, დები ნიკოლაძეები, ე. ნიჟარაძე, მ. ჩიკვაძე, ევ. ჩხეიძე, ჭყონია, დები ხელთუფლიშვილები; ვაჟები — ვ. აბაშიძე, ივ. აბაშიძე, ბარხუდარიანცი, ალ. გამრეკელი, ტერ-დავით იარალიანი (სომეხი მღვდელი), კარინიანცი, თ. ლეჟავა, ა. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ლოსაბერიძე, კოტე მესხი, ილია მიქელაძე, ანტონ ქურციკიძე, ზაქ. ჭეიშვილი, ალ. ჭიჭინაძე და სხვ. წარეს ხელმძღვანელობდნენ ე. კლდიაშვილი და ან. ლორთქიფანიძე. პირველმა მათგანმა რეჟისორობა იკისრა, ხოლო მეორე ორგანიზაციულ და ტექნიკურ საქმეებს განაგებდა.

წარმოდგენების შემოსავალი კვლავ საქველმოქმედო მიზნებისათვის იყო განკუთვნილი, ხოლო ნაწილი ქუთაისის არალეგარულ ხალხოსნურ ორგანიზაციას ეძლეოდა.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში წრემ თორმეტი წარმოდგენის გამართვა შეძლო, ეს კი მის წევრთა დიდ მონდომებას და საქმისადმი სიყვარულს ადასტურებდა. დაიდგა მოლიერის „ქალად ექიმი“ (გაღმოკ. ი. ერისთავის მიერ), მისივე „სკაპენის ცუდლუტობა“. ს. ბოიკოვის ვოდევილი „მდგმური ტრომონით“ ი. კერესელიძის „მედია“, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, ა. ოსტროვსკის და ე. სოლოვიოვის „შრომით ნაშოვნნი პური“, ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“, ნ. ბეკლემიშევის „მაიკო“, გ. სუნდუვიანის „კიდევ ერთი მსხვერპლი“, ა. წერეთლის „სცენა საპატრიმროში“ და „დაბურდული საქმე“, რ. ერისთავის „დედაკაცმა თუ გასწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“.

როგორც ვხედავთ, რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო. წრე ამავე დროს ცდლობდა წარმოდგენების მხატვრული დონეც მაღალი ჰქონოდა, თუმცა მაშინდელი ობიექტური პირობები არ იძლეოდა ამის საშუალებას. ყოველ შემთხვევაში, გაზეთი „დროება“, რომელიც ქუთაისის წარმოდგენებს უყურადღებოდ არ ტოვებდა, ერიდებოდა წარმოდგენების მხატვრულ ხარისხზე წერას. გაზეთი მეტწილად აღნიშნავდა წარმოდგენის გამართვის ფაქტს და აქვე

იმედს გამოთქვამდა, რომ ქუთაისში პროფესიული დასი შეიქმნებოდა. „შრომით ნაშოვნნი პურის“ დადგმის თაობაზე გაზეთი „დროება“ (№ 32, 1875) წერდა: „თეატრის საქმემ ქუთაისში იმ წრემდის მიაღწია, რომ შეუძლებელი საქმეა ტრუპა არ შესდგეს, შეუძლებელი საქმეა — დეკორაციები არ გაიწყოს რიგიანი და არ დაიწყოს ეს წესიერი და მეტად სასარგებლო საქმე“. ამაზე ადრე კი გაზეთის რედაქტორი სერგეი მესხი („დროება“ №-29, 1875) წერდა: „...ოღონდ იმდენი მოახერხონ ქუთაისის სცენისმოყვარეებმა, რომ თუნდა რამდენიმე წლის განმავლობაში, მძევლად ერთი ასი თუმანი მოაგროვონ და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგ სხვა იმდენი საშუალებაც აღმოჩნდება, რომ ფიცრული თეატრის აშენება შესაძლებელი იქნება“...

მაგრამ ს. მესხის ეს ოცნება განუხორციელებელი დარჩა.

წრის რეპერტუარი მეტწილად კომედია-ვოდევილებისაგან შედგებოდა. დრამებისა და ტრაგედიების დასადგმელად მათ ძალა არ შესწევდათ, მაგრამ მანც სცადეს ტრაგედიის განხორციელება. განახორციელეს ი. კერესელიძის ტრაგედია „მედეა“. როგორც ირკვევა გაზეთმა „დროებამ“ (№-44, 1875) დაიწუნა პიესის არჩევანი, — „მედეა“ უაზრო ტრაგედია არ არის, — წერდნენ გაზეთში, — მაგრამ მისი წარმოდგენა ქუთაისის საზოგადოებისათვის წინდაუხედავი ნაბიჯია, რადგან „ჩვენი საზოგადოება ჭრჭერობით მხოლოდ საცინლად და მხიარულად დროსტარებისათვის დაიარება თეატრში... იმერლებს ცხოვრების სცენაზეც ეყოფათ სატირალი საგნები“...

რა თქმა უნდა, „მედეას“ დადგმის უარყოფა არ შეიძლებოდა იმ მოტივით, თითქოს ქუთაისის მაცურებელი თეატრში მხოლოდ დროს გასატარებლად დადიოდა. ასეთი აზრი უმართებულო იყო. ზემოთ მოყვანილი წერილის ავტორმა სათანადო პასუხიც მიიღო. პასუხის ავტორმა („დროება“, № 49, 1875) ეფრო კლდიაშვილმა მართებულად დაამტკიცა სერიოზული დრამის საჭიროება. თეატრის რეპერტუარში. „სწორე მოგახსენოთ, — წერდა იგი, — მე ეს პიესა იმისათვის არ ამომირჩევია, რომ უთუოდ მიქონ-მეთქი, არც კი ვიცოდი, თუ პიესის ამორჩევისათვისაც დაუწერდნენ ვისმე ქებასა, თორემ, იქნება, მართლა ბევრი მეძებნა და ქების ღირსი გავმხდარიყავი... ეს პიესა „მედეა“ სწორედ იმ აზრით ამოვირჩიე, რომ მოსწყინდა ჩვენს საზოგადოებას ერთი და იგივე პიესები, მეტადრე სასაცილოები და ეს პიესა, ვნახოთ, როგორ იმოქმედებს ხალხზე-მეთქი, რომელზედაც მე ძლიერ გაკვირვებული ვარ. იმ დამეს თქვენ არ შეგინიშნავთ, თორემ, როგორც გავიგე მეორემესამე დღეს, დიდი თანაგრძნობით მოესმინათ პიესა „მედეა“ და სადაც შევედი, ერთი მეორეს ამ ამბავს ელაპარაკებოდნენ, სასიამ-

მოცნოდ ქონდათ: რა არის, ყოველთვის სასაცილო პიესები მოგვწყინდაო. რასაკვირველია, არც იმას ვიტყვი, ყველას ერთი აზრი ჰქონდა-მეთქი, მაგრამ უმეტესობა დიდ მადლობას გვიცხადებს. ასე, რომ ბევრი გამოჩნდნენ მსურველნი, რომლებიც ამ წარმოდგენას არ დასწრებიან და გვთხოვეს, ის გაგვემეორებინა... ათასში ერთხელ რომ ამისთანა დრამები ვითამაშოთ, ვგონებ ურიგო არ იქნება“...

ჩვენ გვეგონა, რომ დრამებსა და ტრაგედიებს ქუთაისში მაყურებელი საკმაო გამოუჩნდებოდა, მაგრამ მათი შესრულებისათვის დრამატულ წრეს ძალა არ შესწევდა.

წარმოდგენა ხონში. ქუთაისელმა სცენისმოყვარეებმა ქალაქგარეთაც კი მოახერხეს წარმოდგენის გამართვა, სახელდობრ ახლო მდებარე დაბა ხონში. აქ ადგილობრივ სცენისმოყვარეებს ჯერ კიდევ 1865 წელს წარმოდგენიათ გ. ერისთავის „გაყრა“. 1873-74 წლებში გ. ერისთავის კიდევ რამდენიმე პიესა დაუდგამთ. 1874 წელს ხონში სათეატრო შენობაც კი აუგიათ — ფიცრული, ყავრით დახურული პატარა დარბაზი.

სწორედ ამ დარბაზში გამართეს წარმოდგენა 1875 წელს ქუთაისელმა სცენისმოყვარეებმა ვ. აბაშიძემ, კ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა. მთელი შემოსავალი ადგილობრივ საქალაქო სკოლას გადაეცა. სცენისმოყვარეებმა დადგეს „ძალად ექიმი“ და ბოიკოვის „მდგმური ტრომბონით“.

ვასო აბაშიძის პირველი გამოსვლა სცენაზე. არსებობდა აზრი, რომ ჩვენი გამოჩენილი მსახიობი ვასო აბაშიძე ქუთაისში პირველად სცენაზე 1875 წელს გამოვიდა ა. ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილში“ და შეასრულა ბელოგუბოვის როლი. ეს როლი მან 1875 წელს მართლაც შეასრულა (მასთან ერთად ამ კომედიისი მონაწილეობდა 18 წლის ჭაბუკი კოტე მესხი), მაგრამ ეს არ იყო ვ. აბაშიძის პირველი გამოსვლა სცენაზე. ს. გერსამიას გამოკვლევით, ვ. აბაშიძე სამი წლით ადრე, ე. ი. 1871 წელს ეზიარა სცენას, თუმცა ცნობილი არ არის, თუ რა როლი შეასრულა. ამის შემდეგ 1873-74 წლებში იგი მონაწილეობას იღებდა ქუთაისში გამართულ წარმოდგენებში.

ალსანიშნავია, რომ აქაი წერეთელი 1874 წელს გაზეთ „დროებაში“ (№-450) ვ. აბაშიძეს უკვე ცნობილ სცენისმოყვარეთა შორის იხსენიებს. 1875 წელს ვ. აბაშიძეს, გარდა ბელოგუბოვის როლისა, შეუხსრულებია სკაპენის მთავარი როლი „სკაპენის ცუდლუტობაში“. გარდა ამისა მონაწილეობა მიუღია კიდევ ორ პიესაში.

სცენისმოყვარეთა წარმოდგენები 70-იანი წლების მეორე ნახევარში. ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრემ 1876 წელს ოთხი წარმოდგენა გამართა, ხოლო 1877 წელს შეწყვიტა მუშაობა, რადგან

„სამეფო სანლი“ რუსეთ-თურქეთის ომის გამო მობილიზებულმა ჯარმა დაიკავა, სხვა ადგილი კი წარმოდგენების გასამართავად ქუთაისში არ მოიძებნებოდა. წრემ მუშაობა განაახლა 1878 წელს და წარმოდგენებს კერძო სახლებში სახელდაწლოდ მოწყობილ სცენებზე და ცირკის შენობაშიც კი მართავდა. ასე გაგრძელდა 1879 წელსაც. ორი წლის განმავლობაში წრემ ცამეტი წარმოდგენა გამართა. რეპერტუარში შედიოდა ადრე ნათამაშევი და ახალი პიესებიც, სახელდობრ: „მოლიერის „ეორჟ დანდენი“, ფეოდოროვის „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“, ნ. სოლოვიოვის „ომი ცოლ-ქმარს შუა“, ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდა, ეს არის“, გ. სუნდუკიანის „ხათაბალა“, დ. ერისთავის „გეგო, მინას და კომპანია“, ნ. კულიკოვის „ცელქები“, მელევილის „სიყვარული და ცრუმორწმუნეობა“, მოლიერის „ძალად ცოლის შერთვევინება“ და კ. ტარნოვსკის „მოტია“.

ეფრო კლდიაშვილის დრამატული წრის გარდა, იმ დროს ქუთაისში ალექსანდრე გამრეკელის თაოსნობით მეორე წრეც დაარსდა, მაგრამ მალე ის ე. კლდიაშვილის წრეს შეუერთდა, რადგან ორი დრამატული წრის არსებობა ძალების დაქსაქსევას ნიშნავდა და არ იყო მიზანშეწონილი.

სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის პრესა კანტი-კუნტად იხსენიებს ქუთაისში გამართულ წარმოდგენებს. 1878 წლის ზამთარში დადგმულ „ეორჟ დანდენის“ შესახებ „დროება“ (№75, 1878). წერდა: „...საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა; ყველა აქტიორები მეცადინეობდნენ რიგიანათ თავ-თავისი როლები წარმოედგინათ“. ამავე წლის 23 აპრილს წარმოდგენილ „შემოსავლიან ადგილის“ შესახებ ჟურნალი „ივერია“ წერდა: „მსურველნიც ვართ და იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი სცენისმოყვარეები კიდე ასე უნაკლოდ წარმოადგენენ მრავალჯერ იმისთანა ტალანტურ პიესას, როგორიც „შემოსავლიანი ადგილია“.

თბილისის თეატრალური კომიტეტის დასის საგასტროლო წარმოდგენები. ცნობილია, რომ სამოცდაათიანი წლების დამლევს თბილისში შედგა პროფესიული დრამატული დასი. 1878-1879 წლების სეზონში ამ დასმა, რომელსაც საგანგებოდ დაარსებული თეატრალური კომიტეტი განაგებდა, თბილისში ეგრეთ წოდებული საცდელი სეზონი ჩაატარა, ხოლო ზაფხულს საგასტროლოდ გაემგზავრა საქართველოს დაბა-ქალაქებში. ეს იყო ქართველი პროფესიული მსახიობების პირველი მოგზაურობა. პირველი წარმოდგენები დასმა გამართა გორში, შემდეგ კი ქუთაისს გაემგზავრა. ქუთაისში დასი ერთ კვირას დარჩა და მაყურებელს სამი წარმოდგენა უჩ-

ვენა. ითამაშეს გ. სუნდუქიანის „პეპო“ და რამდენიმე ერთ მოქმედებიანი კომედია-ვოდევილი. დასში იყვნენ: მაკო საფაროვი, მარიამ ყიფიანი, ბაბო კორინთელი, ნატო ვაბუნია, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ზაალ მაჩაბელი, ნოდარ ჯორჯაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ავქსენტი ცაგარელი და ადამ ჩუბინაშვილი.

ქუთაისელებმა დიდებული შეხვედრა მოუწყვეს ახალგაზრდა მსახიობებს. ცირკის შენობა, სადაც წარმოდგენები გაობართა, დასწრების მსურველ ხალხს ვერ იტევდა.

ავქს. ცაგარელმა შესანიშნავი მოგონება დაგვიტოვა დასის ამ მოგზაურობის შესახებ, რომელიც 1901 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა. მოგვყავს ადგილები ამ მოგონებიდან: „...ჩვენ ჩამოვხტით, ქუთათურების რჩევით, სასტუმრო „ივერიაში“ ბულვარის პირდაპირ, ეხლანდელი ხარაზოვის თეატრის ახლო. მაშინ ხარაზოვის თეატრი არ იყო და წარმოდგენები ცირკის შენობაში უნდა გაგვემართა. ცირკის შენობა იყო ჩვენი სასტუმროს პირდაპირ, ერთის მხრივ, და ეხლანდელი ხარაზოვის თეატრისა, მეორეს მხრივ, შუაგულ მინდორზე; ახლო-მახლო რაღაც დანგრეული ქოხმახები იყო... ქუთაისში დავრჩით ერთი კვირა და დღეგამომშვებით ვმართავდით წარმოდგენებს, რომელსაც აუარებელი ხალხი ესწრებოდა; შემოსავალი ყოველთვის მშვენიერი გვექონდა ხოლმე, და ეხლა რომ დავფიქრდები, ვერ ამიხსნია რას ვუშვრებოდით ამოდენა ფულს, რადგან სასტუმროს ქირის გარდა, არაფერი ხარჯი ჩვენ არა გვექონდა! ქუთათურების წვეულება-პატიჟს ბოლო არა ჰქონდა, და აბა ფული რაში უნდა დაგვეხარჯა“ „...სამუდამო სცენის აღორძინებამ იმერეთში დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოდ. არა მარტო ინტელიგენცია დღესასწაულობდა ამ საზოგადო საქმის დაწყებას, არამედ დაბალი წოდების პატიოსანი მშრომელი ხალხიც, რომელიც, რა დაგვინახვდა ქუჩაში მიმავალ არტისტს აღტაცებით და „ვაშას“ ძახილით მიეგებებოდა და გააცილებდა. არა მარტო საზოგადო ნადიმი იმართებოდა, კერძო ოჯახებშიაც თითქმის ყოველ დღე იწვევდნენ არტისტებს, მაგრამ ყველგან წასვლა როგორ შეგვეძლო, რადგანაც ორი თვეც რომ დავრჩენილიყავით ქუთაისში, მაშინაც ვერ მოვასწრებდით ჩვენი ძვირფასი მასპინძლების სურვილის ასრულებას“.

ოცი წლის მანძილზე. სამოცი და სამოცდაათიანი წლების ქუთაისის სცენისმოყვარეთა წარმოდგენები მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი ქართული თეატრის განვითარების ისტორიაში. ამ წარმოდგენებმა ნიადაგი მოამზადეს პროფესიული თეატრის შექმნისათვის ქუთაისსა და თბილისში.

ქუთაისელ სცენისმოყვარეთა წარმოდგენები მნიშვნელოვანია იმიტაც რომ ქუთაისის თეატრალურ სარბიელზე გამოვიდა პირვე-

ლად ჩვენი გამოჩენილი პოეტი აკაკი წერეთელი, რომელმაც უშუალო მონაწილეობით და ლიტერატურული შემოქმედებით დიდძალ შეუწყო ხელი ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებას. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქუთაისის სცენაზე გაიშარათ პირველად გამოჩენილი ქართველი მომღერლის ფ. ქორიძის კონცერტი და აქედან დაიწყო ქართული პროფესიული ვოკალური კულტურის ისტორია. ასევე აღსანიშნავია და დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ იქაური სცენისმოყვარენი დაკავშირებული იყვნენ არალეგალურ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან—რევოლუციურ ხალხოსნებთან და სცენისმოყვარეთა წრეს სათავეში უდგნენ ხალხოსნური მოძრაობის აქტიური მოღვაწენი ე. კლდიაშვილი და ან. ლორთქიფანიძე.

მოგვყავს ქუთაისის თეატრის ამ ორი დიდი მოამბავის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა დაიბადა 1839 წელს სოფ. ქვიშხეთში. მამამისი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის ძმა იყო. ეფრომ განათლება ოჯახში მიიღო და გარდა ქართულისა, კარგად შეისწავლა რუსული და ფრანგული ენები (თარგმნიდა რუსულ მხატვრულ ნაწარმოებებს), ცოლად გაჰყვა ოფიცერ გრიგოლ კლდიაშვილს. 1865-1866 წლებში ეფრო, დიმიტრი ყიფიანის წაქეზებით, მონაწილეობას იღებდა თბილისის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. 1867 წელს კი ქუთაისში გადასახლდა და ინტენსიურად მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. იგი სცენაზე გამოდიოდა 1888 წლამდე. ნიჭიერად ასრულებდა როგორც დრამატულ, ასევე კომედიურ როლებს. ითამაშა მართა (გ. ერისთავის „ყვარყვარე ათაბაგი“), მაკრინე (გ. ერისთავის „გაყრა“), კუკუშკინა (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“), მედეა და მრავალი სხვა როლები. მონაწილეობდა ხალხოსნური ორგანიზაციების არალეგალურ საქმიანობაში. გარდაიცვალა 1913 წლის 17 მაისს, თბილისში.

ე. კლდიაშვილის გარდაცვალების გამო, კოტე მესხმა გაზეჲ „თემში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიც დიდი სითბოთი მოიგონა მსახიობი ქალის ღვაწლი ქუთაისის სცენაზე. იგი წერდა: „...დათანხმდა ქუთაისის წარმოდგენებში მიეღო მონაწილეობა... დათანხმდა იმ დროს, როდესაც თითქმის არც ერთი ქალი არ თანხმდებოდა სცენაზე გამოსვლას. სამოციან და სამოცდაათიან წლებში სცენაზე თამაში ჯამბაზობად მიაჩნდათ ბევრსა და ყველა ერიდებოდა ამ ასპარეზს. ეფროსინე კი თავისი კეთილშობილი და მეტად ლმობიერი ქმრით გრიგოლ კლდიაშვილით, სიყვარულით უცქეროდნენ თეატრს. ეფროსინეს მაგალითმა სხვა ქალებიც წააქეზა, შესდგა სცენისმოყვარეთა წრე და გაიშარათ თითქმის რეგულარული წარმოდ-

ვენები ქუთაისში იმ დროს, როდესაც თბილისში კანტიკუნტად თუ იმართებოდა. დიდი ნიჭიერი მოთამაშე, დიდი დარბაისელი და ზრდილობიანი, ტკბილი ქართულის მცოდნე ეფროსინე ყველასაგან პატივცემული იყო და დიდი სახელიც მოიპოვა იმ დროს“...

დიდად აფასებდა ეფრო კლდიაშვილის ღვაწლს აკაკი წერეთელი. ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში, სახელდობრ 1875 წელს, გაზეთ „დროებაში“ (№ 56) აკაკიმ დაბეჭდა „წერილი ეფროსინე კლდიაშვილისადმი“, რომელშიც ამბობდა: „...ეს ათი წელიწადია, რაც თქვენი თავგანწირული და ყოველმხრით უანგარო შრომა საზოგადო საქმეში სამაგალითოა და ჯერ მიუბაძავი. ამიტომ ვისურვებ თქვენს კეთილდღეობასთან ერთად იმასაც, რომ თქვენის მიხედვით სხვებიც გამოსულიყვნენ საზოგადო ასპარეზზე...“

ანტონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1847 წელს ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და შემდეგ ოდესის უნივერსიტეტი. 1871 წლიდან როგორც ვეჟილმა მოღვაწეობა დაიწყო ქუთაისში. ამახთანავე მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ე. კლდიაშვილთან ერთად მონაწილეობდა სცენისმოყვართა წარმოდგენებში, ხელმძღვანელობდა დრამატულ წრეს. 1880 წელს ა. ლორთქიფანიძე ქუთაისში სათავეში ჩაუდგა პროფესიულ დასს; სცენაზე გამოდიოდა თბილისშიც, მონაწილეობდა ხალხოსნური ორგანიზაციების არალეგალურ მუშაობაში. მან თავისი ხარჯით ქუთაისში შექმნა სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც უსასყიდლოდ გადასცა ქალაქს. გარდაიცვალა 1894 წელს.

## II. პროფესიული თეატრი 80-90-იან წლებში

პროფესიული თეატრის დაფუძნების ცდა. 1879 წლის შემოდგომაზე თბილისში გაიხსნა პროფესიული დასის პირველი სეზონი. ამ ამბავმა გაჰმოძახილი ჰპოვა ქუთაისშიც.

რა თქმა უნდა, აქ პროფესიული თეატრის შექმნა გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე თბილისში, რადგან ქუთაისს არ ჰყავდა ნიჭიერი მსახიობთა ბირთვი, რომელიც თეატრს გაუძღვებოდა. მართალია, გამოცდილი სცენისმოყვარეები ქუთაისში საკმაოდ იყო, მაგრამ მათგან თითქმის არავინ ფიქრობდა თავის ძირითად პროფესიულ მსახიობობა გაეხადა.

ქუთაისში არ იყო სათეატრო შენობა. მაგრამ თეატრის შექმნის დიდმა სურვილმა და მონდომებამ ენერგიაც წარმოშვა და ქუთათურები საქმეს შეუდგნენ. 1879 წლის შემოდგომაზე გაზეთი „დროება“ (№№198,203) იტყობინებოდა, რომ ქუთაისში დაარსდა მუდმივი დასი, რომელშიც შედიოდნენ: ე. კლდიაშვილი, ევგ. ჩხეიძისა, ა. მესხი, მ. ჩიკვაიძისა, მ. განგესოვისა, მრეველიშვილისა, (სახელი უცნობია) ა. ლორთქიფანიძე (დასის რეჟისორი), დ. ლეონიძე, ზ. ქვიშვალი, თ. ლეჟავა, ვ. ვაბიჩვაძე, ლ. ეგნატაშვილი, ე. იოსელიანი, ალ. გაპჩეკელი, ო. მინდელი.

დასის მართვა-გამგეობისათვის ქუთაისში, ისევე, როგორც თბილისში, შეიქმნა დრამატული კომიტეტი, მისი წევრები იყვნენ: ქუთაისის მოწინავე საზოგადო მოღვაწეები კ. ლორთქიფანიძე, ივ. მესხი, მ. ქიქოძე, დ. ნაზაროვი, ვ. ლოსაბერიძე.

დასმა სახელმძღვანელო წესდებაც შეიმუშავა. იგი თითქმის ისეთივე შინაარსის იყო, როგორც თბილისის დასის წესდება. „დროება“ დასს ნაყოფიერ მუშაობას უსურვებდა. გაზეთში წერდნენ: „ვინაშით, რომ ქუთაისის ქართულ სცენას დღევრძელობა არ მოკლებოდეს და კარგად შეეარსებინოს ის საზოგადო მოვალეობა, რომელიც უქსრნია. საქმე ერთგულება და სიბეჭითაა, თორემ ნიჭიერი მოთამაშეები იმერეთის თეატრს არასდროს არ დააკლდება.“



ვინატროთ აგრეთვე, რომ ქუთაისის საზოგადოებას თანაგრძნობა არ მოეკლოს თავის სამშობლო თეატრისათვის“.

• თეატრის შენობა. ქუთაისში დასი იმ იმედით ჩამოყალიბდა, რომ იმუშავებდა შენობაში, რომლის აგება კერძო პირმა კ. ხარაზიშვილმა იკისრა. გაზეთი „დროება“ 1880 წლის თებერვალში (№ 31), თავის მკითხველს კმაყოფილებით ატყობინებდა, რომ ქუთაისში „ერთი უცხო გალამაზებული თეატრი გაიხსნება და შიგ ახლად შემდგარი ქართული ტრუპა გვიგალობებს განთიადის ფსალმუნებსო“...

სინამდვილეში კი ასე არ მოხდა. კ. ხარაზიშვილი თეატრს მხოლოდ და მხოლოდ მოგების მიზნით აშენებდა და ამიტომაც ხაზი ძალიან ცოტა გასწია (სხვათა შორის ქალაქის თვითმმართველობამ მიწის ნაკვეთი შენობის ასაგებად იმითომ დაუთმო, რომ ხარაზიშვილმა პირობა დადო, ქართულ დასს კვირაში ერთ საღამოს მისცემდა შეღავათიან ფასში — 30 მანეთად). „უცხო გალამაზებული“ შენობის მავივრად ხარაზიშვილმა რაღაც უცნაური რამ ააგო. გაზეთი „დროება“ თეატრის გახსნის შემდეგ წერდა: „დაიწყო შენობა 1879 წლის ენკენის თვეში და დამთავრდა 1886 წლის 20 თებერვალს. დაამთავრა, მეთქი, ვამბობ, მაგრამ არ იფიქროთ, იმას მართლა თეატრი აეშენებინოს. ააშენა აგურის ოთხი კედელი, ზევით ქერი არ გაუკეთა. დახურა იმნაირად, რომ წვიმა ისე ჩამოდის როგორც კოვის პირიდან. წვიმის დროს იმისთანა საშინელი ხმაურობაა, რომ თეატრში არა ისმისრა. სცენა იმნაირად დადგა, რომ საყენზე მოშორებით აუ დაჯდა მაყურებელი კედელთან, სცენაზე ვერაფერს დაინახავს. რეზონანსი ზრულებით არ არის და დეკორაციის ხსენებაც არ არის“... („დროება“, № 87, 1886).

მსახიობ ი. ზარდალიშვილს თავის „მოგონებებში და მასალებში ქართული თეატრის ისტორიისათვის“ (სათეატრო მუზეუმის არქივი), დაწვრილებით აქვს აღწერილი თეატრის შენობის აგების ამბავი: „ხარაზიშვილმა დიდი ვაჭირვებით მოაწყო საცოდავი სცენა, რომელსაც არავითარი მოწყობილობა არ ჰქონდა. შიგნით თეატრის კედლებიც კი შეუღესავი იყო. პარტერის თავზე პატარა ქანდარა ჰქონდა და სცენის მარჯვნივ და მარცხნივ — ორი ლოქა, რომლებიც უბრალო ლარტყით (რეიკით) იყო შემოფარგლული. სახურავი ძველი თუნუქით იყო დახურული, რის გამო ახალ შენობაში უკვე წვიმა ჩამოდებდა და ხშირად მაყურებლები გაშლილი ქოლგებით ისხდნენ დარბაზში და ისე უსმენდნენ წარმოდგენას“.

თეატრის გახსნა. მიუხედავად იმისა, რომ შენობა უვარგისი

იყო, აქ მაინც გაიმართა დრამატული დასის პირველი წარმოდგენა, ქუთაისის სხვა სათეატრო შენობა ან ხეივანი დარბაზი არ გააჩნდა. დეკორაციებად გამოყენებული იყო სცენისმოყვარეთა წრის ქუთვნილი ძველი, დაფლეთილი ფარდები.

თეატრი გაიხსნა 1880 წლის 21 თებერვალს. წარმოდგენილი იყო ქუთაისში არა ერთხელ ნათამაშევი ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. შემოსავალიც კარგი იყო — 550 მანეთამდე.

თეატრი კი გაიხსნა, მაგრამ შემდეგ დასს მუშაობა ძალიან გაუჭირდა. შენობის უფარგისობას რომ თავი დავანებოთ, დასს არ შეეძლო ყოველ კვირას ახალი პიესა ეთამაშა, რადგან მათი ხეივანად მომზადების საშუალება არ ჰქონდა, დასი ხომ ისევ სცენისმოყვარეთაგან შედგებოდა, რომლებსაც მარტო საღამომობით შეეძლოო რეპეტიციებზე სიარული. ამიტომ წარმოდგენები უხარისხო გამოდგოდა და მაყურებლებს არ იზიდავდა.

გაზეთი „დროება“ (№ 78, 1880, 10 აპრ.) სწორედ ამაზე მუთუთებდა. აღნიშნავდა, რომ წარმოდგენა ყოველ კვირას იმართება, მაგრამ მაყურებელი საკმაოდ არ ესწრება და ვერც დასი ასწრებს პიესების რიგიანად მომზადებასო. გაზეთი ურჩევდა დასს წარმოდგენა ორ კვირაში ერთხელ გაემართა, რათა კარგად მოემზადებინა.

საინტერესოა, რომ მიუხედავად დასის ასეთი გაჭირვებისა, ქუთაისში მეორე დრამატული დასის შედგენა განუზრახავთ, მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანიათ, რადგან ერთ დასსაც ვერ უხეირია. სულ შვიდი წარმოდგენაა აღრიცხული ამ პირველ სეზონში. აქედან ექვსი წარმოდგენის შესახებ ცნობები გაზეთ „დროებაში“ მოვიპოვეთ, ხოლო ერთი წარმოდგენის—მოლიერის „ექვით ავადმყოფი“ — აფიშით, რომელიც დაცულია ქუთაისის მუზეუმში კირალე ლორთქიფანიძის პირად არქივში.

მეტწილად სცენისმოყვარეთა მიერ წინა წლებში ნათამაშევი პიესებს დგამდნენ. ახალი იყო მხოლოდ ზ. ანტონოვის „ქოროლი“, ა. მეიფარიანის კომედია „ქმრები გავაბით მახეში“ და გ. წერეთლის დრამა „ოჯახის ასული“.

1880 წლის მაისის დამლევს დასი დაიშალა.

კვლავ სცენისმოყვარეთა წარმოდგენები. ამრიგად, ეგრეთ წოდებულმა პროფესიულმა დასმა დიდი გაჭირვებით იარსება მხოლოდ ერთი სეზონი. შემდეგ კი (1880-1881 წლების სეზონი იანვარი) ორიოდ წარმოდგენა გაიმართა სცენისმოყვარეთა მონაწილეობით. სამაგიეროდ ქუთაისს ყურადღება არ მოაკლო თბილისის დრამატულმა დასმა. ჯერ 1880 წლის დეკემბერში ჩავიდა და გამართა რამდენიმე წარმოდგენა (დასს ხელმძღვანელობდა აკ.

წერეთელი), მეორედ კი მაისში ეწვია. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ ათი დღეა, რაც მუდამ დღე შართავს წარმოდგენას თბილისის დრამატული დასიო.

1881-1882 წლების სათეატრო სეზონში, ქუთაისში შეადგინეს სცენისმოყვარეთა დასი, რომელსაც როგორც რეჟისორი სათავეში ჩაუდგა აკაკი წერეთელი. სამწუხაროდ, ამ დასის მუშაობაზე დოკუმენტები არ დარჩენილა. არსებობს ცნობები მხოლოდ სამ წარმოდგენაზე. 15 დეკემბერს დასს უთამაშია ბ. ჯორჯაძის ოპერული დრამა „მშვენიერი კეკელა“ (ქუთაისის გაზეთი „შრომა“ №-16, 1881). დეკემბერში, ა. წერეთლის ხელმძღვანელობით, დასს კიდევ ერთი წარმოდგენა გაუშართავს. 4 მაისს მისივე ხელმძღვანელობით უთამაშია მოლიერის „ეპიკით ავადმყოფი“ და აკ. წერეთლის კომედია-ხუმრობა „რეპეტიცია“.

„ჩვენი აკაკი სუფევს ჩვენივე სცენაზეო“,—წერს ამ წარმოდგენის შესახებ „დროება“ (№ 101, 1882).

„მშვენიერი კეკელას“ წარმოდგენის შესახებ შემორჩენილია ცნობილი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის მოგონება (დაბეჭდული იყო 1922 წელს მსახიობ ეფემია მესხის საიუბილეო ბროშურაში).

მ. ბალანჩივაძე 1881-1882 წლების სეზონში სცენისმოყვარეთა დასის წევრი ყოფილა და „მშვენიერ კეკელაში“ მთავარი დრამატული როლი შეუსრულებია. უთამაშია ძალიან ცუდად. იგი წერს: „1882 წლის დასაწყისში ქუთაისში, ეფრო კლდიაშვილის ინიციატივით და აკაკის მეთაურობით, დაარსდა მუდმივი დასი სცენის მოყვარეთაგან. ამ დასში შედიოდნენ ადგილობრივი ძალები. ამათში საუკეთესო ადგილი ეჭირათ: თვით დამაარსებელს ე. კლდიაშვილისას, რომელიც საუცხოოდ თამაშობდა სოფლის დედაკაცებს როლებს, მაკრინე ჩიკვაძისას — ხნიერი ქალების როლებში, ზაქარია ჭეიშვილს, რომელსაც მეტ სახელს „სკაპენს“ ვეძახდით, რადგან სკაპენის როლს დიდებულად თამაშობდა. დანარჩენი: ქალბატონი ევგ. ჩხეიძისა (დედა დიდი ნიჭიერის ნინოსი), მ. კლდიაშვილი (ეფროს ქალი, შემდეგ ჩინებული მომღერალი მ. ძნელაძისა), გამყრელიძე; ბატონნი: პ. კვიციანიძე, ვ. გაბიჩვაძე, ო. მინდელი და მე წარმოდგენდით მდარე ელემენტს, განსაკუთრებით დრამებში. მცირე რეპერტუარი განვაახლეთ ბ. ჯორჯაძის ახალი დრამით „მშვენიერი კეკელათი“, რომელიც აკაკიმ ჩამოგვიტანა თბილისიდან. დრამა ქართული ცხოვრებიდან იყო დაწერილი. მთავარი როლი ამ დრამაში მე მომანდევს და მხიარულადაც ჩავატარე. სცენაზე ყოველი ჩე-  
20

მი ფეხის გადადგმა სიცილს იწვევდა და ბოლოს სატროფოსთან გამოსათხოვარ მონოლოგით ხომ სიცილის ცრემლები ვაღვრევინე მსმენელთ. ძლიერი ტაშის კვრა — მათრახზე უარესი. კულისებში აკაკიმ შემომძახა: „ყოჩაღ, კარგი კომიკი ყოფილხარ!“

**თბილისის დრამატული დასის გასტროლები. „სამშობლო“.** 1882 წლის მაის-ივნისში ქუთაისს კვლავ ესტუმრა თბილისის დრამატული დასი და შემდეგი პიესები წარმოადგინა: ა. ყაზბეგის „არსენა“, დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული დრამა „სამშობლო“, გ. შერვაშიძის კომედია „მომაკვდავნი“, კ. მესხის მიერ გადმოკეთებული დრამა „თამარ ბატონიშვილი“, ნ. გოგოლის „რევიზორი“ და უ. შექსპარის „ვენეციელი ვაჟარი“.

ასევე როგორც თბილისში, დიდი წარმატება ხვდა წილად დ. ერისთავის „სამშობლოს“. მაყურებელთა თხოვნით, ერთს მაგიერ პიესა სამჯერ ითამაშეს. „დროება“ წერდა, — ამისთანა ამბავი ჯერ არ უნახავს ქუთაისს, რაც „სამშობლოს“ წარმოდგენის დროს იყო. ბილეთების ჰსაღებად იერიშით მიაწყდა ხარაზიშვილის თეატრს ხალხი და ძალად იტაცებდნენ. იგივე „დროება“ „სამშობლოს“ შესახებ წარმოდგენის შემდეგ წერდა: „...როგორცა ჰგავს, ქუთათურებს ძლიერ მოწონთ ეს პიესა და ლიონიდის ყოველ სიტყვაზედ აღტაცებაში მოდიან. ჯერ მოთამაშეს არ გაუთავებია სიტყვა, რომ შეიქმნება „ვაშას“ ძახილი და ტაშის კვრა... ეს მესამე წარმოდგენა უფრო კარგი იყო, ვიდრე პირველი ორი. მიზეზი გახლავთ ბატონი მესხიევი, რომელიც თამაშობდა ხიშშიაშვილის როლს. მესხიევს ეტყობა დიდი ნიჭი დრამატული აქტიორისა“ („დროება“. № 118. 1882).

ცნობილია, რომ „სამშობლოდან“ დაიწყო ლადო მესხიშვილის სცენური წარმატება, მისი პოპულარობა ქუთაისში.

**„ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები.** ოთხმოციანი წლების დამდეგს საქართველოს ესტუმრა ცნობილი უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. მას აქ უნდა შეესწავლა ბუნება, რომ დაეხატა მ. ლერმონტოვის პოემის „დემონის“ ილუსტრაციები. ქართველ მოწინავე საზოგადო მოღვაწეებს აზრად მოუვიდათ ესარგებლათ შემთხვევით და ზიჩისათვის შეეკვეთათ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები პოემის ახალი გამოცემისათვის, რომელიც გ. ქართველიშვილის ხარჯით მზადდებოდა.

მხატვარი ზიჩი დათანხმდა შეექმნა ილუსტრაციები. ამ მიზნით შეისწავლა „ვეფხისტყაოსანი“, საქართველოს ისტორია, ყოფა-ცხოვრება. პოემის გმირების უკეთესად დახატვის მიზნით, მან თბილისში მოამზადა და საჯაროდ უჩვენა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ეპიზოდების ცოცხალი სურათები. თბილისის ქართველმა საზოგად-

დობამ ეს სურათები დიდად მოიწონა. ქუთათურებმაც აღეძრათ ამ სურათების ნახვის სურვილი. მიიწვიეს მიხაი ზიჩი და მანაც 1884 წლის მაისში „სამეფო სახლის“ ეზოში ორჯერ დადგა თავისი ცოცხალი სურათები. სურათებში მონაწილეობა მიიღეს იმდროინდელმა წარჩინებულმა პირებმა, მათ შორის პოეტმა მამია გურიელმა გამოსახა შოთა რუსთაველი, ხოლო გიორგი შერვაშიძემ — ტარიელი. სურათების ჩვენებას წინ უძღვოდა აკაკი წერეთლის ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“.

**წარმოდგენები.** მეტად უნაყოფო იყო ქუთაისის თეატრალური ცხოვრება 1882-1885 წლებში. სამი სათეატრო სეზონის განმავლობაში ვერ მოხერხდა პროფესიული დრამატული დასის შექმნა და ყოველივე ცდა ამ მხრივ მარცხით დამთავრდა. უთუოდ არ იყო ხელსაყრელი პირობები პროფესიული თეატრის სამოღვაწეოდ. სცენის-მოყვარეთა წარმოდგენებიც კი კანტი-კუნტად იმართებოდა. ამ საქმეს ძველებურად ისევ ეფრო კლდიაშვილი თაოსნობდა.

სამაგიეროდ ქუთაისის ყურადღებას არ აკლებდა თბილისის დრამატული დასი და დროდადრო ჩამოდიოდა საგასტროლოდ. 1883 წლის ივნისში თბილისელმა მსახიობებმა ქუთაისში წარმოდგინეს უ. შექსპირის „ჰამლეტი“ (თარგმ. ანტ. ფურცელაძისა), ლეკოკის ოპერეტა „რაინდი უშიშარი და გულმართალი“ და დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული დრამა „სამშობლო“ (ორჯერ). „დროებაში“ წერდნენ: „ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ თუმცა „სამშობლო“ სამჯერაც გვენახა წინათ, მაგრამ წლელსაც წარმოადგინეს და ბლომად ხალხი დაესწრო. ჩვენი კორესპონდენტი ყველა მოთამაშეთ აქებს, თითქმის ყველა პიესაში, რაც კი ქუთაისში უთამაშნიათ“.

მსახიობი კ. მესხი თბილისის დრამატულ დასში მუშაობდა, მაგრამ ალბათ, აწუხებდა თავისი მშობლიური ქალაქის თეატრის ჩამორჩენა. ის ორჯერ ჩამოვიდა ქუთაისში, რომ გამოეცოცხლებინა თეატრალური ცხოვრება. 1884 წლის მაისში ადგილობრივი ძალების დახმარებით, კ. მესხმა დადგა ა. გრიბოედოვის ცნობილი კომედია „ვაი ჭკუისაგან“. თვითონ ჩაეკის როლი შეასრულა, ანტ. ლორთქიფანიძე კი ფამუსოვს თამაშობდა. 1885 წლის მაისში კ. მესხმა ასევე გაჰართა წარმოდგენა ადგილობრივი ძალების მონაწილეობით და ამჯერად მ. ლერმონტოვის დრამა „მასკარადი“ დადგა. ითამაშა არბენინის როლი. გაზეთი „დროება“ (№ 118, 1885) წერდა, რომ კ. მესხმა თავისი თამაშით „ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება“.

პროფესიული დასი კოტე მესხის ხელმძღვანელობით. ბოლოს კ. მესხმა ქუთაისის დრამატული დასის თაოსნობა იკისრა.

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, № 108, 1883

1885 წელს მან თავი დაანება მუშაობას თბილისის დრამატულ დასში და ქუთაისში გადავიდა. „დროება“ (№ 185, 1885, 28 აგვ.) წერდა, რომ ქუთაისელები რამდენი ხანია ზეციურ მანანასავით მოველით ერთ ხეირიან ქართულ წარმოდგენასო, და სწორედ ამ დროს კ. მესხი უკვე საქმეს შეუდგა. 30 აგვისტოს მან პირველი წარმოდგენა გამართა. ნაჩვენები იყო დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული კომედია „დროებით სიყვარული“, სვენციცკის ვოდვეილი „მოჩვენება“ და უ. შექსპირის „ჰამლეტის“ სცენა მესამე მოქმედებიდან. „დროების“ (№ 189) ცნობით ამ პირველ წარმოდგენას კარგად ჩაუვლია, ხალხი ბლომად დასწრებია და კმაყოფილიც დარჩენილა. მოთამაშეთ ეტყობოდათ რიგიანი მომზადება და სიბეჭითეო. კარგად შეუსრულებიათ თავიანთი როლები კ. მესხს, ე. მესხსა და ს. გოგოლაშვილს.

ამ პირველ პროფესიულ დასში შედიოდნენ: ე. მეხი, პ. მიქელაძე, ევგ. ჩხეიძია, ნ. მესხისა, ო. მინდელი, ს. გოგოლაშვილი (შემდგომში ცნობილი მსახიობი ს. სიმონიძე), ს. პავლეიშვილი, ს. გატირელი, თ. ლეუავა, კეჟერაძე (სახელი უცნობია), ნ. მალრაძე, დ. მესხი, ვ. გაბიჩვაძე და სხვ. დროგამოშვებით წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდნენ: ე. კლდიაშვილი, მ. ჩიკვაძისა. ა. მესხი-პეტრიაშვილისა, მ. ბალანჩივაძე, ან. ლორთქიფანიძე, ნ. გაბაშვილი, ნ. ყიფიანი, პოეტი გრ. აბაშიძე და სხვ. (ს. გერსამია „ქუთაისის თეატრი“, თბ., 1947).

ქართული საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა ქუთაისის პროფესიული დასის შექმნას. მართლაც სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ ქართულ თეატრს უკვე მეორე მუდმივი კერა გაუჩნდა. მართალა დასი ჯერ კიდევ სრულყოფილი არ იყო თავისი სასცენო ოსტატობით, მუშაობის პირობები კვლავ მეტად მძიმე იყო მატერიალური ხელმოკლეობის გამო, მაგრამ იყო ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ: კ. მესხის სახით თეატრს გაუჩნდა გულმოდგინე, საქმის მკოდნე და თავდადებული მოთავე და მისი დაუშრეტელი ენერჯის წყალობით, ქუთაისში უკვე პროფესიულ თეატრალურ ხელოვნებას სასურველი გზა მიეცა. ახლად გამოსული ჟურნალი „თეატრი“ (№ 6, 1885) წერდა ქუთაისის პროფესიული დასის შექმნის შესახებ, რომ ქართული დრამატული დასის დაარსება ქუთაისში მეტად სასიამოვნო და საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოსო. — „თეატრის მნიშვნელობაზე ზედმეტი იქნება ლაპარაკი. — რაც თქმულა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, ისიც საკმარისია. ამას კი მოგახსენებთ: თეატრს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა ალაგებში ისე მკვიდრად არსად შეუძლია ფეხი მოიდგას, როგორც ქუთაისში, მიზეზი ამისი ცხადია: ქუთაისში უფრო მეტი ქართველობა ცხოვრობს და იმერ-

ლები ბუნებითად ძლიერ მოყვარულნი არიან გრძნობათა ამაღლებებელს და გემოვნების დამაკმაყოფილებელ სანახაობებს. მაგრამ ეს ხალხის თვისება არ კმარა, რომ თეატრმა მკვიდრად მოიდგას ფეხი. აქ საჭიროა თვით თეატრის საქმის დაყენება რიგიანად. ხშირად პირველი ნაბიჯისაგან არ არის დამოკიდებული ბედი და ილბალი საქმისა. ჩვენი ნაწილი თეატრის პირველი ნაბიჯი მეტად კარგია, მაგრამ ეს არ კმარა. თეატრის დღეგრძელობისათვის საჭიროა სინდისიანი შრომა, მოთამაშეთა ერთსულოვნება და სიფრთხილით და დაკვირვებით საქმიანობა“...

ჟურნალის ეს დარიგება მართებული იყო. თეატრის არსებობის გარანტია სწორედ დასის წევრთა თავდადება და საქმისადმი სინდისიანი მიდგომა იყო.

დასის პირველი სათეატრო სეზონის შესახებ მეტად მცირე ცნობებია შემორჩენილი. ცნობილია მხოლოდ ოთხი წარმოდგენა; ზემოდ მოხსენიებული „დროებით სიყვარული“ (30 აგვისტოს), დ. მანსფელდის „შეშლილია“ და ა. ცაგარლის „ბაიყუში“, (15 სექტემბერს), ა. ყაზბეგის „არსენა“ და სცენა მ. ლერმონტოვის პოემიდან „დემონი“ (ნოემბერში), ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ (23 თებერვალს). სინამდვილეში წარმოდგენები გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. გაზეთი „ივერია“ (№ 7, 1886, 11 იანვ.) იტყობინებოდა, რომ ქუთაისში თეატრის საქმე ცუდად არ მიდისო. თამაშობენ რიგიანად და ხალხიც საკმაოდ დადის თეატრშიო. იმ დროს ქუთაისში ყოფილა მსახიობი კ. ყიფიანი და წარმოდგენებშიც მიუღია მონაწილეობა. სამწუხაროდ არ შემორჩენილა ცნობები, თუ რა პიესებში ითამაშა კ. ყიფიანმა.

1886 წლის ივნისში ქუთაისს კვლავ ეწვია თბილისის დრამატული დასის მსახიობთა ჯგუფი: ვ. აბაშიძე, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ვ. მელიქიშვილისა, ქ. ანდრონიკაშვილი, ა. მოხევე (ა. ყაზბეგი), დ. აწყურელი (დ. გამყრელიძე). ადგილობრივ სცენისმოყვარე-მსახიობთა დახმარებით მათ წარმოადგინეს: გ. სუნდუკიანის „ხათაბალა“, დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული კომედია „სადავო მფლობელობა“, ვ. აბაშიძის მიერ გადმოკეთებული კომედია „ეხლანდელი სიყვარული“, ა. ცაგარლის „ბაიყუში“ და სხვ.

1886-1887 წლების სეზონი. ჟურნალი „თეატრი“ (№ 34, 1886) იტყობინებოდა, რომ კ. მესხმა შარშან ვშვენივრად წაიყვანა დასის საქმე და უნდა იმედი ვიქონიოთ წრეულსაც ენერგიულად მოჰკიდებეს ხელს და თვეში ორჯერ-სამჯერ მაინც არ მოაკლებს ქუთაისელებს ქართული თეატრის ნახვის სიამოვნებასო. გაზეთ „ივერია-

ის“ (№-262, 1886) ცნობით, დასს უფრო ხშირ-ხშირად დაუწყია წარმოდგენების მართვა. „აქამდე ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა აქ წარმოდგენა და ახლა ყოველ კვირაა ხოლმე ქართული წარმოდგენა და ხალხიც საკმაოდ ბლომად დაიარება თეატრში“. ამგვარი ცნობები, რომ ქუთაისის თეატრის საქმე წესიერად მიმდინარეობდა, — კიდევ არაერთი გვხვდება იმდროინდელ პრესაში.

არის ცნობა გ. სუნდლუკიანის „პეპოს“ დადგმის შესახებ 1884 წლის 16 ნოემბერს (ქურნ. „თეატრი“ № 47, 1886) და აქვე იტყობინებთან, რომ „მესამე თვეა, რაც ქუთაისში ყოველ თვეში ორჯერ იმართება წარმოდგენები“.

გარდა ამისა, კიდევ არის ცნობები ორი წარმოდგენის შესახებ. სახელდობრ ა. ყაზბეგის „არსენასი“ და კ. დელავინის „კოვერლის მკვლელობისა“.

ჩვენი ვარაუდით. სეზონი ხუთ თვეს და შეიძლება უფრო მეტსაც გრძელდებოდა. დასს უნდა გაემართა არა ნაკლებ 12—15 წარმოდგენასა, მაგრამ ზემოთ ნახსენები სამი წარმოდგენის გარდა, სხვებზე ცნობებს ვერსად მივაკვლიეთ.

**დუელი.** „კოვერლის მკვლელობა“ კ. მესხს თავის საბენეფისოდ დაუდგამს. ამ ბენეფისს წინ უძღოდა ერთი საინტერესო ამბავი კ. მესხის ცხოვრებიდან, რის შესახებ მოგონება დაგვიტოვა მუსხა მეუღლემ ნ. მუსხმა, რომელიც მსახიობად მუშაობდა კოტე მესხის დასში. ოფიცერს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებია კ. მესხსათვის, მას ვერ მოუთმენია და ოფიცრისათვის ჯობი დაურტყანს. ოფიცერს კ. მესხი დუელში გამოუწვევია. „მე, რასაკვირველია, ამიტანა შიშმა, — წერს ნატო მესხი, მაგრამ კოტე მარწმუნებდა, სულელი ხომ არა ვარ დუელში გავყვე ჩემს გალახულსო. თუ ვაყვაცი იყო, მაშინვე უნდა გადაეხადა სამაგიეროო. ასე მარწმუნებდა და მეც მჯეროდა. თურმე ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობდა. კვირას კოტეს ბენეფისი იყო. შაბათს, გენერალური რეპეტიციის შემდეგ, კოტე მეუბნება ამაღამ კლუბში წავალ და იქნება დამაგვიანდეს — მე ნუ მომიცდიდა დაიძინეო. მეც დავუჯერე. ჩავუჯექი სცენაზე ჩასაცმელი კაბის კერვა და მთელ ღამეს, გათენებამდის ვკერავდი, სანამ სულ არ გავათავე... დავწექი, მაგრამ არ დამეძინა. გვერდით ოთახში ჩემს მასლს დავითს ეძინა. აუტყდა ხველა, ფრუტუნნი. მერე ადგა და ბუხარში ცეცხლს შეუკეთა და დაიწყო წინ და უკან სიარული. ეს მე არ მომეწონა და დავუძახე — დათიკო, რატომ არ გძინავს-მეთქი, ან კოტემ რატომ დაიგვიანა, კი არაფერი აუტყხოს იმ კაცმა-მეთქი. არაო, მითხრა, საცაა მოვა, მე შემეცვდა და ცეცხლი დავანთეო. თურმე დავითმა ყველაფერი იცოდა და ამიტომ



ვერს იხვეწებდა. დუელი იმ დილისათვის იყო დანიშნული საღორის ტყეში. იმ ღამეს სეკუნდანტებს კოტე დავით მიქელაძესთან წაეყვანათ და იქ ასწავლიდნენ, თურმე, დამბაჩის სროლას, რადგან არ იყო სროლას შეჩვეული. მე შიშმა ამიტანა. ამ დროს მომესმა ისმიალ მესხას ხმა, რომელიც კოტეს სეკუნდანტი იყო თურმე. ის და დავით მიქელაძე (პუბლიცისტი) მოსულიყვნენ. ახალი გათენებული იყო. მეძახდა: აბა, რძალო, ჩაი დაგვალევიწე, ქმარი მოგიყვანეთ მთელი და უვნებელი. მართალია, ხელში დაიჭრა, მაგრამ ეს არაფერიყო“.

არაჩვეულებრივი ყოფილა ამ საღამოს კ. მესხის ბენეფისი. ხალხს გაეგო დუელის ამბავი და კ. მესხს უთანაგრძნობდნენ. ნ. მესხი წერს: „წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, რალაც უფრო აღფრთოვანებული და აღტაცებული იყვნენ მსახიობებიცა და მაყურებლებიც... თეატრის ზანზარი გაჰქონდა, იმდენი ხალხი მოაწყდა. ამბობდნენ — დღეს კოტეს ორი ბენეფისია, ორნაირი გამარჯვებისაო. საჩუქრებს და ოვაციებს დასასრული არა ჰქონდა, ხალხი არ მიდიოდა, სანამ სინათლე არ ჩააქრეს. ხალხი გარეთ დაგვხვდა. კოტე ხელში აიტაცეს და ისე მიიყვანეს სახლამდე“, (კრებული, კოტე მესხი, თბ., 1953).

კ. მესხი ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობასთან ერთად თბილისსაც არ ივარწყებდა, დროგამოშვებით მონაწილეობდა თბილისის დრამატული დასის წარმოდგენებშიც. ამ სეზონში, 1886 წლის დეკემბერში მან თბილისის დასის ოთხ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა და მთავარ როლებს ასრულებდა. ეს იყო: ო. ვაკრის დრამა „უან ბოდრი“, დ. მანსფელდის დრამა-კომედია „შეშლილია“; ა. დიუმას დრამა „ედმუნდ კინი“ და ა. გრიბოედოვის კომედია „ვაიკუისაგან“.

ამ სეზონში ქუთაისს სამჯერ ეწვია ახლად დაარსებული ქართული ქორო ლ. აღნიაშვილის ხელმძღვანელობით. მუსიკალური ცხოვრება გამოაცოცხლა ფ. ქორიძემ, რომელმაც ორი კონცერტი გამართა.

ჩვენ 1887-1888 წწ. სეზონის მხოლოდ ოთხი წარმოდგენის შესახებ მოგვეპოვება ცნობები. ამ წარმოდგენებში კ. მესხი მთავარ როლებს ასრულებდა. ეს იყო ურიელი კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“, დონ სეზარ დე-ბაზანი ფ. დიუმენუას და ა. დენერის „ესპანელ აზნაურში“, ჰამლეტი და ოტელო უ. შექსპირის „ჰამლეტსა“ და „ოტელოში“ (ი. მაჩაბლის ახალი თარგმანი). ოქტომბერსა და დეკემბერში ქუთაისში ოთხი წარმოდგენა გამართა თბილისის დრამატულმა დასმა. მაისში ქუთაისს რუსული საგასტროლო დასით ლადო მესხიშვილი ესტუმრა და მთელ რიგ რუსულ წარმოდგენებში ითამაშა. 25 მაისს მან ერთი ქართული სპექტაკლი გამართა სცენის-

მოყვარეთა დახმარებით. წარმოდგენილი იყო „ჰამლეტი“ (ლ. მესხიშვილის მონაწილეობით ჰამლეტის როლში).

იმდროინდელ მუსიკალურ ცხოვრებაში საინტერესო იყო ფ. ქორიძის მიერ გაშართული ორი კონცერტი, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობა მიიღო პირველმა ქართველმა მომღერალმა ქალმა მ. ძნელაძემ (მსახიობ ე. კლდიაშვილის შვილმა).

ამრიგად, პირველი ქართველი მომღერალი ქალის აღზრდა-დაწინაურებაშიც პირველობა ქუთაისს ეკუთვნის.

„ჰამლეტი“ და „ოტელო“. ამ სეზონში კ. მესხის მიერ ჰამლეტისა და ოტელოს როლების შესრულება მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იმდენად, რამდენადაც ტრაგედიები ქართულ სცენაზე იშვიათი იყო. ამიტომ ეს ამბავი პრესის ფართო განხილვის საგნად იქცა. გაზეთმა „ივერიამ“ (№ 55, 1888, 15 მარტი) ვრცელი სტატია მიუძღვნა შექსპირის ამ ორი ტრაგედიის შესრულებას ქუთაისის სცენაზე. სტატიაში აღწერილი იყო ქუთაისის თეატრის საერთო მდგომარეობა, ის, რომ თეატრის მდგომარეობა ქუთაისში რიგაანად ვერ იყო დაყენებული, ვიდრე ამ საქმეს კ. მესხმა არ მოჰკიდა ხელი. აღნიშნული იყო კ. მესხის დამსახურება პროფესიული დასის შექმნაში. გაზეთში წერდნენ, რომ, რაც დრო მიდის, ქუთაისის თეატრის მსახიობები სულ უფრო და უფრო ოსტატდებიან და საზოგადოებაც ძალიან ეჩვევა თეატრს, გრძნობს, რომ თეატრი მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ამასთანავე მრავალ ზეღისშემშლელ პირობებსაც ეხებოდნენ, წერდნენ, რომ შენობა უვარგისი იყო, თეატრის მოწყობილობა კი ძალზე ღარიბი, მაგრამ კ. მესხი და მისი დასი ამ დაბრკოლებებს არ უშინდებოდა და „ხშირად უთამაშნიათ და რიგაანადაც იმისთანა რთული პიესები, რომელთა თამაშობა ვერც კი შეუხებდავთ თბილისის არტისტებსო“... ამ აზრის დასამტკიცებლად გაზეთი მიუთითებდა „ჰამლეტისა“ და „ოტელოს“ წარმოდგენებზე. მართლაც, აღსანიშნავია, რომ ი. მაჩაბლის ახალი თარგმანით „ჰამლეტი“ თბილისში მხოლოდ ერთხელ, წინა წელს იყო დადგმული, ხოლო ი. მაჩაბლის თარგმანი „ოტელო“, პირველად კ. მესხმა დადგა ქუთაისში. ასევე პირველად მან დადგა კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და ა. დენერისა და ფ. დიუმენუას „ესპანელი აზნაური“.

რაც შეეხება „ჰამლეტისა“ და „ოტელოს“ წარმოდგენებს — „ივერია“ წერდა, რომ კ. მესხმა სრულად ვერ დააძლია ჰამლეტის რთული როლი: „ჰამლეტში ძლიერი ბრძოლაა მაღალ და ქვენან გრძნობათა შორის, და აი ეს ბრძოლა სუსტად გამოხატა კ. მესხმა“ — წერდნენ გაზეთში. ოფელიას როლი კი ეფევა მესხს მშვენიერად შეუსრულებია.

რამდენადაც სუსტი იყო კ. მესხი „ჰამლეტში“, იმდენად კარგი იყო ოტელოს როლში — წერდნენ გაზეთში. საერთოდ „ოტელოში“ ყველას კარგად უთამაშია, ხოლო რაც შეეხება ოტელოს, კ. მესხს ასე ნიჭიერად ჯერ არაფერი წარმოუდგენიაო. გაზეთში შემდეგ დაწვრილებით იყო აღწერილი კ. მესხის განცდა ოტელოს როლში და განსაკუთრებით იყო აღნიშნული ტრაგედიის ფინალი, როდესაც ოტელო მიხვდა, რომ თვითონვე იყო თავისი ბედნიერების დამამბობელი. „ეს ძლიერი ბუნება, რომელსაც წარბი არ შეუხრია ათას ომში, სრულიად წოსწყდება და შეკქმნის ისეთს გულამოსკენილს ეჭითინს. რომ ხველა მაყურებელს აათროლოებსო“ — წერდნენ სტატიაში.

ამრიგად კ. მესხმა გაბედული ნაბიჯი გადადგა კლასიკურ რეპერტუარში და არც თუ უნაყოფოდ. უდავოა, რომ კ. მესხის სახით ქართულ თეატრს უკვე ჰყავდა ნიჭიერი და დიდად შრომისმოყვარე სცენის ოსტატი.

1888-1889 წლების სეზონის შესახებ სრული ცნობები არ მოგვიპოვება.

ცნობილია მხოლოდ ხუთი წარმოდგენა: ა. დენერის „გაძარცული ფოსტა“, ფ. დიუმენუას და ა. დენერის „ესპანელი აზნაური“, ა. დიუმას „უკანონოდ შობილი“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“ და კ. მესხის საბენეფისო წარმოდგენა, რომელზეც შესრულებული იყო „ოტელოს“ უკანასკნელი მოქმედება და ბანვილის დრამატული ქრონიკა „მეფე და პოეტი“. რაც შეეხება შემდეგ 1889-1890 წლების სათეატრო სეზონს — ცნობები სრულებით ვერ აღმოვაჩინეთ. გარკვეულია მხოლოდ, რომ მაისში თბილისის დრამატულ დასს ათი წარმოდგენა გაუმართავს.

ა. სუმბათაშვილის დეპეშა. 1890-1891 წლების სეზონში ქუთაისის თეატრში კ. მესხმა დადგა ა. სუმბათაშვილის დრამა „ბორკილი“. ამასთან დაკავშირებით, კ. მესხმა დეპეშა გაუგზავნა ა. სუმბათაშვილს, რომელშიც წერდა: „დღეს პირველად წარმოადგინეს „ბორკილი“ ქართულ სცენაზე და სამაგალითოდაც ჩაიარა. არტისტი ქალნი და კაცნი ერთად ვართ შეკრებილნი, გილოცავთ და თქვენს სადღეგრძელოს ვსვამთ. რეჟისორი კ. მესხი“. მოკლე დროში დეპეშის პასუხი მოვიდა: „აგრე დიდად, ძნელად თუ რომელსამე კარგს ამბავს გაუუბედნიერებიათ. გულითა ვმადლობ ჩემს ძვირფას ძმებს სამშობლოთიცა და ხელოვნებითაც. ვსვამ სადღეგრძელოს ჩემის სამშობლო ქართული სცენის მერმისისას, რომელიც ეხლავე მდიდარია ნიჭიერის მოღვაწეობითა. თქვენი ა. სუმბათოვი“ („ივერია“, № 269, 1890)

თეატრის ახალი შენობა. ქუთაისის დრამატული დასი წარმოდგენებს კვლავ ხარაზიშვილის მიერ აგებულ ერთადერთ სათეატრო შენობაში. ძარბავდა. ხარაზიშვილი გაკოტრდა და შენობა საჯარო ვაჭრობით გაიყიდა. ახალმა მფლობელმა ვიტუშინსკიმ შენობას არაფერი შემატა, იგი კვლავ მოუწყობელი იყო, თანაც დაძველდა.

1891 წელს ქალაქის თვითმმართველობამ ქალაქის ბაღის შუაგულში იმპერატორ ალექსანდრე მესამის მისაღებად პავილიონი ააგო. იმპერატორმა ამ შენობაში მხოლოდ რამდენიმე საათი დაჰყო. თვითმმართველობამ შემდეგ შენობის დანგრევა დააპირა, მაგრამ კ. მესხს აზრად მოუვიდა იგი თეატრად გადაეკეთებინა, დანგრევა შეაჩერებინა, იჯარით აიღო თვითმმართველობისაგან და ბანკში ნაესესხები ფულით შენობა თეატრად გადააკეთა. ვალის ნაწილ-ნაწილად გადახდას ვარაუდობდა. ამ საქმეში კ. მესხს კომპანიონად ჰყავდა თეატრის დიდი მოყვარული ნ. გამრეკელი.

შენობის გადაკეთების ამბავს დიდ ყურადღებას აქცევდა პრესა. გაზეთი „ივერია“ (№ 245, 1891) იტყობინებოდა: „ეს მშვენიერი პავილიონი მართლა რომ ღამაზე თეატრად გადაეკეთებდა და აგერ ერთი კვირაა დიდი მუშაობა აქვს კ. მესხს... მადლობას უძღვნივთ ქართული თეატრის მოყვარულნი ჯერ ქალაქის გამგეობას, რომ ეს განოუსადგვარი პავილიონი არ დაიშურა ამ კეთილის საქმისათვის, მერე კი კ. მესხს“... გაზეთი შემდეგ წერდა, შენობის გადაკეთება სამი ათასი მანეთი დაჯდაო. შედარებით მოწყობილი დარბაზი გამოვიდა, ფოიეთი, პატარა დასისათვის სცენაც მოცულობით სჯამარისა იყო. ახალი შენობა 1892 წლის 2 თებერვალს გაიხსნა. წარმოდგენალი იყო ა. წერეთლის დრამატული პოემა „თამარ ცბიერი“. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ თბილისის დრამატული დასის მსახიობები: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ალ. ნებეირიძე და ქ. ანდრონიკაშვილი. გარდა „თამარ ცბიერისა“, ამ მსახიობთა მონაწილეობით თებერვალში წარმოდგენილი იყო დ. მანსფელდის „შეშლილია“, ა. ცაგარლას „ბაყუში“, დ. ერისთავის „სამშობლო“ და „მეორედ გაყმაწვილება“, ა. სუმბათაშვილის „ბორკილი“ და სხვ.

დრამატული დასი ქუთაისში ამ სეზონში არ შემდგარა, რადგან კ. მესხი შენობის გადაკეთებას მოუხდა.

აპრილსა და მაისში ამ ახალ შენობაში წარმოდგენები გამართა თბილისის დრამატულმა დასმა მ. საფაროვა-აბაშიძის თაოსნობით. წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდა რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ ლადო მესხიშვილი. ითამაშეს: ფ. შილერის „ყაჩაღები“, ი. ლაზარაშვილის ტრაგედია „მტარვალი“, ვ. გუნიას „დაძმა“,

უ. შექსპირის „ჰამლეტი“, დენერისა და კორმონის „ორი ობოლი“ და დ. ერისთავის „სამშობლო“.

**1892-1898 წლების სეზონი.** სეზონის გახსნის წინ გაზეთ „ივერიას“ (№ 208, 1892) ქუთაისიდან ატყობინებდნენ: „აქაც იწყება ქართული თეატრის სეზონი. დასი შემდგარა კ. მესხის თაოსნობით. ახალი თეატრი კ. მესხმა და ნ. გამრეკელმა ისეთის მშვენიერის ახალის დეკორაციებით შეამკეს, რომ უკეთესი, მგონი არც თქვენა გაქვთ თბილისშიო. დეკორაციები დახატულია ცნობილ მხატვარ მილიარისაგან. დასში არიან: ქალნი — ე. მესხი, ე. ჩხეიძის, მ. მძინაროვისა (თბილისელი). დ. რჩელიშვილისა (თბილისელი) და დ. ივანიძე: კაცნი — კ. ყიფიანი, კ. მესხი, ნ. ბადრიძე, მ. ჭანოევი, ვ. ბალანჩივაძე, გ. აბაშიძე, ჯაფარიძე, ი. გაბაშვილი, მ. ბოლქვაძე, მინდელი, ვ. გაბრიჭავაძე და სხვ. პიესებიც საკმაოდ აქვს დასს“.

სეზონი გაიხსნა 11 ოქტომბერს. წარმოდგენილი იყო კ. გუცკოვის „ურჩიელ აკოსტა“. როლებს ასრულებდნენ: კ. მესხი (ურჩიელი), ე. მესხი (ივდითი), დ. ივანიძე (ესთერი), დ. მესხი (დე-სილვა).

გასულ სეზონთან შედარებით ახალ სათეატრო სეზონში წარმოდგენები გაცილებით მეტი იყო. უჩვენეს შემდეგი ორიგინალური და გადმოკეთებული პიესები: კ. მესხის მიერ გადმოკეთებული დრამა „რუსთაველი“, მისივე გადმოკეთებული ტრაგედია „ლანგ თემური“, ვ. გუნიას „და-ძმა“, დ. მესხის მიერ გადმოკეთებული „სურამის ციხე“, დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული დრამა „სამშობლო“, რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული ვოდ. „ჭერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. რუსული დრამატურგიიდან დადგმული იყო: ნ. გოგოლის „რევიზორი“ და მ. ლერმონტოვის „მასკარადი“. ჰარბად იყო რეპერტუარში უცხოური დრამატურგია: კ. გუცკოვის „ურჩიელ აკოსტა“, კ. დენერის „გაძარცული ფოსტა“ ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“. ო. ვაკრის „უან ბოდრი“, ბელლოს „დანაშაული და სასჯელი“, ო. ფელიეს „დალილა“, ფ. დიუმენუას და ა. დენერის „ესპანელი აზნაური“ და სხვ. გაზეთი „ივერია“ (№ 30, 1893, 12 თებ.) აჯამებდა რა სათეატრო სეზონის შედეგებს, სწორედ ამ გარემოებას სდებდა წუნს. აღნიშნავდა, რომ თუ თარგმანებზეა საქმე — ჯობია მოლიერის, შექსპირისა და შილერის პიესები იქნას დადგმული, ვიდრე ის, რაც ოღატრმა უჩვენაო. გაზეთის ეს შენიშვნა მართებული იყო. რადგან მელოდრამებით გატაცება, არც თუ სახიერო იყო თეატრისათვის.

გაზეთი შემდეგ აღნიშნავდა, რომ დასი ჭერ ნორჩია, რიცხვით პატარა—სამი ქალისაგან და 6—7 კაცისაგან შედგებაო, და იმედოვნებდა, რომ მომავალში უფრო ძლიერი ძალებით იქნებოდა შე-

ვსებულა. აქვე საჭიროა განვმარტოთ, რომ სწორედ ამ ნაკლის შე-  
სავსებად კ. მესხი ხშირად იწვევდა წარმოდგენებში მონაწილეო-  
ბის მისაღებად თბილისელ მსახიობებს.

**გასტროლები თბილისში.** კ. მესხი სეზონის დამთავრების შემ-  
დგეგ, თებერვლის დამლევს, თბილისს გაემგზავრა და ოთხ წარმო-  
დგენაში მიიღო მონაწილეობა. მასთან მონაწილეობდა ე. მესხიც.  
ითამაშეს პიესებში: „შეშლილია“, „მარგარიტა გოტიე“, „ლანგ თე-  
მური“ და „დალილა“.

თბილისში კ. მესხს სამსახიობო ოსტატობით კარგი სახელი  
ჰქონდა დამსახურებული, ე. მესხი კი მთავარ როლებში პირველად  
გამოვიდა თბილისელ მსახიობებელთა წინაშე. მისი თამაშიც მოი-  
წონა თბილისის საზოგადოებამ, განსაკუთრებით მარგარიტა გო-  
ტიეს დრამატულ როლში (არმან დიუვალის როლს კ. მესხი ასრუ-  
ლებდა). „ივერია“ (№ 49, 1884) წერდა „...საზოგადოდ ეფ. მესხს ბევ-  
რი ძლიერ კარგი თვისება აქვს კარგის არტისტის ქალისა: სცენისათვის  
შესაფერი და კარგი ხმა და ჩინებული, მკაფიო გამოთქმა. დიდად  
სასიხარულოა, რომ ჩვენს სცენაზე ამისთანა ნიჭის პატრონი ქალი  
გამოჩნდა დრამატულ როლებისათვის“... ხოლო გაზეთი „კვალი“  
წერდა: „...ჰემმარტად თავგანწირული და ხანგრძლივი მუშაობა  
უნდა აეტანა ამ ქალს, რომ ასეთი ხელოვანი წარმომადგენელი და  
ქართული სცენის მშვენიება გამოსულიყო“... („კვალი“ № 11, 1893).

**„ლანგ თემური“.** აღსანიშნავია, რომ იმ დროის ქართული  
პრესა მწვავედ ილაშქრებდა ფსევდოისტორიულ, ფსევდოპატრი-  
ოტული პიესების წინააღმდეგ, რომლებსაც ხშირად დგამდნენ ქარ-  
თულ სცენაზე. ილია ჭავჭავაძემ 1890 წელს გააკრიტიკა ისტორი-  
ული შინაარსის ეს ზედაპირული ნაწარმოებები. მაგალითისათვის  
აიღო ორი დრამა — ი. ლაზარაშვილის „მტარვალი“ და ა. ცაგარლის  
„ქართველი დედა“ და წერდა: „ორსავ დრამაში, რა თქმა უნდა,  
მტერნი კაცის მკამელნი არიან, ქართველების სისხლის მსმელნი,  
ყოვლის ადამიანობაზე ხელაღებულნი და ქართველები კი ყოვლის  
ადამიანობილ სრულნი. ასე ყოვლად მხეცობა მტრისა, ყოვლად სი-  
სრულ და სავსება ქართველებისა, ბევშური წადილია კაცმა თავი  
მოაწონოს მაყურებელსა. ბუნება ადამიანისა, ქართველია თუ გე-  
რმანელი, აკვარგვიანობით არის სავსე და ქვეყანაზე არ არის იმის-  
თანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი.  
ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მან-  
ძილს ვერ გაიბენს მწერლობაში თუნდაც ეგრეც არ იყოს, თვი-

თონ ცალკე თვითეულ ადამიანის ბუნების ავკარგიანობაშია. იგი მოძრაობა სულისა და გულისა, რომელიც დრამას საგნად აქვს და რომლის თვალწინ ცხოვლად წარმოდგენა ასე თუ ისე არყევს ხოლმე მათურებელს და მთელს აგებულებას შეუძრავს ან სიხარულით. ან მწუხარებით, ან სიყვარულით, ან მძულვარებით“... („ივერია“ № 268, 1890).

სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილა გაზეთმა „კვალმა“ (№ 12, 1893) „ლანგ თემურის“ წარმოდგენა, რომელშიც მთავარ როლებს თამაშობდნენ კ. მესხი (ლანგ თემური) და ე. მესხი (დედოფალი). გაზეთში ძოყვანილი იყო ცნობები ქართულ სცენაზე ისტორიული შინაარსის დრამების დადგმის შესახებ და „ლანგ თემურზე“ ეწერა, რომ იგი გარეგნულ ეფექტებზეა დამყარებული, ისევე, როგორც სხვა ანგვარი პიესები, ხოლო შინაარსით ყოვლად მიუღებელია... „გვეყოფა ამდენი ეფექტები, — ვკითხულობთ გაზეთში, — ხანჯლის ტრიალი და თოფისწამლის სუნი. დროა შევიგნოთ, რომ სცენა უნდა იყოს ნამდვილი კაცის ბუნების და მის ნაკლულოვანების. ან ღირსების გამომხატველი, რომ საზოგადოება კპოვებდეს მასში ან თავის წვრთნას, ან კეთილშობილურს გატაცებას“. ბოლოს გაზეთი მიპართავდა დრამატურგებს და თეატრს: „მოგვეციოთ, დაგვიხატეთ ხელოვნურად ჩვენნი აწინდელი ცხოვრება, ჩვენ მხოლოდ ამას ვითხოვთ ჩვენის მსახიობებისაგან, ჩვენის დრამატურგებისაგან და მხოლოდ ამას“...

**პრესა ქუთაისის თეატრის შესახებ.** თუ წინა წლებში პრესა არც თუ ისე სწირად წერდა ქუთაისის თეატრზე, მით უმეტეს მის მხატვრულ სახეზე, თანდათან გარკვეული ყურადღება მიაქცია თეატრის მუშაობის გაშუქებას. 1893 წელს „ივერიამ“ ქუთაისის თეატრს ზედიზედ სამი ვრცელი წერილი მიუძღვნა, რომელთა ავტორი კ. ბაქრაძე იყო. წერილში ქებით იყო მოხსენიებული კ. მესხი და ნ. გამრეკელი, რომლებმაც პავილიონი თეატრად გადააკეთეს („ივერია“, № 33, 1893).

თეატრის ნაკლოვანებების აღნიშვნისას, კ. ბაქრაძე მთავარ ყურადღებას მიაპყრობდა ორიგინალური ქართული თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებების სიცოტავეს. წერდა, რომ რეპერტუარში ბლომად არის ნათარგმნი პიესები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას არ ასახავსო: „ჩვენი თეატრი სინამდვილეს დაშორებულია (საკუთრად ჩვენთვის, რასაკვირველია) და ეხლანდელი ჩვენი ცხოვრების გამომხატველი არ არის. — ერთის სიტყვით, საკუთარი ფერი არა აქვს. სანამ ჩვენს თეატრს საძირკვლად ორიგინალი პიესები არ დაედება, მანამდე ნამდვილი თეატრი არ გვექნება“...

სამწუხაროდ ჩვენი დრამატურგია, იმ დროსაც და მერეც კარგა ხანს ვერ ჰქმნიდა ორიგინალური პიესების საკმაო რაოდენობას და ქუთაისის თეატრსაც ცხადია, უჭირდა მათი მოპოვება. ამიტომ იძულებულა იყო, მეტწილად ისევ თარგმნილი პიესებისათვის მიემართა.

დასასრულს კ. ბაქრაძე აღნიშნავდა: „ახეი თუ ისე, ჩვენი თეატრი ბოგინობს ქუთაისში მაინც. რამდენიმე წარმოდგენამ ისე რიგანაუ ჩაიარა აქ ამ ზამთარს, რომ მაყურებლები სრულიად დაკმაყოფილდებულნი გამოვიდნენ თეატრიდან. ყოველთვის გონიერის და შეგნებულის კაცის ვალია ხელი შეუწყოს ამ დიდ საქმეს“.

**შალვა დადიანის დებიუტი.** 1892-1893 წლების სათეატრო სეზონში ქუთაისში სამსახიობო მოღვაწეობა დაიწყო შალვა დადიანმა. თავის მოგონებაში ის წერს რომ მან ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელს კოტე მესხს მიუტანა გადმოქართულებული თავისი პიესა „სიო გმირი“, ერთ საღამოს, — წერდა შ. დადიანი, — ბულვარში კოტე მესხმა დამიძახა და მითხრა: ქუჩი, შენ კარგი პიესა გაგეკეთებია, მაგრამ სიო გმირის შემსრულებელი 15 წლის ვაჟი არა მყავს და შეიძლება შენ მოკიდო ხელიო. მე, როგორც ყველა ახალგაზრდამ, ასეთ შემთხვევაში, დავირცხვინე, დავფრთხი, უკან დავიხიე, მაგრამ კოტემ გამამხნევა: აი, ხვალ მოდი ჩემთან დილის რეპეტიციაზე და მაშინ ვნახოთო. მეც მივედი დანიშნულ დროზე და მაშინაც კი მითხრა — სიო გმირს ჯერ დავეთხოვოთ და ეს როლი მანამდე აიღე, რომ სცენას გაეჩვიოო. თან „მარგარიტა გოტიეში“ ერთი ეპიზოდური როლი გადმომცა. უნდაც ვნახათ რა სისწრაფით შევისწავლე ეს როლი, რომელიც რალაც ფურცელნახევრისაგან შედგებოდა, და მორივ რეპეტიციაზე ისე გავატარე, რომ ერთხელაც არ წავებორძაკებულვარ. როდესაც ჩემი სათქმელი გავათავე, შევიტყვე, რომ მხიარულად შემომცქეროდნენ და აი, ამ დებიუტიდან „მარგარიტა გოტიეში“, — ეს იყო 1893 წლის 3 მარტს, ფეფიკო მესხის ბენეფისზე. — ქართულ სცენას არ ჩამოვშორებია... (მოგონებაში შ. დადიანს შეცდომა აქვს დაშვებული — „მარგარიტა გოტიე“ ე. მესხის საბენეფისოდ ქუთაისის დასმა ითამაშა არა 3 მარტს, არამედ 2 თებერვალს).

**1893-1894 წლების სეზონი** გაიხსნა 12 სექტემბერს მოლიერის კომედით „სკაპენის ცულლუტობა“. ამ სეზონში გამართული წარმოდგენებიდან პრესაში ცნობები არის 10 წარმოდგენის ირგვლივ. ზოგიერთ მათგანში მონაწილეობის მისაღებად მსახიობები თბილისიდან მიუწვევიათ. მაგალითად: ლ. მესხიშვილი („და-



ძმა“ და „დამნაშავეის ოჯახი“), ვ. აბაშიძე („პარიზის ღარიბ-ღატაკნი“) და ნ. გაბუნია-ცაგარლისა („ხანუმა“).

**ნინო ჩხეიძის დებიუტი.** ამ სეზონში, სახელდობრ 1894 წლის იანვარში პირველად გამოვიდა სცენაზე მსახიობი ქალი ნ. ჩხეიძე. მოგვყავს მისი მოგონება ამ პირველი ნაბიჯების შესახებ: „...ლადო მესხიშვილის ბენეფისი იყო დანიშნული. დგამდნენ ჯიაკომეტის „დამნაშავეის ოჯახს“ ლადოს უნდა ეთამაშა კორაღოს მთავარი როლი. ჩემი და უნდა გამოსულიყო პატარა ქალის, ემას როლში. ჩემი და ავად გახდა პლევრითით. როლის შემსრულებელი ადარაჲინ იყო და კოტე ძესხი ამ გარემოებამ ძალიან ჩააფიქრა. ერთ მშვენიერ დღეს კოტეს მეუღლე ნატო მოვიდა ჩვენთან და დედაჩემს ეუბნებოდა: ევგენია, ემას როლის ამსრულებელი არაჲინა გვყავს, მოდი შენი ნუცა ვათამაშოთ, მე მგონია შესძლებს თამაშს. დედაჩემს სასაცილოდ არ ეყო ეს ამბავი. კოტეც ძალიან ექვის თვალით უყურებდა ამას, მაგრამ ნატომ თავისი გაიტანა და მეც რეპეტიციასზე წაჲყვანეს როლი ჩავაბუღებულე (უკვე ზეპირად ვიცოდო). რა თქმა უნდა, ჩაბუღებულედა კოტეს არ მოეწონა და თვითეული სიტყვა — თვითეული ნაბიჯი მასწავლა... მალე მესხიშვილიც ჩამოვიდა. დადგა წარმოდგენის დღე. თითქოს გუშინდელი ამბავია, ისე მახსოვს ყველაფერი. დელავდა ქუთაისის საზოგადოება მესხიშვილის ბენეფისის მოლოდინის გამო. შიშით კანკალებდა პატარა გოგო, მისი დედა და და. მე მგონია, არა ნაკლებ დელავდნენ ბენეფიციანტი და რეჲისორი — პატარა გოგომ არ შეგვარცხვინოსო. კაბა ეფემია მესხმა თავისი კანისაგან გადამიკეთა, გრიმიც თვითონ გამიკეთა და მითხრა: აბა, ახლა, სანამ ფარდა ჩამოშვებუღია, სცენა დაათვალიერე და შეეჩვიეო. გავედი სცენაზე, მაგრამ შენს მტერს მე მდგომარეობაში ჩავვარდი: მთელი ტანით აკვანკალდი, კრიჭა შემეკრა, შოშინსავით ვცდილობდი პირი გამეღო, რომ ერთი სიტყვა მაინც გამომეტქვა. თავხარი დამეცა, ვიფიქრე, ვერაფერს ველარ ვიტყვი და რა მეშველება მეთქი. მაგრამ აიხადა ფარდა, ჩემი გაშოსვლის დროც მოვადა და თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოჲხსნეს ზურგიდან: რამბა, შავი უფსკრული და ავლაპარაკი... როგორ ვითამაშე არ ვიცი, მაგრამ ახალგაზრდობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მზურვალე ტაში მივიღე. ეს საკმარისი იყო, რომ ბავშვურ სიამაყეს გაედვიძა კულისები სავესე იყო მოსწავლემ-ახალგაზრდობით. მაშინხომ იშვიათად უშვებდნენ მოწაფეებს თეატრში. და აი, მთელი მერვე კლასი გამოპარულიყო თეატრში. მოაგროვეს თითო შაურობით და პატარა ცხვირაწეულ გოგოს კამფეტი მომიტანეს. ამას დაერთო კიდევ უფრო დიდი ბედნიერება: მესხიშვილმა და კოტე მესხმა თავზე ხელი გადამისვეს, მომიალერსეს და ჩემი ბედიც

გადაწყდა — ამერიკიან თეატრს ველარავინ მოჰაშორა“ (ნ. ჩხეიძე, მოგონებანი, თბ., 1956).

**კოტე მარჯანიშვილის დებიუტი.** აქვე ნ. ჩხეიძე იგონებს კოტე მარჯანიშვილის პირველ გამოსვლას სცენაზე 1894 წლის 30 იანვარს: „შემდეგი წარმოდგენაა ა. დიუმას „კოდვის შვილი“, ვთამაშობ ისევ პატარა ქალს, ადას. მახსოვს ერთი მიზანსცენა, ეფემია მესხს ვყავდი გულში ჩაკრული და რალაცას ვუამბობდი. ერთი ფრაზა შემეშალა, იქვე სცენაზე წავულაპარაკე, ვაიმე, ასე არ უნდა მეთქვა-მეთქი, და იქვე გავასწორე. ფეფიკომ და სცენაზე მყოფმა კოტე მარჯანიშვილმა ძლივს შეიკავეს სიცილი. ამ შეცდომის გამო ბევრი ცრემლი დავღვარე კულისებში. ეფემია მესხი კი მამშივლებდა, ნუ სწუხარ, შეცდომები ჩვენც ხშირად მოგვდისო. ეს პიესა უფრო რიტომ მოვიგონე, რომ, სხვათა შორის, მაშინ პირველად ითამაშა კოტე; მარჯანიშვილმა, ის ახლო ნათესავი იყო კოტე მესხისა, ბიძაშვილები და მოგვარე ნათესავები ქუთაისში ჰყავდა, ჩამოვიდა მათთან ქუთაისში და პირველად აქ დაიწყო მუშაობა, როგორც მსახიობმა. ძალიან მოხდენილი ახალგაზრდა იყო“... კოტე მარჯანიშვილი დასში სეზონის დახურვამდე მუშაობდა. შემდეგი სეზონის დასში იყო გამოცხადებული „კ. ყვარელის“ ფსევდონიმით, მაგრამ მუშაობა არ დასცალდა.

უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს კ. მესხს ის გარემოება, რომ სასცენო შემოქმედების გზა დაულოცა და პირველი ნაბიჯები გადაადგმევინა ქართული სასცენო ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს შ. დადიანს, ნ. ჩხეიძეს და კ. მარჯანიშვილს.

**ხანძარი და დასის დაშლა.** როგორც იქნა კ. მესხმა საქმე საქმეზე მიიყვანა, წარმოდგენებს რეგულარული ხასიათი მისცა, დასიც, ასე თუ ისე, გაწვრთნა და დაახელოვნა, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ ყველა მისი ნამოღვაწარი, რომ იტყვიან, ქარს გაატანა. 1894 წლის სექტემბერში კ. მესხი შეუდგა ახალი სეზონისათვის მზადებას. დასში ჩარიცხული იყვნენ: ე. მესხი, ნ. მესხი ნ. მძინაროვისა, ნ. ჩხეიძე, თვალაძისა (სახელი უცნობია), ნ. ბაღრიძე, დ. მესხი, ა. ნებიერიძე, ა. თამაზიშვილი, კ. ყვარელი და სხვ. ნავარაუდები იყო ნ. გაბუნიანი-ცაგარელი, ვ. აბაშიძე და ვ. გუნია საგასტროლოდ მოეწვიათ.

სეზონის გასახსნელად დასი ამზადებდა გ. სუნდუქიანის „პეპოს“ და წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან მოწვეული იყო სომხური თეატრის მსახიობი პ. არაქსიანი.

12 ოქტომბერს, გენერალური რეპეტიციის შემდეგ, შენობაში ცეცხლი გაჩნდა, უცებ მოედო ხის შენობას და 15—20 წუთში იგი სრულებით გაანადგურა. დაიწვა თეატრის მთელი ქონებაც, ვერა-

ფრის გამოტანა ვერ მოასწრეს. ეს იყო დიდი უბედურება ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში.

თეატრის აღსადგენად კ. მესხმა გაზეთის საშუალებით დახმარებისათვის ქართულ საზოგადოებას მიმართა, დაარსდა „ქუთაისის თეატრის აღმადგენელი კომიტეტი“, მაგრამ მიმართებმა ნაყოფი ვერ გამოიღო. შემოწირულობის სახით „ივერიაში“ სულ რაღაც სამი მანეთი შემოვიდა.

კოტე მესხი — მსახიობი და რეჟისორი. ქუთაისის პროფესიული თეატრის არსებობის მთელ მანძილზე 80-90-იან წლებში, პრესაში ძუნწად გვხვდება ცნობები ამა თუ იმ მსახიობის მხატვრულ უნარზე და როლის შესრულების ხარისხზე. შემორჩენილია მხოლოდ თითო-ორი მოკლე შეფასება, საიდანაც ძნელი გასარკვევია, თუ რას წარმოადგენდა აქტიორული ოსტატობის თვალსაზრისით ესა თუ ის მსახიობი. რაც შეეხება კოტე მესხს, — მის აქტიორულ შემოქმედებაზე არაერთი ცნობა არსებობს. ამ ცნობებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ვ. გუნიას აზრი.

ქართული თეატრის დიდად ნიჭიერმა და განათლებულმა მსახიობმა ვ. გუნიამ 1889 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ქართული თეატრი 1879-1889 წ.“, რომელშიც შეაჯამა თბილისის ქართული თეატრის მოღვაწეობა ათი წლის მანძილზე. წიგნში გამოთქმულია საინტერესო შეხედვლებები ამა თუ იმ მსახიობის შემოქმედებითი წონის შესახებ.

ვ. გუნიას კ. მესხი ქართული თეატრის მსახიობთა პირველ რიგში ჰყავს მოხსენიებული ვ. აბაშიძის და კ. ყიფიანის შემდეგ (ლ. მესხიშვილი იმ დროს რუსეთში მოღვაწეობდა და ვ. გუნიას იგი მხედველობაში არ მიუღია). ის წერს: „კოტე მესხი შედარებით ვასო აბაშიძესთან და კოტე ყიფიანთან ნიჭით უფრო დაბლა სდგას, მაგრამ სხვაფრივ ბევრში არ ჩამორჩება იმათ. კ. მესხზე უცოდველად ითქმის, რომ მას სცენა მშობელი დედასავით უყვარს, თუმცა ნიჭის სიძუნწე ხშირად დედინაცვლურად ექცევა, მაგრამ დაულაღავეის შრომით და ჯაფით კ. მესხმა იმდენი იმოქმედა, რომ დღეს იმას თავის როლებში მოცილე არავინ არა ჰყავს... კ. მესხმა დაამტკიცა, რა საოცარი ნაყოფის მოტანა შეუძლიან შრომას. კ. მესხი ხელოვნურად ასრულებს ძრიელ დრამატიულ როლებს: ჰამლეტს, ოტელოს, ურიელ აკოსტას და სხვ. საუცხოოდ თამაშობს აგრეთვე ზოგიერთ კომიკურს სახასიათო როლებს, მეტადრე სულელს, გულუბრყვილოს და სხვას... კ. მესხს სცენისათვის არც გარეგნობა უწყობდა ზელს, არც სახე და განსაკუთრებით ხმა, მაგრამ მაინც ზოგერთ როლებში ის შეუდარებელია. მისი საპატიო ღირსება მდგომარეობს როლის საოცარ შესწავლაში და ღასაათის შეგნებაში, დიდ

ჯან-გამწყვეტ შრომაში და მეცადინეობაში. კ. მესხს იშვიათად სკირდება სუფლიორი, ისეთი ცოდნა როლისა ჩვენ მოთამაშებებში მარტო მ. საფაროვ-აბაშიძისამ თუ იცის, თორემ სხვამ არაინ. მესხი გონიერი კაცია და მაყურებელი ამას აშკარად გრძნობს და ხედავს ყოველს მის სიტყვაში და ნაბიჯში სცენაზედ... მესხი უფრო მაყურებლის, გონებაზე მოქმედებს, ვიდრე გრძნობასა და გულზე. ამაშია ჩვენი სწორით მესხის ძლიერება და უძლურებაც. მესხს აქლია ის თვისება, რომელსაც მდაბიურად ეძახიან გრძნობის სინარწარეს, გულის სიჩვილეს, ხასიათის სირბილეს. მესხს არ უვარგა ხმა, რომელიც თავი და უმთავრესი იარაღია ძლიერის ზეგავლენისათვის მაყურებელზე — სამაგიეროდ საუცხოვოა მესხის გარეგანი თამაშობა, მიხრა-მოხრა, თავის დაქერა და საზოგადოდ თავისუფლება სცენაზე: თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ ყველაფერი ესენი მეტად ერთგვაროვანი აქვს ყველა როლებისათვის“.

კ. მესხი ამავე დროს რეჟისორიცა და თეატრის ორგანიზატორიც იყო. ცხრა წლის განმავლობაში რაც ქუთაისში თეატრი არსებობდა, — მხოლოდ და მხოლოდ კოტე მესხის ორგანიზატორული და რეჟისორული უნარის წყალობით. მისი ძმა დ. მესხი მოგონებაში (თბ., 1940) ასე აგვიწერს კ. მესხის რეჟისორობას: „...დიდი სასტიკი და მკაცრი იყო კოტე როგორც რეჟისორი, ცხოვრებაში მხიარული, თითქმის უღარდელი კაცი, როცა რეჟისორობდა, მუდამ მრისხანე, წარბშეკრული იყო, თითქოს ქვეყნის დარდი მას აწვა. იცოდა ყვირილი, ჩიჩინი, ხშირად მაგარი სიტყვებითაც. ჭერ ახლაც მოიძვირებს ქართველ მსახიობთა შორის რიგიანი დიქციისა და მართებული პლასტიკის მქონე, სცენაზე უნაკლოდ თავის დამჭერი, და კოტე მესხის რეჟისორობის პირველ ხანებში, ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა ყოფილიყო. სად აუშაღლოს და დაუწიოს ხმას, სად დადგეს, როგორ გაიაროს, სად დაჯდეს, — ეესტებს ნულა იკითხავთ, — ამას ყველაფერს ჩვენება უნდოდა... „კაცო, როგორ დაბაჯბაჯებ, ადამიანურად გაიარე!“ ყვიროდა კოტე. ბევრი ადამიანურადაც არ ლაპარაკობდა, ზოგი მამაოჩვენოსავით აბულბულებდა როლს. ზოგიც სიმღერის ჰანგზე უქცევდა. ხშირად იატაკზე ცარცით შემოუფარგლავდა მსახიობს დასადგომ თუ გასასვლელ ადგილს... ეს ცხადია, ნების შებორკვა იყო მსახიობისა, მაგრამ იმ დროს უამისობა არ ივარგებდა, კოტე ცხარობდა და ცხარე სიტყვები ეხარჯებოდა... უნდა გატეხილი ვთქვა, დიდად ყურმახვილი და უნარიანი ჩვენ შორის ცოტა გახლდათ და კოტეს სიმკაცრეც უსაბუთო არ იყო“...

საპიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობები ამ

მოგონების ავტორისა და მესხზეც, ქუთაისის თეატრის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეზე.

დავით სიმონის ძე მესხი. დაიბადა ქუთაისში 1860 წლის 26 იანვარს. სწავლა ქუთაისში მიიღო. თეატრალურ მოღვაწეობაში 1879 წელს ჩაება და შემდეგ განუწყვეტლივ მოღვაწეობდა ქუთაისის სცენაზე. იყო მსახიობი, აგრეთვე, სუფლიორი. 1894 წელს მესხის დასის დაშლის შემდეგაც დროგამოშვებით მონაწილეობდა ქუთაისის დასის წარმოდგენებში, მუდმივად თანამშრომლობდა ქუთაისისა და თბილისის გაზეთებში, აქვეყნებდა სტატიებს, პატარა ფელეტონებს, იმერულ სცენებს, თარგმნა მთელი რიგი პიესები. მესხმა რამდენიმე ორიგინალური დრამატული ნაწარმოებიც შექმნა, რომელთა შორის დიდად პოპულარული იყო ხუმრობა „ოთხი იმერელი“. იგი შესანიშნავად ასრულებდა იმერულ სცენებს. გარდაიცვალა 1942 წელს.

საერთოდ მესხების ოჯახიდან, გარდა ეფემიასი და დავითისა, კოტეს სხვა და-ძმებიც დროგამოშვებით მუშაობდნენ ქუთაისის სცენაზე. დასში იყო ერთ დროს კოტეს და ანაც, აგრეთვე, ძმები ნესტორი და კონსტანტინე. დასში მუშაობდა, აგრეთვე, კოტეს მეუღლე ნატო მესხი. ეს ნათესაური კავშირი დასის წევრებისა ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად.

**იმდროინდელი ქუთაისი.** რას წარმოადგენდა იმ პერიოდში ქალაქი ქუთაისი?

ქუთაისი იყო საგუბერნიო ქალაქი. ამ გუბერნიაში შედიოდა იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. თვით ქალაქ ქუთაისში 1896 წელს მცხოვრებთა რიცხვი 26 ათას კაცს შეადგენდა. აქედან 16 ათასი ქართველი იყო, ხოლო 10 ათასი — რუსი, სომეხი და სხვა ეროვნების (თბილისში ამ დროს 160 ათასი მცხოვრებელი იყო). ამ დროისათვის ქუთაისში იყო 1 თეატრი, 1 ბიბლიოთეკა, 4 წიგნის მაღაზია, 4 სტამბა, 12 ეკლესია, აუარებელი სამიკიტნოები და სხვადასხვა საქონლის სავაჭროები. არსებობდა ვაჟთა გიმნაზია, ქალთა პროგიმნაზია, ვაჟთა სათავადაზნაურო სკოლა, ვაჟთა საოსტატო-სემინარია, ვაჟთა საქალაქო სასწავლებელი, წმინდა ნინოს ეპარქიალური ქალთა სასწავლებელი, მევენახეობისა და მებაღეობის სკოლა. გამოდიოდა რუსული გაზეთი „ქუთაისის უწყებები“ (კვირაში სამჯერ). არსებობდა ქალაქის თვითმმართველობა. 1890 წელს ქალაქის შემოსავალი უდრიდა 105 ათას მანეთს, გასავალი 116 ათას მანეთს. ქალაქში არავითარი მნიშვნელოვანი წარმოება არ არსებობდა, გარდა ერთი ღვინის ქარხნისა. მთელ გუბერნიაში 1893 წელს იყო 422 წარმოება 4169 მუშით (ჭიათუ-

რის შავი ქვის წარმოებაც ამ რიცხვში შედიოდა). მეტი წილი ამ წარმოებების ღვინის ქარხნები იყო. ყველა ეს საწარმო წელიწადში ქმნიდა 7 623 000 მანეთის ღირებულების საქონელს.

როგორც ვხედავთ, ქალაქი პატარა იყო და ამიტომ თეატრის საარსებო პირობები მეტად არახელსაყრელი გახლდათ.

მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა. თეატრის აქტიური მაცურებლები მხოლოდ რამოდენიმე ასეული ჰოსამსახურე, თავადაზნაურობა, ვაჭარ-ხელოსნებისა და ნოქრების მცირედი ნაწილი და მოწაფეები იყვნენ.

ასეთი პირობებში კოტე მესხის მართლაც დიდ ვაჟკაცობად უნდა ჩაითვალოს, რომ ცხრა წლის განმავლობაში თაოსნობდა ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებას. მართალია მსახიობები არ იყვნენ მაღალპროფესიული დონის, თეატრის რეპერტუარიც მეტწილად შემთხვევითი ხასიათის იყო, მაგრამ მაინც თეატრი ერქვა. მართალია ამ თეატრს ბოლო მოეღო ხანძრის გამო, მაგრამ თეატრის არსებობამ მაინც თავისი დალი დაასვა ქუთაისს. საბოლოოდ განმტკიცდა აზრი, რომ ქუთაისში უნდა ეარსება პროფესიულ თეატრს.

### III. მუშათა მოძრაობის აღმავლობისა და 1905 წლის რევოლუციის პერიოდი

**პოლიტიკური ვითარება.** რუსეთში ოთხმოცდაათიან წლებში კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ და ამის შედეგად წარმოშობილმა სამრეწველო კრიზისმა გაზარდა და გააძლიერა მუშათა მოძრაობა.

საქართველოში აღმოცენდა მარქსისტული წრეები და მარქსიზმი გავრცელდა როგორც რუსეთის მუშათა მოძრაობის განუყრელი ნაწილი.

ცხრაასიანი წლების დამდეგს რუსეთში მუშათა გაფიცვები და პოლიტიკური დემონსტრაციები დაიწყო, რაც შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა და მუშათა მოძრაობის ისტორიაში შევიდა 1905 წლის რუსეთის პირველი რევოლუციის სახელით.

ამ ისტორიული გარდატეხის წლებში გარკვეული გავლენა მოახდინეს საერთოდ ქართული კულტურის და კერძოდ ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე.

საზოგადოების კლასობრივმა დიფერენციაციამ და მშრომელთა მასების შეგნების ზრდამ სახალხო თეატრის შექმნის საკითხი დააყენა. ამ თეატრს, რომელიც მეტწილად საზოგადოების შეძლებულ ფენებს ემსახურებოდა, უნდა გამოეხატა მშრომელი მასების ინტერესები, თავისი ასპარეზი უნდა გაეფართოებინა სახალხო წარმოდგენების გამართვით. ეს საკითხები ოთხმოცდაათიანი წლების ქართული დრამატული საზოგადოების წლიურ კრებაზე განიხილეს; კრებაზე მ. ნასიძემ მოითხოვა, რომ დრამატული საზოგადოების გამგეობას, რომელიც თბილისის დრამატულ თეატრს ხელმძღვანელობდა, ზომები მიეღო ამ თეატრის გარდაქმნის შესახებ. „ურიგოს არ ვიზამთ, რომ ქართულ წარმოდგენებს შევუცვალოთ აწინდელი ელფერი და სახალხო ხასიათი მივცეთ, — განაცხადა მ. ნასიძემ, — აი ჩემის ფიქრით კეშმარიტი გზა ქართული თეატრის პროგრესისა და მისი დანიშნულება“. ზოგიერთმა მხარი დაუჭირა ნასიძეს, მაგრამ საზოგადოების მესვეურებმა უარყვეს ეს წინადა-

დება. გასაგებიც იყო — დრამატული საზოგადოების წევრების უმეტესი ნაწილი თავადაზნაურული და ბურჟუაზიული წრეებიდან იყვნენ და მათ, არაფრად ეჭაშნიკებოდათ თეატრის გახალსურება. თეატრი მათ სჭირდებოდათ, როგორც ვასართობი და არა როგორც სოციალური ბრძოლის მქადაგებელი ორგანიზაცია. საერთოდ თბილისის დრამატული თეატრი ამ მხრივ მეტად არახელსაყრელ გარემოებაში იყო. მას ფულად დახმარებას თბილისის სათავადაზნაურო ბანკი აძლევდა, თეატრის შენობაც, ასევე თავადაზნაურობის ქონებას შეადგენდა და, ცხადია, ასეთ პირობებში თეატრის მუშაობაში რაიმე სიასლის შეტანა თავადაზნაურობის გარეშე შეუძლებელი იყო.

ქუთაისის თეატრი კი თავისუფალი იყო გაბატონებული საზოგადოებრივი ფენების გავლენისაგან და ამიტომ სოციალური ბრძოლის აღმავლობის ამ პერიოდში მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში.

თეატრს თითქმის ათი წელი სათავეში ედგა ნიჭიერი მსახიობი ლ. მესხიწვილი. სწორედ მან წარმართა თეატრი რევოლუციური ბრძოლის გზით.

მაგრამ ვიდრე ამ ბრძოლებზე ვილაპარაკებდეთ, დავუბრუნდეთ ქუთაისის თეატრის იმ პერიოდს, როდესაც ფერფლად იქცა წვითა და დაგვიო შექმნილი თეატრის შენობა და კ. მესხი თბილისში გადმოსახლდა.

**1894-1897 წლების სეზონი.** მართალია კ. მესხმა დატოვა ქუთაისი, მაგრამ მის მიერ გამოზრდილმა პატარა დასმა ფარ-ხმალი არ დაყარა. შედგა მსახიობთა ამხანაგობა, რომელსაც სათავეში ვ. ბალანჩივაძე ჩაუდგა. ამხანაგობაში შევიდნენ: დ. ივანიძე, ე. ჩხეიძე, ნ. ჩხეიძე, მ. ბოლქვაძე, შ. დადიანი, გ. თუთბერიძე, მ. მარჯანიშვილი (სუფლიორი), ივ. ოდილავაძე, აკ. ქურციკიძე, მ. ჯანოევი. შემდეგ მათ მიემატათ დ. ჩარკვიანი, ვ. გორგაძე და სხვ.

ამხანაგობის წარმოდგენები ისევ ხარაზიშვილისეული თეატრის შენობაში იმართებოდა. შენობა უკვე ძალიან დაძველებული იყო. ვასო ბალანჩივაძე თავის მოგონებაში (ს. გერსამია, ქუთაისის თეატრი, 1947) წერს: „მართალია, ამხანაგობა შედგა, მაგრამ?! მეტი გზა არ იყო, გადავწყვიტეთ ისევ ხარაზიშვილისეულ მინგრეულ თეატრში გვეთამაშნა, რომელიც ქალაქის თვითმმართველობას ჰქონდა დარჩენილი და ებარა ვინმე ხმოსანს ვაჰარს ივ. გველესიანს. მივმართეთ მას და დაგვითმო. უნდა გადაგვეხადნა ღამეში 15 მანეთი. სცენაზე არავითარი მოწყობილობა არ იყო, გარდა ერთი დეკორაციისა (ოთახის) და წინა ფარდისა. შეერთებული ძალით მაინც შევძელით თეატრის მიწმენდ-მოწმენდა. წარმოდგენე-



ბის დროს ოჯახებიდან მოგვექონდა სცენისათვის საჭირო მოწყობა-  
ლობა“. ვ. ბალანჩივაძე შემდეგ წერს, რომ წარმოდგენა კვირაში  
ერთხელ იმართებოდა, იაფფასიანი, რათა ხელმოკლე მოსახლეო-  
ბა დასწრებოდა (ნოქრები, ხელოსნები, მოწაფეები).

ამხანაგობის პირველი წარმოდგენა — „მზის დაბნელება საქარ-  
თველოში“ — გაიმართა 1895 წლის 21 იანვარს.

ვ. ბალანჩივაძე თავის მოგონებაში წერს, რომ წარმოდგენებს  
ყოველ კვირას ვმართავდითო. მაგრამ სამწუხაროდ პრესაში და სა-  
არქივო მასალებში ცნობები მხოლოდ ხუთი წარმოდგენის შესახებ-  
ბაა შემორჩენილი. გარდა „მზის დაბნელებისა“ ამხანაგობას უთა-  
მაშია დ. დიაჩენკოს დრამა „მგოსანი“ (ეს ყოფილა მეოთხე წარმოდ-  
გენა ვ. ბალანჩივაძის საბენეფისოდ), ა. ცაგარლის „მშვენიერი  
ელენეს მამებარნი“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილ-  
ნი“, ა. დიუმას „ცოდვის შვილი“.

წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან მოუწ-  
ვევით მ. მძინარიშვილისა, ლადო მესხიშვილი (ორჯერ), კ. შათი-  
რიშვილი. მესხიშვილს „უდანაშაულოდ დასჯილნი“ შეუსრულებია  
ნეზნამოვის როლი.

იენისში ქუთაისის, ჩვეულებრივ, ეწვია თბილისის დრამატული  
დასის მსახიობთა ჯგუფი (მათ შორის იყო კ. მარჯანიშვილიც), წარ-  
მოდგინეს დ. ერისთავის „სამშობლო“, ბომარშეს „სევილიელი და-  
ლაქი“ და სხვ.

ლადო მესხიშვილი ამხანაგობამ მარტო წარმოდგენებში მონა-  
წილეობის მისაღებად როდი მოიწვია. უნდოდათ, რომ ლ. მესხი-  
შვილი საერთოდ დაახლოვებოდა ქუთაისის თეატრს. ამხანაგობა ხე-  
დავდა, რომ ადგილობრივი ძალებით თეატრის არსებობა ძნელი  
იყო და აუცილებელი შეიქნა გამოცდილი მსახიობი-რეჟისორის მო-  
წვევა. სასურველ კანდიდატად კი ლადო მესხიშვილი მიაჩნდა. და-  
იწყო მოლაპარაკება და ლ. მესხიშვილი დაითანხმეს სათავეში ჩას-  
დგომოდა ქუთაისის დასს, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქალაქის თვით-  
მმართველობა თეატრის შენობას რიგიანად შეაკეთებდა და მოაწ-  
ყობდა.

თეატრის შენობა. ქალაქის თვითმმართველობამ როდესაც გაი-  
გო, რომ მესხიშვილი ქუთაისში გადმოვიდოდა, მოახერხა 6500 მა-  
ნეთის გაღება თეატრის საჭიროებისათვის. თანხის უკმარისობის გა-  
მა შენობის რეკონსტრუქცია არ მოხერხდა — მხოლოდ ნაწილობ-  
რივ შეალამაზეს, დარბაზი დარბაზს დაემსგავსა, მოწესრიგდა სცენა,  
დაიხატა სტანდარტული დეკორაციების მთელი კომპლექტი, რო-

მელიც ყველა პიესისათვის გამოდგებოდა (საერთოდ, იმდროინდელ თეატრებში უნიფიცირებული დეკორაციები იხმარებოდა და საგანგებოდ იშვიათად თუ ხატავდნენ დეკორაციებს რომელიმე ახალი წარმოდგენისათვის).

დეკორაციები დაამზადეს და დახატეს იმ ხანებში ცნობილმა დეკორატორებმა, მამა-შვილმა მილიარებმა. მსახიობ ი. ზარდალიშვილს თავის მოგონებაში მოყვანილი აქვს ამ დეკორაციების სრული სია: 1. წინა ფარდა, 2. დარბაზი და მდიდრული კოლონადა, 3. მდიდრული პავილიონი, 4. დარბაზი, 5. ქართული ოთახი, 6. რუსული ოთახი, 7. ფლამანდური ოთახი, 8. უკრაინული ოთახი, 9. ღარიბული ოთახი, 10. საპყრობილე, 11. ევროპული ქუჩა, 12. აზიური ქუჩა, 13. ზაფხულის ტყე, 14. ზამთრის ტყე, 15. ბაღი, 16. მთები და ჩანჩქერები, 17. ზღვა, 18. მისადგომები, 19. აივანი, 20. ფანჯატური, 21. ოთხი ქანდაკება, 22. ოთხი ბუჩქი, 23. ორი დიდი ხე, 24. ორი მთა, 25. ნაპირი, 26. ექვსი კარი, 27. ექვსი ხატი, 28. ღობე, 29. ექვსი კულისის ფარდა, 30. სამი სოფიტი, 31. ოთხი საკულისო ქუჩა, 32. ორი კულისის სოფიტი, 33. ოთხი კულისის ტყე, 34. სამი უკანა დეკორაცია (საქუსარი), 35. ბუხარი, 36. ბიბლიოთეკა, 37. ნავი, 38. სარკე. 39. ექვსი ნაძვი.

შენობა ამის შემდეგ ქალაქის თეატრი დაერქვა. დადგენილ იქნა შენობის ექსპლოატაციის წესები. დრამატულ დასს შენობის ქირა უნდა გადაეხადა — თითო გამართულ წარმოდგენაში 35 მან. ქალაქის თვითმმართველობამ ხმოსანთავან გამოჰყო ეგრეთ წოდებული „გამგე-კომისია“, რომლის წევრები მორიგეობით ესწრებოდნენ წარმოდგენებს და განაგებდნენ ადმინისტრაციულ საქმეებს. კომისიის წევრები იყვნენ: ი. ჩიმაკაძე, მ. ქიქოძე, ვ. ჭელიძე, ივ. აურადაშვილი, კ. გოცირიძე და სხვ.

1895-1896 წლების სათეატრო სეზონში დასი ქუთაისში არ შემდგარა, რადგან შენობის შეკეთება მიმდინარეობდა.

ახლად შეკეთებული თეატრი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1896 წლის 31 მარტს. თბილისის დრამატული დასის მსახიობების ვ. აბაშიძის, კ. მესხისა, ვ. გუნიას და სხვ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული კომედია „პირველი ბუზი“. თეატრის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო დადიანმა (შალვა დადიანის მამამ). მან თქვა: „...განახლებულს საერო სცენასთან და მის მოღვაწეებთან, ხალხმა ახალი ცოცხალი კავშირი უნდა გააბას და ერთმანეთს გადაჭვეული მხარდაღზარ უნდა წარემართონ, რადგან ნათქვამია და მეც აღრევე მიიქვამა, რომ სცენა იგივე სკოლაა, უფრო რთული, უფრო ხო-

რცეელი, ჩვენი ზნეობისა და გზის მაჩვენებელი, ღონის მომცემი საზოგადო ჰაზრისა“...

თბილისის დრამატული დასის მსახიობებმა თეატრის გახსნის შემდეგ კიდევ გამართეს წარმოდგენები: დენერისა და კორმონის მელოდრამა „ორი ობოლი“, სარდუსა და მოროს კომედია „მადამ სანჟენი“, ა. დიუმას დრამა „მარგარიტა გოტიე“ და ა. ცაგარლის „ხანუმა“.

ლადო მესხიშვილი და ქართული დრამატული საზოგადოება. ნაჭიერი მსახიობი ლადო მესხიშვილი 1893 წელს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, თბილისის დრამატული საზოგადოების დასს ხელმძღვანელობდა. რუსეთში რან საკმაო სამსახიობო და სარეჟისორო გამოცდილება მიიღო და შეეცადა ეს ყოველივე თბილისის სცენაზე გამოეყენებინა. მართლაც, მესხიშვილმა საგრძნობლად გააუმჯობესა თეატრის მხატვრული ხარისხი. ეს აღიარა მაყურებელმა და პრესამ სეზონის უკანასკნელი წარმოდგენის შემდეგ 1896 წელს. „საზოგადოება ხანგრძლივის აღტაცებულის ტაშისცემით გამოეახოვა მთელ დასს. განსაკუთრებით მადლობა გამოუცხადა ბატონ რეჟისორს. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მთელი ნახევარი საათი არ შეწყვეტილა ტაშისცემა და „ვაშას“ ძახილი. სცენა მთლად ქუდებიო მოიფინა, რომელსაც უგდებდნენ არტისტებს, ნიშნად პატივისცემისა“... ამასვე ადასტურებდა გაზეთი „კვალი“ (№3, 1896) და უნატებდა: „ასეთი არაჩვეულებრივი მადლობა და თანაგრძნობა სწორედ საყურადღებოა და ჩვენი სცენის მეთვალყურესაც ავალებს აღნიშნოს ეს გაზეთის ფურცლებზე. შესანიშნავია წარსული სეზონი იმითაც, რომ ჩვეულებრივად დეფიციტით არ დაბოლოებულა“. გაზეთი შემდეგ წერდა, თუ რამ მოუპოვა თეატრს საზოგადოების ასეთი თანაგრძნობა: „...უპირველეს ყოვლისა, წარსულ სეზონს თუ თვალს გადავავლებთ, ჩვენს ყურადღებას მიიქცევს რებერტუარის გაუმჯობესება. წარმოდგენილი პიესების სიაში, რაც უნდა გულმოდგინედ ეძებოთ, თქვენ ვერ ჰპოვებთ იმისთანას, რომელსაც ჩვენი სცენის შეუფერებელი ხასიათი ჰქონდეს. შეუსაბამო და უწმაწური შინაარსის პიესებს, რომლით თეატრი ასე მდიდარი იყო, წრეულს სრულებით არ ჰქონდა ადგილი დათმობილი“...

შედეგები დამატებითი დასაბუთებით იყო, თუმცა თვით ლ. მესხიშვილი არ იყო მაინცდამაინც კმაყოფილი. ის ხედავდა, რომ მთელი სისრულით ვერ ანხორციელებდა ქართული თეატრის მხატვრული

დონის ამბღლებას, და მთავარ მიზეზად ქართული დრამატული საზოგადოების უღონობა და კონსერვატულობა მიაჩნდა. მას უსიამოვნებაც კი მოუვიდა ამ საზოგადოების მესვეურებთან. სწორედ ამიტომ სეზონის დამთავრებისას, მან ვრცელი მოხსენება წარუდგინა დრამატული საზოგადოების გამგეობას, რომელშიც მოითხოვდა მთელი რიგი დონისძიებების მიღებას თეატრის იდეურ-მხატვრული დონის ასამღლებლად. მისი მოთხოვნები ისეთი იყო, რომ დრამატულ საზოგადოებას სრული შესაძლებლობა ჰქონდა მათი დიდი ნაწილი ცხოვრებაში გაეტარებინა (მოხსენების ორიგინალი დაცულია სათეატრო მუზეუმში), მაგრამ გამგეობამ მესხიშვილის არც ერთი წინადადება არ შეასრულა. მას არაფრად ეჭაშნიკებოდა თეატრის წარმართვა პროგრესულ-დემოკრატიული გზით, რასაც არსებითად მოითხოვდა ლ. მესხიშვილი.

ამ გარემოებამ კი მესხიშვილი აიძულა წაუთლიყო თბილისის თეატრიდან და დათანხმებულიყო ქუთაისში გადასვლაზე.

1896-1897 წლების სეზონი ლადო მესხიშვილის წინადადებით ქუთაისის თეატრში შემდეგნაირად დაიწყო: სეზონის თაოსნობა ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ იკისრა. დასი ერთსა და იმავე დროს თბილისსაც უნდა მომსახურებოდა და ქუთაისსაც. საქმის მოგვარება დაგვიანდა და საკითხი მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებში გადაწყდა. საქმე რომ წინ წასულიყო, ქუთაისის ინტელიგენციამ წარმოდგენების გამგე-კომისია გამოკყო (კ. ბაქრაძე, ს. ხუნდაძე, დ. წულუკიძე და სხვ.). ქუთაისის წარმოდგენების თავკაცობა თვითონ ლადო მესხიშვილმა იკისრა. იგი ამავე დროს თბილისის დრამატული დასის რეჟისორადაც დარჩა. ყოველ წარმოდგენაზე თბილისიდან უნდა გაგზავნილიყო მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობები; სოლო დანარჩენ როლებში ადგილობრივი ძალები მიიღებდნენ მონაწილეობას.

პირველი ასეთი წარმოდგენა 3 ნოემბერს გაიმართა.

დაწვრილებითი ცნობები ყველა გამართული წარმოდგენის შესახებ არ შემორჩენილა. პრესაში მოთავსებული ინფორმაციის მიხედვით წარმოდგენილი ყოფილა: დ. ერისთავის „სამშობლო“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, გ. სუნდუკიანის „ხათაბალა“, ო. ვაკრის „უან ბოდრი“, ა. ოსტროვსკის და ნ. სოლოვიოვის „ბედნიერი დღე“, ფ. შილერის „ყაჩაღები“, ფროლოვის კომედია „ცხოვრების თანამგზავრი“, შექსპირის „ჰამლეტი“, გ. ერისთავის „გაყრა“ (ქართული თეატრის დღეს, 2 იანვარს), ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“.

ამ წარმოდგენებში თბილისის დასიდან მონაწილეობდნენ: ლ. მე-

სხიშვილი, მ. საფაროვა-აბაშიძე, ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ს. სვიმონიძე, კ. მარჯანიშვილი, ხოლო ქუთაისიდან — ნ. ჩხეიძე, დ. ივანიძე, ვ. ბალანჩივაძე, შ. დადიანი, გ. თუთბერიძე და სხვ. ლ. მესხიშვილი ოჯახით უკვე ქუთაისში გადმოსახლდა. 16 მაისს მან მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენილ კ. გუცკოვის ტრაგედიაში „ურთელ აკოსტა“ და ურთელის როლი შეასრულა, ხოლო ივნისში ნ. ჩხეიძესთან ერთად სოხუმში გაემგზავრა, სადაც წარმოდგენილი იქნა რ. ფოსის „დამნაშავეა“ და ა. დიუმას „ედმუნდ კინი“.

**1897-1898 წლ. სეზონი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით.** 1897-1898 წლების სეზონში ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ უარი ანაცხადა ქუთაისში წარმოდგენების გამართვაზე, უფრო მეტიც, თვით თბილისის დრამატული დასის გაძლოლაზეც აიღო ხელი. ლ. მესხიშვილი საბოლოოდ დაეთხოვა თბილისის დასს და ქუთაისის დასის ხელმძღვანელობა იკისრა. თეატრის ადმინისტრაციული გამგებლობისათვის დაარსდა ამხანაგობა. დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგა: ნ. ჩხეიძე, დ. ივანიძე, შ. დადიანი, ვ. ბალანჩივაძე, გ. თუთბერიძე, თბილისიდან მოწვეული ბ. ავალიშვილი, დ. აწყურელი (გამყრელიძე) და კ. ყიფიანი.

ამ სეზონიდან პრესაში მხოლოდ 7 წარმოდგენის კვალია შერჩენილი. დაუდგამთ: ვილდენბრუხის დრამა „პირენეის მგელი“, ვ. პიუგოს დრამა „ერნანი“, ა. სუმბათაშვილის „შეგარდნები და ყორნები“, ფ. კარევეის დრამა „ცხოვრების გმირი“, ფურნიეს და არნოს დრამა „მარგარიტა დე სავინი“, გ. ერისთავის „დავა“ და უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“. საფიქრებელია რომ წარმოდგენების რიცხვი მეტი უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, წარმოდგენებმა მაყურებელი ვერ მიიზიდა. სეზონის დასაწყისშივე გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 391, 1897) უსაყვედურებდა ქუთათურებს, რომ წარმოდგენებს ნაკლებად ესწრებიან „მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენები საუცხოოდ იმართება და მსახიობნიც საუცხოოდ ასრულებენ თავიანთ როლებსაო“. შემდეგ აფრთხილებდა, რომ „თუ საზოგადოება ხელს არ გაუმართავს და არ ივლის წარმოდგენებზე, თეატრის საქმეს განსაცდელი მოელის, რადგან ამხანაგობა, რომელიც მართავს წელს წარმოდგენებს, მარტო თავისი წვლილით ვერ გაუძლებს დასის შენახვის ხარჯს“.

ეტყობა ამ მდგომარეობამ სეზონის ბოლომდე გასტანა. იგივე გაზეთი წერდა, რომ სეზონის მიწურულში, 22 იანვარს გამართულ მსახიობ ბ. ავალიშვილის საბენეფისო წარმოდგენაზე ათიოდე კაციც კი არ მოსულა და ამის გამო წარმოდგენა გადაუდვიათ.

ამავე დროს „ცნობის ფურცელი“ კარგ შეფასებას აძლევდა წარმოდგენებს. ვ. პიუგოს რომანტიკული დრამის „ერნანის“ დადგმაზე, რომელშიც ერნანის როლს მესხიშვილი ასრულებდა, გაზეთი (№354 1897) მის თამაშს აღარებდა ცნობილი ფრანგი მსახიობის მუნე სიულის და რუსი მსახიობის, ჩვენი თანამემამულის ა. სუმბათაშვილი-იუჯინის თამაშს. რეცენზენტი აქებდა დადგმის გარეუცხულ გაფორმებას. წერდა, რომ „ასეთი მშვენიერი დეკორაციებით და სხვა სამკაულებით ჯერ ქუთაისში პიესა არ დადგმულა“.

როგორც ვხედავთ, ლ. მესხიშვილს სულ მცირედი ძალებით და საშუალებებით საკმაო სიმალლეზე აუყვანია ქუთაისის თეატრის შემოქმედებითი დონე, მაგრამ, ეტყობა, მაყურებლის მოსაზიდად ეს ღონისძიებები საკმარისი არ იყო.

გაზეთი „კვალის“ (№23, 1898) აზრით სეზონის მთავარ ნაკლს რეპერტუარის უხარისხობა წარმოადგენდა, განსაკუთრებით — პირველ ნახევარში. „ვნებათა ღელვა“, „დემონური შურისძიება“, „სისხლი“, „დიღება“, „შური“, — სცენიდან სულ ეს ისმოდა. — წერდნენ „კვალში“. — „ჩვენის აზრით ეს უფრო საშუალო საუკუნეების ფეოდალ-რაინდების დროის შესაფერი რეპერტუარია, ვინემ საამდროვო“... გაზეთი მოითხოვდა, რომ ქუთაისის თეატრი განთავისუფლებულიყო სცენაზე ხმლების ტრიალიდან. „საამდროვო ცხოვრებიდან ამოდებული“ პიესები ეჩვენებინა. „უფრო დროის შესაფერი და არამც თუ გრძნობის, თუ გნებავთ ჭკუისთვისაც სასარგებლო იქნებოდა ისეთი პიესების წარმოდგენა. არიან, მართალია, მოძველო პიესები, რომლებიც თავისდღეში არ ბერდებიან, მაგალითად „ურიელ აკოსტა“, „პამლეტი“. ამ ორი პიესის მოთავსება რეპერტუარში ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია. საამდროვო ცხოვრებიდან კი, ნამეტანავად რუსეთისა, ბევრი კარგი პიესა შეიძლებოდა გადმოკეთებულიყო, ან გადმოთარგმნილიყო ქართულად. რუსეთის ცხოვრება ისეთი მტკიცე კავშირით არის შეერთებული ჩვენს ცხოვრებასთან, რომ იქ აღმოცენებული ახალი რამ მოვლენა ჩვენში დიდხანს არ იგვიანებს და ყველასათვის არამც თუ გასაგები, ახლობელი, ნაცნობი ხდება. ჩვენ, რასაკვირველია, არც ევროპის სცენას უარყოფთ, მაგრამ რუსეთისას პირველ რიგზე ვაყენებთ ჩვენთვის მნიშვნელობის მხრივ“.

ასეთ საღ აზრს გამოთქვამდა „მესამედასელთა“ გაზეთი „კვალის“ ქართული თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკაზე, და მას, პირველ ყოვლისა, მხედველობაში ჰქონდა მარქსიზმის იდეების გავრცელება საქართველოში.

გაზეთი ქარაგმულად მიუთითებდა მარქსიზმის გავრცელებაზე რუსეთიდან საქართველოში. სწორედ ეს იყო „იქ აღმოცენებული

ახალი რამ მოვლენა“, რომელიც „ჩვენში არამც თუ გასაგები, ახლობელ-ნაცნობი ხდებოდა“..

ლ. მესხიშვილი მარქსისტი არ იყო, მაგრამ მას კარგად ესმოდა მაცურებლის მისწრაფება და შემდეგ სეზონებში შეეცადა თავისი შეცდომები გამოესწორებინა. მან საგრძნობლად გაზარდა რეპერტუარში თანამედროვე ელერადობის ნაწარმოებთა რიცხვი, რომლებიც, ასე თუ ისე, უპასუხებდნენ აღმავალი სოციალური ბრძოლის საჭირობოტო საკითხებს.

**გასტროლები.** ლ. მესხიშვილმა შემოიღო და ტრადიციად დაამკვიდრა საგასტროლო წარმოდგენების გამართვა ახლომახლო დაბა-ქალაქებში და სოფლებშიც კი. წინა სეზონში ლ. მესხიშვილი სოხუმში გაემგზავრა. 1898 წლის 9, 10, 17 იანვარს კი ქუთაისის დასმა მისი მონაწილეობით უკვე ბათუმში ითამაშა უ. შექსპირის „მეფე ლირი“, ფ. კარეევის „ცხოვრების გმირი“ და გერნგოფერისა და ბროზინერის ღრამა „ბოშა ქალი ზანდა“. ამავე წლის მაისში ბათუმშივე დადგეს ა. დიუმას „ედმუნდ კინი“ და ფ. კარეევის „ცხოვრების გმირი“. ივნისში ახალსენაკში, პეტრე-პავლეს დღეობაზე, რომელიც მთელი ერთი კვირა გრძელდებოდა, ლ. მესხიშვილმა სახელდახელოდ ააგო: ხის ფარდული და ქუთაისის დასით აქ წარმოადგინა ვ. გუნიას „და-ძმა“ და დ. ერისთავის „სამშობლო“, 26 ივლისს კი სოფელ კულაშში წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“. სექტემბერში, სეზონის გახსნამდე, დასმა წარმოდგენები გამართა აბაშაში, ზესტაფონში და ჭიათურაში.

**პირველი ქართული ოპერის ავტორი — მკვიდრი ქუთათური.** იმ ხანებში ფრიად საყურადღებო ამბავი მოხდა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიაში. 1897 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგში გაიმართა ქართველ სტუნდენტთა ტრადიციული საღამო-კონცერტი და ამ საღამოზე შესრულებული იქნა მ. ბალანჩივაძის ოპერის „თამარ ცბიერის“ მესამე მოქმედება. მართალია, ოპერის მარტო ერთი მოქმედება იქნა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც, დიდ მოვლენად ჩაითვალა იმდენად, რამდენადაც ეს იყო პირველი ქართული საოპერო ნაწარმოები. მისი ავტორი, კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე ქუთაისელი გახლდათ. ამრიგად, ქუთაისში გაზრდილ პირველ ქართველ მომღერალს ფ. ქორიძეს და ასევე პირველ მომღერალ ქალს მ. ძნელაძეს პირველი ქართული ოპერის ავტორი მ. ბალანჩივაძეც მიემატა.

„თამარ ცბიერმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა პრესაში. თვით საღამოს შესახებ გაზეთი „ივერია“ 1897 წ. ვრცელ სტატიაში წე-

რდა: „... ეს ოპერა დიდად მოეწონა საზოგადოებას და აღტაცებით გამოიწვიეს მრავალჯერ ახალგაზრდა ავტორი... საზოგადოებაცა და თერთონ კონცერტის მონაწილენიც ისეთს აღტაცებაში მოვიდნენ, რომ საერთო ტაშისკერის დროს ბატონი ბალანჩივაძე ხელით აიყვანეს მაღლა და დიდხანს აქანებდნენ სცენაზე“... („ივერია“ № 266, 269, 270, 1897).

ქუთაისის მნიშვნელობა ქართული პროფესიული მუსიკის განვითარებაში, კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც სამოღვაწეო ასპირანტზე გამოვიდნენ ქუთაისში დაბადებული და აღზრდილი ფალიაშვალთა ნიჭიერი პლეადა — ვანო, ზაქარია, პოლიკარპე და ლეო ფალიაშვალბი.

**1898-1899 წლების სეზონი.** სათეატრო სეზონი თავდაპირველად საფრთხეში ჩავარდა, რადგან დასის ადმინისტრაციულ და საეურონო საქმეს არავინ განაგებდა. წინა წელს არსებული ამხანაგობა დაიშალა. მის წევრებს ეგონათ, რომ მაყურებელი თეატრისადმი კვლავ გულგრილობას გამოიჩენდა. მსახიობმა ვასო ბალანჩივაძემ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№656, 1898) ამის თაობაზე წერილიც კი მოათავსა. ის სამღურავს გამოთქვამდა ამხანაგობის მიმართ. ამ წერილმა საქმეს ვერ უშველა. ბოლოს ლადო მესხიშვილმა და მსახიობმა გიორგი თუთბერიძემ იკისრეს მატერიალური პასუხისმგებლობა. ეს იყო იძულებითი ანტრეპრენიორობა, რადგან სხვა საშუალება თეატრის გასაძლოლად ვერაფერი გამოინახა.

დას: შემდეგი მსახიობებისაგან შედგებოდა: ნ. გამყრელიძისა, ლ. გვეტაძე, დ. ივანიძე, ელ. ჩიქოვანი, ნ. ჩხეიძე, ვ. აბულაძე, კ. ალავიძე, ვ. ბალანჩივაძე, ს. ბოჭორიშვილი, ვ. გამყრელიძე, შ. დანიანი, გ. თუთბერიძე, ლ. მესხიშვილი, ა. ტყემელაშვილი და მ. ჯანუაშვილი, სუფლიორი თ. შველიძე.

სეზონი გაიხსნა 25 ოქტომბერს ფ. შილერის „ყაჩაღებით“, რომელშიც ფრანც შოპრის როლი შეასრულა ლადო მესხიშვილმა, ხოლო ამლიასი — ნ. ჩხეიძემ.

გარდა „ყაჩაღებისა“, ამ სეზონის წარმოდგენებიდან ჩვენთვის ცნობილია შემდეგი: დ. ერისთავის „სამშობლო“ (ქეთევანი — ნ. ჩხეიძე, ხიმშიაშვილი — ლ. მესხიშვილი, ლიონიძე — ვ. გამყრელიძე, შაჰ — მ. ჯანყარაშვილი, გოგია დიაკვანი — ვ. ბალანჩივაძე); ა. ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი“, იგივე „ქეთევან წამებული“ რომელიც 15 წელიწადს აკრძალული იყო (ქეთევანი — ნ. ჩხეიძე, კონსტანტინე ბატონიშვილი — ვ. გამყრელიძე); ე. სკრიბის დრამა „ებრაელი ქალი“; ზ. ანტონოვის „ქოროლი“ (გულნარა —



ნ. ჩხეიძე, ქოროლი — ვ. გამყრელიძე); უ. შექსპირის „მეფე ლირა“ (ლირა — კ. ყიფიანი, გლოსტერი — ვ. გამყრელიძე, ედგარი — ლ. მესხიშვილი, კორდელია — ნ. ჩხეიძე); ჰ. იბსენის „ნორა“ (ნორა — ნ. ჩხეიძე, ჰელმერი — ლ. მესხიშვილი); ბიერსტიერნე ბიერსონის დრამა „გაკოტრება“ და ბულვერის დრამა „კარდინალი რიშელიე“ (რიშელიე — ლ. მესხიშვილი).

ეს სათეატრო სეზონი წარმატებით ჩატარდა. მაყურებელი ყოველთვის საკმაოდ ესწრებოდა წარმოდგენებს. აბონემენტებიც კი გამოუშვეს და მთლიანად გაიყიდა. დასმა საზოგადოებისა და პრესის ქება დაიმსახურა. პირველ რიგში ლ. მესხიშვილს აქებდნენ. მასთან ერთად ახალგაზრდა მსახიობებს და განსაკუთრებით კი ნ. ჩხეიძეს. „კონსტანტინე ბატონიშვილში“ ქეთევანის როლის შესრულების გამო გაზეთი „ივერია“ ნ. ჩხეიძეზე წერდა: „...ეს ახალგაზრდა ქალი თვალსაჩინო ადგილს დაიკერს ჩვენს ქალებით ღარიბ სცენაზე, თუ, რასაკვირველია, ბეჯითობას და მუყაითობას არ უღალატა“.

ჩვენი აზრით, სეზონი მარტო იმ ათი წარმოდგენით არ განისაზღვრებოდა, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. როგორც პრესა იტყობინება, წარმოდგენილი ყოფილა 21 სახელწოდების პიესა, ე. ი. ორჯერ მეტი, ვიდრე ზემოთ იყო აღნიშნული.

სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა „კარდინალი რიშელიე“ 14 თებერვალს გაიმართა ლ. მესხიშვილის საბენეფისოდ. გაზეთი „ივერია“ (№ 37, 38, 1889) წერდა თუ რა აღტაცებით შეხვდა ლ. მესხიშვილს ქუთაისის მაყურებელი—„მობენეფისეს სცენაზე გამოსვლისას, საზოგადოება აღტაცებულის ტაშისკვრით და ვაშას ძახილით მიეგება მსახიობთა მთელ დასს და აქ ერთმა მათგანმა, ბატონმა ქუჯმა (შალვა დადიანი) წაიკითხა აღრესი, რომელშიც ბატონი ალექსი-მესხიშვილი დასურათებული იყო როგორც დასის საუკეთესო მმართველი, მოსიყვარულე ამხანაგი, დასის დაუღალავი პატრონი და სულისჩამდგმელი, ამხანაგობის ღირსა და ლხინის თანამოზიარე. ბატონი ქუჯი დასის სახელით უღრმეს პატივისცემას და მადლობას უცხადებდა ბატონ მესხიშვილს. არც საზოგადოება მოეკიდა გულგრილად საყვარელ მსახიობს: მრავალი საჩუქარი მიართვა, აღტაცებულ ტაშისკვრას და სცენაზე გამოწვევას ხომ საზღვარი არა ჰქონდა“...

საგასტროლო წარმოდგენები ამ სეზონში ქუთაისის თეატრს ბევრი არ გაუმართავს. მხოლოდ ორი წარმოდგენა იყო ბათუმში („სამშობლო“ და „კონსტანტინე ბატონიშვილი“) და ერთიც ფოთში („ურიელ აკოსტა“). ზოგან მონატრებულიც კი იყვნენ ლ. მესხიშვილის დასის წარმოდგენებს. მაგალითად, გაზეთ „ცნობის ფურცელს“ (№ 842, 1899) ზუგდიდიდან ატყობინებენ, რომ იქ ჯერ არა-

სოდეს ჩამოსულა წარმოდგენების გასამართავად ქუთაისის დასი ლ. მესხიშვილის მეთაურობით და სთხოვენ ამ ზაფხულს უეჭველად გვესტუმროსო.

**სახალხო წარმოდგენები.** მუშათა მოძრაობის აღმავლობამ, მუშათა კლასის რესწრაფებამ გათვითცნობიერებისაკენ, გამოიწვია მუშათა კულტურული ორგანიზაციების — საკვირაო სკოლების, სამკითხველოების, თვითმოქმედი სახალხო თეატრების შექმნა. თბილისში 1893 წელს უკვე დაარსდა თვითმოქმედი სახალხო თეატრი (ავჭალის აუდიტორიაში), რომელმაც მიზნად დაისახა სოციალური შინაარსის ნაწარმოებების დადგმა. თეატრი მუშა-ხელოსნებისაგან შედგებოდა და მაცურებლებიც მუშები და მისი ოჯახის წევრები იყვნენ. სახალხო წარმოდგენების გამართვის აზრი ქუთაისშიც შეიქმნა. აქ 1894 წელს დაარსებულმა წრე-ამხანაგობამ მიზნად დაისახა სახალხო წარმოდგენების გამართვა. წრის წევრები მეტწილად ქუთაისის სავაჭროების ნოქრები იყვნენ. წრეს ხელმძღვანელობდა მიხეილ გუგუშვილი. ი. ზარდალიშვილის ცნობით („მასალები და დოკონებები ქართული თეატრის ისტორიიდან“) წრის წევრები იყვნენ: ლ. ჩიქოვანი, ე. ქვარიანი, ე. თალაკვაძე, ი. ჩაკვეტაძე, დ. გარონიშვილი, გ. ასათიანი, დ. ფაღავა, ი. რუხაძე, აკ. სულავა და ს. ჭაბუკიანი. ეს წრე კვირა-უქმე დღეებში, ქუთაისში და მის ახლო-მახლო სოფლებში წარმოდგენებს მართავდა. წრეს ეხმარებოდნენ ქუთაისის თეატრის მსახიობები. წრემ 1904 წლამდე იარსება. მისი მუშაობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, პრესაშიც კანტი-კუნტად არის მოხსენიებული, მაგალითად გაზეთ „ცნობის ფურცელის“ №-748-ში 1899 წელს ცნობაა, რომ ამ წლის 6 თებერვალს სცენისმოყვარეებმა სახალხო წარმოდგენა გამართეს ქუთაისში. ითამაშეს ა. ყაზბეგის „არსენა“. პოეტმა გ. აბაშიძემ წაიკითხა თავისი ლექსები. გაზეთის ცნობით ეს იყო მესამე სახალხო წარმოდგენა ამ სეზონში.

1901-1902 წლების სათეატრო სეზონში ქუთაისში რამდენიმე წარმოდგენა გამართა სახალხო წარმოდგენების მმართველმა კომისიამ. მისი მონაწილენი იყვნენ ს. რობაქიძე და მისი მეუღლე, ალ. (პროკოფი) ჯაფარიძე (შემდეგ ცნობილი რევოლუციონერი-ბოლშევიკი), გ. კერესელიძე, მ. მშველიძე, ალ. გარსევანიშვილი, მ. ჩიკვაძე, ნ. გიგაური, გრ. გველესიანი და სხვები.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრეების მოღვაწეობა ქუთაისში ვერ იყო და და ვერც იქნებოდა ნაყოფიერი, რადგან აქ არ იყო ასეთი თეატრის მთავარი მასაზრდოებელი ძალა — მუშათა კლასის ბირთვი.

სხვათა შორის, ეს შეხედულება იმ ხანის პრესაშიც წამოიჭრა, ცოტა განსხვავებულ ასპექტში. გაზეთ „ივერიაში“ (№ 254, 1899) მოხსენიებული იყო ქუთაისში ოქტომბრის დამლევის გამართული სახალხო წარმოდგენა (გ. ერისთავის „ძუნწი“ და ი. მაჩაბლის გადმოკ. „ადლოკატი ნელაძე“) და გამოთქმული იყო აზრი, რომ სახალხო წარმოდგენებისათვის ქუთაისში ცალკე დასის არსებობა მიზანშეუწონელია, რომ ეს არის ძალების დაქსაქსვა და ჯობია მაყურებლები დრამატული დასის წარმოდგენებზე მივიზიდოთო. ამ დროს წარმოდგენებზე ბილეთების ფასი შედარებით ძვირი იყო და ხელმოკლეთათვის მიუწვდომელი, მაგრამ ეს დაბრკოლება მოაგვარა ლ. მესხიშვილმა — თვეში ერთხელ მართავდა იაფფასიან წარმოდგენებს.

**1899-1900 წლების სეზონს** კვლავ ლ. მესხიშვილი ხელმძღვანელობდა. ამასთანავე, დასს შეემატა ახალი ძალები — ახალგაზრდა მსახიობები: ალექსანდრე წუწუნავა დ ლევან მირიანაშვილი. სეზონი გაიხსნა 28 სექტემბერს და დაიხურა 20 თებერვალს. დაიდგა: დ. ერისთავის „სამშობლო“, ა. ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი“, ა. ცაგარლის „ლევის ქალი გულჯავარ“ და „ქართველი დედა“, კ. ნასიძის მიერ გადმოკეთებული „ცხოვრების მეჭლისზე“, ა. წერეთლის „თამარ ცხიერი“, კ. მესხის მიერ გადმოკეთებული „თამარ ბატონიშვილი“, მ. ნასიძის მიერ გადმოკეთებული „ბედს ვერ წაუხვალ“, ფ. კარევეის „უბედური ნაბიჯი“, ნ. რაკუშანინის „გულისთქმა“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“, ა. ოსტროვსკისა და ნ. სოლოვიოვის „ბედნიერი დღე“, უ. შექსპირის „ოტელო“, „მეფე ლირი“ და „ჰამლეტი“, მოლიერის „სკაპენის ოინები“, კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, დენერისა და კორმონის „ორი ობოლა“, ფ. დიუმენუას და ა. დენერის „ესპანელი აზნაური“, ბულვერის „კარდინალი რიშელიე“, ე. სკრიბის „ებრაელი ქალი“, პ. ჯიამბეტის „დამნაშავის ოჯახი“, ა. დიუმას „სიუზანა“.

ქართული დრამატურგია რეპერტუარში წარმოდგენილი იყო ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებით. გაზეთი „ივერია“ (№ 230, 1899) სეზონის დასაწყისშივე აღნიშნავდა ამ გარემოებას და წერდა, რომ თეატრის გატაცება ისტორიული წარსულით არც თუ სანაქებოა. ურჩევდა თეატრს მთავარი ყურადღება მიექცია თანამედროვე შინაარსის პიესებისა და მასთან, კლასიკური დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის. თეატრი ცდილობდა შეესრულებინა პრესის ეს მოთხოვნა — დადგა მთელი რიგი კლასიკური ნაწარმოებებისა, ხოლო, რაც შეეხება თანამედროვე თემატიკას—თეატრმა მნიშვნე-

ლოვანს ვერაფერს მიიღწია, რადგან ასეთი შინაარსის ნაწარმოებები თითქმის არ იწერებოდა.

**ქართული თეატრის აღდგენის 50 წლისთავის დღესასწაული.**  
1900 წლის 2 იანვარს დრამატულმა დასმა ქართული თეატრის აღდგენის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო-წარმოდგენა გამართა. უჩვენეს პ. უმიკაშვილის პიესა „სამზადისი“, რომელიც 1850 წლის ორი იანვრის „გაყრის“ პირველი წარმოდგენის სამზადისს გამოსახავდა. წარმოდგენილი იყო აგრეთვე გ. ერისთავის კომედია „დავის“ მეოთხე მოქმედება, გ. ვოლსკის მიერ გადმოკეთებული ა. ჩეხოვის ვოდევილი „ღმერთმა შეგაბეროსთ“ და ვ. გუნიას ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“. მეორე მოქმედების შემდეგ გაიმართა ზეიმი. სცენაზე იდგა ყვავილებში ჩასმული გ. ერისთავის სურათი. ირგვლივ ჩამწკრივდნენ მსახიობები, ხელში გვირგვინებით. სურათის უკან, ელექტრონით განათებულ მალლობზე იდგნენ მსახიობი ნ. ჩხეიძე (მელპომენა) და პოეტი გრ. აბაშიძე (პოეზია). მათ წაიკითხეს გ. აბაშიძის მიერ დაწერილი დიალოგი „მელპომენა და პოეზია“. შემდეგ სიტყვა წარმოთქვა შ. დადიანმა: „...მართალია, ჯერ კიდევ სუსტია, კიდევ ნორჩია ეს მცენარე, ესე იგი ჩვენი სცენა. ჯერ კიდევ ბევრი მოვლა და პატრონობა უნდა მას, მაგრამ მან უკვე გააბა მტკიცე სულიერი კავშირი, კავშირი თავისსა და ხალხს შორის. გაიჩინა მკვიდრი ბინა მის გულში და ამით უეჭველ და უზრუნველყო თავისი სიცოცხლე. ახლა არც ხალხი უარყოფს მას, მუდამ მხარს დაუჭერს, წელს გაუმაგრებს, რადგან საბედნიეროთ ის ჭეშმარიტება ბევრმა შეიგნო და მეტიც შეიგნებს, რომ აღორძინებული ლიტერატურა და თეატრი ერის ძალღონეა“. მსახიობმა ვ. ბალანჩივაძემ წაიკითხა გრ. აბაშიძის ლექსი „გ. ერისთავის სახსოვრად“. მსახიობმა გ. თუთბერიძემ წაიკითხა რ. ერისთავის ლექსი „კაცი ის არის“. მოვიდა მისალოცი დეპეშები. გაზეთი „ივერია (№ 10, 1900) წერდა, რომ დღესასწაულმა უფერულად ჩაიარა და „ის-ღა ანუგეშებს ადამიანს, რომ მომავალი თაობა მაინც ღირსეულად გადაიხდის 100 წლის იუბილესო“. ქუთაისის დასის წევრებმა მოახერხეს და დღესასწაულისადმი მიძღვნილი წიგნაკი დაბეჭდეს. მასში მოთავსებული იყო შემდეგი წერილები: შ. დადიანის — „50 წელი ქართული თეატრისა“, ი. გომართელის — „ორმოცდაათი წელი ქართული თეატრისა“, „2 იანვარი, 1900 წ. თბილისში“, „მოსხენება დრამატული საზოგადოების გამგეობისა“ და „2 იანვარი, 1900 წ. ქუთაისში“.

**ლადო მესხიშვილის პოპულარობა.** სათეატრო სეზონი ქუთაისში 20 თებერვალს დამთავრდა ლ. მესხიშვილის საბენეფისო წარ-

ზოდგენია „ოტელო“. მესხიშვილმა შეასრულა ოტელოს როლი, ნ. ჩხეიძემ დეზდემონასი. გაზეთი „ივერია“ (№ 42, 1900) იტყობინებოდა, რომ უსაზღვრო იყო მაყურებელთა აღტაცება. ახალგაზრდობამ სელში აიტაცა მესხიშვილი და თეატრიდან ისე გამოიყვანაო. აქვე წერდნენ, რომ „ამ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის განმავლობაში ჩვენ არ გვახსოვს ქუთაისის თეატრში წარმოდგენას დასწრებოდეს იმდენი ხალხი, რამდენიც ამ ბენეფისის დროს“...

ლ. მესხიშვილს თბილისშიც ასეთივე ტრიუმფი ხვდა წილად. აქ იგი სეზონის განმავლობაში ექვსჯერ გამოვიდა სცენაზე, — თბილისში უ. შექსპირის ტრაგედიებში „ჰამლეტი“ და „ოტელოში“, კ. გუცკოვის „ურთიელ აკოსტაში“, მ. ნასიძის დრამაში „ბედს ვერ წაუხვალ“, ფ. შილერის „ყაჩაღებსა“ და ა. დიუმას დრამა „ედმუნდ კინში“. ეს უკანასკნელი მსახიობის საბენეფისოდ წარმოადგინეს. ლ. მესხიშვილს თბილისელმა მაყურებელმა მხურვალე შეხვედრა მოუწყო. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1042, 1900) წერდა: „ბედნიერია ის კაცი, რომელსაც თავისი ნიჭით ასეთი სიყვარულის დამსახურება შეუძლია“. გაზეთი „კვალი“ (№ 7, 1900) აგვიწერდა ზბილისის მაყურებელთა აღტაცებას: „ბატონი მესხიშვილი ჩასვეს საგანგებოდ მომზადებულ სავარძელში, რომელიც ცოცხალი ყვავილებით და გვირგვინებით იყო შემკული, აიტაცეს მალღა და თეატრიდან ისე გამოიტანეს ქუჩაში“.

გაზეთი „კვალის“ ქება. „მესამე დასელთა“ გაზეთი „კვალი“ საერთოდ, დიდად აფასებდა ლ. მესხიშვილის სასცენო ნიჭს და მოღვაწეობას. უფრო ადრე გაზეთი წერდა: „...თუ კი რომ შეიძლება ვთქვათ — არტისტი გენიოსია — ეს სახელი სწორედ ამას ეკუთვნის. მე მგონია, მთელ რუსეთში ბატონ მესხიშვილისთანა არტისტი არ მოიპოვება. ჩვენი ქვეყნის შვილი ა. სუმბათაშვილი-იუჟინი ხომ რუსეთში საუკეთესო არტისტულ ძალად ითვლება; მე რომ მკითხოთ. ბატონი მესხიშვილი მას არ ჩამოუვარდება და სჯობს კიდევ-თქო რომ ვთქვა, გადამეტება არ იქნება. ეს უფრო რაღაც გულახდილად თამაშობს, უფრო პოეტურად, და შთაბეჭდილებასაც უფრო ზირდაპირ ახდენს მაყურებელზე. აი, ამაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის სცენაზე მარტო არტისტია და არა არტისტი და მესხიშვილი ორივე ერთად... (გაზ. „კვალი“, № 48, 1899). ჩვენი პროგრესული საზოგადოებრიობა ხედავდა, რომ მესხიშვილის გმირულ-რომანტიკულ სასცენო შემოქმედება თანადროული სულისკვეთებით იყო გაყდენილი. მსახიობი მუდამ ცდილობდა თავისი

სცენური სახეებისთვის თანადროული ჟღერადობა მიეცა. მაგალითად გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ასე აგვიწერდა მესხიშვილის თამაშს ურიელ აკოსტას როლში: „განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა არტისტი, როცა იგი ხატავდა ძლიერსა და გაბედულს გონების აღმოფოთებას წინაშე რუტინისა. ძველთაგან გადმოცემული წეს-წყობილებისა და ზნე-ჩვეულებისა. მესხიშვილის შეგნებულმა და გულმხურვალე თამაშმა, წარმოდგინეთ, ჩვენი ქანდარაც კი გაიტაცა, ის ქანდარა, რომელიც ხშირად აუტანელია დრამების წარმოდგენის დროს“... და ეს მაშინ, როდესაც ნიკიერ არტისტს ხმა დაზიანებული ჰქონდა და ზოგჯერ სცენიდან მისი ლაპარაკი ოდნავ ისმოდა.

**1900-1901 წლების სეზონი.** სათეატრო სეზონში 23 წარმოდგენა გაიმართა. პიესების დიდი რაოდენობა პირველად იდგმებოდა ქუთაისის სცენაზე. ეს იყო ნ. აზიანის კომედია „ფული და ხარისხი“. ა. სუვორინისა და ვ. ბურენინის „მედეა“, ა. სუმბათაშვილის დრამიდან გადმოკეთებული „ციხის საიდუმლო“, პ. ერვიენს დრამა „ბრკეალები“, გ. ზუდერმანის „მამულ-დედული“, კახო-ი-მაზას „უბედური“, ა. დიუმას „შენლობა“, ვ. პიუგოს რომანის „განკიცხულნის“ ინსცენირება, მოლიერის კომედია „დონ-ჟუანი“, პ. დე-კურსელის მელიოდრამა „ორი ჯიბგირი“.

რეპერტუარის მრავალფეროვნებამ და მსახიობთა კარგმა თამაშმა თეატრს წარმატება მოუტანა. მსახიობთა შორის, რომელთა აღზრდა-მომზადებაზე ლადო მესხიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნინო ჩხეიძე. ახალგაზრდა მსახიობმა ახალ სეზონში ბრწყინვალედ ითამაშა ნორას როლი პ. იბსენის დრამაში „ნორა“, მედეასი ა. სუვორინისა და ვ. ბურენინის „მედეაში“ და მთელი რიგი სხვა დრამატული როლები.

დასმა 2 იანვარს გ. ერისთავის „გაყრის“ დადგმით აღნიშნა ქართული თეატრის ტრადიციული დღესასწაული.

**მესხიშვილის პონორარი. გასტროლები.** სეზონის განმავლობაში, ნოემბერ-დეკემბერში ლ. მესხიშვილი სამჯერ ესტუმრა თბილისს და მონაწილეობა მიიღო დრამატული დასის წარმოდგენებში: „კაეშანი“, „ბრკეალები“ და „კარდინალი რიშელიე“. ამ საგასტროლო წარმოდგენებს ერთი არასასიამოვნო ამბავი დაერთო, იანვარში გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ (№ 1343, 1901) მოათავსა ფელეტონი „ბზიკის“ ხელმოწერით. ფელეტონში ლაპარაკი იყო თბილისის დრამატული დასის გაჭირვებულ მდგომარეობაზე. თანაც წერდნენ, რომ ლ. მესხიშვილი ამ გარემოებას არ უწყევს ანგარიშს და დიდ პონორარს იღებს თავის გამოსვლებშიო. „...მთელი

სეზონი ქუთაისი კი არა, ჩვენები ინახავენ მესხიშვილსო“. მსახიობს გამოუსარჩლა გაზეთი „ივერია“.

ეს ბრალდება არ იყო მართებული. რადგან ჯერ ერთი: ჰონორარს ცოტას იხდიდნენ და მეორე — ლ. მესხიშვილის მონაწილეობა სრულ გარანტიას იძლეოდა, რომ წარმოდგენას მაყურებელი არ დააკლდებოდა და შემოსავალიც კარგი იქნებოდა.

მაყურებელმა თავისებურად გასცა პასუხი უმართებულო ცილისწამებას; 18 იანვარს მესხიშვილმა კვლავ მიიღო მონაწილეობა თბილისის დრამატული დასის წარმოდგენაში. მსახიობ ა. კარგარეთელის საბენეფისოდ წარმოადგინეს კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“. მესხიშვილმა შეასრულა ურიელის როლი. „კვალი“ (№ 4, 1901) აგვიწერდა ამ წარმოდგენას: „...წარმოდგენა შესანიშნავი იყო იმით, რომ ხალხი აღფრთოვანებით დაუხვდა ბატონ მესხიშვილს. თეატრი ერთიანად გაჰყვდილი იყო და ყოველი ანტრაქტი ერთი დაუსრულებელი მანიფესტაცია იყო მესხიშვილის სასარგებლოდ. მას მიართვეს თანაგრძნობის აღრესი ბევრი კაცისაგან ხელმოწერილი და თავზე გადააყარეს ფერად ქაღალდებზე დბეჭდილი ლექსები. ერთი ლექსი ასე რწყება: „კოლო, ბზიკები, ფუტკარი ვერადროს შეგედრებთან და კბენით მიტომ გვესლავენ, მაღლით რომ ვერა გწვდებაიან...“

ყველაფერი გამოიწვია, როგორც ვიცით, „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილმა „ბზიკის“ წერილმა. ასე, რომ ხუთშაბათის წარმოდგენა უფრო მესხიშვილის ბენეფისი იყო, ვინემ კარგარეთელისა, თუმცა არც ეს მსახიობი ქალი დავიწყებითა და უსაჩუქროდ არ დაუტოვებიათ“.

უფრო დიდი მანიფესტაცია მოაწყო მაყურებელმა ორი კვირის შემდეგ, როდესაც თბილისის დრამატულმა დასმა ლ. მესხიშვილს საბენეფისო წარმოდგენა გაუმართა. შესრულებული იყო ვ. გუნისას დრამა „ორი გმირი“, რომელშიც ლ. მესხიშვილი თამაშობდა ტარიელის მთავარ როლს. „უნდა გითხრათ, რომ ეს წარმოდგენა კი არა, ერთი დიდი დაუსრულებელი ოვაცია იყო მესხიშვილისა. — წერდა გაზეთი „კვალი“ (№ 7, 1901). — თეატრის დარბაზში, ორკესტრში და თვით სცენაზეც (ორი ლოჟა გააკეთეს) ხალხი არ ეტეოდა. ჩვენ ჯერ არ გვინახავს ჩვენს თეატრში მაყურებელთა ასეთი საერთო აღფრთოვანება. მესხიშვილს, ასე გასინჯეთ, მისალოცი დეპეშებიც კი მიუვიდა შორეული ქვეყნებიდან. თვით წარმოდგენამ კარგად ჩაიარა... საზოგადოდ კი ხუთშაბათის წარმოდგენას დღესასწაულის ფერი ჰქონდა და, ჩვენ გვგონია, რომ მესხიშვილს არასოდეს არ დაავიწყდება თბილისელთა ასეთი შეხვედრა“.

ქუთაისის თეატრში სეზონის დამთავრების შემდეგ ლ. მესხი-

შვილმა ქუთაისისა და თბილისის თეატრების მსახიობებისაგან შეადგინა მოგზაური დასი და წარმოდგენები გამართა ბათუმში, თბილისში, განჯაში, ზესტაფონში, ოზურგეთში, სამტრედილაში, ახალსენაკში, ზუგდიდში, ზონში და ქუთაისში. საგასტროლო რეპერტუარში შედიოდა უ. შექსპირის „ოტელო“ და „ჰამლეტი“, მ. ნასიძის „ბედს ვერ წაუხვალ“, ფ. კარევის „უბედური ნაბიჯი“, ფ. შილერის „ყაჩაღები“.

ოთხ აპრილს თბილისში, ქართულ თეატრში ლ. მესხიშვილის თაოსნობით და მონაწილეობით წარმოდგენილი იყო ა. დიუმას „ედმუნდ კინი“. ამ წარმოდგენის მთელი შემოსავალი 415 მან. 76 კ. ლად: ა მესხიშვილმა შესწირა ნაძალადევის რაიონის სამკითხველოს, რისთვისაც ნაძალადევი მცხოვრებ რკინიგზის მთავარი სახელოსნოს ბუშებისაგან გულითადი მადლობა მიიღო.

სპექტაკლი „კონტრაბანდისტები“ — 1901 წელს ქუთაისში გასტროლებზე ჩამოვიდა რუსული დასი ს. ლიტვინისა და ვ. კრილოვის პიესის „კონტრაბანდისტების“ დასადგმელად. პიესის შინაარსი მიმართული იყო ებრაელთა წინააღმდეგ. ამ ანტისემიტური ნაწარმოების დადგმა თავდაპირველად პეტერბურგში რეაქციონერ ა. სუვორინის თეატრში სცადეს, მაგრამ წარმოდგენის დროს დარბაზში აურზაური ატყდა — პეტერბურგის სტუნდენტობამ ობსტრუქცია მოაწყო. პოლიციამ ბევრი სტუნდენტი დააპატიმრა. რუსეთის სხვა ქალაქებშიც სცადეს შავრაზმელებმა „კონტრაბანდისტების“ დადგმა, მაგრამ ყველგან ისეთივე საწინააღმდეგო დემონსტრაციები იმართებოდა, როგორც პეტერბურგში.

ქუთაისში „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენა 16 აპრილს დაინიშნა. პირველი მოქმედება ჩატარდა კიდევ, მაგრამ მეორე მოქმედების დაწყებისას დარბაზში ხმაური ატყდა. იატაკზე დაყარეს ქლორში შერეული ბურნეთი, რაც ცხვირის ცემინებას იწვევდა. წარმოდგენა შეწყდა. ამ დროს ქუჩაში აუარება ხალხმა მოიყარა თავი და პოლიტიკური დემონსტრაცია მოაწყო. პოლიცია და კაზაკების რაზმი დაერია დემონსტრანტებს და ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ორასამდე კაცი დააპატიმრეს.

ხუთ მაისს დასი კვლავ შეეცადა პიესის დადგმას უკვე სხვა სახელწოდებით — „ისრაელის შვილები“. პოლიციამ დიდი ზომები მიიღო წარმოდგენის „წესიერი“ მსვლელობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ამ ზომებმა ვერ გასჭრა. მეორე მოქმედებიდან დარბაზში კვლავ ატყდა ხმაური და წარმოდგენა ისევ ჩაიშალა. მაყურებლებმა ორგანიზებულად დატოვეს დარბაზი და ქუჩაში შეგროვილ ხალხთან ერთად კვლავ დემონსტრაცია მოაწყვეს, ყვლაფერი ისევ პოლიციასთან ხელჩართული ბრძოლით დამთავრდა.



ქუთაისის თეატრში მომხდარი ამბები მთელ რუსეთში გახმაურდა, რადგან დაწვრილებითი ინფორმაცია რუსულ პრესაშიც იბეჭდებოდა.

ასე გამოაცალა ნიადაგი ქუთაისის ახალგაზრდობამ შავრაზმელებს, რომლებიც „კონტრაბანდისტების“ დადგმით აპირებდნენ ქუთაისში ებრაელების დევნის გაჩაღებას.

შემოდგომაზე ქუთაისში გაასამართლეს დემონსტრაციის მომწყობი ახალგაზრდების ჯგუფი (მათ შორის იყო სტუდენტი ნიკო ლორთქიფანიძე — შემდგომ ცნობილი მწერალი). სასამართლო პროცესი ქუთაისში „ბრალდებულმა“ ახალგაზრდებმა არსებითად ცარიზმის ანტისემიტური პოლიტიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციად გადააქციეს.

**1901-1902 წლების სეზონი.** სათეატრო სეზონი 14 ოქტომბერს გაიხსნა. წარმოდგენილი იყო ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული სურათი 2 მოქ „ცხოვრება“ და მისივე გადმოკეთებული კომედია „პირველი ბუზი“. წარმოდგენაში მონაწილობა მიიღეს ტასო აბაშიძემ და ვალერიან გუნია.

სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, თეატრის რეპერტუარის გამო „ივერია“ (№-228, 1901) წერდა, რომ ამ სეზონის რეპერტუარი შედგება თითქმის სულ ახალი პიესებისაგან, რომელთა შორისაც უნდა აღენიშნოთ დრამები იბსენისა, ჰაუპტმანისა, ზუდერმანისა, ჩეხოვისა და სხვ. ეს დაპირება თეატრმა შეასრულა. წარმოდგენილი იყო ჰაუპტმანის დრამა „ავადმყოფი ხალხი“, ვ. ზუდერმანის კომედია „პატიოსნება“, ა. ჩეხოვის „ივანოვი“ (მ. ნასიძის მიერ გადმოკეთებული — „მსხვერპლი უხასიათობისა“). გარდა ამისა ხელახლა წარმოდგინეს მოლიერის „ტარტიუფი“, ა. სუხოვოკობლინის კომედია „კრეჩინსკის ქორწილი“ და ნ. გოგოლის კომედია „რევიზორი“. ეს ორი უკანასკნელი წარმოდგენა იმით იყო საინტერესო, რომ ლ. მესხიშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა რასპლუევისა და გოროდნიჩის კომედიური როლები.

დაიღვა, აგრეთვე, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“. ეს შესანიშნავი ნაწარმოები პირველად თბილისში წარმოდგინეს 1901 წლის 23 სექტემბერს. თბილისის დასმა თავი ისახელა მისი შესრულებით. პრესა განსაკუთრებით აქებდა ს. სვიმონიძეს აბესალოს როლში. ასევე წარმატება მოიპოვა ქუთაისის დასმაც. გაზეთი „ივერია“ წერდა: „მთელი პიესა თავიდან ბოლომდე ისე ჩაატარეს, რომ აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ბატონმა ბალანჩივაძემ (ფილიპე)“. დასმა, გარდა ამისა, სეზონის განმავლობაში განახორციელა: კ.

მესხის მიერ გადმოკეთებული „თამარ ბატონიშვილი“, დ. ერისთავის „სანშობლო“, უ. შექსპირის „ოტელო“, „ჰამლეტი“, და „ვენეციელი ვაჟარი“ (კ. ყიფიანის მონაწილეობით), ფ. შილერის „ყაჩაღები“, ა. დენერის „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“ და სხვ. დასმა ორიანვარს ჰ. უმიკაშვილის „სამზადისის“ დადგმით აღნიშნა ქართული თეატრის დღესასწაული.

ნ. გოგოლის ხსოვნის აღსანიშნავი სადამო-წარმოდგენა. სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა 24 თებერვალს დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის ხსოვნას მიეძღვნა. ითამაშეს მისი უუკვდავი კომედია „რევიზორი“, რომელშიც ლ. მესხიშვილმა გოგოლიჩის როლი შეასრულა.

წარმოდგენის შემდეგ „ივერია“ (№-53, 1902) იტყობინებოდა: „ისდება ფარდა და მაყურებლების თვალწინ იშლება უბრალოდ, მაგრამ გულმოდგინედ შემზადებული სურათი. მთელი ქართული დასას ოცამდე მსახიობი, ორ ბანაკად ჩამწყრივებულნი, ყველანი დაფნის გვირგვინებით ხელში, — და მათ შორის კედელზე დაკიდებული გოგოლის დიდი სურათი, წინ მაგიდა სანთლებით და გვირგვინებით შემკული. ერთი მსახიობთაგანი (გ. თუთბერიძე) იღებს და კითხულობს თავიანთი კოლეგის (შ. დადიანის) მიერ დაწერილს გრძნობიერ სიტყვას გოგოლის შესახებ. შემდეგ მუსიკა უკრავს მრავალყამიერს. შემდეგ მეორე მსახიობი (ვ. ბალანჩივაძე) კითხულობს იმავე მსახიობის მიერ დაწერილს გოგოლის დამახასიათებელს ლექსს. ხალხიც მრავალყამიერს ხმას აყოლებს, მრავალჯერ იმეორებს და სცენაზე მყოფნი მსახიობნი ამკობენ სურათს დაფნის გვირგვინებით. საზოგადოება ჰყვირის: „გაუმარჯოს გოგოლის ხსოვნას! ვაჰა, ვაჰა გოგოლს!“ და ამ ძახილით იშლება. სიამოვნებას ჰგვირის ადამიანს პროვინციის სცენაზე ასეთნაირად მოგონება ლიტერატურული მოღვაწისა, თუნდაც ეს სხვა ერის ლიტერატურის მნათობიც იყოს“.

ვასო აბაშიძის იუბილე. ქუთათურებმა იმ პერიოდში დიდი პატივი სცეს ქართული თეატრის ნიჭიერ მსახიობს ვასო აბაშიძეს. მისი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე ადრე თბილისმა გადაიხადა, ხოლო ქუთაისში ასეთი სადამო 1902 წლის 14 მარტს გაიმართა. სადამოზე წარმოდგენილი იყო თითო მოქმედება ნ. გოგოლის „რევიზორიდან“, ა. ცაგარლის „ხანუმიდან“ და გ. სუნდუკიანის „ხათაბალადან“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო თვით იუბილარმა და აგრეთვე მ. საფაროვა-აბაშიძისამ, ნ. გაბუნია-ცაგარლისამ, ლ. მესხიშვილმა და ქუთაისის თეატრის მსახიობებმა. ქუთაისში ვ. აბაშიძის პატივისმცემლებმა პატარა წიგნაკიც კი გამოსცეს სათაურით: „ვასო აბაშიძის ოცდახუთი წლის ქართულ სცენაზე მოღვაწეობის

სახსოვრად“. ამ წიგნაკში აღწერილი იყო თვით საიუბილეო საღამოც. „თეატრი მშენიერად იყო მორთული, — ვკითხულობთ წიგნაკში, — ხალხი აუარებელი დაესწრო. ბევრი გულნაკლული შინ დაბრუნდა უადგილობის გამო. რაც თეატრში ხალხი იყო, ოთხ ამოდენას თეატრის წინ მოეყარა თავი. ორსავე წარმოდგენაზე დანიშნული იყო ის პიესები, რაც თბილისში წარმოადგინეს. ფარდის ახდის შემდეგ დიდხანს „ვამას“ ძახილი და ტაშისცემა გაისმოდა. წარმოდგენა არტისტებმა კარგად ჩაატარეს. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აპოთეოზი. ქუთაისისათვის ეს დღესასწაული იშვიათ მოვლენად უნდა ჩათვალოს. ფარდის ახდისას სცენაზე გამოჩნდნენ ვასო აბაშიძის პატივისცემლები, რომელნიც მოელოდნენ იუბილარის გამოსვლას. გამოვიდა იუბილარიც და ატყდა თეატრში „ვამას“ ძახილი. მთელი ათი წუთი ხალხი არ დაწყნარებულა... მთელი ქუთაისი, დიდი და პატარა, სიამოვნებით და სიხარულით ეგებებოდა ამ დღესასწაულს. წარმოდგენის შემდეგ ვასო აბაშიძე დიდის ამბით მიაცილეს სახლამდის ტახტრევანით, შუშხუნებითა და ბენგალის ცეცხლით. „ვამას“ ძახილს დასასრული არ ჰქონდა. 15-ს გაიმართა სახალხო წარმოდგენა. დიდძალი ხალხი დაესწრო, ნახევარზე მეტი უკან დაბრუნდა უბილეთობის გამო. გაიმეორეს იგივე პიესები, რაც წინა დღეს. ზოგიერთი ლექსები და ადრესებიც გაიმეორეს. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა“.

**ე. მესხისა და კ. მესხის გასტროლები ქუთაისში.** იმავე წლის აპრილში ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოვიდნენ ქუთაისის პროფესიული თეატრის დამაარსებელი მსახიობები ეფემია მესხი და კოტე მესხი. ქუთაისელ მსახიობთა მონაწილეობით მათ წარმოადგინეს გ. გეს დრამა „ტრილბი“, ე. სკრიბის დრამა „ადრიენა ლეკუზერე“, ა. დიუმას დრამა „მარგარიტა გოტიე“ და კ. მესხის გადმოკეთებული დრამა „ადიკო კაზაიანი“ (ა. სუმბათაშვილის „არკაზნოეები“).

ეს იყო ორი ნიჭიერი სცენის ოსტატის შემოქმედებითი ანგარიში თავისი მშობლიური ქალაქის წინაშე.

გასტროლებმა წარმატებით ჩაიარა და მსახიობების თამაშმა მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა.

**ქუთაისის დასის გასტროლები.** ლადო მესხიშვილი და ქუთაისის დრამატული დასის მსახიობები ამ სათეატრო სეზონშიც მოგზაურობდნენ საქართველოს დაბა-ქალაქებში. ლ. მესხიშვილმა ზამთრის განმავლობაში ექვსჯერ ითამაშა თბილისის მაყურებელთა წინაშე და სხვათა შორის ა. სუხოვო-კობილინის კომედიაში „კრეჩინსკი: ქორწილი“ შეასრულა რასპლუევის როლი. ისევე, როგორც

ქუთაისში, აქაც განცვიფრებაში მოიყვანა მაყურებელი ამ კომედიური როლის ნიჭიერი შესრულებით. გაზეთი „ივერია“ (№33, 1902) წერდა: „ჩვენ ძალიან გაგვიკვირდა, რომ მესხიშვილი სუხოვო-კობლიანის კომედიას სდგამდა თავის საბენეფისოდ, მაგრამ როცა წარმოდგენა ვნახეთ, დავრწმუნდით, რომ მესხიშვილს მშვენიერი არჩევანი, ნოსვლია. თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდით, რომ მესხიშვილს აეეილებოდა ანეთის შეუდარებელის ხელოვნებით კომიკური როლის შესრულება“.

აპრილის დამლევს ლ. მესხიშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის დრამატული დასის წარმოდგენებში თვით თბილისში, ქუთაისში, ბაჟუმში და სოხუმში. ასევე ითამაშა მესხიშვილმა თბილისის დრამატული დასის წარმოდგენებში ივლისის დამლევს.

შემთხვევა ჭიათურაში. ამ პერიოდში ჭიათურაში გაემგზავრა ქუთაისელ მსახიობთა პატარა დასი, რომელსაც მსახიობი დ. ჩარკვიანი ხელმძღვანელობდა. წარმოდგინეს ა. ცაგარის „ქართველი დედა“, მაგრამ წარუმატებლად. შემდეგ წარმოდგენაზე ხალხი სულ აღარ მოვიდა. დასი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან წარმოდგენების შემოსავლის იმედით ჩავიდნენ ჭიათურაში. განსაკუთრებით დარდობდა დ. ჩარკვიანი, როგორც მოგზაურობის მოთავე და პასუხისმგებელი. ამ გაჭირვების გამო უბედურება დატრიალდა. ამ უბედურ შემთხვევაზე მოგონება დავგიტოვა მწერალმა მარიამ გარიყულმა (თათეიშვილმა), რომელიც იმ დროს დასში მსახიობად იყო. ის მოგვითხრობს: (მ. გარიყული, „განვლილი გზა“, თბილისი, 1949) „... დათიკომ ქუთაისიდან გამოიწვია მესხიშვილი, რომელსაც უნდა ეხსნა დასი კატასტროფისაგან. დაიდგა „ცხოვრების გმირი“, შეუდარებელი კარგი იყო ლადო... მაგრამ ლადომაც ვერ უშველა საქმეს, შემოსავალმა გასაავალი ვერ დაფარა. ჩარკვიანი ჩავარდა ცუდ მდგომარეობაში, ვერც სასტუმროს გაუსწორა ხარჯები და ვერც მსახიობები დააკმაყოფილა. დესპინე ივანიძე (დ. ჩარკვიანის მეუღლე) გაუჭავრდა, დაემღურა, ხმას აღარ სცემდა. ერთ დღეს წაიყვანა ბავშვი და ქვევით ბაზარში წავიდნენ ის და ლადო მე და ქვარიანის ქალი სასტუმროს ნომერში ვზივართ. ხელმძღვანელი გვეცოდება, მაგრამ ჩვენც ცუდ მდგომარეობაში ვართ. უეცრად მოგვესმა რევოლვერის ხმა და მოპირდაპირე ნომერში რაღაც ბრახვანით დაეცა ძირს. გამოვცვივდით დერეფანში და შევალეთ ნომრის კარი. რას დაინახავდა კაცი უარესს? მშვენიერი, ცისფერთვალემა ლამაზი დათიკო იატაკზე ეგდო და სისხლში ცურავდა. მან გადაწყვიტა თავისივე სისხლით გამოესყიდა ვალები. ტყვიამ გულის აპქთან ახლოს გაუარა, მაგრამ გადაჩჩა სიკვდილს.

სასტუმრო სწრაფად გაივსო ხალხით, ექიმებიც გამოჩნდნენ. ათ წუთში მთელი კიათურა ამ პატარა გორაკზე შეიკრიბა. დესპინეს ბაზარში გაეგო და გამწარებული მორბოდა. „ცოცხალია? ცოცხალია?“ — შეიკივლებდა გზა და გზა. მესხიშვილი ქლოშინით ამოდიოდა მაღლა, ეული სირბილის ნებას არ აძლევდა, ჯოხს ეყრდნობოდა, სვენებ-სვენებით მოიწვევდა წინ. ჩარკვიანი საავადმყოფოში წაიყვანეს. სასწრაფოდ შესდგა სია, ჯერ ამხანაგებმა მოვაწერეთ ხელი და შეეწირეთ, ვისაც რამდენი შეგვეძლო. შემდეგ ფართო საწოგადოცბაში გაიტანეს შეწირულების ქაღალადი. ასე მახსოვს ხუთასი მანეთი მოგროვდა. სასტუმროს პატრონმა მთელ ხარჯს გადაუხვია ხაზი. ყველა შეაწუხა მსახიობის ამ გარემოებამდის მისვლამ. საექიმო ხარჯი კიათურის მრეწველთა საბჭოს ანგარიშზე გადაიწერა. მსახიობები წამოვიდნენ, დესპინე დარჩა სასტუმროში და მთელ დღეებს ავადმყოფ ქმართან ატარებდა. ერთი თვის შემდეგ დაუბრუნდა ქუთაისს სიკვდილს გადარჩენილი მსახიობი“.

ლ. მესხიშვილი ქუთაისის დასის მონაწილეობით მაინც დაუბრუნდა კიათურას. აგვისტოში ზედიზედ გამართა რამდენიმე წარმოდგენა და წარმატება მოიპოვა. ითამაშეს ვ. გუნიას „და-ძმა“ (ავადმყოფ დ. ჩარკვიანის სასარგებლოდ), კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ლანგაშვილის „ბედს ვერ წაუხვალ“ და ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარ“.

**ლადო მესხიშვილის პატიმრობა.** როგორც ცნობილია, ქართული თეატრი ცარიზმის ცენზურისა და პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მესხიშვილს ამის გამო არაერთხელ მოუხდა უსიამოვნება პოლიციის მოხელეებთან. ერთი კონფლიქტი აქვს აღწერილი ი. ზარდალიშვილს თავის მოგონებაში „ქუთაისის თეატრი“. მესხიშვილს პოლიცმაისტერმა ლისოვსკიმ ნება არ დართო აფიშაში გამოცხადებინა „აპოთეოზი“ (დრამის „კონსტანტინე ბატონიშვილის“ დასასრულს), რადგან „აპოთეოზი“ ოფიციალურად ნებადართული პიესების სიაში არ არის მოხსენიებული... პოლიცმაისტერის უმეცრებით აღელვებული ლ. მესხიშვილი მივიდა მასთან და აუხსნა, რომ „აპოთეოზი“ პიესა არ არის და ამიტომაც არ არის შეტანილი ნებადართულ პიესათა სიაში, რომ ეს არის საზეიმო განწყობილების შექმნა პიესის ფინალში, ნებადართული პიესის ფარგლებში. ლაპარაკის დროს მესხიშვილმა ხელი აიქნია და უცაბედად პოლიცმაისტერს ცხვირში მოახვედრა. „ხელის შეხებით შეურაცხყოფისათვის“ ლ. მესხიშვილი პასუხისგებაში მისცეს. „ორი კვირის შემდეგ დაინიშნა სასამართლო, — წერს ი. ზარდალიშვილი, — იმ დღეს, რა დღესაც მესხიშვილს ასამართლებდნენ, ნიშნად

პროტესტისა და მესხიშვილისადმი თანაგრძნობისა, სასწავლებელში არ გამოცხადდნენ ქართული გიმნაზიის, სასულიერო სასწავლებლისა და ნაწილობრივ კლასიკური გიმნაზიის მოწაფენი. ამათ მიკეყსენ ს:ქალაქო სასწავლებლებიც. ყველა ესენი შეგროვდნენ სასამართლოს ეზოში და ელოდნენ, თუ როგორი განაჩენი იქნებოდა გამოტანილი მესხიშვილის მიმართ. სასამართლოს დარბაზში მხოლოდ განსაკუთრებული ბილეთებით შეიძლებოდა შესვლა. მთავრობამ გამოიწვია ყაზახთა რაზმი, პოლიცია და ყველა ეს გარს უვლიდნენ სასამართლოს შენობას... შეტად დაძაბული განწყობილება შეიქმნა; ყველანი გრძნობდნენ რალაც საშინელებას. მესხიშვილი ხომ ხალხის სათაყვანებელ კერპად იყო გადაქცეული, ამ დიდ პიროვნებას ხალხში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული“.

სასამართლომ მესხიშვილს თავის ბინაზე სამი დღით პატიმრობა მიუხაჯა. მეტი ვერა გაბედა რა, რადგან შეატყო, რომ უფრო მკაცრი განაჩენი მღელვარებას გამოიწვევდა.

სასამართლოზე დამსწრე საზოგადოებამ მესხიშვილი ოვაციებით მიაცილა სახლამდე. მათ შორიახლო პოლიცია და ყაზახების რაზმი მისდევდა...

**1902-1903 წლების სეზონში** ლ. მესხიშვილმა დასი მეტწილად ანალგაზრდა მსახიობებისაგან შეადგინა. ნ. ჩხეიძის, დ. ივანიძის, ს. ფრანგულიანის. და მ. ჭანუაშვილის გარდა სულ ახალბედები იყვნენ. ქალების ჯგუფს შეადგენდა: ტ. აბაშიძე, ლ. გვეტაძე, მ. თათიშვილი, მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილი. ვაჟთა შემადგენლობაში იყვნენ: ი. ზარდალიშვილი, ვ. ირემაძე, ა. იმედაშვილი, პ. კახიანი, ლ. მიწინაშვილი, ვ. ურუშაძე, ვ. შალიკაშვილი, მ. ქორელი.

თვითონ მესხიშვილი ამ სეზონში ყველა წარმოდგენაში ვერ მონაწილეობდა, რადგან ყელის ავადმყოფობა იკაუთრებოდა და მის როლებს ა. იმედაშვილი თამაშობდა.

ახალი სეზონის რეპერტუარი ერთგვარად განსხვავდებოდა უწინდელისაგან. როგორც აღვნიშნეთ, მესხიშვილი ნაკლებად გამოდიოდა სცენაზე. ალბათ ამიტომაც არ იდგებოდა კლასიკური ტრაგედიები, რომლებშიც ის ასე წარმატებით გამოდიოდა. მომრავლდა მსუბუქი ხასიათის კომედია-ვოდევილები. ამ კომედიათა შორის საინტერესო იყო ახლად თარგმნილი ო. ერსტის ნაწარმოები „პედაგოგები“; რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა. 12 ოქტომბერს დასმა აღნიშნა ცნობილი დრამატურგის ა. ცაგარლის გარდაცვალება, მისი კომედიის „ციმბირელის“ დადგმით.

დეკემბერში ქუთაისს ეწვია მსახიობი ქალი ეფემია მესხი და ადგილობრივ დასში განასახიერა მთავარი როლები ისეთ პიესებში,

როგორცაა: მ. სუვორინისა და ვ. ბურენინის „მედვა“, ლ. კამალეტის „მონასტრის ზღუდეთა შორის“, ა. ოსტროვსკის „უდანამაულოდ დასჯილნი“ და ე. სკრიბისა და ა. ლეგუვეს „ადრიენა ლეკუერერ“. გარდა ე. მესხისა, ქუთაისის დასის მიერ დადგმულ ვ. გუნიას გადმოკეთებულ კომედიაში „პირველი ბუზი“ და მოლიერის კომედიაში „ღონ ქუანი“ ითამაშა ვ. აბაშიძემ.

**მიხეილ ქორელი.** ამ სეზონში პირველად გამოვიდა ქუთაისის სცენაზე ცნობილი მომღერლის ფილიმონ ქორიძის შვილი მიხეილი. მიხეილ ქორელი დაიბადა 1876 წელს მილანში (იტალია), სადაც მამამისი მოღვაწეობდა. საშუალო განათლება თბილისში მიიღო. სწავლობდა ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტში და შემდეგ მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, რომელიც 1902 წელს დაამთავრა. მოსკოვში მ. ქორელი მუშაობდა სცენისმოყვარე მუშათა დრამატულ წრეებში. დიდი ინტერესით ესწრებოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენებს და ამ თეატრის შემოქმედებითი მიმართულების მიმდევარი შეიქნა. 1902 წელს სამშობლოში დაბრუნდა და მსახიობად მივიდა ქუთაისის დრამატულ დასში.

მიხეილ ქორელის სადებიუტოდ ქუთაისის თეატრში წარმოდგენილი იყო ჰ. ჰაუპტმანის დრამა „ავადმყოფი ხალხი“. ეს ნაწარმოები აგვიწერდა განხეთქილებას ბურჟუაზიულ ოჯახში და ააშკარავებდა ამ ოჯახური ცხოვრების სიყალბეს. ქორელი ოჯახის ერთ-ერთი წევრის, ვილის როლს ასრულებდა, ხოლო ლადო მესხიშვილი მისი უფროსი ძმის, რობერტის როლს თამაშობდა. ქორელმა როლი კარგად შეასრულა, იმდენად კარგად, რომ 5 დეკემბერს თბილისში მიიწვიეს ამ როლის შესასრულებლად, ხოლო უფრო ადრე, 23 ნოემბერს ქუთაისის დასის ბათუმში გასტროლების დროს მ. ქორელმა და ლ. მესხიშვილმა იგივე პრესა აქ არსებულ რუსულ დასში რუსულ ენაზე წარმოადგინეს.

მ. ქორელის თბილისში გადმოსვლის შესახებ გაზეთი „კვალი“ წერდა: „...სცენაზე პირველად დაეინახეთ ბატონი ქორიძე და ამ დანახვამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს სცენას მოემატა ახალი ძალა, არტისტი განათლებული და მასთან ნიჭიერი. ჩვენ დაგვარჩენია ვუსურვოთ ბატონ ქორიძეს, რომ ის სამშობლოს სცენას არ მოშორებოდეს“.

**გასტროლები.** ქუთაისის დრამატული დასი ამ სეზონშიც მართავდა საგასტროლო წარმოდგენებს. 21 ოქტომბერს ფოთში წარმოადგინა ბაიარისა და ვარერბურხის „პარიზელი ბიჭი“ და ა. ოსტროვსკის და ნ. სოლოვიოვის „ბედნიერი დღე“, ხოლო 22 ოქტომბერს —

ნ. კვლაკოვის ვოდვეილი „ალიაქოთი კეთალშობილ ოჯახში“. 10 ნომბრილიან თვის ბოლომდე დასწა ათი წარმოდგენა გამართა ბათუმში. სხვა პიესათა შორის დადგეს კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, დ. მანსელელის „შეშლილია“ და ფ. კარევის „უბედური ნაბიჯი“.

იანვარში დასი კვლავ ფოთში გაემგზავრა და ორი წარმოდგენა გამართა, ხოლო ზაფხულში 28 და 29 ივნისს ახალსენაკში წარმოდგინა ა. წერეთლის „თამარ ცბიერი“ და ა. ყაზბეგის „არსენა“.

სეზონის განმავლობაში ქუთაისში იმართებოდა სახალხო წარმოდგენები (დაკლებულ ფასებში), რომელთა მოთავე მეტწილად ვ. ბალანცაძე იყო. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№-1986, 1902) წერდა, რომ „წინათ თუ წელიწადში ორი-სამი სახალხო წარმოდგენა იმართებოდა. ახლა თითქმის ყოველ კვირას იმართება“. ამ წარმოდგენების ნონაწილენი სცენისმოყვარენი და ქუთაისის დრამატული დასის მსახიობები იყვნენ. დაიდგა ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები“, ჯ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ა. წერეთლის „პატარა კახი“. ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. გ. სუნდუკიანის „პეპო“, მოლიერის „სკაპენის ცუდლუტობა“, რ. ფოსის „დამნაშავეა“.

**ლადო მესხიშვილის ავადმყოფობა.** ლ. მესხიშვილს ყელის ავადმყოფობა გაურთულდა. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ამჟამად მესხიშვილი ძალიან ავად შექმნილა და მისი საზოგადოებრივ გამგზავრება საეჭიბოდ აუცალებლად საჭიროა თურმე. რაღა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოება გაიხსენებს იმ მარად დაუფიქრებელ წამებს გრძნობათა აღფრთოვანებისას, რომელსაც იწვევდა ნიჭიერი მსახიობის თამაში, და ყოველი ჩვენგანი უწმინდეს მოვალეობად ჩათვლის თავისი წვლილი მიაწოდოს დაავადებულ საზოგადო მოღვაწეს და ამით არ დაუკარგოს ქართულ ხელოვნებას საუკეთესო ჭირისუფალი“ („ივერია“ № 8, 1903).

ამ მოწოდებამ მყისვე ჰპოვა გამოძახილი. საქართველოში არსებულმა თეატრებმა და დრამატულმა წრეებმა წარმოდგენები გამართეს ლ. მესხიშვილის სასარგებლოდ. თბილისის დრამატული დასის 16 იანვრის წარმოდგენასთან დაკავშირებით. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 2041, 1903) ატყობინებდა საზოგადოებას ლ. მესხიშვილის ხელმოკლეობაზე და გამოთქვამდა აზრს, რომ მარტო თეატრის მოღვაწეებს გაუძნელდებათ საკმაო თანხის შეგროვება მესხიშვილის სამკურნალოდ, რომ საჭიროა კერძო შემოწირულებებიც შეგროვდესო. მართლაც, მოკლე ხანში საკმაო თანხა შეგროვდა. ეს არა მარტო მესხიშვილის ვენაში სამკურნალოდ, არამედ იმისთვისაც იკმარებდა, რომ ავადმყოფს ახლობელიც გაჰყოლოდა და თა-



ნაც, ქუთაისში დარჩენილი მისი ცოლ-შვილი მატერიალურად უზრუნველი ყოფილიყო. ქუთაისის დასის გაძლოლა მესხიშვილმა სეზონის დამთავრებამდე ვ. ბალანჩივაძეს მიანდო და გზას გაუდგათან გაიყოლა მიხეილ ჯანუაშვილი.

მესხიშვილი ჯერ თბილისში ჩამოვიდა და აქედან 4 თებერვალს ვენაში გაემგზავრა. რკინიგზის სადგურზე უამრავმა ხალხმა გააცილა საყვარელი მსახიობი. გამგზავრების წინ ლ. მესხიშვილმა გაზეთების საშუალებით დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ საზოგადოებას უღლისხმიერებისათვის.

ორი კვირის შემდეგ გაზეთ „ივერიაში“ (№ 38, 1903) ეწერა: „ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ მიიღო ტელეგრამა ვენიდან, რომლითაც იუწყებიან, რომ მესხიშვილის ოპერაციამ კარგად ჩაიარა და იმედია განიკურნებაო“.

მესხიშვილის სასარგებლოდ დახმარების შეგროვება არც შემდეგ შეჩერებულა. გაიმართა წარმოდგენები თბილისში და მთელი სხვა ადგილებში. მაისში თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა მოსკოვის მცირე თეატრის დასი, ა. სუმბათაშვილის მონაწილეობით. მან 200 მანეთი გადასცა ვასო აბაშიძეს და სთხოვა ლადო მესხიშვილისათვის გაეგზავნა ვენაში. მესხიშვილი უცხოეთში ექვს თვეზე მეტხანს დარჩა და სექტემბრის დამლევს დაბრუნდა. 20 სექტემბერს იგი ქუთაისში ჩავიდა. ქუთათურებმა მას დიდებულ შეხვედრა მოუწყვეს. სადგურზე უამრავი ხალხი დახვდა, მეტწილად ახალგაზრდობა. ვავონიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს და ასე მიაცილეს ეტლამდე. ეტლი ქუჩაში ნელა მიდიოდა, ირგვლივ გაისმოდა „ვაშას“ ძახილი...

მესხიშვილმა კვლავ დაბეჭდა გაზეთში მადლობის წერილი. „თუმცა შესაფერი სიტყვები ვერ მიპოვნია, — წერდა იგი, — მაგრამ ნება მიბოძეთ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქართველ საზოგადოებას, რომელმაც არ დაიშურა თავისი წვლილი და შეძლება მომცა სენისაგან განვკურნებულისყავ... სულითა და გულით მოხარული ვარ ჩვენი ერის, ჩვენი საზოგადოების დაწინაურებისა, ვინაიდან თავის მოღვაწე შვილთა დახმარება, მის განვითარებას, მის თვითცნობიერებას ნიშნავს“.

ასევე ზეიმით შეხვდნენ ქუთათურები ლ. მესხიშვილის პირველ გამოსვლას სცენაზე უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ. მსახიობი ი. ზარდალიშვილი თავის მოგონებაში წერს: „მესხიშვილის გამოჩენას სცენაზე მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით შეხვდა. გვირგვინებითა და ყვავილებით აივსო სცენა. მესხიშვილს ხალხი საშუალებას არ აძლევს, რომ როლი განაგრძოს, სცენა დაფარულია ყვავილებით, რაც ხელს უშლის მსახიობს თავისუფლად გაიაროს და

იმოქმედოს. ორკესტრი, რომელიც თავისი სურვილით გამოცხადდა, განუწყვეტლივ უკრავს „მრავალყამიერს“. ამ მდგომარეობამ გასტანა თითქმის 10 წუთს. მესხიშვილი განკარგულებას აძლევს ფარდა დაუშვან, რომსცენა გაათავისუფლონ გვირგვინებისა და ყვავილებისაგან, რადგან იმ პირობებში სცენაზე მოქმედება შეუძლებელი იყო. სცენა გაანთავისუფლეს. აიხადა ფარდა, მაგრამ ისევ მეორდება „ვაშას“ ძახილი. ამ ზეიმში და სიხარულში, როგორც იყო, დამთავრდა წარმოდგენა. გარეთ ზღვა ხალხი ელოდა მესხიშვილს. ახალგაზრდობას გაეკეთებინა ტახტრევეანი, ჩირაღდნები. მესხიშვილი თეატრიდან ხალხმა ხელში აყვანილი გამოიყვანა, დასვეს ტახტრევეანზე და ასე მიაცილეს სახლამდე“. ეს მოხდა 1 ნოემბერს. მესხიშვილმა ამ საღამოს ითამაშა კინის როლი ა. დიუმას „ედმუნდ კინში“.

**1903-1904 წლების სეზონი.** სათეატრო სეზონში ქუთაისში წარმოდგენების გამართვა ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ იკისრა და ამრიგად, ლ. მესხიშვილს ასცდა ანტრეპრენიორის არც თუ ადვილი და სასიამოვნო მოვალეობა. მას დაევალა ქუთაისში გამართული წარმოდგენების მხოლოდ რეჟისორობა. შეიქმნა ხუთი კაცისაგან შემდგარი დრამატული საზოგადოების განყოფილება, რომელსაც დაევალა წარმოდგენების გამგებლობა როგორც ქუთაისში, ასევე გასტროლებისა ფოთში და ბათუმში.

ქუთაისის დასში შემდეგი მსახიობები იყვნენ მიღებული: ქალები — ნ. გამყრელიძისა, დ. ივანიძე, მ. მდივანი, ბ. რონელი, ნატ. ყიფიანი. ვაჟები — დ. აწყურელი, ვ. ბლანჩივაძე, ვ. გამყრელიძე, ვ. გუნია, ი. ზარდალიშვილი, გ. თუთბერიძე, ლ. მირიანაშვილი, ედენტი, გ. ჩარკვიანი, დ. ჩარკვიანი, ა. ყალაბეგიშვილი.

სეზონი 24 ოქტომბერს გაიხსნა დ. ერისთავის „სამშობლოთი“. სეზონის განმავლობაში, რომელიც 8 თებერვალს დაიხურა, სულ 24 წარმოდგენა გაიმართა და 9000-მდე მაყურებელი დაესწრო. დიდგა მთელი რიგი ახალი ნაწარმოებები: გ. ზუდერმანის „პატიოსნება“, მოლიერის „ქმართა სკოლა“, ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული „დარღვეული კერა“, პ. იბსენის „ხალხის მტერი“, ა. ცაგარლის „ცი-სარტყელა“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ და სხვ. ლადო მესხიშვილმა სოლეიმან ხანის როლი ითამაშა „ღალატში“, ხოლო შტოკმანი „ხალხის მტერში“.

რეპერტუარი ამ სეზონში უდავოდ მრავალფეროვანი იყო, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ პასუხობდა არსებულ საზოგადოებრივ-პოლტიკურ ვითარებას. მშრომელი ხალხი რევოლუციისათვის ირახმებოდა. უკვე ხშირი იყო ისეთი ამბები, როგორც, მაგალი-

თად, 1903 წლის ივნისში ხონში მოხდა, როდესაც სცენისმოყვარეთა წარმოდგენის დროს (ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები“) დარბაზში არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციის პროკლამაციები გაავრცელეს.

**გასტროლები.** ლ. მესხიშვილმა რამდენიმე წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა თბილისში (ა. სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწილი“. ფ. შილერის „ყაჩაღები“, პ. ჯიაკომეტის „დამნაშავეის ოჯახი“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“ და სხვ.).

30 მაისს ზესტაფონში ახალი სათეატრო შენობა გაიხსნა და ქუთაისის დასმა ითამაშა დ. ერისთავის „სამშობლო“. ხოლო შემდეგ დღეებში — კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, პ. იბსენის „ხალხის მტერი“ და ფ. კარეევის „ცხოვრების გმირი“.

**ქართული თეატრის ვითარება.** საქართველოში თანდათან მწვევდებოდა პოლიტიკური მდგომარეობა, მშრომელები უფრო აქტიურად გამოდიოდნენ ბრძოლის ასპარეზზე. ასეთ გარემოებაში საზოგადოება და პრესა ქართული თეატრისაგან მოითხოვდა აქტიურ მონაწილეობას ხალხის ბრძოლაში.

1903-1904 წლების სათეატრო სეზონის დამთავრების შემდეგ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№-2484, 1904) აღნიშნავდა რა ქართული თეატრის ჩამორჩენას, წერდა: „ჩვენს სცენას დღეს დაუდგა სერიოზული კრიზისი, ჩვენის თეატრისათვის ყოვლად შეუძლებელია არსებობა ისე, როგორც არსებობდა დღემდის! „ყოფნა, არ ყოფნა?“ აი რა კითხვა დგას დღეს ქართული თეატრის წინაშე.“ შემდეგ აღნიშნავდა, რომ ქართული თეატრისათვის „საჭიროა ახალი გზა, ახალი ცხოვრება, რეფორმები, რეორგანიზაცია, თორემ ქართული თეატრი სამუდამოდ დაილუპება“.

ამავე დროს გაიზარდა მაყურებლის ინტერესი თეატრისადმი. რევოლუციური მოძრაობით გატაცებულ მშრომელ ხალხს სურდა თეატრში წინაა ამ მოძრაობის გამოძახილი, ამიტომაც პრესა სრულებით მართებულად მოითხოვდა თეატრის მესვეურთაგან, რომ თეატრს დროის სოციალ-პოლიტიკური ამოცანებისათვის, რევოლუციურად განწყობილი მშრომელი ხალხის სულიერი მოთხოვნილებისათვის უფრო მეტად ეპასუხა. „ვინც ხშირად დაიარება ქართულ წარმოდგენებზე, — კვითხულობთ გაზეთ „ივერიაში“ (№-122, 1904), — შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ის ახალი სახე, რომელიც თეატრის მაყურებელმა მიიღო. მასთან ერთად, ვისთვისაც თეატრი უბრალო დროს გასატარებელ ადგილად გამხდარა, თქვენს ყურადღებას იპყრობს სულ სხვა ჯგუფი მაყურებელთა; თქვენ ამ მაყურებლის სახეზე ნათლად კითხულობთ, რომ მაყურებელი თეატრ-

ში მისულა, რომ გაიგოს ახალი სიტყვა“... აღნიშნავდა რა ხალხის ასეთ დიდ ინტერესს თეატრისადმი, გაზეთი ეკითხებოდა ქართული თეატრის გამგებელს — ქართულ დრამატულ საზოგადოებას: „პოულობს კი მაყურებელი ქართულ თეატრში პასუხს იმ კითხვებისას, რომელიც დაბადებია და რომლის გადაწყვეტაც მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს? ან თუ პოულობს, შესაფერა და პეშმარიტია იგი, თუ შეუფერებელი და მავნე? ერთი სიტყვით, ასრულებს თუ არა ქართული თეატრი, რომელსაც დღევანდელი ჩვენი ცხოვრების განვითარების მეტად რთული მოვალეობა დაჰკისრებია, თავის დანიშნულებას და თუ ვერ ასრულებს, როგორ უნდა უშველოს საქმეს. ყველა ამ კითხვას საზოგადოებამ დაუყოვნებლივ უნდა გაუწიოს ანგარიში. მარტო სანტიმენტალური აღიარება ჩვენი ცოდვებისა არა კმარა“.

ამ დაჟინებით მოთხოვნაზე დრამატული საზოგადოების გამგეობა პასუხს არ იძლეოდა და თავის კონსერვატორულ ხაზს განაგრძობდა. უფრო მეტიც: ასეთ კრიტიკულ ვითარებაში მან სრულებით არ მოამზადა 1904-1905 წლ. სათეატრო სეზონი. საერთოდ ხელი აიღო დასის ხელმძღვანელობაზე, და ამრიგად თეატრი უპატრონოდ მიატოვა. 1904 წლის 19 სექტემბერს შედგა დრამატული საზოგადოების წევრთა წლიური კრება და არჩეული იქნა ახალი გამგეობა. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს თავადი ა. ჯამბაკურ-ორბელიანი, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ — „უგანათლებულესი კნენია“ გრუზინსკისა. ეს იყო ქართველ რეაქციონერთა ერთგვარი დემონსტრაციული აქტი იმ პროგრესული საქმიანობის წინააღმდეგ, რასაც დრამატული საზოგადოებისაგან მოითხოვდნენ. ამრიგად, დრამატული საზოგადოებაც სრულებით ემიჯნებოდა რევოლუციურ მოძრაობას და ამასთანავე ერთად იცილებდა პასუხისმგებლობას იმ ერთადერთი საქმიდან, რაც მის მთავარ ამოცანას — დრამატული დასის ხელმძღვანელობას, შეადგენდა.

ამავე დროს გამოირკვა, რომ დრამატული საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა კატასტროფული იყო და ძველი გამგეობის ანგარიშები — არეული. საზოგადოება გაკოტრების კარზე იდგა. ამ ხიფათს იგი გადაარჩინეს ძმებმა ზუბალაშვილებმა. ამ კაპიტალისტებმა საზოგადოებას 5000 მანეთი შეწირეს. ამის გამო ისინი საზოგადოების საპატიო წევრებად აირჩიეს. საპატიო წევრის სახელს ატარებდა, აგრეთვე, მეფისნაცვალი გოლიცინი, რომელმაც საზოგადოებას ასევე შეწირა ფული.

შესაძლოა, დრამატული საზოგადოების ასეთი საქციელით სრულებით ჩაშლილიყო სათეატრო სეზონი, მაგრამ დასი გადაურჩა ამ ხიფათს. მას სათავეში ჩაუდგა ქართული თეატრის გულშემოტი-

ვართა ჯგუფი ამხანაგობის სახით. ამ ამხანაგობის წევრებმა 50-50 მანეთი შეაგროვეს და ამ პატარა თანხით ითავეს დასის მართვა-გამგეობა.

თუმცა არც ეს ამხანაგობა იყო რევოლუციურად განწყობილი.

ყველა ამ გარემოებამ განაპირობა თბილისის ქართული თეატრის ჩამორჩენა. რევოლუციის ამ ბობოქარ ხანაში მან ვერაფერი შემატა ქართულ სათეატრო ხელოვნებას, ვერაფრით უპასუხა თანადროულ საჭირობოროტო საკითხებს.

**1904-1905 წლების სეზონი.** მისი რევოლუციური რეპერტუარი. სულ სხვა მიმართულება მიიღო ქუთაისის დრამატული დასის მოღვაწეობამ, რომელსაც უშუალოდ სათავეში კვლავ ლადო მესხიშვილი ედგა. უკვე ზაფხულიდან დაიწყო მან სეზონის სამზადისი. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№-2540, 1904) იტყობინებოდა, რომ მესხიშვილს „განზრახვა აქვს სეზონის განმავლობაში უმთავრესად ყურადღება მიაქციოს იდეურსა და შინაარსიან პიესებსო“. ამრიგად, მესხიშვილი შეგნებულად ცდილობდა თეატრი რევოლუციური მოძრაობისათვის დაეჭვებდებარებინა.

დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგა: ქალები — დ. ივანიძე, ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ბ. რონელი, ნ. გამყრელიძე, ვაჟები — დ. ბაქრაძე, ნ. გვარაძე, გ. თუთბერიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, მ.ამაშუკელი, ი. ზარდალიშვილი, ა. მურუსიძე, დ. ჩარკვიანი, ლ. მირიანაშვილი, ა. ჯაყელი, თ. შველიძე და სხვ.

მესხიშვილი შეეცადა ელემენტარული თეორიული ცოდნა მიეცა მსახიობებისათვის, რომელთა უმეტესობა ახალგაზრდები იყვნენ. ამ მიზნით მან შემოიღო ლექციების კითხვა შემდეგ საგნებში: თეატრისა და დრამის ისტორია — ლექტორი ა. გარსევანიშვილი, სიტყვიერების ისტორია — ი. პიასეკი, ანატომია, ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია — ექიმი ი. გომართელი, სასცენო ოსტატობა — ლ. მესხიშვილი.

სათეატრო სეზონი გაიხსნა 1 ოქტომბერს ვ. პროტოპოპოვის პიესით „ცხოვრების გარეშე“, რომელშიც ასახული იყო შინამოსამსახურეთა დუხჭირი ყოფა მდიდარ ოჯახში. სოციალური წინააღმდეგობანი დიდი სიმკვეთრით წარმოსახეს მსახიობებმა. სპექტაკლი მაყურებელმა აღტაცებით მიიღო. მათი მოთხოვნით პიესა მეორედ წარმოდგინეს, წარმოდგენაზე ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. დარბაზში სინათლეც კი ჩააქრეს, მაგრამ ხალხი არ დაიშალა და ოვაციები პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიზარდა. საქმეში პოლიცია ჩაერია და ხალხი ძალით გაფანტა.

3 ოქტომბერს ლადო მესხიშვილმა ჩვეული ოსტატობით შეას-

რულა ფრანც ბოორის როლი ფ. შილერის „ყაჩაღებში“. როგორც ყოველთვის, მან ხაზი გაუსვა ფრანცის დესპოტურ ხასიათს, რაც ერთგვარად ეხმაურებოდა არსებულ ცარისტულ დესპოტიზმს. ამ წარმოდგენამაც ამაღელვებლად იმოქმედა მაყურებლებზე.

10 ოქტომბერს, პირველად ქუთაისის სცენაზე, წარმოდგენილი იქნა რ. ბარეტის დრამა „ახალი მოძღვრება“ — ქრისტიანების დევნის თემაზე ძველ რომში. პიესაში გამოსახული რელიგიური ჩაგვრა ასევე ეხმაურებოდა არსებულ თანადროულ სოციალურ უსამართლობას და ამიტომ მაყურებელი ამ სპექტაკლსაც ძალზე ეტანებოდა. პიესაში როლებს ასრულებდნენ: ლადო მესხიშვილი (რომის პრეფექტი მარკოსი). ნინო დავითაშვილი (ქრისტიანი ქალი მერცია), ნერონის როლის შესასრულებლად პირველ წარმოდგენაზე მოწვეული იყო მსახიობი გედეონ გედევანოვი, ხოლო მეორეზე — კოტე მესხი.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№-2668, 1909) „ახალი მოძღვრების“ წარმოდგენის შესახებ წერდა: „ახალი მოძღვრება“ ქუთაისის დასის მიერ წარმოდგენილი, გზიბლავს და გავიწყებს აქტიორებს და სცენას“.

21 ოქტომბერს შესანიშნავად იყო წარმოდგენილი ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“ (ლადო მესხიშვილი — იუსოვი). ამ წარმოდგენასთან დაკავშირებით გაზეთ „რეკრიაში“ (№-244, 1904) წერდნენ. რომ „ბატონ ალექსი-მესხიშვილის შრომით ჩვენმა ქართულმა სცენამ დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, როგორც პიესების შერჩევით, ისე როლების ზედმიწევნით შესწავლით“

„ღალატი“. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე ა. სუმბათაშვილის „ღალატმა“, რომელიც წარმოდგენილი იქნა 24 ოქტომბერს. ლ. მესხიშვილი თამაშობდა სოლეიმანის როლს, ხოლო ზენაბისა და ოთარ-ბეგის როლების შესასრულებლად თბილისიდან მოწვეული იყვნენ ნინო ჩხეიძე და ვალერიან გუნია.

ეს პიესა საქართველოს ისტორიულ წარსულს წარმოგვიდგენდა, მაგრამ ეს წარსული მარტო გაბატონებული წოდების მეფე ფეოდალების ცხოვრებას კი არ გამოხატავდა, როგორც საერთოდ მიღებული იყო ქართულ ისტორიულ პიესებში, ნაწარმოებში ხაზგასმული იყო ხალხის სიმტკიცე და მგზნებარე პატრიოტული განწყობა მშობლიური ქვეყნის დასაცავად.

„ღალატის“ ეს ხალხურობა ერთგვარად ეხმაურებოდა თანადროულობას — მშრომელი ხალხის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. ამიტომ ქუთაისის სცენაზე, ისევე როგორც მთელ რუსეთში ეს ნაწარმოები დიდი წარმატებით დაიდგა.

3. პაუპტმანის დრამა „როზა ბერნდ“, რომელიც ქუთაისის დასმა 3 ოქტომბერს წარმოადგინა, გამსჭვალული იყო პროტესტული სუ-

ლისკვეთებით სოციალური უსამართლობის მიმართ. ამ პიესამაც მაცურებლის ცხოველი ინტერესი გამოიწვია, ხოლო გაზეთი „ივერია“ (№-8253, 1904) წერდა: „... საზოგადოდ ბატონის, ალექსი-მესხიშვილის წლებანდელი დასი და მისი ერთგული მუშაობა თავდებია იმისა, რომ ეს სეზონი ნაყოფიერი იქნება და ძლიერაც განსწავდება შარშანდელ ოცნებურ სეზონისაგან“.

26 ნოემბერს წარმატება ხვდა წილად აგრეთვე ო. მირბოს კომედიას „საქმის კაცი“, რომელშიც მხილებული იყო კაპიტალისტთა მტაცებლური ბუნება.

„კაი გრაკხი“. 12 დეკემბერს ლადო მესხიშვილმა დადგა ვ. მონტის ტრაგედია „კაი გრაკხი.“ პიესაში გამოსახული იყო პლებეების წრიდან გამოსული კაი გრაკხის ბრძოლა პატრიციების წინააღმდეგ ძველ რომში. გაზეთ „ცნობის ფურცელს“ (№ 2701, 1904) მოჰყავდა ტრაგედიის შინაარსი და შემდეგ წერდა: „...თუმცა შინაარსი პიესისა რომის ისტორიის დროიდან არის აღებული, პიესას ისტორიულს გარდა, თანამედროვე მნიშვნელობაც აქვს, რადგან სააგრარიო საკითხს ეხება“. გაზეთის ცნობით, პიესა მაცურებელს ძალიან მოსწონებია, „რაც არაერთხელ აღნიშნული იქნა ტაშისცემითა და „ვაშას“ ძახილით“. მაგრამ ამავე დროს გაზეთი აღნიშნავდა, რომ პიესას მომზადება აკლდა, მსახიობებმა როლები ღვირიანად არ იცოდნენ, თვით ლადო მესხიშვილმაც კი.

დასმა „კაი გრაკხი“, უკვე რიგინად მომზადებული, გაიმეორა 9 იანვარს. წარმოდგენას უამრავი ხალხი დაესწრო. თეატრი გაჰყვდილი იყო. მაცურებელი განსაკუთრებით აღტაცებული იყო იმ ადგილით, სადაც კაი გრაკხი (ლ. მესხიშვილი) ფორუმზე შეკრებილ რომაელებს გაბედულად მიმართავს პატრიციების ბატონობის საწინააღმდეგო სიტყვით. ამ სცენის შესრულების დროს დარბაზში ხმაური ატყდა, გაისმა რევოლუციური ლოზუნგები და სიმღერა. თეატრში მყისვე პოლიცია გაჩნდა. ლადო მესხიშვილმა ტელეფონით მიმართა გუბერნატორს გაეყვანათ თეატრიდან პოლიცია, მაგრამ უარი მიიღო. თეატრს პოლიცია მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ წარმოდგენა შეწყდებაო. მესხიშვილი იძულებული იყო წარმოდგენა შეეწყვიტა, რადგან შეიძლება შეტაკება მომხდარიყო პოლიციას და მაცურებელთა შორის.

ფ. ფილიპის პიესაში „კაცობრიობის კეთილისმყოფელი“, რომელიც 6 თებერვალს იქნა ნაჩვენები, ლ. მესხიშვილი ახალგაზრდა ექიმის მარტიუსის როლს ასრულებდა. მარტიუსი ილაშქრებდა მეცნიერებაში გამეფებული კონსერვატიზმის წინააღმდეგ. მართალია, პიესის შინაარსი ძალიან შორს იყო რევოლუცი-

ური მოძრაობისაგან, მაგრამ ლ. მესხიშვილმა პროგრესულად მოაზროვნე ექიმის როლი ისეთი პროტესტული განწყობილებით შეასრულა, რომ პიესამ რევოლუციური აერი მიიღო და ამით მაყუჩების დიდი მოწონება დაიმსახურა.

13 თებერვალს ახალგაზრდა მსახიობი ქალის, ნინო დავითაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იყო სოციალური ბრძოლის მოტივებით გაელენთილი „მომსიბლავი ზღაპარი“ ი. პოტაპენკოსი. მობენეფისემ კარგად შეასრულა პიესის მთავარი გმირის, ლარიბი ახალგაზრდა ქალის, ნატაშა ბობროვას დრამატული როლი.

20 თებერვალს გ. ზუდერმანის დრამაში „ბეპელათა ბრძოლა“ ლ. მესხიშვილმა დიდი მამხილებელი ძალით ითამაშა პიესის მთავარი გმირის რიჰარდ კესლერის როლი.

„რუი ბლაზი“. 28 თებერვალს დასმა წარმოადგინა ვ. ჰიუგოს დრამა „რუი ბლაზი“. ეს იყო ლადო მესხიშვილის საბენეფისო სპექტაკლი და მან შეასრულა რუი ბლაზის როლი. ლადო მესხიშვილის სასცენო შემოქმედებაში მუდამ იგრძნობოდა რომანტიკული ტენდენცია. მან ბრწყინვალედ გამოხატა ვ. ჰიუგოს ამ რომანტიკული დრამის მთავარი გმირის სახე.

წარმოდგენა გამსჭვალული იყო ღრმა პროტესტით ადამიანთა უთანასწორობისა და უსამართლობის მიმართ, ამიტომაც მაყურებელმა იგი დიდი აღტაცებით მიიღო და დარბაზში რევოლუციური სიმღერაც კი გაისმა. „წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო, — ვკითხულობთ „ივერიაში“ (№-14, 1905) — ანტრაქტების დროს გალერეაზე საამდროვო სიმღერები გაისმა. პარტერიდან ავიდა ერთი ახალგაზრდა დიპლომიანი ვეჟილი და მომღერალთა ურჩევდა: გაჩუქდით. თეატრს ხიფათი მოეღისო. პარტერშიც შიშობდნენ — ყაზახები შემოგვესევიან, ავგაწიოკებენო. სხვაფრივ წარმოდგენამ იშვილობიანად ჩაიარა“.

27 თებერვალს უნდა გამართულიყო სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა „კაი გრაჰი“, მაგრამ გუბერნატორმა დემონსტრაციის შიშით, პიესის დადგმა აკრძალა და მის ნაცვლად დასმა წარმოადგინა „ცხოვრების გარეშე“.

გარდა ზემოთ ნახსენები პიესებისა, ქუთაისის დრამატულმა დასმა სეზონის განმავლობაში კიდევ დადგა: თ. ხუსკივაძის ისტორიული პიესა „მეფის მოღალატე“, ა. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავაზ“, ა. სუმბათაშვილის „შეგარდნები და ყორნები“, უ. შექსპირის „ოტელო“ და „ჰამლეტი“ და პ. იბსენის „ჩრდილოეთის გმირები“.

ამ სეზონში ქუთაისის დრამატულმა დასმა ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით თავი ისახელა თანამედროვე ცხოვრების შესა-



ფერი რეპერტუარის შერჩევით და მისი შესრულებით. დასმა მტკიცე ოდერი კონტაქტი დაამყარა რევოლუციურად განწყობილ მაყურებელთან. სცენაზე წარმოთქმული გაბედული სიტყვა მხურვალე გამოძახილს პოულობდა მაყურებელში.

პრესა დიდი ქებით იხსენიებდა ქუთაისის თეატრის ამ სეზონის მოღვაწეობას. ცნობილმა ქუთაისელმა პედაგოგმა თეოფილე ხუსკივაძემ გაზეთ „ივერიაში“ (№-21, 1905) წერილი მოათავსა სათეატრო სეზონის შედეგებზე. იგი უწონებდა მესხიშვილს რეპერტუარის შერჩევას. „ბატონი მესხიშვილი გამოცდილი და დახელოვნებული მსახიობია, — წერდა თ. ხუსკივაძე, — რომელმაც ალლო აილო დღევანდელი ცხოვრების განვითარებისა, კბილები გაუსინჯა მის მოახოვნილებას, აწონ-დაწონა მისი გემოვნება, აზროვნება, ესთეტიკა და ამ მოთხოვნილების შესაფერი რეპერტუარიც შეადგინა“.

ხუსკივაძე შეინდგე წერდა, რომ, მართალია, ეს რეპერტუარი უმთავრესად არაქართული პიესებისაგან შედგება, მაგრამ არაფერი გვეთქმის, რადგან ჩვენი დროის შესაფერი ხასიათის ქართული ორიგინალური პიესები არ მოგვეპოვებაო. ხოლო ისეთი პიესები, როგორცაა „კაი გრაკხი“, „კაცობრიობის კეთილისმყოფელი“, „ახალი მოძღვრება“ და „ექიმი შტოკმანი“, თავისი შინაარსით მოსწონს ხალხს, რადგან იქ გამოთქმული აზრები ხალხის გულის დარღვა-რამს, მათ მისწრაფებას გამოხატავსო. „ბატონმა მესხიშვილმა ამგვარი პიესების დადგმით, — წერდა თ. ხუსკივაძე, — ეს მისწრაფებანი და ხალხის გულის თქმანი თავისის დასის ხელოვნური თამაშით განახორციელა და ისე ღრმად ჩაბეჭდა მათ გონებაში, როგორც თვალსაჩინო, სწავლის დროს ბავშვის ნორჩ გონებაში სამუდამოდ აღმოუფხვრელი რჩება მასწავლებლის ფონიერად ახსნილი რაიმე ახალი მცნება“... „ამგვარად, წლებიანდელმა დრამატულმა დასმა, ერთის მხრივ, სიყვარული და მადლობა დაიმსახურა საზოგადოებისა და მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გააღვივა ხალხის გულში აღგზნებული ახალი ცხოვრებისადმი მისწრაფებანი, აღძრა კეთილშობილური, გრძნობანი ბოროტების დასაგმობად და ახალი ცხოვრებისათვის გზის გასაკაფავად“.

გასტროლები. ამ სეზონში ლადო მესხიშვილისა და მისი დასის გასტროლები საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში ჩატარდა.

ზესტაფონში დასმა სხვადასხვა დროს სამი წარმოდგენა გამართა: „კრეჩინსკის ქორწილი“, „ცხოვრების გარეშე“ და „კაი გრაკხი“. ფოთში წარმოადგინა „ცხოვრების გარეშე“ და „ხალხის მტერი“.

ბათუმში წარმოდგინეს „ცხოვრების გარეშე“ და „ახალი მოძღვრება“. წარმოდგენას მეტწილად ბათუმის მუშები დაესწრნენ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№-2665,

1905) წერდა: „ცხოვრების გარეშე“ ვ. პროტოპოპოვისა დიდის ყურადღებით მოცმინა თეატრში მყოფმა საზოგადოებამ, რომელიც შესდგებოდა ქართველთა იმ ნაწილისაგან, რომელიც უფრო იჩენს დღეს სიცოცხლეს და მოძრაობას და რომელსაც თეატრი მართლა სკოლად აქვს მიჩნეული და არა უბრალო გასართობად... ამგვარად მაყურებელთა წინ თანაში არტისტიკისათვის ნიჭის გამაღვიძებელი გარემოება უნდა იყოს უსათოდ; ამგვარ მსმენელთა წინაშე თამაში არტისტიკისათვის ნამდვილ სიამოვნებას უნდა შეადგენდეს“. გაზეთი სამართლიანად მიუთითებდა ქუთაისის დასის სწორედ ამ სანაქებო თვისებაზე, რომელიც მას ამ დროს ახასიათებდა. ეს იყო მშრომელთა აუდიტორიის სულისკვეთებისა და მისწრაფების ალღოს აღება, რეკოლუციური განწყობის შთანერგვა.

„კაი გრაჰხი“ ბათუმში. ამასთან დაკავშირებით ბათუმის მუშები დიდი ინტერესით ელოდებოდნენ „კაი გრაჰხის“ წარმოდგენას, როგორც პროტესტული სულისკვეთების საუკეთესო სპექტაკლს.

ქუთაისის დასს „კაი გრაჰხი“ ბათუმში 21 დეკემბერს უნდა წარმოედგინა. ქალაქის მუშებს ბილეთები წინასწარ ჰქონდათ შეძენილი. (წარმოდგენის აღმინისტრატორი იყო მუშა-ბოლშევიკი ილარიონ დარახველიძე). დასი ბათუმში ჩავიდა, მაგრამ „კაი გრაჰხის“ ნაკლებად იბსენის „ჩრდილოეთის ცემირები“ წარმოადგინა. „კაი გრაჰხის“ დადგმა ვერ მოხერხდა, რადგან ლაღო მესხიშვილს თამაში არ შეეძლო, — ერთი კვირის წინ თბილისში „ყაჩაღებში“ ფრანც მორის როლის შესრულების დროს, ჩამოხრჩობის სცენაში თოკი გაუწყდა, ჩამოვარდა და ხელი იღრძო.

ლაღო მესხიშვილმა მოგვიანებით, როცა უკვე ხელი მოურჩა, ბათუმში მაინც დადგა „კაი გრაჰხი“. ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა, რომ მან „მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე“ და ლაღო მესხიშვილის გამოძახებას სცენაზე დასასრული არ ჰქონდა. საცენაურო პირობების გამო გაზეთს არ შეეძლო დაეწერა, რომ წარმოდგენა ცარიზმის საწინააღმდეგო დემონსტრაციით დავეირგვინდა, მაგრამ ეს ამბავი არ გამოჩნა ბოლშევიკურ გაზეთ „ვეერიოდს“, რომელსაც ენევაში ვ. ი. ლენინი ბეჭდავდა. გაზეთის 1905 წლის მერვე ნომერში მოთავსებული იყო ინფორმაცია ბათუმში მომხდარი ფაქტის გამო: „დადგეს ქართულ ენაზე „კაი გრაჰხი“, თეატრი გაჭედილი იყო მუშებით, ფარდა დაეშვა თუ არა, გაისმა მარსელიეზის სიმღერა, სიმ-

ღერათ გამოვიდნენ ყველანი თეატრიდან და აქვე შეჯგუფდნენ, აღფრთოვანებული შეძახილებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „ძირს პოლიცია!“, „ძირს ომი!“ აქვე ესწრებოდნენ ბოქაული და ჩაფრები. შემდეგ მუშები რევოლუციური სიმღერებით გაემართნენ მუშათა უბნისაკენ, 2 1/2 ვერსის დაშორებით“...

„კაი გრაჰნი“ თბილისში. ლადო მესხიშვილმა სეზონის მანძილზე რამდენიმეჯერ მიიღო მონაწილეობა თბილისის დრამატული დასის წარმოდგენებში: 27 ოქტომბერს ითამაშა პიესაში „ახალი მოძღვრება“. 15 დეკემბერს „ყაჩაღებში“ შეასრულა ფრანცის როლი (სწორედ ამ სპექტაკლში დაუშავდა ხელი), 24 თებერვალს რუი ბლაზის როლი ითამაშა ვ. ჰიუგოს „რუი ბლაზში“, ხოლო 17 თებერვალს, სათეატრო სეზონის გარეშე, თავისი რეჟისორობით დადგა „კაი გრაჰნი“. ყველა წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა წილად, განსაკუთრებით კი „კაი გრაჰნს“. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№-2748, 1905) წერდა: „ჩვენ საზოგადოებას მეტად მოეწონა ეს პიესა. გაჭვდილი თეატრი საოცარი აღტაცებით და ტაშისცემით ეგებებოდა კაის ყოველ მონოლოგს, სადაც კი ხალხის უფლებებსა და გაბატონებულთა ძალმომრეობაზე იყო ლაპარაკი“. „ივერიაში“ (№ 3, 1905) წერდნენ: „თუმცა მხატვრული ღირსებანი ამ პიესაში სრულად არ მოიპოვება, მაგრამ მაინც პიესის შინაარსი ბევრიგად ეხმატებილება დღევანდელ ვითარებას ხალხისა“. შემდეგ იტყობინებოდა თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წარმოდგენამ: „ხშირად აწყვეტინებდა ხოლმე საზოგადოება ტაშის გრგვინვით მსახიოზს სიტყვას, სიტყვას არც თუ აგრე მგზნებარეს და დიადის აზრით გამსჭვალულს, მაგრამ ამისთანა წამებში ავტორის მგზნობიარობისა და აზრის მაგივრობას ეწეოდა თვით აღტყინებული გრძნობა საზოგადოებისა, რომლის ილუზია ავსებდა იმას, რაც დააკლო ავტორმა“.

ქუთაისში სათეატრო სეზონის დამთავრების შემდეგ დასი ლადო მესხიშვილის მეთაურობით საგასტროლოდ გაემგზავრა, 10 და 11 მარტს გორში ითამაშა „ცხოვრების გარეშე“ და „კაი გრაჰნი“, 13 მარტს თბილისში ითამაშა „კაი გრაჰნი“. „საზოგადოება დიდი აღტაცებით მიეგება „კაი გრაჰნის“ წარმოდგენას—ეკითხულობთ „ცნობის ფურცელში“ (№ 27, 71, 1905), — მიგებება კი უცნაური იყო. სცენასა და პუბლიკას შორის დიალოგები გაიმართა. ყოველი სიტყვა მსახიობისა შესაფერ ხმამაღალ გამოთქმულ დაფასებას და გრძნობას იწვევდა მაყურებლებში (წინა რიგები არ იღებდნენ მონაწილეობას)“.

გაზეთი „ივერია“ (№-27, 1905) წერდა: „ქუთაისის დრამატული დასის მოფიქრებულმა და შეთანხმებულმა თამაშმა ცხადპყო, თუ რა

დიდი მნიშვნელობა აქვს დასისათვის იმისთანა ნიჟიერ ხელმძღვანელს, როგორც ჩვენი საუკეთესო მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილია, რომელმაც სრულებით გამოუცდელ და მოუმზადებელ მსახიობთაგან შეადგინა დასი, რომელიც ჩვენ „პროფესიონალურ“ მსახიობთაგან შემდგარ დასს არ ჩამოუვარდება“. გაზეთი კერძოდ ახალგაზრდა მსახიობ რუზა ზარდალიშვილზე წერდა, რომ იგი კარგად თამაშობდა კაი გრაჰის მოწინააღმდეგე პატრიცის როლს. უკეთესად ითამაშებდა, რომ საზოგადოების განწყობილებას არ შეეშფოთებინაო. მისი ყოველი სიტყვა, გრაჰის წინააღმდეგ მიმართული, მაყურებელში აღშფოთებას იწვევდა, ისმოდა „ძირს“ და სხვა ამგვარი სიტყვები. ამის ფამო ახალგაზრდა მსახიობი შეშინებულა და დაბნეულა. გაზეთი წერდა, რომ მსახიობს გულს არ უნდა დააკლდეს ამგვარი წამოძახილებით. ეს იმის დამადასტურებელია, რომ მას ნათლად დაუხატავს პატრიცის საზიზღარი სახეო.

ამ წარმოდგენაზე სხვა ამბებიც მომხდარა, რის შესახებ პრესაში არაფერია აღნიშნული, ალბათ ცენზურის შიშით. მაგრამ საინტერესო მოვონება შემორჩა მწერალი ქალის მარიამ გარიყულისა (თათიშვილი), რომელიც ქუთაისის დასში იყო მსახიობად და გასტროლებშიც იღებდა მონაწილეობას. იგი წერს: „პატრიცის (ი. ზარდალიშვილი) სიტყვებმა ასე ააღელვა საზოგადოება, რომ თეატრში წარმოდგენის დროს დაიყვირეს: „ძირს“ ძირს!“ ამ სიტყვებმა ერთობ შეაშინა როგორც თეატრის ადმინისტრაცია, ისე ლოყებში მსხდომი ბრწყინვალე საზოგადოება. წამოიჭრა ვიღაც ახალგაზრდა, კავალერიის ოფიცერი (შემდეგ გავიგე, ამილახვარი იყო) და დაიყვირა: „ფარდა, ფარდა ჩამოუშვიო“. ამ დროს უკანასკნელი ქანდარიდან ტრიალ-ბზრიალით წამოვიდა ფურცლები (პროკლამაციები) და თოვლის ფანტელივით დააცვივდა ხალხს თავზე. ახლა კი შეიქნა აღიაქმთი, ატყდა სტვენა, გაჩნდა პოლიცია და ხალხს დაუწყეს დარბაზიდან გარეკვა“ (მ. გარიყული, განვლილი გზა, თბ., 1943).

„კაი გრაჰი“ განჯაში. ქუთაისის დასმა 19 მარტს „კაი გრაჰი“ განჯაში დადგა. იქ დასი მიიწვიეს რკინიგზის სადგურის ქართველმა მუშა-მოსამსახურეებმა. წარმოდგენა მაყურებელს ჩინებულად მიუღია და მისი მსვლელობის დროს პროკლამაციებიც გავრცელებულა. მსახიობ ნიკო გვარამის გადმოცემით — უტბად მთელ თეატრში ჩამქრალა სინათლე და ცოტა ხნის შემდეგ ელექტროგანათება კვლავ ჩაურთავთ, ხოლო ამ სიბნელეში რევოლუციონერებს თეატრის დარბაზი პროკლამაციებით მოუფენიათ. ატეხილა ტაშისცემა და ხმაური. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მაყურებლები რევოლუციური სიმღერებით დაშლილან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ

სინათლის ჩაქრობა და პროკლამაციების გავრცელება ლ. მესხიშვილის დასტურით მომხდარა.

„კაი გრაჟი“ ქუთაისის დასმა კიდევ 8 აპრილს ითამაშა ბათუმში.

ქუთაისის დასის გასტროლები დამთავრდა. საგასტროლო მოგზაურობა მოწყობილი იყო ლ. მესხიშვილის მატერიალური პასუხისმგებლობით. პოლიტიკურად ამ გასტროლებმა დიდი ნაყოფი გამოიღო, ხოლო რაც შეეხება მატერიალურ მხარეს — მესხიშვილისათვის ის არასახარბიელო იყო. ნ. გვარამძე მოგონებაში წერს: „მესხიშვილმა ყველას დავეირიგა ხვედრი ჰონორარი; თვითონ კი აღარაფერი. დარჩა და, პირიქით, თავის ბენეფისზე საზოგადოების მიერ მორთმეული ნივთების დაგირავება დასჭირდა“ (ნ. გვარამძე, თეატრალური მემუარები, თბ. 1949).

ლადო მესხიშვილის სიტყვა თავადაზნაურობის კრებაზე. ლ. მესხიშვილი თავისი აქტიური პროგრესული შემოქმედებითი მოღვაწეობით ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. სამაგიეროდ მან ბლომად გადაიმტერა ქართველი რეაქციული თავადაზნაურობა. ამ ნიადაგზე მოხდა მწვავე კამათიც მესხიშვილსა და თავადაზნაურობას შორის. 1905 წელს, აპრილში ქუთაისში ბჭობის საგანს მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა გამოსვლები შეადგენდა. მემამულე თავადიშვილები ღონისძიებებს ეძებდნენ გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩასახშობად. კრების ერთ-ერთმა მონაწილემ ახსენა ლ. მესხიშვილი როგორც გლეხების წამქეზებელი. მან სთქვა: იმისათვის, რომ მესხიშვილი უცხოეთში წასულიყო და ემკურნალა, ჩვენ შევაგროვეთ ფული და ამ შეგროვილი ფულით მესხიშვილმა იმკურნალა, ჩამოვიდა უცხოეთიდან და ახლა ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურებს სამარეს უთხრისო.

კრება თეატრში ჩატარდა, მას მესხიშვილიც ესწრებოდა. მან სიტყვა მოითხოვა. კრების ზოგიერთ წევრს არ სურდა მისთვის სიტყვის მიცემა, ატყდა აურზაური, მაგრამ ბოლოს მაინც მისცეს. მესხიშვილმა თქვა: „ბატონი იაშვილი მაყვედრის, რომ ჩვენ ფული შეგვგროვებთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინებთ და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ თავადაზნაურობას სამარეს უთხრისო. მოვახსენებ ბატონ იაშვილს, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, ვეკუთვნი მთელ ერს, ფულს როდი ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემ რწმენას, და ვერავითარი სასყიდელით ვერავინ ვერ მომისყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემ რწმენას ეწინააღმდეგება. ალბათ, ბატონ იაშვილი! „კაი გრაჟი“ აქვს მხედველობაში. მერე რა ვთქვი მე ამ პიესაში? მე დავანახვე აზნაურობას მისი ნაკლოვანება, მისი ზნეობრივი

და გონებრივი სილატაკე, მისი არაბობა დღევანდელ ცხოვრებაში. აი, თქვენ შეკრებილხართ საერთო კითხვების გადასაჭრელად. აქ ბევრი წინააღმდეგია დღევანდელი ბიუროკრატიული წესწყობილები-სა და კიდევ წარმოთქვამს თავის აზრს. მეც წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მე აქ ლაპარაკის ნება არა მაქვს, საპასუხო სიტყვასაც კი არ მანებებენ. მე აი რა შემძლია გითხრათ თამამად: აზნაურობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, აზნაურობა თავისი საქციელით ხშირად წინ ეღობება დღევანდელ მოძრაობას, იგონებს რაღაც უმნიშვნელო, უაზრო საშუალებას და ფიქრობს ამით გამანათავისუფლებელი წინსვლა შეაჩეროს. თქვენ თუ კავშირი და მოქმედება გინდათ, შეუერთდით ხალხს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. აი, ნამდვილი და უებარი წამალი. სამი დღე კი კრება იმართებოდა ყვირილისა და არეულობის მეტი არაფერი გაგვიკეთებიათ, ეს თქვენი თხოვნება და პეტიციები ერთ გროშადაც არა ღირს. ეს ყველაფერი ფუჭია. აი, ამას გუუბნებით მე დღეს აქ. ამასვე ვიტყვი მე ყველაფერს იქ, საცა ჩემი ნამდვილი ასპარეზია, სადაც წმინდა მოვალეობა მიმწევს — აი, ამ სცენაზე. ეხლა ხომ ცხადია რა ძლიერი ყოფილა იქიდან წარმოთქმული სიტყვა, როგორ მოუწვევს გული ზოგიერთებისათვის. დიახ, ეს სიტყვა ყველაფერზე უფრო ძლიერი ყოფილა და იქნება, ვიდრე თქვენი არეული ლაპარაკი. მესხიშვილი კიდევ შეგაკრებიანებთ ფულს, როცა მართალი სიტყვის გაგონება მოგინდებათ სცენიდან“ (გაზ. „მოგზაური“ №-15, 1905).

ეს ამბავი იმდენად მნიშვნელოვნად ჩაითვალა, რომ აღწერილი იყო პეტერბურგის ჟურნალში „ტეატრ ი ისკუსტვო“ (№-19, 1905). ჟურნალი აღნიშნავდა: „ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა არაჩვეულებრივი კრება მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ინციდენტით აღინიშნა, რომელიც მეტყველებს იმაზე, რომ თეატრს და აქტიორს არ შეუძლიათ არ გამოეხმაურონ საზოგადოებრივ მოვლენებს, თეატრს არ შეუძლიან არ შეეხოს პოლიტიკურ საკითხებს“.

ჩვენთვის მესხიშვილის ეს სიტყვები მრავალმხრივ არის საინტერესო. ის მართლაც სრული შეგნებით იღვწოდა რევოლუციურ სარბიელზე. კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ნათლად ჩანს, რომ თავისი მიზნის მისაღწევად მესხიშვილი შესანიშნავად იყენებდა თეატრს, საგანგებოდ არჩევდა დროის შესაფერ პიესებს და მას დროის შესაფერ ელერადობას აძლევდა. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა „კაი გრაჟხის“ დადგმა, რომელიც მესხიშვილმა შესანიშნავად დაუკავშირა თანადროულობას, გაამახვილა პიესის სოციალური არსი.

**ლადო მესხიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა.** პოლიტიკური ცხოვრება ჩქარი ტემპით ვითარდებოდა და ლადო მესხიშვილიც,

თანდათან უფრო აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში.

ამას ნათლად მოწმობს ერთი დოკუმენტი; რომელიც ს. გერსამიამ გამოაქვეყნა წიგნში „ქუთაისის თეატრი“ (თბ. 1947). ეს არის ქუთაისის გუბერნიის ეანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენება კავკასიის პოლიციის უფროსისადმი. დოკუმენტში გვითხვლობთ: „1905 წლის 25 აგვისტოს, ქუთაისის ქართული დასის მსახიობთა წარმოდგენის დროს, მეორე მოქმედებაში, მსახიობმა ალექსეევ-მესხიევმა სცენიდან ქართულად წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდებდა ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ. სიტყვის დამთავრებისას ხუთჯერ წარმოთქვა „სახალხო ბრძოლა“. ალექსეევ-მესხიევის შემდეგ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა წარმოთქვა უცნობმა ორატორმა, რომლის ვინაობა ჯერ გამოურკვეველია. მესამე მოქმედების შემდეგ სიმღერის მოყვარულთა გუნდმა სტუდენტ კონსტანტინე ფირცხალაშვილის (დედანში შეცდომაა — უნდა იყოს ფოცხვერაშვილის) ხელმძღვანელობით სამჯერ შეასრულა „მარსელეზა“, — აღსდექ ჩვენო რუსეთის მუშათა ხალხო“. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თეატრში მყოფი საზოგადოება რამდენიმე ჯგუფად დაიყო და ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით გაეშურა „მარსელიეზისა“ და სხვა რევოლუციური ჰანგების სიმღერით.

აკაკი ფაღვა მონოგრაფიაში „ლადო მესხიშვილი“ (თბ. 1938) მესხიშვილის პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ წერს: „მესხიშვილი თავმჯდომარეობდა 1905 წლის პირველ საჯარო მიტინგს ქალაქ ქუთაისში, მოედანზე, სადაც ამჟამად ლენინის ძეგლია აღმართული. მესხიშვილი გამოდის კრებაზე რევოლუციური სიტყვებით და დეკლამაციით. მესხიშვილი საჯაროდ კითხულობს შემდეგ ლექსს (რუსულად): „ძებო, არ გეყოფნის ძალა მოთმინებისა, არც მუდამ ბრძოლა შეგვიძლია ცხოვრებისათვის, რომელსაც მხოლოდ სიღარიბე და ჭმუნვა მოიცავს. გვინდა ჰაერი, წითელი მზე, ფართო მინდორი ყვავილებით აფერადებული, პირდაპირ მედგრად განვაცხადოთ ყველგან: ქარხნებში, ფაბრიკებში, მაღაროებში, აუწყეთ ყველგან ხალხს, რომ საჭიროა რვა საათი ძილი და რვა საათი თავისუფალი“.

თეატრის დეკორატორის სერგო ჭელიძის მოგონებით, ლადო მესხიშვილი ყოველნაირად უწყობდა ხელს რევოლუციურ საქმეს. მაგალითად, მესხიშვილის დასტურით და ხელის შეწყობით თეატრში თავს აფარებდნენ არალეგალური მუშაკები. ისინი იმალებოდნენ თეატრის სარდაფში და დადიოდნენ სცენაზე როგორც შინაურები, ვითომც არავინ იცნებდა.

რევოლუციონერთა იარაღი, ვითომც როგორც სასცენო რეკვიზიტი (ს. ჭელიძე „ლადო მესხიშვილი 1905 წლის რევოლუციის დროს“, ხელნაწერი, სათეატრო მუზეუმი).

მესხიშვილი წარმოდგენებსაც მართავდა არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების სასარგებლოდ. ნიკო გვარამის ცნობით, (თეატრალური მემუარები) მესხიშვილს 1905 წლის აპრილში, ხონში ორი წარმოდგენა გაუმართავს ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის სასარგებლოდ. წარმოდგენებში მონაწილეობა მიუღიათ შალვა დადიანს, თვით ნიკო გვარამეს და ხონის სცენისმოყვარეთ დაუდგამთ დ. მანსფელდის „შემოილია“ და ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“.

მესხიშვილმა 1905 წლის 30 აპრილს თბილისში მონაწილეობა მიიღო რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებისათვის გამართულ წარმოდგენაში, რომელიც სახელოსნოშივე გაიმართა. წარმოდგენილი იყო ჰ. იბსენის „ხალხის მტერი“. სამწუხაროდ ამ წარმოდგენის შესახებ სხვა ცნობა არ არსებობს გარდა მოკლე ინფორმაციისა გაზეთ „ივერიაში“ (№ 66, 1905).

**1905-1906 წლების სეზონი.** ამ მნიშვნელოვან სათეატრო სეზონში ქუთაისის თეატრის დასში იყვნენ: ქალები — ნ. დავითაშვილი, ბ. რონელი, თ. კიკნაძე, ნ. გამყრელიძე, ნ. ჭავჭავიძე, მ. ზარდალიშვილი, ე. ქვარიათი, ვაჟები — ვ. გამყრელიძე, ნ. გვარამი, ი. ზარდალიშვილი, დ. მესხი, დ. ბაქრაძე, გ. ჩარკვიანი, მ. ამაშუკელი, ვ. შალიკაშვილი, ა. ჯაყელი, თ. შველიძე (მოკარნახე), ნ. მარჯანიშვილი (ადმინისტრატორი). შემდეგ დასს შეემატნენ მსახიობები დ. აწყურელი (გამყრელიძე) და ვ. მურვანიშვილი. დასში აღარ იყო ახალგაზრდა ნიკიერი მსახიობი ლევან მირიანაშვილი. იგი უდროოდ გარდაიცვალა 1904 წლის დამლევს.

სათეატრო სეზონი გაიხსნა 2 ოქტომბერს პიესით „ცხოვრების გარეშე“.

ნ. გვარამის მოგონებების მიხედვით, გარდა ამ პიესისა. დასში განხორციელებულა: ვ. რიშკოვის „პირველი მერცხალი“, ა. სტრინბერგის „მამა“, ი. პლატონის „ხალხი“, რ. ბარეტის „ახალი ცხოვრება“, ფ. ფილიპის „კაცობრიობის კეთილისმყოფელი“, ტ. რამიშვილის „მეზობლები“, ვ. მონტის „კაი გრაჟი“, ო. მირბოს „უან და მადლენა“, ჰ. ჰაუპტმანის „ფეიქრები“.

გაზეთი „ივერია“ (№-202, 1905) იტყობინებოდა, რომ 10 ნოემბერს „დახოცილ და დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ“ განზრახული იყო წარმოდგინათ „კაი კრაჟი“. ო. მირბოს „უან და მადლენა“ დასს 11 დეკემბერს წარმოუდგენია. ნ. გვარამი ამ წარ-



მოდგენის შესახებ წერს: „ლადო მშვენიერად თამაშობდა ანარქისტ ჟანის როლს, ნინო დავითაშვილი — მადლენას. მე ვთამაშობდი მეფაბარკის შვილს რობერტს, რომელიც რევოლუციონერებს თანაუგრძნობს. ეს პიესა ჩვენთან კარგად მიდიოდა და დროულიც იყო. სწორედ ქუთაისის ქუჩებშიც იგივე ამბები ხდებოდა, რაც სცენაზე „ჟან და მადლენას“ წარმოდგენის დროს. ქუთაისის ბულვარზე იმართებოდა გრანდიოზული მიტინგები და დემონსტრაციები“.

3. ჰაუპტმანის „ფეიქრები“ 27 დეკემბერს იყო წარმოდგენილი. ქუთაისის გაზეთ „სოციალ-დემოკრატიულ ფურცელში“ (№-12, 1905) ეწერა, რამ თეატრში ტევა აღარ იყო და წარმოდგენამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ისედაც აღუვლებულ ხალხზეო.

ძველი კომუნისტი სერგო ქავთარაძე, რომელიც ამ დროს ქუთაისში აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ ბრძოლაში, ქუთაისის თეატრის წარმოდგენების შესახებ თავის მოგონებაში (დაცულია სათეატრო მუზეუმში), ასე წერს: „მანსოვს კარგად „კაი გრაჯხი“, „ჟან და მადლენა“, „ფეიქრები“ და „მეზობლები“. ეს პიესები გამსჭვალული იყო ბრძოლის სულისკვეთებით და ხელს უწყობდა ხალხის რევოლუციურ მისწრაფებას. ამ მხრივ ლადო მესხიშვილის და მის დასს დიდი დამსახურება მიუძღვის რევოლუციის წინაშე“. ის იგონებს ერთ საინტერესო ფაქტს, რომელიც წარმოდგენის დროს მოხდა და ამჟამად გამოხატავდა ხალხის რევოლუციურ განწყობას: „დასი თამაშობდა ტ. რამიშვილის „მეზობლებს“. უკანასკნელ მოქმედებაში რევოლუციურად განწყობილი ილიკო მენაბდიშვილი (ამ როლს თვით მესხიშვილი თამაშობდა) დააპირებს მექამულე მარშანიძის სახლში შესვლას. მარშანიძეს და მის ახლობლებს არ სურთ მენაბდიშვილის შემოშვება და გაიძახიან: „არ შემოუშვათ, არ შემოუშვათ!“ ამ სიტყვებზე დარბაზში ატყდა ჩოჩოლი, ხმაური, გაისმა შეძახილები: — „შემოუშვიო, შემოუშვიო!“ ხალხი არ დაშოშმინდა, ვიდრე მენაბდიშვილი სცენაზე არ გამოჩნდა“...

როგორც ვხედავთ, ლადო მესხიშვილმა ამ სეზონში თეატრის რეპერტუარში ჰარბად უჩვენა ისეთი პიესები, რომლებიც ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. უწინ დადგმულ ასეთ პიესებს ამ სეზონში მიემატა ო. მირბოს „ჟან და მადლენა“, 3. ჰაუპტმანის „ფეიქრები“ და ტ. რამიშვილის „მეზობლები“. ამრიგად, თეატრი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით მტკიცედ იდგა რევოლუციური ბრძოლის პოზიციებზე.

ლადო მესხიშვილი ბარიკადებზე. ცარიზმმა ძალა მოიკრიბა და დეკემბერში შეტევაზე გადავიდა. თბილისში შეიქმნა საგანგებო დამ-

სჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-აგარსკის მეთაურობით, რომელიც დეკემბრის დამლევის დასავლეთ საქართველოსაკენ დაიძრა. გზა-დაგზა რაზმმა დაარბია და გადაწვა ხაშური, ხარაგოული, ზესტაფონი, სურამსა და ზესტაფონში გადაწვა სათეატრო შენობები. ბოლოს ქუთაისს მიაღწა. „მოვიდა ცნობა, — წერს სერგო ქელიძე თავის მოგონებაში, — რომ რაზმი აპირებს ქუთაისის დარბევას. ლადო მესხიშვილმა სცენაზე შეგვერიბა და გვითხრა: — დავალებათ თეატრის ირგვლივ ქუჩებში ბარიკადები გავაკეთოთ. მოგვიწოდა გაგვეტანათეატრიდან ფიცრები, ავეჯი და ყოველივე, რაც კი გამოდგებოდა. ბარიკადების აგებას თვითონ მესხიშვილი ხელმძღვანელობდა. ეს იყო საღამოს ხანს. მასალა რომ დაგვაკლდა, გიმნაზიის შენობიდან გამოვიტანეთ პარტები და ტანსაცმლის საკიდები, გავაკეთეთ ორი ბარიკადი. ერთი თეატრის უკანა კარების გასწვრივ და მეორე მოსახვევში, გიმნაზიის ქუჩის კუთხეში. დავდექით ბარიკადებზე მთელი დღის. ჩვენ შორის იყო ლადო მესხიშვილიც. ვიყავით შეიარაღებული რევოლვერებით, ბერდანებით და სხვა იარაღით, ვინაც რა ჰქონდა. ასე ვიდექით მთელი დღე. ბოლოს რევოლუციური ორგანიზაციიდან მოვიდა განკარგულება დაგვეტოვა ბარიკადები, რათა სისხლის ღვრა არ გამოგვეწვია“ (ს. ქელიძე, ლადო მესხიშვილი 1905 წლის რევოლუციის დროს. სათეატრო მუზეუმი.)

როდესაც ლადო მესხიშვილმა განკარგულება მიიღო ბარიკადების დატოვების შესახებ, თურმე განაცხადა: „გადაეცით კომიტეტს, რომ ამ ბარიკადებს მე ვხელმძღვანელობ და აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ჩვენ ბარიკადებს არ დავშლით. თუ საჭიროებამ მოითხოვა, გვერდით ამოვიყენებთ ცოლ-შვილს. რევოლუცია მსხვერპლს მოიხზოვს, ჩვენ მზად ვართ ამისათვის“ (ა. ფაღავა, ლადო მესხიშვილი, თბილისი, 1938). ბოლოს მესხიშვილი დაარწმუნეს საბარაკადო ბრძოლის უმიზნობაში და ამის შემდეგ დატოვა დასთან ერთად ბარიკადები.

დამსჯელი რაზმი ქუთაისში შემოიჭრა, გადაწვა რკინიგზის სადგურთან მდებარე უბანი და ქალაქის ცენტრი. ცეცხლი წაუკიდეს თეატრის შენობასაც, მაგრამ თეატრის დარაჯმა ივანე ნაჭყებამ მოახერხა ცეცხლის ჩაქრობა და თეატრი დაწვას გადაარჩინა.

აპატიმრებდნენ „საეჭვო“ პირებს. მოჰკლეს თეატრის სუფლიორი თეოფილე შველიძე.

ლადო მესხიშვილი და სერგო ქავთარაძე. სერგო ქავთარაძე მოგვითხრობს, თუ რა დახმარება გაუწია მას იმ პერიოდში ლადო მესხიშვილმა: „ქალაქის ცენტრში ვიყავი შეფარებული ერთ-ერთ ბინაზე. დაღამებისას ფანჯრიდან დავინახე, რომ ცეცხლი მოედო მინე-

რალური წყლის მალაზიას, რომლის სარდაფში ჩვენ გვქონდა რევოლუციური ლიტერატურის საწყობი. აქვე გვქონდა დამალული ცოტაოდენი იარაღი. ქალაქში საალყო წესები იყო გამოცხადებული და საღამოდან ქუჩაში სიარული აკრძალული იყო, მაგრამ მე დამენანა ეს ჩვენი ქონება და გადავწყვიტე მალევე მიმეღწია საწყობამდე მის გადასარჩენად განადგურებისაგან. გამოვედი სახლიდან და გავემართე საწყობისაკენ. მაგრამ ვერ მივაღწიე და ხელში ჩაუვარდი ჯარისკაცებს. საეჭვო პირად მიცნეს, მიმიყვანეს უფროსთან მან გასცა განკარგულება „მომაშორეთო“. ეს ალბათ, დახვრეტას ნიშნავდა, რადგან წამიყვანეს, წითელი ხიდისაკენ. იქვე გაბაშვილის გორის ძირში რამდენიმე კაცი უკვე დახვრიტეს. ორივე მხრიდან ჯარისკაცები მომყვებოდნენ. წინ კიდევე ერთი მიდიოდა და უკანიდან მომყვებოდა კიდევე ორი ჯარისკაცი. ასე გაკავებული მივაბიჯებდი. საშველი არსაით იყო. ასეთ გარემოებაში გონება სწრაფად ეძებს რაიმე გამოსავალს. ვფიქრობდი თუ როგორ დამეღწია თავი სიკვდილისაგან. შეიძლებოდა ხიდიდან რიონში გადახტომა, მაგრამ აქაც უსპველი სიკვდილი მომელოდა, რადგან მდინარე პატარა იყო და ლოდებზე დავენარცხებოდი. ხიდიდან მიახლოვებისას პატარა შესახვევი იყო და გადავწყვიტე ამ გზით გავქცეულიყავი. გავუსწორდით თუ არა შესახვევს ღონიერად ვკარი ხელი ჩემს გვერდით მიმავალ ჯარისკაცს და გავიქეცი. შესახვევი სრულებით ჩაბნელებული იყო და ეს მიადვილებდა დამალვას. ჯარისკაცებმა ბნელში დაღვენება ვერ გაბედეს, ხოლო ტყვიები კი დაუზოგავად დამიშინეს. მე კედელ-კედელ ივარბოდი, რომ ტყვია ამცდენოდა. ბოლოს ღობე შევნიშნე და ბაღში გადავხტი. ეს იყო ბეთანელის სახლი. აქედან კიდევე სსვა ღობეებზე გადავძვერი და უკანა კარიდან მივადექი ლაღო მესხიშვილის ბინას. ფრთხილად დავაკაკუნე. მესხიშვილი თვითონ მოადგა კარს, შემეკითხა ვინ ვიყავი. ხმაზე მიცნო და კარი გამიღო. შევედი და მხოლოდ ეხლა დავინახე და ვიგრძენი, რომ ტყვია ხელში მომხვედროდა და გასისწლიანებული ვიყავი. მესხიშვილი და მისი მეუღლე დაფატურდნენ. ხელი შემიხვიეს. მე ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და ვთხოვე ცოტა ხნით დავრჩენილიყავ. მათთან. უსიტყვოდ დამთანხმდნენ. ორი დღე-ღამე ვიყავი იქ დამალული და შემდეგ კი. ამხანაგების დახმარებით, ვინაცვლე თავშესაფარი. სახლებს გამუდმებულად ჩხრეკდნენ, სწორედ ბედზე მესხიშვილის ბინაში გასაჩხრეკად არავინ მოსულა, თორემ არა თუ დახვრეტა მომელოდა, არამედ მესხიშვილსაც კარგ დღეს არ დააყრიდნენ. ასე დამეხმარა გამოჩენილი მსახიობი“.

**სეზონის შეწყვეტა.** იანვარში ქუთაისის დრამატულ დასს წარმოდგენები აღარ გაუმართავს, რადგან საალყო წესების შემოღების

გამო ყოველგვარი სანახაობები აიკრძალა. უმუშევარ ღასს ძალიან გაუჭირდა. ამიტომ მესხიშვილმა გადაწყვიტა ფოთში წასულიყვნენ წარმოდგენების გასამართავად.

დასი ფოთში გაემგზავრა. გზაში ფათერაკი შეემთხვა, — სადგურებზე დამსჯელი რაზმები იდგნენ, აბაშის სადგურზე მსახიობი მამუკა ამამუქელი ვაგონიდან ბაქანზე გადმოვიდა წყლის დასალევად. დამსჯელი რაზმის უფროსმა მას მათრახი გადაჰკრა, შემდეგ კი დაესიენ ჭარისკაცები და კონდახებით სცემეს. ამ ამბის დანახვაზე მთელი დასი აყვირდა ვაგონში. ყვირილზე შემოცვივდნენ ჭარისკაცები ვაგონში და დაუწყეს მსახიობებს ცემა. დასი 22 კაცისაგან შედგებოდა. ყველა მათგანს უწყალოდ სცემეს. ასე ცემისაგან დაოსებული ჩავიდნენ ფოთში. მესხიშვილი წინა დღით გაემგზავრა ფოთში და, ამრიგად, ცემას გადაურჩა. დასმა ფოთში ძლივ-ძლივობით გაპარა. ერთი წარმოდგენა შემდეგ აქაც მოვიდა განკარგულება სანახაობების აკრძალვის შესახებ იაევე, როგორც ქუთაისში.

დასი დაიშალა, მესხიშვილი ქუთაისში ჩასვლას მოერიდა და თბილისს მიაშურა. თბილისში ქართული დასი მუშაობდა. მაგრამ წარმოდგენებს დღისით მართავდნენ, რადგან იქაც სააღყო წესები იყო შემოღებული და საღამოს 6 საათის შემდეგ გარეთ ვერავინ გამოდიოდა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ლადო მესხიშვილი ძალზე მძიმედ გახდა ავად. ექიმებმა ეპიც გამოთქვეს მის გამოჯანსაღებაზე. „საბუნდურიოდ — წერდნენ შემდეგ გაზ. „ცნობის ფურცელში“ (№: 3007, 1905), — პირველად გამოცხადებული უიმედობა ექიმებისა გაქარწყლდა და ავადმყოფობა საშიშს აღარას წარმოადგენს. საჭიროა, თურმე, ხანგრძლივი წამლობა და მშვიდობიანი ცხოვრება, მაგრამ ვინ მისცემს ჩვენი სცენის მუშაკს ან მშვიდობიან ცხოვრებას, ან წამლობის საშუალებას“... შემდეგ გაზეთი ეხებოდა ლადო მესხიშვილისა და საერთოდ ქართველი მსახიობების გაჭირვებას: „რამდენადაც ვიცით. ქონებრივი მხრივ, ბატონი მესხიშვილი შეგიწროებულა. წარსული სეზონი გაფიცებისა და არეულობის გამო, მეტისმეტად უნაყოფო იყო შემოსავლის მხრით, და, ამიტომ ვერც ქუთაისის სცენამ და ვერც თბილისისამ ვერ შეძლეს არტისტების დაკმაყოფილება. უმრავლესობამ წინდაწინვე დანიშნული ჯამაგირის მაგივრად ნახევარი ვერც კი მიიღო და აბა, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ.

ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობას ვერც ბატონი მესხიშვილი ასცდა და ამას ისიც დაერთო, რომ სეზონის მიწურულში იძულებული გახდა ქუთაისი საბოლოოდ მიეტოვებინა და ცოლ-შვილით

და მთელი ბარკი-ბარხანით თბილისში გადმოსახლებულიყო. ასეთ პირობებში გახდა ავად ბატონი მესხიშვილი“...

ლადო მესხიშვილი გამოჯანსაღდა და თბილისის დრამატულ დასში დაიწყო მუშაობა. დასს აგრეთვე შეუერთდნენ ქუთაისიდან ჩამოსული მსახიობები: დესპინე ივანიძე, ნინო დავითაშვილი, ვალერიან შალიკაშვილი და სხვ. ლადო მესხიშვილი ამის შემდეგ ქუთაისში აღარ დაბრუნებულა.

ქუთაისის თეატრის როლი რევოლუციურ ბრძოლაში. მწერალი დავით კასრაძე თავის წიგნაკში „ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი“, რომელიც ლადო მესხიშვილის საიუბილეოდ თბილისში 1913 წელს გამოვიდა, ასეთნაირად ახასიათებს ლადო მესხიშვილის ღვაწლს ქუთაისში: „მთელი ეს ათი წელიწადი, მისი მუშაობა ქუთაისში, ეს მხოლოდ მისი დამსახურებული ტრიუმფი იყო, მისი დღესასწაული. მისი გამარჯვება. ამ ხანებში სრულიად განმტკიცდა და დავაჟაკადა მისი ღვთიური ნიჭი, სრულის ძალღონით გაშალა მან ფრთები.

თავისთან ერთად ამავე ხანებში შემოიზარდა ჩვენი სცენის თვალსაჩინო მსახიობები და მოღვაწენი: ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, დ. ჩარკვიანი, ნ. გვარამია. აქ მე ვიხსენიებ მხოლოდ იმათ, რომელთაც მეტი ხანი დაჰყვეს მასთან და რომელთაც უფრო ცხოვლად ატყვიათ მისი გავლენა. ისე კი, რა თქმა უნდა, ბევრს დაუწყია ლადოსთან მუშაობა, და მათ შორის მ. ქორელი და ა. წუწუნავა პირველად მისი ხელმძღვანელობით გამოვიდნენ სასცენო ასპარეზზე. აგრეთვე ლადოს ხელმძღვანელობით იწყო მუშაობა ეხლა უკვე სახელგანთქმულმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა... ლადო მესხიშვილი! ეს მართლაც ჯადოსნური სიტყვა იყო ქუთათურებისათვის. არ იყო იმაზე უფრო პოპულარული კაცი, არ იყო იმაზე საყვარელი... რეჟისორობის მხრივაც პირველობა ლადოს ეკუთვნის. ვინც კი ერთხელ მაინც მისი ხელმძღვანელობით მომზადებულა, უთუოდ აღიარებს ამ მაღლიან ძალას ლადოს რეჟისორობისა, რომელსაც თითქოს მასშიც შთაუნერგავს რაღაც უცხო სული შემოქმედებისა და ისიც ამოძრავებულა, ათამაშებულა“...

დ. კასრაძის დახასიათებას ჩვენ დავუმატებთ, რომ ქუთაისის თეატრმა ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით, მხატვრულ მიღწევებთან ერთად, თავი ისახელა როგორც რევოლუციურმა თეატრმა. 1905 წლის რევოლუციაში რუსეთის თეატრალური ხელოვნება შეძლებისდაგვარად იღებდა მონაწილეობას, ისტორიამ მრავალი საინტერესო ფაქტი დაგვიტოვა რევოლუციური ბრძოლისადმი თეატრების ხელისშეწყობისა, მაგრამ არსად თეატრი არ იყო ამ

მხრივ ისეთი აქტიური, როგორც ქუთაისში. ეს მოხდა ქუთაისში-პატარა ქალაქში, რომელიც გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდა რუსეთის სხვა საგუბერნიო ქალაქებისაგან. მაგრამ ქუთაისელი მშრომელები მეტად აქტიურნი აღმოჩნდნენ რევოლუციურ ბრძოლაში. ამ ბრძოლის გადვივებას კი ქუთაისის დრამატული დასი დიდად უწყობდა ხელს.

დასის ხელმძღვანელმა ლადო მესხიშვილმა მრავალი საშუალებანი გამოახა, რომ თეატრი რევოლუციურ ტრიბუნად ექცია. ამიტომაც არის, რომ ქართული თეატრის ისტორიაში იგი მსახიობ-რევოლუციონერად მოიხსენიება და სავსებით მართებულია, რომ ქუთაისის თეატრს ამ გამოჩენილი სცენის ოსტატის სახელი ეწოდა.

#### IV. ცარიზმის რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდი

1906—1907 წლების სეზონი. ლადო მესხიშვილი შემდეგი სეზონისათვის ქუთაისში აღარ დაბრუნებულა, მაგრამ დასმა მაინც გადაწყვიტა მუშაობის გაგრძელება.

შედგა მსახიობთა ამხანაგობა, რომელშიც შევიდნენ ვ. ბალანჩივაძე, ნ. დავითაშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ა. აპირალოვისა, ა. მურუსიძე, ნ. გვარაძე, ი. მურვანიშვილი, ი. ზარდალიშვილი, გ. თუთბერიძე, გ. ჩარკვიანი და სხვ. სათეატრო სეზონი გაიხსნა ი. პოტაპენკოს პიესით „გამოსყიდვა“.

სეზონის განმავლობაში დასმა მხოლოდ 12 წარმოდგენის გამართვა მოახერხა. სეზონი 12 მარტს დამთავრდა. წარმოდგენები უფერული იყო, ხალხი თეატრს აღარ ეტანებოდა, მით უმეტეს, რომ დასში აღარ იყო ლადო მესხიშვილი.

გარდა ამისა, ცარიზმის რეაქციის სუსხმა საერთოდ გავლენა მოახდინა ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და კერძოდ თეატრზე.

ქართული საოპერო წარმოდგენა. და მაინც, ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებაში ამ სეზონის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართული საოპერო წარმოდგენის გამართვა. თბილისში შეიქმნა ქართული საოპერო ამხანაგობა, რომელმაც რამდენიმე ქართულად თარგმნილი ოპერა წარმოადგინა და სწორედ ამ ამხანაგობამ 13 მაისს ქუთაისში გაიმართა თბილისში დადგმული ჯ. როსინის ოპერა „სეველიელი დალაქი“. წარმოდგენას მომღერალი კ. ცხომელიძე თაოსნობდა. ეს იყო პირველი ქართული საოპერო წარმოდგენა ქუთაისში, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც იმდროინდელი პრესა აღნიშნავს, იგი სრულფასოვანი ვერ გამოდგა. გაზეთი „ისარი“ (№104, 1907) წერდა, რომ ოპერა უხეიროდ შეასრულესო. აღმაჯვარს პარტიაში სრულიად გამოუცდელი პირი გამოსულა, რომე-

ლიც არც ხმით, არც გარეგნობით და არც ჩაცმულობით ამ სცენურ სახეს არ შეეფერებოდა. როზინას პარტია უმღერია მ. ძნელაძეს, რიგინად შეუსრულებიათ პარტიები ცხომელიძეს (ფიგარო) და ივანიშვილს (დონ ბაზილიო). გაზეთი აღნიშნავდა: „გვახსოვს პირველად დადგმული ოპერა ქართულ ენაზე თბილისის საარტისტო საზოგადოების თეატრში — დამსწრე საზოგადოება აღტაცებული იყო ჯერ ამ ფაქტით და მერე იმით, რომ უმთავრესის როლების აღმასრულებელნი თავთავიანთ ადგილას იყვნენ და ორკესტრიც შესაფერი იყო. ამგვარადვე უნდა მოქცეულიყვნენ ქუთაისშიც, რომ საზოგადოება შეჩვეოდა ახალ დარგს ხელოვნებისას“...

თუმცა, წარმოდგენას დიდი მოწონებაც რომ დაემსახურებინა, ქართული ოპერა ქუთაისში ფეხს მაინც ვერ მოიკიდებდა. არათუ ქუთაისში, არამედ თბილისშიც შეწყდა ეს საქმე. რადგან ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებისათვის ჯერჯერობით ხელსაყრელი პირობები არ იყო.

**1907—1908 წლების სეზონი.** სათეატრო სეზონში ქუთაისის დრამატული დასი კვლავ ამხანაგობის სახით მუშაობდა. დასში შტროდინენ: ქალები — დ. ივანიძე, ნ. დავითაშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ლ. გვეტაძე, ა. შოთაძე. ვაჟები — ვ. აბულაძე, ვ. ბალანჩივაძე, ს. ბოჭორიშვილი, ი. ზარდალიშვილი, შ. დადიანი, ა. მურუსიძე, გ. ჩარკვიანი, ვ. შალიკაშვილი, ვ. ჩხიკვაძე და სხვ. რამდენიმე წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან მოწვეული იყვნენ ნ. ჩხეიძე და ვ. აბაშიძე, რეჟისორობა იკისრა ვ. შალიკაშვილმა, რომელიც წინა სეზონში ჭიათურაში მუშაობდა რეჟისორად და საკმაო უნარიც გამოიჩინა.

ამ სეზონის რეპერტუარი შინაარსიანი იყო. დასმა არაერთი თანამედროვე შინაარსის ნაწარმოები წარმოადგინა (მეტწილად თარგმნილი). იყო პიესები სოციალური უსამართლობის თემაზე (ი. პლატონის „ხალხი“, გ. ჰაერმანსის „იმედის დაღუპვა“, ს. იუშკევიჩის „ქალაქში“ და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ამ რეპერტუარისა, თეატრმა მყუდრებელი მაინც ვერ მიიზიდა. გაზეთი „ისარი“ (№ 8, 1908) ამის თაობაზე წერდა: „ქუთაისში უკანასკნელ წარმოდგენასაც ასევე ცოტა ხალხი დაესწრო, როგორც წინა წარმოდგენებს, შემოსული ფული საღამოს ხარჯს თუ დაფარავს ძლივსძლიევობით. სცენის მუშაკნი კი პირში ჩალაგამოვლებულნი დარჩებიან. ჩვენი ცნობით, ქუთაისის დასს დიდი ვალი დაატყდა თავს და არ იცის თურმე რანაირად გაუძღვეს საქმეს. დეფიციტი, თურმე, 600 მანეთს აღემატება და არ გავვიკვირდება, თუ საქმის მეთაურთ სასოება წარეკვეთებათ და საქმეს მიატოვებენ“... დაახლოებით ასეც მოხ-



და. 14 თებერვალს იგივე გაზეთი „ისარი“ (№-36, 1908) იტყობინებოდა, რომ სათეატრო სეზონი მაყურებელთა გულგრილობის გამო შეწყდა. დასს კ. ერისთავის ისტორიული შინაარსის დრამა „კეისართა ბატონიშვილი“ მოუშზადებია, მაგრამ წარმოდგენის დღეს საღამოს 9 საათამდე სალაროში 60 მანეთი ძლივს შემოსულა. ხარჯი შემოსავალს ოთხჯერ აღემატებოდაო. „რალა გასაკვირია— კვითხულობთ გაზეთში, — თუ არტისტებს გული წაუხდათ. წარმოდგენა გადასდეს და სეზონიც შეწყვიტეს. არტისტი შალიკაშვილი, რომელიც სული და გული იყო ამხანაგობისა და დიდი შრომაც გასწია წარსულ 4 თვის განმავლობაში, გამოვიდა სცენაზე და ორი სიტყვით აუწყა საზოგადოებას, როგორც წარმოდგენის გადადება, ისე სეზონის შეჩერებაც“. ამხანაგობა დაიშალა, მაგრამ რამდენიმე წარმოდგენა კიდევ გაიმართა, მათ შორის — შ. დადიანისა და ვ. შალიკაშვილის ბენეფისები. უკანასკნელის საბენეფისო წარმოდგენა 24 თებერვალს შედგა. წარმოდგენილი იყო ბენეფიციანტის ახალი ორიგინალური პიესა „ოჯახი“. პიესა ცენზურის მიერ ნებადართული იყო დასადგმელად, მაგრამ ქუთაისის გენარალ-გუბერნატორს არ მოეწონა იგი და რეჟისორი და ავტორი ვ. შალიკაშვილი ქუთაისის გუბერნიიდან გააძევა.

**დრამატული საზოგადოების დაარსება.** ბოლოს ქუთაისის თეატრსაც ეღირსა მუდმივი მზრუნველი და მოამაგე. ეს გახლდათ დრამატული საზოგადოება, რომელიც ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით დაარსდა. 1908 წლის დამდეგს საგუბერნიო მთავრობამ დაამტკიცა საზოგადოების წესდება, ხოლო 17 თებერვალს უკვე შედგა საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია პირველი გამგეობა. ამ გამგეობაში შევიდნენ: კ. ერისთავი (თავმჯდომარე), მ. ანჯაფარიძე, ვ. ბურჯანაძე, ა. ავალიშვილი, გ. აბაკელია, ი. პურადაშვილი. საზოგადოების საპატიო წევრებად აირჩიეს ა. სუმბათაშვილი და ლადო მესხიშვილი.

**ლადო მესხიშვილის გასტროლები.** დრამატული საზოგადოების გამგეობამ სწორედ ის ნაბიჯი გადადგა, რასაც გაზეთი „შრომა“ უკარნახებდა: იმ დროს ლადო მესხიშვილი მსახიობად მუშაობდა ოდესის დრამატულ დასში, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ მოლაპარაკება გაწარმოა ლადო მესხიშვილთან რამდენიმე წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად. მესხიშვილი დათანხმდა და მალე თვითონაც ჩამოვიდა ქუთაისში. ეს მოხდა მაისის შუა რიცხვებში. მესხიშვილმა, ქუთაისელ მსახიობთა დახმარებით, სამი წარმოდგენა

მოამზადა. სახელდობრ: შ. აშის დრამა „შურისძიების ღმერთი“, კ. გუცკოვის „ურთელ აკოსტა“ და ო. დიმოვის „ისმინე ისრაელ“.

წარმოდგენებზე ტევა აღარ იყო. ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. ვანსაკუთრებით „ურიელ აკოსტაზე“. გაზეთი „ამირანი“, (№-68 1908 წლის 28 მაისი) იტყობინებოდა: „...ყოველი მოქმედების შემდეგ საზოგადოება გაუწყნარებელ ტაშისცემითა და „ვაშას“ ძახილით აჭილდობდა გასტროლიორს. ვარდ-ყვავილებისა და ქუდების სცენაზე სროლას ზომ დასასრული არა ჰქონდა“...

მესხიშვილი ამის შემდეგ, იენისში, თბილისსაც ეწვია და ქუთაისის მსახიობებთან ერთად აქაც გამართა წარმოდგენები. დადგეს: ე. კოსოროტოვის „ვაზაფხულის ნიაღვარი“, შ. აშის „შურისძიების ღმერთი“, ო. დიმოვის „ისმინე ისრაელ“. ამათ დაუმატეს დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ და ი. პოტაპენკოს კომედია „თაიგული“. გარდა ამისა, კიდევ ერთი წარმოდგენა გამართეს ავადმყოფი ამხანაგის ვასო აბაშიძის სასარგებლოდ.

ამ სავასტროლო დასში იყვნენ: ნინო ჩხეიძე, ნინო დავითაშვილი, გაიანე ურბნელი, ნატალია ჯავახიშვილი, ვასო ბალანჩივაძე, იუზა ზარდალიშვილი, შალვა დადიანი, ანდრო მურუსიძე და სხვანი.

თბილისის მაყურებელიც აღტაცებით შეხვდა საგასტროლო სპექტაკლებს. გაზეთი „ნაპერწყალი“ (№-18, 1908) წერდა, „მესხიშვილი საუკეთესო პიესებს უჩვენებს, რომლებიც „დემოკრატიული მისწრაფებით არის გაყდენთილიო“. გაზეთი დასძენდა: „ამხანაგი პიესების დადგმით ქუთაისელი დასი გვიჩვენებს, რომ მას სურს გაარღვიოს ის რუტინა, რომელშიც ლამის არის ჩაიხრჩოს ქართველი თეატრი“.

**1908—1909 წლების სეზონი შ. დადიანის ხელმძღვანელობით.** ქუთაისის ეს სეზონიც ვერ გამოდგა სრულფასოვანი. მართალია ქუთაისში უკვე არსებობდა დრამატული საზოგადოება, რომლის მთავარ მიზანს თეატრის მოვლა-პატრონობა შეადგენდა, მაგრამ ჯერჯერობით მას დასის შენახვის საშუალება არ ჰქონდა.

თეატრის გაძლოდა ვ. ბალანჩივაძემ ითავა კერძო ანტრეპრენიორობის სახით. შეადგინა პატარა დასი და 8 სექტემბერს გახსნა სეზონი, მაგრამ ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. ჯიბეცარიელმა ანტრეპრენიორმა ექვსი წარმოდგენა ძლივს გამართა, ერთ თვესაც ვერ გაუძლო ხარჯებს და ბოლოს ამ საქმეს თავი დაანება.

მსახიობთა ჯგუფი მაინც არ ეშვებოდა დაწყებულ საქმეს და ამხანაგობის წესით განაგრძო წარმოდგენები. ამხანაგობის მოთა-

ვე-გამგებელი შ. დადიანი იყო. საქმე აეწყო, წარმოდგენები რეგულარულად იმართებოდა, სეზონი 8 თებერვალს დაიხურა.

ამხანაგობამ თანამედროვე შინაარსის პიესებიც დადგა. ასეთი იყო პ. ირეთელის „დამარცხებულნი“, რომელიც საქართველოში ცარიზმის რეაქციის ვითარებას ასახავდა. დადგა აგრეთვე შ. დადიანის ერთმოქმედებიანი პიესა „როს ნადიმობდნენ“.

„როს ნადიმობდნენ“. შალვა დადიანი ამ პერიოდში უკვე თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა ქართულ სცენაზე. იგი გამოიწრთო მსახიობ-რეგოლუციონერის ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით, შეითვისა გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეები. სასცენო მოღვაწეობასთან ერთად, შ. დადიანი ლიტერატურულ ასპარეზზეც ვაშოვიდა, და ერთ-ერთი მასი პირველი დრამატული ნაწარმოები, რომელიც 1906 წელს შეიქმნა, სწორედ ავტორის მებრძოლ სულისკვეთებას გამოხატავდა.

როგორც ცნობილია, ცარიზმის რეაქციამ დაბნეულობა გამოიწვია რუსეთის ინტელაგენციაში, რაც ლიტერატურასაც ნათლად დაეტყო. გახშირდა დაკეუმულობა და უიმედობა. მაგრამ ამ დეკადენტურ მოვლენას ბევრი მწერალი არ დაემორჩილა. მათ მტკიცედ სწამდათ, რომ მუშათა კლასი „არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია“ და ახალი ბრძოლებისათვის და საბოლოო გამარჯვებისათვის ემზადებოდა.

სწორედ ამ რწმენით იყო მოცული შ. დადიანის „როს ნადიმობდნენ“, რომელიც ქუთაისის მაყურებელმა 1908 წლის 16 ნოემბერს ნახა. პიესა ალეგორიულად მოგვითხრობდა იმდროინდელ სოციალურ უსამართლობაზე. მაყურებელი ალაფროთოვანა გაბედულმა საბრძოლო სიტყვებმა და „მარსელიეზამ“ პიესის ფინალში.

სათეატრო სეზონის ანგარიში. შალვა დადიანმა პრესაში გამოაქვეყნა მსახიობთა ამხანაგობის მოღვაწეობის ანგარიში (გაზ. „დროება“, № 53, 1909 წელი) ამ ანგარიშის მიხედვით, ამხანაგობაში ყოფილან: ქალები — ე. ანდრონიკაშვილი, ა. პოანტენი, გ. ჯრბნელი, ე. ჩიქოვანი; ვაჟები — კ. ანდრონიკაშვილი, პ. ზედგინიძე, ა. მურუსიძე, ა. ყალაბეგიშვილი, გ. ჩარკვიანი და სხვ. მოწვეული ყოფილან: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ტ. აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, ე. მესხი, დ. ივანიძე, ვ. აბაშიძე, ნ. გოცირიძე.

ამხანაგობას შემოსავალი ჰქონია 5924 მ. 64 კ. ხარჯი 3683 მ. 60 კ. და დარჩენია 2240 მ. 79 კ. ეს თანხა რომ გავყოთ ამხანაგობის 15 წევრზე, თითოს საშუალოდ მოუვა 150 მანეთი. ამრიგად, საშუალოდ ეს იყო ქუთაისის თეატრის მსახიობის მთელი ჯამაგირი ზამთრის სეზონში.

დასასრულს უ. დადიანი წერს: „არ შეიძლება ამხანაგობის სახელით გულწრფელი მადლობა არ გადაეუხადო ქუთაისის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც წლევეანდელს სეზონში მხარი დაუჭირა ჩვენს ახალგაზრდა მუშაეებს. არად მიაჩნია მისი ბევრი გარეშე შიზნეთა მიერ გამოწვეული სიმცირე და სისუსტე და თავისი საქმე ბოლომდის პირნათლად მიაყვანინა“.

ქუთაისში იმ პერიოდში მსახიობთა მეორე ამხანაგობაც იყო (ე. ბალანჩივაძის თაოსნობით) გაზაფხულზე ორივე ამხანაგობა შეერთდა და რამდენიმე წარმოდგენა გამართა. გაემგზავრნენ აგრეთვე ფოთში და იქ ითამაშეს დ. ერისთავის „სამშობლო“, ს. იუშკევიჩის „მეფე“ და პ. ირეთელის „ქრისტიანე“ ე. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით.

აკაკის იუბილე. ამ სათეატრო სეზონში, სახელდობრ 14 და 15 დეკემბერს, ქუთაისში დიდი ზეიმით გადაიხადეს აკაკი წერეთლის იუბილე. საიუბილეო წარმოდგენები გაიმართა თეატრში, ხოლო სალიტერატურო დილები — ყველა სასწავლებელში. ქუთათურები აკაკის უდიდესი მადლობის გრძნობით შეხვდნენ, არა მარტო როგორც სასიკაძულო მწერალს, არამედ როგორც ქუთაისის თეატრის დიდ მზრუნველსა და ქუთაისში პირველი ქართული წარმოდგენების მოთავეს და მონაწილეს.

დრამატული საზოგადოება. ამასობაში ახლად დაარსებული დრამატული საზოგადოებაც თანდათან იკრებდა ძალებს, რომ სათავეში ჩადგომოდა ქუთაისის თეატრს. ფულის შეგროვების მიზნით გაგეობამ გამართა რამდენიმე საღამო-წარმოდგენა. 1909 წლის 14 მაისს შედგა საზოგადოების წლიური კრება, რომელმაც დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში და აირჩია გამგეობის ახალი შემადგენლობა. გამგეობაში შევიდნენ ი. ჩიქოვანი (თავმჯდომარე), ა. ავალიშვილი (მდივანი), ა. კრინიცი-დარახველიძე (ხაზინადარი), მ. ანჯაფარიძისა, გ. გოკიელი, გ. აბაკელია, დ. კლდიაშვილი, ი. პურადაშვილი.

ახლმა გამგეობამ ქალაქის თვითმმართველობისაგან იჯარით აიღო თეატრის შენობა (წელიწადში 1500 მანეთად), თავისი ხარჯით შეაკეთა სცენა და მსახიობთა საპირფარეშოები, თეატრის გვერდით დაიჭირავე დარაბა და მოაწყო ფოიე. ყველა ცაწეული ხარჯი ქალაქს საიჯარო გადასახადში ჩაუთვალა. თბილისის დრამატული საზოგადოების გამგეობისაგან განსხვავებით, საქმას უნარი და ენერჯია გამოიჩინა და თეატრს ნამდვილი მზრუნველობა გაუწია.

ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა დღიდან საზო-

კადოების დაარსებისა, ყოველწლიურად სტამბური წესით ბეჭდავდა თავისი საქმიანობის ანგარიშს, რომელშიც თავსდებოდა ყველა ცნობები გამგეობის მუშაობის შესახებ. საზოგადოების არქივს უვლიდა და იცავდა ქუთაისის თეატრის სცენარიუსი ალექსანდრე გუგუშვილი (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი თბილისში მოღვაწეობდა კინორეჟისორად). სწორედ მას უნდა ვუმაღლოდეთ ამ ანგარიშების შედგენა-გამოცემის საქმეს. ანგარიშების ყველა ეგზემპლარი დაცულია სათეატრო მუზეუმში, ხოლო საზოგადოების არქივი—სახ. ცენტრალურ არქივში. დიდი მადლობით უნდა მოვიხსენიოთ აწ განსვენებული ა. გუგუშვილის სახელი, რომელმაც ასეთი ამაგი დასდო ქუთაისის თეატრს და მომავალ თაობებს შეუნახა საინტერესო დოკუმენტები რევოლუციამდელი პერიოდის ქუთაისის თეატრის მოღვაწეობის შესახებ.

**1909—1910 წლების სეზონი ვ. გუნიას ხელმძღვანელობით.**  
 დრამატული საზოგადოების გამგეობამ მთავარ რეჟისორად ვალერიან გუნია მოიწვია. მეორე რეჟისორად — შალვა დადიანი, დასში შემდეგი მსახიობები შედიოდნენ: ქალები— ე. ანდრონიკაშვილი, ბ. ასათიანი, ნ. დავითაშვილი, დ. ივანიძე, ბ. რონელი, მ. ქილარჯიშვილი, ჯ. ურბნელი, ნ. ჩხეიძე. ვაჟები — ვ. ბალანჩივაძე, ალ. იმედაშვილი, პ. კორიშელი, ა. მურუსიძე, მ. ნემო (ჯანუაშვილი), დ. ნარეკაშვილი, ე. სანიკიძე, ალ. ყალაბეგიშვილი, დ. ჩარკვიანი, ა. ანდრონიკე ჭაყელი. სუფლიორები — გ. გურული და გ. ფარქოსაძე, სცენარიუსი— ალ. გუგუშვილი. ცალკე წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად სეზონის განმავლობაში მოწვეულნი იყვნენ ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ვ. აბაშიძე, გ. არადელი-იშხნელი, ნ. ჯავახიშვილი, ი. ზარდალიშვილი, ი. ბაქრაძე, ნ. კანდელაკი, დ. კობახიძე და სხვ.

დრამატული საზოგადოების ანგარიში გვაუწყებს, რომ სეზონი გახსნილა 20 სექტემბერს და დამთავრებულა 27 თებერვალს. დასს გაუმართავს 55 წარმოდგენა. ამ წარმოდგენებიდან შემოსულა 9196 მან. 85 კაპ. გამგეობა აქირავებდა თეატრის შენობას სხვადასხვა საგასტროლო დასებზე და აქედან სეზონის განმავლობაში შემოსულა 4550 მანეთი. საინტერესოა დავასახელოთ ზოგიერთი ხარკებიც: გარდერობის შეძენა და განახლება 1193 მან. 96 კაპ. დეკორაცია 394 მან. 05 კაპ. მუსიკა 489 მან. საავტორო ჰონორარი 229 მან. და სხვა. დასის ხელფასი შეადგენდა 6241 მან. 32 კაპიკს ანუ თვეში 1000 მანეთზე ცოტა მეტს (ხელფასი მსახიობებს მიეცათ 1 მარტამდე). სულ დასში 21 მსახიობი იყო. ამრიგად მსახიობის საშუალო ხელფასი თვეში შეადგენდა 50 მანეთს და ისიც, მხოლოდ ექვს

თვეს. მსახიობთა ხელფასის თაობაზე საზოგადოების ანგარიშში შემდეგს ვკითხულობთ: „წლებანდელმა სეზონმა აშკარათ დაანახვა გამგეობას და მგონი ყველა თეატრში მოსიარულეთაც, რომ ჩვენი მსახიობნი მშრომელნი და ბევრი მათგანი ნიჭიერიც არიან, მაგრამ ნივთიერათ კი უზრუნველყოფილნი არ არიან. ამიტომ ჩვენი საზოგადოების ერთს უმთავერესს მიზანს ის უნდა შეადგენდეს, რომ მათ, ე. ი. მსახიობთ, მუდმივი წლიური ჯამაგირი ეძლეოდეთ. გამგეობას გულისთ უნდოდა ეს განზრახვა მთლად თუ არა, ცოტათი მაინც აესრულებინა, მაგრამ ახლავე შესაძლებლათ ვერ დაინახა, რადგან ნეტის მეტი ბევრი ხარჯი ედვა წინ. მხოლოდ ეს კი მოახერხა, რომ დასს ჯამაგირი ეძლეოდა სრულს ექვს თვეს და ისიც სრულათ და დანიშნულ დროს“.

უნდა აღინიშნოს. რომ არა თუ ამ სეზონში, არამედ შემდგომ-ზეც როგორც ქუთაისის, ასევე თბილისის დასს მუდმივად წლიური ხელფასი არ ეძლეოდა თეატრების მატერიალური ხელმოკლეობის გამო. ეს ღონისძიება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქნა განხორციელებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სეზონში დასმა 55 წარმოდგენა გამართა. დრამატული საზოგადოების ანგარიშში ნათქვამია, რომ წარსულში არც ერთ სეზონში ამდენი წარმოდგენა არ გამართულაო, ეს მართლაც ასე იყო.

წარმოდგენას დასწრებია 27 134 მაყურებელი, ანუ საშუალოდ თითო წარმოდგენაზე 500-მდე კაცი. სხვათა შორის, ამაზე მეტს მაყურებელს ვერც დაიტევდა ქუთაისის თეატრის დაბაზი, აქედან გამომდინარე, ეტყობა ხალხი ყველა წარმოდგენას საკმაოდ ესწრებოდა. იმდროინდელი პრესა კმაყოფილებით აღნიშნავდა სეზონის წარმატებით ჩატარებას. გაზეთი „დროება“ (№-12. 1910, 17 იანვარი) წერდა, რომ თბილისთან შედარებით, ამ სეზონში ქუთაისის თეატრი გაცილებით უკეთესად მუშაობსო.

სეზონის რეპერტუარი შინაარსიანი და მრავალფეროვანი იყო. მარტო ცხრამეტი ქართული პიესა დაიდგა. მათ შორის პირველად იყო წარმოდგენილი ვას. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი ლევანი“ და ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“. გამეორებულ იქნა შ. დადიანის რევოლუციური ხასიათის პიესა „როს ნადიმობდნენ“. (20 დეკემბერს) აღნიშნული პიესა ამ პერიოდში ქუთაისის გაზეთ „ფონში“ დაიბეჭდა (№ 2,4,6 1909). იმავე გაზეთში (№-17, 1909, 25 დეკ.) პიესის დადგმის შესახებ წერდნენ, რომ „დასს არაფერი დაუზოგავს, რომ ეს პიესა შესაფერისად შეესრულებინა, რასაც მან სრულებით მიადრწიაო“.

პირველად ამ სეზონში დიდი წარმატებით დაიდგა ქუთაისის

სცენაზე მ. გორკის პიესა „ფსევრზე“. პირველად განახორციელეს აგრეთვე, ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ და „ანფისა“, ს. იუშევიჩის „მეფე“ და სხვ.

უცხოური ნაწარმოებებიდან წარმოდგენილი იყო ფ. შილერის „ყაჩაღები“ და „მარია სტიუარტი“, უ. შექსპირის „ჰამლეტი“, ა. ბეიერლენის დრამა „სამხედრო ბანაკში“.

სეზონის განმავლობაში ქუთაისის თეატრმა მთელი რიგი მნიშვნელოვანი თეატრალური თარიღები აღნიშნა: 3 დეკემბერს საიუბილეო საღამო გაუმართა ქართული თეატრის ცნობილ მსახიობს ნ. გაბუნია-ცაგარელს. 27 სექტემბერს მოაწყო ი. ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავი წარმოდგენა. 15 ნოემბერს აღნიშნა ფ. შილერის დაბადების 150 წლისთავი — წარმოდგინა მისი ტრაგედია „მარია სტიუარტი“, 2 იანვარს თეატრმა აღნიშნა ქართული თეატრის აღდგენის 66 წლისთავი. უჩვენეს პ. უმიკაშვილის „სამზადისი“.

სეზონის წარმატებით ჩატარებისათვის დრამატული საზოგადოების წევრთა წლიურმა კრებამ, რომელიც 7 ივნისს შედგა, დასის მთავარ რეჟისორს ვ. გუნიას მადლობა გადაუხადა.

ქართული თეატრის ახალი ამოცანები. ქუთაისის თეატრს ამ სეზონში საგრძნობი წარმატება ჰქონდა, ხოლო რაც შეეხება თბილისის დასს, პრესა და საზოგადოებრიობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისი ჩამორჩენის გამო.

1910 წლის 2 იანვარს გამოვიდა ქურნალი „თეატრი და ცხოვრების“ პირველი ნომერი. მასში ლაპარაკი იყო ჩვენი თეატრის დაქვეითების შესახებ. „...დღეს ჩვენი თეატრი დაცემულია, მისი კეთილდღეობა სერყეულია, მოკლებულია ცხოველყოფელ ძალას, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ყოველი ცოდნისა და განვითარების მსურველი. ყოველი მამწვრალი და მწყურვალი.. გამჭრალი აქვს თვითმოქმედება-შემოქმედების უნარი, დაკარგული აქვს საკუთარი გზა-კვალი, თითქოს არ იცის რას ემსახურება და რას უნდა ემსახურებოდეს... იგი ცხოვრებას ჩამორჩა. საზოგადოებამ თავისი მოთხოვნილება-მისწრაფებით თეატრს გაუსწრო და ამის შემდეგ ვის რალა უნდა გვიკვირდეს, რომ იგი, ქართული თეატრი, დანუღლებულია და მასში მსახურს ქართველ მსახიობს ჭერაც ვერ მოუპოვებია მოქალაქეობრივი უფლება, თითქოს მეტი ბარგიაო, საზოგადოების მეტხორცად ცნობილი... თეატრი, სცენა მარად უამს დროის მოთხოვნილებას ანგარიშს უნდა უწევდეს და ყოველთვის წინ მიუძღოდეს საზოგადოებას, ბნელში გზის მაჩვენებელი უნდა იყოს და არა უკან ჩამორჩენილი, მაჩანჩა-

ლა... დღეს კი რას ვხედავთ? — დაუკვირდით, საზოგადოება თეატრს არ წყალობს, მსახიობნი ხელოვნებას, მეღპოემნა მსახიობთ... ვინ არის ამაში დამნაშავე? სად არის ძალის თავი დამარბული? რა გზით შეიძლება ეშველოს ჩვენს თეატრს? აი კითხვები, რომელთა მიუდგომელ გარკვევას მოითხოვს ჩვენი თეატრის ყოფნა-არყოფნის აწმყო და მომავალი“.

ქართული თეატრის ჩამორჩენაზე ლაპარაკი უფრო ადრე, ორი წლის წინ დაიწყო ახალგაზრდა თეატრალურმა მოღვაწემ აკაკი ფალავამ. იგი ქუთაისში გაიზარდა, აქ მიიღო საშუალო ცოდნა. 1905 წელს თბილისში გადმოვიდა და მონაწილეობას იღებდა პროფესიული დასის წარმოდგენებში. 21 წლის ახალგაზრდამ, 1908 წელს თბილისში „სეველის“ ფსევდონიმით დაბეჭდა წიგნაკი „ქართული თეატრი და მისი დღევანდელი მდგომარეობა“. ამ ნაშრომში ა. ფალავა გაბედულად აკრიტიკებდა ქართული თეატრის არსებით მდგომარეობას, მოითხოვდა რომ ქართულ თეატრს სასწავლებლად გაეგზავნა ახალგაზრდები მოსკოვში სამხატვრო თეატრის შემოქმედებითი პრინციპების შესათვისებლად. გარდა ამისა, მოითხოვდა, რომ ქართული სცენის შესვეურებს დაებრუნებინათ საქართველოში ლადო მესხიშვილი, რომელიც დიდად დააწინაურებდა ჩვენს სათეატრო ხელოვნებას (თვითონ ა. ფალავა ამავე წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში და პარალელურად დაიწყო სწავლა სამხატვრო თეატრის სარეჟისორო სასწავლებელში).

იმ პირთა შორის, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქართული თეატრის გაჯანსაღების საკითხს განხილვაში, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ შალვა დადიანი. მან ქურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№6, 17 20, 21, 29, 30, 1910) გამოაქვეყნა წერილების სერია, რომლებშიც ჩვენი თეატრის საჭირობოროტო საკითხებს შეეხო. იგი წერდა, რომ თეატრს გარდამავალი ხანა დაუდგა და თეატრის ახალი თაობა გაბედულად უნდა დაადგეს ახალ გზას „პირადად მე — წერდა დადიანი, — ახალგაზრდობის მოვალეობად დღესდღეობით, ჩვენს სცენაზე რეალიზმისა და, მაშასადამე, ანსამბლის მწყობრ წარმოდგენათა დამყარება მიმაჩნია. შეიძლება იცოტავონ ასეთი პატარა მისია, მაგრამ თუ დაუკვირდებიან, მიხვდებიან, რომ ეს მოვალეობა, --- დიდია იგი თუ პატარა — თვით საქმის ვითარებამ არგუნა“...

სცენური რეალიზმის პროპაგანდისტები და დამცველები ქართულ თეატრს სხვებიც ჰყავდა (მაგალითად მ. ქორელი) და მათი ბრძოლა ხელოვნების ამ ფორმის დამკვიდრებასა და განვითარებისათვის იმ პერიოდში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. საქ-



მე ის არის, რომ ქართულ თეატრში თავი იჩინა რეაქციულმა ზრახვებმა და თეატრის არსზე იდეალისტურმა შეხედულებებმა.

რეაქციის აშკარა ფაქტი იყო, როდესაც თბილისის დრამატულმა დასმა ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის კარნახით დადგა ა. გოთუას პიესა „პარტიის კაცი“, რომელიც თავისი შინაარსით მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ პიესის დადგმამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იგი რეპერტუარიდან მოიხსნა, მაგრამ თვით ფაქტი დამაფიქრებელი იყო იმ მხრივ, რომ თბილისის დრამატულ საზოგადოებაში მოკალათებული თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული კონსერვატორები ისევ განაგრძობდნენ თავის რეაქციულ ხაზს. ისინი იქამდე გათამამდნენ, რომ დააპირეს ხელში ჩაეგდოთ ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე, რომელიც ზუბალაშვილების სახელობის ასლად გახსნილ სახალხო სახლში მუშაობდა (ამჟამად კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი).

**ლადო მესხიშვილის დაბრუნება.** სწორედ ამ დროს, 1910 წლის დამდეგს, საქართველოში დაბრუნდა ლადო მესხიშვილი. თბილისში მის ჩამოსვლის გამო ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (№-2, 1910) იტყობინებოდა: „ეს ერთი კვირაა, რაც ჩვენი სასიქადულო ხელოვანი მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი სამშობლოში დაბრუნდა. სამიოთხი წელიწადია იგი მთავარ რეჟისორად მსახურობდა კრასნოი-არსკის, რიაზანის, არხანგელსკის თეატრებში და მოსკოვში. ხოლო უკანასკნელ ხანს საგასტროლოდ მიწვეული იყო ტომსკში. როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, მსახიობი ახლა უკვე სამუდამოდ დარჩება საქართველოში, მონაწილეობას მიიღებს თბილისისა და ქუთაისის სცენაზე. აგრეთვე ფიქრობს ჩვენი ქვეყნის თეატრის საქმე მოაწესრიგოს და სასურველ ნიადაგზე დააყენოს, თუ მას ხელი შეუწყვეს. მსახიობი ჯერ კიდევ ჯან-ღონითაა სავსე და ხალისიანად ემსახურება თავის საყვარელ საჯანს — თეატრს“.

გაზაფხულზე მესხიშვილი თბილისის დრამატული დასით ესტუმრა ქუთაისს. მისი მონაწილეობით წარმოდგენილი იყო უ. შექსპირის „ჰამლეტი“, კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ და ჩეხოვის მოთხრობის „შავი ბერის“ ინსცენირება. 16 მარტს გამართულ ლადო მესხიშვილის საბენეფისო წარმოდგენა დიდ დღესასწაულად იქცა. მილოცვებს და საჩუქრებს ბოლო არ უჩანდა. საინტერესო იყო ადრესი, რომლითაც მესხიშვილს მიმართეს ქუთაისის მუშებმა და ნოქრებმა: „... ეგრეთ წოდებული საზოგადოება, ცრუ-პატრიოტული გრძნობებით ამოძრავებული, ვთელავდა და გვიცხავდა შენ... რატომ? იმიტომ, რომ დროებით რუსეთში წახვედი ხანგრ-

ძლივი და მძიმე მუშაობის შემდეგ. ჩვენ ამაში სამარცხვინოს არას ვხედავთ, ჩვენ აქ სამშობლოს ღალატს ვერ ვამჩნევთ. პირიქით, ჩვენ ვურჩევდით იმ საზოგადოებას, რომ მან საშუალება მისცეს ზოგიერთ ჩვენს არტისტებს რუსეთში წავიდნენ და იქ ცოდნა და გამოცდილება შეიძინონ. ჩვენთვის ხომ ასე სანატრელია შეგნებული და მცოდნე არტისტი?“

ლადო მესხიშვილი 1910 წლის შემოდგომიდან სათავეში ჩაუდგა თბილისის დრამატულ დასს და საგრძნობლად გამოაცოცხლა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა.

1910—1911 წლების სეზონი მ. ქორელის ხელმძღვანელობით. ქუთაისის თეატრს კვლავ ქუთაისის დრამატული საზოგადოება მართავდა, მაგრამ თუ გასულ სეზონში საზოგადოებას არ გაძნელება თეატრის მართვა და ფინანსირება, რადგან წარმოდგენებს ხალხი მუდამ ბევრი ესწრებოდა და შემოსავალი კარგი იყო, — ახალ სეზონში მდგომარეობა შედარებით გაუარესდა. მიზეზი — ქუთაისისათვის უჩვეულო, ცივი ზამთარი იყო. თოვლი ორ ადღზე მეტი მოვიდა. ყოველგვარი მიმოსვლა შეწყდა. ასეთ დროს ცხადია, თეატრისათვის აღარავის ეცალა. მაგრამ დრამატული საზოგადოება მაინც განაგრძობდა წარმოდგენების მართვას, რათა თეატრის კერა არ ჩამქრალიყო. თუმცა საბოლოო ანგარიშში საზოგადოებამ 6400 მანეთამდე იზარალა, მაგრამ არ დაერიდა ამას. პირიქით, საზაფხულო სეზონიც კი გააწყო და, ამრიგად, დასი რვა თვის განმავლობაში ხელფასით უზრუნველყო. ეს ამბავი საზოგადოების ვამგეობას მნიშვნელოვნად მიაჩნდა: „მთელი რვა თვის განმავლობაში მსახიობთა მატერიალური კეთილდღეობა დამოკიდებული იყო საზოგადოების მზრუნველობაზე და არა შემთხვევაზე. ვკითხულობთ დრამატული საზოგადოების ვამგეობის 1910—1911 წლების ანგარიშში.—ვამგეობაც ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მათი საქორება დაექაყოფილებინა და, მიუხედავად დეფიციტისა, მაინც პირნათლად გამოვიდა მათთან. ამგვარი გარემოება აჩვევს მსახიობთ თავის მოღვაწეობას უტკირონ. როგორც საზოგადო საქმეს, გრძნობდნენ მის წინაშე პასუხისმგებლობას და არა კერძო ინიციატივაზედ ამყარებდნენ თავის ბედ-იღბალს. ამასთან, ეჩვევიან იმ აზრს, რომ მათი ინტერესები საზოგადოების ხელში უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე კერძო ინიციატორის. ასეთი მჭიდრო კავშირი დასსა და ვამგეობას შორის, მგონია, არასოდეს ყოფილა და ეს არის სწორედ საწინდარი მომავლის წარმატებისა. ამიტომ ირჩია ვამგეობამ ისევ ვალში ჩაყარდნისიყო, ვიდრე მსახიობთათვის ჯამაგირები დაეჭირა“.

ქების ღირსია ქუთაისის დრამატული საზოგადოება, რომ ეს საკითხი მუდამ აინტერესებდა და ცდილობდა კიდევ დადებითად გადაეწყვიტა.

ამ სათეატრო სეზონში დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგებოდა: ქალები — ელო ანდრონიკაშვილი, მარო მდივანი, ანეტა ქიქოძე, ოლიმპიადა ლოლობერიძე, ეველინა წუწუნავა, ნინო ჩხეიძე. ვაჟები — ვასო არაბიძე, იანგო აბტალიდი, ალექსანდრე იმედაშვილი, პლატონ კორიშელი, ანდრო მურუსიძე, დავით ნარეკაშვილი, ვლადიმერ სანიყიძე, ვასო ურუშაძე, ალექსანდრე ყალაბეგვიშვილი. სუფლიორები — გიორგი ქურული და გუცა ფარქოსაძე, სცენარის ალექსანდრე გუგუშვილი, რეჟისორები შ. დადიანი და მ. ქორელი. ზოგიერთ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ: ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია. დასი, საერთოდ, ახალგაზრდული იყო. მიხეილ ქორელი და შალვა დადიანი კი პირველ სერიოზულ ნაბიჯებს დგამდნენ რეჟისურაში.

ჩვენ წინა თავში აღვნიშნეთ, რომ მიხეილ ქორელი, უმაღლესი ცოდნის მიღების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა და მსახიობად გამოდიოდა სცენაზე, მაგრამ არცთუ დიდი წარმატებით. ამიტომ მ. ქორელმა პედაგოგიურ ასპარეზზე დაიწყო მოღვაწეობა და 1908 წლიდან ბაქოს რეალურ სასწავლებელში მუშაობდა. ქუთაისის დრამატული საზოგადოების მესვეურები მ. ქორელს იცნობდნენ, როგორც საკმაოდ მომზადებულ პიროვნებას. შ. დადიანი მას ასე აფასებდა: „კაცი ფრიად განსწავლული, უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი და დიდი გემოვნების რეჟისორი“. მართალია, ჯერჯერობით რეჟისორობაში დიდი გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც დააწინაურეს და ყოველ შემთხვევისათვის გვერდით ამოუყენეს სასცენო ხელოვნებაში შედარებით მასზე უფრო გამოცდილი შალვა დადიანი.

ნ. ჩხეიძე აგვიწერს მ. ქორელის მოწვევის ამბავს (ნ. ჩხეიძე, მოგონებანი, თბ. 1956)... „...ჩამაცივდა დარახველიძე (დრამატული საზოგადოების წევრი, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა ქუთაისის თეატრს), ჩემი მეუღლე დამეჭვრებინა, რომ თავი დაენებებინა მასწავლებლობისათვის (იმ დროს ბაქოს რეალურ სასწავლებელში იყო მასწავლებლად) და ქუთაისში ჩამოსულიყო რეჟისორად. აღ. დარახველიძემ იცოდა მ. ქორელის აზრი ქართულ თეატრზე, იცოდა მისი დიდი სიყვარული ამ საქმისადმი და მისი შესაძლებლობაც. მე ვიცოდი, ქორელს დიდი თხოვნა არ დასჭირდებოდა. პირიქით, ის დიდი ხანია სულით და გულით იწვევდა თეატრისაკენ და თუ აქამდე დაშორებული იყო ამ საქმეს, ამაში ბრალი ნაწილობრივ მე მი-

მიძღვდა. არდადეგებზე ჩემი მეუღლე ჩამოვიდა ქუთაისში. შემო-  
ეხვია გამგეობა, ახალგაზრდობა, მსახიობნი და საქმე გადაწყდა. შე-  
მდეგი სეზონიდან უკვე ქორელი იქნებოდა ქუთაისის დასის ხელმ-  
ძღვანელი“...

შემდეგ ნ. ჩხეიძე აგვიწერს, თუ რა გულდასმით მუშაობდა მ.  
ქორელი: „რეჟისორი მ. ქორელი სამხატვრო თეატრის თაყვანის-  
შცემელი იყო. სცენურ ანსანბლს მთავარ ყურადღებას აქცევდა და  
თუ აქამდის მთელი ყურადღება მხოლოდ პირველხარისხოვან მსა-  
ხიობებზე იყო, ახლა უკვე მთავარი იყო ანსამბლი. დიდი და პატა-  
რა ყველა მოვალე იყო სალიანგო (მასობრივ) სცენებში გამოსული-  
ყო, ეთამაშნა პატარა როლებიც, თუ ამას საჭიროება მოით-  
ხოვდა.. ჭერ მაგიდასთან ვმუშაობდით... როლების ესა თუ ის ადგი-  
ლი დავას იწვევდა, იყო აზრთა გაცვლა. ერთსა და იმავე ად-  
გილს მსახიობი რამდენჯერმე კითხულობდა, სანამ არ მონახავდა  
შესაფერის კილოს. ამ გზით ნელ-ნელა გადავიდოდით სცენაზე. აქ  
უკვე მიზანსცენების დამუშავება იწყებოდა. არ ვკითხულობდი  
როლებს, როგორც ეს წინათ იყო. რეპეტიციები გრძელდებოდა ლა-  
მის 12 საათამდე. რეპეტიციის შემდეგ რეჟისორი და რამდენიმე  
მსახიობი ერთად რჩებოდნენ თეატრში. შველოდნენ დეკორატო-  
რებს (სპეციალური მხატვარი მაშინ არ ჰყავდა თეატრს), ხატავდ-  
ნენ სურათებს, რომელნიც ამა თუ იმ პიესაში საჭირო იყო... ჭერ  
კიდევ ახალგაზრდები ვიყავით, ენერჯია და საქმისადმი სიყვარული  
დიდი გვქონდა და დღელამ ვმუშაობდით, რომ საქმე თუ კარგად  
არა, რიგიანად მაინც წაგვეყვანა“.

მიხეილ ქორელის ამ გონივრულმა ხელმძღვანელობამ და მას-  
თან ერთად მთელი დასის ახალგაზრდულმა გატაცებამ შესანიშნა-  
ვი ნაყოფი გამოიღო. თავისი მხატვრული ღირებულებით, სეზონი იმ-  
დროინდელ პირობებში სანაქებო გამოვიდა და მთელმა რიგმა წარ-  
მოდგენებმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. სეზონი რვა  
თვეს გაგრძელდა და ამ პერიოდში დასმა 64 სპექტაკლი გამართა  
(კვირაში საშუალოდ ორი წარმოდგენა). სულ 40-მდე სახელწოდე-  
ბის ნაწარმოები დაიდგა. ზოგიერთი მათგანი რამოდენიმეჯერ იქნა  
ნაჩვენები.

რეპერტუარში შედიოდა, როგორც პატრიოტული შინაარსის პიე-  
სები, ასევე თანამედროვე ჟღერადობის სოციალური დრამები. პიე-  
სების დიდი ნაწილი პირველად იდგმებოდა ქუთაისის სცენაზე, მა-  
გალითად: ტ. რამიშვილის დრამა „საბედისწერო დამბაჩა“, ნ. შიუ-  
კაშვილის დრამა „სიმახინჯე“ და სხვ. რეპერტუარში მრავლად იყო  
უცხოური დრამატურგია. მათ შორის პირველად ქართულ სცენაზე  
დაიდგა ბერნარდ შოუს „მეამბოხე“. მაყურებელმა ქუთაისის სცე-

ნაზე ნახა მ. ლენგიელის „ტიფუნ“, ე. შვაიერის „ნიშანი ყოფაქცევაში“, გ. ზუდერმანის „ივანობის ღამე“ და სხვ.

წარმოდგინეს, აგრეთვე, ა. შირვანზადეს „ევეგენა“. რუსული დრამატურგიიდან კი თეატრმა განახორციელა ფ. კარევის „უბედური ნაბიჯი“ და მ. გორკის „უკანასკნელი“. მ. გორკის ამ ცნობილი ნაწარმოების დადგმა თეატრის დიდი წარმატება იყო იდეური თვალსაზრისით.

განვიხილოთ ამ სეზონის ზოგიერთი დადგმა:

პავ. ყიფიანის დრამა „აღსდგა მკვდრეთით“ ანუ „მარტუჩა“ ისტორიული შინაარსის იყო. „სახალხო გაზეთის“ (№-125, 1910) აზრით, პიესა ნაძალადევი და ყალბი იყო თავისი შინაარსით. გაზეთი წერდა, რომ დასმა შრომა არ დაზოგა, რომ ანსამბლი შეექმნაო.

ქუთათური მაყურებელი დაინტერესა მ. ლენგიელის დრამამ „ტიფუნმა“. ეს იყო ნაწარმოები იაპონელთა ცხოვრებიდან (ამ პიესით გაიხსნა ქუთაისის თეატრის სეზონი).

პიესა შაბლონური, მდარე შინაარსის იყო, მაგრამ მაყურებელს იზიდავდა ჩვენთვის უცნობი იაპონელთა ყოფის ასახვით. მსახიობებმა როლები მაღალხარისხოვნად შეასრულეს. „სახალხო გაზეთი“ (№-124, 1910) წერდა, რომ ბევრი მაყურებელთაგანი წინასწარვე იყო პიესის დაწუნების გუნებაზე, მაგრამ დასის პირველმა გამოცდამ კარგად ჩაიარა. მთავარ როლებს ასრულებდნენ. ა. იმედაშვილი (იაპონელი დოქტორი ტოკერამო) და ნ. ჩხეიძე (ფრანგი ქალი ელენ ლაროშ). „მეტად კარგი, პირდაპირ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა პირველმა ორმა მოქმედებამ, — წერდნენ გაზეთში — ჩვენი ღარიბი სცენის მიხედვით, მეტად მშვენივრად იყო მორთულ-მოკაზმული ტოკერამოს სამუშაო კაბინეტი. ამას ზედ დავუმატოთ ჩინებული, მწყობრი და შეთანხმებული თამაში მსახიობთა. იაპონელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა უსიტყვო როლში თვით დრამის დამდგმელი მ. ქორელი, რომლის ყოფნამაც სცენაზე საერთო შნოიანობას უქმველად შეუწყო ხელი“.

ლ. ანდრეევის პიესა სტუდენტთა ცხოვრებიდან—„გაუღეამუს“ (მისივე პიესის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ვაგრძელება), „სახალხო გაზეთის“ სიტყვით (№-191, 1910) იმდენად ღირსეულად შეასრულეს, რომ თვით ავტორიც რომ დასწრებოდა, უკმაყოფილო არ წავიდოდაო.

დასმა ითამაშა ა. ოსტროვსკის კომედია „უდანაშაულოდ დასჯილნი“. მასში მ. ქორელმა ნეზნამოვის დრამატული როლი შეასრულა. „სახალხო გაზეთი“ (№-194, 1910) წერდა, რომ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა და უმთავრესი ყურადღება მიიქცია მ. ქორელმა თავისი კარგი თამაშით. „ჩინებული იყო ის — წერდნენ გაზეთში,

— განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში, სადაც მისმა მგრძობიარე თამაშმა ააქვითინა საზოგადოება. მისი მშვენიერი ტკბილი ხმა პირდაპირ ხიბლავს მსმენელს. საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშისცემით და ვაშას ძახილით დააჯილდოვა მსახიობი“. წარმოდგენა ყოფილა სახალხო, იაფფასიანი ბილეთებით. წერდნენ, რომ წარმოდგენას ხალხი ზლომად დაესწრო.

წარმატება ხვდა წილად ე. შვაიერის პიესას მოწაფეთა ცხოვრებიდან „ნიშანი ყოფაქცევაში“. გაზეთი „ზაკავასკოე ობოზრენიე“ (№ 49, 1910 წერდა რომ ქუთაისის 50 000 მცხოვრებზე 7 000 მოწაფეთა და გასაკვირი არ არის, რომ წარმოდგენაზე დარბაზი მოწაფეებით გაივსო. „პიესა ეხება მეტად მწვავე საკითხს,— აღნიშნავენ გაზეთში,—ახალგაზრდობის მეტად უკუღმართად აღზრდას, როგორც შინ, მშობლებთან, ისე სკოლაში მასწავლებლების მიერ... პიესამ ჩინებულად ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მსახიობებს მეტად სასურველი მომზადება ეტყობოდათ: ყველა თავის ადგილზე იყო და თავს თავისუფლად გრძნობდა. როლები შეგნებულად ჰქონდათ შესწავლილი“.

ნიკო წიუკაშვილის დრამა „სიმახინჯე“ დასმა 4 იანვარს წარმოადგინა. მსახიობთა შესრულების მხრივ, წარმოდგენა ჩინებული იყო და მაღალი შეფასებაც მიიღო. პრემიერაზე დასასწრებად ქუთაისში ავტორი ჩამოსულა. დრამატული საზოგადოების გამგეობას ნ. შიუკაშვილისათვის ვახშამი გაუწართავს და ამ ვახშამზე მწერალს გამგეობისათვის გადაუცია თავისი სამი ახალი დრამა: „ციცინათელა“, „სულელი“ და „მთის ზღაპარი“.

საინტერესოა ის გარემოება, რომ რევოლუციური შინაარსის პიესა „სულელი“, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ ფრიად პოპულარულ ნაწარმოებად იქცა, ავტორს ჯერ კიდევ 1911 წელს ჰქონდა მზად, მაგრამ ცენზურა მისი დადგმის ნებას არ იძლეოდა. (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საინტერესო ნაწარმოები მ. ქორეღმა დაიდგა პირველად ქუთაისის სცენაზე 1917—1918 წლ. სათეატრო სეზონის გახსნისას). პ. ჯიაკომეტის ტრაგედია „ივდიითი“, რომელიც ძველ ებრაულ ცხოვრებას აგვიწერს, ძნელი დასადგმელი იყო. „ასეთი პიესების დადგმა ქუთაისის სცენაზე ძლიერ ძნელია, — წერდა „სახალხო გაზეთი“, (№-227, 1911) — ხელს არაფერი არ უწყობს, არც ბუტაფორია, არც დეკორაციები, არც ტანსაცმელი, არც სტატიტები და სხვა. რაკი ივარეჯანი მზარე პიესისა კარგად არ არის მოწყობილი, პიესის შთაბეჭდილება თითქმის ნახევრდება. ებრაელი ხალხის მაგივრად კი სცენაზე მოჩანდა 2-3 არაბის მსგავსი სტატიტი, რომელნიც მიხრა-მოხრით და თამაშით მხოლოდ აუშნობდნენ პიესას“. დადგმის ეს ნაკლი გამოუსყიდია ნ.

ჩხეიძის ბრწყინვალე თამაშს ივდითის როლში. იგივე გაზეთი წერდა: „მისმა შეუდარებელმა თამაშმა ისეთ აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე სპეკტატორები, რომ მეხუთე მოქმედებაში გამოსვლის დროს დაუსრულებელი ტაშისცემა და „ვაშა“ ისმოდა“.

ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ 12 თებერვალს წარმოდგენილი იყო პირველად ქართულ სცენაზე იტალიელი მწერლის გ. დანუნციოს ტრაგედია „ჩოკონდა“. ამ დადგმის გამო „სახალხო გაზეთი“ (№-235, 1911) წერდა: „პიესა რომ არ დადგმულიყო, ჩვენი სცენა ბევრს არ დაჰკარგავდა. პიესა მთლიანად გაუღენთილია სიმბოლიზმით, ისე, რომ ხალხს კი არა, ბევრ ინტელიგენტსაც კი გაუჭირდება მისი გაგება“. ნ. ჩხეიძეს მაინც შესანიშნავად შეუსრულებია ჩოკონდას მთავარი როლი.

1 აპრილს დასმა წარმოადგინა ნ. პონტელის (ი. ჩიქოვანის) პიესა „საშინელი ბრძოლა“. ეს იყო თანამედროვე შინაარსის ნაწარმოები.

პიესა მეტად უსუსური აღმოჩნდა და კარგადაც ვერ დადგეს, მთავარი გმირის როლის შემსრულებლად თბილისიდან მოწვეული იყო ცნობილი მსახიობი ვ. გუნია. „ი. პონტელის „საშინელმა ბრძოლამ“ აშკარად დაგვანახვა, — ხუმრობით წერდნენ „სახალხო გაზეთში“ (№-276, 1911), — რომ ავტორმა საშინლად იბრძოლა დრამატულ ხელოვნებასთან, მაგრამ ძლეული თვითონვე აღმოჩნდა, ხოლო დრამატული ხელოვნება დოინჯემოყრილი ამბობდა: შეისწავლე, შეითვისე ტექნიკა თეატრისა, ცოტა რამ ღვთისაგან ნაბოძები ნიჭით აღიჭურვე და მაშინ ძლეული მე ვიქნები და გამარჯვებული შენ“...

გაზეთმა „კოლხიდაშ“ (№-17, 1911) გააკიცხა თეატრი სათავგადასავლო მსუბუქი შინაარსის პიესის „შერლოკ ჰოლმისის“ დადგმისათვის.

ერთი სიტყვით თეატრს, ბრწყინვალე მხატვრულ გამარჯვებებთან ერთად ჰქონდა ჩავარდნებიც, ზოგიერთი დადგმებიდან აშკარად გამოსკვივოდა სიმბოლისტური ტენდენციები, რაც იმ პერიოდში საერთოდ მთელ რუსეთში იყო მოდებული. ყოველივე ეს გამოიხსიდა თეატრის საერთოდ დემოკრატიულმა ტენდენციამ და განსაკუთრებით იმან, რომ დასმა მყოფრებელს უჩვენა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოები — მ. გორკის „უკანასკნელნი“.

მ. გორკის „უკანასკნელნი“. ფრიად საგულისხმო იყო, ის გარემოება, რომ 1908 წელს დაწერილმა ამ პიესამ, რუსული თეატრის ფიცარნავი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იხილა, ხოლო გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1910 წელს დაიწყო თა-

ვისი სცენური სიციცხლე ქართულ თეატრში. ქუთაისის და-  
დგმა იყო პირველი და ერთადერთი მთელ რუსეთის იმპერიაში.  
უფრო მეტიც, — ეს იყო „უკანასკნელის“ ერთ-ერთი პირველი  
დადგმათაგანი მსოფლიოში. გერმანელმა რეჟისორმა რეინჰარდტმა  
ბერლინში ეს პიესა სწორედ იმავე წელს დადგა, როცა იგი ქუთაი-  
სის სცენაზე აჩვენა ქართველმა რეჟისორმა მ. ქორელმა.

„უკანასკნელი“ დასადგმელად აიკრძალა თითქმის იმ დღიდა-  
ნვე, როგორც კი დაიბეჭდა, 1908 წელს ჟურნალ „ზნანიეში“. მისი  
აკრძალვა, ცენზურის სიტყვით. გამოიწვია იმან, რომ პიესაში გამო-  
ყვანილია „ნამდვილ არაშაადებად დახატული პოლიციაში მომუ-  
შავე პირთა მთელი წყება“.

ცენზორი წერდა, რომ პიესამ შეიძლება „საზოგადოების გარკ-  
ვეულ ნაწილში“ თანაგრძნობა გამოიწვიოსო და გამოთქვამდა გაო-  
ცებას: „რატომ ჰქვია პიესას „უკანასკნელი“, არ მესმისო“... ცენ-  
ზორს არ ესმოდა იმიტომ, რომ თვითმპყრობელური რეჟიმი შეურ-  
ყველი მიაჩნდა, მაგრამ იმათვის, ვისაც თვითმპყრობელობის  
მძვინვარე რეაქცია ციხეებითა და სახრჩობელებით უსწორდებოდა,  
პიესის სათაური ნათელიც იყო, ზუსტიცა და მრავლის მთქმელიც.  
ამას ადასტურებდა კიდევ პატარა წერილი ქუთაისის თეატრის სა-  
რეკლამო ბიულეტენში რომ გამოქვეყნდა „უკანასკნელის“ პრემიერ-  
ის წინ. წერილში ვკითხულობთ: „პიესა „უკანასკნელში“ გორკი-  
სებური ძლიერებით არიან დახატულნი ცნობილი ტიპები: — დღე-  
ვანდელი დუხჭირი წესწყობილების მიერ შექმნილი პიროვნებანი,  
— ყოფილი პოლიცმაისტერი, რომელმაც ლოთობაში და ქაღალდის  
თამაშში იგაატარა თავისი დღენი და მთელი მისი ოჯახი — სულე-  
რად და ზნეობრივად დასახიჩრებული არსებანი. გორკიმ უთუოდ  
განგებ დაარქვა ყველა ამათ „უკანასკნელი“ და ამითი ჩვენ დღევან-  
დელ სასოწარკვეთილებას ნუგეში სცა: ამისთანები აღარ იქნებიან,  
უკანასკნელი არიანო“.

ამრიგად, როდესაც ქუთაისის თეატრი მ. გორკის „უკანასკ-  
ნელს“ მიმართავდა, იგი სავსებით ნათელსა და ქმედით მიზანს ისა-  
ხავდა — თავისი დროის ყველაზე მძაფრი პიესით ეპასუხა რეაქციის  
შემოტევისათვის. ნებართვა პიესის დასადგმელად თბილისში, სა-  
ცენზურო კომიტეტში, ახალგაზრდა მსახიობმა და ადმინისტრატორმა  
ვასო ურუშაძემ მოახერხა, (რასაკვირველია, პურ-მარილის გამოყენე-  
ბით).

პიესაში რალები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ივანე კო-  
ლომიცევი — ა. ყალაბეგიშვილი, იაკობი — პ. კორიშელი, სოფიო —  
ა. ქიქოძე, ალექსანდრე — ა. მურუსიძე, ნადეჟდა — თ. თამარაშვილი,  
ლუბა — ე. ანდრონიკაშვილი, ვერა — მ. მდივანი, სოკოლოვისა —



დ. ივანიძე, ლეშიჩი — ვ. არაბიძე, იაკორევი — ი. აპტალიდი, ფედოსია — ო. ლოლობერიძე, მოახლე — ე. წუწუნავა.

თეატრმა დიდი შრომა გასწია პიესის დასადგმელად. აუნაზღაურდა კიდევ: სპექტაკლი, როგორც საზოგადოებრივი, ასევე მხატვრული თვალსაზრისით ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა ქართული თეატრის ისტორიაში.

სპექტაკლის რეჟისორი მ. ქორელი თავის მოგონებაში, უკვე კარგა ხნის შემდეგ მოგვითხრობდა: „უქანასკნელნის“ სამზადისი უკვე მიწურულში იყო. ყველა, მთელი დასი, რეჟისურა, გამგეობაც, ლეღავდა და ნერვიულობდა. შეიძლება ითქვას, რომ მომავალი სპექტაკლი საბედისწერო მომენტს წარმოადგენდა, ან გამარჯვება, ან სიკვდილი... საბედნიეროთ, სპექტაკლმა დიდი გამარჯვებით ჩაიარა, თითოეული მსახიობი თავის სცენურ ამოცანას შინაგანი რწმენით და სცენური დამაჯერებლობით ასრულებდა. ცალკეული სცენები, დიალოგები, მოქმედების ტემპი, სახეების ფსიქოლოგიური ფერები, ურთიერთშორის შეხმატკბილებული იყო“. ერთი სიტყვით, სპექტაკლი ნამდვილად გამართული. ანსამბლური ყოფილა და ზეგავლენაც დიდი ჰქონია მაყურებელზე. ამ სპექტაკლმა ქუთაისის თეატრის დასი მთელი საქართველოს ყურადღების ცენტრში მოაქცია. რეცენზენტები აღტაცებით აღნიშნავდნენ დასის წარმატებას. კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე „უქანასკნელნის“ დადგმა შეაფასა—როგორც ქართული თეატრის აღმავლობის საწინდარი. მან ასედაც დაასათაურა თავისი სტატია „ქართული თეატრის განახლება“.

სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „საქმე“ (№-25, 1910) წერდა, რომ „უქანასკნელნი“ მეტად ძნელი წარმოსადგენია სცენაზე და მის დადგმას საბზატვრო თეატრი ესაკიროებო, მაგრამ ქუთათურმა დასმა ძალიან პირნათლად წარმოადგინა პიესაო. ყველა მსახიობმა როლი კარგად იცოდა და ყველას ემჩნეოდა დიდი შრომა და დაკვირვებო. ქუთაისის რუსული გაზეთი „კუტაისკი. ლისტოკი“ (№-1, 1910) აქებდა მ. გორკის ამ ნაწარმოებს, ასევე აქებდა ცალკეულ მსახიობთა თამაშს და წერდა, რომ პიესის შესრულება „ყოველგვარ ქებაზე მაღლა დგასო“. ამრიგად, „უქანასკნელნის“ დადგმა, რომელიც 1910 წლის 16 ოქტომბერს განხორციელდა, რევოლუციამდელი ქართული თეატრის ისტორიაში შევიდა როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, ხოლო მ. ქორელმა, რომლისთვისაც ეს იყო ერთ-ერთი პირველი დადგმა, უდავოდ ნიჭიერი, დემოკრატიულად მოაზროვნე რეჟისორის სახელი დაიმკვიდრა.

ქუთაისის თეატრალური საზოგადოება კმაყოფილი იყო 1910—

1911 წლების სათეატრო სეზონითა და თეატრის მზავარი რეჟისორით მ. ქორელით. მისი საბენეფისო წარმოდგენის შემდეგ (ყოლაესკის „ეროს და ფსიქეა“) გაზეთი „კოლხიდა (№-24, 1911) წერდა: „კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ქართულად თეატრმა შეიძინა საიმედო მუშა, სანატრელი და ძვირფასი. ბატონმა ქორელმა ისეთი პიესები აჩვენა ქუთაისელებს, კარგი აღსრულებით, რომ მადლობით უნდა მოვიხსენიოთ მისი ღვაწლი და შრომა“.

გასტროლები და ზაფხულის ამხანაგობა. ქუთაისის დრამატულმა დასმა ამ სეზონში იგანაგრძო საგასტროლო წარმოდგენების გამართვის ტრადიცია. მარტში გასტროლები მოაწყო თბილისში. წარმოდგენის: ა. ანდრეევის „გაუღეამუს“, ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“, ჰ. ჰაუპტმანის „ჰანელე“ და ა. ჯამბაკურ-ორბელიანის დრამატული ესკიზი „შურისძიება“. მაისში დასი ფოთში გაემგზავრა (ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“, ვ. დევერიეს „ჰენრიხ მეფე ნავარიელი“) შემდეგ კი ქიათურაში (ფ. კარეევის „უბედური ნაბიჯი“ და ვ. ზუდერმანის „მამულ-დედული“). ზაფხულში ქუთაისში შედგა მსახიობთა ამხანაგობა, რომელმაც ივლის-აგვისტოში 7 წარმოდგენა გამართა. დაიდგა დ. ერისთავის „სამშობლო“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი“, ა. წერეთლის „კინტო“, ა. ყაზბეგის „არსენა“, ვ. გუნიას „ორი გმირი“ და „დაძმა“, ა. ცაგარლის „ქართველი დედა“ და სხვ.

ღირსშესანიშნავი თარიღები. სეზონის განმავლობაში ქუთაისის თეატრში მთელი რიგი ისტორიული თარიღები აღინიშნა. 28 ოქტომბერს გაიმართა ი. ჭავჭავაძის ხსოვნის ტრადიციული საღამო, რომელშიც ამჯერად მონაწილეობა მიიღეს ვაჟა-ფშაველამ, იოსებ გრიშაშვილმა, ა. კავსაძის ხორომ და სხვ.

11 ნოემბერს მოეწყო იმ პერიოდში გარდაცვლილი, გამოჩენილი მწერლის ლევ ტოლსტოის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. როგორც „სახალხო გაზეთი“ (№ 158, 1910) წერდა, საღამო მეტად შინაარსიანი იყო. კიტა აბაშიძემ ქართულად სიტყვა წარმოთქვა, ხოლო ვ. ნათაძემ რუსულად წაიკითხა მწერლის ბიოგრაფია. შემდეგ მ. ქორელმა წაიკითხა ლექსები. მეორე განყოფილებაში ვ. ნათაძემ დამსწრეთ გააცნო მწერლის მსოფლმხედველობა, შემდეგ კი მსახიობებმა ე. ანდრონიკაშვილმა, ნ. ჩხეიძემ, ა. იმედაშვილმა, შ. დადიანმა და სხვებმა წაიკითხეს ნაწყვეტები ლ. ტოლსტოის ნაწარმოებებიდან.

2 იანვარს აღინიშნა ქართული თეატრის ტრადიციული დღე. მოხსენება ამ დღის მნიშვნელობაზე წაიკითხა შ. დადიანმა, შემდეგ წარმოდგენილი იქნა შ. დადიანის პაროდია-შარკი „ქართული ენა“ და ა. იმედაშვილის ასეთივე პაროდია-შარკი „ქართული თეატრი“.

13 მარტს გაიმართა უკრაინელი მწერლის ტარას შევჩენკოს ხსოვნის აღსანიშნავი საღამო.

ქუთაისის გაზეთი „მნათობი“ თეატრალური ხელოვნების შესახებ. 1911 წელს ქუთაისში გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „მნათობი“. მის მე-14 ნომერში (1911 წლის 31 აგვისტოს) გამოქვეყნდა მოწინავე წერილი, რომელიც შეეხებოდა ქართული თეატრის განვითარების საკითხებს და ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ გარკვეული შეხედულება გამოთქმული ქუთაისის თეატრზე.

„მნათობი“ ისევე, როგორც სხვა ქართული გაზეთები, ადასტურებდა თბილისის ქართული დრამატული თეატრის შემოქმედებითად ჩამორჩენის ფაქტს და ამაში ბრალს ქართული დრამატული საზოგადოების მესვეურებს სდებდა, მაგრამ გაზეთი თეატრის მომავალს მაინც ოპტიმისტურად უყურებდა და მის მამოძრავებელ ძალებს სახალხო თეატრში ხედავდა. ამრიგად, გაზეთი ადასტურებდა სოციალური წინააღმდეგობების ფაქტს, რაც იმ პერიოდში ქართულ თეატრს უდავოდ ახასიათებდა.

„ქართული თეატრი საყურადღებო ხანას განიცდის. — ვკითხულობთ წერილში. — განახლება, ერთი მხრით, და კრიზისი, მეორე მხრით, ასეთია მისი დამახასიათებელი მდგომარეობა. მთავარი ბურჯი — თბილისის თეატრი — ეს ტიპური გამომხატველი ძველი თეატრის და მისი ტრადიციების, უკან-უკან მიჩოჩავს: იგი გადაგვარების კარზეა მდგარი. ძველი ძალების და ტრადიციების გამოუსადეგრობა, საზოგადოების გულის აცრუება, აქედან წარმომდგარი დაქვეითება — აი, მისი ავლა-დიდება. სამაგიეროდ სულ სხვას ვხედავთ სახალხო თეატრში. აქ, პირიქით, ხალხი თეატრის მუღმივი სტუმარია, მის განახლებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა განუწყვეტელია. როგორც ქალაქის, ისე პროვინციის სახალხო თეატრები ხალხს უახლოვდება, ხალხს იახლოვებს, მასში ესთეტიკურ მოთხოვნილებას აღვიძებს, სულიერ საზრდოს აწვდის და ასე ხელიხელ ჩაკიდებული მოთამაშე და მსმენელი წინ მიისწრაფვიან. ხალხმა წარმოთქვა რა თავის წიაღიდან ახალი თეატრის მოთხოვნილება, წარმოშვა შესაფერი ძალებიც მათ განსახორციელებლად“... სტატიაში შემდეგ ნაქებია ქიათურის სახალხო თეატრი, ხოლო ქუთაისის თეატრზე წერია, რომ „მიუხედავად სიმბოლური ელფერიისა — უმთავრესად დემოკრატიით საზრდოობს, მდაბიო ხალხით იღვამს სულს“. წერილში საგულისხმო დასკვნაა გამოთქმული: „როცა მამულიშვილები“ გოდებენ და წუწუნებენ ხელოვნების დაცემას, ჩვენს ეროვნულ გადაგვარებასა და ერთ-ერთ კულტურულ დაწესებულებების დაქვეითებაზე, ე. ი. თბილისის თავადაზნაურთა

თეატრის დაცემაზე, მათ სრულიად გამოეპარათ ყურადღებიდან და არც შეიძლება არ გამოპარვოდათ სცენის აღორძინება სხვა ადგილას, სხვა მხრიდან. მათ ვერ შეამჩნიეს, რომ ჩვენი ხალხი ამ კულტურულ დაწესებულებაში ფეხს იკიდებდა, და თუ თბილისის თეატრი არ აქცევდა ყურადღებას დემოკრატიზაციას, ხალხის მოთხოვნილებას და ამით გზა მოიჭრა განახლებისაკენ, სამაგიეროდ ხალხმა თვით წარმოშვა თავისი თეატრი და ასე ამ კულტურულ საქმეს სათავეში ჩაუდგა. ჩვენ ამიერიდან ქართული თეატრის ბედი აღარ გვაშინებს, მისი მომავალი უზრუნველყოფილია, რადგან ხალხი დაუშრეტელი ძალაა?!“.

სტატიის შემდეგ აღნიშნულია, რომ ამ სახალხო თეატრში ზშირად არის ძველი გავლენა, რომ კონსერვატული ელემენტები ცდილობენ ხელთ იგდონ სახალხო თეატრის მესვეურობა. მაგალითად მოჰყავთ თბილისის კონსერვატული დრამატული საზოგადოების საქმიანობა, როდესაც ეს საზოგადოება შეეცადა ხელში ჩაეგდო ქართული სახალხო თეატრი ახლად აგებულ ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში. „მაგრამ ყოველივე ეს წარმავალიაო“ აღნიშნავდნენ წერილში. ამასთანავე მოითხოვდნენ თეატრის რეპერტუარის გაჯანსაღებას, როგორც თეატრის შემდგომში განვითარების საწინდარს. „ხალხმა შეიყვარა თეატრი — წერენ სტატიის ავტორი, — საჭიროა მხოლოდ ამ სიყვარულის საზრდოობა შესაფერისი რეპერტუარის შედგენით, ძველი დახვეწებული პიესებისა და მელოდრამების უკუგდებათ და რიგიანი, თანამედროვე ორიგინალური პიესების დადგმით. ამით ახალი თეატრი მკვიდრნიდაღს მოიპოვებს და ხალხისათვის ერთიანად სასარგებლო იქნება“.

ცხადია, გაზეთის მიერ თეატრის ძველი ტრადიციების უარყოფა სწორი არ იყო; ეს ნიჰილიზმი ხელს უშლიდა თეატრის განვითარებას, მაგრამ სწორად შენიშნავდა თეატრის დემოკრატიზაციის აუცილებლობაზე. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართული თეატრის განვითარების ამ გზას, ცოტად თუ ბევრად, ქუთაისის დრამატული თეატრიც მიჰყვებოდა.

**1911—1912 წლების სეზონი მ. ქორელის ხელმძღვანელობით.** ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა ადრევე შეუდგა სეზონისათვის მზადებას.

ჯერ კიდევ აპრილში გაზეთი „კოლხიდა“ (12, 1911) იტყობინებოდა, რომ მომავალი სეზონისათვის დრამატული საზოგადოებარეებისორად კვლავ მ. ქორელს იწვევსო, „რომელმაც წარსულ სეზონში საქმის ცოდნით და შრომისმოყვარეობით ურწმუნონიც კი

დააჯერა, რომ ის სასარგებლო მოვლენაა ქართული სცენისათვის“... მაგრამ სეზონის მზადებას ის გარემოება ბორკავდა. რომ დრამატულ საზოგადოებას 6400 მანეთი ვალი დაედო და აღარავითარი სახსრები არ გააჩნდა მომავალი სეზონის ხარჯებისათვის. ფინანსური წონასწორობის აღსადგენად საზოგადოების გამგეობამ დახმარებისათვის ქუთაისის მოსახლეობას მიმართა. ქუთათურები მყისვე გამოეხმურნენ ამ მოწოდებას, შედგა თეატრის გულშემატკივართა კრება, რომელმაც საგანგებო კომისია აირჩია ფულის შესაყრებად. იქვე ხელისმომწერით 900 მანეთი შეიკრიბა, ხოლო სულ მოკლე ხანში შეგროვილი იქნა 3000 მანეთამდე. 3000 მანეთი ამ სახალხო საქმეს შესწირა მრეწველ დ. სარაჯიშვილის ქვრივმა ე. სარაჯიშვილისამ.

საინტერესოა, რომ, 15 წლის წინათ, 1894 წელს, კოტე მესხმა ასევე დახმარებისთვის მიმართა მაყურებლებს, რომ დაწვეარი სათეატრო შენობა აღედგინათ, მაგრამ ვერაფერს გახდა — მხოლოდ ორიოდ მანეთი შემოვიდა. ეს შედარება მოწმობს თუ რა დიდად გაიზარდა თეატრის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამდენად საჭიროდ თვლიდნენ მის არსებობას ფართო მასები.

ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ დრამატული საზოგადოების გამგეობა გაბედულად შეუდგა სეზონის მომზადებას.

დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგებოდა: ქალები — ნინო გამრეკელი-თორელი, თამარ გოგოლაშვილი, მარო მდივანი, ანა ქიქოძე, ნინო ჩხეიძე, ოლიმპიადა ლოღობერიძე, ანა შოთაძე; ვაჟები — ვასო აბაშიძე, იუზა ზარდალიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, მამუკა ამაშუკელი, იანგო აბტალიდი, პლატონ კორიშელი, ანდრო მურუსიძე, ვასო ურუშაძე, ალექსანდრე ყალაბეგიშვილი.

ცალკეულ წარმოდგენებზე მოწვეული იყვნენ: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალ. გუნია. დასის რეჟისორი მიხეილ ქორელი, რეჟისორის თანაშემწე ნინო გამრეკელი, სუფლიორი ალექსანდრე გაჩეჩილაძე, სცენარისტი ალექსანდრე გუგუშვილი, აღმინისტრატორი ვასო ურუშაძე (დეკემბრის შუა რიცხვებში თავისი სურვილით დასადან წავიდა ნ. გამრეკელი-თორელი).

სეზონი 17 სექტემბერს გაიხსნა ეულავსკის პიესით „ეროს და ფსიქეა“. სეზონის გახსნის წინ გაზეთი „მნათობი“ (№-26, 1911) აფრთხილებდა თეატრის ხელმძღვანელობას ნაკლებად ესარგებლა სიმბოლისტური პიესებით და ყურადღება ქართული ორიგინალური პიესების დადგმაზე გაემახვილებინა. სათეატრო სეზონი 5 თებერვლამდე გაგრძელდა და სულ 50 წარმოდგენა გაიმართა. დაიდგა 39 პიესა, მათ შორის 13 ახალი ნაწარმოები. ამ ნაწარმოებებ-

დან ქართული სამი იყო. სახელდობრ: ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული „ქრისტიანე“ და „სოფლის გმირები“. რუსული დრამატურგიიდან პირველად დაიდგა ლ. ტოლსტოის დრამა „ცოცხალი ლეში“, უცხოური პიესებიდან გ. ჰეიერმანსის „იმედის დაღუპვა“.

ამ რეპერტუარში გარკვევით ჩანს, რომ თეატრის ხელმძღვანელობა ცდილობდა მაყურებლისათვის თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების ამსახველი ნაწარმოებები ეჩვენებინა. ქართული პიესები — „მსხვერპლი“, „ქრისტიანე“ და „სოფლის გმირები“ უთანასწორობისა და სოციალური ბრძოლის იდეებს გამოხატავდნენ. ასევე იყო „იმედის დაღუპვა“, ხოლო ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“ კი თავისუფალ ადამიანსა და ცარიზმის პოლიტიკურ რეჟიმს შორის წინააღმდეგობას გვიხატავდა და თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული საზოგადოების სიყალბეს და პირმოთნეობას ააშკარავებდა.

ამათ დაემატა წინა სეზონში დადგმული მ. გორკის „უკანასკნელი“. თეატრმა დადგა კლასიკური ნაწარმოებები: ფ. შილერის „ყაჩაღები“, ნ. გოგოლის „რევიზორი“ და ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“.

მარტო ამ პიესებით არ განისაზღვრა თეატრის რეპერტუარი. დაიდგა ისტორიული შინაარსის ნაწარმოებებიც, რომელთა წინააღმდეგ ასე მკაცრად ილაშქრებდა მემარცხენე პრესა, მაგრამ ამ პიესების დადგმა მაინც საჭირო იყო, რადგან ზოგიერთ მათგანში ჩანდა დადებითი მხარეები, როგორც მაგალითად, ა. სუმბათაშვილის „ლალატში“. თეატრი თავს არიდებდა მსუბუქი ჟანრის პიესებს, რომელიც იმ დროს საერთოდ გავრცელებული იყო. ამრიგად, ქუთაისის თეატრის რეპერტუარი, ისეთი სერიოზული ხასიათის აღმოჩნდა, რომ პრესის შენიშვნაც კი გამოიწვია. „სახალხო გაზეთი“ (№ 411, 1911) წერდა: „...ძლიერ სასურველია, რომ ხანდახან დრამატული დასი კომედიებითა და ვოდევილებითაც გაუმსაპინძლდეს საზოგადოებას და ცოტათი გაუმხიარულოს დაწმული გული, თორემ სულ დრამები და ტრაგედიები, რასაც ის ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე ხედავს, თავს მოაბეზრებს და თეატრზე ხელს ააღებინებს“...

საერთოდ. პრესა ყურადღებას არ აკლებდა ქუთაისის თეატრს. ამ პერიოდის გაზეთებში თითქმის ყველა წარმოდგენაზე მოინახება რეცენზია, ან ვრცელი ინფორმაცია. როგორც აღვნიშნეთ, სეზონი გაიხსნა „ეროს და ფსიქეას“ დადგმით. ამ ნაწარმოების თაობაზე ქუთაისის გაზეთი „მნათობი“ (№-28, 1911) წერდა: „...ძნელია ამ პიესის ქუთაისის სცენაზე მოწყობა, საჭიროა საუცხოვო სცენა, მდიდარი დეკორაციები, რომ „ეროს და ფსიქეა“ შესაფერისად

დაიდგას. ქუთაისის თეატრში კი, როგორც მოგეხსენებათ, არაფერი ამ საგანთაგანი არ მოიპოვება“. გაზეთი შემდეგ აღნიშნავდა, რომ ამ გარემოების გათვალისწინებით, პიესა რიგიანად იყო წარმოდგენილი. რეჟისორის მხატვრული გემოვნება, უპირველეს ყოვლისა, იქიდან ჩანს, რომ თითქმის უვარგისი მასალითა და საშუალებით შექმნა დაახლოებითი ილუზია სხვადასხვა ეპოქების გარეგნული სურათებისაო.

გაზეთი საერთოდ აქებდა დასს და თბილისის დასზე მალა აყენებდა. აღნიშნავდა ქუთაისის დრამატული საზოგადოების ნაყოფიერ და ენერგიულ მოღვაწეობას. „ქუთაისის დრამატული საზოგადოება შარშანდელმა დიდმა ზარალმა არა თუ არ დააფრთხო და შეაშინა, არამედ ძალა შემატა, გაამხნევა“ — წერდნენ გაზეთში.

კარგი შეფასება მიიღო ი. გედევანიშვილის „მსხვერპლის“ დადგამა. გაზეთი „კოლხიდა“ წერდა, რომ წარმოდგენამ მაყურებელზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინაო. პიესა ლამაზად იყო დადგმული და განსაკუთრებით კარგად პირველი მოქმედება ჩატარდაო.

მედუქნე საქუას როლის შესასრულებლად მოწვეული იყო ამ როლის შეუღარებელი ოსტატი ვასო აბაშიძე. მის შესახებ გაზეთი „მნათობი“ (№-81, 1911) წერდა, რომ ვასო აბაშიძის მიერ შექმნილი ტიპი არასოდეს დაგვავიწყდებაო.

წარმატება ხვდა წილად პ. ირეთელის „ქრისტინეს“, რომელიც სეზონში სამჯერ იყო წარმოდგენილი. გაზეთმა „მნათობმა“ (№-37, 1911) აღნიშნა: გადმოკეთების შემდეგ „ქრისტინემ“ დაკარგა თავისი საუცხოო ფერები და მელოდრამად გადაიქცა, მაგრამ როლების შემსრულებლები კარგები იყვნენ და დარბაზში ქვათინი გაისმოდა, თითქოს მაყურებლები ჰიპნოზის ქვეშ იმყოფებოდნენო.

„სახალხო გაზეთი“ (№-423, 1911) კი „ქრისტინეს“ შესახებ ასე ამბობდა: „მეტად სასიამოვნოა, როდესაც კაცი ხედავს ვისიმე ენერგიული შრომის სასურველ შედეგს და ამ შრომის დაფასებას საზოგადოების მხრივ. წარმოდგენამ სრულიად დაგვარწმუნა, რომ დასს მართლა ბევრი უშრომია და ჩინებულადაც მომზადებულა. პიესის ღირსება-ნაკლოვანებაზე ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, და რაც შეეხება მის შესრულებას, უნდა სიმართლე მოგახსენოთ, რომ იშვიათად ნახავთ ასეთი ანსამბლით შესრულებულ წარმოდგენას. ეს იმით აიხსნება, რომ ამ საღამოს მსახიობი ნაცნობ ოჯახში გრძნობდა თავს. დათია, მარიკა, ქრისტინე, სონა, იასონი და სხვ. ესენი ყველა მისი ახლობელი ნაცნობი პირებია და არა ინგლისის მეფე-დედოფალი“. გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავდა დათია ხე-

ლმოკლიძის როლის შემსრულებელს ვასო არაბაძეს. პრესა აქებდა სხვა მსახიობებსაც: მ. მდივანს (ქრისტინე), მ. ამაშუკელს (იანსონ უქმაძე), თ. გოგოლაშვილს (სონა), ა. იმედაშვილს (მიკიტანი) და სხვ.

გაზეთებმა „იმედის დაღუპვის“ დადგმის წარმატებაც აღნიშნეს. სოციალური შინაარსის ეს საინტერესო ნაწარმოები თეატრმა, პრესის ცნობით, ღირსეულად განახორციელა. „მსახიობთ ამ საღამოს სწორედ თავი ისახელეს და იშვიათის ანსამბლით ჩაატარეს პიესა“ — წერდა „სახალხო გაზეთი“ (№-435, 1911). გაზეთი განსაკუთრებით აქებდა ა. იმედაშვილს, რომელიც უმუშევარი მეზღვაურის პერტის როლს ასრულებდა. ასევე იყო ქებით მოხსენიებული ა. ყაღაბეგიშვილი მოხუცი მეზღვაურის როლში.

ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“ ასევე ბრწყინვალედ ყოფილა წარმოდგენილი. „სახალხო გაზეთი“ (№-447, 1911) ამ სპექტაკლს თბილასიდან საგასტროლოდ ჩამოსული ბოიარსკაიას რუსული დასის დადგმას ადარებდა და მ. ქორელის წარმოდგენას გაცულებით მაღლა აყენებდა შემსრულებლებისა და მხატვრობის თვალსაზრისით. ძალიან კარგად უთამაშნიათ ნ. ჩხეიძეს (ელიზავეტა ანდრეევნა), ა. იმედაშვილს (პროტასოვი), ი. ზარდალიშვილს (კარენინი).

„ცოცხალი ლეში“ დასმა ოთხჯერ ითამაშა და ოთხავე სპექტაკლმა ღიდძალი მაყურებელი მიიზიდა.

დაიდგა ა. ჩეხოვის დრამა „ძია ვანო“, რომელმაც ასევე მიიზიდა მაყურებელი, მაგრამ წარმოდგენა ვერ გამოვიდა მაღალი ხარისხის.

**მსახიობთა ამხანაგობა.** სეზონის დამთავრების შემდეგ ქუთაისში შ. დადიანის თაოსნობით შედგა ამხანაგობა, რომელმაც 24 წარმოდგენა გამართა სამტრედიის, ფოთში, სოხუმში, გუდაუთში, ოჩამჩირეში, ბათუმში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, აბაშაში, ზუგდიდში და ხონში. წარმოდგინეს ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“. ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ს. ჭანტურიშვილის „მორევეში“ და დევერიეს „ჰენრიხ მეფე ნავარიალი“. გასტროლებიდან დაბრუნებისას მაისში ქუთაისში წარმოდგინეს ი. გედევანიშვილის „გამცემი“ და ს. ჭანტურიშვილის „მორევეში“.

**ღირსშესანიშნავი თარიღები.** 27 სექტემბერს დასმა ი. ჭავჭავაძის ხსოვნის აღსანიშნავი ტრადიციული საღამო გამართა. 11 დეკემბერს მოაწყო ვ. ბელინსკის ხსოვნის საღამო. 21 იანვარს თეატრმა აღნიშნა გიორგი ერისთავის დაბადების 100 წლისთავი. წარმოდგე-



ნილი იყო თითო მოქმედება კომედიებიდან „გაყრა“ და „დავა“. ლექციები წაიკითხეს არისტო ჭუმბაძემ (გ. ერისთავის ბიოგრაფია) და კიტა აბაშიძემ (გ. ერისთავის საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობა).

**1912—1913 წლების სეზონი.** სათეატრო სეზონის მზადება (რეჟისორისა და მსახიობების მოწვევა) ამ წელს შეაგვიანდა ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას. რეჟისორი მ. ქორელი უკვე მიწვეული იყო რეჟისორად თბილისის დრამატულ თეატრში და მხოლოდ დიდი მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ იგი კიდევ ერთ სეზონს ქუთაისში იმუშავებდა. დასში შევიდნენ მსახიობები: ქალები — მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ც. ამირეჯიბი, ო. ლოღობერიძე, ა. ჩირგაძე, ა. ჩხეიძე, ნ. ჩხეიძე; ვაჟები — მ. ამაშუკელი, ი. აბტალიდი, ვ. არაბიძე, გ. არადელ-იმხნელი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, კ. მაჭარაძე, ა. მაგლობლიშვილი, ა. სანდალაძე, შ. შარაშიძე, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, შ. ხონელი. რეჟისორის ამხანაგებად მუშაობდნენ შ. შარაშიძე და ა. იმერლიშვილი, სუფლიორი გ. ფარქოსაძე, სცენარიუსი ა. გუგუშვილი, ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

ახალგაზრდა სამსახიობო ძალების გამოვლენის მიზნით, 26 სექტემბერს მ. ქორელმა გამოსაცდელი წარმოდგენა გამართა, რომელშიც თორმეტმა ახალგაზრდამ მძილო მონაწილეობა. აქედან ოთხი მათგანი ჩაირიცხა სცენის თანამშრომლად.

ცალკეულ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული იყვნენ ლადო მესხიშვილი და ვალერიან გუნია.

სეზონის განმავლობაში დასს. გამოაქვდა სამი მსახიობი: დ. ჩარკვიანი (თავისი სურვილით), მ. ამაშუკელი (ჯარში გაიწვიეს) და ი. აბტალიდი (ავად გახდა).

სეზონი გაიხსნა 29 სექტემბერს ა. სუმბათაშვილის „ღალატით“. დაიხურა 25 თებერვალს. სულ გაიმართა 50 წარმოდგენა.

თეატრის ამ სეზონის რეპერტუარი ბევრად არ განსხვავდებოდა განვლილი სეზონისგან, მსახიობთა ოსტატობაც რიგიანი იყო, მაგრამ მაყურებელმა, როგორც ეტყობა, გული აიცრუა თეატრზე. შემოსავალი ნაკლები იყო. საბოლოო ანგარიშში დრამატულმა საზოგადოებამ თითო წარმოდგენაზე საშუალოდ 60 მანეთი იზარალა.

დრამატული საზოგადოების გამგეობის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ყოველ დღე იმ ფიქრში ვიყავით, რომ მსახიობებისათვის ჯამაგირები როგორმე თავის დროზე დაგვეკრიგებინა“.

**მსახიობთა ამხანაგობა.** სეზონის დამთავრების შემდეგ შედგა მსახიობთა ამხანაგობა, რომელსაც მ. ქორელი თავსწობდა. ამხანაგობამ აპრილის დამლევს წარმოდგენები გამართა ბათუმსა და ჭი-

თურაში. ქუთაისში კი წარმოდგინა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და „ანტიგონე“. წარმოდგენებს წარმატება ხვდა. ორივე ეს ტრაგედია ამხანაგობამ ითამაშა აგრეთვე ბათუმსა და ქიათურაში.

ივლისში ამხანაგობამ წარმოდგენები გამართა ხონსა და ზუგდიდში.

**სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე.** 1913 წლის თებერვალში ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტთან დაარსდა სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე. რომელიც 25 წევრისაგან შედგებოდა. წრის რეჟისორობა იკისრეს ვ. ბალანჩივაძემ, მ. ნემომ და გ. თუთბერიძემ. პირველი წარმოდგენა წრემ 30 მარტს გამართა. დაიდგა ა. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავს“.

**ღირსშესანიშნავი თარიღები.** ამ სათეატრო სეზონში ქუთაისში მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ამბები მოხდა. ოქტომბერში გაიმართა ი. ქავკავაძის ხსოვნის საღამო-წარმოდგენა და ორი სალუტერატურო დღი.

თებერვალში მოეწყო ვაჟა-ფშაველას საღამო მისივე მონაწილეობით.

10 მარტს დიდი ზეიმით იქნა გადახდილი ლადო მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე.

**კინო ქუთაისში.** აღსანიშნავია რომ მესხიშვილის იუბილეს მეორე დღეს ქუთაისის კინოთეატრ „რადიუმში“ უჩვენეს ფირზე აღბეჭდილი ეს საიუბილეო საღამო. სწორედ აქ, გასული წლის სექტემბერში, პირველად უჩვენეს ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებულ 600-მეტრიანი კინოსურათი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. სურათის პირველ ჩვენებას თვით აკაკი წერეთელი დაესწრო.

**თეატრალური აღმანახები.** საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქუთაისის თეატრის თაოსნობით და მ. ქორელის ხელმძღვანელობით მთელი სეზონის განმავლობაში გამოდიოდა თეატრალური აღმანახი: „სცენა“, „ჩვენი თეატრი“ და სხვ.

აღმანახი პატარა ფორმატისა იყო, რვა ფურცლის მოცულობით. იბეჭდებოდა ინფორმაციული ხასიათის მასალები თეატრის მუშაობაზე (პიესების შინაარსი თეატრალური ქრონიკა, განცხადებები და სხვ.). ქვეყნდებოდა პატარა პიესებიც. ამ აღმანახის 9 ნომერი შემორჩენილი და დაცულია სათეატრო მუზეუმში. მათში კარგად ჩანს ქუთაისის ინტენსიური თეატრალური ცხოვრება.

თბილისის დრამატული დასის წარმოდგენები. 1913—1914 წლების სათეატრო სეზონში ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობამ დასი ვერ მოიწვია. ვერც მსახიობები იშოვა და ვერც რა-გიანი რეჟისორი.

მაშინ თბილისის საზოგადოების გამგეობასთან შეთანხმდნენ, რომ თბილისის დასი ქუთაისში გამართავდა წარმოდგენებს და გაწეულ ხარჯებს ქუთაისის გამგეობა აანაზღაურებდა. ამ შეთანხმების ძალით, თბილისის დრამატულმა დასმა სექტემბრის დამლევოდან სულ რვა საგასტროლო წარმოდგენა გამართა, რომლებშიც ლადო მესხიშვილი იღებდა მონაწილეობას. დადგმული იყო ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, ს. ბელიაკოვის „ლაბირინთი“, ა. დიუმას „ედმუნდ კინი“, ა. კისტმეკერის „ინსტინქტი“, ვ. გუნიას „ძალა აღმართს ხნავს“, ვ. იგნატიევის „კულტურული მკვლელობა“ და ა. ჩეხოვის „შავი ბერის“ ინსცენირება.

წარმოდგენებს მაყურებელი არ ეტანებოდა. ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობამ საგრძნობ ზარალს ვეღარ გაუძლო და ნოემბერში გასტროლები შეწყვიტა. თბილისის დრამატული დასი ამ სეზონში კიდევ ჩამოვიდა ქუთაისში თავისი წარმოდგენებით. თებერვალში ზედიზედ ორჯერ ითამაშეს ახალი დადგმული ი. გედევანიშვილის ზღაპარი-ფეერია „სინათლე“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა.

სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე. ამ სეზონში მოღვაწეობა განაგრძო სახალხო უნივერსიტეტთან არსებულმა სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ. ამ წრეში შედიოდნენ: სოფიო ეპიტაშვილი, ნინო ხელაძისა, ლოლა ბიბილეიშვილისა, მიხ. ნემო, მარიამ პაპავასი, ნადეჟდა ლოლუასი, გ. თუთბერიძე, ვ. ბალანჩივაძე, ბ. შარაბიძე, ალ. თუმანიშვილი, კ. ჯანელიძე, გ. ლორთქიფანიძე, ვ. აბულაძე, გ. ასათიანი, ვ. ტყეშელაშვილი, ს. ბოჭორაშვილი, მ. ქურციკიძე, ს. გერსამია, პ. გუჯაბიძე, ნარეკიშვილი, პ. ცინცაძე, გ. ტუსკია, გ. ბრეგაძე, ა. ტუსკია.

პირველი წარმოდგენა წრემ 26 ოქტომბერს გამართა.

რევოლუციამდელი ქართული სახალხო თეატრები ისეთ რეპერტუარს არჩევდნენ, რომელიც თავისი შინაარსით უპასუხებდა მშრომელთა კლასობრივ მიზნებს. ქუთაისის სახალხო თეატრი ამ გზას მაინცდამაინც თანმიმდევრულად არ იცავდა და შეიძლება ნაწილობრივ ამითაც აიხსნება ის გარემოება, რომ მან მხოლოდ ეს ერთი სეზონი იარსება და შემდეგ წლებში წარმოდგენები აღარ გაუმართავს.

მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ქუთაისელ მაცურებელს მ. ქორელის მშვენიერი სპექტაკლებით საკმაოდ განვითარებული გემოვნება ჰქონდა და სცენისმოყვარეთა თამაშს ვეღარ ეგუებოდა. ამ სეზონში დ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით დრამატული წრეც დაარსდა, მაგრამ ვერც იმან იხეირა, რადგან მეტად მდარე ღირსების წარმოდგენებს მართავდა.

**კ. მესხისა და დ. ივანიძის გარდაცვალება.** 1914 წელს ქუთაისის თეატრს ორი ნიჟიერი მოამაგე დააკლდა. 15 აპრილს ფილტვების ანთებით თბილისში იგარდაიცვალა მსახიობი კოტე მესხი, რომელიც 1894 წელს, ქუთაისიდან წასვლის შემდეგ ოცი წელიწადი თბილისის დრამატულ დასში მოღვაწეობდა როგორც რეჟისორი და მსახიობი. ამ პერიოდში მან საინტერესო სცენური სახეები შექმნა. კ. მესხი არ ივიწყებდა ქუთაისის და დროდადრო გამოდიოდა კიდევ საგასტროლო დასის შემადგენლობაში.

20 მაისს გარდაიცვალა მსახიობი ქალი დესპინე ივანიძე, იგი ქუთაისელი იყო. დაიბადა 1871 წელს. ქუთაისის სცენაზე 1891 წლიდან მოღვაწეობდა მსახიობად და კარგი სახელი დაიმსახურა როგორც სახასიათო როლების ნიჟიერმა შემსრულებელმა.

**ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობა.** 1914 წლის 8 ივლისს თბილისში გაიხსნა ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობა. იგი ერთ კვირას გაგრძელდა. ყრილობის მოწყობაზე დიდხანს ბჭობდნენ ქართულ პრესაში. ყრილობის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო შალვა დადიანი. ყრილობას 230 დელეგატი დაესწრო. ყრილობის ხარჯებისთვის თითოეულმა თითო მანეთი გადაიხადა.

ყრილობის დელეგატები იყვნენ მსახიობი-პროფესიონალები, დრამატურგები, კრიტიკოსები, სცენისმოყვარეები, წარმომადგენლები თეატრებიდან და დრამატული წრეებიდან, დრამატულ საზოგადოებათა მოთავენი. ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩეული იყო აკაკი წერეთელი.

ყრილობამ განიხილა ქართული თეატრის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც მიმართული იყო თეატრის შემოქმედებითი აღმავლობისა და დემოკრატიზაციისაკენ. ყრილობის გადაწყვეტილებები საინტერესო იყო და მათი შესრულება საგრძნობლად შეუწყობდა ხელს ქართული თეატრის განვითარებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა, რომელიც 1914 წლის ივნისში დაიწყო. გარდა ამისა სეზონის ვახსნიათანავე ხანძარი გაჩნდა თბილისის ქართული თეატრის შენობაში და ქართულმა თეატრმა დაკარგა ერთადერთი ხეირიანი თავშესაფარი.

დასი იძულებული იყო წარმოდგენები სხვადასხვა სათეატრო შენობებში გაემართა, ამ გარემოებამაც დიდად შეაფერხა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება.

**№ 1014—1915 წლების სეზონი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით.** ქუთაისის დრამატული დასის მთავარ რეჟისორად თბილისის თეატრიდან განთავისუფლებული ლადო მესხიშვილი მოიწვიეს. ომის დაწყებამ ძალზე ჩააფიქრა ქუთაისის თეატრის მესვეურები. აღარ იცოდნენ, მოეკიდათ თუ არა ხელი სათეატრო სეზონისათვის.

დრამატული საზოგადოების გამგეობის ანგარიშში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „დაწყებული ომი აღმოჩნდა ძლიერ მძლავრი და დღითიდღე უფრო და უფრო გვეზადებოდა ექვი, რომ ომის ასპარეზად რქეოდა ჩვენი სამშობლოც. ამ გარემოებამ ძლიერ დაგვაფიქრა და ველარ გავბედეთ მიგველო მარტო ჩვენ თავზე პასუხისმგებლობა, მით უმეტეს, რომ საზოგადოებაში დადიოდა ხმები — რა დროს თეატრია, რა დროს წარმოდგენები, როდესაც ყოველი ქართველა ოჯახი ასე თუ ისე განიცდის გაჭირვებასო. ასობით და ათასობით ჩვენი მოძმენი სისხლს ანთხევენ ბრძოლის ველზეო...“

ყოველივე ამის გამო, გამგეობა მარტო ვერ გადაწყვეტდა პასუხისმგებლობის საკითხს, ამიტომ დაინიშნა კრება, რომელზედაც მოიწვიეს საზოგადოების წევრები ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები, რეჟისორები მესხიშვილი და შიუკაშვილი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „საზოგადოებას სეზონის დაწყება საჭიროდ მიაჩნია, განსაკუთრებით დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში, და თუ ჩვენი საქართველო გახადეს საომარ ასპარეზად, იმ შემთხვევაში წარმოდგენები შეწყდეს და დასა დაიშალოს“.

ამ დადგენილების შემდეგ დრამატული საზოგადოების გამგეობა სათეატრო სეზონის საქმის მოგვარებას შეუდგა.

დასში მოწვეული იყო: ქალები — ტ. აბაშიძე, თ. გოგოლაშვილი, ქ. გორდელი, ნ. დავითაშვილი, მ. მდივანა, მ. ქილარჯიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ვაჟები — დ. აბდუშელი, გ. არადელი-იშხნელი, ნ. გვარამი, მ. გელოვანი, ა. გუგუშვილი, ვ. გუნია, გ. გურული, ლ. თუხარელი, ი. მამფორია, დ. მგალობლიშვილი, ა. მურუსიძე, ვ. სახარელი, ა. ტიბანელი, ვ. ურუშაძე, პ. ფრანგიშვილი, ვ. ჩხიკვაძე, ნ. ციციშვილი; დროგამოშვებით მონაწილეობდნენ: ა. ლოლუა, ალექსიძე, კ. კიკაბიძე, ა. შანშიაშვილი, დ. ჩხეიძე, შ. ჯაფარიძე, საგასტროლოდ მოწვეულა იყვნენ ვ. აბაშიძე და ა. იმედაშვილი; რეჟი-

სორები ლ. მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი. სუფლიორი გ. გურული.

სეზონი გაიხსნა 18 სექტემბერს ა. სუმბათაშვილის „ლალატი“ და ამავე პიესით დაიხურა 1 თებერვალს. სულ გაიმართა 69 წარმოდგენა.

სათეატრო სეზონს დიდი მხატვრული წარმატება ხვდა. რაც უზრუნველყო დასში ისეთი ცნობილი მსახიობების ყოფნამ, როგორც იყვნენ ლადო მესხიშვილი, ნინო დავითაშვილი, ვალერიან გუნია, გიორგი არადელ-იშხნელი, ვალერიან შალიკაშვილი.

დასს ახალ ქართული ორიგინალური ნაწარმოები არაფერი დაუდგამს, მაგრამ ქართული ორიგინალური პიესების რიცხვი რეპერტუარში მაინც საგრძნობი იყო. 67 პიესიდან, რომლებიც დასმა წარმოადგინა, 30 ქართული, ორიგინალური იყო. 30 თარგმნილი და 7 გადმოკეთებული.

ლადო მესხიშვილი გამოვიდა ყველა თავის საუკეთესო როლებში.

მიუხედავად დიდი მხატვრული წარმატებისა; დრამატულმა საზოგადოებამ მაინც იზარალა 1200 მანეთი.

აკაკი ფაღავა. ამ პერიოდში ქუთაისში ჩამოვიდა აკაკი ფაღავა, რომელმაც სწავლა დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტში, ამავე დროს სწავლობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სარეჟისორო სკოლაში და შემდეგ ამავე თეატრში მუშაობდა რეჟისორის ასისტენტად. ქუთაისში მან მუშაობა დაიწყო რუსული ენის მასწავლებლად და ამავე დროს თეატრშიც მუშაობდა. დადგა უ. შექსპირის „ჰამლეტი“. ჰამლეტის როლს ლადო მესხიშვილი ასრულებდა.

მსახიობთა ამხანაგობა. ზამთრის სეზონის დამთავრების შემდეგ ქუთაისში შედგა მსახიობთა ამხანაგობა, რომლის რეჟისორად კონსტანტინე ანდრონიკაშვილია მორწვეს. ამხანაგობაში შევიდა თითქმის ყველა მსახიობი, რომელიც ზამთრის სეზონში მუშაობდა, გარდა ლ. მესხიშვილის და ვ. შალიკაშვილისა. ამხანაგობამ წარმოდგენები 12 თებერვალს დაიწყო და 6 მაისს დაამთავრა. სულ გამართა 27 წარმოდგენა. ისეთი პიესები დაიდგა. რომლებიც ქუთაისის მაცულებელს არაერთხელ ენახა.

1915—1916 წლების სეზონი შ. დადიანის ხელმძღვანელობით. დრამატული საზოგადოების გამგეობა ჭერ კიდევ ივნისიდან შეუდგა სათეატრო სეზონის სამზადისს. დაიწყო მოლაპარაკება რეჟისორებთან, მსახიობებთან, მაგრამ დასის შედგენა ვერ მოხერხდა.

ომიანობის გამო მსახიობები გაცილებით მეტ ჯამაგირს მოითხოვდნენ. ვიდრე უწინ ჰქონდათ. როდესაც იანგარიშეს, გამოირკვა, რომ გამგეობა სეზონის განმავლობაში 7000 მანეთს იზარალებდა. ამიტომ მოწვეული იქნა დრამატული საზოგადოების წევრთა კრება. დიდხანს იკამათეს, მაგრამ ვერავინ იკისრა სეზონის მატერიალური პასუხისმგებლობა. ამასთანავე დაადგინა, რომ თუ მსახიობთა ამხანაგობა დაარსდებოდა, საზოგადოება მას დახმარებას გაუწევდა.

ასეთი გადაწყვეტილების გამო პრესაში დიდი აურზაური ატყდა, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა.

დაარსდა მსახიობთა ამხანაგობა, რომლის მოთავედ მოიწვიეს შ. დადიანი. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (№-39, 1915) ამ ამბავთან დაკავშირებით წერდა: გაჭირვებამ გაქცევა უკარნახა ჩვენ მსახიობთა ერთ ჯგუფსო, მან შალვა დადიანის თაოსნობით, ამხანაგობა შეადგინა ქუთაისში წარმოდგენების საქართველად“. გაზეთი განაგრძობდა: „ვინ არ იცნობს ჩვენს მწერალს, მსახიობს, რეჟისორს. „მოგზაური დასის“ პიონერსა და სრულიად საქართველოს პირველი ყრილობის ერთ მეთაურთაგანს შალვა დადიანს, დიახ, დღეს, როდესაც დრამატული საზოგადოებანი განზე გადგნენ, ამ ერთმა კაცმა ითავა დასის შედგენა, რომ მის საყვარელ ტაძარში არ ჩაქრეს კანდელი“.

დასში შედგოდნენ: ე. ანდრონიკაშვილი, ს. ბეჟანიშვილი, ა. კავთელი, მ. მღვიანი, ე. მესხი, ოლიმპადა ლოლობერიძე, პ. კორიშელი (ჩიქვინიძე), ა. შურაუსიძე, ლ. სარელი (სანიკიძე), ს. ყალაბეგიშვილი, ნ. ჩაგუნავა, ვ. ჩხიკვაძე, მ. ხონელი (გოგოლაშვილი), რეჟისორი შ. დადიანი, სცენარიუსი ალ. გუგუშვილი, მოკარნახე ი. ჟღენტი, ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

ამხანაგობამ სეზონი გახსნა 1 ოქტომბერს ი. გედევანიშვილის ზღაპრით „სინათლე“. დასს თავიდან გაუჭირდა მუშაობა, რადგან მაცურებელი წარმოდგენებს არ ეტანებოდა. უმაგალითო ომმა თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ხალხის მატერიალურ შესაძლებლობაზე, განწყობაზე. გაზეთი „საქართველო“ (№-144, 1915) აღნიშნავდა: „წარმოდგენების საქმე ქუთაისში ძალიან ცუდად მიდის, საზოგადოება ორიგინალურ პიესებზედაც ნაკლებად ესწრება. მსახიობები მეტად ცუდ მდგომარეობაში არიან“.

ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ ანგარიში გაუწია ამ გარემოებას და საზოგადო კრებაზე დაადგინა 600 მანეთით დახმარებოდა ამხანაგობას.

გაჭირვების მიუხედავად, ამხანაგობამ საქმეს არ უღალატა და

21 თებერვალს სეზონი ნორმალურად დაამთავრა დ. ერისთავის დრამით „სამშობლო“. სეზონის განმავლობაში სულ გაიმართა 67 წარმოდგენა, აქედან 58 ქუთაისში, 5 ბათუმში და 4 ფოთში.

ამხანაგობის რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო. დაიდგა ორიგინალური ახალი პიესები: ტ. რამიშვილის „სალომეს ოჯახი“, ს. ქანტუარიშვილის „ბურუსი“, ნ. ნინოშვილის „მოსე მწერლის ინსტ. ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“, გ. შერვაშიძის „გიორგი III“, ა. ერისთავ-ხომტარიას რომანის — „მოლიპულ გზაზე“ ინსცენირება.

პრესამ დიდი ქებით აღნიშნა შ. დადიანის როგორც ამხანაგობის მოთავის, წესიერი მოღვაწეობა.

ღირსშესანიშნავი თარიღები. ამ სათეატრო სეზონში ქუთაისში დიდი ზეიმით გადაიხადეს ე. ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. ივნისში თბილისში გამართულ საგასტროლო წარმოდგენების შემდეგ ქუთაისს ეწვია ა. სუმბათაშვილი. მან ლექცია წაიკითხა ხელოვნების არსის შესახებ, ხოლო შემდეგ თავისი რეპერტუარიდან მონოლოგები შეასრულა. ქუთათურებმა ბრწყინვალე შეხვედრა მოუწვევეს ძვირფას სტუმარს.

თეატრის შენობა. ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობამ ძალზე მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყო. მისი თაოსნობით 16 თებერვალს შედგა დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა და კერძო პირთა კრება. განიხილეს საკითხი ქუთაისის ახალი სათეატრო შენობის აგების შესახებ. გადაწყდა დაწყებულიყო შემოწირულებათა შეგროვება. გამოიყო სააღმშენებლო ბიურო, ქალთა თაოსნობით გაიხსნა კაფე „ფინჯანი ჩაი“, რომლის მოგება საამშენებლო ფონდში მიდიოდა. შემოვიდა ცალკე შემოწირულებებიც. სხვათა შორის, რიონის გაღმა მცხოვრებლებმა საამშენებლო ბიუროს აღუთქვეს ორმოცდაათიათასი მანეთის შეგროვება, თუ თეატრის შენობას რიონის გაღმა, ორპირის ქუჩაზე ააგებდნენ.

დავით სარაჯიშვილის ქვრივმა ე. სარაჯიშვილმა ქუთაისის თეატრს ასაგებად უანდერძა ასორმოცდაათი ათასი მანეთი.

მთელ ამ საქმეს უკვე კარგი პირი უჩანდა, მაგრამ თებერვლის რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა, ადარავის უფიქრია არც თეატრის შენობის აგებაზე. და ქუთათურებს ე. სარაჯიშვილის მემკვიდრეობიდან არაფერი მიუღიათ.

1916—1917 წლების სეზონი ა. იმედაშვილის ხელმძღვანელობით. ქუთაისის თეატრის რევოლუციამდელი პერიოდის ამ უკანასკნე-



ლი სათეატრო სეზონის ხელმძღვანელობა ქუთაისის დრამატულმა საზოგადოებამ იკისრა. გამგეობის ანგარიშში ამის შესახებ ეწერა: „განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა მოქმედება გამგეობას. ეს განსაკუთრებით გამოიხატებოდა მდგომარეობით, რომელშიც ჩაადლო მთელი სახელმწიფოს ცხოვრება დღევანდელმა უმაგალითო ომმა და სისხლის ღვრამ. საერთო ცხოვრების გაძვირება, შიმშილი და მგლოვიარობა, ცხადია, კეთილი თანამგზავრნი ვერ იქნებოდნენ იმ საქმისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებოდით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მდგომარეობის სიმწვავეს არ შევეუდრკით და მხნედ განვაგრძეთ სვლა იმ გზით, რომელსაც სულიერ-გონებრივ-ზნეობრივი საზრდო უნდა მიეწოდებია მრავალტანჯული და გვემული ხალხისათვის...“

სეზონის თაოსნობის საქმე გამგეობამ შენობის შეკეთებით დაიწყო. შეიძინა და მაყურებელთა დარბაზში დადგა ახალი სკამები, ახალგაზრდა მხატვარს ალ. ციმაკურიძეს დაახატვინა ახალი დეკორაციები.

დასი შედარებით მცირერიცხოვანი იყო, სულ 16 მსახიობი. დასის შემადგენლობაში იყვნენ: ს. ბეჟანიშვილი, ა. ლოლუა, მ. მდივანი, ო. ლოლობერიძე, ა. ჩხეიძე, მ. გელოვანი, ზ. გომელაური, ალ. იმედაშვილი, პ. კორიშელი, მ. ლორთქიფანიძე, ა. მურუსიძე, ვ. სარელი, ს. ყალაბეგიშვილი, გ. ჩარკვიანი, ვ. ჩხიკვაძე, რეჟისორი ა. იმედაშვილი, სცენარიუსი ა. გუგუშვილი, მოკარნახე ბ. ბეგლარიძე.

ზამთრის სეზონში სულ 48 წარმოდგენა გაიმართა, საგაზაფხული სეზონში — 6. რეპერტუარში სიახლე ბევრი არაფერი იყო, არც ერთი ახალი ქართული ორიგინალურა პიესა დასს არ დაუდგამს, მაგრამ ხალხი მაინც ძალიან ეტანებოდა წარმოდგენებს, რაც ალბათ. იმ ივარემოებით ახსნება, რომ დასი შედარებით კარგი იყო. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ნიჭიერმა მსახიობმა ა. იმედაშვილმა, რომელიც მთავარ როლებს ასრულებდა.

სეზონი გაიხსნა 18 სექტემბერს ნ. შაუკაშვილის პიესით „მთის ზღაპარი“, რომლის დადგმა განახორციელა ა. ფალავამ. ზამთრის სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართა 12 თებერვალს (ვ. შალიკაშვილის „გადაქრული მუხა“).

25 თებერვალს დასმა საგაზაფხულო სეზონი დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვეღარ გაატანა. 8 მარტს რევოლუცია მოხდა და თეატრისათვის აღარავის ეცალა. რევოლუციის შემდეგ გამართულ რამდენიმე წარმოდგენას ხალხი თითქმის არ დასწრებია. ამის გამო დრამატული საზოგადოების გამგეობა იძულებული იყო საგაზაფხულო სეზონი შეეწყვიტა.

**მუსიკალური ცხოვრება.** ამ პერიოდის მუსიკალური ცხოვრება ქუთაისში ფრიად შინაარსიანი იყო. ხშირად იმართებოდა ქართული ქორებისა და ცალკეული შემსრულებლების საგასტროლო კონცერტები.

ქუთაისში მუსიკალურ ცხოვრებას დიდი ღვაწლი დასდეს ძმებმა მელიტონ და ბართლომე შარაბიძეებმა, რომლებმაც 1910 წელს ქუთაისში ქართული ქორო დააარსეს. ამ პერიოდში სახელა გაითქვა ქუთაისის მკვიდრმა კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა. რომელაც თავის მშობლიურ ქალაქს არ იფიწყებდა და დროგამოშვებით კონცერტებს მართავდა. სახელისა და ღიდებას იხვეჭდნენ ქუთაისელი მუსიკოსები, ფალიაშვილები: ივანე — დირიჟორი, ზაქარია და ლეო — კომპოზიტორები, პოლიკარპე — ქორმაისტერი, გიორგი — სახალხო მომღერალი.

**ვ. ბალანჩივაძე.** ჩვენ ამ ნაშრომში ვათავსებთ იმ მსახიობთა მოკლე ბიოგრაფიებს, რომლებიც მუდმივად მოღვაწეობდნენ ქუთაისის სცენაზე. მათ რიცხვს, პირველ ყოვლისა, ეკუთვნოდა ვასილ ანტონის ძე ბალანჩივაძე. იგი დაიბადა ქუთაისში 1867 წლის 12 აპრილს. ჯერ ქუთაისში სწავლობდა, შემდეგ კი თბილისში. აქვე გამოვიდა პირველად სცენაზე. ხატვის ნიჭიც აღმოაჩინდა. ამიტომ სასწავლებლად შევიდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1890 წელს დაბრუნდა ქუთაისში და ხატვის მასწავლებლად დანიშნეს ქუთაისის გიმნაზიაში. პარალელურად მოღვაწეობდა ქუთაისის სცენაზეც, ზოგჯერ ხელმძღვანელობდა დასებს და სცენისმოყვარეთა წრეებს. უმთავრესად კომედიურ როლებში გამოდიოდა. შეუდარებელი იყო იმერლების როლებში და ჩინებულად კითხულობდა იმერულ სცენებს. დაწერა რამდენიმე პიესა და იმერული სცენა. ქუთაისში მოღვაწეობდა 1924 წლამდე, შემდეგ კი თბილისში გადმოსახლდა. გარდაიცვალა 1951 წელს.

**მიხეილ გიორგის ძე ნემო (ქანუაშვილი).** დაიბადა 1864 წლის 18 სექტემბერს ქუთაისში, აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1882 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ არ დაუმთავრებია. დაბრუნდა ქუთაისში და მუშაობა დაიწყო პედაგოგად. პირველად სცენაზე ქუთაისში გამოვიდა 1878 წელს. ამას შემდეგ მუდმივად მოღვაწეობდა ქუთაისის სცენაზე. ასრულებდა კომედიურ როლებს, კითხულობდა იუმორისტულ სცენებს. გარდაიცვალა 1941 წელს.

**თეატრის უჩინარი მუშაკები.** ქუთაისის თეატრის წარმატებას რევოლუციამდელ პერიოდში ბევრმა უჩინარმა მუშაკმა შეუწყო ხელი. საჭიროდ ვთვლით მოვიხსენიოთ ზოგიერთი მათგანი. ასეთთა

შორის აღსანიშნავია ივანე ნაჭყებია, რომელიც ქუთაისის თეატრის შენობის აგებიდან (1880) მთელი ორმოცი წლის მანძილზე (გარდაიცვალა 1920 წელს) ამ შენობის დარაჯი იყო. ის არა მარტო დარაჯობდა თეატრს, არამედ მისი დამლაგებელიც იყო.

შენობის აგების დღიდან ასევე მუდმივად იყვნენ თეატრის აფიშიორებად, განუყრელი მეგობრები არტემ ავაგჯანოვი და შუხა პაპიაშვილი. ორივენი ღრმად მოხუცები გარდაიცვალნენ (ავაგჯანოვი — 1928 წელს, პაპიაშვილი — 1935 წელს).

ქუთაისის თეატრში ოთხმოციანი წლებიდან მუშაობდა სცენის მემანქანედ ნაუმ ტერკი. 1905 წლიდან თეატრის მემანქანეობა დაიწყო ტერკის მოწაფემ ონისიმე დადიანმა. მან ამ თანამდებობაზე მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც განაგრძო.

1897 წელს ქუთაისის თეატრში სცენის მუშად მიიღეს სერგო კელიძე. 1904 წლიდან, როდესაც თეატრში ელექტროგანათება მოეწყო, მან მუშაობა ელექტროტექნიკოსად და გამნათებლად დაიწყო. დეკორაციების ხატვაც ეხერხებოდა. მან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც განაგრძო მუშაობა.

ონისიმე დადიანმა და სერგო კელიძემ თავისი კეთილსინდისიერი შრომით დიდი ამაგი დასდეს ქუთაისის თეატრს.

**თერთმეტი სათეატრო სეზონი.** ცარიზმის რეაქციის და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ქუთაისში თერთმეტი სათეატრო სეზონი ჩატარდა. ეს სეზონები დიდმნიშვნელოვან მოვლენად შევიდა ქუთაისის ისტორიაში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში თეატრს არ გადაუხვევია პროგრესულ-დემოკრატიული გზიდან, რაც თეატრს 1905 წლის რევოლუციის მღელვარე დღეებში დაუსახა და ჩაუნერგა ლადო მესხიშვილმა. ამ პროგრესულ-დემოკრატიულ მიმართულებას ხელს უწყობდა, როგორც თეატრის რეჟისორების იდეურ-მხატვრული მრწამსის სიჯანსაღე, ასევე ქუთაისის მაყურებლის გარკვეული დემოკრატიული მისწრაფება. დრამატული საზოგადოების გამგეობა შეეცადა წევრთა რიცხვი ამ დემოკრატიული ფენების ანგარიშზე გაეზარდა, ამიტომ წლიური საწევრო გადასახადი სამი მანეთიდან ერთ მანეთამდე დაიყვანა. უკანასკნელ ხანს საზოგადოების წევრთა რიცხვი სამასს აღემატებოდა.

თერთმეტი სათეატრო სეზონიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1910—1913 წლები, როდესაც თეატრს სათავეში უდგა რეჟისორი მიხეილ ქორელი. მას დიდი ამაგი მიუძღვის ქუთაისის თეატრის იდეურ-მხატვრული ხარისხის დაცვასა და გაძლიერებაში. ნიჭიერმა ოსტატმა არაერთი შესანიშნავი დადგმა განახორციელა და პრესისა და საზოგადოების ქება დაიმსახურა, მან არაერთი მსახიობი გამოაწრთო და გამოიყვანა შემოქმედების ფართო სარბიელზე.

## V. თეატრის რევოლუციის უამღვამი პერიოდი

ქართული თეატრის ახალი ამოცანები. დაუძლურებული და შემოქმედებათად დაქვეითებული შეხვდა ქართული თეატრი თებერვლის რევოლუციას. ეს დაქვეითება მსოფლიო ომის შედეგი იყო. ჩვენმა ქვეყანამ ომის წლებში დიდი გაჭირვება განიცადა და, ცხადია, ამ გარემოებამ თეატრზეც იმოქმედა. ჩამორჩენის მიზეზი ისიც იყო, რომ თბილისის დრამატულ თეატრს, რომელიც ქართული თეატრალური ხელოვნების წამყვანად ითვლებოდა, საკუთარი, მუდმივი თავშესაფარი არ ჰქონდა (ქართული თეატრის შენობა დაიწვა 1914 წელს). ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელი იყო მხატვრულ წარმატებაზე ფიქრი.

შედარებით ნორმალურად გამოიყურებოდა თეატრი ქუთაისში. მაგრამ ქვეყნის გაჭირვება ამ თეატრზეც ახდენდა უარყოფით გავლენას.

ცარიზმის დამხობის სასიხარულო ამბავმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქართველ ხელოვანთა შორის. ჩვენი სცენის მოღვაწეებს იმედი მიეცათ, რომ ქართული თეატრის მდგონარეობა საფუძვლიანად შეიცვლებოდა, რომ რევოლუციის გავლენა თეატრსაც დაეტყობოდა. ამ ახალ ვითარებაში დიდ ამოცანებს უსახავდა ქართულ თეატრს ჩვენი პრესა. ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (№ 15. 1917) ჟურნალის რედაქტორი, ცნობილი თეატრალური მოღვაწე იოსებ იმედაშვილი წერდა, რომ თეატრი არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა ჩვენი ხალხისათვის, როგორც დღეს, მაგრამ ძველებური ენით, ძველებური ხერხით, ძველებური ფერადებით დღეს თეატრს ლაპარაკი აღარ შეჰფერისო.

აღნიშნავდა, რომ ახლა თეატრს ახალი სიტყვა, ახალი აზრი, ახალი მხატვრული ხერხები ესაჭიროება, რათა ახალი განცდები გამოიწვიოს მაყურებელში და რევოლუციურ წინსვლას შეუწყოს ხელი. თეატრს მუდამ დიდი საზოგადოებრივი მოვალეობა ჰქონდა

დაკისრებული, იგი მუდამ წინ უძღვოდა ადამიანთა აზროვნებას. და მით უმეტეს ახლა უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგში. იმედაშვილი წერდა, რომ „საჭიროა დაკვირვებული დრამატურგი, ახალი ოქროპირი და ჭადმომეტყველი, რომ თანამედროვე მრავალფეროვანი ცხოვრებიდან ღირსეული მარგალიტები ამოჰკრიბოს, მაყურებელ-მსმენელთა წინაშე გადაიტანოს და მით რაზმი რევოლუციონერთა გააძლიეროს, ძველს სამუდამოდ სამარე დაუმკვიდროს, ახალს ახალი ზრახვანი გაუღვიოს“...

ასეთი ტონის წერილები თებერვლის რევოლუციის შემდეგ არაერთი იბეჭდებოდა ქურნალ-გაზეთებში, მაგრამ თეატრალური ხელოვნების პატრონი და ნამდვილი მზრუნველი არსად ჩანდა. მენ-შევიკურმა მთავრობამ დრამატულ თეატრზე სრულებით არ იზრუნა, დრამატულმა საზოგადოებამ თბილისის თეატრს ვერ უთაოსნა. ვერც ახლად დაარსებულმა მსახიობთა კავშირმა მოახერხა თეატრის გაძლოა. ყოველივე ამის შემდეგ თბილისში სათეატრო სეზონები ზედიზედ ჩაიშალა და მხოლოდ 1920 წლის შემოდგომაზე მოხერხდა შედარებით ხეირიანი სეზონის ორგანიზაცია.

ქუთაისის თეატრის 1917—1918 წლების სეზონი მიხეილ ქორელის ხელმძღვანელობით. როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, 1916—1917 წლ. საზაფხულო თეატრალური სეზონი ქუთაისში ნაადრევად შეწყდა, ეს გამოწვეული იყო არა თეატრის უხარისხობით, არამედ ახალი პოლიტიკური ვითარებით. მაგრამ ქუთაისის თეატრმა კვლავ მიიზიდა მაყურებელი და ნაყოფიერად განაგრძო მოღვაწეობა.

თეატრის კარგი მუშაობა უფრო იმის შედეგი იყო, რომ დასს კვლავ განაგებდა საქმის მოყვარული დრამატული საზოგადოება (1917 წელს გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იყო ივანე პურადაშვილი).

ახალი სეზონი დრამატულმა საზოგადოებამ ჩვეულებრივი წესით განაგრძო. დასის რეჟისორად მოიწვია ქუთაისის მაყურებელთათვის კარგად ცნობილი და სახელმძღვანელო რეჟისორი მიხეილ ქორელი. დასი შედგა მეტწილად ახალგაზრდა ძალებისაგან. ესენი იყვნენ: ქალები — ა. ლოლუა, მ. მდივანი, ო. ლოლობერიძე, ე. ციმაჯურიძე, ნ. ჩხეიძე; ვაჟები — ზ. გომელაური, კ. მაჭარაძე, ა. მურუსიძე, ვ. სარელი, ა. ყალაბეგიშვილი, ვ. ჩხიკვაძე, დ. ძნელაძე, მ. კიაურელი, შ. ხონელი, სუფლიორი მ. ბოჭორიშვილი.

სეზონი გაიხსნა 17 ოქტომბერს და გაგრძელდა 2 ივნისამდე. თეატრის ხელმძღვანელობამ დიდი ყურადღება მიაქცია ახალი ქა-

რთული ორგინალური ნაწარმოებების დადგმას და ამ მხრივ საკმაო წარმატებასაც მიაღწია. სეზონის გახსნისას წარმოდგენილი იყო ნ. შიუჟაშვილას რევოლუციური ხასიათის დრამა „სულელი“. ასევე რევოლუციური ბრძოლის სურათებს წარმოადგენდა ია ეკალაძის დრამა „ნომერი 21 ჯვრით“. წარმოდგენილი იყო აგრეთვე შ. დადიანის ახალი კომედია „კუწინდელი“. განსაკუთრებით დღა წარმატება მოიპოვა „სულელმა“, რომელშიც მთავარი გმირის, რევოლუციონერ ბარათაშვილის როლს ბრწყინვალედ ასრულებდა მ. ჭიაურელი. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ „სულელი“ მ. ჭიაურელისა და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით (ლიზის როლში) ამ სეზონში ათჯერ იქნა წარმოდგენილი. ქუთაისის თეატრის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა პიესა ერთ სეზონში ათჯერ ითამაშეს.

1918—1919 წლების სეზონი. დრამატული საზოგადოების მიერ ეს სათეატრო სეზონიც წესიერად იყო მოწყობილი. დასს კვლავ მ. ქორელი ხელმძღვანელობდა. შეემატათ მსახიობი ქალი ა. შოთაძე და მსახიობი ა. იმედაშვილი, რომელიც მეორე რეჟისორადაც მუშაობდა. სეზონი გაიხსნა 21 ნოემბერს ა. სუმბათაშვილის „ლალატით“ და დაიხურა 23 მაისს უ. შექსპირის „ოტელოთი“.

ა. იმედაშვილის დასში ყოფნით თეატრის საშუალება მიეცა წარმოედგინა უცხოური კლასიკური ნაწარმოებები: უ. შექსპირის „ოტელო“, ფ. შილერის „ყაჩაღები“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და სხვ. მთავარ როლებს შეუდარებლად ასრულებდა ა. იმედაშვილი.

ქუთაისის თეატრის ამ სეზონის შესახებ დაწვრილებით აუწყებდა ჟურნალ „თეატრი და მუსიკა,“ რომლის პირველი ნომერი ქუთაისში გამოვიდა 1919 წლის მარტში. „აუტანელ პირობებში მოუხდა სეზონის დაწყება წელს ქუთაისში დრამატული საზოგადოების გამგეობას, — ვკითხულობთ ჟურნალში, — 1917—1918 წლების სეზონის დასასრულს საზოგადოების სალაროში, გარდა 7 ათასი მან. დეფიციტისა, არ იყო რა.“ ჟურნალის სიტყვით, გამგეობას მრავალი საგულისხმო ნაბიჯის გადადგმა დაქირდა. მთავრობასაც კი სთხოვა დახმარება, მაგრამ უნაყოფოდ. 1918 წლის სექტემბერში დრამატული საზოგადოების წევრთა საერთო კრებამ დაავალა გამგეობას, ყოველ მიზეზ გარეშე ეხელმძღვანელა სეზონისათვის.

ჟურნალში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ გამგეობამ დრამატული სტუდიის დაარსებაც კი განიზრახა ახალი სასცენო კადრების მოსამზადებლად, მაგრამ საკმაო მსურველების გამოუცხადებლობის გამო, სტუდიამ მუშაობის დაწყება ვერ შესძლო.

მიხეილ ჭიაურელი. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ქუთაისის დასში მუშაობდა ახალგაზრდა მსახიობი მიხეილ ჭიაურელი, მან თავიდანვე ნიჭიერი მსახიობის სახელი მოიხვეჭა.

სასცენო მოღვაწეობა მ. ჭიაურელმა დაიწყო 1909 წელს თბილისის სახალხო სახლთან არსებულ ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში. 1914 წელს ის მსახიობად მიიწვიეს თბილისის ქართულ დრამატულ დასში, მაგრამ თეატრის შენობის დაწვის გამო დასი ნორმალურად ვეღარ მუშაობდა და მ. ჭიაურელსაც შესამჩნევი როლი არ ეღირსა. ასეთ მდგომარეობაში ერთი სეზონი დაჰყო ჭიაურელმა და შემდეგ იძულებული გახდა თეატრისათვის თავი დაენებებინა. როდესაც 1917 წელს მ. ქორელი ქუთაისის დასის რეჟისორად მიიწვიეს, მისი რეკომენდაციით დასში მიიღეს მიხეილ ჭიაურელი. 1917 წლის შემოდგომაზე სეზონის გახსნისას, მან „სულელში“ ბრწყინვალედ შეასრულა ბარათაშვილის როლი. მსახიობს დიდი მოფიქრებითა და დაკვირვებით ჰქონდა შექმნილი რომანტიკული იერით მოცული რევეოლუციონერის სახე. იგი როლს დიდი შინაგანი ტემპერამენტით და დამაჯერებლობით თამაშობდა. ქუთაისის გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ (1917 წლ. 18 ოქტ.) მ. ჭიაურელის მიერ ბარათაშვილის როლის შესრულების შესახებ წერდა: „უმთავრესი და მძიმე როლი ბატონ ჭიაურელს ჰქონდა დაკისრებული. მსახიობს კარგად შეუთვისებია თვით როლის მნიშვნელობა და თავისი მოხდენილი, მსუბუქი თამაშით საზოგადოების ყურადღება სავსებით მიიპყრო. იყო ადგილები, სადაც თავისი ლამაზი შესრულებით საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა“.

მიხეილ ჭიაურელის წარმატება არც მერე შენელებულა. ორი სათეატრო სეზონის მანძილზე მან არაერთხელ დაიმსახურა ქება. ის თანაბარი ოსტატობით თამაშობდა როგორც დრამატულ, ისე კომედიურ როლებს, ქუთაისის დასში მ. ჭიაურელს განუხსახიერებია ისეთი საინტერესო როლი, როგორცაა სოსიკო შ. დადიანის დრამაში „შენი ჭირივე“. მსახიობმა დიდი სიმართლით, სითბოთი და სიფაქიზით გამოხატა სოსიკოს უმწიკვლო საბედისწერო სიყვარული. შემდეგ ითამაშა მეფე ლუარსაბის როლი სანდრო შანშიაშვილის დრამაში „უგვირგვინო მეფენი“ და დამაჯერებლად გადმოსცა შინაგანი წინააღმდეგობით მოცული ადამიანის ფსიქოლოგია. შეასრულა სიკოს როლი ი. გედევანიშვილის დრამაში „გამცემი“. ეს იყო ქართული რევეოლუციონერის მართალი, დამაჯერებელი სახე.

გაზეთი „მეგობარი“ (№-330, 1918) ჭიაურელის შესახებ გვაუწყებს: „...ჭიაურელმა იცის ყოველთვის რასაც თამაშობს და თავი-

სი როლიც გაქედულად უკავია ხელში. ის იშვიათი არტისტია. თუ გინდათ გაიგოთ, რა ხდება მისი სულის სიღრმეში, საკმარისია დააკვირდეთ სახეს, თუ გინდა ტანს, — და გაიგებთ უეჭველად, ყოველი სულიერა განცდა პატარა ნაოქს გაუსვამს მის სახეზე. თვალებსაც დაეტყობა. იცის როგორ უნდა დაიკავოს თავი სცენაზე (ძალიან ცოტას აქვს ათვისებული ეს თილისმა), ყველაფერი ხელს უწყობს: გარკვეული და გამომხატველი ხმა, განვითარებული გემოვნება, ღრმა გრძნობა, ყოვლის ამსახველი სახე, და ყველაფრის ამებების ბატონია. უნდა აუწევს ტონს, უნდა დაუწევს. თუ საჭიროა, არ შეცვლის სახეს, თამამად შეუძლია ააჭრელოს იგი ნაოქებით“.

უცხოურ ნაწარმოებებში შესრულებული როლებით მან ისე მოხიბლა მაყურებელი, რომ ქუთაისის გაზეთ „ხალხის მეგობარში“ (№ 322, 1918) წერდნენ: „...ქიაურელი „ევროპიელი“ არტისტიაო“...

1919—1920 წლების სეზონი ა. იმედაშვილის ხელმძღვანელობით. სათეატრო სეზონში ქუთაისის თეატრს კვლავ დრამატული საზოგადოება განაგებდა.

დასის რეჟისორად დანიშნული იყო ა. იმედაშვილი. დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგებოდა: ქალები — ც. ამირეჯიბი, ე. ანდრონიკაშვილი, ს. ბეჟანიშვილი, ა. ლოლუა, მ. მდივანი, ნ. სირბილაძე, მ. ქილარჯიშვილი, ო. ლოლობერიძე, პ. შოთაძე, თ. ჩარკვიანი, ე. ციმაკურიძე; ვაჟები—ვ. არაბიძე, ჰ. აბაკელია, შ. ბოჭორიშვილი, ზ. გომელაური, ი. ზარდალიშვილი, პ. კორიშელი, მ. ლორთქიფანიძე, ა. მურუსიძე, მ. ნემო, ა. ყალაბეგიშვილი, გ. ჩარკვიანი, ვ. ჩხიკვაძე, შ. ხონელი, შ. ჯაფარიძე, სცენარიუსი კ. პატარიძე, სუფლიორები ე. აფხაიძე და ა. მგალობლიშვილი. დასში აღარ იყო მ. ქორელი. იგი თბილისში გადავიდა და გ. ჯაბადარის დრამატულ სტუდიაში დაიწყო მუშაობა. ქუთაისი ნ. ჩხეიძემ და მ. ქიაურელმავე დატოვეს.

სეზონი გაიხსნა 11 ოქტომბერს ვ. გუნიას პიესით „ციხის საიდუმლო“. ქუთაისის თეატრის ახალი სეზონის გამო უჩრნალი „თეატრი და ცხოვრება“ (№ 4, 1920) წერდა: „... დასი შედგება ახალგაზრდა მსახიობთაგან. მასში შედიან თვალსაჩინო ძალები: ბატონი ზარდალიშვილი, იმედაშვილი, ყალაბეგიშვილი, კორიშელი, მურუსიძე, არაბიძე, გომელაური და სხვ... კვირაში იდგმება 3-4 წარმოდგენა. პიესები შერჩეულია. იდგმება, აგრეთვე, კლასიკური და რთული პიესებიც. ხალხმა შეიყვარა თეატრი. თითქმის ყოველ წარმოდგენაზე სათეატრო დარბაზში ტევა აღარ არის“... ეს იმ დროს, როდესაც თბილისში სათეატრო სეზონი ისევე ჩაიშალა, როგორც წინა წლებში.



1920—1921 წლების სეზონი შ. დადიანის ხელმძღვანელობით. სათეატრო სეზონის დაწყების წინ გაზეთი „სახალხო საქმე“ (№ 950, 1950) წერდა, რომ ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას დიდი მზადება აქვს სეზონისათვის. მოწვეული იქნა ბევრი საუკეთესო მსახიობი, მზადდება ახალი დეკორაციები, ფართოდება სცენა, ფოიე და სხვ. სამწუხაროდ ეს დაპირებები ვერ შეასრულეს. შენობის შეკეთებაც არ მოხერხდა. დასი უმთავრესად გამოუცდელი ახალგაზრდებისაგან შედგებოდა, რადგან ქართული თეატრის წამყვანი მსახიობები თბილისის დრამატულ დასში იყვნენ მიწვეულნი. ქუთაისის დასი კი შემდეგი პირებისაგან შედგა: ქალები — ლ. აბაშიძე, ე. ანდრონიკაშვილი, დ. გუგუნავა, ა. ივერიელი, თ. ლეკვინაძე, ნ. მაჭავარიანი, მ. სამანიშვილი, ნ. სირბილაძე, ნ. ყენია, ნ. ჩიხლაძე, ბ. ჭაიანი, ვაჟები — ჭ. აბაკელია, დ. აბდუშელი, ვ. ბალანჩივაძე, ნ. ბებურიშვილი, თ. დევდარიანი, კ. დოლონაძე, ბ. ენდელაძე, ბ. ირაკლიშვილი, ბ. კოკელაძე, მ. კორძაია, მ. მამულაშვილი, შ. მანაგაძე, ვ. მატარაძე, კ. მიქაბერიძე, პ. მურღულია, მ. ნემო, შ. სოსელია, ვ. ტყეშელაშვილი, გ. ჩარკვიანი, ა. ჩხეიძე, დ. ჩხეიძე, ნ. წითლიშვილი, ა. შავგულიძე, ა. ხუჯაძე, შ. ჭაფარიძე, მ. ჯღელი, დასის რეჟისორი იყო შ. დადიანი, რეჟისორის თანამემწე ზ. ურუშაძე.

სეზონი გაიხსნა 28 ოქტომბერს.

მსახიობთა ძალების სისუსტის გამო მაცურებელი თეატრს აღარ ეტანებოდა.

დასი, მართალია, არსებითად ძველი რეპერტუარით სარგებლობდა, მაგრამ ამასთანავე ახალი ქართული ნაწარმოებებიც დადგა. ესენი იყო: ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“ და „ფრთა მოტეხილი ყორანი“, შ. დადიანის „ვარაჟი“, „ფირუზა და ნაცარა“ და სხვ.

ქუთაისის დრამატული საზოგადოება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თუ რევოლუციამდელ ქუთაისის თეატრს თავისი იერსახე შერჩა ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას უნდა ვუმადლოდეთ, რომელიც არაფერს ზოგავდა თეატრის კეთილდღეობისათვის.

ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ ის პირნი, რომლებიც სხვადასხვა დროს, 1909 წლიდან, სათავეში უდგნენ საზოგადოებას როგორც გამგეობის წევრები. ესენი იყვნენ: მ. ანჯაფარიძე, ი. ჩიქოვანი ა. კრინიცი (დარახველიძე), პ. გოკიელი, გ. აბაკელია, ა. ავალიშვილი, ი. პურადაშვილი, დ. კლდიაშვილი, გ. ნათაძე, ე. წერეთელი, მ. გორდაძე, კ. კაჭახიძე, ჯ. ჯორჯიკია, ი. ჩიმაკაძე, ბ. დათეშიძე, ს. კილაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. ლალიძე, პ. მდივანი, პ. უზნაძე, ა. ფალავა, ე. მეფისაშვილი, ა. კოსტავა, პ. უზნაძე, ა. წერეთელი, მ. ბალანჩივაძე, ს. გერსამია, გ. ჭაფარიძე.

## VI. საზოგადოებრივი თეატრი ქუთაისში

1921 წლის 10 მარტს ქუთაისში გამოცხადდა საზოგადოებრივი ხელისუფლება. სათეატრო სეზონი შეწყვეტილი იყო 3 მარტიდან. შ. დადიანი, რომელიც იმ დროს დრამატული საზოგადოების დასს მეთაურობდა, წიგნში „რაც გამახსენდა“ (თბილისი, 1958) ასე აგვიწერს ქუთაისში შექმნილ მდგომარეობას: „მენშევიკური ჭორებით შეშინებული მსახიობები სახლიდან ვერ გამოდიოდნენ. ეგონათ, რომ ბოლშევიკური მთავრობა მათ დააპატიმრებდა და დახვრეტდა. რამდენიმე დღის შემდეგ მოწვეული იყო ქუთაისის ინტელიგენციის კრება, რომელზედაც წითელი არმიის წარმომადგენელმა დაწვრილებით გააცნო ხელისუფლების ამოცანები“.

ამ კრების შემდეგ თეატრმა განაახლა მუშაობა ისევე შ. დადიანის ხელმძღვანელობით (თეატრის კომისარად დანიშნული იყო თეატრის მუშა სერგო ჭელიძე). დასმა დადგა შ. დადიანის კომედია „ფირუზა და ნაცარა“ (ფირუზას თამაშობდა ვ. მატარაძე, ნაცარას — შ. ჭაფარიძე), მისივე დრამა „ვარამი“ და ვილდენბრუხის კომედია „ქოჩრიანი ტოროლა“.

შედგა ხელოვნების მუშაკთა საერთო კრება, რომელზეც ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის საორგანიზაციო ბიურო აირჩიეს. მასში შედიოდნენ: შ. დადიანი, ს. ცირეკიძე (მწერალი), ვ. კროტკოვი (მხატვარი), ი. ჩარკვიანი. შ. დადიანი აირჩიეს ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატად, რომელიც თბილისში უნდა შემდგარიყო. შალვა დადიანი აღარ დააბრუნეს ქუთაისში. იგი განათლების სახალხო კომისარიატის „თეოს“ სექციის გამგის თანამდებობაზე დანიშნეს. ამრიგად, ქუთაისის დასი უხელმძღვანელოდ დარჩა.

დასის გამგებლობა იკისრა მსახიობმა მამუკა ამამუკელმა. მისი მოგონების მიხედვით (სათეატრო მუზეუმშია დაცული) დასმა განაგრძო მუშაობა და წარმოადგინა ლადო მესხიშვილის მიერ 1905 წლის რევოლუციის დროს დადგმული სოციალური უთანასწორო-

ბის ამსახველი პიესები: ვ. მონტის „კაი გრაქნი“, ჰ. ჰაუპტმანის „ფეიქრები“, მისივე „როზა ბერნდ“ და ვ. პროტოპოპოვის „ცხოვრების გარეშე“.

აპრილის დამლევს დასის რეჟისორობა ვასო ბალანჩივადეს დაევალა. შემორჩენილი არ არის სრული ცნობები იმის შესახებ, თუ რა პიესები იყო წარმოდგენილი. ცნობილია. მხოლოდ, რომ დაუდგამთ გ. ენგელის დრამა „ზღვასთან“, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჰირი“ და შ. დადიანის კომედია „გუშინდელნი“.

ემანუილ აფხაიძემ და სერგო კლდიაშვილმა შეადგინეს ტექსტი პაროდისა „ხრინწაძის ხორა“, რომელიც დადგა კ. პატარიძემ. ამ გასართობმა სანახაობამ დიდი წარმატება მოიპოვა.

იმ დროს ქუთაისის თეატრის დასში შემდეგი მსახიობები იყვნენ: ქალები — ლ. აბაშიძე, ე. ანდრონიკაშვილი, ა. არჯევანიძე, ა. ივერიელი, ნ. მაჭავარიანი, ნ. ნინონი, ე. სიბილა, თ. ჩარკვიანი, ნ. ჩიხლაძე, ნ. ჭარხალაშვილი, ნ. წინამძღვარი; ვაჟები — ჰ. აბაკელია, მ. ამაშუკელი, ე. აფხაიძე, ვ. ბალანჩივადე, კ. დოლონაძე, ბ. კოკელაძე, შ. მანაგაძე, ვ. მატარაძე, ალ. მგალობლიშვილი, კ. მიქაბერიძე, მ. სარაული, მ. სვანი, ზ. ურუშაძე, დ. ჩხეიძე, ვ. ჩხიკვაძე, შ. ჯაფარიძე, მ. ჯუღელი. ეს იყო უმთავრესად ახალგაზრდობა, რომელთა დიდი ნაწილი შემდეგ დაწინაურდა, როგორც საბჭოთა ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი ოსტატები. საინტერესოა, რომ ამ ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა (ნ. ჩიხლაძე, შ. მანაგაძე, კ. მიქაბერიძე, მ. ჯუღელი) ცალკე დააპირა მუშაობა და თეთრ ხიდთან გახსნილ კომკავშირელთა კლუბს „წითელ ახალგაზრდობას“ (ამჟამად აქ საჭადრაკო კლუბია) შეეკედლა. დადგეს ო. მირზოს „უან და მადლენა“.

ქუთაისის გაზეთ „მუშა და გლეხის“ ცნობით (№ 19, 1921, 5 ივნ.), ზაფხულში, ქუთაისში დაარსდა სატირის თეატრი „ელამი სარკე“. დასში შევიდნენ საუკეთესო ადგილობრივი ძალები, აგრეთვე მოწვეული მსახიობები თბილისიდან. ახალ თეატრს ხელმძღვანელობდა ქუთაისის საბჭოთა თეატრის წარმომადგენელი მამუკა ამაშუკელი. გაზეთის ცნობით, ახალ დასს განზრახული ჰქონდა საზაფხულო სეზონი ეწარმოებინა „კომკავშირის თეატრში, რის შესაფერი შუამდგომლობა აქვს აღძრული ქუთაისის სამაზრო კომიტეტში“. გაზეთში კი იყო ეს ცნობა, მაგრამ გამართა თუ არა ამ ახალმა თეატრმა წარმოდგენები, ამის შესახებ ცნობები ვერ მოვიპოვეთ.

1921—1922 წლების სეზონი ვ. ბალანჩივადისა და ა. ყალაბეგიშვილის ხელმძღვანელობით. სათეატრო სეზონში ქუთაისში მსა-

ხიობთა ამხანაგობა მუშაობდა და მსახიობთა შემადგენლობა და-  
ახლოებით ისეთივე იყო, როგორც 1921 წლის გაზაფხულზე. და-  
სის რეჟისორებად მოწვეული იყვნენ ვ. ბალანჩავაძე და ა. ყალაბე-  
გიშვილი.

1922—1923 წლების სეზონი ი. ზარდალიშვილის ხელმძღვანე-  
ლობით. ამ სათეატრო სეზონში დასი მოგვიანებით შედგა. გაზეთი  
„მუშა და გლეხი“ (№ 3, 1923) 15 იანვარს წერდა, რომ შემოდგო-  
მაზე ქუთაისში წარმოდგენები არ გამართულა, ხოლო ამჟამად გან-  
ზრახულია შედგეს დასი, რომელიც გამართავს რამდენიმე წარ-  
მოდგენას. დასის შედგენას უმთავრესად თბილისის მსახიობებისა-  
გან ფიქრობენო. მართლაც, 1923 წლის 19 იანვარს უკვე სახელ-  
მწიფო თეატრის სეზონი გაიხსნა. დასს სათავეში ჩაუდგა მსახიობი  
ი. ზარდალიშვილი, რომელიც მანამდე თბილისში მოღვაწეობდა  
რუსთაველის სახელობის თეატრის კომისრის თანამდებობაზე. გა-  
რდა ი. ზარდალიშვილისა, ქუთაისის დასს თბილისიდან შეემატნენ  
მსახიობები ცაცა ამირეჯიბი, არეთა ლოლუა და ვალერიან გუნია.  
დასში იყვნენ ანა არჯევანიძე, ნუნუ მაჭავარიანი, ბაბო რონელი,  
ნინო წინამძღვარი, ჭიჭიკო აბაკელია, ემანუილ აფხაიძე, ვასო ბა-  
ლანჩავაძე, გიორგი თუთბერიძე, მიხეილ ნემო, მიხეილ სარაული,  
მიხეილ სვანიძე, პავლე ფრანგიშვილი, ვარლამ ჩხიკვაძე, მიხეილ  
ჯუღელი, რეჟისორის თანაშემწე ზაქრო ურუშაძე, სუფლიორი  
კოწო დოლონაძე, თეატრის გამგე გიორგი თუთბერიძე. გასტრო-  
ლებზე მოიწვიეს ნინო დავითაშვილი, ელენე დონაური, ნინო ჩხე-  
ძე, თამარ ჭავჭავაძე. სეზონი 29 აპრილს დამთავრდა. სამი თვენახე-  
ვრის განმავლობაში სულ გაიმართა 42 წარმოდგენა. დაიდგა 22  
სახელწოდების პიესა. პიესების მეტი წილი დადგა ი. ზარდალიშვი-  
ლმა, ცალკეული სპექტაკლები განახორციელეს ვ. გუნიაშ, ა. ლო-  
ლუამ და გ. თუთბერიძემ.

დასს არც ერთი ახალი პიესა არ დაუდგამს.

საინტერესოა, რომ 1 მარტს დასმა წარმოადგინა კ. გუცკოვის  
ტრაგედია „ურიელ აკოსტა“ (იველითი — ა. ლოლუა, ურიელი — ი.  
ზარდალიშვილი), ეს წარმოდგენა დაიწუნა ადგილობრივმა გაზეთმა.  
მაგრამ 7 აპრილს ეს დაწუნებული წარმოდგენა გაუმეორებიათ.  
რატომ? სარეჟისორო წიგნში შენიშვნაა: „ეს პიესა დაიდგა მთავრო-  
ბის ბრძანებით, რომ აღდგომის პროცესისათვის ხელი შეეშალა“.  
ამრიგად, წარმოდგენას გარკვეული მიზანი შეუსრულებია რელი-  
გიასა და ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლის საქმეში.

ქუთაისის თეატრის მდგომარეობას ვრცელი წერილი მიუძღვნა

ადგილობრივმა გაზეთმა „მუშა და გლეხმა“ (№ 6, 1923 წლის თებ.). იგი აღნიშნავდა, რომ ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თეატრის მუშაობა არ იდგა მაღალ დონეზე. ქუთაისის აღმასკომმა არა ერთი ღონისძიება მიიღო თეატრის მუშაობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ზომები ქმედითი არ აღმოჩნდა. ახლა კი ქუთაისის ელირსა ხეირიანი დასი და წესიერად დადგმული პიესებით. გაზეთი წერს, „მაღლობის ღირსია ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დასი და განსაკუთრებით მსახიობი ზარდალიშვილი. რომელიც ცდილობს თავისი შრომით და, შეიძლება არა საკმარისი ძალებით მისცეს საზოგადოებას სულიერი საზრდო“.

1923—1924 წლების სეზონი ვ. გუნიას და ი. ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით. სათეატრო სეზონში დასს სათავეში ედგნენ ვ. გუნია და ი. ზარდალიშვილი. თეატრის გამგე იყო გ. თუთბერიძე. დასში შედიოდნენ: ქალები — თამარ აბაშიძე, ნუნუ მაჭავარიანი, ნინო ნინონი (მჭედლიშვილი), ელენე სიბილა (მჭედლიშვილი), თიკო ღვინიაშვილი, ოლიმპიადა ლოლობერიძე, ნინო ყენია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, თინა ჩარკვიანი; ვაყები—ვარდენ აღამია, ემანუილ აფხაიძე, დევისონ ბახტაძე, მიხეილ სვანიძე, პავლე ფრანგიშვილი. ვარლამ ჩხიკვაძე, შალვა ჯაფარიძე, სუფლიორი შალვა ბოჭორიშვილი.

სეზონი გაიხსნა 4 ოქტომბერს სანდრო შანშიაშვილის დრამით „ბერდო ზმანია“. გაზეთი „მუშა და გლეხი“ (№ 41, 1929, 7 ოქტ.) წერდა, რომ დადგმა რიგიანი იყო და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურაო. გაზეთი დასძენდა: „ჩვენ ბევრს მოველით ქუთაისის სცენიდან და მოველით საფუძვლიანადო“.

მაგრამ სულ მალე იგივე გაზეთი (№ 44, 1923) აღნიშნავდა დ. ერისთავის „სამშობლოს“ დადგმის უხარისხობას და სამდურავს გამოთქვამდა თეატრის მესვეურების მიმართ: „არას ვიტყვიტ მსახიობ ზარდალიშვილზე და გუნიაზე, რომლებსაც კარგად უნდა ეთამაშნათ და ითამაშეს კიდევ, მაგრამ აუცილებლად საყვედურის ღირსნი არიან ორივენი, ვინაიდან არჩევენ ასეთ კლასიკურ და ისტორიულ პიესებს და ანგარიშს არ უწევენ იმას თუ როგორ ჩაატარებენ პიესას არსებული ძალებით“.

დაიდგა ნ. შიუქაშვილის ცნობილი დრამა „სულელი“, რომელიც თავის დროზე დიდი წარმატებით სრულდებოდა ქუთაისის სცენაზე, მაგრამ ამჯერად სპექტაკლი არ გამოვიდა დამაკმაყოფილებელი. პრესის ცნობით, სრულებით შეუფერებელი იყვნენ პ. ფრანგიშვილი (ბარათაშვილი), ნ. ნინონი (ლიზ), მ. სარაული (გენერალი) და სხვანი. გაზეთი „მუშა და გლეხი“ (№ 51, 1923) წერდა: „უნდა ითქვას სიმართლე, რომ ქუთაისის სცენაზე წლებიანდ-

ლი დასის მიერ ხშირად აქვს ადგილი ამა თუ იმ პიესის დამახინჯებას. საკვირველია, თუ რატომ არ უწევს რეჟისორი ანგარიშს დასის შემადგენლობას და რატომ არ მიიღებს მხედველობაში იმას, შეუძლია თუ არა საკუთარი ძალებით ზოგიერთი პიესის დაუმახინჯებლად ჩატარება. ასეთი მოვლენა აიხსნება ან უცოდინარობით, ან საქმისადმი გულგრილი მოპყრობით“.

გაზეთი საგულისხმოდ აღნიშნავდა, რომ რეჟისორი მაშინ დგას თავის სიმაღლეზე და მაშინ დაფასდება, როდესაც ის „განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პიესის კოლექტიურად მომზადებას და ჩატარებას; არ არის საკმარისი, რომ სცენაზე მხოლოდ ერთი ან ორი მსახიობის თამაში იპყრობდეს მყურებლის ყურადღებას. კარგია, როდესაც პიესა საერთოდ ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას.“ გაზეთი, როგორც უხედავთ, მოითხოვდა მაღალი ღირსების ანსამბლურ წარმოდგენებს, ისეთს, როგორსაც ამ პერიოდში უკვე უჩვენებდა რუსთაველის თეატრის სცენაზე ქართული სცენის რეფორმატორი და ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი კოტე მარჯანიშვილი.

**რუსთაველის თეატრის გასტროლები.** სწორედ ამ სათეატრო სეზონის დამთავრების შემდეგ ნახა ქუთაისელმა მყურებელმა კოტე მარჯანიშვილის მხატვრული შემოქმედება. ქუთაისის ეწვია რუსთაველის თეატრის დასი და უჩვენა ბრწყინვალე ახალი სპექტაკლები: „ცხერის წყარო“, „გმირი“, „ინტერესთა თამაში“, „კაცი მასა“ და „გააზნაურებული მდაბიო“.

ამ წარმოდგენებმა ნათლად დაარწმუნა ქუთაისის საზოგადოება, თუ რა დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ჰქონდა ქართველ მსახიობებს თუკი მათ თაოსნობას ნიჭიერი რეჟისორი გაუწევდა.

**შალვა დადიანის იუბილე.** ამ სათეატრო სეზონში, სახელდობრ.

4 დეკემბერს, ქუთაისის თეატრში გაიმართა შალვა დადიანის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე. შალვა დადიანი როგორც მსახიობი, რეჟისორი და თეატრის ორგანიზატორი, ქუთაისის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოღვაწე იყო, ამიტომ საღამოს აუარება ხალხი დაესწრო. მრავალი კეთილი სიტყვა ითქვა იუბილარის მისამართით. თეატრმა დადგა შ. დადიანის ცნობილი კომედია „გუშინდელი“, მასში იუბილარმა მოხდენილად შეასრულა მაზრის უფროსის როლი. გაზეთი „მუშა და გლეხი“ (№ 50, 1923) შ. დადიანის ამ იუბილეს გამო წერდა: „...შალვა დადიანი ცნობილია ჩვენში როგორც ნიჭიერი ბელეტრისტი, დრამატურგი და მსახიობი. მისი სახელი საკმაოდ პოპულარულია და მას განსაკუთრებით აფასებს მშრომელი ხალხი. ამიტომაც გასაგებია ის მხურვალე

თანაგრძნობა და სიყვარული, რომლითაც მის იუბილეს შეხვედა ქუთაისის საზოგადოება. თეატრი სავსე იყო ხალხით“...

1924—1925 წლების სეზონი ვ. გუნიასა და ი. ზარდალიშვილის ხელმძღვანელობით. ამ სათეატრო სეზონშიც დასის რეჟისორები ი. ზარდალიშვილი და ვ. გუნია იყვნენ. რეჟისორის თანაშემწე — ქ. გელეიშვილი, მხატვარ-დეკორატორები — ა. გვეტაძე და ს. ჭელიძე. დასში შედიოდნენ: ანა ლორთქიფანიძე, ვერა მარგველაშვილი, თიკო ღვინიაშვილი, ოლიმპიადა ლოლობერიძე, ნინო ყენია, თინა ჩარკვიანი, ნინო ჩიხლაძე, ელენე ციმაკურიძე, ვერა ცხვედიანი; ვაჟები — ჭიჭიკო აბაკელია, შალვა ბოჭორიშვილი, კოწო ღოღონაძე, ანდრო მურუსიძე, მიხეილ ნემო, მიხეილ სარაული, მიხეილ სვანიძე, დუდე ძნელაძე, შალვა ხონელი, შალვა ჯაფარიძე. ეს სეზონიც უფერულად წავიდა.

1925—1926 წლების სეზონი ა. იმედაშვილის ხელმძღვანელობით. სათეატრო სეზონს გაუძღვა ახალი რეჟისორი — ა. იმედაშვილი, რომელიც ამავე დროს მთავარი როლების შემსრულებელიც იყო. დასში შედიოდნენ: ქალები — თ. აბაშიძე, ნ. მაჭავარიანი, ე. სიბილა, მ. ქილარჯიშვილი, ე. ციმაკურიძე, თ. ჩარკვიანი. ე. შოთაძე; ვაჟები — ჭ. აბაკელია, შ. ბეჟუაშვილი, ჭ. გელეიშვილი, ზ. გომელაური, ალ. გუგუშვილი, გ. თუთბერიძე, ვ. დოლიძე, ვ. მატარაძე, ა. მურუსიძე, მ. ნემო, მ. სარაული, მ. სვანიძე, პ. ფრანგიშვილი, გ. ფრონისპირელი, დ. ძნელაძე, მ. ჯულელი.

ვერც ა. იმედაშვილმა გამოასწორა მდგომარეობა. რეპერტუარი კვლავ ძველი დარჩა. განსხვავება ის იყო, რომ თეატრი დამშვენდა იმედაშვილის ნიჭიერი თამაშით.

იმდროინდელ პრესაში ბევრს ბჭობდნენ თეატრის მხატვრული ხარისხის შესახებ. სეზონის შედეგების შეჯამებისას, ჟურნალ „ხელოვნების მოამბის“ 1 აპრილის ნომერში (ჟურნალი გამოსცა ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირმა; გამოვიდა ერთადერთი ნომერი) ჯაფარ ფაშას სტატიაში „თეატრის გარშემო“ განხილული იყო თეატრის მოღვაწეობა ახალ სეზონში: „ერთნი ამბობენ — დასი სუსტიაო, მეორენი სცენის სიღარიბეს ჩივიან, მესამენი კიდევ სხვა მიზეზებს ასახელებენ. მიუხედავად ამისა, პიესები ჩვენს სცენაზე იდგმება ხელოვნურად განსახიერებით, იძლევა მთლიან შთაბეჭდილებას და აკმაყოფილებს „ზომიერი“ კრიტიკის მოთხოვნილებას“.

ამავე ჟურნალის მეორე სტატიაში (ავტორი შ. ჩარკვიანი) ქუთაისის თეატრს აქებენ. აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის თეატრის ისტორიაში 1925—1926 წლების სეზონი გამარჯვებულ დარჩებაო,

ემადლიერებოდნენ ხელისუფლებას, რომელმაც ხელი შეუწყო თეატრის საქმიანობას.

თუმცა მეორე ჟურნალი „უშბა“ (ეს იყო ახალგაზრდა მწერლების— ჯ. ჯორჯიას, დ. ჩიანელის, ვ. გაბესკირიას, დ. თომაშვილის და სხვ. ლიტერატურული ორკვირეული. სულ გამოვიდა ექვსი ნომერი), თავის მეოთხე ნომერში დრამატული დასის მოღვაწეობას მაინც-დამაინც არ იწონებდა: „...იმედაშვილი დიდი მსახიობია, — წერდნენ ჟურნალში, — მას [გვერდით ჰყავს ნიჭიერი და მუყაითი თანამშრომლები, რომელნიც მარჯანიშვილის თეატრსაც კი დაამშვენებდნენ, მაგრამ ქუთაისის აკლია ის, რაც იმათ ჯაღოდ აქცევთ, სხვაფერ გაწვრთნის, თანადროულობას დაუახლოვებს, სანახაობას შეაქმნევენებს, შინაარსს გამოაკვეთინებს. აკლია ქუთაისის თვით მარჯანიშვილი. ქუთაისი თეატრალური ქალაქია. ქუთაისში დიდი თანხა იხარჯება სათეატრო საქმეში, ქუთაისის უნდა გაქანება. ქუთაისმა უნდა შექმნას ეს, თორემ ქუთაისის კინომ და ცირკმა აჯობოს თეატრს— სირცხვილია ეს ქუთაისისათვის. ნუ ეწყინება იმედაშვილს და მის დასს, თუ ამას ეუბნება მას ძველი თეატრალი, რომელიც აფასებს მას და პატივს სცემს. ქუთაისის თეატრი უნდა აღორძინდეს. 50 ათასი ქართული მოსახლეობა მოითხოვს ამას. ქართულ კულტურას სწადია ეს“.

არსებითად ჟურნალი „უშბა“ მართალი იყო. ქუთაისის თეატრს ისეთივე შემოქმედებითი გარდაქმნა ესაჭიროებოდა, როგორც რუსთაველის სახელობის თეატრში მოხდა.

რუსთაველის თეატრის გასტროლები. გაზაფხულზე ქუთაისის კვლავ ესტუმრა რუსთაველის სახელობის თეატრის დასი და მაყურებელს უჩვენა: „ლამარა“, „პამლეტი“, „დეზერტიკა“, „მათრახის პანაშვიდი“, და „ვირის ჩრდილი“. წარმოდგენებზე დარბაზში ტევა აღარ იყო. მაყურებელს მოსწონდა მარჯანიშვილის ნამოღვაწარი და დასს ოვაციებით ზღვდებოდა. ეს იგასტროლები კიდევ უფრო უწყობდა ხელს იმ აზრს, რომ ქუთაისის თეატრის შემოქმედებითი გარდაქმნა საჭირო და აუცილებელი იყო. მაყურებელს ახალი მოთხოვნები და მისწრაფებები გაუჩნდა. მის გაზრდილ მხატვრულ გემოვნებას და იდეურ მრწამსს აღარ აკმაყოფილებდა თეატრის ძველი ნატურალისტური ფორმა და შინაარსი.

ახალი მაყურებლის ესთეტიკური საზომი ბევრად განსხვავდებოდა იმ საზომისაგან, რაც ახასიათებდა რევოლუციამდელი ქართული თეატრის მაყურებელს.

1926—1927 წლების სეზონი ნ. გომიაშვილის და შ. მანავაძის ხელმძღვანელობით. სათეატრო სეზონის გაძლოლა „მსახიობთა შრომის კოლექტივმა“ იკისრა. ეს იგივე ხასიათის იყო, რაც ძველებუ-



რი „მსახიობთა ამხანაგობა“, მაგრამ საქმეს მინც არ ეშველა. ქუთაისის ქალაქის არქივში დაცულია პატარა ცნობა, რომელსაც ხელს აწერს კომუნისტური პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე მინდაძე. ამ ცნობაში წერია, რომ „ქუთაისის თეატრის 1926—1927 წწ. სეზონი არა სასურველად მიმდინარეობდა და ამის გამო დაიხურა ვადაზე ადრე, შუა ზამთარში...“

იმევე ზამთარში საქმეს ხელი მოჰკიდა სამაზრო აღმასკომმა და სახელმწიფოს ხარჯზე განაგრძო სათეატრო სეზონი. დასის ხელმძღვანელებად დაინიშნენ ახალგაზრდა რეჟისორები ნ. გოძიაშვილი და შ. მანაგაძე, რომელთაც თეატრალური განათლება მოსკოვში ჰქონდათ მიღებული. დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგებოდა: ქალები — ა. გარნელი, ა. ლორთქიფანიძე, ნ. სირბილაძე, ნ. წინამძღვარი; ვაჟები — ჰ. აბაკელია, ა. ალაზნისპირელი, ჰ. გელეიშვილი, კ. დოლონაძე, შ. ინასარიძე, მ. მეძმარიაშვილი, ა. მურუსიძე, გ. როსება (ბალალოშვილი), მ. სვანი, ვ. ჩხიკვაძე, შ. ხონელი და სხვ.

სეზონი გაიხსნა 8 იანვარს დია ჩიანელის პიესით „ბეთქილ“. დადგმა ეკუთვნოდა შ. მანაგაძეს, მხატვრობა ს. ვაწაძეს, მუსიკა ვ. ჯაბადარს. ეს იყო სიმბოლისტური შინაარსის ნაწარმოები, რომელიც ახალგაზრდა რეჟისორმა კინემატოგრაფიული მანერით დადგა, — დინამიკურად და სწრაფი ტემპით. „მაყურებლის განცდა იმდენად ძლიერი იყო ამ სანახაობით, რომ ბევრი მათგანი განცდის ოფლით გაიწურა“—წერდნენ ქუთაისის ლიტერატურულ ჟურნალ „გრდემლში“ (№ 1, 1927, ქუთაისის პროლეტარულ მწერალთა ყოველთვიური ჟურნალი).

ვერც ამ ახალგაზრდა სარეჟისორო ძალებმა გაამართლეს იმედები. თეატრის გარდაქმნა არც თუ ისე ადვილი საქმე იყო.

ჟურნალ „გრდემლის“ თებერვლის ნომერში ვრცელი სტატია გამოქვეყნდა თეატრის მდგომარეობის შესახებ. წერდნენ, რომ ქართული თეატრი დაქვეითების გზაზე იდგა, მაგრამ მოვიდა გენაალური მარჯანიშვილი, რომელმაც თავისი ჯადოსნური ნიჭით ერთიანი გარდატეხა მოახდინა ქართულ თეატრშიო. ქუთაისის თეატრიც შეუდგა ახალი გზების ძებნას. „იგი ხშირად უერთებდა ერთმანეთს ძველსა და ახალს, ცდილობდა საქმის სათანადო დონეზე დაყენებას, მაგრამ მას ამისათვის არ ჰყავდა არც საკმარისი ძალები და არც საკმარისი თანხები ჰქონდა... მიუხედავად დიდი სურვილებისა, თეატრი ქუთაისში მინც კრიზისს განიცდიდა“... უკანასკნელ 1926—1927 წწ. სათეატრო სეზონზე სტატიაში ეწერა: „ეს სეზონი

განსაკუთრებული იყო. რეჟისორებმა მოინდომეს არაჩვეულებრივი საქმის შექმნა. ჯადოსნებად გადაქცევა მცირე თანხებით, ახალგაზრდა ძალებით დაიწყეს თეატრალური სეზონი. არაჩვეულებრივი ჯადოსნური საქმე უნდა ჩაედინათ... საზოგადოებისათვის ყოველ კვირაში ახალი დადგმა უნდა ეჩვენებინათ... ეს იყო მეტად ძნელი, მაგრამ მაინც სცადეს“. დასასრულს კი აღნიშნავდნენ, რომ მართალია, რეჟისორებმა დაამტკიცეს თავისი ფრიალ თვალსაჩინო ნიჭი, და შექმნეს აზრი, რომ ხელსაყრელ პირობებში ისინი შეძლებენ ახლებურად მუშაობას. მაგრამ თეატრმა მთლიანად მაინც ვერ გაიმარჯვაო.

**1927—1926 წლების სეზონი მ. ქორელის ხელმძღვანელობით.** მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა მ. ქორელმა, რომელიც რეჟისორად მოიწვიეს 1927—1928 წლების სათეატრო სეზონში. თეატრის დასი შედარებით მცირე იყო, მაგრამ წესიერად შერჩეული. დასში შედიოდნენ: ქალები — ც. ამირეჯიბი, მ. ერგნელი, ნ. მაჭავაძე-რიანი, ნ. სირბილაძე. ან. ქიქოძე, ნ. ჩხეიძე; ვაჟები — ვ. არაბიძე, მ. გელოვანი, ი. ზარდალიშვილი, შ. ინსარაძე, გ. კოსტავა, ა. ლითანიშვილი, ა. ყიასაშვილი, შ. ხონელი, მხატვარი მ. გოცირიძე.

სეზონი გაიხსნა 10 ნოემბერს ჯ. ლონდონის „მგლებით“. მაყურებელი ძალიან კარგად შეხვდა მ. ქორელს, ქუთაისის თეატრის ერთ-ერთ ძველ მოამაგეს. გაზეთი „კომუნისტი“ (№ 264, 1927, 22 ნომბ.) წერდა. რომ სეზონის გახსნის საღამო პირდაპირ ღღესასწაული იყო ქუთაისის თეატრისათვისო. „ქუთაისის საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ გასული წლიდან მოწყურებული იყო შინაარსიან პიესებს, ხატოვან მსახიობებს და ნიჭიერ თამაშს, ენთუზიაზმით შეხვდა თეატრის სეზონის გახსნას. უკანასკნელმა კი თეატრალური ხელოვნების სამივე ზემოხსენებული ღირსება აგრძნობინა მაყურებელს. წარმოდგენის ყოველი სცენისა და თითოეული სცენის ყოველ ადგილას მკაფიოდ აჩნდა გამოცდილი რეჟისორის მტკიცე ხელი“.

ქურნალი „გრდემლი“ (1928 წლის თებერვალი) ხაზგასმით აღნიშნავდა ახალი სათეატრო სეზონის წარმატებას.

თეატრის მუშაობის გასაუმჯობესებლად ქურნალს საჭიროდ მიაჩნდა დასის გადაყვანა მუდმივ წლიურ ხელფასზე, რეპერტუარის უკეთესად შერჩევა იდეოლოგიური თვალსაზრისით, ქართული ორიგინალური პიესების შექმნის ხელის შეწყობა და ქუთაისის თეატრის ტექნიკურ შესაძლებლობათა გაუმჯობესება.

დიდი წარმატება ხვდა ბ. ლავრენევის „რღვევას“, რომლის პრემიერა 10 მარტს შედგა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მსახიობი ნ. ჩხეიძე ტატანა ბერსენევას დრამატული როლის ნიჭიერი შეს-

რულებით. გარდა ნ. ჩხეიძისა, სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ა. ლითანიშვილი (ბერსენევი), ი. ზარდალიშვილი (გოდუნი), ნ. მაჭავარიანი (ქსენია), მ. გელოვანი (ფონ-შტუბე) და სხვ.

გაზეთი „კომუნისტი“ (№ 17, 1928) წერდა: „საერთოდ ქუთაისის აკადემიური დრამა წელს იმდენად წარმატებით მუშაობს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას განზრახული აქვს წლიური დასის შექმნა ქუთაისში“.

მ. ქორელი მომავალ სათეატრო სეზონს წლიური დასის გათვალისწინებით ამზადებდა (სათეატრო მუზეუმში მ. ქორელის პირად არქივში დაცულია დოკუმენტები ამ სამზადისზე), მაგრამ აღიძრა თუ არა საკითხი ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დასის შექმნის თაობაზე, — მან მყისვე დაუთმო ასპარეზი მარჯანიშვილს.

**სატირის თეატრი.** იმ პერიოდში ქუთაისში საგასტროლო წარმოდგენები გამართა ლენინგრადის ცნობილმა აგიტ-სატირულმა თეატრმა „სტროიკამ“. მსგავსად ლენინგრადელებისა, 1927 წლის ზაფხულში ასეთივე მოძრავი სახით თეატრის შექმნა განიზრახეს ქუთაისის თეატრის მსახიობებმა ჭ. აბაკელიამ და კ. დოლონაძემ. ახალ თეატრს მათ „წითელი სარკე“ უწოდეს. დასში შევიდნენ: ალექსანდრა გარნელი, ალექსანდრა სიხარულიძე, ნინო წინამძღვარი, კაპიტონ აბესაძე, ირაკლი ბოჭორიშვილი, კოწო დოლონაძე, გრიგოლ ლალიძე, მიხეილ მეძმარიაშვილი, მიხეილ სვანიძე და ვახტანგ ხმალაძე. აკომპანიატორი იყო ვახტანგ ჯაბადარი.

თეატრის რეპერტუარი შექმნა კ. დოლონაძემ. ეს იყო პატარა აგიტ-სატირული პიესები, სკეტჩები და კუბლეტები, სახელდობრ: „კვაწარახის ტრესტის გამგე“, „გამფლანგველი“, „რედაქციაში“, „მეზღვაურები“, „მსუბუქი კავალერია“, „კინტოების კუბლეტები“, „კაროენა და ოსიკო“, „ხრინწაძის ხორო“ და სხვ.

იენისში ამ თეატრის ორი წარმოდგენა შედგა ქუთაისში, ხოლო შემდეგ დასი საქართველოს დაბა-ქალაქებში გაემგზავრა. წარმოდგენები გამართა ზესტაფონში, სამტრედიისში, კიათურაში, საშურში, სურამში, გორში. თვენახევარი ემსახურებოდა თბილისის კლუბებსა და წარმოება-დაწესებულებებს. სექტემბერში დასი ქუთაისში დაბრუნდა და დაიშალა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1928 წელს ჭ. აბაკელიამ ეს დასი „წითელი ეშმაკუნების“ სახელწოდებით აღადგინა. დასში შედიოდნენ: ცუცა მეძმარიაშვილი, მიტო აბაზაძე, ბარნაბ კოკელაძე, გიორგი მომცემლიძე, ვალ. ტყემელაშვილი, მიხეილ ციციშვილი და ვახტანგ ხმალაძე.

რეპერტუარი თითქმის იგივე დარჩა, რაც ადრე იყო. დასს დახ-

მარება გაუწია სახელმწიფო თეატრმა და პირადად კ. მარჯანიშვილ-  
მა (თეატრის საგასტროლო აფიშაზე ეწერა: „კოტე მარჯანიშვილის  
დანმარებით“) პროგრამის რეჟისორი იყო ვახტანგ აბაშიძე, მხატვა-  
რი — ელენე ახვლედიანი, ქორეოგრაფი — დ. მაჭავარიანი.

პროგრამის განხილვას კ. მარჯანიშვილი დაესწრო და დაას გზა  
დაულოცა.

დასმა შეჩოიარა დაბა-ქალაქები და მოგზაურობა თბილისში და-  
ამთავრა.

## VII. მეორე სახელმწიფო თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

თეატრის დაარსება. ქუთაისის საბჭოთა თეატრის დაწყებითი პერიოდი, რომელიც 1921—1928 წლებს მოიცავს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოქმედებითად არ იყო სრულფასოვანი. თეატრის იდეურ-მხატვრული დონე ვერ გაუთანაბრდა არსებულ ახალ ცხოვრებას, მის ესთეტიკურსა და პოლიტიკურ მოთხოვნებს.

ქუთაისის პრესა, — ეს უტყუარი ბარომეტრი თეატრის ავკარგოანობისა, —სამართლიანად აცხადებდა, რომ, ისევე, როგორც რუსთაველის თეატრს, ქუთაისსაც სჭირდება თავისი მარჯანიშვილი.

ქუთათურების ეს ნატვრა შესრულდა 1928 წელს. თეატრს „თავისი მარჯანიშვილის“ მაგივრად თვით ნამდვილი მარჯანიშვილი მოეყვინა.

როგორც ცნობილია, კოტე მარჯანიშვილმა 1926 წელს დატოვა რუსთაველის თეატრი და ქართულ კინოსტუდიაში დაიწყო მოღვაწეობა; დადგა რამდენიმე ფილმი. მისი ერთგული მოწაფეები ცდილობდნენ, კ. მარჯანიშვილი ისევ თეატრს დაჰბრუნებოდა. 1928 წელს შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც მიზნად დაისახა მარჯანიშვილი თეატრში დაებრუნებინა. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, დოდო ანთაძე, თამარ ჭავჭავაძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა ლამბაშიძე, ელენე დონაური. მათ აღძრეს საკითხი თბილისში მეორე სახელმწიფო თეატრის გახსნის შესახებ, რომელსაც სათავეში მარჯანიშვილი ჩაუდგებოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. შემდეგ, თვით მარჯანიშვილის სურვილით, გადაწყვიტეს ნებათვა აეღოთ თეატრის შექმნაზე ქუთაისში. ეს წინადადება მიღებული იქნა ხელმძღვანელი ორგანოების მიერ და გადაწყდა 1928 წლის შემოდგომიდან ქუთაისში შექმნილიყო მეორე სახელმწიფო თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ბათუმსაც მოემსახურებოდა. მსახიობთა და რეჟისორთა ძირითადი ბირთვი, რომელთაც ქუთაისში წასვლისა და კოტე მარჯანიშვილ-

თან მუშაობის სურვილი გამოთქვებს, თბილისის მუშათა თეატრის დასში მოღვაწეობდა. მათი წასვლა მუშათა თეატრს დახურვას უქადდა, მაგრამ თეატრის ხელმძღვანელმა მიხეილ ჭიაურელმა ულაპარაკოდ დათმო დასი, ოღონდ კოტე მარჯანიშვილი დაუბრუნდეს თეატრსო. ამრიგად, თბილისის მუშათა თეატრი დაიშალა და მის ნიადაგზე აღმოცენდა მეორე სახელმწიფო თეატრი ქუთაისში.

კოტე მარჯანიშვილი ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს. 1928 წლის 7 აგვისტოს დასი უკვე შეიკრიბა ქუთაისში და სეზონისათვის მზადება დაიწყო.

ამრიგად, ქუთაისმა დასაბამი მისცა თეატრს, რომელიც ქართული თეატრის ისტორიაში შედის როგორც შესანიშნავი მხატვრული წამოწყება (საინტერესო იყო ის გარემოება, რომ კ. მარჯანიშვილი პროფესიულ სცენაზე პირველად ქუთაისში გამოვიდა 1894 წელს როგორც მსახიობი, ხოლო 34 წლის შემდეგ კი მოველიანა ქუთაისს. როგორც თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი).

მეორე სახელმწიფო თეატრმა ქუთაისში ორი სათეატრო სეზონი დაჰყო, შემდეგ კი თბილისში იქნა გადმოყვანილი და დღესაც განაგრძობს მოღვაწეობას. 1933 წელს, კ. მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, თეატრს დიდი რეჟისორის სახელი მიენიჭა.

ორი სათეატრო სეზონის განმავლობაში ქუთაისში მეორე სახელმწიფო თეატრი შემდეგი შემადგენლობით მუშაობდა: მსახიობი ქალები — ვ. ანჯაფარიძე, მ. დავითაშვილი, ე. დონაური, ა. დონჯანელი, ს. ვაჩნაძე, თ. კიკნაძე, მ. მრევლიშვილი, ა. ქიქოძე, მ. ქორელი, ნ. მაჭავარიანი, მ. მესხიშვილი, მ. სანიკიძე, ც. წუწუნავა. თ. ჭავჭავაძე, ხ. ჭიჭინაძე, ი. ჯორჯაძე; მსახიობი ვაჟები — დ. აბაზაძე, კ. აბესაძე, ჭ. ბეგალიშვილი, გ. ბერძენიშვილი, ი. გვინჩიძე, ზ. გომელაური, ი. ზარდალიშვილი, ს. ზაქარიაძე, ალ. იმედაშვილი, აკ. კვანტალიანი, აკ. მამრიკიშვილი, ბ. მალლაკელიძე, მ. მეძმარიაშვილი, პ. მურღულია, ა. მურუსიძე, ს. ყორჯოლიანი, მ. სარაული, მ. სულთანაშვილი, შ. დამბაშიძე, გ. შავგულიძე, ვლ. ჩომახიძე, უ. ჩხეიძე, შ. ჩხეიძე, ვ. ჩხიკვაძე, ს. ქელიძე, პ. ჭიჭინაძე, შ. ხონელი, პ. ჯალალანია, შ. ჯაფარიძე; რეჟისორები დ. ანთაძე, ვ. აბაშიძე, გრ. სულიაშვილი; მხატვარი პ. ოცხელი; კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი; ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი; ღირიქორი ალ. გველესიანი, კონცერტმასტერი ი. ოგანეზოვი; რეჟისორის თანამშემწეები: ბ. თოხაძე, ან. ნებიერიძე და არ. ჩხარტიშვილი; მოკარნახეები პ. ყორღანია და ს. ურუშაძე; სცენის მემანქანე გ. გალუსტოვი; განათების გამგე ინჟინერი კ. ხარიკოვი; გრიმორი ი. ყარდაშიანი; თეატრის ღირექტორი კ. კალაძე; ინსპექტორი კ. ანდრონიკაშვილი.

თეატრი დაბინავდა ხარაზიშვილისიეულ ძველ შენობაში, რომელიც საფუძვლიანად შეაკეთეს.

თეატრმა გაიმარჯვა პირველივე სპექტაკლით. ეს იყო გერმანიის 1918 წლის რევოლუციის თემაზე დაწერილი ე. ტოლერის დრამა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“.

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ ამ პიესით გაიხსნა თეატრი 1928 წლის 3 ნოემბერს. უკვე რეპეტიციების დროს გამოვიდა თეატრიდან ხმა, რომ ეს დრამა მარჯანიშვილის მიერ სრულიად ახლებურად არის გადაწვეტილიო. ამიტომ იყო, რომ პრემიერამ მიიზიდა მაყურებელი. ამ საღამოს თეატრს თბილისიდან ეწვია მთელი მოწინავე ინტელიგენცია და ქუთათურები იძულებული გახდნენ პირველი წარმოდგენა სტუმრებისათვის დაეთმოთ.

„ჰოპლას“ რეჟისორ დ. ანთაძის მოგონების მეორე ტომში (თბილისი, 1966 წელი) დაწვრილებით არის აღწერილი თეატრის გახსნისა და საერთოდ თეატრის ორი წლის მოღვაწეობის ისტორია ქუთაისში.

დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევთ გაეცნოს ამ მოგონებას. აქ კი მოგვყავს სტრიქონები წიგნის იმ ადგილებიდან, სადაც სპექტაკლ „ჰოპლაზეა“ ლაპარაკი: „არაფერი ზედმეტი, — აღნიშნავს დ. ანთაძე, — ყველაფერი თავის ადგილას იყო ამ სპექტაკლში. ეპიზოდებში და უსიტყვო როლებში მონაწილეობდნენ წამყვანი მსახიობები. ვერიკო ანჯაფარიძე, რალაც ექსტრავაგანტურ ცეკვას ასრულებდა, უსიტყვოდ. განათებამ ხომ ყველანი განაცვიფრა. როგორი უბრალო ხერხებით, რა დიდ ეფექტს მიაღწია კოტე მარჯანიშვილის გამომგონებლობამ! — ...დასრულდა სპექტაკლი. ოვაციებს ბოლო არ უჩანს. ქუთაისის თეატრის პატარა შენობა, ხალხით გაქედილი, — ჰქუხს და ბობოქრობს. ხალხს დარბაზიდან გასვლა აღარ უნდა. მრავალჯერ გამოიძახეს კოტე მარჯანიშვილი და სპექტაკლის მონაწილენი სცენაზე. ეს ოვაციები და აღტაცება მერე ქუჩაში გადმოიღვარა. ხალხით სავსე ქუჩა ახალი სიხარულით შეხვდა თავის საყვარელ, საამაყო შვილს, კოტე მარჯანიშვილს.

დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ თეატრი სწორ გზაზე დგას; რომ ეს არის ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების ახალი ეტაპი“.

ამ წიგნის ავტორს ბედნიერება ჰქონდა დასწრებოდა თეატრის გახსნას და ენახა სპექტაკლი „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“, მოწმე იყო იმ უსაზღვრო ოვაციებისა, რაც კოტე მარჯანიშვილსა და მთელ დასს მოუწყო დამსწრე საზოგადოებამ. მართლაც, სპექტაკლი ქართული საბჭოთა თეატრის იდეური და მხატვრული გამარჯვება იყო.

რამ განაპირობა ეს გამარჯვება?

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ ავეიწერს გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

სპექტაკლი აუღერდა, როგორც მხატვრული დამაჯერებლობის ძლიერი, რევოლუციურ-რომანტიკული ნაწარმოები. სპექტაკლის ასეთ წარმოსახვას პირველ ყოვლისა ხელს უწყობდა დრამის პერსონაჟების ფსიქოლოგიურად სწორი გახსნა და მსახიობთა უდავოდ ნიჭიერი თამაში. ყველაზე რთული იყო კარლ ტომასის როლი. ამ დრამატულ და წინააღმდეგობით აღსავსე სახეს ბრწყინვალედ გამოხატავდა უშანგი ჩხეიძე.

ნიჭიერმა მსახიობმა, რომელმაც რუსთაველის თეატრში, მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არაერთი შესანიშნავი სცენური სახე შექმნა. ტომასის როლშიც გვიჩვენა თავისი ხალასი ნიჭი. ბრწყინვალედ გამოსახა ტრაგედია იმედდაკარგული ადამიანისა, რომელაც უნუგეშობის გრძნობით არის შეპყრობილი. მის საპირისპიროდ კომუნისტი მუშები ალბერტ კროლი (შ. ღამბაშიძე), ევა ბერგი (ბ. ქიქინაძე), ფრაუ მალერი (ე. დონაური) სახიერად უჩვენებდნენ იდეურ სიმტკიცეს, კოლექტივის სიძლიერეს. სიკვდილის მოლოდინს მძიმე წუთებშიც კი სულიერად ძლიერი არიან ეს ადამიანები. კილმანას როლი შესანიშნავად შეასრულა ზ. გომელაურმა.

სპექტაკლი გამოირჩეოდა დიდი ჰარმონიულობით, შეხმატებილებოთა და ზომიერებით. დადგმაში ჩართული იყო კინო და ახლად შემოსული რადიო. დავით კაკაბაძის დეკორაციები უაღრესად რაციონალური იყო.

უშანგი ჩხეიძე ამ სპექტაკლის შესახებ წერდა: (კრებული „უშანგი ჩხეიძე“, 1956 წელი, თბილისი), რომ „ჰოპლა“ იყო თავის დროზე უსათუოდ დიდი მასშტაბის სპექტაკლი, რომელშიც შედუღებული იყო ერთმანეთში მოძრაობა, ჟესტი, განათება. მარჯანიშვილისათვის დამახასიათებელი სპექტაკლის შინაგანი რიტმი და ყველაფერი ეს შეზრდილ-შესისხლხორცებული იყო დავით კაკაბაძის კონსტრუქციულ დეკორაციასთან.

„ჰოპლას“ ზედიზედ მოჰყვა ასეთივე ბრწყინვალე წარმოდგენები: ბ. შოუს კომედია „წმინდა ქალწული“, ლოპე დე ვეგას დრამა „ცხვრის წყარო“ (განახლებული დადგმა), შ. დადიანის კომედია „კაკალ გულში“, ვ. კირშონის დრამა „ლიანდაგი გუგუნებს“, კ. გუცოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტა“, კ. კალაძის დრამა „როგორ?“, პ. კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“.



როგორც ვხედავთ, თეატრის ამ პირველი სეზონის რეპერტუარი მრავალფეროვანი და ამასთან იდეურად ჯანსაღი იყო.

„ყვარყვარე თუთაბერი“. კოტე მარჯანიშვილმა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ გაიგო როგორც ნამდვილი ხალხური ნაწარმოები, ხალხური სიბრძნის, ხალხური სიტყვის, ენამახვილობის მშვენიერი კრებული და დადგმისას მას სწორედ ასეთივე მახვილი, ნათელი და ამავე დროს უაღრესად დამაჯერებელი ფორმა მოუწინა.

ამ წარმოდგენაში კოტე მარჯანიშვილმა კიდევ ერთხელ დაგვანახა მსახიობთა კოლექტივის ბრწყინვალე ოსტატობა. ყვარყვარეს მთავარ როლში შეუდარებელი იყო უშანგი ჩხეიძე. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ეს როლი მსახიობმა სანდრო ჟორჯოლიანმა მოამზადა და პირველად მას უნდა ეთამაშა (პირველი წარმოდგენა ბათუმში გაიმართა), მაგრამ ჟორჯოლიანი ავად გახდა და როლი უ. ჩხეიძეს გადასცეს.

როგორც ეტყობა, კოტე მარჯანიშვილმა უკვე კარგად შენაშნა, თუ რა ოსტატობით შეეძლო უ. ჩხეიძეს კომედიაში თამაში. მისი შემოქმედებითი დიაპაზონი იძლეოდა იმედს, რომ უ. ჩხეიძე ყვარყვარეს როლს შესანიშნავად დასძლევდა.

რეჟისორ დ. ანთაძეს დაევალა დაეჯერებინა უ. ჩხეიძე ეთამაშა ყვარყვარეს როლი. მან ეს დავალება შეასრულა და უ. ჩხეიძე ნაუცხათევად გამოვიდა სცენაზე. თუ პირველ დღეს მას ერთგვარი გაუბედაობა ეტყობოდა, შემდეგ სპექტაკლებში სრულიად დაეუფლა ყვარყვარეს სცენურ სახეს და ეს როლი ერთ-ერთი საუკეთესო შეიქნა მის რეპერტუარში. კარგად თამაშობდა ყვარყვარეს ჟორჯოლიანიც, მაგრამ მას აკლდა ის გულწრფელობა და სიმართლე, რომელიც ახასიათებდა უ. ჩხეიძის თამაშს.

დანარჩენ როლებში თავისი ცხოვრებისეული ნათელი თამაშით გამოირჩეოდნენ კ. აბესაძე (კაკუტა), ა. კვანტალიანი (ქუჩარა), ც. წუწუნავა (ლირსა), შ. ლამბაშიძე (მეწისქველე), თ. ჰავეკაძე (გულთაშზე), ზ. გომელაური (მთავრობის რწმუნებული). დადგმა ეკუთვნოდა კოტე მარჯანიშვილს. რეჟისორი გ. სულიაშვილი, მხატვარი ე. ახვლედიანი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი.

„კაკალ გულში“. თანამედროვე შინაარსის კომედია „კაკალ გულში“ (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი დ. ანთაძე, მხატვარი პ. ოცხელი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი) მკაცრად ჰკიცხავდა და ააშკარავებდა საბჭოთა აპარატში მოკალათებულ საეჭვო ტაპებს. ეს იყო დირექტორის მოადგილე კვეყერაძე — უსაქმური და უდარდელი კაცი, რომელსაც ასახიერებდა უ. ჩხეიძე. განყოფილების გამგე, ყოფილი მენშევიკი გოჩოლავა — მლიქვნელი და უპირო (ა. ჟორჯოლიანი), განყოფილების გამგე რინკველი — ყბედი

და ინტრიგანი (ზ. გომელაური), განყოფილების გამგე პარასკიდი (შ. ხონელი), სახლის პატრონი მარტიროსოვი (ა. კვანტალიანი) და სხვ.

„როგორ?“. კ. კალაძის დრამა „როგორ?“ მოგვითხრობდა 1905 წლის რევოლუციის ეპიზოდებს (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი დ. ანთაძე, მხატვარი ე. ახვლედიანი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი). რევოლუციონერ ბეგლარის მთავარ როლს ასრულებდა უ. ჩხეიძე. ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი სპექტაკლის დეკორატიული გაფორმება. გამოყენებული იყო ლანდების თეატრის პრინციპი. დიდ, თეთრ ფარდაზე ჩრდილებით ისახებოდა მოქმედების სხვადასხვა ადგილები. ეს ფარდა კინოეკრანის მაგივრობასაც ასრულებდა, რაზედაც პიესის ზოგაერთ ადგილებს უჩვენებდნენ.

„ურიელ აკოსტა“. დიდი წარმატებით სარგებლობდა კ. გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტა“ (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი გ. სულიაშვილი, მხატვარი პ. ოცხელი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი). სპექტაკლის იდეურ ამოცანას წარმოადგენდა პროტესტი რელიგიური ცრურწმენისა და კონსერვატულობის მიმართ. ორიგინალური გარეგნული ფორმითა და მსახიობთა თამაშით დადგმა იშვიათ, ჰარმონიულად შერწყმულ მხატვრულ მიღწევას წარმოადგენდა. დადგმაში დიდი გამარჯვება მოიპოვეს უ. ჩხეიძემ (ურიელ აკოსტა), ვ. ანჯაფარიძემ (ივლითი), შ. ლამბაშიძემ (დე სილვა), ა. ჟორჯოლიანმა (ბენ აკობა), გ. კოსტავამ (დე სანტოსი).

შესანიშნავად იყო შესრულებული დადგმის დეკორაციები და სტილიზებული ტანსაცმელი. ამ ტანსაცმლის შეკერვას, მათი სირთულის გამო, არ კისრულობდა არა თუ თეატრის მკერავი, არამედ არც ერთი ქუთაისელი სხვა მკერავი.

დ. ანთაძე თავის „მოგონებაში“ მოგვითხრობს, რომ ამ დროს მსახიობმა ჭიჭიკო აბაკელიამ ითხოვა ნებართვა, წაეღო ესკიზები თავისი მეუღლის ელენე აბაკელიასთვის—ეგებ იმან შესძლოს შეკერვაო. ელენე აბაკელია ქუთაისში ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო და მაღალი გემოვნების მკერავად, — მოგვითხრობს დ. ანთაძე. ჭიჭიკოს თან გაჰყვა ახსნა-განმარტებისათვის მხატვარი პეტრე ოცხელი. რამდენიმე დღის შემდეგ ელენე აბაკელიამ შეკერა თავისი ბავშვის ტანზე სანიმუშოდ დე სანტოსის კოსტიუმი და სალამოს რეპეტიციაზე კოტე მარჯანიშვილთან საჩვენებლად მოიყვანა შვილი. კოტეს ძალიან გაუბარდა... გადაწყდა, რომ ელენე აბაკელიას დაემზადებინა „ურიელ აკოსტას“ ყველა კოსტიუმი, რაც მან წარმატებით შეასრულა. შემდეგში ე. აბაკელია კ. მარჯანიშვი-

ლის ერთ-ერთი საყვარელი თანამშრომელი გახდა, კოტე მას დიდად უწევდა ანგარიშს და ანდობდა ყველა რთული კოსტიუმის შეკერვას.

**სეზონის დახურვა.** 27 მარტს თეატრმა უჩვენა სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა — პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, 4 აპრილს კი თბილისში, ოპერის თეატრში, პირველი საგასტროლო სპექტაკლი იყო დანიშნული.

სეზონი ქუთაისში მარჯანიშვილმა თავისებურად დახურა. ამ საინტერესო საღამოზე გაზეთ „ქუთაისში“ (1962, 12 დეკ.) სტატიაში „ქუთაისის თეატრის წარსულიდან“ გ. სამხარაძე მოგვითხრობდა: „1928—1929 წლების სეზონი კოტე მარჯანიშვილმა „საღამოთი“ დახურა. სცენაზე ერთიმეორეს ცვლიდნენ მსახიობები ააესტრადო ნომრებით. აგერ შემოაქვთ ორი მოგრძო ყუთი, რომელთაც სიმალლეზე დგამენ. იწყება მსუბუქი, მხიარული მუსიკა. შემოდის თვით მარჯანიშვილი, ადებს ყუთების კარებს და მოფერებიტა და დაყვავებით. როგორც ბავშვები, ყუთებიდან მუსიკის ხმაზე ხტუნვით გამოჰყავს ორი გაშვებული თოჩინა: დედოფალა (ნ. მაჭავარიანი) და პატარა ბიჭი (არ მახსოვს ვინ). გაისმის თავდავიწყებული ხარხარი: მაყურებელი ივიწყებს თეატრში ჯდომის წესებს. შემოდის უშანგი ჩხეიძე. იგი კითხულობს ვაჟას „ბაკურს“. დარბაზი ერთბაშად შეშდება, ქვავდება, მუნჯდება... კოტე მარჯანიშვილი ერთმანეთზე გვახეთქებს მოჯადოებულ მაყურებლებს. მას შეუძლია გაიცინოს თავდავიწყებამდე და ერთი წუთის შემდეგ არაადამიანურა დრამის სიღრმეში გადაგისროლოს. საღამო დამთავრდა კომედიით „პაროდია ჩვენს თეატრზე“, რომლის ტექსტი და დადგმა თვით მარჯანიშვილს ეკუთვნოდა. თეატრის მიერ დადგმული სხვადასხვა სპექტაკლის გმირები, დეკორაციები, მიზანსცენები არეული იყო ერთმანეთში და განუზომელ მხიარულ განწყობილებას იწვევდა“.

**გასტროლები თბილისში.** დასი თბილისში გაემგზავრა. „აუარება ხალხი შეხვდა თეატრს სადგურზე, — წერს მოგონებაში დ. ანთაზე. — კოტე მარჯანიშვილმა გადაწყვიტა, რომ პირველი სავასტროლო სპექტაკლი მოეწყო მუშათა რაიონში, კერძოდ, პლუხანოვის სახელობის კლუბში. დაიდგა კ. კალაძის „როგორ?“. დიდძალი ხალხი დაესწრო სპექტაკლს — როგორც მუშები, ისე ინტელიგენცია. საზოგადოებამ დიდად მოიწონა თეატრის ასეთი ნაპიჯი“.

გასტროლები თვენახევარს გაგრძელდა, მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველა წარმოდგენაზე ოპერის თეატრის უზარმაზარი დარბაზი ხალხით გაჰყვანილი იყო და წარმოდგენები დაუსრულებელი ოვაციებით მთავრდებოდა.

უკანასკნელ წარმოდგენაზე ნაჩვენები იყო ცალკეული მოქმედებები საუკეთესო დადგმებიდან. დარბაზში კვლავ ჰქუხდა ოვაციები, შეძახილები: „გაუმარჯოს კოტე მარჯანიშვილს! გაუმარჯოს თეატრს!“

დასის წევრებს ახლა ხალხი ქუჩაში დაუხვდა. დ. ანთაძე იხსენებს: „არ დარჩენილა არც ერთი წევრი დასისა, რომელიც ხელში ატაცებული არ გამოეყვანათ ქუჩაში. კოტე მარჯანიშვილმა მონდომა თავი აერიდებინა ამისათვის და გადაწყვიტა გაპარულიყო. მიუხვდნენ განზრახვას, დაუღარაჯდნენ, დაიქირეს, გაპარვებულის ყოფინით გამოიყვანეს რუსთაველის პროსპექტზე, რამდენჯერმე გაატარეს ზევით, ქვევით და ეტლისაკენ გააქანეს...“

1929—1930 წლების სეზონი. ამ სათეატრო სეზონში თეატრმა 7 ახალ დადგმა განახორციელა. აქედან 5 — თანამედროვე შინაარსისა იყო. კოტე მარჯანიშვილი, როგორც ყოველთვის, ახლაც მტკიცედ ადგა იმ აზრს, რომ ეროვნული თეატრის წინსვლისა და წარმატებისათვის პირველ რიგში ეროვნულ დრამატურგიას აქვს დიდი მნიშვნელობა. ამიტომაც თავის ახალ თეატრში ფართო გზა გაუხსნა ქართველ საბჭოთა მწერლებს. ახალ სეზონში ქუთაისის სცენაზე წარმოდგენილი იყო კ. კალაძის, დ. ჩიანელის, დ. შენგელაიას, ა. ქუთათელის, გ. ბუნნიკაშვილის თანამედროვეობის ამსახველი ახალი დრამატული ნაწარმოებები.

სათეატრო სეზონი შემდეგ ახალ დადგმებს შეიცავდა: „ბაილ“ დრ. 4 მოქ. დ. ჩიანელისა (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი დ. ანთაძე, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი), „თერთები“ დრ. 4 მოქ. დ. შენგელაიასი, (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი გ. სულიაშვილი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი), „შულამემ გადიარა“ კომ. 3. მოქმ. ა. ქუთათელისა (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, მხატვარი დ. კაკაბაძე, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი), „კი, მაგრაბი“, კომ. 4 მოქმ. გ. ბუნნიკაშვილისა (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი გ. სულიაშვილი, მხატვარი პ. ოცხელი), „ბეატრიჩე ჩენჩი“ ტრ. 4 მოქ. პერსი ბიში შელისა, თარგ. ვ. გაფრინდაშვილისა (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი ვ. აბაშიძე, მხატვარი პ. ოცხელი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი) და „ხანძარი“ პანტომიმა თ. ვახვახიშვილისა (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, მხატვრები ე. ახვლედიანი და პ. ოცხელი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი). „ხატიჯე“, დრ. 4 მოქ. კ. კალაძისა (დადგმა კ. მარჯანიშვილისა, რეჟისორი ვ. აბაშიძე, მხატვარი პ. ოცხელი, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, ქორეოგრაფი დ. მაჭავარიანი).

მართალია, თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებებიდან ყველას არ

ჰკონია წარმატება, მაგრამ მათი ასეთი გაბედული და ფართო დემონსტრაცია მაინც დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს თეატრს.

თეატრმა წარმატებით დაამთავრა სეზონი და გასტროლებზე გაემგზავრა ხარკოვსა და მოსკოვში. ეს იყო ქართული თეატრის პირველი დიდი მასშტაბის გამოსვლა რესპუბლიკის გარეთ და იგი წილად ხვდა თეატრალურ კოლექტივს, რომელიც ქუთაისში ჩაიშახა.

გასტროლები ხარკოვში. დასის ხარკოვში ჩასვლამდე უკრაინის ჰუველა რესპუბლიკურმა გაზეთმა (ხარკოვი მაშინ უკრაინის დედაქალაქი იყო), ვრცელი წერილები და მისალმებები მიუძღვნა თეატრს. დასი 8 აპრილს ჩავიდა ხარკოვში. სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. გაიმართა საგანგებო მიტინგი. შემდეგ კი თეატრის კოლექტივი ავტობუსებით მიაცილეს სასტუმროში.

9 აპრილს ბლაკიტნის სახელობის ლიტერატორთა სახლში გაიმართა დასის შეხვედრა უკრაინის რჩეულ წარმომადგენლებთან. შეხვედრისას კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და უკრაინელმა მსახიობებმა.

10 აპრილს დასი მიიპატიჟა „ჩერნოზავოდსკის“ თეატრმა და უჩვენა ი. მიკატენკოს პიესა „დიქტატურა“.

11 აპრილს ასეთივე შეხვედრა დასს „ბერეზილის“ თეატრმა გაუმართა.

გასტროლები 12 აპრილს დაიწყო ხარკოვის ებრაელთა სახელმწიფო თეატრის შენობაში და 20 აპრილამდე გაგრძელდა. ხარკოველმა მსაყურებელმა ნახა შ. დადიანის „კაკალ გულში“, კ. კალაძის „როგორ?“ და „ხატიჯე“, დ. შენგელიას „თეთრები“, თ. ვახვახიშვილის პანტომიმა „ხანძარი“, კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ და ლოპე დე ვეგას „ცხვის წყარო“.

ბლაკიტნის სახელობის ლიტერატორთა სახლში მოეწყო ე. ახვლედიანის, პ. ოცხელის და თ. აბაკელიას სურათების გამოფენა და აქვე შედგა ქართველი და უკრაინელი მხატვრების შეხვედრა.

16 აპრილს თეატრი დარბაზობაზე მიიწვია უცხოეთთან კულტურული კავშირის უკრაინის საზოგადოებამ, 21 აპრილს დასი სტუმრად იყო ხარკოვის საოპერო თეატრში, ხოლო 22 აპრილს „ბერეზილის“ თეატრში. გაიმართა „ორი თეატრალური კულტურის დამბობილების საღამო“, რომელმაც იგრანდიოზული საზეიმო მსახიობთა მიიღო.

უკრაინის პრესა ფართოდ გამოეხმაურა გასტროლებს. გაზეთებში გამოქვეყნდა წერილები ქართულ თეატრზე, დაწვრილები-

თა რეცენზიები სპექტაკლებზე. მოგვყავს ზოგიერთი ნაწყვეტი. „უჩიელ აკოსტას“ დადგმის შესახებ გაზეთი „უკრაინის კომკავშირელი“ (1930. 5 აპრ.) წერდა: „ამ დადგმით ქართულმა თეატრმა აშკარად დაამტკიცა, რომ მას შეუძლია დასძლიოს კლასიკური ტრაგედიის უძნელესი სცენური მასალა. თეატრს აქვს კლასიკური მემკვიდრეობის გამოყენების უნარი. ეს კი უტყუარი საწინდარია იმისა, რომ იგი შეძლებს სათანადო სიღრმით მიუღდეს თანამედროვე, პროლეტარული რევოლუციას დროს შექმნილ დრამატურგიულ მასალას“.

„რაბოტნიჩა გაზეთა“ - (1930, 14 აპრ.) აღნიშნავდა: „მსახიობებმა სპექტაკლში „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ გვიჩვენეს ისეთი შესანიშნავი სახეები, როგორცაა პროფუშუაკი ევა ბერგი (ხ. ჭიჭინაძე), „ასპროცენტისანი მინისტრი“ მოლაღატე კილმანი (ზ. გომელაური), ბრწყინვალე სახე პროლეტარ კროლისა (შ. ლამბაშიძე), რომელიც სავსეა სიძულვილით თავისი კლასობრივი მტრისადმი. მაგრამ ყველა შემსრულებელზე ჰალლა დგას უშანგი ჩხეიძე — კარლ ტომასი, როცა მსახიობი კეჟიდან იშლება, ეს არის არა მარტო ნაყოფი იმისა, რომ გმირმა ვერ აიტანა სიკვდილის მძიმე მოლოდინი გამხეცებული ფაშისტური ბანდის ბრწყალებში, არა, ეს რაღაც უზომოდ მეტია. ეს მარტოხელა ინტელიგენტი რევოლუციონერის ტრაგედიაა. რომელსაც ვერ გაუგია უვარგისობა ინდივიდუალური ტერორისა, როგორც კლასობრივი მტრის მოსპობის საშუალებისა. ჩხეიძემ არა მარტო ითამაშა კარლ ტომასის როლი, არამედ მოგვცა სახე. მაყურებელი სრულებით არ იცნობს ენას, მაგრამ იგი უყიდურესად აღელვებული ისმენს უდიდესი მსახიობის მონოლოგს მესამე მოქმედებაში. ხესთან“...

იგივე გაზეთი (1930, 16 აპრ.) განიხილავდა სპექტაკლს „როგორ“: „აღსანიშნავია, რომ პირველად სწორედ ამ წარმოდგენაში გამოქვდა როგორც ანსამბლის, ისე ცალკე მსახიობების შემოქმედების ეროვნული ფორმები. მოძრაობა მსუბუქი, კოხტა, ტონი, ესტი. ყველა ეს, რასაკვირველია. თავისებური ტემპერამენტის, საქართველოს მთების, ხეობებისა და მზიანი სოფლების ქმნილება. ეროვნული ფორმების ფონზე კადევ უფრო ნათელი ხდება საქართველოს მშრომელთა ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის რუსული ცარიზმის, საკუთარი ბურჟუაზიისა და მემამულეთა უღლისაგან. შესანიშნავია წარმოდგენის გაფორმება“...

ეურნალი „მისტეცტვა ტრიბუნა“ (№-5, 1930, 39 აპრ.) თეატრის გასტროლების შესახებ წერდა: „საბჭოთა საქართველოს შეუძლია იამაყოს თავისი თეატრით. მისმა მსახიობებმა, მხატვრებმა, რეჟისორებმა გამოავლინეს ყოველივე საუკეთესო—მათ მიაღწიეს იმას,

რომ საბჭოთა საქართველოს თეატრი დღეს ერთ-ერთი მოწინავე თეატრია ჩვენს კავშირში. იგი წარმოადგენს სერიოზულ ფაქტორს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისა საბჭოთა საქართველოს პროლეტარულ მასებს შორის“.

გასტროლები მოსკოვში. 23 აპრილს დასი მოსკოვს გაემგზავრა. ხარკოვის სადგურზე ქართველი მსახიობები გააცილა უკრაინის მოწინავე საზოგადოებამ.

24 აპრილს მოსკოვში დასს შეხვდნენ მოსკოვის თეატრის, საქალაქო საბჭოს, განათლების სახალხო კომისარიატის, ხელოვნების მუშაკთა, პროფკავშირისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომადგენლები. სახელდახელო მიტინგზე მრავალი საგულისხმო სიტყვა ითქვა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა კოტე მარჯანიშვილი.

30 აპრილს ყოფილ კორშის თეატრში შედგა თეატრის საზოგადოებრივი განხილვა. წარმოდგენილი იყო თითო მოქმედება დადგმებიდან: „ურიელ აკოსტა“, „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „კაკალ გულში“ და „თეთრები“. წარმოდგენას დაესწრნენ სერგო ორჯონიკიძე, ანატოლი ლუნაჩარსკი, აბელ ენუქიძე. კლიმენტი ვოროშილოვი, მამია ორახელაშვილი, მარიამ ორახელაშვილი. განხილვაზე იყვნენ თეატრალური ხელოვნების მოწინავე მოღვაწენი, პრესის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი და სხვ.

წარმოდგენის დასასრულს შედგა თეატრის მიმღები საგანგებო კომისიის სხდომა, სადაც თეატრი დადებითად შეფასეს მთელმად რიგმა ცნობილმა მოღვაწეებმა, კერძოდ განათლების სახალხო კომისარმა ა. ლუნაჩარსკიმ, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა პ. კოგანმა, მსახიობებმა ა. იაბლოჩინამ, ი. ბერსენევმა და სხვებმა.

ა. ლუნაჩარსკიმ კარგი შეფასება მისცა თეატრს, მის ხელმძღვანელს კოტე მარჯანიშვილს. მან თქვა, რომ ამჟამად მარჯანიშვილი მოსკოვს მოველინა არა როგორც ერთეული, არამედ „მოვიდა კოლექტივით და ხელშეორედ ამდიდრებს ჩვენს თეატრალურ შეგნებას, ამდიდრებს, ვიმეორებ, როგორც ხელოვნების ახალი ფორმაციების წარმომადგენელი, კერძოდ თავისი ერის ახალი თეატრის შემქმნელი“.

ა. ლუნაჩარსკიმ შემდეგ თქვა, რომ მარჯანიშვილმა მხოლოდ ეროვნული თეატრი კი არ შექმნა, „მან შექმნა რევოლუციური, პროლეტარული თეატრი, მარჯანიშვილი ასეთ თეატრს მტკად გაშაზვილებულ ფორმებს ანაჰებს. რუსეთისა და ევროპის დრამატურგიაში იგი ეძიებს ისეთ პიესებს, რომელნიც დღევანდელ ეპოქასთან არიან თანახმოვანნი, ხოლო თანამედროვე დრამატურგებს სცენიუ-

რად ისე აფორმებს, რომ თეატრის მცირე სექტორი ჩვენი ეპოქის ისეთ ტრიბუნად იქცევა, რომელიც მოვლენათა გაშლას ეთვისება და ხელს უწყობს ამ მოვლენათა განვითარებას“.

პირველ მაისს თეატრის საგასტროლო წარმოდგენები დაიწყო ყოფილ კორშის თეატრში. უჩვენეს 11 წარმოდგენა. გასტროლები 11 მაისს უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ პროფკავშირების მოახოვნით, რომლებმაც წარმოდგენები მთლიანად შეიძინეს, გასტროლები 20 მაისამდე გაგრძელდა. გარდა ამისა, თეატრმა ერთი წარმოდგენა საგანგებოდ გამართა ზოსკოვის თეატრების მსახიობებთანთვის.

სპექტაკლები დიდი წარმატებით ჩატარდა.

**შეხვედრა — დისპუტები.** 5 მაისს დასი ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიამ მიიწვია. სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ საზღვაგარეთთან კულტურული კავშირის თავმჯდომარე პეტროვი, პროფესორი პ. კოგანი, რომელმაც კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობაზე გააკეთა მოხსენება. ქართული თეატრის ისტორიასა და მის დღევანდელ მდგომარეობაზე ილაპარაკა აკადემიის სწავლულმა მდივანმა ს. ამალლობელმა. სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი რუსი და ქართველი მსახიობების მონაწილეობით.

12 მაისს კომუნისტურ აკადემიაში გაიმართა დისპუტი ქართული თეატრის, კერძოდ მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრის ირგვლივ.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა კოტე მარჯანიშვილი, კამათში მონაწილეობა მიიღო 15-მდე ორატორმა. დისპუტზე ა. ლუნაჩარსკიმ კვლავ დიდი ქებით მოახსენია მეორე სახელმწიფო თეატრი და მისი ხელმძღვანელი. სატყვის დასასრულს აღნიშნა: „ჩვენში ორი გრძნობაა, როცა მარჯანიშვილის შემოქმედების ახალ ფაზისს ვაფასებთ: წრფელი სურვილი, რომ მან განაგრძოს მუშაობა საქართველოში და ხელი შეუწყოს ქართული თეატრის ზრდა-განვითარებას, და მეორე,—არა ნაკლებ წრფელი—წამოვიყვანოთ მარჯანიშვილი საქართველოდან და დავემყაროთ მას, როგორც ისეთ დიდ მუშაკს, რომელმაც ჩვენი თეატრის ისტორიაში უკვე დაწერა ბრწყინვალე ფურცლები და რომელსაც კიდევ შეუძლიან ასეთივე ბრწყინვალე ფურცლებით გაამდიდროს თეატრის ისტორია. მე ვეტყვი ქართველ ამხანაგებს, საქართველოს კომუნისტურ პარტიას და საქართველოს მთავრობას: კარგად მოუარეთ მარჯანიშვილს, მიეცით მას ყოველი საშუალება ფართედ განავითაროს თავისი მუშაობა და თუ ამას არ იზამთ, ჩვენ მარჯანიშვილს რუსეთში წამოვიყვანთ“.

ა. ლუნაჩარსკიმ სტატია თეატრის გასტროლების შესახებ დაბეჭდა სათაურით: „ეპოქის თანახმიური თეატრი“ (გაზ. „ვეჩერნია



მოსკვა“ 1930 12 მაისი), რომელშიც ბრწყინვალე შეფასებას აღ-  
ლევდა კოტე მარჯანიშვილის რეჟისორულ შემოქმედებას.

გაზეთ „იზვესტიას“ (1930, 14 მაისი) სტატიიდან მოგვყავს  
ვრცელი მონაცემით: „საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრი,  
მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, უკვე მომწიფებულს სრულყოფილ  
სამხატვრო მოვლენას წარმოადგენს. ამ თემაზე შეიძლება  
ხმამაღლა ლაპარაკი. ეს თეატრია, სადაც ცხოველი შემოქმედებითი  
აზრი სჩქედს. მისი ნამუშევარი — საუკეთესო საბუთია იმ გარემოე-  
ბისა, თუ საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის პირობებში, როგორ  
ვითარდება და იზრდება სსრ კავშირის ეროვნებათა კულტურა... ქა-  
რთული თეატრის შექმნის დროს მარჯანიშვილმა შეაკავშირა ხე-  
ლოვნების საუკეთესო ძალები და მებრძოლი ახალგაზრდობა. ასე-  
თი წესით შეიქმნა რუსთაველის თეატრი და ასეთივე წესით 1928  
წელს დააარსა მან საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრი..  
ის, რაც მარჯანიშვილმა და მისმა კოლექტივმა გვიჩვენა, საბჭოთა  
საქართველოს თეატრალური კულტურის დიდ სიმაღლეზე მეტყვე-  
ლებს...“

წიგნი გასტროლების შესახებ. ამ გასტროლებს იმდენად დიდი მნი-  
შვნელობა მიენიჭა ქართული თეატრის ისტორიაში, რომ გასტრო-  
ლების დამთავრების შემდეგ საგანგებოდ გამოიცა წიგნი, რომელ-  
შიც მოთავსდა გასტროლების ირგვლივ არსებული ყველა მნიშვნე-  
ლოვანი დოკუმენტი.

წიგნი შეადგინა მეორე სახელმწიფო თეატრის ურყევემა მეგო-  
ბარმა, კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა. წინასიტყვაობაც დაურთო,  
რომელშიც საგანგებოდ ხაზს უსვამდა გასტროლების უაღრესად  
დიდ მნიშვნელობას. იგი წერდა: „კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვა-  
ნელობით არსებული სახელმწიფო დრამის საგასტროლო მოგზაუ-  
რობა ხარკოვსა და მოსკოვში თავისი რეზონანსით და შედარებით  
არ შეიძლება მხოლოდ თეატრალურ მოვლენათა რკალში მოთავს-  
დეს. ეს ამავე დროს ღრმა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მნიშვნე-  
ლობის ფაქტია, რომლითაც იწყება ჩვენი მხატვრული კულტურის  
ნაციონალური კარჩაკეტილობიდან თავდაღწევა და საბჭოთა საქარ-  
თველოს კულტურულ მიღწევათა დემონსტრაცია მოძმე რესპუბლი-  
კების მშრომელთა მასებთან წინაშე“.

ბ. ჟღენტი აღნიშნავდა, რომ ქართული თეატრის სამსახიობო და  
სარეჟისორო ოსტატობის დემონსტრაციის გარდა, გასტროლებმა  
მომთხოვნ საბჭოთა მაყურებელს უჩვენა ქართველი რევოლუციუ-  
რი დრამატურგიის უეჭველი მიღწევები, თეატრალურ-დეკორა-  
ტიული ხელოვნების ახალი გზები და ნაწილობრივ ქართული მუ-  
სიკისაც. „თეატრის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი იყო თავისი

გასტროლებით სწორი და ნამდვილი წარმოდგენა განემტკიცებინა პროლეტარული საქართველოს ხელოვნების მოწინავე მდგომარეობის შესახებ და ამით საბოლოოდ აღმოეფხვრა სამწუხაროდ დღემდე კვლავ შემორჩენილი შეხედულება, რომლითაც საქართველოს კულტურა ჩოხისა, ლეკურისა და ზურნის ეგზოტიკურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განისაზღვრება. ცხადია, პირველი ცდა ასეთი ღრმა და სერიოზული ამოცანების განხორციელებისა არ შეიძლებოდა მთელ რიგ სიძნელეთა და სირთულეთა პირობებში არ ჩატარებულყო. ყველა ობიექტურ დაბრკოლებას ის მდგომარეობაც ემატებოდა, რომ თეატრმა მატერიალური რესურსების მეტისმეტად განსაზღვრულობის გამო, ვერ შეძლო წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დაეყენებინა. ამის მიუხედავად, თეატრმა შეძლო დასახულ ამოცანათა შესრულება: მან როგორც ხარკოვში ისე მოსკოვში გამოიწვია ცხოველი ინტერესი არა მარტო კერძოდ ამ თეატრის, არამედ საერთოდ ქართული თეატრალური კულტურისა და მთლიანად ქართული ხელოვნების მიმართ, რითაც მტკიცე ნიადაგი შეუქმნა და წარმატებებისათვის პირობები მოუმზადა ყოველ შემდეგ ცდას ქართული თეატრის თუ სხვა ხელოვნების მიღწევათა დემონსტრაციისას რუსეთსა და უკრაინაში“...

მეორე სახელმწიფო თეატრის კოლექტივი გამარჯვებული დაბრუნდა სამშობლოში და თბილისში თვენახევარზე მეტ ხანს წარმოდგენებს მართავდა.

იმავე ხანებში გადაწყდა საკითხი თეატრის თბილისში გადმოყვანის შესახებ. ქუთაისი კი დაუბრუნდა ძველ მდგომარეობას. თუმცა ქუთაისის მაცურებელს მარჯანიშვილის წარმოდგენების შემდეგ, უკვე აღარ მოსწონდა ძველებური ყაიღით დადგმული სპექტაკლები.

გასტროლების მონაწილენი. ურიგო არ იქნება დავასახელოთ ყველა ის პირები, რომლებიც გასტროლებში მონაწილეობდნენ. ესენი არიან თეატრის ხელმძღვანელი კ. მარჯანიშვილი, მსახიობი ქალები — ვ. ანჯაფარიძე, ს. ვაჩნაძე, მ. დავითაშვილი, ე. დონაური, ი. დონაური, ა. დონჯანელი, თ. კიკნაძე, მ. მრეველაშვილი, მ. მესხიშვილი, მ. სანიკიძე, ა. ქიქოძე, მ. ქორელი, ე. შანიძე, თ. ჩარკვიანი, ც. წუწუნავა, თ. ჭავჭავაძე, ხ. ჭიჭინაძე, ი. ჯორჯაძე; მსახიობი ვაჟები—დ. აბაზაძე, კ. აბესაძე. ჭ. ბეგალიშვილი, ი. გვინჩიძე, კ. გოგიაშვილი, ზ. გომელაური, ს. ზაქარაიძე, ა. კვანტალიანი, გრ. კოსტავა, ბ. მალაქელიძე, მ. მემშარიაშვილი, ა. მურუსიძე, პ. მურადულია, ს. ყორაოლიანი, მ. სარაული, შ. დამბაშიძე, ა. ყალაბეგიშვილი, გ. შავგულიძე, ვ. ჩომახიძე, უ. ჩხეიძე, ვ. ჩხიკვაძე, ს. ქელიძე, დ. ძნელაძე, შ. ხონელი, შ. ჯაფარიძე; რეჟისორები — ვ. აბაში-

ძე, დ. ანთაძე, გრ. სულიაშვილი, ელ. ლოლობერიძე; ღირიჟორები — ალ. გველესიანი, ივ. ოგანეზოვი; რეჟისორის თანაშემწენი — ა. ნებეირიძე, არჩ. ჩხარტიშვილი, ივ. ჟორჟოლიანი; მხატვრები — თ. აბაკელია, ე. ახვლედიანი, პ. ოცხელი; კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი; აკომპანიატორი მ. ჯორჯაძე; ქორეოგრაფი დ. მაქავაჩიანი, მოკარნახე ს. ოყრეშიძე; ორკესტრის მსახიობები — ან. გაუღეკი, დ. კრასილნიკოვი, ი. რეიზნერი, კ. სირბილაძე, დ. ცქიტიშვილი; სცენის მემანქანე გ. გალუსტოვი; მისი თანაშემწე ბ. მჭედლიშვილი; გრიმორი ი. ყარდაშიანი; გარდერობის გამგე ა. გაფრინდაშვილი; ელექტრომექანიკოსი ნ. ბეშქენაძე; დეკორაციების გამყოლი დ. ცნობილაძე; თეატრის დირექტორი კ. კალაძე; თეატრის ინსპექტორი კ. ანდრონიკაშვილი; თეატრს ახლდნენ მწერლები: ბ. ჟღენტი, დ. შენგელაია, ს. ჩიქოვანი.

## VIII. მუშა-ახალგაზრდობის თეატრი

ოცან წლებში საბჭოთა კავშირში გავრცელდა ახალი თეატრალური მიმდინარეობა „მუშა-ახალგაზრდობის თეატრის“ სახელწოდებით. ეს იყო ნახევრად პროფესიული, მეტწილად კომკავშირლებისაგან შემდგარი თეატრალური კოლექტივები, რომლებიც მთავარ მიზნად ისახავდნენ მხატვრული ფორმებით გადმოეცათ საბჭოთა ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება და სულისკვეთება, მათი თავდადებული ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე.

ამ თეატრებმა გარკვეული როლი ითამაშეს ახალგაზრდობას დარაზმვაში სოციალისტური მშენებლობის საკითხების ირგვლივ. მაგრამ დრომ თავისი მოიტანა, ასეთი სახის თეატრები უკვე საჭირო აღარ იყო, ამიტომ ორმოციან წლებში ისინი თანდათან გადაეთდნენ პროფესიულ თეატრებად.

მუშა-ახალგაზრდობის თეატრების ლიკვიდაცია გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ეს თეატრალური მიმდინარეობა ბევრ უარყოფითს და რეალისტური შემოქმედებისათვის მიუღებელ პრინციპებსა და მეთოდებს შეიცავდა. პირველ ყოვლისა, ეს იყო სრულფასოვანი დრამატურგიის უარყოფა და მუშაობა ნახევრად იმპროვიზაციას წესით, სცენარის მიხედვით. უარყოფდნენ კლასიკურ მემკვირეობას და, ამრიგად, იმეორებდნენ „პროლეტკულტის“ შეცდომებს, რაც თავის დროზე გააკრიტიკა და უარყო ვ. ი. ლენინმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1932 წ. აპრილის ცნობილმა დადგენილებამ ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ თავისთავად წამოჭრა საკითხი მუშა-ახალგაზრდობის თეატრების შემოქმედებითი მიმართულების მიუღებლობაზე.

პირველი მუშა-ახალგაზრდობის თეატრი ლენინგრადში დაარსდა 1925 წელს. მალე მათი რიცხვი საბჭოთა კავშირში 70-მდე ავიდა.

მუშა-ახალგაზრდობის თეატრი ქუთაისშიც დაარსდა. ეს მოხდა 1928 წლის დეკემბერში. (ამ თეატრის ისტორიის აღწერისას ვისარგებლეთ სათეატრო მუზეუმში დაცული ნ. ლაშხიას შრომით „ქუ-

თაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი“). მისი დაარსების ინიციატორები ქუთაისელი კომკავშირლები იყვნენ. ახალგაზრდებმა დახმარებისათვის კ. მარჯანიშვილს მიმართეს. იგი იმ დროს მეორე სახელმწიფო თეატრს ხელმძღვანელობდა. მან ბევრი რჩევა-დარიგება მისცა ინიციატორებს და შემდეგ რეჟისორ დ. ანთაძეს დაავალა დახმარება გაეწია ახლად აღმოცენებული კოლექტივისათვის. ანთაძემ მოკლე დროში მოაგვარა ახალი თეატრის ყველა საქირბოროტო საკითხი.

მუშა-ახალგაზრდობის თეატრის პირველი დასა შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: ტ. კაკაბაძე, ა. მამრიკიშვილი, ბ. მატარაძე, კ. ნაცვლიშვილი, თ. ჟორჯოლაძე, ა. შანიძე, კ. ჩიქოვანი, დ. წულაძე, ი. ხომერიკი, გ. ხუნდაძე, და სხვები. თეატრის დირექტორად დაინიშნა კ. თავბერიძე.

პირველი წარმოდგენის მომზადებას დასა თითქმის ნახევარწელიწადს მოუწია, რადგან დასის წევრები პარალელურად თეორიულ საგნებსაც სწავლობდნენ.

პირველი წარმოდგენა, დასმა 1929 წლის 2 ივნისს გამართა მეორე სახელმწიფო თეატრის შენობაში. დაიდგა რუსულიდან გადმოკეთებული რევოლუციური დრამა „აფეთქება“. სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნოდა პ. ოცხელს, მუსიკა გ. შარაბიძეს, წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: კ. ჩიქოვანი, ს. ცომაია, ვ. ინწკირველი, დ. წულაძე, ნ. დევდარიანი, ზ. გოგიტაძე, ბ. მატარაძე, დ. გვეტაძე, ი. ბუხაიძე, თ. ჟორჯოლაძე, შ. მესხი, გ. ხომერიკი, პ. ნაცვლიშვილი, ლ. ირემაძე, თ. ჟვანია.

1929 წლის შემოდგომაზე თეატრი ახალი ძალებით შეივსო. მათ შერჩევაში როგორც საგამოცდო კომისიის წევრმა, მონაწილეობა მიიღო კოტე მარჯანიშვილმა.

1930 წლიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა რეჟისორი ა. მიქელაძე და 1932 წლამდე დადგა ლვოვის „დღეები დნებიან“ (თარგ. პ. ბახტურიძისა), ლაპშინის „მზიანი სამქრო“ (გადმოკ. ა. მიქელაძის მიერ), ი. ბუხაიძისა და ტ. კაკაბაძის „ცეცხლის აღში“ და დასის კოლექტიური პიესა „მიიღე დროშა“.

1932 და 1933 წლებში. ა. მიქელაძის წასვლის გამო, თეატრმა მუშაობა შეწყვიტა. 1933 წელს ახალგაზრდობამ თეატრის აღდგენა მოითხოვა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი რესპუბლიკური მასშტაბის თეატრად გამოცხადდა. ხელმძღვანელად დაინიშნა შ. მანაგაძე, ხოლო მეორე რეჟისორად — ვ. მურღულია.

1934 წლიდან თეატრი სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაიყვანეს და დაუთმეს პროფკავშირების კლუბის შენობა.

თეატრმა პირველი დადგმა უჩვენა 1934 წლის თებერვალში. ეს იყო ი. მიკიტენკოს პიესა „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“. პიესა შ. ლადინმა და შ. მანაგაძემ გადმოაქართულეს. დადგმა ეკუთვნოდა შ. მანაგაძეს, მხატვრობა თ. ყორყოლაძეს, კომპოზიტორი იყო ა. ანდრიაშვილი. პიესა ასახავდა ახალგაზრდობის თავდადებულ დემოკრატიულ შრომას. წარმოადგინეს განახლებული სპექტაკლი „დღეები დღებიან“ (რეჟისორი ვ. მურღულია). თეატრმა შემდეგ განახორციელა ვ. გაბესკირიას და შ. მანაგაძის ანტირელიგიური პიესა „ალი-ლუია“ დადგმა შ. მანაგაძისა და ვ. მურღულიასი, დეკორაციები ი. გამრეკელის, მუსიკა ა. ანდრიაშვილისა; ი. პრუტის პიესა „თორმეტი“, თარგმ. ნ. აგიაშვილისა, დადგმა ვ. მურღულიასი; ი. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“, თარგმ. ს. ოყრეშიძისა, დადგმა შ. მანაგაძისა, მხატვარი ი. გამრეკელი, მუსიკა ა. ანდრიაშვილისა; გ. ბუხნიკაშვილის მიერ გადმოკეთებული ვ. შკვარცინის კომედია „ნაბიჭვარი“, დადგმა ე. მურღულიასი, დეკორაციები ი. გამრეკელის, მუსიკა ა. ანდრიაშვილისა; ვ. კირშონის პიესა „საუცხოო შენადნობი“ გადმოქართულებული ს. ჩიქოვანისა და ი. აბაშიძის მიერ. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად „ესკადრის დაღუპვას“.

1935—1936 წლების სეზონის დამთავრების შემდეგ, ქუთაისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრი თბილისში იქნა გადმოტანალი და ამრიგად, ქუთაისის ნიადაგზე აღმოცენებული, ეს მეორე თეატრიც დედაქალაქს გადაეცა.

## IX. ოცდაათიანი წლები

1930—1931 წლების სეზონი მ. ქორელის ხელმძღვანელობით. კოტე მარჯანიშვილის დასის ქუთაისიდან წასვლის შემდეგ ქუთაისის თეატრის საქმე გართულდა. „ყველა იმას გაიძახოდა, მარჯანიშვილის სეზონის შემდეგ ვინ გაბედავს თავს იდოს ესოდენ მძიმე საქმეო, და ეს მართალიც იყო, ის ძლიერი და ის მაღალი ხარისხის რეპერტუარი და სპექტაკლები, რომლებიც კოტე მარჯანიშვილის დროს იმართებოდა, ყველას საბაბს აძლევდა ასე ემსჯელათ“ (ი. ზარდალიშვილი, „მოგონებები“).

ბოლოს არჩევანი მიხეილ ქორელზე შეჩერდა. ქორელი ქუთაისის მაცურებლისათვის საკმაოდ ცნობილი იყო და ქუთაისის ხელმძღვანელობამაც დასის მეთაურად ის მოიწვია. 1930-31 წლებში დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგებოდა: ქალები — ცაცა ამირეჯიბი, მარიამ აბრამიშვილი, ოლა გოგნიაშვილი, თამარ მაკარაშვილი, ნადეჟდა სირბილაძე, თინა ჩარკვიანი. ნინო ჩხეიძე, ნინო წინამძღვარი; ვაჟები — ჭიჭიკო აბაქელია, კაპიტონ აბესაძე, გიორგი გაბუნია, იუზა ზარდალიშვილი, შალვა ინასარიძე, მიხეილ მეძმარიაშვილი, მიხეილ სვანიძე, გიორგი ფრონისპირელი, სანდრო ყალაბეგიშვილი, ვარლამ ჩხიკვაძე. დავით ჯალალანია და სხვ.

რეჟისორი მ. ქორელი შეეცადა თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებები დაედგა (ა. სლავინსკის „პროტესტი“, ვ. კირშონის „პური“ და სხვ.). დადგმები არ იყო უხარისხო, მაგრამ თეატრმა მაცურებლის გული ვერ მოიგო. პრესამ კი მიზანში ამოიღო რეპერტუარის ერთგვარი ეკლექტიურობა და სასტიკად გააკრიტიკა თეატრის მუშაობა. მ. ქორელი თავის ჩანაწერებში აღნიშნავდა (დაცულია სათეატრო მუზეუმში): „საბო უსამართლო რეცენზია — ყველაფერი უვარგისი, ყველაფერი უშნო... კილო, ისეთი, რომ ძალაუწესურად მტრული ჰანგები მოგვესმა. ამან იმოქმედა მთელ დასზე, მის მუშაობაზე. გაჩნდა ნერვიულობა, დაირღვა შინაგანაწესი, დაიკარგა ხალისი, გაჩნდა კორები“...

სეზონის დამთავრებისას მ. ქორელმა უარი განაცხადა თეატრში მუშაობაზე.

1931—1932 წლების სეზონი გ. სულიაშვილის, ა. ჩხარტიშვილისა და ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით. ამ დროიდან თეატრს ახალგაზრდობა ჩაუდგა სათავეში და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ახალ სეზონში რეჟისორებად იყვნენ: არჩ. ჩხარტიშვილი, გრ. სულიაშვილი და ვ. აბაშიძე, დასში შედიოდნენ: ქალები — მ. აბრამიშვილი; ო. გოგნიაშვილი, მ. დავითაშვილი, ნ. ერისთავი, ს. ვაჩნაძე, მ. ქორელი, თ. ჩარკვიანი, ნ. წინამძღვარი; ვაჟები — კ. აბესაძე, ქ. ბეგალიშვილი, კ. გოგიაშვილი, ალ. გოშელაური, მ. ვაშაძე, ი. ზარდალიშვილი, ს. ზაქარიაძე, რ. თოდუა, აკ. კვანტალიანი, გრ. კოსტავა, მ. მეძმარიაშვილი, ვ. პეტრიაშვილი, კ. სვანიძე, მ. სვანიძე, ალ. სიხარულაძე, ვ. ჩხიკვაძე, ვლ. ჩომანიძე, შ. ხონელი, დ. ჯალაღანია.

ესენი მეტწილად მეორე სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითი ძალები იყვნენ, რომლებიც თბილისიდან ისევ ქუთაისს დაუბრუნდნენ.

სეზონი გაიხსნა 28 ნოემბერს.

სეზონის განმავლობაში დასმა განახორციელა შემდეგი დადგმები: ი. იანოესკის პიესა „უნდა დავიპყროთ“, ტ. კობეცის „გუტა“, გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“, პ. სამსონიძის „სალტე“ და ი. პაშეკის „მამაცი ჯარისკაცი შვეიცის“ ინსცენირება. დიდი წარმატება ხვდა წილად გ. ბააზოვის პიესას „მუნჯები ალაპარაკდნენ“ ქართულ ებრაელთა ცხოვრებიდან (დადგმა გ. სულიაშვილისა, მხატვარი ი. აბაკელია). ეს პიესა შესანიშნავად დადგა აგრეთვე დ. ანთაძემ თბილისში მეორე სახელმწიფო თეატრში, თუმცა, პრესის გადმოცემით, ქუთაისის თეატრის დადგმა მას არ ჩამოუვარდებოდა.

ამ დადგმაზე გიორგი სამხარაძემ საინტერესო მოგონება გამოაქვეყნა (გაზ. „ქუთაისი“ № 73, 1962, 1 სექტ.). ავტორი იმ დროს ქუთაისის თეატრის დირექტორად მუშაობდა. გ. სამხარაძე წერს რა გატაცებით ამზადებდა დასი ამ მშვენიერ ნაწარმოებს: „გრიგოლ სულიაშვილის, როგორც რეჟისორ-დამკვებლის, განსაკუთრებული დამსახურება უპირობესად ისაა, რომ მან ორიგინალური და დამაჯერებელი სცენური ხერხებით აამეტყველა საუკუნეობრივ სიბნელითა და დამცირებით დამუნჯებული მშრომელი და ღარიბ-ღატაკი ებრაელები, გვიჩვენა ბრძოლა, ექსპლუატატორთა და ჩაგრულთ შორის და პატიოსანი შრომისაკენ მოუწოდა თაღლით და ოინბაზური ჩვევების ქორვაჭრებს. მაგრამ აქ ხომ უპირველესი როლი პიესის ავტორს, გერცელ ბააზოვს ეკუთვნოდა! რეჟისორი და მსახიობები დიდი აღფრთოვანებითა და გატაცებით მუშაობდნენ ხვე-



წდნენ სახეებს, ღრმად იზიარებდნენ სიტუაციებსა და ქვეტექსტებს, აზუსტებდნენ, ამუშავებდნენ ცეკვებსა და სიმღერებს“...

წარმოდგენამ არაჩვეულებრივი წარმატებით ჩაიარა, მაყურებლებმა არაერთხელ გამოიძახეს გ. სულიაშვილი, გერცელ ბააზოვი, წამყვანი როლების შემსრულებელი მსახიობები, მხატვარი, კომპოზიტორი.

წარმატება ხვდა წილად „შეიკის“ ინსცენირებას (დამდგმელი ა. ჩხარტიშვილი, მხატვარი პ. ოცხელი, კომპოზიტორი, ა. ბალანჩივძე). ეს იყო ა. ჩხარტიშვილის პირველი დამოუკიდებელი დადგმა. ქუთაისის გაზეთი „ლენინის გზით“ აქებდა ახალგაზრდა რეჟისორის ნიქს.

დადგმის პოლიტიკურ სიმახვილეზე მიუთითებდა „სალიტერატურო გაზეთში (№ 8, 1932, 1 აპრ.) კრიტიკოსი გ. ნატროშვილი. ავტორი აღნიშნავდა, რომ თეატრმა სწორად გაიგო ჰამეკის ეს გენიალური ნაწარმოები, და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა დადგმის პოლიტიკურ აქტუალობას. გამოაშკარავებულა კაპიტალიზმის შინაგანი გადაჯვარება, რელიგიის გახრწნა. დადგმა ამხვილებს მაყურებლის კლასობრივ შეგნებას, რაზმავს მის განწყობილებას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ.

1932—1933 წლების სეზონში ქუთაისში თეატრის რეჟისორებად კვლავ გ. სულიაშვილი და ა. ჩხარტიშვილი განაგრძობდნენ მუშაობას. დასის შემადგენლობაც თითქმის იგივე იყო (წინა სეზონში უთანხმოების ნიადაგზე, დასი დატოვეს ვახტანგ აბაშიძემ, მერი ქორეღმა და სერგო ზაქარიაძემ).

სათეატრო სეზონი დეკემბერში გაიხსნა პ. სამსონიძის „სალტეიო“. საკოლმეურნეო მშენებლობის თემაზე დაწერილმა ამ პიესამ ქუთაისელთა კარგი შეფასება მიიღო. გაზეთი „მუშა და კოლმეურნე“ (№ 283, 1933, 10 დეკ.) თეატრის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით წერდა,—რომ „სალტე“, როგორც სპექტაკლი, თავის დროზე აღინიშნა წინსვლის მაჩვენებელ ნაბიჯად ქუთაისის სახელმწიფო თეატრის პრაქტიკაში. თეატრმა პოლიტიკურად გამართული და ემოციურად მახვილი მხატვრული ფაქტი მოგვცა“.

პრესამ როლების კარგ შემსრულებლად აღიარა: მ. სვანიძე (გარსევანი), თ. ჩარკვიანი (დედა), მ. მეძმარიაშვილი (დათუნა), ჭ. ბეგალიშვილი (ხაფიჩია), კ. სვანიძე (კომკავშირელი), ვ. ლოლაძე (ბაბუა), ნ. ერისთავი (ექიმბაში) და თ. ლოლაძე (ციურუ).

წარმატება ხვდა წილად ნ. ზარხის პიესის „სიხარულის ქუჩის“ დადგმას, რომელიც მანახორციელეს გ. სულიაშვილმა და ა. ჩხარტიშვილმა (მხატვარი პ. ოცხელი). პიესაში გამოსახული იყო ინგლისელი მუშების რევოლუციური ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. პრესა

აღნიშნავდა, რომ ეს სპექტაკლი თეატრის კიდევ ერთი გამარჯვებაა მისი წინსვლისა და რეალიზმის პოზიციებზე განმტკიცების მიმართულებით. აქებდნენ როლების შემსრულებლებს: მ. სარაულს (ლომბარდის პატრონი მექსონი), თ. ჩარკვიანს (სამრეცხაოს პატრონი გაუკერი), გრ. კოსტავას (ანარქისტი სპავენტა) და სხვებს.

მაყურებელს მოეწონა ი. ვაკელის კომედია „აპრაკუნე კიმიკიმელი“. იგი დადგა ა. ჩხარტიშვილმა, მხატვარი მ. გოცირიძე, კომპოზიტორი რ. გოგიაშვილი. გაზეთ „მუშა და კოლმეურნეში“ პ. ბახტურიძე ამ პიესის შესახებ წერდა, რომ კომედიის ღირებულად უნდა ჩაითვალოსო მისი აქტუალური თემა—ზოგჯერ საბჭოთა სამეურნეო აპარატში მოკალათებულ კარიერისტების სააშკარაოზე გამოყვანა, მასთვის ნაღაბის ჩამოგლეჯა. ასეთი ტიპია პიესის გმირი აპრაკუნე. „იონა ვაკელის პიესა თანადროული და პოლიტიკურად მახვილი ნაწარმოებია. — წერდა პ. ბახტურიძე, — კომედიის ასაგებად ავტორს გამოყენებული აქვს მეტად მდიდარი სიტყვიერი მასალა. მას დაწყებიდან დასასრულამდე შეუწელებელი ინტერესით ითვისებს მაყურებელი“... მსახიობთა შორის რეცენზენტს ყურადღება განსაკუთრებით მიუქცევია გ. კოსტავასთვის აპრაკუნეს როლში. წერდა, რომ გ. კოსტავა კომედიაშიც ისეთივე ძლიერია, როგორც დრამატულ როლებშიც.

1933—1934 წლების სეზონი ვ. ყუშიტაშვილისა და ა. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. ამ სეზონში თეატრის მთავარ რეჟისორად მოწვეული იყო უცხოეთიდან ახლად დაბრუნებული რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი. მას უცხოეთში უკვე საკმაო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი როგორც ნიჟიერ შემოქმედს და ამიტომ ქუთაისში მისი ჩამოსვლა მნიშვნელოვან ფაქტად იყო მიჩნეული.

შალვა დადიანი ასეთი სიტყვებით შეხვდა ვ. ყუშიტაშვილის მოწვევას ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელად: „ქუთაისის თითქოს ქუდბედი აქვს დაყოლილი, ბედნიერ დღეზეა გაჩენილი! თითქოს ტრადიციით მოდის, რომ ყველა ჩვენი თვალსაჩინო მსახიობნი, დღეს აქამდე, ჯერ თითქოს ქუთაისის სცენაზე უნდა „კურთხეულ იქნან“, აქ მოიხვეჭონ სახელი და შემდეგ იცნოს ქვეყანამ... და, აი, დღესაც ქუთაისს ეწვია და სეზონის საქმე ჩაიბარა ახალგაზრდა იხლოვანმა რეჟისორმა ვასილ ყუშიტაშვილმა. ეს ახალგაზრდა განსწავლულაა ევროპასა და ამერიკაში. და ეს კიდევ არაფერი, თვით იგი იმ ქვეყანაში იყო სათეატრო საქმეების ხელმძღვანელად და რეჟისორად. მთელი 14 წელიწადი სპეციალურ მუშაობას ეწეოდა იქ და ეხლა, კაცო უკვე სრულიად გამობრძმედილი, უბრუნდება მშობლიურ სცენას“... (გაზ. „მუშა და კოლმეურნე“ № 218, 1933).

ვ. ყუშიტაშვილის გარდა, რეჟისორ-დამდგმელად მუშაობას განა-

გროზბოდა ა. ჩხარტიშვილი. დასი შემდეგი მსახიობებისაგან შედგებოდა: ქალები — ოლა გოგნიაშვილი, მერი დავითაშვილი, ნინო ერისთავი, ლ. თოდუა, თინა ლოლაძე, მედეა ქორელი, თინა ჩარკვიანი, ნინო წინამძღვრიშვილი; ვაჟები — ჰ. აბაქელია, ვ. ასათიანი, ჰ. ბეგალიშვილი, აკაკი მამრიკიშვილი, მიხეილ მეძმარიაშვილი, ვალერიან პეტრიაშვილი, მიხეილ მგელაძე, კ. სვანი, მიხეილ სვანიძე, ალექსანდრე ომიაძე, ლეო შენგელია, ვარლამ ჩხიკვაძე, პეტრე ჭინაძე.

მაგრამ ვ. ყუშიტაშვილმა ქუთაისის თეატრში მხოლოდ ერთი დადგმა განახორციელა—ბენ ჯონსონის კომედია „ვოლპონე“. ის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიიწვიეს სპექტაკლის დასადგმელად და შემდეგ იქვე დატოვეს სამუშაოდ. ქუთაისის თეატრის სეზონს კი ა. ჩხარტიშვილი გაუძღვა და დადგა ორი ახალი ნაწარმოები — დ. ჩიანელის „ნაირმალი“ და ვ. გაბესკირიას „ლაქაშებს შორის“.

ვ. ყუშიტაშვილმა ბენ ჯონსონის კომედიით საინტერესო სპექტაკლი შექმნა. მასში ხაზგასმული იყო, თუ რა ამორალობამდე მიჰყავს ადამიანი სიმდიდრის სურვილს. პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ სპექტაკლს.

გაზეთი „საბჭოთა ხელოვნება“ (№ 2-3, 1934, 31 იანვ.) წერდა: „...ასეთი სტილის სპექტაკლს თქვენ ვერ იპოვით საბჭოთა კავშირის ვერც ერთ თეატრში. თავისი ხასიათით, ტონალობითა და რიტმით იგი სავსებით გამოირჩევა საბჭოთა სცენისათვის დამახასიათებელი სპექტაკლებისაგან... ეს სპექტაკლი უთუოდ ახალი მხატვრული სიტყვაა, ქართული საბჭოთა სცენიდან ნათქვამი... ქართულ სცენას იშვიათად თუ უნახავს ასეთი სადა, ყოველგვარ სცენურ ზიზილ-პიპილოებისაგან განტვირთული, ყალბი პათოსისაგან გამიჯნული, ბუნებრივი მეტყველების სპექტაკლი... სპექტაკლში არ მოიძებნება არც ერთი მომენტი, რომლითაც რეჟისორის მუშაობა წინ იყოს წამოწეული. ყუშიტაშვილი არ მიმართავს არც ერთ რეჟისორულ ტრიუკს, რომლითაც მაყურებელი განცვიფრებაში მოჰყავთ ხოლმე და მით სპექტაკლის იდეას ანაცვალებენ საკუთარი ოსტატობის გამოჩენას... ამ სპექტაკლიდან მოჩანს, რომ მისი შემოქმედი სპექტაკლის დინჯი, აუჩქარებელი ორგანიზატორია, მას მათემატიკური სიზუსტით აქვს გამოანგარიშებული ყოველი წვრილმანი დეტალიც კი... ბუნებრივობა და ადამიანურობა არის მთავარი, რასაც ის საფუძვლად უდებს ყოველ მიზანსცენას, ამიტომაც მის სპექტაკლში ვერ შეამჩნევთ ვერც ერთ მიზანსცენას, რომელიც პიესისათვის მიცემულ საერთო ტონს იყოს აცილებული“... (ციტი-

რებულია ს. კვიციანი მონოგრაფიიდან „ვასო ყუშიტაშვილი“, თბ. 1957).

კომედიამ ვოლკონეს და მოსკას მთავარ როლებს ასრულებდნენ: გ. კოსტავა და ლ. შენგელია.

მაყურებელმა სპექტაკლი ძალიან მოიწონა და წარმოდგენებზე მედამ აღარება ხალხი ესწრებოდა.

1934—1935 წლების სეზონი ვ. აბაშიძის ხელმძღვანელობით. სეზონში მთავარ რეჟისორად მოწვეული იყო ვახტანგ აბაშიძე. მასთან ერთად ქუთაისის დრამატულ დასს შეემატნენ მსახიობები მერაბ ქორელი, ნინო ჩხეიძე, ბუხუტი ზაქარიძე, სერგო ზაქარიძე, აკაკი გოგიაშვილი, პლატონ ახვლედიანი, ალექსი კუპატაძე, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ასკალონ მაგრაქველიძე, ვახტანგ სალარიძე, ალექსანდრე ქელბაქიანი და სხვ.

ვ. აბაშიძემ სეზონის განმავლობაში ოთხი პიესა დადგა: კ. კალაძის „ხატიჯე“, ვ. შვეარციანის „სხვისი ბავშვი“, ა. კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“, ვ. კირშონის „სასამართლო“.

დადგმები სუსტი გამოდგა, ამიტომ მაყურებელიც არ ეტანებოდა თეატრს. ი. ზარდალიშვილის სიტყვით, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დასს ცარიელ თეატრში უხდებოდა თამაში.

სამი სათეატრო სეზონი უთეატროდ. 1935-38 წლებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, პროფესიული დასი არ არსებობდა და მსახიობთა ძალებიც დაიქსაქსა. თუმცა ქუთაისელი მაყურებელი მთლად უთეატროდ არ დარჩენილა. ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ სარაიონო თეატრები, მაგალითად, ჰიათურის თეატრი, რომელიც არა ერთხელ ესტუმრა ქუთაისს. ერთხელ ქუთაისში ფოთის თეატრიც ჩამოვიდა. ჩამოდიოდნენ თბილისის თეატრებიც, მაგალითად 1938 წლის გაზაფხულზე რამდენიმე წარმოდგენა გამართა ქუთაისში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა, მაგრამ ეს ყოველივე მაინც გასტროლები იყო და ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლიდა მუდმივ დასს.

ქუთაისში ამ პერიოდში მუშაობდნენ დრამატული წრეები. ერთი მათგანი, რომელსაც ი. ზარდალიშვილი ხელმძღვანელობდა 1935 წელს ჩამოყალიბდა აბრეშუმის კომბინატში და იქვე კლუბში მართავდა წარმოდგენებს.

1936 წელს ი. ზარდალიშვილის თაოსნობით შეიქმნა მსახიობთა ამხანაგობა, რომელშიც შევიდნენ: ა. მურუსიძე, შ. ხონელი, ნ. წინამძღვარი, გ. ყოკელაძე, ვ. ქუთათელაძე და სხვ. ამხანაგობამ მოაზარდა „პამლეტის“ ერთი მოქმედება და ამით გახსნა სეზონი 1936 წლის 17 სექტემბერს. წარმოდგენამ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა და 12-ჯერ იქნა ნაჩვენები.

შემდეგ ამხანაგობამ დადგა მ. დრეიერის კომედია „კარგად შეკერილი ფრაკი“ და ფ. შილერის „ყაჩაღები“, ამხანაგობას დახმარება გაუწია ქალაქის აღმასკომმა, — მისცა 8000 მანეთი „ყაჩაღების“ სადადგნო ხარჯებისათვის.

**საზაფხულო თეატრის შენობა.** ქალაქის აღმასკომმა ამ უთეატრობის დროს ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთა. ქალაქის ძველი ბაღი წესრიგში მოიყვანა და 1938 წელს ბაღში აგებულ იქნა ხის 600 ადგილიანი საზაფხულო თეატრის შენობა. შენობა გაიხსნა 1938 წლის 5 ივლისს და მაშინვე გაიმართა კონცერტი რუსთაველის თეატრის მსახიობების — ე. აფხაიძის, სტ. ჯაფარიძისა და გ. სალარაძის შონაწილეობით. სცენა პატარა იყო, კონცერტებისათვის თუ გამოდგებოდა, მაგრამ გახსნისთანავე ქუთაისის საგასტროლოდ ეწვია თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრი და ამ სცენაზე მოახერხა თავისი წარმოდგენების ჩვენება.

## X. სამამულო ომის წინა წლები

თეატრის აღდგენა დ. ანთაძის ხელმძღვანელობით. 1938 წელს ბოლო მოეღო სამარცხვინო მდგომარეობას, როდესაც ასეთი დიდი თეატრალური ტრადიციის ქალაქში, როგორც ქუთაისია, სამი თეატრალური სეზონის განმავლობაში ადგილობრივი დრამატული თეატრი არ არსებობდა და მის მაგივრობას მსახიობთა აპხანაგობები და ბრიგადები სწევდნენ.

თეატრის აღდგენის ინიციატივა ეკუთვნოდა კომუნისტურა პარტიის ქუთაისის ქალაქკომს. საკითხი განიხილა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა მუდმივი (წლიური) დასის შედგენას და თეატრის შესანახად საჭირო თანხების გაღებას ქალაქის ბიუჯეტიდან. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაევალა მიეღო ყველა ზომა, რომ სათეატრო სეზონის გახსნა არ შეფერხებულიყო.

1938 წელს ქუთაისში თეატრი აღადგინეს. მის დირექტორად და სამხატვრო ნაწილის გამგედ დაინიშნა რეჟისორი დოდო ანთაძე, რომელიც ამ დროს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა. ქუთათურები მას კარგად იცნობდნენ, როგორც მეორე სახელმწიფო თეატრის რეჟისორს..

მოგონებებში დ. ანთაძე აღნიშნავს: „საქმე უნდა დაწყებულიყო აბსოლუტურად ცარიელ ადგილზე, რადგან ქუთაისში თითქმის აღარც ერთი ადგილობრივი მსახიობი აღარ იყო, ხოლო სათეატრო შენობა — ეს მრავალტანჯული ხარაზიშვილისეული თეატრი, — სრულებით გაპარტახებული იყო. ისედაც დაძველებული და ცუდი თეატრალური შენობა უყურადღებობის შედეგად სრულიად უპარგისი გაქდა. კედლები ჩამოინგრა, საბურავიდან წყალი ჩამოდიოდა. თეატრალური შენობის ნაწილი, სახელდობრ თეატრის დაშშმარე სათავსოები, გვერდით მდებარე რესტორნისათვის გადაეცათ. პატრონი არ ჰყავდა თეატრში ათეული წლების მანძილზე დაგროვილ ქო-

ნებას: კოსტიუმებს, ბუტაფორიას, რეკვიზიტს, დეკორაციებს და სხვ. ყველაფერი ეს სრულად გაპარტახებული იყო, ნაწილი წადებულა და მითვისებული ჰქონდათ ახლო მდებარე თეატრებს. მსახიობები, ქუთაისის მკვიდრნი, გაფანტული იყვნენ სხვადასხვა ქალაქებში სამუშაოდ. არ ლალატობდა ქუთაისის თითო-ოროლა კაცი და მათ შორის იუზა ზარდალიშვილი. ბევრს ღელავდა იუზა თეატრის ბედზე, ბევრს იღვწოდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია“...

დ. ანთაძემ ჩვეული ენერგიით მოჰკიდა ხელი საქმეს. უპირველესად დასის შედგენაზე იზრუნა. დასი ძლიერი უნდა ყოფილიყო, როგორც უფროსი თაობის მსახიობებით, ასევე ნიჭიერი ახალგაზრდობით, რადგან, დ. ანთაძის, სიტყვით, „ცუდად შერჩეული დასი გაართულებდა მუშაობას, მსახიობები ვერ დასძლევდნენ რეპერტუარს“ და ვერ გაამართლებდნენ მაღალ მოთხოვნილებებს, რასაც უკვე იმხანად საზოგადოება უყენებდა.

საბოლოოდ ასეთი დასი შედგა: ქალები — ც. ამირჯიბი. ალ. გაბუნია, მ. გელაშვილი, ს. ვახნაძე, თ. ციციშვილი, თ. კიკნაძე, თ. ლვინიაშვილი, მ. ფხაკაძე, ხ. შარაშ-ოღლი, ნ. წინამძღვარი, ალ. ქავკავანიძე, თ. ჯოხაძე; ვაჟები — კ. აბესაძე, დ. ბარკალაია, დ. გვენცაძე, კ. გიორგობიანი, ი. ზარდალიშვილი (დამს. არტ.), ა. იმედაშვილი (სახ. არტ.), ვ. კინწურაშვილი, გრ. კოკელაძე, ბ. კოკელაძე, აკ. მამრიკიშვილი, ვ. მეგრელიშვილი, ა. მურუსიძე, გრ. ნაცვლიშვილი, ი. სალაღიშვილი, აკ. ოქრუაძე, მ. სვანიძე, გრ. სოფრომაძე, პ. უგრეხელიძე, შ. ქარცივაძე, ლ. შენგელია, ვ. ჩხიკვაძე, ი. ხვიჩია, შ. ხონელი, ვ. ჯიბლაძე.

დამდგმელ რეჟისორად მოწვეული იყო გრ. სულიაშვილი, რეჟისორის ასისტენტად ს. ოყრეშიძე, მთავარ მხატვრად — კ. სანაძე, მხატვარი-შემსრულებლები—ირაკლი მდივანი და ვიქტორ ცომაია, კომპოზიტორი— თამარ ვახვახიშვილი.

თეატრთან შეიქმნა დამხმარე შემადგენლობა, საიდანაც მერე და მერე არა ერთი მსახიობი დაწინაურდა. შეიქმნა მუდმივი ორკესტრიც გ. მარჯანიშვილის დირიჟორობით.

სცენის მთავარ მემანქანედ დაინიშნა ბაგრატ მჭედლიშვილი, რომელსაც გვერდში ამოუდგა ქუთაისის თეატრის უხუცესი მუშაკი სერგო ქელიძე. ასევე განაგრძობდა თეატრში მუშაობას უხუცესი მუშაკი ონისიმე დადიანი.

დასის შედგენასთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა შენობის შეკეთება. თეატრს დაუბრუნდა წართმეული სათავსოები, და, გარდა ამისა, მარჯვენა მხრიდან მოემატა ორსართულიანი შენობა, რომელშიც, ადრე სავაჭრო ორგანიზაციები იყო მოთავსებული.

სცენა გადააკეთეს და შეავსეს ახალი სასცენო ტექნიკით.

დასის პირველი შეკრება მოხდა 5 აგვისტოს. მას დაესწრო ქალაქის ხელმძღვანელობა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ქალაქის მმართველობამ თეატრს ყოველმხრივ დახმარება აღუთქვა. შეკრებაზე დადგინდა თეატრის გახსნის თარიღი — 1938 წლის 6 ნოემბერი.

**1938—1939 წლების სეზონი.** 6 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა განახლებული თეატრის 1938-39 წლების პირველი სეზონი. ბევრი სტუმარი ეწვია ქუთაისს. თეატრის კოლექტივს მიულოცეს, როგორც ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ისე ჩამოსულმა საპატიო სტუმრებმა.

ამ ამბავს ფართოდ გამოეხმაურა რესპუბლიკური პრესა, გაზეთმა „ინდუსტრიულმა ქუთაისმა“ თეატრის გახსნას საგანგებო ნომერიც კი მიუძღვნა.

პირველ დღეს წარმოდგენილი იყო ბ. გამრეკელისა და გ. ნახუცრიშვილის დრამა „ლადო კეცხოველი“. დადგმა განახორციელა დ. ანთაძემ, მხატვარი — ვ. სანაძე, კომპოზიტორი — თ. ვახვახიშვილი.

ახალი დასის წარმოდგენამ მაყურებლისა და პრესის მაღალი შეფასება მიიღო. გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ (№ 136, 1938, 11 ნოემბერი) წერდა, რომ თეატრმა შექმნა რეალისტური სპექტაკლი, რომელშიც ნათლად აისახა ამიერკავკასიაში მშრომელთა შეუპოვარი ბრძოლა თვითმპყრობელობის ბარბაროსობის წინააღმდეგ. „ფარდის გახსნიდან უკანასკნელ მომენტამდე შეუჩვენებელი ყურადღებით უცქერის მაყურებელი საუცხოო სცენურ კადრებს, რომლებიც გამოცდილი ოსტატის ხელით არის შესრულებული. ყველა სათეატრო აქსესუარი რეჟისორს მიზანშეწონილად გამოუყენებია იმისათვის, რომ სპექტაკლი ყოფილიყო რევოლუციური განწყობილების გადმომცემი, ისტორიულად სწორი, მხატვრულად მაღალხარისხოვანი“.

მსახიობებიდან, როგორც გაზეთი აღნიშნავდა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია ლადო კეცხოველის როლის შემსრულებელს, ახალგაზრდა მსახიობს ვ. მეგრელიშვილს. კარგად უთამაშნიათ ა. ზარდალიშვილს (გამცემი ნიბლიაშვილი), ა. მურუსიძეს (როტმისტრი ლავროვი), ვ. ჩხიკვაძეს („კონკის“ მუშა), შ. ხონელის (მელიპონათე ვანუა), თ. ღვინიაშვილს (ოლდა), ლ. შენგელიას (როტმისტრი რუჩი), კ. აბესაძეს (ჯაშუში გოროზი) და სხვ.

დასისა და მისი ხელმძღვანელების მონდომებულ, ენერგიულ მუშაობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სეზონის განმავლობაში 9 ახალი დადგმა განხორციელდა. სულ 200 წარმოდგენა გაიჰართა. ასეთი ნაყოფიერი მოღვაწეობა უფლებას აძლევდა ქუთაისის თეატრს ჩამდგარიყო რესპუბლიკის მოწინავე თეატრების რიგში. სწო-



რედ ამას აღნიშნავდა სათეატრო სეზონის დამლევს გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ (№ 120, 1939, 28 მაისი). „თავისი მუშაობის პირველი წლის მანძილზე ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი მოწინავე თეატრია ჩვენს რესპუბლიკაში“.

გარდა „ლადო კეცხოველისა“, თეატრმა დადგა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, შ. დადიანის „გუშინდელი“, ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“.

რუსული დრამატურგია რეპერტუარში წარმოდგენილი იყო სამი ნაწარმოებით: მ. გორკის „მტრები“, ს. ნაიდენოვის „ვანიუშინის ოჯახი“ და ძმ. ტურებისა და შეინინის „გენერალური კონსული“. უცხოური დრამატურგიიდან დაიდგა უ. შექსპირის „ოტელო“. ამრიგად 9 დადგმიდან 5 ქართული ორიგინალური ნაწარმოები იყო.

ღირსეული შეფასება მიიღო პ. კაკაბაძის კომედიის „კოლმეურნის ქორწინების“ დადგმამ (რეჟისორი გ. სულიაშვილი, მხატვარი კ. სანაძე, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი). გაზეთ „კომუნისტში“ (№ 27, 1939, 1 თებ.) დ. ჯანელიძე წერდა, რომ „კომედია მეოცეჯერ იღვმება და დარბაზი ისევ სავსეა. ჩანს, თეატრს მაყურებლის ნდობა და სიყვარული დაუმსახურებია, ჩანს, ეს სპექტაკლიც ღირსეულად არის გამართული, მიმზიდველია და მომხიბვლელი“. დ. ჯანელიძის რეცენზიაში აღნიშნული იყო როლების კარგი შესრულება ვ. ჩხიკვაძის, კ. აბესაძის, შ. ხონელის, ა. მურუსიძისა და სხვათა მიერ.

თეატრის მნიშვნელოვან გამარჯვებად ჩაითვალა ვ. გაბესკირიას პიესის „მათი ამბავის“ დადგმა. რომელიც დ. ანთაძემ განახორციელა. ნაწარმოებში ასახული საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრება, მისი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, მაღალმხატვრულ დონეზე წარმოსახეს მსახიობებმა: ი. ზარდალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, ა. მურუსიძემ, ც. ამირეჯიბმა, ვ. მეგრელიშვილმა, გ. ნაცელიშვილმა, თ. ღვინიაშვილმა და სხვ.

თეატრმა ა. იმედაშვილის მონაწილეობით უჩვენა უ. შექსპირის ტრაგედია „ოტელო“, დადგმა ეკუთვნოდა დ. ანთაძეს, მხატვრობა კ. სანაძეს, მუსიკა თ. ვახვახიშვილს. ოტელოს როლს ასრულებდა ა. იმედაშვილი, იაგოს — ი. ზარდალიშვილი, დეზდემონას — თ. ღვინიაშვილი, ემილიას — ც. ამირეჯიბი. დადგმამ დიდი წარმატება მოიპოვა. ა. იმედაშვილის მიერ ოტელოს როლის მაღალნიჭიერ შესრულებას საკავშირო პრესაც კი გამოეხმაურა.

აღსანიშნავია, რომ თეატრში ჩამოყალიბდა თოჯინების თეატრის პატარა ჯგუფი, რომელმაც დადგა ა. ბელიაშვილის პიესა „თეთრა“.

ქურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, როდესაც 1938—1939 წლების რესპუბლიკის სათეატრო სეზონის შედეგებს აჯამებდა, ქუთაისის თე-

ატრზე წერდა: „ქუთაისის სახელმწიფო თეატრი წელს ისევ გაიხსნა, მაყურებელმა ისევ ნახა თავისი საყვარელი თეატრი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში წელს მხოლოდ ქუთაისის თეატრმა შეძლო კარგი და ჭანსალი რეპერტუარის შექმნა. ცხრა ახალი ორიგინალური და თარგმნილი პიესა, რომელიც თეატრმა უჩვენა, მოწმობს, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ სერიოზულად და ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი, დაიმსახურა მაყურებლის პატივისცემა“.

გ. ჭიბლაძის „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ და ქუთაისის თეატრი. გიორგი ჭიბლაძის კაპიტალურ ნაშრომში „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ გაშუქებულია ქუთაისის თეატრის განვითარების ეტაპები. აქ ყურადღების ცენტრშია ქუთაისის თეატრის 1938—1939 წლების სეზონი, რომელიც წიგნის ავტორს ქუთაისის თეატრის შემოქმედებითი ზრდის ახალ, მნიშვნელოვან ეტაპად მიაჩნია. იგი სეზონის პირველი სპექტაკლის შესახებ აღნიშნავს: „ახალგაზრდა შემოქმედებითს კოლექტივს, რომელსაც უნდა განეგრძო ქუთაისის თეატრის გზა და წარმატებები მოეპოვებია, სათავეში ჩაუდგა ცნობილი რეჟისორი დოდო ანთაძე. დაიწყო შემოქმედებითი პათოსით აღსავსე მუშაობა ქუთაისის განახლებულ თეატრში. აქტიორული ძალების მხრივ, 1938—1939 წლების სეზონი უნდა წაეყვანათ უმთავრესად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელ მსახიობებს, მაგრამ იყვნენ ქართული თეატრალური ხელოვნების საკმაოდ ძლიერი ძველი წარმომადგენლებიც და რამდენიმე თვალსაჩინო ოსტატიც. ეს იძლეოდა სრულ საფუძველს ახალი თეატრის კოლექტივი გადაქცეულიყო სერიოზულ შემოქმედებითს ძალად. ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო რეპერტუარის შერჩევა და არჩევანი პირველი პიესისა, მას შეეძლო საფუძველი ჩაეყარა ავტორიტეტის მოპოვების, ან შემოქმედებითი პრესტიჟის დაცემისათვის. პირველ პიესად თეატრმა აირჩია „ლადო კეცხოველი“, შედარებით ახლო წარსულის თემა, და შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისათვის ხსენებულ ნაწარმოებზე ტყუილ-უბრალოდ არ შეჩერებულა თეატრის არჩევანი. ეს იყო დრამატული მოთხრობა რევოლუციონერზე, რომელიც ხალხის სამსახურში დაიღუპა... სპექტაკლმა, მიუხედავად არაერთი ნაკლისა, გაიმარჯვა. იგი გადაიქცა ახალგაზრდა თეატრის შემოქმედებითი იმპულსის ნიშანსვეტად, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ თეატრალური კოლექტივის ტრადიციას“...

გ. ჭიბლაძე აქებს პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინების“ დადგმას. იგი წერს: „კომედიაში ავტორმა და თეატრმა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს უქნარა, ზარმაცი ადამიანები, რომლებიც ხელს უშლიან ახალი ცხოვრების წინსვლას“...

გ. ჭიბლაძე ამომწურავად იხილავს ქუთაისის ახალი თეატრის პირველი სეზონის დანარჩენ დადგმებსაც, აგვიწერს მსახიობთა თამაშს და საერთოდ ამ სეზონის სრულ სურათს წარმოგვიდგენს.

გაზეთ „ქუთაისში“ (№ 46, 1962, 6 მარტი) დაიბეჭდა დ. გედენიძის სტატია გ. ჭიბლაძის წიგნზე. მასში განსაკუთრებით იყო აღნიშნული ის ფაქტი, რომ გ. ჭიბლაძემ ფართოდ გააშუქა თავისი მშობლიური ქალაქის თეატრის ისტორია. დ. გედენიძე წერს: „ქართველმა მკითხველმა გიორგი ჭიბლაძის შესანიშნავი ნაშრომი „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ გულთბილად მიიღო, ქუთაისელებმა კი იმათაც გაეხარათ, რომ ნაშრომში ფართოდ და ყველასადმი მისაწვდომად არის აღწერილი ჩვენი ქალაქის თეატრის ისტორიული განვითარების გზები“.

**1939—1940 წლების სეზონი.** ქუთაისის თეატრს არც შემდეგ შეუწელებია შემოქმედებითი წინსვლა. 1939-40 წლების სეზონში ნაჩვენები იყო 7 ახალი დადგმა. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა შ. დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“ (დადგმა დ. ანთაძისა და გ. სულიაშვილისა). ამ ცნობილ ისტორიულ-რევოლუციურ ნაწარმოებში ვ. ი. ლენინის სცენური სახე შექმნა მსახიობმა მ. სვანიძემ, ი. ბ. სტალინის — ა. კალანდარიშვილმა.

დიდი წარმატება ხვდა წილად ს. შანშიაშვილის ღრამას „გიორგი სააკაძის“, როპლის დადგმა ეკუთვნოდა დ. ანთაძეს, მხატვრობა დ. ძნელაძეს, მუსიკა თ. ვახვახიშვილს. დიდი მოურავის როლი შეასრულა ვ. მეგრელიშვილმა. ამ როლის თამაშით ახალგაზრდა მსახიობმა საბოლოოდ დაიმკვიდრა წამყვანი მსახიობის სახელი. დ. ანთაძე თავის მოგონებებში წერს, რომ „ვ. მეგრელიშვილი ამ როლში გამოირჩეოდა თავისი მშვენიერი ბუნებრივი მონაცემებით — სცენური გარეგნობით, თბილი და ხვეწილი ხმით, გულწრფელობითა და დამაჯერებლობით“. ასევე შესანიშნავად ასრულებდნენ როლებს ც. ამირეჯიბი (გიორგის დედა), მ. გელაშვილი (თექლე), გ. ნაცვლიშვილი (მეფე ლუარსაბი), ა. იმედაშვილი (შადიმან ბარათაშვილი), ი. ზარდალიშვილი (შაჰ-აბასი), თ. ღვინიაშვილი (ქეთევან დედოფალი). დადგმა რეალისტური სიმართლითა და ბუნებრივობით გამოირჩეოდა. გ. ჭიბლაძე თავის ზემოაღნიშნულ ნაშრომში ასე ახასიათებდა „გიორგი სააკაძეს“: „შეძლო თუ არა მაქსიმალური ზომიერებისა და ბუნებრივობის შენარჩუნება დიდმა მოურავმა ქუთაისის სცენაზე? ვინც ეს სპექტაკლი ნახა, მისთვის სრულიად უეჭველი იყო, რომ რეჟისორი დიდო ანთაძე სწორედ ამ ბუნებრივობისა და ზომიერების თვალსაზრისით მიუდგა „გიორგი

სააკაძის“ ჩვენებას. ამიტომ ჩვენ მივიღეთ რეალისტურ-რომანტიკული სპექტაკლი, წარსულის დამაჭერებელი პეროიკა“...

აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. ჭიბლაძე ამ პერიოდში ქუთაისში მუშაობდა გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ რედაქტორად. და თავისი სრულფასოვანი რეცენზიებით იგი დიდად უწყობდა ხელს თეატრის მუშაობას.

დ. ანთაძემ ამავე სეზონში დადგა ს. კლდიაშვილის ახალი კომედია „გრადის ქვრივი“, გ. სულიაშვილმა კი განახორციელა, ა. წერეთლის დრამატული პოემა „პატარა კახი“.

**თეატრის იუბილე.** 1940 წლის თებერვალში სამოცი წელი შესრულდა ქუთაისში პირველი პროფესიული დასის დაარსებიდან, როგორც ვიცით, ეს დასი 1880 წელს შედგა და სეზონი გახსნა ხარაზიშვილის ბიერ ავტობუს მენობაში.

ქუთაისის თეატრმა ეს ისტორიული თარიღი აღნიშნა დიდი საზეიმო საღამოთი, სათეატრო სეზონის დამთავრებისას, 1940 წლის 1 ივლისს. იუბილეს წინ ჩატარდა დეკადა. დეკადის დღეებში დასმა უჩვენა თავისი საუკეთესო სპექტაკლები. თეატრის ფოიეში მოეწყობა სპეციალური გამოფენა, რომელიც კოლექტივის განვლულ წლებზე მოგვითხრობდა. გამოიკა პატარა კრებული „ქუთაისის თეატრი 1880—1940“. იუბილეს დღეს გამოვიდა ერთდროული ექვსგვერდიანი გაზეთი „ქუთაისის თეატრი“.

იუბილეს ფართოდ გამოეხმაურა რესპუბლიკური პრესა. გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება ქუთაისის თეატრისათვის ლადო მესხიშვილის სახელის მიკუთვნების და ქუთაისის თეატრის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა დოდო კონსტანტინეს ძე ანთაძეს და იუზა ფრანცის ძე ზარდალიშვილს; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა — კომპოზიტორ თამარ ნიკოლოზის ასულ ვახვახიშვილსა და რეჟისორ გრიგოლ სოგრატის ძე სულიაშვილს; რესპუბლიკის დამსახურებული არტისტისა — ეკატერინე (ცაცა) გიორგის ასულ ამირეჯიბს, ანდრია ისიდორეს ძე მურუსიძეს, ვარლამ ნესტორის ძე ჩხიკვაძეს და შალვა სიმონის ძე გოგოლაშვილს (ხონელს).

რიგი მუშაკებისა დაჯილდოვდნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

საიუბილეო საღამოზე ვრცელი მოხსენებით „ქუთაისის თეატრის 60 წელი“ გამოვიდა გ. ჭიბლაძე, თეატრს იუბილე მიულოცეს ა. ვასაძემ, შ. ლაშვაშიძემ, ბ. ელენტიამ და სხვებმა.

ამავ 1940 წლის შემოდგომაზე თეატრმა აღნიშნა ლადო მესხი-  
შვილის გარდაცვალების 20 წლისთავი. „ინდუსტრიულმა ქუთაისმა“  
საგანგებო გვერდი უძღვნა გამოჩენილი მსახიობის ხსოვნას.

1940—1941 წლების სეზონი. ეს სეზონიც ნაყოფიერი გამო-  
დგა. აჩვენეს 9 ახალი სპექტაკლი, რომლებიც განახორციელეს დ.  
ანთაძემ, გ. სულიაშვილმა და ს. ოყრეშიძემ.

ლიოს შესანიშნავი იყო ს. კლდიაშვილის კომედია „უქანასკნელი  
ჩაინდი“ (დადგმა გ. სულიაშვილისა, მხატვარი ს. ნადარეიშვილი,  
მუსიკა თ. ვახვახიშვილისა), რომელიც მწვავე სატირული მახვილით  
აშკარააგებდა წარსულს — მენშევიკების უღლეურ ბატონობას სა-  
ქართველოში.

„მეფე ლირი“. მნიშვნელოვან მხატვრულ მიღწევას წარმოად-  
გენდა უ. შექსპირის ტრაგედიის „მეფე ლირის“ დადგმა. იგი დ. ან-  
თაძემ განახორციელა. მხატვარი — დ. კაკაბაძე, კომპოზიტორი —  
კ. მეღვინეთუხუცესი. დ. ანთაძე თავის მოგონებებში „დღეები ახლო  
წარსულსა“ „ლირის“ დადგმის შეახებ წერს: „ჩვენ თეატრს შემ-  
თხვევით არ შეუჩერებია არჩევანი „მეფე ლირზე“. დასის შესანიშ-  
ნავი წევრი ა. იმედაშვილი წლების მანძილზე მუშაობდა ლირის  
სცენურ განსახიერებაზე“. მისი სიტყვით ა, იმედაშვილი ლირის რო-  
ლზე 1926 წლიდან მუშაობდა და თავისებურად ჰქონდა მოფიქრე-  
ბული ტრაგედიის ტექსტის მონტაჟი. იგი ისე იყო გაკეთებული,  
რომ ძირითადი აქცენტი მხოლოდ ლირზე იყო გადატანილი. დ. ან-  
თაძეს კი განუზრახავს შეექმნა ძლიერი ანსამბლური სპექტაკლი,  
სადაც მთავარი შემოქმედებითი სცენური სახეებიც საკმარისად იქ-  
ნებოდა გამოყვანილი.

„მეფე ლირის“ მონტაჟის დროს, — წერს მოგონებებში დ. ანთა-  
ძე, — ჩვენ ვხელმძღვანელობდით შემდეგი პრინციპით: ვამცირებ-  
დით გრძელსა და გაჭიანურებულ ადგილებს, რა თქმა უნდა, ისე, რომ  
არ დაგვერღვია მოქმედების მთლიანობა. გარდა ამისა, ამოვიღეთ  
ზოგი სცენა, რომლის შინაარსს შემდეგ მოგვითხრობს ესა თუ ის  
პერსონაჟი. ზოგი სცენა დავტოვეთ, ხოლო თხრობითი განმეორება  
შევამოკლეთ.

მონტაჟი მით უმეტეს აუცილებელი იყო, რადგან „მეფე ლირი“,  
როგორც ვიცით, ერთობ დიდია და შეუძლებელია მისი შეუმოკლებ-  
ლად წარმოდგენა“.

დ. ანთაძე გვაცნობს, თუ როგორ გაიაზრა მან რეჟისორულად  
„მეფე ლირის“ დადგმა: „უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო თე-  
ატრს გაერკვია, თუ როგორ უნდა გაეხსნა ეს ნაწარმოები, რათა ხა-  
ზი გაეხსნა იმ სოციალური მოტივებისათვის, რაც ბურჟუაზიულ თე-  
ატრში ჩვეულებრივად მიჩქმალულია. „მეფე ლირში“ ნაჩვენებია

ფეოდალური წყობის დეგრადაცია, მოცემულია მისი შეჯახება კაპიტალისტურ წყობასთან, ძველისა და ახლის შერყინება. შექსპირი... გვიჩვენებს მდიდარი, ამაყი, დესპოტური პიროვნების მსხვერვის, ლოგიკურად მიჰყავს თავისი გპირები იმ დასკვნამდე, რომ „ეს ქვეყანა უსამართლოდ არის მოწყობილი“, რომ არსებობენ ძლიერი და საწყალები, რომ დიდი განსხვავებაა მდიდარსა და ღარიბს შორის. დამარცხების შემდეგ ლირი შეიძენს ახალ გარემოს — ადამიანურ სიმართლეს, მის შინაგან ბუნებაში ხდება მორალური ევოლუცია“...

ლირის როლის შემსრულებელი ა. იმედაშვილი გაზეთ „კომუნისტში“ (№ 142, 1941, 19 ივნ. — სტატია „მეფე ლირი“) წერდა, თუ როგორ მუშაობდა ლირის როლზე. მსახიობმა ამ როლში დაინახა სამი ხასიათი — ლირი—მეფე გულზვიადი, ამპარტავანი და დესპოტი, ლირი—ადამიანის შემცოდებელი და გარძნობიარე და ლირი—უსაზღვრო შამობრივი საყვარულით მოცული. „ვეცადე როლა ისე დამემუშავებინა, — წერდა ა. იმედაშვილი, — რომ ეს სამი ცელილება ლირის არსებაში (მეფე, ადამიანი, მამა) ტრავედიის მსვლელობაში თანდათანობით, ხაზგასმით და სრულყოფით გამომეხატა“. შეიქმნა შესანიშნავი ანსამბლური სპექტაკლი, რომელშიც სამახიობო ოსტატობით ბრწყინავდა ა. იმედაშვილი. მაგრამ სხვა შემსრულებლებიც თამაშის ხარისხით წარმატებით ცდილობდნენ გვერდში ამოდგომოდნენ ნიჟიერ ოსტატს. ესენი იყვნენ: ც. ამირეჯიბი (გონერილა), თ. ლვინიაშვილი (რეგანა), მ. გელაშვილი (კორდელია), ვ. მეგრელიშვილი (ედგარი), ვ. კინწურაშვილი (ედმუნდი), მ. სვანიძე (ხუპარა) და სხვ.

ქუთაისელმა მაყურებელმა ალტაცებით მიიღო წარმოდგენა.

გ. ჯიბლაძემ გაზეთ „კომუნისტში“ (№ 145, 1941, 22 ივნ.) დაწვრილებით გაარჩია „მეფე ლირის“ დადგმა, ღირსეული შეფასება მისცა როლების ცალკეულ შემსრულებლებს, განსაკუთრებით ა. იმედაშვილს და აგრეთვე დამდგმელ რეჟისორს დ. ანთაძეს. „როცა „მეფე ლირს“ უყურებთ. — წერდა იგი. — თქვენ წინაშე ბუნებრივად წარმოსდგება ამ ტრავედიის თეატრალური განსახიერების მთელი სირთულე და უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც პირველყოვლისა რეჟისორ დოდო ანთაძის წინაშე იდგა. სპექტაკლის წარმატება თავისთავად მეტყველებს დამდგმელის და საერთოდ ანსამბლის გამარჯვებაზე. მთელი სპექტაკლი დიდი ოსტატობით არის დადგმული“.

ა. იმედაშვილის თამაშით მოხიბლულმა ქუთაისელმა პოეტმა გიორგი გიჟელმა ლექსიც კი უძღვნა სცენის ნიჟიერ ოსტატს:

...ხან ზვიადი ხარ, ფრთა შეპართული,  
მაწყევარი და მგმობი ყოველთა,

აჯანყებული ზენარის კრულით  
მშობლის სიკეთის უარყოფელთა.

ხანაც ბრძენი ხარ, სიციცხლე იცან  
და შენი ყოფა ღმერთს შეადარე,  
ხან შეშლილი ხარ და სკიპტრის ნაცვლად  
თავზე ყვავილთა გვირგვინს ატარებ.

ხან შენი გული, შხამში ნალესი,  
ნაცემი ბავშვის ცრემლებით ტირის,  
ხან სათნოება ხარ უმალღესი  
და ორეული განდევნილ ღირის.

ააქვითინე დარბაზი, სცენა...

გმობილს გაგიშრა სიციცხლის ძირი,  
გეყო ღუმელი, მწუხრი და თმენა —  
იტირე, როგორც ტირიდა ღირი.

და შენი ცეცხლი, ღველფში მთვლემარე,  
ხანძრად ეღება მღუმარე პარტერს,  
შეგუყურებს თვალნი, მწუხარ-მღიმარე  
და ათიათას სიციცხლეს გმატებს“.

ა. იმედაშვილმა ღირის როლი სულ 15-ჯერ ითამაშა, უკანასკნელად კი — თბილისში, თეატრის გასტროლების დროს. ამის შემდეგ იგი სცენაზე აღარ გამოსულა — მძიმე სენმა ლოგინად ჩააგდო და სიციცხლეს გამოასალმა.

დამთავრდა ქუთაისის თეატრის ახალი დასის მესამე სეზონი. იგი უღრესად ნაყოფიერი იყო.

**გასტროლები თბილისში.** სეზონის დამთავრების შემდეგ თეატრი თბილისის გაემგზავრა თავისი საუკეთესო წარმოდგენების გასამართავად. გასტროლების წინ ქუთაისის თეატრის შემადგენლობა ასეთი იყო: დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი დ. ანთაძე, რეჟისორები — გ. სულიაშვილი და ს. ოყრეშიძე, კომპოზიტორი თ. ვახვახიშვილი, მხატვარი ვ. ცომაია; დირიჟორი გ. მარჯანიშვილი; სალიტერატურო ნაწილის გამგე გ. ნაფეტვარიძე; სცენის ინსპექტორი ე. კანდელაკი; სადადგმო ნაწილის გამგე ი. იაქაშვილი; რეჟისორის თანაშემწენი: მ. შალამბერიძე და გ. ჯიბუტი; მოკარნახენი: ა. ირემაძე და ნ. თოღაძე; მსახიობი ქალები: ც. ამირეჯიბი, პ. გაბუნია, მ. გელაშვილი, ს. ვაჩნაძე, ე. ვერუღიშვილი, თ. კიკნაძე, თ. ღვინიაშვილი, მ. ყორაოლიანი, მ. ფხაკაძე, ა. ქავჭანიძე, თ. ჯობაძე, ნ. ლეჟავა, ნ. ქაჯია, ნ. წინამძღვარი; მსახიობი ვაჟები — კ. აბესაძე, მ. ბინიაურიშვილი, ვ. გვენცაძე, ა. გვენცაძე, გ. გოგიჩაიშვილი, ა. ვაშაკიძე, ბ. თევზაძე, ი. ზარდალიშვილი, ა. იმედაშვილი, ე. იმედაძე, დ. კასრაძე, ვ. კინწურაშვილი, შ. კიკნაძე, ბ. კოკელაძე, გ. კოკელაძე, ა. კობალაძე, ა. მურუსიძე, ვ. მეგრელიშვილი, ა. მამრიკიშვილი, გ. ნაც-

ვლიშვილი, ი. ოსაძე, შ. პირველი, ს. სვანიძე, შ. სადრაძე, ი. სალალი-  
 შვილი, თ. ტატიშვილი, პ. უგრეხელიძე, შ. ფულარიანი, შ. ქარცივა-  
 ძე, ვ. ჩხიკვაძე, შ. ხონელი, იპ. ხეიჩია; დამხმარე შემადგენლობა: ქა-  
 ლები — მ. ახვლედიანი და ვ. ჭანგავაძე; ვაჟები — ი. ამშეკაშვილი, ნ.  
 ბაბუნაშვილი, დ. ბებერაშვილი, მ. გოქაძე, შ. ესაძე, შ. მამისიეშვილი,  
 ლ. მილორავა, გ. თოხაძე, ე. შოთაძე, ვ. წერეთელი, ი. ჯაში. ორკეს-  
 ტრი: ი. ბარბაქაძე, ნ. ბოიკოვი, ვ. ბოდოკია, თ. გრიგორევი, გ. დეი-  
 საძე, ო. ვერბიციკაია, ვ. მარჯანიშვილი, ა. მიხევევი, ა. თუმანოვი, ი.  
 ლიტვაკი, გ. ტიხონოვი, ს. ტიხოვი, ა. პერასკი, ა. შალამბერიძე.  
 დირექტორის მოადგილე გ. კუპატაშვილი, მთავარი ადმინისტრ-  
 ატორი ა. ბეთანელი, საქმეთა მმართველი მ. ჩიქოვანი, მთავარი  
 ბუხპალტერი ვ. ბოჭორიშვილი, ბუხპალტერი დ. ნამჩევაძე. მოანგა-  
 რიშე ს. ფილოპოვა, მოლარე-ინკასატორი მ. ამშეკაშვილი, მოლარე  
 ნ. მდივანი, მოლარე ტ. თუთაშვილი, სამნეო ნაწილის გამგე შ. სვა-  
 ნიძე. საწყობის გამგე კ. გიორგობიანი, სახანძრო დაცვის უფროსი  
 ე. ნინიძე; უფროსი მეხანძრე ს. კაკიტელაშვილი, მეხანძრეები ი. არ-  
 ჩვაძე, ი. ხატეველი; დარაჯი ონისიმე დადიანი, სცენის მემანქანე ბ.  
 მჭედლიშვილი, მისი თანაშემწე სერგო ჭელიძე, სარეკვიზიტო სააპ-  
 ქროს გამგე ი. ნინიაშვილი, სცენის მუშები—ვ. ბოჭორიძე, ქ. სვიმო-  
 ნიშვილი, ვ. თავდიდიშვილი, დ. სანდუხაძე, ი. სანდუხაძე, ი. ირემა-  
 ძე, ს. ოყრეშიძე, ა. კუხიანიძე, ა. კოკაია, ელგამნათებელი მ. ავალი-  
 ანი, მისი თანაშემწე ნ.ქობალიანი, მისი მოწაფეები ა. ირემაძე და ო.  
 ნიჟარაძე, ბუტაფორი ა. ტოგონიძე, რეკვიზიტორი ი. ალხაზიშვილი,  
 მისი თანაშემწე ჭ. ძოდუაშვილი, გარდერობის გამგე ა. გაფრინდაშ-  
 ვილი, გამომკრელ-მკერავეები ლ. აბაკელია, მ. კობერიძე, მკერავი ი.  
 დარსაძე, ჩამკმელი ლ. ხელაძე, გრიმიორი გ. კირვალიძე.

გასტროლები თბილისში დაიწყო 20 ივნისს „მეფე ლირით“. ამ  
 წარმოდგენამ დიდი წარმატება მოიპოვა. მეორე დღეს დასმა ასევე  
 წარმატებით წარმოადგინა მ. გორკის „მტრები“. 22 ივნისს დანიშ-  
 ნული იყო შ. დადიანის „გუშინდელნი“, მაგრამ არ შედგა.

გამოცხადდა ომი, გასტროლებისათვის აღარავის ეცალა. დასი  
 ქუთაისში დაბრუნდა. თეატრის ხელმძღვანელი დ. ანთაძე, რომელ-  
 მაც გასტროლები შესანიშნავად მოამზადა, გასტროლების პირველ  
 დღესვე გახდა ავად და ავადმყოფობის გამო ოთხი თვით ჩამოშორდა  
 თეატრს.



## XI. დიდი სამამულო ომის წლები

თეატრის ამოცანები. დიდ სამამულო ომს დაემორჩილა საბჭოთა ქვეყნის მთელი საწარმოო ძალები და საშუალებანი. ჩვენი ხალხის აზრი და გონება.

თეატრის რეპერტუარიც აუცილებლად ისე უნდა შერჩეულიყო, რომ ყოველ წარმოდგენას პატრიოტული გრძნობა განემტკიცებინა მაყურებელში.

ქუთაისის თეატრმა პირნათლად შეასრულა ეს პატრიოტული ამოცანა, სამამულო ომის ოთხი თეატრალური სეზონი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა.

ომის წლებში თეატრის აქტიურ მოღვაწეობაზე წერს თავის მოგონებებში მისი ხელმძღვანელი დ. ანთაძე: „გარდა იმისა, რომ ჩვენ თეატრში მიძღინარებოდა ძალზე დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა, — ძირითადად იღვმებოდა თანამედროვე და კლასიკურ-პატრიოტული პიესები, — თეატრის მუშაკები ეწეოდნენ დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას: ვაწყობდით გასვლით სპექტაკლებს ფაბრიკებში, ქარხნებში და კოლმეურნეობებში. კონცერტების სახით მომსახურებას ვუწევდით ჰოსპიტლებს, ვმონაწილეობდით აგრეთვე ქალაქის თავდაცვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. ყოველივე ამას ჩვენი თეატრის კოლექტივი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითა და წრფელი პატრიოტული გრძნობით აკეთებდა, ხალისითა და დაუზარებლად“.

მართალია, დღიდან ომის დაწყებისა, როგორც აღვნიშნეთ, თეატრის ხელმძღვანელი დ. ანთაძე ავად გახდა და შემოდგომამდე თეატრში არ მუშაობდა, მაგრამ დასმა მაინც ორგანიზებულად წარმართა საქმე. სეზონის გახსნამდე ორი ახალი ნაწარმოები მოაშუადა: ფ. ვოლფის „პროფესორი მამლოკი“ (დადგმა გ. სულიაშვილისა) და კ. სიმონოვის „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“ (დადგმა ს. ოყრეშიძისა), ორივე ნაწარმოები სავსებით შეეფერებოდა თეატრის მიერ დასახულ ამოცანას.

1941—1942 წლების სეზონი. სათეატრო სეზონი გაიხსნა 23 აგვისტოს სპექტაკლით — „პროფესორი მამლოკი“. ეს ცნობილი ანტიფაშისტური ნაწარმოები მაყურებელმა კარგად მიიღო. პროფესორის მთავარი როლი შეასრულა ვ. მეგრელიშვილმა. როგორც გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ (№ 207, 1941, 2 სექტ.) წერდა, პროფესორის როლი მსახიობს სწორად გაეგო და გამოესახა. გაზეთი აქებდა სხვა მსახიობებსაც: ც. ამირეჯიბს (ელენე), ს. ვაჩნაძეს (ინგა), შ. პირველს (პელბახი), ა. მურუსიძეს (კარლსონი) და სხვ.

განკურნების შემდეგ დ. ანთაძემ მოამზადა და 3 ნოემბერს მაყურებელს უჩვენა ვ. დარასელის დრამა „კიკვიძე“, რომელიც ასევე საკვებით შეეფერებოდა არსებულ ვითარებას. პიესის მთავარი გმირია სამოქალაქო ომის გამოჩენილი სარდალი ვასილ კიკვიძე. იგი ებრძვის თეთრგვარდიელებს, რომლებიც უცხოელ დამპყრობთა შემწეობით დათარეშობენ რუსეთის მიწა-წყალზე. გაზეთი „კომუნისტი“ (№ 286, 1941, 3 დეკ.) ამ დადგმის შესახებ ვაჭყობინებს: „...კიკვიძე“ ერთი იდეური ძაფით შეკრული, ბუნებრივი შესრულებით ბოლომდე მთლიანი გმირული სპექტაკლია, რომელიც მაყურებელს უნერგავს მხურვალე პატრიოტულ გრძნობებს სოციალისტური სამშობლოსადმი, სიყვარულს მისი გმირებისადმი, აღაგზნებს თავდადებული ბრძოლისათვის მტრების შესამუსრავად. ამაშია სარეცენზიო სპექტაკლის წარმატების საიდუმლოება და ამიტომ არის, რომ მაყურებელი მას ასე სიყვარულით ეხმაურება“.

მაყურებელი მართლაც ძალიან ეტანებოდა ამ სპექტაკლს. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც კარგად ახსოვდათ ქუთაისში დაბადებული და აღზრდილი ვასილ კიკვიძე. სპექტაკლში კიკვიძის როლს ასრულებდა ახალგაზრდა მსახიობი დ. კასრაძე.

სამამულო ომის პირველი წლების სათეატრო სეზონში თეატრმა 12 ახალი დადგმა განახორციელა. ამ დადგმებიდან მეტი წილი უპასუხებდა საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირულ ბრძოლას გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, სოლო ზოგიერთი უშუალოდ აგვიწერდა ამ ბრძოლას. მაგალითად: ვ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, და ძმ. ტურებისა და შეინინის „მშობლიური მიწა“.

დრამატურგმა ივ. მდივანმა პიესა „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ სამამულო ომის პირველ დღეებში დაწერა. მასში მკაფიოდ იყო გაშთხატული საბჭოთა ხალხის თავდადება სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ (№ 69, 1942 მარტი) აქებდა რეჟისურას (დ. ანთაძე და ს. ოყრეშიძე), რომელმაც „პატრიოტული ჰეროიკით აღსავსე სპექტაკლი შექმნა“. გაზეთი აქებდა ი. ზარდალიშვილს ჭაღარა მემანქანის გიორგი გიგაურის როლში, რომელ-

მაც „სწორად განასახიერა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტის სულისკვეთება, მისი მზადყოფნა—მსხვერპლად შეეწიროს სამშობლოს ღირსების დაცვას“... გაზეთი აგრეთვე იწონებდა ა. კობალაძეს ახალგაზრდა ოთარ გიგაურის როლში.

1942—1943 წლების სეზონი. სეზონში თეატრმა 7 ახალი დადგმა განახორციელა, მათ შორის ვ. როკის „ინჟინერი სერგეევი“, გ. მდიუნის „პარტიზანები“, კაცის და რეჟისორის „ოლეკო დუნდიჩი“, ა. სუშბათაშვილის „ლალატი“ და მოლიერის „გააზნაურებული მღაბი“.

„ინჟინერი სერგეევი“ და „პარტიზანები“ აგვიწერდნენ დიდი სამამულო ომის სურათებს, საბჭოთა ხალხის თავგანწირვას. „ოლეკო დუნდიჩი“ გვიხატავდა დუნდიჩის გმირულ ბრძოლას სამოქალაქო ომში. ოლეკო დუნდიჩი სერბიელი ოფიცერი იყო, სამოქალაქო ომის დაწყებისას წითელ არმიას მიემხრო და სახელი მოიხვეჭა როგორც მამაცმა, თავდადებულმა მებრძოლმა.

ეს პიესები დიდი მოწონებით სარგებლობდა, პატრიოტულ გრძნობებს უღვივებდა მაყურებელს.

ა. იმედაშვილი. 1942 წლის 25 სექტემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქუთაისის თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ალექსანდრე სოლომონის ძე იმედაშვილი. ეს დიდი დანაკლისი იყო არა მარტო ქუთაისის თეატრისათვის, არამედ საერთოდ ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის. ა. იმედაშვილი დაიბადა 1882 წელს თბილისში, აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. თეატრით სიყრმიდანვე გატაცებული იყო და რომ წამოიზარდა, მსახიობობა აირჩია პროფესიად. 1900 წელს მონაწილეობა მიიღო თბილისის დრამატული დასის საცდელ წარმოდგენაში, გამოცდა წარმატებით ჩააბარა და ჩარიცხეს კიდევაც დასში. 1902—1903 წწ. სეზონში მიწვეული იყო ქუთაისის დრამატულ დასში. შემდეგი სეზონიდან ვიდრე 1909 წლამდე თბილისის დასში მოღვაწეობდა, ხოლო 1909 წლიდან 1913 წლამდე ქუთაისის დასში. 1913 წლიდან 1916 წლამდე კვლავ თბილისს დაუბრუნდა. 1916 წელს ისევ ქუთაისში მოღვაწეობდა მსახიობად და რეჟისორად. 1920 წლის ზაფხულში მიწვეული იქნა თბილისის ახლადშექმნილ დრამატულ დასში. ამრიგად, რევოლუციამდე პერიოდში ა. იმედაშვილი თავის შემოქმედებას თანაბრად უჩვენებდა თბილისისა და ქუთაისის მაყურებლებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1925—1926 წლებში, კვლავ ქუთაისში მოღვაწეობდა რეჟისორ-ხელმძღვანელად და მსახიობად. 1928—1929

წლებში ქუთაისშივე მუშაობდა მეორე სახელმწიფო თეატრის მსახიობად. 1939 წელს მიწვეული იყო ქუთაისის ახლადშექმნილ დასში.

ა. იმედაშვილი ფართო დიპაზონის მსახიობი იყო. ბრწყინვალედ თამაშობდა კლასიკურ ტრაგედიებში (ოტელო, ლირი, მაკბეტი). ქართულ რეპერტუარში განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შექმნილი შადიმან ბარათაშვილი (ს. შანშიაშვილის „უგვირგინო მფეფნი“), შაჰი (დ. ერისთავის „სამშობლო“), ოტია ჯოლია (ვ. გუნიას „და-ძმა“), ვანო და გიგუა („მსხვერპლი“), საბა (ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“), ერეკლე და დათო (ა. სუმბათაშვილის „დალატი“). მრავალი როლი ჰქონდა შესრულებული არაქართულ პიესებში: გლუხოვცევი (ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“), დე სანტოსი (კ. გუცოვის „ურიელ აკოსტა“), ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), კარლ ზოორი (ფ. შილერის „ყაჩაღები“) და სხვ.

ა. იმედაშვილის მიერ უკანასკნელად ქუთაისის სცენაზე შესრულებული მეფე ლირის როლი მსახიობის ნიჭისა და დიდი ოსტატობის დაგვირგვინება იყო. ა. იმედაშვილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვოდა ქუთაისელ მაყურებელთა წინაშე. ამიტომაც იყო, რომ ქუთათურები მას ღრმა პატივისცემითა და აღფრთოვანებით ხვდებოდნენ.

ა. იმედაშვილი დიდხანს მოღვაწეობდა ქართულ კინოში და არაერთი საინტერესო სახე შექმნა. იგი ცნობილი იყო როგორც პიესების მთარგმნელი, დაწერა საინტერესო მოგონებები.

ი. ზარდალიშვილი. დ. ანთაძე აგვიწერს ა. იმედაშვილის დიდ დამსახურებას ქართული თეატრის სარბიელზე და დასძენს: „მწვავედ განიცადა ა. იმედაშვილის დაკარგვა იუზა ზარდალიშვილმა. როცა გაიგო, გულმოკლულმა ჩაილაპარაკა: „მორჩა, არც მე მიწერილი დიდი დღე!“ და მართლაც, წელიწადიც არ გასულა და წუთისოფელს გამოესალმა ღვაწლმოსილი და შესანიშნავი მსახიობი“...

იოსებ (იუზა) ფრანცის ძე ზარდალიშვილი დაიბადა 1883 წლის 2 დეკემბერს ქუთაისში. მამა ადრე გარდაეცვალა და დიდ გაჭირვებაში იზრდებოდა. 14-15 წლისა იყო, როდესაც ბათუმში. გემზე მუშაობდა იუნგად. 1897 წელს საგასტროლო წარმოდგენებით ბათუმს ესტუმრა ქუთაისის დრამატული დასი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. დადგეს „ედმუნდ კინი“. პიესის მასობრივ სცენებში მეზღვაურებია საჭირო. ერთი მეზღვაური იყო იუზა ზარდალიშვილი. მესხიშვილს მოეწონა ახალგაზრდა იუზა. სასცენო ნიჭი შენიშნა, შესთავაზა სცენაზე მუშაობა, დაითანხმა და ქუთაისში წამოიყვანა. მესხიშვილმა გამოზარდა ზარდალიშვილი. როგორც მსახიობი. 1908 წლამდე ზარდალიშვილი ქუთაისის დასში მუშაობდა

1908—1914 წლებში მუშაობდა თბილისის დრამატულ დასში. შემდეგ იყო ბაქოს ქართული თეატრის ხელმძღვანელი. 1918—1919 წლების სეზონში ქუთაისის დასში მუშაობდა, შემდეგ თბილისში გადავიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას დაინიშნა თბილისის ქართული თეატრის კომისრად. დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც საბჭოთა ქართული თეატრის ერთ-ერთ პირველ ორგანიზატორს.

1922 წელს ი. ზარდალიშვილი სათავეში ჩაუდგა ქუთაისის თეატრს. 1925—1926 წლების სეზონში იგი ხელმძღვანელობდა ფოთის თეატრს. 1928—1929 წწ. სეზონში მსახიობად მუშაობდა ქუთაისში. დაარსებულ მეორე სახელმწიფო თეატრში, შემდეგ ქუთაისშივე ხელმძღვანელობდა დრამატულ წრეებს და მსახიობთა ამხანაგობას, ხოლო 1938 წელს შევიდა ქუთაისის ახლად შექმნილ დრამატულ დასში.

ი. ზარდალიშვილი გარდაიცვალა 1943 წლის 13 მაისს. იგი ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო. შესანიშნავად ქმნიდა მკვეთრ სახასიათო როლებს. დაკვირვებულად ამუშავებდა როლს და მისი თამაში მუდამ უნაკლო იყო. მის მიერ შესრულებული როლების გალერეაში განსაკუთრებით აღსანიშნავია: საბა (ნ. შიუკაშვილის „სინაზინჯე“), ოსიკო (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), შაჰ-აბასი (ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“), კრეჩინსკი (ა. სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწილი“), იაგო (უ. შექსპირის „ოტელო“), კაი გრაცხი (ვ. მონტის „კაი გრაცხი“) და სხვ. დაწერა მოგონებები ქუთაისის თეატრის შესახებ.

1948—1944 წლების სეზონი. ქუთაისის თეატრის რეპერტუარი ამ სეზონში ძირითადად კვლავ პატრიოტული შინაარსის ნაწარმოებებისაგან შედგებოდა. მაგალითად: ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, ე. სიმონოვის „რუსი ხალხი“, „მელოდე“ და სხვ.

„ირმის ხევი“ ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ორიგინალური ნაწარმოები იყო სამამულო ოპის თემაზე. იგი აგვიწერდა საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას კავკასიონის მისადგომებთან.

ქუთაისის თეატრმა ერთ-ერთმა პირველმა განახორციელა ამ პიესის დადგმა (დამდგმელი დ. ანთაძე). ქუთაისელი მწერალი გიორგი სამხარაძე გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 19, 1944, 2 ივლ. „სპექტაკლი გმირულ თემაზე“) წერდა, რომ „ირმის ხევის“ დადგმა ქუთაისის თეატრში თეატრის შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელიაო „... მძაფრი და ამაღელვებელი ამბავი აიღო თავისი პიესის თემად დრამატურგმა ს. კლდიაშვილმა. — განაგრძობდა გ. სამხარაძე — პიესა საინტერესოდ არის მოფიქრებული. სერგო კლდიაშვილის გამოცდილი ხელი ყველა სურათს ატყვია. ეს სურათები რეალისტურ-გმირულ სახეებში ვითარდებიან. ავტორმა შესა-

ნიშნავი ქართულით გამართულ დიალოგებში, დამაჯერებლად დაგვიხატა და ტიპურ გარემოში განასხეულა მთის ხალხის მამაცობა, დარაზმულობა, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილი, სამშობლოსადმი უაღრესი სიყვარული“. შემდეგ წერდა, რომ დამდგმელმა დ. ანთაძემ პიესის მხატვრული აზრი და კონცეფცია სწორად გაიგო და გახსნა. მისი გამოცდილი ხელი ბევრ სცენას სიცოცხლესა და სიბოზს მატებსო.

იმვე ავტორს ეკუთვნოდა რეცენზია კ. სიმონოვს პიესაზე „რუსი ხალხი“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 12, 1944). დადგმა განახორციელა გ. სულიაშვილმა. რეცენზენტი აქებდა როლების შემსრულებლებს: ვ. მეგრელიშვილს (მთავარი გმირი, საფონოვი), შ. პირველს (მეომარი გლობა), ც. ამირეჯიბს (საფონოვის დედა) და სხვ.

მოზარდი მაცურებლისათვის დაიდგა ბ. გამრეკელისა და გ. ნახუტრიშვილის ცნობილი ზღაპარი „ნაცარქექია“, მაგრამ სპექტაკლი ისეთი საინტერესო გამოდგა, რომ მოზრდილებიც დიდი სიამოვნებით უყურებდნენ. ეს წარმოდგენა, საერთოდ, დიდხანს შერჩა ქუთაისის სცენას. გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 2, 1944, 7 იანვარი) წერდნენ, რომ „რეჟისორმა დ. ანთაძემ დიდი ოსტატობით გახსნა პიესის ძირითადი იდეა, მისი მორალური აზრი და ჩვენს მოზარდ თაობას მისცა მშვენიერი საჩუქარი—მხიარული სანახაობა“. ავტორი იწონებდა მსახიობთა თამაშს და განსაკუთრებით აღნიშნავდა ი. ხეიჩიას (ნაცარქექია), ვ. ჩხიკვაძეს (გლეხი თომა), გ. კოკლაძეს (მეფე დახტანგურ), ვ. გვენცაძეს (ყაფლანი), ნ. ქუთათელაძეს (ვახუშტი), გ. ნაცვლიშვილს (ვეზირი), თ. მუსერაძეს (მართა).

1941—1946 წლების სეზონი. სათეატრო სეზონში უშუალოდ სამამულო ომის თემაზე ორი პიესა დაიდგა — ძმ. ტურებისა და შეინინის „ჭიდილი“ (დადგმა დ. ანთაძის და ს. ოყრეშიძისა), და გ. ბერძენიშვილის დრამა „ტირიფის ქვეშ“ (დადგმა ს. ოყრეშიძისა).

„ჭიდილის“ გამო გ. სამხარაძე გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 43, 1944, 29 დეკ.) წერდა, რომ პიესა რაზმავს მაცურებელს ფრონტისადმი გაძლიერებული დახმარებისათვის. აქებდა რეჟისორ-დამდგმელების ჩანაფიქრს, აღნიშნავდა მსახიობების — ვ. მეგრელიშვილის, შ. პირველის, შ. ქელბაქიანის და ტ. საყვარელიძის მიერ როლების მაღალმხატვრულად შესრულებას.

ამვე სეზონში დაიდგა ს. შანშიაშვილის მიერ ინსცენირებული ა. ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“ (დადგმა დ. ანთაძის).

ეს ინსცენირება ძალზე მოიწონა ჩვენმა მაცურებელმა და 1945 წლიდან დაწყებული არც ჩამოსულა ქართული სცენიდან. მთელ

რიგ დადგმებს შორის ქუთაისის თეატრის დადგმა ერთ-ერთი საინტერესო იყო.

დ. ანთაძე თავის მოგონებაში წერს: „ჩემი მიზანი იყო შემექმნა რეალისტური, მაგრამ ამავე დროს რომანტიკულად ზეამაღლებული სპექტაკლი“. და მართლაც, ეს მიზანი ბრწყინვალედ იყო მარტყული. დადგმას პრესა ფართოდ გამოეხმაურა. გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ (№ 100, 1945, 20 მაისი) წერდა: „სპექტაკლში ნათლად გამოიჩნა თეატრის მთელი შემოქმედებითი გამოცდილება, მისი ოსტატობა ნაწარმოების იდეური აზრის გახსნაში, პერსონაჟების ხასიათების რელიეფურად ჩვენებაში. რეჟისორმა დ. ანთაძემ შეგნებულად უარი თქვა რა მოხვევთა ყოფა-ცხოვრების ეგზოტიკურ და ვიწრო ეთნოგრაფიულ ჩვენებაზე, სპექტაკლის ცენტრში მოაქცია დიდი სოციალური უღერადობის მქონე ზოგადსაკაცობრიო დრამა, რაც პიესას საფუძვლად უდევს, და შექმნა ემოციურად ძლიერი, მიზანსწრაფული, ცოცხალი და მკვეთრი სცენური ფორმის ნიშნით აღბეჭდილი სპექტაკლი. დიდი ღირსება სპექტაკლისა იმაში მდგომარეობს, რომ მასობრივი სცენები აქ ორგანულად არის შეხამებული გმირთა პირადი განცდების ამსახველ ეპიზოდებთან“.

სპექტაკლის წარმატება განაპირობა მსახიობთა ნიჭიერმა თამაშმა. განსაკუთრებით თავი ისახელა ახალგაზრდობამ: შ. პირველმა (ვოჩა), ტ. თვალთვაძემ (ძიძია), გ. ქელბაქიანმა (გელა), ვ. ჯახუტაშვილმა (ონისე). ისინი ბრწყინვალედ ასრულებდნენ თავიანთ როლებს.

სპექტაკლი ნახა ცნობილმა თეატრმცოდნემ ი. ალტმანმა და გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ (№ 256, 1945, 29 დეკ.) წერილიც მიუძღვნა წარმოდგენას. ი. ალტმანი აღნიშნავს: „... ეს არის ნათელი, ამაღლებელი სპექტაკლი, რომელსაც მაყურებელი შეუნელებელი ყურადღებით უცქერის. დრამა დრამატიზმი იქნება გმირების პირად განცდათა მართალი ჩვენებით. ყველაფერი წინასწარ არის აწონ-დაწონილი: კომპოზიცია მთლიანად, ცალკეული მიზანსცენები და თითოეული ეპიზოდური როლიც კი. მუსიკა. სპექტაკლის გაფორმება და მსახიობების თამაში ორგანულ მთლიანობაშია...“

სამხედრო-საშეფო მუშაობა. სამხედრო-საშეფო მუშაობა ქუთაისის თეატრში ომამდელ იყო პილებული. თეატრის მსახიობები საშეფო კონცერტებს მართავდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სხვადასხვა გარნიზონებში. სამამულო ომის პერიოდში ეს მუშაობა მეტად გამოცოცხლდა და თეატრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საქმედ იქცა.

სათეატრო მუზეუმში დაცული ცნობებით ქუთაისის თეატრის

მსახიობებმა ომის წლებში 666 საშეფო კონცერტი გამართეს. აქედან სამხედრო ნაწილებში 251, ჰოსპიტლებში 285 და ჯარში გასაწვევ პუნქტებზე 130. ამ კონცერტებში თითქმის მთელი დასი იღებდა მონაწილეობას. მოგვყავს ამ საკონცერტო ბრიგადების მიერ შესრულებული ნომრების ნაწილობრივი ნუსხა:

1) დ. ბედნის ლექსი „სამნი“, ს. შანშიაშვილის ლექსი „დედისერთა ღვინითან“, — შემსრულებელი თიკო ღვინიაშვილი.

2) ვინიკოვის „ტრაქტორისტის წერილი“, მარშაკის „მეისრე“, ბეზიმენსკის „ერთი სიტყვა“ — სოფიო ვაჩნაძე.

3) გ. ლეონიძის „სამშობლოსათვის — სტალინისათვის“, მ. პატარაძის „მე გხედავთ, ძმებო“, ა. კალანდაძის „მხედრული“, ს. ეულის „არასდროს“ — ანდრო კობალაძე.

4) სკეტჩი „მეკავშირე“ — გრიგოლ ნაცვლიშვილი და ანდრო კობალაძე.

5) ჩობანი, მწყემსური, „ვინ გაიგებს ჩემს სიმღერას“, „კატიუშა“, „კუკარაჩა“ — იაკობ სალაღიშვილი (სალამურზე).

6) „სულიკო“, „ჩემო ციციანთელა“, „ჩონგური“, — ბარნაბ კოკელაძე, პელო გაბუნია, კაპიტონ აბესაძე, ტუნა თვალავაძე (ჩონგურები).

7) „სიზმარში ზნახე“, „კახოვკა“, „წითელი სარაფანი“, ქართული ლექური — ცვინტეტები: გრიგოლ მარჯანიშვილი, ფლებ ტიხოვი, თევდორე გრიგორიევი, მიხეილ შუშინი, ივანე ანდრიუშჩენკო.

8) ყარაჩოხელების ცეკვა კომედიიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ — კაპიტონ აბესაძე, იაკობ სალაღიშვილი, დავით კასრაძე, პავლე უგრეხელიძე, ივანე ოსაძე.

9) ცეკვა პიესიდან „კიკვიძე“ — შოთა პირველი, თამარ კიკნაძე, პელო გაბუნია.

10) სოფლური ცეკვა — ნინო წინამძღვარი, მარგო ფხაკაძე,

11) აზიური დამკვრელები (დუდუკი, საზანდარი).

გარდა ზემოაღნიშნული მსახიობებისა, საშეფო კონცერტებში მონაწილეობას იღებდნენ: ი. ხვიჩია, ი. ზარდაღიშვილი. ც. ამირეჯიბი, ვ. კინწურაშვილი, ა. ჭავჭავაძე, მ. სვანიძე, მ. გელაშვილი, თ. ჯობაძე, ე. ვერულეიშვილი, გ. კოკელაძე, შ. ქარცივაძე, შ. ზონელი, ვ. ჩხიკვაძე, ა. მურუსიძე და სხვ.

თეატრი ხშირად მართავდა საშეფო წარმოდგენებს ამიერკავკასიის სხვადასხვა გარნიზონებისათვის.

თეატრის კოლექტივმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა თავდაცვის კეთილშობილურ საქმეში. მან მნიშვნელოვანი თანხა შეაგროვა და თავდაცვის ფონდს გადასცა.

სამაშულო ომის მონაწილენი. ქუთაისის თეატრის ბევრმა მსა-



ხიობმა და ტექნიკურმა მუშაკმა თავი ისახელა სამამულო ომის ფრონტზე.

მსახრობი ალექსანდრე ალფაიძე მარუხის უღელტეხილის ლეგენდარულ ბრძოლებში მონაწილეობდა. იბრძოდა სტალინგრადისათვის, კურსკის რკალზე, მოზირში. მიღებული აქვს 15 ჭრილობა. ამჟამად თეატრის მუზეუმის გამგეა.

თეატრის მთავარი ადმინისტრატორი შალვა სვანიძე სამამულო ომის დაწყებიდან დამთავრებამდე მისი მონაწილე იყო. ტყვედ ჩავარდა, მაგრამ თავი დააღწია და პარტიზანულ რაზმში იბრძოდა.

ორკესტრის მსახიობი არტაშეს თუჰანოვი ბრძოლებში მონაწილეობდა 1943—1945 წლებში. ომიდან დაჭრილი დაბრუნდა.

ომში მონაწილეობდა მსახიობი არდევან მოწონელიძე.

მკერავი სერგო ხაჭალია მონაწილეობდა 1941 წლიდან 1945 წლამდე. ამჟამად თეატრში მუშაობს.

სამამულო ომის ყველა მონაწილეს მიღებული აქვს ორდენები და მედლები, მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის პირადი მადლობა.

თეატრის ათი მუშაკი ომიდან აღარ დაბრუნებულა. ესენი იყვნენ: აკაკი ოქრუაძე (დაიღუპა ქერჩში), აკაკი მამრიკიშვილი (დაიღუპა როსტოვთან), ალექსანდრე ვაშაკიძე (ქერჩში), შოთა კობახიძე (სტალინგრადში), ანდრო ალხაზიშვილი (ხარკოვში), მიხეილ ბენიაურიშვილი (ბახმაჩთან), გიორგი ჯიბუტი (როსტოვთან), იოსებ ნინიაშვილი (სტალინგრადში), გიორგი ნაფეტვარიძე (პოეტი, თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე — ფეოდოსიაში).

დაღუპულ გმირთა სახელები სამარადისოდ აღიბეჭდა ქუთაისის თეატრის ისტორიაში.

დ. ანთაძის შემოქმედებითი საღამო. 1944—1945 წლის სათეატრო სეზონის დამლევს ქუთაისის საზოგადოებრიობამ თეატრალური მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო გაუმართა თეატრის ხელმძღვანელს, საქართველოს სახალხო არტისტს დ. ანთაძეს. საღამოზე დ. ანთაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა გ. სამხარაძემ. მან განსაკუთრებით აღნიშნა დ. ანთაძის ამაგი ქუთაისის თეატრის აღდგენის საქმეში. სიტყვებითა და მისალმებებით გამოვიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ ილაპარაკეს დ. ანთაძეზე როგორც ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეზე, ქართული თეატრის რეფორმატორის, კ. მარჯანიშვილის ერთგულ მოწაფეზე და მიმდევარზე.

წარმოდგენები ქართულ სამხედრო ნაწილებში. როგორც ცნობილია, დიდი სამამულო ომის დაწყებისას საქართველოში შეიქმნა ქარ-

თული სამხედრო ნაწილები. ამ ნაწილებში მხატვრული მომსახურების მიზნით ჩამოყალიბდა ქართული დრამატული წრეები.

ამ დარგის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე იყო მახიოზი და რეჟისორი რობერტ ქართველიშვილი. ის 1941 წელს გაიწვიეს ჯარში. მსახურობდა სატანკო ნაწილში, უფროსი ლეიტენანტის წოდებაც მიიღო. 1942 წლის შემოდგომიდან კი სხვა სამუშაოზე გადაიყვანეს. იქ მოწყობილი იყო ჯაზ-ორკესტრი, შემდეგ შეიქმნა ქართული დრამატული წრეც, რომელიც სამამულო ომის დამთავრებამდე სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს. დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა რ. ქართველიშვილი, რეჟისორი იყო დიდიმ ჭეიშვილი, რომელიც ასევე ჯარში იყო გაწვეული და ლეიტენანტის წოდება ჰქონდა მიღებულ. დრამატულ წრეში და ჯაზ-ორკესტრში მუშაობდა კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი. წრეს დიდ დახმარებას უწევდნენ რ. ქართველიშვილის დედა — ცნობილი მსახიობი მკა ქართველიშვილი, მეუღლე — ქუთაისის თეატრის მსახიობი ევგენია გვახავა და პატარა შვილი გაიოზ ქართველიშვილი, რომელიც უსიტყვო როლებში გამოჰყავდათ და ცეკვავდა კიდეც. წრეში მუშაობდნენ: ქალები — მ. ჭეიშვილი, ნ. ბერიძე, ელ. მელქაძე, ლ. მგელაძე; ვალები — შ. გოგუაძე, ე. გამცემლიძე, ს. პაპავა, გიგაშვილი, გ. გრიგოლაშვილი, ბ. არჩაია, დ. ბერიძე, გრ. მდივანი, ალ. ჩიქვინიძე. საერთოდ წრეს ძალიან ეხმარებოდა ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრი — აწვდიდა დეკორაციებს, ბუტაფორიას, რეკვიზიტს, გრიმს. დრამატული წრის რეპერტუარში იყო: ვ. ჯავახიშვილის დრამა „ნორჩი გმირი“, ა. ლვოვის პიესა „სამშობლოსათვის“, შ. მანაგაძის „არიული კუჭი“, კვასნიცკის „მილიონი მარკა“ და სხვ.

გარდა სამამულო ომის თემაზე დაწერილი პიესებისა, დრამატული წრე ცნობილ ქართულ დრამატულ ნაწარმოებებსაც თამაშობდა: მაგალითად: რ. ერისთავის ვოდევილს „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ვ. გუნიას „აღლუმს“, ა. ცაგარლის „ხანუმას“ და სხვ. სპექტაკლებისათვის და ჯაზ-ორკესტრისათვის მუსიკას მიხეილ ჩირინაშვილი წერდა.

1944 წელს თბილისში გაიმართა წითელარმიელთა თვითმოქმედების საფრონტო დათვალიერება. ამ დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო დრამატულმა წრემ რ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით და წარმატებაც მოიპოვა. ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის ი. ტიულენევის ბრძანებით, რ. ქართველიშვილს გამოეცხადა მადლობა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა.

რ. ქართველიშვილის მიერ გამართულ ერთ-ერთ სალამო-წარმოდგენის შესახებ ერთ-ერთ გაზეთში აღნიშნული იყო: მაყურებელთა მხიარული სახეები მიმართული იყო სცენისაკენ, როდესაც უცბად გაისმა საყვირების ხმა და ფარდის წინ სცენაზე გამოვიდა სამი მსახიობი, — დაიწყო თვითმოქმედების სალამო. სცენის სიღრმიდან მსახიობ რ. ქართველიშვილის ხმა ჟრუანტელივით გამოდის დარბაზში, დამსწრეთ მოაგონებს სამამულო ომის გმირობის მაგალითებს. ქართველიშვილი საუკეთესო ოსტატობით კითხულობს ლექსს „კაბიტანი ბუხაიძე“, მისი სიტყვები ზარივით გაისმის დარბაზში. წარმოდგენილი იქნა პიესები სამამულო ომის თემაზე — „ჩერჩეტი“ და „არიული კუჭი“, რომლებმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე“...

იგივე გაზეთი (№ 45, 1944, 2 აპრ.) დრამატული წრის მიერ დადგმული პიესის „ნორჩი გმირის“ შესახებ იტყობინებოდა: „ჩვენი განყოფილების დრამატულმა კოლექტივმა რობერტ ქართველიშვილის დადგმით მებრძოლებს და მეთაურებს უჩვენა ვ. ჯავახიშვილის პიესა „ნორჩი გმირი“, რომელიც ასახავს პარტიზანების გმირულ ბრძოლას ჰიტლერელი დამპყრობლების წინააღმდეგ. დადგამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. ჩვენი სახალხო შურისმგებლების უსაზღვრო პატრიოტული თავდადება, ხოლო ჰიტლერელთა მხეცობა და გახრწნილება სცენიდან ისე მოჩანს, როგორც ექვემიუტანელი სინამდვილე, რაც ჩვენს გულში მტრისადმი შურისგებისა და ღრმა სიძულვილის ცეცხლს ანთებს“... წერილში შემდეგ ჩამოთვლილია როლების შემსრულებლები და, მათ შორის არის პატარა გაიოზ ქართველიშვილიც, რომელსაც ძალიან კარგად შეუსრულებია პიონერ მიტიას საკმაოდ რთული როლი.

მსახიობ მ. ქართველიშვილზე კი წერდნენ: „მაკა ქართველიშვილი სამამულო ომის დღეებში თავისი ოჯახით ჩვენთანაა და წითელარმიელთა ქართული სცენიდან ღრმად პატრიოტული სახეების ჩვენებით გვადფრთოვანებს და მოგვიწოდებს სამშობლოსათვის თავდადებისაკენ. ეს მოღვაწეობა ჩვენთვის მარად სახსოვარი იქნება“.

ლაპარაკი იყო „ნორჩი გმირის“ მუსიკალურ გაფორმებაზეც: „დასასრულს უნდა აღინიშნოს უფრ. სერჟანტ მ. ჩირინაშვილის მიერ „ნორჩი გმირისათვის“ დაწერილი მუსიკა, რომელიც კვალდაკვალ მისდევს მოქმედების განვითარებას და მსმენელის განცდები მაღალ საფეხურზე აყავს“.

## XII. ომის შემდგომი წლები

პირველი მშვიდობიანი სათეატრო სეზონი. 1945—1946 წლების სეზონის დასაწყისში ქუთაისის თეატრის დასი ასეთი შექადგენლობისა იყო: სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი დ. ანთაძე, დამდგმელი რეჟისორი ს. ოყრეშიძე, დირიჟორი გ. დეისაძე, მხატვარი ვ. ცომაია, მსახიობი ქალები — ც. ამირეჯიბი, პ. გაბუნია, ე. გვაზავა, მ. გელაშვილი, ტ. თვალთვაძე, თ. კიკნაძე, ნ. მიქელაძე, თ. მუსერიძე, ე. ოცხელი, ნ. ქაჩაია, ნ. ქუთათელაძე, თ. ლენინაშვილი, ნ. წინამძღვარი, თ. ჯიბუტი; მსახიობი ვაჟები—კ. აბესაძე, ვ. გვენცაძე, ვ. გოდუაძე, ბ. კოკელაძე, გრ. კოკელაძე, ვ. მეგრელიშვილი, ლ. მილორაუა, ა. მურუსიძე, ვ. მშვენიერაძე, ლ. პარფენოვი, შ. პირველი, ი. სალალიშვილი, ტ. საყვარელიძე, მ. სვანიძე, გ. ტორონჯაძე, პ. უგრეხელიძე, დ. უშვერიძე, გ. ფოცხიშვილი, შ. ქარცივაძე, ალ. ქელბაქიანი, დ. ქუთათელაძე, ალ. ჩიქვინიძე, ვ. ჩხიკვაძე, ი. ხვიჩია, შ. ხონელი, ვ. ჯახუტაშვილი.

დამხმარე პერსონალში შედიოდა 12 ახალგაზრდა. ორკესტრი 12 კაცისაგან შედგებოდა. თეატრის მთლიანი შემადგენლობა ტექნიკურ პერსონალთან ერთად 106 მუშაკს შეიცავდა. დასში იყო საგრძნობი რიცხვი ახალგაზრდა მსახიობებისა, რომლებიც თეატრში სამამულო ომის წლებში მოვიდნენ და უკვე თავი ისახელეს ნიჭიერი თამაშით.

1945—1946 წლის სეზონი თეატრმა კარგ იდეურ-მხატვრულ დონეზე ჩაატარა. დაიდგა 5 ახალი პიესა. აქედან სამი უშუალოდ დიდი სამამულო ომის ამბებს ეხებოდა. ასეთი იყო გ. შატბერაშვილის დრამა „ფიქრის გორა“, კ. სიმონოვის „ასეც იქნება“ და ვ. გაბესკირიას „მარტოხელა“.

„ფიქრის გორა“ აგვიწერდა ფრონტიდან შინ დაბრუნებული, ომში დასახიჩრებული მეომრის ამბავს, მის ბედს, დამოკიდებულებას შშობლებთან და სატრფოსთან, გვიხატავდა მძიმე განცდებს, რითაც შეპყრობილი იყო ხეიბარი ახალგაზრდა.

გ. სამხარაძე რეცენზიაში (გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 225, 1945, 14 ნომბ.) წერდა, რომ „ფიქრის გორის“ დამდგმელი დ. ანთაძე ტაქტიკა და მხატვრული ზომიერებით მისდგომია პიესის სცენურ განსახიერებას. „რეჟისორმა წარმატებით გადაჭრა ჰის წინაშე მდგომი საკმაოდ რთული ამოცანა. მან ყურადღება გადაიტანა გმირების სულიერი ცხოვრების სწორად გამოსახვაზე, პერსონაჟების ინდივიდუალურ გამოხატვაზე. დამდგმელის ცდა — დამაჯერებლად წარმოესახა გმირების სულიერი დრამატიზმი — უთუოდ მიღწეულია“...

შემდეგ რეცენზენტი ქებით იხსენიებდა ზეიბარ შოთას როლის შემსრულებელს გ. ნაცვლიშვილს, მსახიობებს — ვ. მეგრელიშვილს, ც. ამირეჯიბს, ალ. ალფაიძეს.

სეზონის დამლევს ქუთაისის თეატრმა მონაწილეობა მიიღო თეატრების რესპუბლიკურ დათვალეირებაში. ქუთაისის თეატრის სპექტაკლები შეამოწმა სპეციალურმა დამთვალეირებელმა კომისიამ. კომისიის წევრმა ბ. ჟღენტმა ვრცელი წერილი გამოაქვეყნა დათვალეირების შედეგებზე (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 27, 1946, 28 ივნისი). აქ ავტორმა მართებულად გამოსახა თეატრის შემოქმედებითი ძალა, მისი მხატვრული მიღწევები. იგი წერდა, რომ ქუთაისის თეატრის წარმოდგენების შემოწმების შედეგად გარკვეული დასკვნა უნდა იქნეს გამოტანილი, სახელდობრ: ჩვენს თვალწინ დიდი სისწრაფით და თანმიმდევრობით ქრება ცნება „პერიფერიული“, „პროვინციული“ თეატრისა, ისპობა ზღვარი, რომელიც ერთმანეთისაგან თიშავდა ჩვენი დედაქალაქისა და საქართველოს სხვა ქალაქების თეატრებს. „მეტად მნიშვნელოვანია და დამახასიათებელი ის მოვლენა, — წერდა ბ. ჟღენტი, — რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში და სარაიონო ცენტრებში უკვე შემთხვევითი გამონაკლისის სახით ვხვდებოდით აქტიორული თუ რეჟისორული ხელოვნების ისეთ ნიმუშებს, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ საერთოდ თანამედროვე ქართული თეატრის მდგომარეობაზე“. ამ თვალსაზრისით იხილავს ბ. ჟღენტი ქუთაისის თეატრის შემოქმედებითს დონეს და აღნიშნავს, რომ მან „თავისი არსებობის ხანმოკლე მანძილზე გამოიქუშავა საკუთარი შემოქმედებითი პროფილი, შექმნა რეჟისორული და აქტიორული ხელოვნების საკუთარი სკოლა და ფრიად თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი საუკეთესო, პირველხარისხოვანი თეატრების გვერდით“.

ქუთაისის თეატრის მნიშვნელოვან დამსახურებად ბ. ჟღენტს მიაჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდა აქტიორების აღზრდა და გაბედული დაწინაურება.

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“. ჩვენმა პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა დრამატურგების მნიშვნელოვანი ნაწილი გვერდს უვლიდა თანამედროვეობის ძირითად საკითხებს, არ იცნობდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და მოთხოვნებს, არ შესწევდა უნარი გამოეხატა საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებები. ამიტომაც თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესებში საბჭოთა ადამიანები წარმოსახული იყვნენ მახინჯ, კარკატურულ ფორმებში, პრიმიტიულად და მცირე კულტურის, ობივატელური ზნეობისა და გემოვნების მქონე ადამიანებად, მაშინ, როდესაც უარყოფითი პერსონაჟები უფრო მკაფიო სახეებით წარმოგვიდგებოდნენ.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „დრამატული თეატრების რეპერტუარის მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საბჭოთა დრამატურგების მიერ თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესები ფაქტიურად განდევნილი აღმოჩნდა წამყვანი თეატრების რეპერტუარიდან, მცირერიცხოვანი თანამედროვე პიესები კი, რომლებიც იდგმებოდნენ თეატრში, მეტად უმწეო და მხატვრულად სუსტი იყო“.

ცენტრალური კომიტეტის დასკვნით, დრამატული თეატრების რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენდა ისტორიულ თემაზე შექმნილი პიესებით ზედმეტი გატაცება. ბევრ მათგანს კი არ ჰქონდა არავითარი ისტორიულ-შემეცნებითი მნიშვნელობა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მიუთითებდა თეატრებს რეპერტუარის გაჯანსაღებაზე, თანამედროვე, საბჭოთა შინაარსის სრულფასოვანი, მაღალმხატვრული დრამატული ნაწარმოებების შექმნის ხელის შეწყობაზე და მათი დადგმების კულტურის ამაღლების აუცილებლობაზე.

ჩვენი პარტია უკარნახებდა შემოქმედებით მუშავენს გადაამკრელი ზომები მიეღოთ თეატრის იდეურ-მხატვრული დონის აწმაღლებლად.

პარტიის მიერ შენიშნული ნაკლოვანებანი ახასიათებდა ქუთაისის თეატრსაც, ამიტომ თეატრის ხელმძღვანელობამ გარკვეული ზომები მიიღო მათ გამოსასწორებლად.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქუთაისის თეატრში ფართო განხილვის საფუძველზე იქცა. 30 სექტემბერს შედგა თეატრის მუშაკთა საერთო კრება. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ლალიაშვილი. სიტყვები წარმოთქვეს თეატრის ხელმძღვანელმა დ. ანთაძემ,

დოცენტმა გ. სამხარაძემ, პროფესორმა ა. ბოჭორიშვილმა, მსახიობებმა: გ. ნაცვლიშვილმა, შ. პირველმა, ი. ხვიჩიამ და სხვ. თეატრის ხელმძღვანელმა დ. ანთაძემ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ თეატრის მუშაობა გარდაიქმნება, უკეთ შეირჩევა რეპერტუარი, ყველაფერი გაკეთდება იმპათვის, რომ ამაღლდეს თეატრის იდეურ-მხატვრული დონე.

მთავარი იყო რეპერტუარში თანამედროვე შინაარსის სრულფასოვანი დრამატურგიის ხვედრითი წონის გაზრდა და მისი მაღალმხატვრული განსახიერება. ამ მხრივ თეატრმა, მართლაც, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

1946—1947 წლების სეზონი. სათეატრო სეზონის 5 დადგმიდან სამი პიესა თანამედროვე საბჭოთა შინაარსის იყო, სახელდობრ: ს. მთვარაძის „სახსოვარი“, ლ. მალიუგინის „ძველი მეგობრები“, და ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“. მაყურებლის დიდი ყურადღება მიიპყრო „პლატონ კრეჩეტმა“ (დადგმა დ. ანთაძისა და ს. ოყრეშიძის). ეს ცნობილი ნაწარმოები, რომელშიც ასახულია საბჭოთა ინტელიგენციის განცდები, თეატრმა სახიერად და დამაჯერებლად განახორციელა. კრეჩეტის როლს ასრულებდა ვ. მეგრელიშვილი. მან ბუნებრივად და უშუალოდ დახატა საბჭოთა სპეციალისტის სახე. კარგად შეასრულეს როლები მ. გელაშვილმა (ლიდა), კ. აბესაძემ (ბუბლიკი), შ. პირველმა (ბერესტი).

კარგი შეფასება მიიღო ლ. მალიუგინის პიესის „ძველი მეგობრების“ დადგმამ (რეჟისორი ოთარ ანდრონიკაშვილი).

კ. მარჯანიშვილის ხსოვნის აღნიშვნა. 1947 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე მთელ საქართველოში აღინიშნა ქართული თეატრის რეფორმატორის, საბჭოთა ქართული თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 75 წლისთავი. 14 ივნისს საზეიმო საღამო გაიმართა ქუთაისში. საღამოზე კ. მარჯანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება გააკეთა დ. ანთაძემ. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ შ. დადიანი, ვ. ანჯაფარიძე, შ. ლამბაშიძე, კ. მელვინეთუხუცესი, ი. გრიშაშვილი, ბ. ქლენტი, ი. აბაშიძე, კ. კალაძე და სხვ. შემდეგ გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ძალების მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნა, აგრეთვე, სცენები კ. მარჯანიშვილის დადგმებიდან — „ყვარყვარე თუთაბერი“ და „როგორ“. მეორე დღეს მთლიანად წარმოადგინეს კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული კ. კალაძის პიესა „როგორ“. პიესა აღადგინა დ. ანთაძემ.

ხანძარი. ამ სეზონში ქუთაისის თეატრს დიდი უბედურება მოუვიდა. 17 დეკემბერს, დილის 5 საათზე თეატრის შენობაში ხანძარი

გაჩნდა, ეს ამბავი სწრაფად მოედო ქალაქს. ხანძრის ჩაქრობაში ბევრმა ქუთაისელმა მიიღო მონაწილეობა. მათი დახმარებით შენობიდან მთლიანად იქნა გამოტანილი თეატრის ქონება.

სხვა პირობებში ქალაქი შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო უთეატროდ, მაგრამ ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა გადამჭრელი ზომები მიიღეს და ათი თვის შემდეგ აღდგენილ შენობაში უკვე წარმოდგენა გაიმართა.

თეატრის ხელმძღვანელი დ. ანთაძე ამ ხანძრის შესახებ თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „მეხანძრეები ჯერ კიდევ მუშაობდნენ, აქა-იქ კვამლი ამოდიოდა, ხოლო შენობასთან უკვე საბარგო მანქანებს მოჰქონდათ აგური და სხვა სამშენებლო მასალა. ჭეშმარიტად სახალხო მშენებლობად გამოცხადდა თეატრის აღდგენა. არ დარჩენილა არც ერთი წარმოება და ორგანიზაცია, რომელსაც მონაწილეობა არ მიეღოს თეატრის მშენებლობაში. გადაწყდა, აიგოს უკეთესი შენობა, ვიდრე იყო, და უმოკლეს ვადაში. დროებით, სეზონის გასაგრძელებლად ჩვენ მოგვეცეს კულტურის სახლი, სადაც 17 დეკემბერს საღამოს უკვე სპექტაკლს ვთამაშობდით... მართლაც, დაკვრითი ტემპით მიმდინარეობდა მშენებლობა, რომლის ცალკეულ უბნებზე მიმაგრებული იყვნენ ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკები. სულ რაღაც ათ თვეში ჩვენ მივიღეთ გაცილებით უკეთესი, ორიარუსიანი ნაგებობა, სადაც ყველაფერი შექმნილი იყო სპექტაკლების მაღალმატერული ჩვენებისათვის, მსახიობების ჩორმალური მუშაობისათვის. ძველ, ცუდად ნაგებ კედლების ნაცვლად აღიმართა ახალი სანდო და მკვიდრი შენობა, მშენებლებთან შეთანხმებით სათანადო გამაგრების შემდეგ, ჩვენ ისევ შევინარჩუნეთ ერთი ძველი კედელი რუსთაველის ქუჩის მხარეზე“.

1947—1948 წლების სეზონი. სათეატრო სეზონი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1947 წლის 7 ნოემბერს. ახლად აღდგენილ შენობაში. წარმოადგინეს ი. მოსაშვილის დრამა „სადგურის უფროსი“, რომელშიც გამოხატული იყო საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა პიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში. გ. სამხრაძე გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 5, 1948, 7 თებ.) წარმოდგენის შესახებ წერდა, რომ თეატრის კოლექტივი საკმაო გულმოდგინებით და პასუხისმგებლობის გრძნობით მოჰკიდებია დადგმას (დადგმა დ. ანთაძისა, მხატვარი ე. ახვლედიანი, მუსიკა კ. მელვინეთუხუცესისა). დადგმა ანსამბლური, მწყობრი და დახვეწილია, მხატვრული გემოვნებითაა მოფიქრებული თითქმის ყველა სცენა.

პიესის მთავარი გმირის, რკინიგზის სადგურის უფროსის ლევან ჩადუნელის როლს ასრულებდა ვ. მეგრელიშვილი. გ. სამხრაძე



რეცენზიაში წერდა, რომ „მსახიობმა ბევრგან გვიჩვენა თავისი გმირის გაბედულობა, ძლიერი ხასიათი, სპეტაკი სული, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მაყურებელი სავსებით ვერ გახდა მისი განცდებისა და ტივილების თანამონაწილე, მსახიობმა ლევანის შინაგანი ტრაგედია ბოლომდე ვერ გვაგრძობინა“.

რეცენზენტი აქებდა მსახიობ ვ. ჩხიკვაძეს კოლმეურნე კუზმიჩის როლის ფაქიზად, ძლიერად შესრულებისათვის. ასევე აქებდა შ. პირველს (რაიკომის მდივანი), გ. ნაცვლიშვილს (გერმანელი მაიორი), მ. სვანიძეს (მოლალატე შურაევი), ტ. თვალთვაძეს (მარინე), თ. კიქნაძეს (პელაგია), ი. ხვიჩიას (ბუფეტის გამგე ლეჟავა) და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია წარმოდგენის დეკორატიული გაფორმებისათვის. „ახალი შენობის დიდმა სცენამ, — წერდა გ. სამხარაძე, — შესაძლებლობა მისცა მხატვარს ე. ახვლედიანს გრანდიოზულად წარმოედგინა კავკასიის ამაყი და ლამაზი ბუნება, ზვიადი კლდეები, ბუნებრივი გამოქვაბულები. იშვიათი ფანტაზიით არის მოფიქრებული შესამე და მეოთხე მოქმედების დეკორაციები!“

თანამედროვე შინაარსისა იყო ამ სეზონშივე დადგმული ვ. დარასელის კომედია „გამახარე“ და კ. სიმონოვის პიესა „რუსეთის საკითხი“.

სეზონის დასასრულს თეატრმა წარმოადგინა ფ. შილერის ტრაგედია „ყაჩაღები“ (დადგმა დ. ანთაძისა, მხატვარი შ. ყორჯოლაძე, მუსიკა კ. მელვინეთუხუცესისა). ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ქუთაისის თეატრის ისტორიაში.

პ. ბახტურიძე წერდა (გაზ. კომუნისტი“ № 150, 1948. 30 ივლ.): „შილერის „ყაჩაღები“, რომელიც თავის მორიგ პრემიერად უჩვენა მაყურებელს ქუთაისის თეატრმა, განხორციელებულია უმთავრესად ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების საშუალებით. თეატრის მხრივ, ამ რთული ამოცანის გადაწყვეტა ახალგაზრდა ძალებით არის იმ მუშაობის ერთგვარი შემოწმება, რომელსაც თეატრი წლების მანძილზე ატარებდა კადრების აღსაზრდელად“.

ფრანც მორის როლს ასრულებდა შ. პირველი, კარლ მორიხას — ვ. მეგრელიშვილი. ახალგაზრდა მსახიობებს წარმატებით დაუძლევიან რთული სცენური სახეები. შ. პირველს თავისებური, ახალი გააზრება მიუტია ფრანცის როლისათვის. რეცენზენტის თქმით, უკუგდებული იყო როლის ტრადიციული შესრულება. როგორც ფიზიკურად მახინჯი ადამიანისა, — თითქოს მისი სიბოროტე და ძალადური სულისკვეთება ამ ფიზიკური სიმახინჯის შედეგი იყო. მსახიობს წარმოუდგენია ფიზიკურად სავსებით ნორმალური და

ჯანსაღი ადამიანი, ხოლო მისი მხეცური ინსტინქტი და ვერაგული ხასიათი წარმოუსახავს სოციალური გარემოს ნაყოფად, რომელიც იმ დროს იყო გაბატონებული და ყოველივე ნათელსა და პროგრესულს ახშობდა.

კარლ მორის როლის შესრულების გამო პ. ბახტურიძე აღნიშნავდა, რომ „მსახიობს ბევრი კარგად დაშუშავებული სცენა აქვს სპექტაკლში, ზოგჯერ მსახიობი დიდ ემოციურ სიძლიერეს აღწევს კარლის რომანიტიკული ბუნების გადმოცემისას, მსახიობის მიერ ჩატარებული რამდენიმე სცენა მაყურებლის ხსოვნაში წარუშლელად რჩება, მაგრამ როლის სრულყოფისათვის მსახიობს კიდევ დასჭირდება მუშაობის განგრძობა“.

პ. ბახტურიძე აქებდა ამალიას როლის შემსრულებელს მ. გელაშვილს, მაქსიმილიან მორის — ვ.ჩ ხიკვაძეს და სხვ.

**1948—1949 წლების სეზონი.** ეს სათეატრო სეზონი იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ განხორციელდა მთავრობის დადგენილება თეატრების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ. ბევრ თეატრის სახელმწიფო დოტაცია სრულებით მოეხსნა, ანდა საგრძნობლად შეუმცირდა. ქუთაისის თეატრშიც გატარდა ეს ფინანსური ღონისძიება. ამის შედეგად თეატრმა გაზარდა ახალი დადგმების რაოდენობა, წესად შემოიღო მუდმივი გასვლითი წარმოდგენების გამართვა ქუთაისის რაიონში.

თეატრის მთელი ყურადღება გამახვილებული იყო თანამედროვე შინაარსის პიესების დადგმაზე.

სეზონის განმავლობაში დასმა უჩვენა 8 ახალი ნაწარმოები, აქედან 4 თანამედროვე ხასიათისა იყო, სახელდობრ: მ. გოგიაშვილის კომედია „გულსუნდა“, კ. მეძველიას დრამა „მთების საიდუმლო“, გ. გოგიჩაიშვილის „ჩვენი დროის ახალგაზრდობა“ და კ. სიმონოვის „უცხო აჩრდილი“. დაიდგა აგრეთვე ი. მოსაშვილის ახალი პიესა „ჩაძირული ქვები“, ნ. ნაკაშიძის დრამა „ვინ არის დამნაშავე?“ და ე. ვოინიჩის „კრაზანა“.

**1949—1950 წლების სეზონი** მრავალფეროვანი და შინაარსიანი გამოდგა. უჩვენეს 10 ახალი დადგმა, ესენი იყო როგორც თანამედროვე, ისე კლასიკური პიესები. განახლებულ იქნა კ. მარჯანიშვილის დადგმები — „ურიელ აკოსტა“ და „ცხვრის წყარო“. თანამედროვე საბჭოთა შინაარსისა ამ სეზონში მხოლოდ ორი პიესა იყო: გ. შიშინის „ვარდო“ და ვ. პატარაიას „უჩა უჩარდია“.

გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ (№ 162, 1949, 17 სექტ.) თავის მოწინავე წერილში. სეზონის დაწყებისას სწორედ ამ საკითხს ეხებოდა. აღნიშნავდა, რომ გამოცხადებულ რეპერტუარში მცირე იყო თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებთა ზვედრითი წონა. თუმ-

ცა, ამასთანავე წერდა: „ის გარემოება, რომ თეატრის რეპერტუარში მეტი რაოდენობით არ არის საბჭოთა სინამდვილის ამსახველი ორიგინალური ქართული პიესები, ცხადია, მართო თეატრის ნაკლს არ შეადგენს. ქართული დრამატურგია ჯერ კიდევ ჩამორჩება ჩვენი დროის მოთხოვნილებებს. ჯერ კიდევ ცოტა იწერება იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი, სოციალისტური ეპოქის შესატყვისი სრულფასოვანი პიესები.“ ამიტომ გაზეთი მოითხოვდა, რომ თეატრს მეტი ყურადღებით ემუშავა დრამატურგებთან.

ქუთაისის თეატრი ამ გზითაც არ აკლებდა ყურადღებას რეპერტუარის გაუმჯობესების საკითხს, მართლაც, წინა სეზონში თეატრმა დადგა ადგილობრივი მწერლის კ. მეძველიას პიესა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი.

რაც შეეხება „ვარდოსა“ და „უჩა უჩარდიას“, ისინი თეატრმა შესანიშნავად განახორციელა.

„ვარდო“ დადგა დ. ანთაძემ. კომედია ავეიწერდა ჩვენი წარმოების დღევანდლობას. ცოცხლად იყო გამოსახული პარტიის ხელმძღვანელი როლი წარმოების განვითარებაში. პიესის მთავარი გმირია ვარდო ძნელაძე — უბრალო მუშა-ქალი, რომელმაც კეთილსინდისიერი შრომით ფაბრიკის დირექტორის თანამდებობას მიაღწია.

დადგმა მოიწონა მაყურებელმა.

„პიესა ღრმად და სიმართლითაა გაგებული, სპექტაკლს აშკარად ატყვია გამოცდილი რეჟისორის ხელი“. — გკითხულობთ „ვარდოზე“ გ. სამხარაძის რეცენზიაში, — „მას (რეჟისორს, გ. ბ.) ყურადღების გარეშე არ დარჩენია არცერთი წვრილმანი. სპექტაკლში წინა პლანზეა წამოწეული ავტორის ჩანაფიქრი. კარგადაა გაკეთებული ყველა სცენა. პიესა ისეა დადგმული, რომ სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ადამიანებს, ასწავლოს მათ ხალხისადმი ერთგულება, მისცეს სწორი ორიენტაცია, აღუძრას წინსვლის, დაბრკოლებათა დაძლევის უნარი“. (გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 194, 1949).

მაყურებლის მოწონება დაიმსახურა ვ. პატარაიას კომედიამ „უჩა უჩარდია“, რომელიც დადგეს თეიმურაზ ლორთქიფანიძემ და ვახტანგ ქუთათელაძემ. ნაწარმოები გვიხატავდა საკოლმეურნეო ცხოვრებას ომისშემდგომ პერიოდში. რეალისტური სიმართლით ასახავდა სოფლის ყოველდღიურობას, ბრძოლას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად.

საკოლმეურნეო თემაზე დაწერილი პიესების საერთო ნაკლი იყო ის, რომ ჩვენი დრამატურგები სრულფასოვნად ვერ ხატავდნენ დადებით პერსონაჟებს. ამ პიესის მთავარი გმირი, კოლმე-

ურნეობის თავმჯდომარე უჩა უჩარდია კი დადებითი სცენური სახე იყო და სიმართლით გვიხატავდა ადამიანს, რომელსაც კოლმეურნეობისათვის ზრუნვა ჰქონდა დასახული ცხოვრების მთავარ მიზნად. ამ როლს კარგად ასრულებდა ა. კალანდარიშვილი. საერთოდ, როლების შესრულების მხრივ, კომედია მაღალ დონეზე იდგა.

გასტროლები თბილისში. გულმოდგინე მზადების შემდეგ, ქუთაისის თეატრის დასი საგასტროლოდ თბილისს გამოემგზავრა. როგორც ვიცით, 1941 წელს დასის გასტროლები დედაქალაქში დასაწყისშივე შეწყდა სამამულო ომის დაწყების გამო. ცხრა წლის შემდეგ დასმა ხელახლა მიაწყვა გასტროლები, რათა თბილისელი მაყურებლისათვის ეჩვენებინა თავისი შემოქმედებითი უნარი. საგასტროლო რეპერტუარში ამჯერად შემდეგი ნაწარმოებები შედიოდა: შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“, ვ. პატარაიას „უჩა უჩარდია“, მ. გოგიაშვილის „გულსუნდა“. მ. ტურების „სახლი შესახვევში“, გ. ერისთავის „გაყრა“, მ. ჭაფარიძის „უამთაბერის ასული“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ა. ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ფ. შილერის „ყაჩაღები“ და „ვერაგობა და სიყვარული“ და კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“.

გასტროლები ჩატარდა 17 ივნისიდან 2 ივლისამდე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში. წარმოდგენებს დიდი წარმატება ხვდა წილად, პრესამ ყარგი შეფასება მისცა საგასტროლო სპექტაკლებს.

გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ (№ 29, 1950) მოწინავე სტატიაში ქუთაისის თეატრზე წერდა: „ქუთაისის თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი იცავს და ავითარებს იმ საუკეთესო ტრადიციებს, რაც ქართული თეატრის კორიფეებმა დანერგეს. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია რეპერტუარის შედგენა ისეთი პიესებით, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებიან ჩვენი დროის აქტუალურ პრობლემებს, საბჭოთა ადამიანის ინტერესსა და მოთხოვნილებას. ქუთაისის თეატრის რეპერტუარში დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვეობის ამსახველ პიესებს: რუსული, ევროპული და ქართული კლასიკური დრამატურგიიდანაც შერჩეულია ისეთი პიესები, რომლებსაც დიდი აღმზრდელობითი და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ. ქუთაისის თეატრის მთელმა რიგმა სპექტაკლებმა ყურადღება დაიმსახურეს სწორი მოფიქრებით, შესრულების რეალისტური სტილით და ცალკეულ მსახიობთა უდავო ნიჭიერი თამაშით“.

17 ივლისს ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ბრძანება გამოსცა გასტროლების შედეგების შესახებ. მასში ვკითხულობთ: „...გასტროლებმა გვიჩვენეს, რომ ლაღო მესხიშვილის სახელობის

თეატრის კოლექტივი სიყვარულით ინახავს და ამდიდრებს ქუთაისის თეატრის სახელოვან ტრადიციებს. თეატრის მიერ თბილისში ნაჩვენები სპექტაკლები მოწმობენ, რომ თეატრის კოლექტივი შემოქმედებითს აღმავლობას განიცდის. გასტროლებმა ცხადპყვეს, რომ თეატრის რეპერტუარში გარდატეხა მოხდა: საბჭოთა პიესამ მტკიცე ადგილი მოიპოვა რეპერტუარში და საბჭოთა სპექტაკლებზე მუშაობა თეატრის საპატიო მოვალეობად იქცა. კოლექტივს არ ავიწყდება, რომ ბრძოლა რეპერტუარის იდეურობისათვის, პრინციპულობა პიესების შერჩევაში. მისი მუშაობის საფუძველს წარმოადგენს. ხელოვნების საქმეთა სამმართველო თვლის, რომ ქუთაისის თეატრის სარეპერტუარო ხაზი ძირითადად სწორად არის წარმართული: რეპერტუარში წარმოდგენილია როგორც ქართული და რუსული თანამედროვე დრამატურგია, ისე ქართული, რუსული და დასავლეთის კლასიკური დრამატურგია“...

აქ ვამთავრებთ ქუთაისის თეატრის სამამულო ომის შემდგომი წლების მოღვაწეობის აღწერას. ეს წლები მეტად ნაყოფიერი იყო ქუთაისის თეატრის შემოქმედებაში.

**თეატრის შემადგენლობა.** 1949—1950 წლების სეზონში დასი ასეთი შემადგენლობისა იყო: დირექტორი და მთავარი რეჟისორი დ. ანთაძე, რეჟისორი გ. იოსელიანი, მხატვრები: მ. ჩარკვიანი-ანდრონიკიდი და გ. ცომაია, ღირსი რეჟისორი გ. მარჯანიშვილი, რეჟისორის თანაშემწენი: ა. გვანცელაძე, ა. ზონენაშვილი, სუფლიორი გ. კუჭავა, მსახიობი ქალები: პ. გაბუნია, მ. გელაშვილი, ტ. თვალთვაძე, რესპუბლიკის დამს. არტისტი თ. კიკნაძე, ო. კობიძე, თ. მუსხერიძე, თ. პოკროვსკაია, მ. ფხაკაძე, ნ. ქაჩაია, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ღვინიაშვილი, ნ. წინამძღვარი, ა. ჯანიაშვილი; მსახიობი ვაჟები: რესპუბლიკის დამს. არტისტი კ. აბესაძე, გ. ბერძენი, ვ. ბრეგვაძე, ვ. გვენცაძე, კ. გიორგობიანი, ა. კალანდარიშვილი, ბ. კოკელაძე, გ. კოკელაძე. რესპუბლიკის დამს. არტისტი თ. ლორთქიფანიძე, ვ. მეგრელიშვილი, ვ. მესხი, ა. მოწონელიძე, რესპუბლიკის დამს. არტისტი ა. მურუსიძე, გ. ნაცვლიშვილი, შ. პირველი, მ. სვანიძე, პ. უგრეხელიძე, შ. ქარცივაძე, ა. ქელბაქიანი, ვ. ქუთათელიაძე, ლ. შენგელია, რესპუბლიკის დამს. არტისტი ვ. ჩხიკვაძე, ა. ჩიქვინიძე, ი. ხვიჩია, რესპუბლიკის დამს. არტისტი შ. ხონელი (გოგოლაშვილი), დამხმარე შემადგენლობა: რ. ასათიანი, ს. გორდაძე, ს. თავდიდიშვილი, გ. კობახიძე, ც. მალლაკელიძე, ი. მეგრელიშვილი, შ. ნადირაძე, ი. სინარულიძე, ზ. ცირამუა; ორკესტრის მსახიობები: ბ. ბალანჩივაძე, ი. ბარაბაძე, თ. გრიგორიევი, ა. ევსიკოვა, ე. ვიაზოვსკი, ა. თუმანოვი, ვ. მარჯანიშვილი, ა. მიხეევი, გ. სალაღიშვილი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირებისა, ომის შემდგომ წლებში

თეატრთან სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ და მის მხატვრულ წარმატებას ხელს უწყობდნენ: რეჟისორი ო. ანდრონიკაშვილი, მხატვრები — გ. ფოცხიშვილი, ე. ახვლედიანი, ა. ბრანოვერი, ნ. მეტონიძე, შ. ჟორჟოლაძე, კ. სანაძე და ნ. ყაზბეგი; კომპოზიტორები — ვ. გოციელი, თ. ვახვახიშვილი, ა. კერესელიძე, გ. კემულარია, ა. კილასონია, გ. მარჯანიშვილი, ა. მაჭავარიანი, კ. მეღვინეთუხუცესი და ვ. ცაგარეიშვილი; ქორეოგრაფები — დ. მაჭავარიანი და დ. უშვერიძე.

**გ. იოსელიანი.** მოგვყავს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები რეჟისორ გ. იოსელიანის შესახებ, რომელიც ქუთაისის თეატრში მუშაობდა ორი უკანასკნელი სეზონის განმავლობაში. გიორგი ივანეს ძე იოსელიანი დაიბადა ქ. გორში 1904 წლის 15 მაისს. საშუალო განათლება მიიღო თბილისში. 1920 წლიდან მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. 1922 წელს სცენის თანამშრომლად მივიდა რუსთაველის სახელობის თეატრში, ხოლო 1925 წელს მსახიობად ჩაირიცხა. 1927 წელს შევიდა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ს. მ. კიროვის სახელობის ლენინგრადის საოლქო დრამატულ თეატრში. სამამულო ომის დაწყებისთანავე ჯარში გაიწვიეს. ომის მთელ მანძილზე მუშაობდა საპაერო ფლოტში შტურმანად და იცავდა ლენინგრადს. დაჯილდოვდა საბრძოლო ორდენებითა და მედლებით. ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წელს გ. იოსელიანი დაუბრუნდა ლენინგრადის საოლქო თეატრს. 1947 — 1948 წლებში რეჟისორად მუშაობდა სოხუმში, 1948—1950 წლებში — ქუთაისის თეატრში, ხოლო შემდეგ მთავარ რეჟისორად თელავის თეატრში, 1952 წლიდან 1956 წლამდე მთავარ რეჟისორად მუშაობდა საქართველოს ფილარმონიაში. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1961 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან გარდაიცვალა 1970 წელს.

**ს. ოყრეშიძე.** 1950 წელს ქუთაისის თეატრმა დაკარგა თავისი ერთ-ერთი ერთგული და მუყაითი მოღვაწე, რეჟისორი სპირიდონ (სერგო) იერემიას ძე ოყრეშიძე. იგი დაიბადა 1906 წელს ზესტაფონში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში და სწავლა თბილისის უნივერსიტეტში განაგრძო, სათეატრო ხელოვნებამ სიყრმოდანვე გაიტაცა და 1925 წელს უკვე რეჟისორის თანამემწედ მუშაობდა ფოთის თეატრში. 1928 წლიდან იგივე თანამდებობაზე განაგრძო მუშაობა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ მეორე სახელმწიფო თეატრში. შემდეგ კი თელავის თეატრში და თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში მუშაობდა რეჟისორად. 1938 წლიდან დაუბრუნდა ქუთაისს და ახალ დასში რეჟისორ-დამდგმელად დაიწყო მუშაობა. გარდაიცვალა 1950 წლის 5 მაისს,

### XIII. ორმოცდაათიანი წლები

1950—1951 წლების სეზონში ქუთაისის თეატრის რეპერტუარში ჭარბად იყო წარმოდგენილი თანამედროვე შინაარსის დრამატურგია. ცხრა პიესიდან, რომელიც სეზონის განმავლობაში დაიდგა, შვიდი თანამედროვე თემატიკისა იყო. დაიდგა: ვ. პატარაიას „სანაპიროზე“ (დადგმა თ. ლორთქიფანიძისა), კ. ბუაჩიძის „ფაქიზი განცდები“ (დადგმა თ. ლორთქიფანიძისა), ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“ (დადგმა ვ. ქუთათელაძისა), ი. ჭავჭავაძის „თბილისელი ქალიშვილი“ (დადგმა დ. ანთაძისა), გ. მდივნის „კეთილი ნების აღამიანები“ (დადგმა თ. ლორთქიფანიძისა), ს. მიხალკოვის „დაკარგული საზლი“ (დადგმა თ. ლორთქიფანიძისა) და ა. კორნეიჩუკის „უზანის ქალა“ (დადგმა გ. იოსელიანისა).

ყველა ეს ნაწარმოები იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით, საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებად ითვლებოდა.

ამრიგად, ქუთაისის თეატრი წარმატებით ასრულებდა კომუნისტური პარტიის 1946 წლის ისტორიულ დადგენილებას—თეატრის რეპერტუარში თანამედროვე შინაარსის საუკეთესო ნაწარმოებების ხვედრითი წონის გაზრდის შესახებ.

პიესა „სანაპიროზე“ გვიხატავდა ქართველ მეცნიერთა ცხოვრებას, მათ ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის. რეჟისორმა თ. ლორთქიფანიძემ დამაჯერებელი სპექტაკლი დადგა.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები: შ. პირველი (პროფესორი გოლეთიანი), გ. ნაცვლიშვილი (ახალგაზრდა მეცნიერი რატიანი), ლ. შენგელია (სტუდენტი), კ. აბესაძე (სახლმმართველი) და სხვ.

კ. ბუაჩიძის კომედიაზე „ფაქიზი განცდები“ გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ (№ 3, 1951, 5 იანვ.) წერდა: „პიესის დიდ ღირსებას შეადგენს ის, რომ მასში მშვენივრადაა ნაჩვენები რიგითი საბჭოთა აღამიანების შეგნების ზრდა, ფაქიზი და სპექტაკი გან-

ცდების ჩამოყალიბების პროცესი, ივლწრფელი და მეგობრული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი“. გაზეთი ქებით იხსენიებდა როლების შემსრულებლებს.

თეატრის მორიგ შემოქმედებითს გამარჯვებად ჩაითვალა ს. მიხალკოვის „დაკარგული სახლის“ დადგმა. პიესას საფუძველად ედო თანამედროვეობის თემა. გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ აღნიშნავდა, რომ დამდგმელმა რეჟისორმა თ. ლორთქიფანიძემ სწორად გახსნა პიესის დედააზრი, კარგად გადასცა მაყურებელს მისი იდეა, მწყობრად ააგო მთელი სპექტაკლი. რეცენზიაში („ინდუსტრიული ქუთაისი“, № 59, 1951, 14 მარტი) ქებით იყო მოხსენიებული როლების შემსრულებლები, განსაკუთრებით კი თ. ღვინიაშვილი: „მონაწილეთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დამსახურებული არტისტი თინათინ ღვინიაშვილი, რომელიც არაჩვეულებრივი უბრალოებით და სიმართლით ასრულებს მოწინავე ექიმის ტატიანა კუდრიავეცევას ძალზე მომხიბლავ როლს. თ. ღვინიაშვილის ტატიანა ჩვენ გვხიბლავს უღრმესი კეთილშობილებით, შინაგანი რწმენითა და ხასიათის მთლიანობით. იგი თავისი ოჯახის პატიოსნების ერთგულია და ზრუნავს თავისი შვილებისათვის“.

გასტროლები. სეზონის დამთავრების შემდეგ თეატრის დასი საგასტროლოდ გაემგზავრა ბათუმში, მახარაძეში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში. 40 დღის განმავლობაში გაპართა 60-ზე მეტი წარმოდგენა და 40 ათასზე მეტ მაყურებელს მოემსახურა. გასტროლების დროს თეატრმა უჩვენა ვ. პატარაიას „უჩა უჩარღია“ და „სანაპიროზე“, ი. ჭავჭავანიძის „თბილისელი ქალიშვილი“, გ. ნახუცრიშვილის „სიკვამლე ბელადისა“, გ. მღვიმის „კეთილი ნების ადამიანები“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ა. ოსტროვსკის „ქექა-ქუხილი“, ფ. შილერის „ყაჩაღები“ და სხვ. მაყურებელმა მოიწონა თეატრის დადგმები. ადგილობრივი პრესა აქებდა წარმოდგენებს. რეცენზენტები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ თეატრი მთავარ ყურადღებას თანამედროვე შინაარსის პიესებზე ამახვილებდა.

დრამატურგი ვ. კანდელაკი სტატიაში „მდიდარი ტრადიციების თეატრი“ (გაზ. „საბჭოთა აპარა“, № 127, 1951, 26 ივნ.) წერდა: „...თეატრს შეგნებული აქვს, რომ მის წარმატებას, ისევე, როგორც წარსულში, თანამედროვე რეპერტუარი ჰქმნიდა და ჰქმნის, მისასაღებელია თეატრის ხელმძღვანელობის და მსახიობთა ამ კარგი კოლექტივის ზრუნვა და სიყვარული თანამედროვეობის ამსახველი პიესების განხორციელებისადმი“...

1951—1952 წლების სეზონი შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყო. თეატრმა ამ სეზონში დადგა შ. დადიანის კომედია „გუ-



შინდელნი“ და მის მიერვე ინსცენირებული „ჩატეხილი ხიდი“ ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით, ნ. გოგოლის „რევიზორი“, ბ. ლავრენევის „რღვევა“, ი. ბურიაკოვსკის დრამა „პრალა მაინც ჩემია“, ა. აბშილავას „ჩვენთან. მთებში“ (ა. ბელიაშვილის მოთხრობების მიხედვით), ს. ალიოშინის „ღირეპტორი“.

5. გოგოლის „რევიზორი“ ქუთაისის თეატრმა მიუძღვნა დიდი რუსი მწერლის ფარდაცვალების ასი წლისთავს.

ამ დადგმის შესახებ რ. ბერძენი გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 13, 1952, 28 მარტი) წერდა: „თეატრმა არ დაიშურა ძალა და უნარი, რათა რეალისტური, ეფექტური სპექტაკლი შეექმნა. დამდგმელს, სახალხო არტისტს დ. ანთაძეს სწორად აქვს გაგებული კომედიის სოციალური მნიშვნელობა“. წარმატებით განუხორციელებია ხლესტაკოვის როლი მსახიობ გ. კოკელაძეს. რ. ბერძენის სიტყვით, იგი უშუალოდ წარმოსახავდა ხლესტაკოვის ბუნებას, ამავე დროს მის თამაშში იყო ნაკლიც: „იგი საკმაოდ მკაფიო ფერებით ვერ ხატავს ხლესტაკოვს როგორც გაიძვერას. ალაგ-ალაგ თავს იჩენს მსახიობის მიერ ადრე შესრულებული როლების დამახასიათებელი შტრიხებიც“. დანარჩენი როლები კარგად შეუსრულებიათ ვ. გვენცაძეს (გოროდნიჩი), ი. ხვიჩიას (ზემლიანიკა), მ. სვანიძეს (ხლოპოვი), ვ. მიქიაშვილს (დობჩინსკი), ა. ჩიქვინიძეს (ბობჩინსკი), კ. აბესაძეს (ლიაპკინ-ტიაპკინი) და სხვ.

სათეატრო სეზონის მიწურულში გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ (№ 10, 1952, 7 მარტი) გამოაქვეყნა ვრცელი მიმოხილვა ქუთაისის თეატრის შემოქმედებაზე სათაურით „ახალი პერსპექტივების წინაშე“.

წერილის ავტორები ე. ქარელიშვილი და დ. ჯანელიძე წერდნენ: „ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრს, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული. იგი სამართლიანად ითვლება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე თეატრად, მაგრამ ყოველი შემოქმედებითი კოლექტივი მოვალეა არ დაკმაყოფილდეს მიღწევებით, თვითკმაყოფილებას არ მიეცეს და მოპოვებული წარმატებები განუწყვეტლად გაამდიდროს და განავითაროს“.

„რღვევას“ როდესაც განიხილავდნენ, ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ეს ნამდვილად კარგი სპექტაკლია თავისი სწორი იდეური გააზრებით, რევოლუციური რომანტიკის სწორი წარმოსახვით. „განსაკუთრებით შთამბეჭდავია ხალისიანად შესრულებული მასობრივი სცენები, სადაც მკვეთრად და ნათლად არის ნაჩვენები რევოლუციური მასის მებრძოლი სული, გამარჯვების რწმენა, უტეხი ნების-

ყოფა და ცხოველყოფელი სიხალისე. სპექტაკლში სახიერად და დამაჯერებლად მოქმედებს მეზღვაურთა რაზმი, შთამბეჭდავად არის ასახული კლასობრივი წინააღმდეგობანი — აღნიშნავდნენ ავტორები.

მოიწონეს „გუშინდელნი“, როგორც უდავოდ რეალისტური ნაწარმოები, რომელშიც „სიმაართლით არის ასახული რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების სურათები“. ნაკლიც იყო შენიშნული: სახელდობრ ის, რომ ზოგიერთი სცენა, მსახიობთა გულგრილი თამაშის გამო, ცივად და ღუნედ მიმდინარეობდა.

„ჩატეხილი ხიდის“ შესახებ აღნიშნული იყო, რომ სპექტაკლი ყურადღებას იქცევს მხატვრული ზომიერებით, კარგი სცენური კომპოზიციით, ნამდვილად მხატვრული დეკორაციული გამოსახულებით, ილია ქავჭავაძის ტიპების ნიჭიერი წარმოსახვით.

საერთოდ კი თეატრის რეპერტუარის მთავარ ნაკლად სტატიის ავტორები თანამედროვეობის ამსახველი პიესების დაბალი მხატვრული დონით განხორციელებას მიიჩნევდნენ. აღნიშნავდნენ, რომ ამის ნიმუში იყო ა. აბშილაძის „ჩვენთან. მთებში“. „თეატრის ხელმძღვანელობამ თანამედროვეობის ამსახველ და კლასიკურ პიესებზე დაკვირვებული მუშაობით უნდა განამტკიცოს რეალისტური განსახიერების ჩვევები და შეუროგებელი ბრძოლა გამოუცხადოს მანერულობას, ანსამბლიდან განცალკევებით თამაშს, ერთფეროვნებას, შტამბს. თეატრმა უნდა იბრძოდეს მეტყველების მაღალი კულტურისათვის. დასი უნდა შეივსოს პროფესიული განათლებით აღჭურვილი ნიჭიერი ახალგაზრდობით და რაც შეიძლება მალე უნდა გადაიჭრას ძველი და ახალი კადრების ერთ მხატვრულ კოლექტივად საბოლოო ჩამოყალიბების ამოცანა. დადგმების საერთო კულტურა კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს“.

გასტროლები. ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის დასი, ისევე, როგორც წინა წლებში, სეზონის დამთავრების შემდეგ 17 ივნისიდან 15 ივლისამდე საგასტროლოდ გაემგზავრა სოხუმში. ზეგდიდსა და ფოთში. დასმა წარმოადგინა: ვ. პატარაის „სანაპიროზე“, ი. ქავჭავაძის „ჩატეხილი ხიდი“, გ. ერისთავის „გაყრა“, ს. ალიოშინის „დირექტორი“, ნ. გოგოლის „რევიზორი“, ა. ოსტროვსკის „ქექა-ქუხილი“, ბ. ლავრენევის „არღვევა“, ა. სუმბათაშვილის „დალატი“, ფ. შილერის „ყაჩაღები“, ა. ბურიაკოვსკის „პრალა მაინც ჩემია“.

მაყურებელი ყველგან დიდ ინტერესს იჩენდა ქუთაისის თეატრის წარმოდგენებისადმი.

დ. ანთაძე. გასტროლების დამთავრების შემდეგ თეატრის დი-

რეჟორი და მთავარი რეჟისორი დ. ანთაძე. გადმოყვანილ იქნა თბილისში.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება ღვაწლმოსილი რეჟისორის მოკლე ბიოგრაფია: დოდო (ისაყ) კონსტანტინეს ძე ანთაძე დაიბადა 1900 წლის 11 ოქტომბერს ხარაგაულის (ახლანდელი ორჯონიკიძის) რაიონის სოფელ ვარძიაში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, 1919 წელს შევიდა ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში.

სასცენო ხელოვნებით სიყრმიდანვე იყო გატაცებული. მოწაფეობის დროს მართაფდა წარმოდგენებს. თბილისის უნივერსიტეტში ყოფნის დროს. პარალელურად სწავლობდა გ. ჯაბადარის დრამატულ სტუდიაში. 1920 წელს მიღებული იქნა ქართული თეატრის დასში სცენის თანამშრომლად. როდესაც, 1922 წელს, თეატრს სათავეში კოტე მარჯანიშვიდი ჩაუდგა, დ. ანთაძე გადაყვანილ იქნა რეჟისორის თანამშემწედ. ამრიგად, დ. ანთაძე ქართულ საბჭოთა თეატრის შექმნის ერთ-ერთი მონაწილეა. 1925 წელს რუსთაველის თეატრში განახორციელა პირველი დამოუკიდებელი დადგმა — პ. კაკაბაძის დრამა „ლისაბონის ტუსაღები“. ამის შემდეგ განუწყვეტლვ ეწეოდა სარეჟისორო მოღვაწეობას. 1927 წელს წავიდა რუსთაველის თეატრიდან. 1927—1928 წწ. სათეატრო სეზონში რეჟისორად მუშაობდა თბილისის მუშათა თეატრში. ამ პერიოდში, სხვებთან ერთად, საძირკველი ჩაუყარა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს. იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. ამ თეატრის შექმნისას, 1928 წელს, დ. ანთაძეს დაკისრებული ჰქონდა თეატრის მხატვრულ-ორგანიზაციული საკითხები.

1928—1929 წლებში, ქუთაისში მუშაობისას, დ. ანთაძემ, როგორც დამხმარე რეჟისორმა, მონაწილეობა მიიღო კ. მარჯანიშვილის ისეთ ცნობილ დადგმებში, როგორიცაა ე. ტოლერის „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“, შ. დადიანის „კაკალ გულში“, ს. კალაძის „როგორ?“, დ. ჩიანელის „ბაილ“ და სხვ. თეატრის თბილისში გადმოსვლის შემდეგ, დადგა გ. ბააზოვის დრამა „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და კ. მარჯანიშვილთან ერთად განაახლა ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“. კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1933 წელს დ. ანთაძე დაინიშნა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ხელმძღვანელად. განახორციელა მთელი რიგი დადგმები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“, გ. ბააზოვის „იკვა რიყინაშვილი“ და სხვ. 1938 წელს დ. ანთაძე გადაყვანილი იქნა ქუთაისში თეატრის აღსადგენად. დაინიშნა თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, 1952 წელს

თბილისში დაბრუნდა და ა. გრიბოედოვის თეატრის დირექტორად დაიწყო მუშაობა, ხოლო შემდეგ გადაყვანილი იქნა რუსთაველის თეატრის დირექტორად. 1963 წელს იგი აირჩიეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ. 1971 წელს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

1952—1958 წლების სეზონი ვ. ყუშიტაშვილის ხელმძღვანელობით. თეატრის მთავარ რეჟისორად ვასო ყუშიტაშვილი მოიწვიეს, დამდგმელ რეჟისორებად მუშაობდნენ თ. ლორთქიფანიძე და ი. კაკულია. თეატრის მთავარ მხატვრად დაინიშნა დ. თაყაიშვილი. დასს შეემატა გორიდან გადმოსული მსახიობი შ. ხაჭალია.

სეზონი გაიხსნა კ. მალიარევსკის ისტორიულ-რევოლუციური შინაარსის დრამით „ქარიშხლის წინ“.

პიესა დადგა ვ. ყუშიტაშვილმა. რეჟისორმა რეალისტური სამართლით გამსჭვალული წარმოდგენა შექმნა.

გაზეთ „კომუნისტში“ (№ 256, 1952, 28 ოქტ.) ამ სპექტაკლის შესახებ ბ. თათარიშვილი წერდა: „ქარიშხლის წინ“ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის იდეურად გამართული და მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლია“. სპექტაკლის წარმატებას დიდად უწყობდა ხელს დ. თაყაიშვილის მიერ შესრულებული დეკორაციები.

როლების კარგი შესრულებით გამოირჩეოდნენ შ. პირველი (საგაფიცვო კომიტეტის წევრი, მუშა ნიკიტა), ვ. მეგრელიშვილი (მუშა ფეოდოროვი), ა. ქელბაქიანი (მალაროების მმართველი), გ. ტყაბლაძე (ამ სეზონში სამუშაოდ ქიათურიდან გადმოვიდა და სეზონის დამთავრების შემდეგ კვლავ ქიათურის თეატრს დაუბრუნდა), მ. გელაშვილი, თ. ღვინიაშვილი, თ. პოკროვსკაია და სხვ.

ამ სეზონში თეატრმა თანამედროვე შინაარსის ორი ახალი ქართული ნაწარმოები უჩვენა მაყურებელს. ესენი იყო: გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“ (დადგმა ვ. ყუშიტაშვილისა და თ. ლორთქიფანიძისა) და ვ. გაბესკირიას „გაზაფხულის დილა“ (დადგმა ვ. ყუშიტაშვილისა და თ. ლორთქიფანიძისა). ორივე წარმოდგენა საკმაოდ კარგად მიიღო მაყურებელმა. გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელზე“ ა. ფალავა სტატიაში — „ქუთაისის ახალი სპექტაკლები“ (ქუთაისის გაზეთი „სტალინელი“, № 96, 1953, 10 მაისი) წერდა, რომ პიესის ღირსებას წარმოადგენს თანამედროვეობის ცოცხალი ასახვა, დღევანდელი ცხოვრების მაქისცემის ჩვენება, ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხზე, როგორც არის სოფლად მუშაობა, რომელსაც ჭერჭერობით ბევრი ახალგაზრდა გაურბის... რომ ქუთაისის თეატრმა შექმნა ხალისიანი, დახვეწილი, სუფთა სპექტაკლი. ამ დადგმაში თავი უსახელებიათ თეატრში ახალმო-

სულ მსახიობებს ბელა ჯაფარიძეს (ახალგაზრდა მასწავლებელი), გ. ლალანიძეს, შ. ხაჯალიას, ე. ასლამაზიშვილს, ნ. სალარაძეს და სხვ.

გარდა ამისა, თეატრმა ყიდევ 4 ახალი პიესა უჩვენა. გ. ჩიტაშვილის ზღაპარი „მირანგულა“ (დადგმა ი. კაქულიასი), ბულგარელი მწერლის ო. ვასილიევის დრამა „ამქვეყნიური სამოთხე“ (დადგმა ი. კაქულიასი), კ. მიუფკეს დრამა „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“ (დ. აბაშიძის სადიპლომო სპექტაკლი) და მ. გორკის „მზის შვილები“ (დადგმა თ. ლორთქიფანიძისა).

1953—1954 წლების სეზონში თეატრის მთავარ რეჟისორად მოღვაწეობას განაგრძობდა ვ. ყუშიტაშვილი. დამდგმელი რეჟისორები იყვნენ თ. ლორთქიფანიძე და დ. აბაშიძე. განხორციელებული იყო რვა ახალი დადგმა, აქედან ოთხი თანამედროვე შინაარსის ქართული ორიგინალური ნაწარმოები: ვ. გაბესკირიას დრამა „უფსკრულთან“ (დადგმა თ. ლორთქიფანიძისა), კ. ბუაჩიძის კომედია „მკაცრი ქალიშვილები“ (დადგმა დ. აბაშიძისა), ვ. პატარაიას „ქალიშვილი ზღვის პირას“ (დადგმა ვ. ყუშიტაშვილისა და თ. ლორთქიფანიძის) და გ. ქელბაქიანის კომედია „მათი დანაშაული“ (დადგმა თ. ლორთქიფანიძისა). თანამედროვე შინაარსის იყო აგრეთვე თარგმნილი კომედია ვ. მინკოს „გვარს ნუ დავასახელებთ“. არც ისტორიული თემატიკა და კლასიკური დრამატურგია იყო დავიწყებული. დაიდგა ი. ვაკელის ტრაგედია „გიორგი სააკაძე“ (დადგმა ვ. ყუშიტაშვილისა), დ. ფონვიზინის კომედია „უმწიფარა“ (დადგმა ვ. ყუშიტაშვილისა) და ე. ზოლას პიესა „ბატონ რაბურდენის მემკვიდრენი“ (თ. მაღალაშვილის სადიპლომო სპექტაკლი).

თავისი მხატვრული ღირსებით განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ვ. ყუშიტაშვილის დადგმებმა „უმწიფარმა“ და „გიორგი სააკაძემ“. ამ წარმოდგენების შესახებ სერგო ჭეიშვილი მონოგრაფიაში „ვასო ყუშიტაშვილი“ (თბ. 1957) წერდა: „უმწიფარა“ ყურადღებას იქცევდა იმით, რომ თანამედროვე მაყურებლის თვალწინ ცოცხლობდა მეთვრამეტე საუკუნის ბატონყმური რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საშინელი სურათები. სპექტაკლში აღდგენილი იყო სკოტინინების, მიტროფანუშკების, კუტეიკინების და სხვა მსგავსთა სულიერი სამყარო... „გიორგი სააკაძე“ უპირველეს ყოვლისა, იმით იყო საყურადღებო, რომ სააკაძის ტრაგედიაში რეჟისორმა ჩააქსოვა მთელი ქართველი ხალხის, მთელი ერის წარსული ტრაგედია. სპექტაკლში ცენტრალური ადგილი დათმობილი ჰქონდა არა პიროვნებას, არა სააკაძეს, არამედ ხალხს, რომელიც, ერთი მხრით, შემოსეულ დამპყრობელს ებრძოდა, მეორე

მხრით კი — ფეოდალურ არისტოკრატას, — ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის ხელის შემშლელს“.

ვასო ყუშიტაშვილი. ვასო ყუშიტაშვილი ქუთაისში დიდახანს აღარ დარჩენილა. მან გახსნა 1954—1955 წწ. სათეატრო სეზონი, უჩვენა თავისი ახალი დადგმა „მათი გასაჭირი“ (ს. კვიციანიის მიერ ინსცენირებული დ. კლდიაშვილის მოთხრობები). მალე ის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გადმოიყვანეს რეჟისორად. მართალია, ცოტა ხანს იყო ქუთაისში, მაგრამ მაინც ვ. ყუშიტაშვილმა საგრძნობი ღვაწლი დასდო თეატრის მხატვრული დონის სრულყოფას, თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებთა დანერგვას.

ვასილ პავლეს ძე ყუშიტაშვილი დაიბადა თბილისში 1894 წლის 25 აპრილს. საშუალო განათლება თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მიიღო. რომლის დამთავრების შემდეგ, 1913 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. თეატრით გატაცებული, პარალელურად ვერა კომისარევისკაიას სახელობის დრამატულ სტუდიაში სწავლობდა. 1916 წელს ვ. ყუშიტაშვილი მოპოლიზაციის წესით სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ამიტომ იგი იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვ. ყუშიტაშვილი პეტროგრადში მსახურობდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი (მ. გორკის პეუღლის) მარია ანდრეევას მიწვევით პეტროგრადის სახალხო სახლში მუშაობდა. 1918 წელს ვ. ყუშიტაშვილი სამშობლოში გამოემგზავრა და თბილისში დრამატულ სტუდიაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ქართულ თეატრში დადგა სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“. 1919 წელს სათეატრო ხელოვნების გასაცნობად გაემგზავრა უცხოეთში. იგი ფიქრობდა, მხოლოდ რამდენიმე თვე დარჩენილიყო პარიზში, მაგრამ აქ დიდხანს დაჰყო. ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც რეჟისორი მუშაობდა პარიზის მთელ რიგ თეატრებში, იყო ცნობილი თეატრის „ატელიეს“ ერთ-ერთი დამაარსებელი, 1933 წელს სამშობლოში დაბრუნდა და 1933—1934 წწ. სათეატრო სეზონში მუშაობა დაიწყო ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. ამის შემდეგ რეჟისორად გადაიყვანეს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. იქ 1948 წლამდე დაჰყო. მცირე ხნით მუშაობდა ზუგდიდის თეატრის მთავარ რეჟისორად. 1948 წლის შემდეგ გორის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო. 1952 წელს ქუთაისის თეატრში გადავიდა მთავარ რეჟისორად. 1955 წელს კვლავ დაბრუნდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. 1961 წელს სოხუმის თეატრის მთავარ რეჟისორად გადაიყვანეს. გარდაიცვალა სოხუმში 1962 წლის 15 იანვარს.

1941 წელს ვ. ყუშიტაშვილს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებუ-

ლი მოღვაწის საპატიო წოდება, ზოლო 1958 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. ქართულ სცენაზე ვ. ყუშიტაშვილმა 45 დადგმა განახორციელა. ჩვენი თეატრის ისტორიაში მისი ნამოღვაწარი ძვირფასი განძად შევიდა.

1954—1955 წლების სეზონი. თეატრის მთავარ რეჟისორად გიგა ლორთქიფანიძე დაინიშნა. მან განახორციელა ერთი დადგმა — კ. ტრენევის ცნობილი დრამა „ლიუბოვ იაროვაია“.

დამდგმელ-რეჟისორებად თეატრში მუშაობდნენ თ. ლორთქიფანიძე და დ. აბაშიძე. პირველმა დადგა კ. სიმონოვის პიესა „ამბავი ერთი სიყვარულისა“ და დ. თაქთაქიშვილის დრამა „გრიბოედოვი“, ზოლო მეორემ კ. ბუაჩიძის კომედია „ეზოში ავი ძაღლია“ და პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“. გარდა ამისა ჯ. ანჯაფარიძემ სადიპლომო სპექტაკლი განახორციელა. ეს იყო კ. გოლდონის კომედია „სასეირო შემთხვევა“.

ღირსშესანიშნავ მხატვრულ მოვლენად ჩაითვალა სპექტაკლი „ლიუბოვ იაროვაია“. სამოქალაქო ომის რეალისტური სიმართლით ამსახველი ეს შესანიშნავი ნაწარმოები, შემოქმედებითად კარგად დაძლია თეატრის მსახიობთა კოლექტივმა.

თ. ლორთქიფანიძე. რეჟისორმა თ. ლორთქიფანიძემ ქუთაისის თეატრში კიდევ 1955—1956 წლების სეზონში იმუშავა. ამის შემდეგ ის გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრის მთავარ რეჟისორად გადაიყვანეს. თ. ლორთქიფანიძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის თეატრში როგორც მსახიობსა და რეჟისორს. ამიტომ ვათავსებთ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს მის შესახებ. თეიმურაზ აპოლონის ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1910 წლის 28 ოქტომბერს სოფ. დანირ-ქვიტირში (წულუკიძის რაიონი). საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში. 1928 წელს შევიდა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. პარალელურად სწავლობდა თბილისის კინოსტუდიასთან არსებულ სამსახიობო კურსებზე. 1931 წლიდან მუშაობა დაიწყო კინოში. 1934 წელს კინოს ჩამოცილდა და მსახიობად შევიდა ქუთაისის თეატრში. იქ ერთი სეზონი იმუშავა და გადავიდა ბათუმის თეატრში, სადაც ასევე ერთი სეზონი დაჰყო. 1936 წლიდან ფოთის თეატრში მსახიობად დაიწყო მუშაობა. 1938 წლიდან კი — რეჟისორ-დამდგმელად. 1948 წელს დაინიშნა ფოთის თეატრის დირექტორად და მთავარ რეჟისორად. 1950 წელს დამდგმელ-რეჟისორად და მსახიობად გადავიდა ქუთაისის თეატრში, სადაც 1955 წლამდე იმუშავა. შემდეგ გადაყვანილ იქნა მთავარ რეჟისორად გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრში. დაიღუპა 1957 წლის 1 ივნისს საავტომობილო ავარიის დროს. იყო კომუნის-

ტური პარტიის წევრი 1939 წლიდან. 1946 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ნათამაშევი ჰქონდა 80-მდე როლი. განახორციელა 60-ზე მეტი დადგმა.

თეატრის ახალი შენობა. 1955 წლის 5 ნოემბერს ქუთაისში გაიხსნა თეატრის ახალი შენობა. ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი დიდი ზეიმიით აღინიშნა.

თეატრის შენობის პროექტის ავტორი იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. შავიშვილი. შენობა აგებული იქნა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე და იგი ამ მოედნისა და მთელი ქალაქის მშვენიერებას წარმოადგენს. თეატრის ფასადი მოპირკეთებულია ეკლარის ქვის ჩუქურთმებით. კარ-ფანჯარა წითელი ხისაა. შენობას ამშვენებს ხელოვნური მარმარილოს სვეტები. იატაკი გაკეთებულია მხატვრული მოზაიკით და სხვადასხვა ფერის მხატვრული პარკეტით.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს მაყურებელთა დარბაზი, რომელიც იტევს 1100 მაყურებელს. დარბაზის ქერის და თაღების მხატვრობა შესრულებულია ქართული სტილით მ. თოიძის სახელობის თბილისის სამხატვრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა და მოსწავლეთა მიერ ა. ზედალაშვილის, ს. ოგანოვისა და ვ. ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით.

დარბაზის ავეჯი დაამზადა თბილისის ავეჯის ფაბრიკამ და მარელების გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკამ.

შენობის მოსართავად დიდი შრომა ჩაატარა მოქანდაკე ე. მიზანდარმა. ქართული ჩუქურთმებით და ორნამენტებით შეამკეს შენობა ოსტატებმა პ. აბესაძემ, ლ. ბაზაძემ, დ. მაპრიკიშვილმა და სხვებმა.

სცენა სავსებით მექანიზებულია. სცენის მბრუნავი ნაწილის დიამეტრი 15 მეტრს უდრის. სცენას ერთვის დიდი სამხატვრო-სადეკორაციო სახელოსნო და საწყობი. მსახიობთა განკარგულებაშია შესანიშნავად მოწყობილი ცალკე ოთახები, სარეპეტიციო დარბაზი, მსახიობთა ჯგუფური სამეცადინო ოთახები. გამოყოფილია აგრეთვე სათავსოები მუზეუმისათვის.

თეატრის მთავარი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“ თეატრის გახსნის დღეს წერდა: „...ქუთაისის თეატრის ახალი შენობა ქართული კულტურის დიდი შენაძენი, დიდი საჩუქარია... განსაკუთრებით გვახარებს ეს ჩვენ, ლაღო მესხიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივს, რომელიც ამ საჩუქარს უშუალოდ იბარებს. ჩვენი თეატრის კოლექტივი დიდი მღელვარე-



ბით ელის ახალ შენობაში მაცურებელთა პირველ შეხვედრას. რა თქმა უნდა, ამასვე განიცდის ჩვენი მაცურებელიც. ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი სერიოზული შემოქმედებითი ანოცანების წინაშე დგას. ეს ანოცანები თვით ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი. პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვა ჩვენს თეატრს ავალებს გაორკეცებული შემოქმედებითი ენერგიით იმუშაოს მაღალიდუერი და მაღალმხატვრული სპექტაკლების შესაქმნელად“.

თეატრის საზეიმო გახსნაზე დასასწრებად ქუთაისში ჩამოვიდნენ სტუმრები თბილისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან. სტუმართა შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი.

საზეიმო სხდომის შემდეგ ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრის დასმა ახალ შენობაში წარმოადგინა თავისი პირველი დადგმა ლეო ქიაჩელის დრამა „ტარიელ გოლუა“ (დადგმელი გ. ლორთქიფანიძე, რეჟისორი დ. აბაშიძე, მხატვარი დ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი შ. მილორავა).

1955—1956 წლების სათეატრო სეზონი. გაზეთ „სტალინელში“ (№ 236, 1955, 20 ნოემბერი) ამ დადგმაზე წერდნენ: „თეატრმა „ტარიელ გოლუათი“ შექმნა საქართველოს რევოლუციური წარსულის ანსაზველი რეალისტური სპექტაკლი, რომელმაც მაცურებლის საერთო მოწონება და სიყვარული დაიმსახურა“.

პიესის წარმატება განაპირობა დამდგმელისა და მსახიობთა შემოქმედებითა უნარმა. დადგმაში წინა პლანზეა წამოწეული ნაწარმოების სოციალური არსი, ხაზგასმულია რევოლუციური ბრძოლის მომენტები — წერდნენ გაზეთში.

სეზონის დამთავრებამდე ახალ შენობაში დასმა მაცურებელს კიდევ სამი ახალი დადგმა უჩვენა: ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“ (მაია წყნეთელის როლი შესანიშნავად შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა ბელა ჭაფარიძემ, დადგმა გ. ლორთქიფანიძისა), კ. გოლდონის კომედია „სასტუმროს ღიასახლისი“ (დადგმა გ. ლორთქიფანიძისა) და პ. ჭიაკომეტის დრამა „დამნაშავის ოჯახი“ (დადგმა დ. აბაშიძისა).

სეზონის განმავლობაში დაიდგა აგრეთვე ქუთაისელი დრამატურგის დ. გორუაძის პიესა „ნაცნობი სახეები“ (დადგმა დ. აბაშიძისა), მ. ჭაფარიძის პიესა „ჩვენებურები“ (დადგმა გ. ლორთქიფანიძისა), რ. თაბუკაშვილის კომედია „რას იტყვის ხალხი“ (მ. ფურცხვანიძის სადიპლომო სპექტაკლი), ი. ჭავჭავანიძის კომედია „კეთილი მეზობლები“ და უ. შექსპირის „ოთელი“ (დადგმა გ. ლორთქიფანიძისა).

ამით დამთავრდა გ. ლორთქიფანიძის ხანმოკლე მაგრამ მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა ქუთაისის თეატრში.

გ. ლორთქიფანიძე. გრიგოლ (გიგა) დავითის ძე ლორთქიფანიძე ომის შემდგომ პეროდში სამოღვაწეოდ გამოსულ ნიქიერ რეჟისორთა თაობას ეკუთვნის. იგი დაიბადა თბილისში 1927 წლის 19 ოქტომბერს. საშუალო განათლებაც აქვე მიიღო. შემდეგ შევიდა ა. ლუნაჩარსკის სახელობის მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. ინსტიტუტი დაამთავრა 1950 წელს. რეჟისორად გაგზავნეს ვილნიუსის რუსულ თეატრში. სამშობლოში რომ დაბრუნდა ჯერ გორის თეატრში მუშაობდა, შემდეგ 1952—1954 წლებში რეჟისორად იყო კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, ხოლო შემდეგ ქუთაისის თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა. 1956 წელს კვლავ დაუბრუნდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს. 1963 წელს კი დაინიშნა ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორად. მალე კვლავ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს დაუბრუნდა, ხოლო 1967 წელს სათავეში ჩაუდგა ახლად დაარსებულ რუსთავის დრამატულ თეატრს. 1970 წელს გადაყვანილი იქნა ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორად.

გ. ლორთქიფანიძეს 1962 წელს მიენიჭა ხელოვნებას დამსახურებული მოღვაწის, ხოლო 1970 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

ვ. ჩხიკვაძე. 1956 წლის 6 აპრილს ქუთაისის თეატრმა შემოქმედებითი საღამო გაუმართა ძველ მსახიობს ვარლამ ნესტორის ძე ჩხიკვაძეს. ეს იყო მსახიობის სასცენო მოღვაწეობის 45 წლისთავი. მოხსენება ვ. ჩხიკვაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გააკეთა შ. დადიანმა. მსცოვან მსახიობს მიესალმნენ მისი მეგობრები და პატივისმცემელები. საღამოზე წარმოდგენილი იყო სცენები ქუთაისის თეატრის დადგმებიდან ვ. ჩხიკვაძის მონაწილეობით. მოგვყავს მსახიობის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ვ. ჩხიკვაძე დაიბადა 1892 წლის 18 მაისს ქუთაისში. თავიდანვე ჩაება არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში, რისთვისაც არაერთხელ დააპატიმრეს. 1908 წელს პირველად გამოვიდა სცენაზე ქუთაისის დრამატულ დასში. მუშაობდა აგრეთვე, ფოთის, ჭიათურის, ბათუმის, ხაშურისა და თელავის თეატრებში. 1938 წელს მსახიობად მიიწვიეს ქუთაისის მუდმივ დასში, აქვე დაასრულა თავისი სასცენო მოღვაწეობა.

ვ. ჩხიკვაძე უმეტესად სახასიათო როლებს თამაშობდა. შექმნილი აქვს მრავალი სცენური სახე. მაგალითად: კაკუტა (პ. კაკაბაძის

„ყვარყვარე თუთაბერი“), სვიმონ ლიონიძე (დ. ერისთავის „სამშობლო“), პინტრიშიძე (შ. დადიანის „გუშინდელნი“), შაპ-აბასი (ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“), ოსიპი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ესტევანი (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), პოლონიუსი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), მაქსიმილიან მორი (ფ. შილერის „ყაჩაღები“), დე-სილვა (კ. გუცკოვის „ურჩელ აკოსტა“) და სხვ.

ვ. ჩხიკვაძეს 1950 წელს მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. გარდაიცვალა 1960 წლის 16 ნოემბერს.

თ. ღვინიაშვილი. 1956 წლის 12 ივნისს თეატრმა სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი შემოკმედებითი საღამო გამართა მსახიობ თიკო ღვინიაშვილს.

თინათინ ლევანის ასული ღვინიაშვილი დაიბადა 1901 წლის 6 მაისს. 1919 წელს დაამთავრა თელავის ქალთა სასწავლებელი. სცენაზე პირველად გამოვიდა დრამატული წრის წარმოდგენაში 1917 წელს და ითანამაჟა ქრისტიანეს როლი პ. ირეთელის „ქრისტიანეში“ (ე. ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით). 1922 წლამდე მუშაობდა თელავის დრამატულ წრეში. 1924—1925 წლ. სეზონში მიწვეული იყო მსახიობად ქუთაისში, 1925—1926 წლ. სეზონში ჭიათურის თეატრში, 1926—1935 წლებში მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრში, 1935—1936 წლ. სეზონში სიღნაღის, 1936—1937 წლ. სეზონში თელავისა და 1937—1938 წლ. ველისციხის თეატრებში. 1938 წელს მიწვეული იყო ქუთაისის თეატრის მუდმივ დასში და დღემდე იქ განაგრძობს მოღვაწეობას როგორც წამყვანი მსახიობი. შესრულებული აქვს მრავალი როლი. ამთგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქეთევანი (დ. ერისთავის „სამშობლო“), მაშიკო (ა. ცაგარლის „ციმბირელი“), ელენე (ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“), ვალიდა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“), ბარონესა შტრონგერი (ნ. შიუკაშვილის „სულელი“), თამარი (ვ. გაბესკირიას „მათი ამბავი“), ქეთევანი (ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), პოლინა (მ. გორკის „მტრები“), აგა შჩუკა (ა. კორნეიჩუკის „უზანის ჭალა“), ტატიანა (ბ. ლავრენევის „რღვევა“), დეზდემონა (უ. შექსპირის „ოტელო“), რეგინა (უ. შექსპირის „მეფე ლარი“) და სხვ.

თ. ღვინიაშვილს 1946 წელს მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

გასტროლები თბილისსა და რუსთავში. 1956 წლის სექტემბერში ქუთაისის თეატრმა სავასტროლო წარმოდგენები გამართა თბილისსა და რუსთავში. რეპერტუარში ჰქონდათ: ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“, ლ. ქიაჩელის „ტა-

რიელ გოლუა“, ი. ჭავჭავაძის „კეთილი მეზობლები“, დ. თაქთაქიშვილის „გრიბოედოვი“, კ. ტრენევის „ლუბოვ იაროვაია“ და უ. შექსპირის „ოტელო“.

თეატრმა გასტროლები „ლიუბოვ იაროვაიათი“ დაიწყო. ეს ნაწარმოები რუსული საბჭოთა დრამატურგიის ბრწყინვალე ნიმუშია. სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა ქუთაისში.

ქუთაისის თეატრისათვის ამჯერად მეტად დამახასიათებელი სპექტაკლი იყო „ოტელო“. მასში მთელი სიცხადით ჩანდა ამ თეატრის სახე, მისი მისწრაფებები, მიღწევები, ხარვეზები. მოქმედება იშლებოდა ავანსცენაზე, სცენის შუა ნაწილში, სიღრმეში, კიბეებზე, კოშკზე, მის აივანზე, სართულების ფანჯრებში და სხვ. ამასთან, კონსტრუქცია სადა იყო და არქიტექტონიკურად კონცენტრირებული. რეჟისორის მიერ თითქმის ზუსტად იყო დაცული შექსპირის ტექსტი და მის მოსასმენად სპექტაკლში შექმნილი იყო სათანადო პირობები.

ძირითადში სპექტაკლი რეჟისორის ფაქიზი გემოვნებით იყო აღბეჭდილი.

მსახიობი ვ. მეგრელიშვილი ოტელოს სახეს ჩვენს თეატრებში მიღებული კონცეფციის თანახმად ისწავდა. მისი ოტელოც ნდობა-გატრუებული ადამიანის ტრაგედიას წარმოადგენდა და არა იჰვიანობით დაავადებულს.

საერთოდ ოტელოს სახე თანმიმდევრული სიზუსტით იყო გააზრებული რეჟისორისა და მსახიობის მიერ, თუმცა ჩანაფიქრი ყოველთვის როდი იყო მსახიობის მიერ სათანადოდ რეალიზებული.

სპექტაკლში იაგოს როლს მსახიობი გ. კოსტავა ასახიერებდა. იგი იძლეოდა იაგოს ყოფით და ფსიქოლოგიურ დანახსიათებას ისე, რომ არ წვდებოდა მისი ბოროტებისა და ზნეობრივი საღიზმის ბუნებას. ეს სახე ყოფით იერს ატარებდა. აქეთვე უბიძგებდა მსახიობს იაგოს სახის რეჟისორული ჩანაფიქრი.

დღეღემონას როლს საინტერესოდ ასრულებდა ც. ჟორჯოლაძე. „ოტელო“ ქუთაისის თეატრის მიღწევა იყო. მასში ჩანდა მხატვრული გამბედაობა, შემოქმედებითი ნაპერწკალი, პიესის საინტერესო წაკითხვა, სპექტაკლის გადაწყვეტა ერთ მთლიან სტილში, რისთვისაც თამამად იყო გამოყენებული ყველა კომპონენტი.

უდავოდ კარგი სპექტაკლი იყო მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“. საინტერესო იყო მსახიობთა ანსამბლი. ძნელი იყო გაგერკვიათ, თუ რომელი პერსონაჟი მეტი სიმართლით იყო განსახიერებული — საქმიანი და გრძნობების გამოხატვაში ძუნწი ტარიელი (ვ. მეგრელიშვილი) თუ სადა და თავშეკავებული როლამი (მ. გელაშვილი), საკუ-

თარი უძღურებით გაგულისებული, მოსიყვარულე. ლმობიერი არჩევანი (გრ. კოსტავა) თუ ტკბილი და ოჯახისათვის თავდადებული სალომე (თ. პოკროვსკაია), თამამი და პირდაპირი ზენარა (ბ. ჯაფარიძე) თუ უზომოდ შეყვარებული, გულმართალი მინაგო (გ. მგებურიშვილი), სულიერად ახალგაზრდა მოხუცი გეგელია (შ. ხაჯალია) თუ სულგრიძელი და ხალისიანი ილარიონი (კ. აბესაძე). არა თუ ძირითადი სახეები, არამედ ხათუნას (ნ. სალარაძე) სულ პატარა, თითქმის უსიტყვო როლიც კი ღრმად რჩებოდა მძაყურების მეხსიერებაში. მსახიობთა საერთო წარმატებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ პერსონაჟები ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ მხატვარ დ. თავაძის მიერ შექმნილ უაღრესად ბუნებრივ და ჩვეულ გარემოში. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ პიესის გმირები მეტად ნაცნობი და თითქმის ახლობელიც კი იყვნენ შემსრულებლებისათვის.

საერთოდ, დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ქუთაისის თეატრის მსახიობთა კოლექტივი მეტწილად ორიგინალურ, ქართულ რეპერტუარში იმარჯვებდა. ამ მხრივ საგულისხმო იყო სპექტაკლი „მაია წყნეთელი“, რომელშიც დიდი წარმატება მოიპოვა მთავარი როლის შემსრულებელმა ახალგაზრდა მსახიობმა ქალმა ბელა ჯაფარიძემ.

ვ. კანდელაკის ეს ჩინებული პიესა მეტად ხელსაყრელ და ეფექტურ მასალას აძლევს ცენტრალური როლის შემსრულებელს. ამასთან, ეს როლი იმდენად რთულია, რომ მსახიობისაგან განსაკუთრებულ ემოციურობას, მძაფრ ტემპერამენტს, რიტმულობას, ლაღ მოძრაობას, კარგ ხმას, ტექნიკასა და ასე გასინჯეთ, დიდ ფიზიკურ გამძლეობასაც კი მოითხოვს.

ჩვენს რესპუბლიკაში თითქმის არ დარჩენილა თეატრი, რომელსაც „მაია წყნეთელი“ არ დაედგას. ბ. ჯაფარიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწორად, კარგად გახსნა მაია წყნეთელის სახე. ამავე სპექტაკლში მოწონებებს იმსახურებდა შ. ხაჯალიას მიერ შექმნილი ბატონიშვილი ანდრეჟაფარის სახე.

შ. ხაჯალია გვაძლევდა ფეოდალთა ბოროტებისა და ავბორცობის კონკრეტულ, განზოგადებულ დახასიათებას. ლაღი, ენამახვილი და გულწრფელი იყო გ. კოკელაძის ჯემალი.

დიდი ტაქტით თამაშობდა ერეკლე მეორეს როლს ა. ქელბაქიანი, მსახიობი ითვისებდა როლის ხვედრით წონას პიესაში, გაურბოდა ერეკლეს იდეალიზაციას და ზუსტად მისთვის განკუთვნილ ადგილს იჭერდა სპექტაკლში.

ი. ჭავჭავანიძის „კეთილი მეზობლები“ თავისთავად საინტერესო სპექტაკლი იყო. ეს ხალისიანი კომედია თეატრის კოლექტივის მრ-

ვალფეროვან შესაძლებლობას ავლენდა, წარმოგვიდგენდა კომედიის ისეთ ვირტუოზ ოსტატს, როგორცაა ი. ხვიჩია და ამჟღავნებდა ქუთაისელთა უნარს—მოუხანაოს პიესას მისი ქანარის შესაფერი სცენური გადაწყვეტა, ზუსტად მოძებნილ ფორმაში გამოავლინოს თავისი პოზიცია ნაწარმოებში ასახული მოვლენისადმი.

ი. ჭავჭავაძის ეს კომედია რეჟისორმა ი. კაკულიამ გაიხზრა როგორც სატირა-ბუფონადა და ამის მიხედვით გადაწყვიტა სპექტაკლიც. იგი დადგმული იყო უკიდურესობამდე გაიხზილებული მძაფრი რეჟისორული და სამსახიობო ხერხებით და მიზანში ამოღებულ ნაკლოვანებებს გამანადგურებელი ძალით ამათრახებდა. საგასტროლო სპექტაკლებმა მათურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ბრესა ფართოდ გამოეხმაურა გასტროლებს, აღნიშნა თეატრის უღავო მხატვრული მიღწევები, რა თქმა უნდა, ნაკლიც. „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 39, 1956) გასტროლების შემაჯამებელ სტატიასი ვ. კიკნაძე წერდა: „...ამ გასტროლებმა გვიჩვენეს, რომ ქუთაისის თეატრს ნიჭიერი კოლექტივი ჰყავს. ფართოა მისი შესაძლებლობა, უნარი, რათა შექმნას ქეშმარიტად მაღალმხატვრული სცენური სახეები. გასტროლებზე თბილისელმა მათურებლებმა ქუთაისის სპექტაკლებში ზევრი რამ ნახა საინტერესო და საკულისხმო, მაგრამ გულისტკივილით გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ გაცილებით მეტს მოველოდით ამ თეატრისაგან. საგასტროლოდ შერჩეული სპექტაკლები არ იყო ერთნაირი გულმოდგინებით მომზადებული, ხშირად დაბალ დონეზე იდგა სპექტაკლების ტექნიკური მხარე. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მეტყველების საკითხს თეატრში“...

1956—1957 წლების სეზონი ნ. გოძიაშვილის ხელმძღვანელობით. გ. ლორთქიფანიძის ნაცვლად ქუთაისის თეატრის მთავარ რეჟისორად ნ. გოძიაშვილი დაინიშნა. სეზონის განმავლობაში დადგმული იყო ექვსი ახალი ნაწარმოები: ნ. პიჭმეთის პიესა „ბრიყვი“ (დადგმა ნ. ხატისკაცისა), პ. კაკაბაძის კომედია „დავით მერვე“ (დადგმა თ. მაღალაშვილისა), გ. ბერძენიშვილის პიესა „ლერწაში ქარში“ (დადგმა მ. ფურცხვანიძისა), ლ. სანიკიძის დრამა „კაიუს-გრაქსი“ (დადგმა თ. მაღალაშვილისა), დ. თაქთაქიშვილის პიესა „შარავანდელი“ (დადგმა ნ. გოძიაშვილისა) და ბ. შოუს მელოდრამა „ემპაკის მოწაფე“ (თ. მესხის სადიპლომო სპექტაკლი). ამრიგად, თითქმის ყველა დადგმა ახალგაზრდა რეჟისორებმა განახორციელეს.

საინტერესო სპექტაკლად იყო მიჩნეული ნ. ხატისკაცის მიერ დადგმული „ბრიყვი“.

ქება დაიმსახურა მ. ფურცხვანიძის დადგამა „ლერწამი ქარში“. გ. ბერძენიშვილის ეს ახალი პიესა გურიის ახალგაზრდობის ცხოვრებას ასახავდა. დადგმა მიეძღვნა ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალს. პიესაში მონაწილეობდა თეატრის მსახიობთა ახალგაზრდა თაობა და ახალგაზრდა რეჟისორთან ერთად მათ საინტერესო წარმოდგენა შექმნეს.

ყურადღება დაიმსახურეს ახალგაზრდა მსახიობებმა ე. სვანიძემ და ი. ბალიაშვილმა.

ამ სეზონში თეატრმა აღნიშნა ლადო მესხიშვილის დაბადების ასი წლისთავი.

ცნობილია, რომ ლადო მესხიშვილი 1905 წლის რევოლუციის ბოროქარ დღეებში ქუთაისში დიდი წარმატებით დგამდა ვ. მონტის დრამას ძველ რომაელთა ცხოვრებიდან „კაიუს გრაქსი“. სპექტაკლი დაუცბრომელი ბრძოლის სულისკვეთებით იყო გაყენებული და დიდი წარმატებით სარგებლობდა.

ამჟერად კი ქუთაისის თეატრმა დადგა ხელახლად დაწერილი პიესა იგივე კაი გრაქსის ცხოვრებიდან, „კაიუს გრაქსი“. ეს ნაწარმოები შექმნა ქუთაისელმა მწერალმა ლ. სანიკიძემ. გაზეთი „სტალინელი“ (№ 98, 1957) მას სოციალურ დრამას უწოდებდა. „დრამატურგმა შეძლო შეექმნა მძაფრი და საინტერესო კონფლიქტი — ვკითხულობთ გაზეთში, როველიც თანდათან ვითარდება და დრამის დასასრულს აღწევს კულმინაციურ წერტილს. კონფლიქტი აგებულია ორი მოპირდაპირე კლასის — პატრიციებისა და პლებების წარმომადგენელთა, კონსულ ოპიმიუსსა და სახალხო ტრიბუნ გაიუს გრაქსის ბრძოლაზე“, გაზეთის ცნობით, დრამის ყოველ წარმოდგენაზე თეატრი მაყურებლით იყო სავსე და ოვაციებს უმართავდა მსახიობებს. გაზეთი აქებდა დამდგმელი რეჟისორის თ. მაღალაშვილის მუშაობას და აღნიშნავდა, რომ დადგმის მხატვრული დონე დამაკმაყოფილებელია, იგრძნობა ეპოქის ცოდნა და ცალკეული სცენები გაკეთებულია პროფესიონალური ოსტატობით. გრაქსის როლი კარგად უთამაშნია ახალგაზრდა მსახიობს გ. ლასხიშვილს. ოპიმიუსის როლი მისთვის ჩვეული ოსტატობით გაუაზრებია შ. პირველს. გრაქსის დედის, კორნელიას როლი ასევე ოსტატობით შესრულებია მ. გელაშვილს.

1957—1958 წლების სეზონი. ამ სათეატრო სეზონში თეატრს კვლავ ნ. გოძიაშვილი ხელმძღვანელობდა. დადგმული იყო ექვსი პიესა, რომელთა შორის მხოლოდ ერთი იყო თანამედროვე შინაარსის—გ. ქელბაქიანის „ხმა გულისა“ მემადაროელთა ცხოვრებიდან (დამდგმელი ნ. გოძიაშვილი). ეს დადგმა, და საერთოდ ამ სეზონის ყველა დადგმა, პრესის შეფასებით, ვერ იყო საკმაო მხატვრული

დონის. სეზონის დამლევს გაზეთმა „სტალინელმა“ (№ 79, 1958, 20 აპრ.) ვრცელი სარედაქციო წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც მხილებული იყო თეატრის ნაკლოვანებანი; თანამედროვე საბჭოთა შინაარსის ნაწარმოებების უგულვებლყოფა, დადგმების დაბალი მხატვრული ხარისხი, მსახიობთა სუსტი თამაში და სხვ. აღნიშნული იყო, რომ თეატრის კოლექტივს უკეთესად შეუძლია მუშაობა, რადგან საკმაო შესაძლებლობები აქვს მაღალმხატვრული ოსტატობისთვის.

ყველა ამ ნაკლის მიზეზი ჩვენ გვგონია იყო ის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ხშირად იცვლებოდნენ მთავარი რეჟისორები და ამ გარემოებამ კი შეასუსტა თეატრის მხატვრული ძალა.

ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს გადაეხალისებინათ თეატრის რეჟისურა და გაეძლიერებინათ იგი.

ნ. გოძიაშვილი განთავისუფლებული იქნა მთავარი რეჟისორის თანამდებობიდან. 1958—1959 წლების სეზონიდან თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა ჩვენი გამოჩენილი მსახიობი და რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი აკაკი ვასაძე, დამდგმელ რეჟისორებად მოწვეული იყვნენ ოთარ ალექსიშვილი და თამაზ მესხი.

**1958—1959 წლების სეზონი ა. ვასაძის ხელმძღვანელობით.** სათეატრო სეზონის გახსნის დღეს, 1958 წლის 20 სექტემბერს, ქუთაისის გაზეთმა „სტალინელმა“ სპეციალური გვერდი დაუთმო ქუთაისის თეატრს. სარედაქციო სტატიის მიხედვით უსურვებდა თეატრის კოლექტივს ყოველი სპექტაკლის ისეთნაირად განხორციელებას, რომ „მაყურებელი აღავსოს ნამდვილი დღესასწაულის განცდით“.

გაზეთში განსაკუთრებით იყო აღნიშნული ის ფაქტი, რომ თეატრის სათავეში ჩაუდგა ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატი ა. ვასაძე. მასზე წერდნენ: „შთაგონებულია რა ჩვენი ქალაქის ფართო საზოგადოებრიობის მხურვალე მხარდაჭერით და თეატრის მუშაკთა ერთსულოვანი ხელშეწყობით, იგი პატრიოტული მგზნებარებით მოეკიდა რთული ამოცანის გადაწყვეტას — თვალსაჩინოდ გამოკვეთოს ჩვენი თეატრის შემოქმედებითი სახე, გააღვიძოს მჭიდროდ დარაზმულ აქტივობათა კოლექტივში სასახლო ტრადიციების დაცვის მიდრეკილება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა მაღალმომთხოვნი მაყურებლის წინაშე“.

სეზონი გაიხსნა ვაჟა-ფშაველას ღრამით „მოკვეთილი“ (დადგმა ა. ვასაძისა, მხატვარი ფ. ლაბიაშვილი, კომპოზიტორი რ. გაბიჩვაძე).



გაზეთ „სტალინელში“ (№ 194, 1958, 30 სექტ.) ვ. ქუთათელაძემ ფართოდ გაარჩია ა. ვასაძის ეს პირველი დადგმა ქუთაისის სცენაზე. იგი წერდა, რომ რეჟისორმა სწორად გახსნა ნაწარმოები, პიესის იდეა ისევე გაიგო, როგორც ავტორს აქვს ჩაფიქრებული: „ნამდვილ გმირს ვაუა-ფშაველა პირადულისა და საზოგადოებრივის განუყრელ მთლიანობაში წარმოგვიდგენს. პიესაში მთავარია არა ფშავებსა და ქისტებს შორის უსამართლო შეტაკებების მონაწილე მოხვევითა თავდადება, არამედ ხალხს მოწყვეტილი გმირის, ხალხის ინტერესებთან დაპირისპირებული ინდივიდუუმის უუნარობა და განწირულება“. ვ. ქუთათელაძე მხატვარ ფ. ლაპიაშვილზე წერდა, რომ „რეჟისორთან ერთად ახერხებს ელაპარაკოს ხალხს თავის ხელოვნებაზე, გააცნოს მაყურებელს ის ბუნება, რომელმაც გმირთა ხასიათები ჩამოაყალიბა, მათ ცხოვრებაში გარკვეული წვლილი შეიტანა“.

კომპოზიტორ რ. გაბიჩვაძის მუსიკის შესახებ ავტორი აღნიშნავდა, რომ სპექტაკლის მუსიკა ქართული მუსიკალური ფოლკლორის მდიდარ მასალაზეა აგებული და ორგანულად ერთვის პიესის შინაარსს, მოქმედ პირთა სულიერ მანწყობილებას.

ვ. ქუთათელაძე წერდა: „მასალის ღრმა ცოდნა, დიდი გამოცდილება რეჟისორს ხელს უწყობს შექმნას მდიდარი პათეტიკური სულით აშაღლებული ხასიათები“. ამ ხასიათებიდან განსაკუთრებულად გამოჰყოფდა პიესის მთავარ გმირებს — ჩონთას (ვ. მეგრელიშვილი) და ბახას (გ. ნაცვლიშვილი), როგორც თავიანთი საწინააღმდეგო ხასიათების მკაფიოდ გამომხატველთ. მათთან ერთად აქებდა მსახიობებს მ. გელაშვილს (ჯავარა), თ. ღვინიაშვილს (მოჭრისი), თ. ბერაძეს (გულსუნდა), ე. დადიანს (გულქანა), ქ. კოლხიდელს (მზევინარი), შ. პირველს (უშიშა), შ. ხაჭალიას (ივანე), ი. ბალიაშვილს (გიორგი), ნ. წიკლაურს (შალვა), ე. სვანიძეს (ხვთაო), ა. ქელბაქიანს (მოლა მუსა), ვ. გვენცაძეს (ხევისბერი), მ. სვანიძეს (ჭუჭა).

სპექტაკლი დიდი მოწონებით სარგებლობდა დ: მრავალ მაყურებელს იზიდავდა.

ასევე ეტანებოდა მაყურებელი სეზონის სხვა სპექტაკლებსაც, რადგან თვალნათლივ ხედავდა, რომ თეატრის კოლექტივი ახალი ხელმძღვანელის გავლენით და შემოქმედებითი შრომით წარმატებით ცდილობდა თეატრის მხატვრული დონის ამაღლებას.

„მოკვეთილის“ შემდეგ კიდევ ექვსი ახალი დადგმა განხორციელდა, რომელთა შორის ორი თანამედროვე ხასიათისა იყო. სახელდობრ, კ. ლორთქიფანიძის რომანი „კოლხეთის ცისკარი“ (ინსცენირების ავტორები — კ. ლორთქიფანიძე, ა. ვასაძე და ლ. სანი-

კიქე; დადგმა ა. ვასაძისა) და ნ. ვირტას პიესა „თვალწვდენელი სივრცეები“ (დადგმა ო. ალექსიშვილისა).

ამ დადგმებმა პრესისა და საზოგადოების დადებითი შეფასება მიიღო. ეს ქება დაინასახურა ც. სოლოდარის გადმოქართულებულმა კომედიამ „შემთხვევა აგარაკზე“, რომელიც მსახიობთა ჯგუფმა სახელდახელოდ მოამზადა გასვლითი წარმოდგენებისათვის და თეატრის რეპერტუარში ოფიციალურად არცკი იყო შეტანილი (იდგმებოდა ქუთაისის, ახლოპახლო დაბა-სოფლების სცენებზე).

სპექტაკლების შემოწმება. ახალი სპექტაკლების შემოქმედებითი ხარისხის შესამოწმებლად დეკემბრის დამლევს ქუთაისის თეატრს ესტუმრა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ მივლინებული თეატრმცოდნეთა და კრიტიკოსთა ჯგუფი: ეთერ გუგუშვილი, დიპიტრი ჯანელიძე, ვახტანგ ქელიძე, გიორგი ციციშვილი და ალიო ადამია. ორმა მათგანმა, დ. ჯანელიძემ და ა. ადამიამ თავისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნეს თეატრის სამი წარმოდგენის შესახებ, სახელდობრ: ვაჟა ფშაველას „მოკვეთილზე“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლსა“ და ა. სუმბათაშვილის „ღალატზე“.

სამივე სპექტაკლის ნიშანდობლივ თვისებად დ. ჯანელიძეს („ლიტერატურული გაზეთი“ № 2, 1959, 9 იანვ.) მასობრივი სცენების ძლიერი და შთაბეჭდავი წარმოსახვა ზიარნდა. ის წერდა: „ქუთაისის თეატრის სპექტაკლებში მთავარ მოქმედად ხალხია წარმოდგენილი. სამივე წარმოდგენა მეტყველებს, რომ თეატრი არჩევს შესაფერ პიესებს და იმგვარად ანხორციელებს მათ, რომ ხალხის ძლიერება სრული სახიერებით წარმოგვიდგება; მწყობრი და მეტყველი მასობრივი სცენები ქართული საბჭოთა სცენის საუკეთესო ტრადიციის გაგრძელებასაც მოწმობენ და თეატრის სწორ მიმართულებაზეც მიგვითითებენ. სამივე სპექტაკლში ყურადღებას იქცევს კოლექტიური შემოქმედების გრძნობა, ერთობლივი მისწრაფება“.

დ. ჯანელიძე აქებდა „ღალატს“ და აღნიშნავდა, რომ იგი კარგად იყო განხორციელებული. ეს ნაწარმოები ა. ვასაძეს ფართო იდეურ-მხატვრული პერსპექტივით გადაუწყვეტია. „გაზრდილია და წინ წამოწეული როლი ხალხისა — ისტორიის ნამდვილი შემოქმედისა, — წერდა დ. ჯანელიძე, — რომელს გამოუხატველნი არიან შ. პირველის ანანია, თ. კიენაძის ისახარი, ა. ქელბაქიანის დათო, კ. აბესაძის ბესო, ნ. წინამძღვარის მაიკო. ამ წარმოდგენის ხალხურობა და საზეიმო ჟღერადობა, ტიპიურობამდე აყვანილი სახეების მთელი წყება, მოქალაქეობრივი პათოსი, ისტორიის შემეცნებითი აღმზრ-

დელიბოტი როლის გათვალისწინება — თეატრის დიდ შემოქმედებითის ძალაზე მეტყველებენ“.

ი. გედევანიშვილის ცნობილი დრამა „მსხვერპლი“ დრამატურგიულად სრულყოფილი ნაწარმოები არ არის, მაგრამ მის დადგმულს საგრძნობლად გადაულახავს ეს ნაკლი. ა. ადამია ამ დადგმაზე „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 52, 1958, 26 დეკ.) წერდა: „ცხადია, დრამატურგიულად „მსხვერპლი“ ღარიბად გამოიყურება. თითქმის ყველაფერი იწყება და მთავრდება პირველ მოქმედებაში, გაჭიანურებულია და სრულიად ზედმეტია ზოგი სურათი, მაგრამ რეჟისორ ო. ალექსიშვილის ნაყოფიერ მუშაობის მსახიობებთან, მხატვართან და კომპოზიტორთან სათანადო შედეგი გამოუღია — სპექტაკლი მხატვრულ ჩარჩოებშია მოქცეული, სხარტად, ოსტატურად არის დამუშავებული. არსი ნაწარმოებისა ხორცშესხმულად არის გამოკვეთილი“.

**სათეატრო სეზონის წარმატება.** დ. ჯანელიძე სეზონის დამლევსაც დაუბრუნდა ქუთაისის თეატრს. მან საგანგებო წერილი მიუძღვნა ა. ვასაძის მიერ დადგმულ „კოლხეთის ცისკარს“ (გაზ. „კოპუნისტი“, № 154, 1959, 5 ივლ.). იგი წერდა, რომ ა. ვასაძემ დადგმა განახორციელა „მომწიფებული და ნაცადი ხელოვანისათვის დამახასიათებელი სიღრმით, სისადავით, ხალხურობისა და ეროვნული ფორმის ღრმა შეგრძნებით“. დ. ჯანელიძე განსაკუთრებით აღნიშნავდა მსახიობ შ. პირველის თამაშს კულაკ ბარნაბას როლში, რომელსაც სოციალიზმის გაბოროტებული შტრის დამაჯერებელი სახე შეუქმნია, და ახალგაზრდა, თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ნ. წიკლაურის თამაშს მექის როლში, რომელსაც შესანიშნავად წარმოუსახავს შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე ახალგაზრდის ტიპი.

„წარმოდგენა გამოირჩევა ხასიათების დაკვირვებული და განზოგადებულ წარმოსახვით“, — აღნიშნავდა დ. ჯანელიძე. შემდეგ იგი ასახელებდა როლების დანარჩენ შემსრულებლებს, რომლებიც „ერთიმეორეზე უკეთეს ტიპიურ სახეებს ქმნიან“. ესენი იყვნენ: ა. ჩიქვინიძე (კირილე), ა. ქელბაქიანი (ასლანი), კ. აბესაძე (გიორგი), ვ. ჩხიკვაძე (რაჟდენი), ბ. კოკელაძე (გიგუცა), მ. სვანიძე (ნესტორი), ი. ხვიჩია (დახუნდარა), თ. კიკნაძე (მართა), ფ. გვენცაძე (ერემო), გ. ნაცვლიშვილი (დვალიშვილი), გ. კოკელაძე (გელოვანი) და სხვ.

მაღალი შეფასება დაიმსახურა ნ. ვირტას პიესამ „თვალუწვდენელი სივრცეები“, რომელიც ო. ალექსიშვილმა დადგა.

ასევე მაღალი შეფასება იხვდა წილად დიუმენუასა და დენერის

კომედის „ღონ სეზარ დე ბაზანის“ დადგმასაც. მის დამდგმელ თამაზ მესხზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ (№ 16, 1959, 5 თებ.) წერდნენ, რომ ერთი წელია, რაც იგი რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კედლებს გასცდა, ქუთაისის სცენაზე მიიღო პირველი სარეჟისორო ნათლობა და აქვე დატოვეს სამუშაოდ. ამ მცირე ხანს მან ოთხი დადგმა განახორციელა და მათ შორის „ღონ სეზარ დე ბაზანი“. თვით ამ დადგმის თაობაზე აღნიშნული იყო: „დამდგმელი კარგად გაეცნო XVII საუკუნის ესპანეთის ცხოვრებას, სწორად აუღო ალლო ეპოქის სუნთქვას და მაყურებელს კარგად ხორცშესხმული, სცენურად შეკრული დადგმა წარმოუდგინა. მოფიქრებულადაა გახსნილი სახეები, ზედმიწევნითაა დამუშავებული თითოეული მიზანსცენა და დეტალი, სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტა იქითკენაა მიმართული, რაც შეიძლება განტვირთოს მელოდრამატულა ელემენტებისაგან, ჩამოაცილოს ყალბი კომიზმი და ჭანსალი იუმორით გაყდენთილი სატირა წარმოუდგინოს მაყურებელს“.

ღონ სეზარ დე ბაზანის როლს შესანიშნავად ასრულებდა შ. ხაჭალია.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ფაქტი. ა. ვასაძემ დადგა უ. შექსპირის ტრაგედია „ოტელო“. მან გაითვალისწინა რუსთაველის თეატრში დადგმის გამოცდილება და 2-3 მაისს ქუთაისში ოტელოს შემსრულებლად ხორავა მიიწვია. დანარჩენ როლებს ასრულებდნენ: ქ. კოლხიძელი (დეზდემონა), თ. ლასხიშვილი (ბიანკა), თ. პოკროვსკაია (ემილია), გ. ლასხიშვილი (როდერიგო), ერ. სვანიძე (კასიო), შ. პირველი (ვენეციის მთავარი), ვ. ჩხიკვაძე (ბრაბანციო), ა. ვასაძე (იაგო) და ხსვ.

თამამად შეიძლებოდა თქმა, რომ ა. ვასაძის ხელმძღვანელობით ერთი სეზონის მანძილზე ქუთაისის თეატრმა კვლავ დაიმკვიდრა მოწინავე, შემოქმედებითი კოლექტივის სახელი.

ქეთევან დვისაძემ სტატიაში „აღდგენილი ტრადიციები“ (ყურნალი „დროშა“ № 3, 1959 წ.) აღნიშნა: „ქუთაისში ა. ვასაძემ აღადგინა მესხიშვილისა და მარჯანიშვილის რეჟისურის საუკეთესო ტრადიციები: სცენური რიტმი, გმირთა შინაგანი განწყობილების გადმოცემა, ფიცხელი ტემპერამენტი. ზედმიწევნით აუღო ალლო აქტიორთა შემოქმედებითს პოტენციას, თეატრის მაქსიმალურ შესაძლებლობას“.

**1959—1960 წლების სეზონი.** სეზონში თეატრმა ექვსი ახალი დადგმა უჩვენა, რომელთა შორის ორი თანამედროვე შინაარსის ახალი ქართული ნაწარმოები იყო, სახელდობრ: ო. ჩიჯავაძის კომედია

„თხუნელა“ და დ. თაქთაქიშვილის კომედია „შემობრუნება“. ორივე ნაწარმოები ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ზოგიერთ უარყოფით მხარეებს აშუქებდა.

„ო. ჩიჯავაძის კომედია იმ მიზანს ისახავს, რომ მკვეთრად დაგვანახვოს ბიუროკრატიზმისა და მეშჩანობის ნიადაგზე მდგარი ადამიანის მავნეობაც და უბადრუეობაც, შიშიმე ბოროტმოქმედების ჩადენამდე ჩაახედოს ამ კატეგორიის ადამიანებს თავიანთ სულში, — ვკითხულობთ რ. ბერძინის სტატიაში ამ დადგმის შესახებ, — ვინ არის „თხუნელას“ გმირი სანდრო ქორიძე? თანამდებობის კაცო. რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პირობებში აღიზარდა, მაგრამ ვინ იცის საიდან შეისისხლბორცა საბჭოთა ადამიანის შეურაცხველი გადმონაშთები: მეჭრთამეობა, ყოყოჩობა, ფულის შემძლეობის ურყევი რწმენა“... („სალიტერატურო გაზეთი“ № 29, 1960, 6 მაისი).

სანდრო ქორიძის მთავარ როლს ასრულებდა ი. ხვიჩია. კომედია დადგა თ. ალექსიშვილმა.

დაიდგა აგრეთვე პ. კაკაბაძის ცნობილი კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელშიც ყვარყვარეს როლი შეასრულა ა. ვასაძემ. ეს კომედიაც თ. ალექსიშვილმა დადგა.

ახალგაზრდა მსახიობი ქალები. უკანასკნელ წლებში ქუთაისის სცენაზე შემოქმედებით წარმატებას მიაღწიეს თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა ქალებმა. ამ საკითხს საგანგებო სტატია მიუძღვნა კ. კალანდაძემ გაზეთ „სტალინელში“ (№ 48, 1960, 8 მარტი) ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. მოხსენიებული იყო ქუთაისის თეატრის მსახიობი ქალები: ე. დადიანი, თ. ლასხიშვილი, ც. ბერიძე, ც. ოთიაშვილი, ლ. ვაშაკიძე. „კარგი შემოქმედი ქალის სახელი დაიმკვიდრა ახალგაზრდა მსახიობმა ეკატერინე დადიანმა, — ვკითხულობთ სტატიაში, — მაყურებლის საყვარელ გმირებად იქცნენ მის მიერ ცოცხალი შტრიხებით, თავდაჭერილობით განსახიერებული ჯეირანა (გ. ქელბაქიანის პიესა „ხმა გულისა“), შაია (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“), სლავკა (ბ. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი“). ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ე. დადიანის გულთაშზე („ყვარყვარე თუთაბერი“) და ქსენია კედროვა („თვალუწვდენელი სივრცეები“). რეალისტური ხელოვნება გამორიცხავს ყოველგვარ სიყალბეს, კარგად თამაში ნიშნავს სიმართლეს, უშუალობას. სწორედ სახისადმი მართალი დამოკიდებულება იგრძნობა ეკ. დადიანის თამაშში. ორი გმირი ქალის — მზევინარისა და გულქანას განსახიერება მოუხდა ეკ. დადიანს ვაჟა ფშაველას „მოკვეთილში“. მსახიობმა შეძლო არაფერი გაემეორებინა არც ერთი ადრე შესრულებული სახიდან. ფართო შესაძლებლობა გამოამჟღავნა და მალე მი-

იპყრო მაყურებლის ყურადღება თაჰილა ლასხიშვილმა. იგი დაკვირ-  
 ვებული, სერიოზული შემოქმედი. პირველი როლით (გულსუნდა,  
 „მოკვეთილი“) თ. ლასხიშვილმა ათქმევინა მაყურებელს, რომ მისი  
 სახით ქუთაისის თეატრს ნიჰიერი და მდიდარი პალიტრის მქონე  
 მსახიობი ქალი შეემატა. მის მიერ შესრულებული როლებიდან (გულ-  
 სუნდა, რუქია, მარტინა, ბიანკა) საერთო მოწონებას იმსახურებს  
 თალიკო „კოლხეთის ცისკარი“. იგი მომწიფებული შემოქმედის  
 შთაბეჭდილებას ტოვებს. ძნელად მოიპოვებიან მსახიობები, ვით  
 უფრო ახალგაზრდები, რომელთა მიერ შექმნილი სახეები თან მი-  
 ყვებოდნენ მაყურებელს. თ. ლასხიშვილმა თალიკოს სახეს ორიგინალურად  
 წარმოსახვის გასაღები მოუპოვა, ოსტატურად მოუნახა  
 თავის გმირს შინაგანი ბუნების დამახასიათებელი დეტალები. ან-  
 ვეა სხვა როლებშიც. ფრიალ ორიგინალურ შემოქმედად მოეგონა  
 ჩვენს თეატრს ც. ბერიძე. ქართულ სცენას სახასიათო როლებს  
 შემსრულებელი ბევრი უბადლო ოსტატი ქალი ახსოვს. ექვი არაა,  
 მათ რიცხვს მალე შეემატება ც. ბერიძის სახელი. მართო დოფინა  
 („კოლხეთის ცისკარი“), ლაზარულიო („დონ სეზარ დე ბაზანი“) ან  
 ნასტია („თვალუწვდენელი სივრცეები“). რომ მოვიგონოთ ადვი-  
 ლად დავრწმუნდებით, რომ ც. ბერიძე ჭეშმარიტად ხალასი ნიჰის  
 მქონე მსახიობია. მას აქვს მხატვრული დეტალების მიგნების უნა-  
 რი და მიმზიდველი უშუალოა ახასიათებს როლების განსახიუ-  
 ბისას. განსხვავებული მსახიობია ლ. ვაშაქიძე. იგი სცენაზე ავ-  
 ლენს კეთილშობილურ თავდაპერილობას, ზომიერებას, აქვს სასია-  
 მოვნო სცენური ხმა, ნარნარი მოძრაობა. მისი ნატო („მსხვერ-  
 პლი“), გაიანე („ღალატი“) და ციალა („არსენა ჯორჯიაშვილი“) პირ-  
 ველ რიგში ქალური თვისებებით შექმული არსებებია“. სტატიაში  
 ბოლოს აღნიშნულია, რომ მათ თამაშს ზოგიერთი ნაკლოვანებებიც  
 ახლავს, „მაგრამ ეს მაინც პირველი ნაბიჯებია და ამდენად მისაბე-  
 ვებელია შეცდომებიც, რომელთა გათვალისწინება მომავალში გა-  
 მაჩვენებს განუშტკიცებს ჩვენი ქალაქის მაყურებლის ახალგაზრდა  
 მეგობრებს“.

**ვასტროლები თბილისში.** 1960 წლის 1 ივნისიდან 20 ივნისამდე  
 ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრმა საგასტროლო  
 წარმოდგენები გამართა თბილისში. დემონსტრირებული იყო თე-  
 ატრის ახალი დადგმები: ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი“, პ. კაკაბაძის  
 „ყვარყვარე თუთაბერი“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკა-  
 რი“, დ. თაქთაქიშვილის „შემობრუნება“, ო. ჩიჯავაძის „თხუნელა“,  
 ნ. ვირტას „თვალუწვდენელი სივრცეები“ და უ. შექსპირის  
 „ოტელო“.

წარმოდგენები წარმატებით ჩატარდა და დიდი გამოხმაურება  
ჰპოვა.

დაწერილებით გააჩნია საგასტროლო სპექტაკლები ე. ქარელიშ-  
ვილმა „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 27, 1960, 7 ივლ.)  
იგი წერდა: „...თეატრი წარმატებით სწყვეტს თანამედროვე თე-  
ატრალური ხელოვნების რთულ ამოცანებს და თვალსაჩინო წვლილი  
შეაქვს სოციალისტური რეალიზმის სასცენო ხელოვნების განვითარებაში.  
თბილისში გამართული მისი წარმოდგენები ნათლად გვიჩვენებენ,  
რომ კოლექტივი არ კმაყოფილდება მოპოვებული მიღწევებით,  
არ იმეორებს თავის თავს და ცდილობს ყოველ ახალ სპექტაკლში  
რაღაც ახალი თქვას, უფრო ამბულეტულად და სრულყოფილად  
გამოხატოს თავისი მისწრაფებები. ამ სრულყოფილობისაკენ  
ლტოლვისა და უკეთესის მაძიებლობის სულისკვეთებით არის  
გამსჭვალული თითოეული რეჟისორის, ყოველი მსახიობის, მხატვრის,  
კომპოზიტორის მუშაობა“.

ყურნალმა „საბჭოთა ხელოვნებამ“ (№ 8, 1960) გურამ ნიკორწმინდელის ვრცელ სტატიამში ასე შეაფასა თეატრის მუშაობა:  
„...უპირველესი, რაც შეინიშნება ამ თეატრის მუშაობაში, ეს არის  
მისწრაფება ქართული ორიგინალური რეპერტუარის შექმნისა. თეატრი  
როდღი ელოდება იმას, თუ როდის, ან სად დაიდგმება ესა თუ ის  
ახალი პიესა, რა შეფასებას მიიღებს იგი, — ერთი სიტყვით, როდის  
გაივლის ყველა „განსაწმენდელს“, რომლის შემდეგაც პიესა აპრობირებული  
ხდება. ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობა თამამად დგამს ქართველ  
დრამატურგთა ახალ პიესებს. თეატრს სავსებით აქვს შეგნებული ეროვნული  
დრამატურგიის მნიშვნელობა და აგრეთვე ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ, პირველ რიგში,  
თუ თვით თეატრი არ გამოვა ახალი პიესების მხარდამჭერად, ისე ეს  
დარგი ლიტერატურისა ვერ მიაღწევს სათანადო მხატვრულ სიმართლეს“...  
ორი მისასალმებელი მომენტი შეიმჩნევა ამ თეატრის მუშაობაში.  
პირველი ის, რომ აშკარაა მთლიანად დასის კულტურული დონის ზრდა.  
სპექტაკლების კულტურამ საერთო ჯამში უფრო ახალ, შედარებით მაღალ  
საფეხურს მიაღწია, ხოლო მსახიობები პროფესიული ტექნიკის დაზვეწის  
სწორ გზას ადგანან. მეორე — თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის  
ერთობ მისასალმებელი და თვალსაჩინო ტენდენცია ახალგაზრდა  
ძალებისადმი დიდ ნდობაში მდგომარეობს. ეტყობა, თეატრის რეჟისურა  
გულმოდგინედ მუშაობს ახალგაზრდა მსახიობებთან, მზრუნველობით ზრდის მათ,  
აწინაუბრებს მთავარ როლებზე, გამოჰყავს აქტიორული შემოქმედების  
ფართო ასპარეზზე“.

სპექტაკლ „ოტელოს“ შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ ა. ხორავა და ა. ვასაძე, ეურნალი აღნიშნავდა, რომ „ამ საღამოს ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა ძალის მსახიობები ჰყავს ქართულ თეატრს, თუ როგორ არ კარგავს მათ მიერ მეოთხედი საუკუნის წინათ შექმნილი როლები პირვანდელი ტრაგიკული ზემოქმედების სიძლიერეს“. ეურნალი აქებდა ქ. კოლხიდელს დეზდემონას როლში. კარგად შეუსრულებია ემილიას როლი ნათელა სალარაძეს.

სტატიაში დაწვრილებით იყო აგრეთვე გარჩეული თეატრის მიერ გატაროლების დროს ნაჩვენები სხვა დადგმები.

20 ივნისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ მოაწყვეს ქუთაისის თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. მოსმენილი იქნა სამი მოხსენება. ბ. ელენტიშვილმა გააარჩია ქუთაისის თეატრის სპექტაკლები, მ. მრეველიშვილმა ილაპარაკა მსახიობთა სასცენო მეტყველებაზე, ხოლო მსატვარმა შ. ჟორჯოლაძემ — თეატრის მხატვრობაზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს, გ. ახვლედიანმა, ი. ვაკელმა, ლ. კალანდაძემ, ე. ქარელიშვილმა, ნ. შალუტაშვილმა, ა. ფაღავამ, ვ. პატარაიამ, ა. აბშილაძემ. ყველანი ერთხმად აღნიშნავდნენ და ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ თეატრის რეპერტუარში წამყვანი ადგილი უჭირავს ქართულ ორიგინალურ და თანამედროვე თემაზე დაწერილ პიესებს. დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელმა ა. ვასაძემ და დამსწრეთ გააცნო თეატრის მუშაობის მომავალი გეგმა.

გასტროლების პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით საპატიო წოდებები მიენიჭა თეატრის მსახიობებს: სსსრ სახალხო არტისტისა — ი. ხვიჩიას, სსსრ დამსახურებული არტისტისა — ვ. გვენცაძეს, ქ. კოლხიდელს, გ. ნაცვლიშვილს და მ. სვანიძეს, სსსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა — თეატრის დირექტორ-განმკარგულებელს დ. ქვიციანიძეს.



#### XIV. საზოგადოებრივი წლები

1960—1961 წლების სეზონი. თეატრის კვლავ ა. ვასაძე ხელმძღვანელობდა. რეჟისორები იყვნენ თ. ალექსიშვილი და თ. მესხი, მხატვარი დ. თაყაიშვილი, მუსიკალური ნაწილის გამგე გ. მარჯანიშვილი, ლოტბარი ს. კუხიანიძე, რეჟისორის თანაშემწენი — ვ. კანდელაკი და გ. ირემაძე, მოკარნახეები—გ. კუჭავა და მ. ვუგუნავა, დასის გამგე ა. ზონენაშვილი. მსახიობთა შემადგენლობა: ქალები — მ. აჭარაძე, ც. ბერიძე, რესპუბლიკის დამს. არტ. მ. გელაშვილი, რ. გოცებაშვილი, ე. დადიანი, ლ. ვაშაქიძე, რესპუბლიკის დამს. არტ. თ. კიკნაძე, რესპუბლიკის დამს. არტ. ქ. კოლხიძე, თ. ლასხიშვილი, ც. ოთიაშვილი, ნ. სალარაძე, თ. სისაური, მ. ფხაკაძე, რესპუბლიკის დამს. არტ. თ. ღვინიაშვილი, რესპუბლიკის დამს. არტ. ნ. წინამძღვარი; ვაჟები — რესპუბლიკის დამს. არტ. კ. აბესაძე, ა. აბრამიშვილი,

ბალიაშვილი, რესპუბლიკის დამს. არტ. ვ. ჯვენცაძე, ბ. კოკელაძე, გ. კოკელაძე, გ. ლასხიშვილი, რესპუბლიკის დამს. არტ. ვ. მეგრელიშვილი, ი. მიქიაშვილი, ა. მოწონელიძე, რესპუბლიკის დამს. არტ. ა. მურუსიძე, რესპუბლიკის დამს. არტ. გ. ნაცვლიშვილი, რესპუბლიკის დამს. არტ. შ. პირველა, ე. სვანიძე, რესპუბლიკის დამს. არტ. მ. სვანიძე, ი. სიხარულიძე, მ. ფურცხვანიძე, რესპუბლიკის დამს. არტ. ა. ქელბაქიანი, რესპუბლიკის დამს. არტ. ა. ჩიქვინიძე, რესპუბლიკის დამს. არტ. ვ. ჩხიკვაძე, ზ. ცირამუა, ნ. წიკლაური, რესპუბლიკის დამს. არტ. შ. ხაჯალია, რესპუბლიკის დამს. არტ. შ. ხონელი, მომღერალ-თანამშრომლები — გ. ბერძენი, კ. გვენეტაძე, ნ. გამყრელიძე, ბ. გურჩიანი, ს. დუშუაშვილი, ტ. კაციტაძე, ვ. კუბლაშვილი, გ. ლომთაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ვ. ოყრეშიძე, ა. საკანდელიძე, შ. ფხაკაძე, ჭ. წიკვიცაძე, მ. ხაჭაპურიძე, ა. ჭიმშელიაშვილი, ი. ჭიშკარიანი; ორკესტრის მსახიობები — ბ. ბალანჩივაძე, რ. ბალანჩივაძე, რ. ბეღიაშვილი, შ. ბანიაურიშვილი, გ. დეისაძე, გ. ზარნაძე, ა. თუმანოვი, გ. თურმანიძე, ი. იაკობაშვილი, ლ. ივანიაძე, ლ. კობრაძე, ა. კუკულდავა, მ. მგელაძე, ზ. ნიკოლაძე, გ. სალაღიშვილი, ა.

ფურცელაძე, ი. შამელაშვილი, გ. ჩილინგარიშვილი, თ. ჯიქია; თე-  
ატრის დირექტორ-განმკარგულბელი, საქართველოს სსრ ხელოვნე-  
ბის დამსახურებული მოღვაწე დ. ჭეიშვილი, დირექტორის მოადგი-  
ლე ა. ბეთანელი, მთავარი ადმინისტრატორი შ. სვანიძე, სადადგმო  
ნაწილის გამგე ა. ინჯია, სცენის მთავარი მემანქანე უ. აფრიდონიძე,  
სცენის მემანქანე ბ. ჯილესაშვილი, მთავარი გამანათებელი ნ. ქობა-  
ლიანი, მთავარი გრიმორი გ. კირვალიძე, მხატვარ-შემსრულებელი  
ი. პეტრაიტისი, მხატვარ-ბუტაფორი ა. ბრანოვერი, მთავარი მკერავ-  
გამომკრელი მ. კობერიძე, გარდერობის გამგე თ. თეგლორაძე,  
რეკვიზიტის გამგე ა. გვანცელაძე.

სათეატრო სეზონი გაიხსნა 17 სექტემბერს და სეზონის განმავ-  
ლობაში ოთხი ახალი დადგმა განხორციელდა, — ოთხივე ქართუ-  
ლი ნაწარმოები, — სახელდობრ: დ. კლდიაშვილის „ორინეს ბედ-  
ნიერება“ (დადგმა ა. ვასაძისა), ლ. სანიკიძის კომედია „ქუთათუ-  
რები“ (დადგმა თ. მესხისა), დ. კვიციანიძის დრამა „თოვლიან ღამეს“  
(დადგმა ო. ალექსიშვილისა) და პ. კაკაბაძის კომედია „კოლმეურ-  
ნის ქორწინება“ (დადგმა ა. ვასაძისა და თ. მესხის). საინტერესო იყო  
ის გარემოება, რომ ორი ახალი პიესა თანამედროვეობის თემაზე —  
„ქუთათურები“ და „თოვლიან ღამეს“ ქუთაისელ მწერლებს ეკუთვ-  
ნოდა და თეატრთან მათი შემოქმედებითი თანამშრომლობის ნა-  
ყოფს წარმოადგენდა.

ქუთაისის თანამედროვე ცხოვრების ფონზე იყო გაშლილი კომე-  
დია „ქუთათურები“ და გვიხატავდა ავტოქარხნის მუშათა ყოფა-  
ცხოვრებას და მისწრაფებას. ნაწარმოების ღირსებასა და მისი დად-  
გმის ხარისხზე გ. სამხარაძე გაზეთ „სტალინელში“ წერდა: „...ამ  
პიესის კონფლიქტები თვით ადამიანთა ხასიათებსა და პირადულ ყო-  
ფაში არიან აღმოცენებული. ისინი ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან  
კომედიურ სიტუაციათა ბუნებრივი განვითარებისათვის. პიესაში რე-  
ალისტური ხილვადობითაა წარმოდგენილი მოვლენები, ნაგრძობია  
სახეები, გამოკვეთილია თავისებურებანი; მოქმედებანი ლოგიკური  
თანმიმდევრობით ენაცვლებიან ერთმანეთს და მაყურებელიც იმს-  
ჯვალეა გმირთა ცხოვრებით, მათი ბედის გამორკვევით“. წარმოდ-  
გენაში საინტერესო სახე შეუქმნია შ. პირველს მჭედელ პაპუნას  
როლში. იშვიათი სიმართლით გამოუხატავს ქ. კოლხიდელს მისი მეუ-  
ღლის ორინეს სახე. ბრწყინვალედ შეუსრულებია ი. ხვიჩიას ქარხ-  
ნის მუშის მიჩიანის როლი. სახელოვანი მჭედლის პაპუნას ქალიშვი-  
ლის, ნათელას ფრიად პასუხსაგები როლი ასევე ბრწყინვალედ შე-  
უსრულებია თინათინ სისაურს. ეს იყო მისი პირველი როლი ქუ-  
თაისის სცენაზე, სადაც იგი რუსთაველის სახელობის თეატრალური  
ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მივიდა. დაკისრებული როლების

შესანიშნავი შესრულებით ამ სპექტაკლში საერთოდ დაწინაურდა დასის ახალგაზრდა თაობა. ესენი იყვნენ: ერ. სვანიძე, ც. ბერიძე, ი. ბალიაშვილი, ა. მოწონელიძე, ნ. წიკლაური.

„ეს პიესა საინტერესოა იმით, რომ ადამიანის ხულის სიღრმეში გვახედებს, გვიჩვენებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლებს, რომლებიც, სახალხო დოვლათის წარმოებასთან ერთად, დაუცხრომლად ზრუნავენ გზასამკლარი პიროვნებები კვლავ სწორი გზისაკენ შეაბრუნონ“. — წერდა რ. ბერიძე დ. კვიციანიძის „თოვლიანი ღამის“ თაობაზე („ლიტერატურული გაზეთი“ № 15, 1916, 7 აპრ.). სპექტაკლის დამდგმელი ო. ალექსიშვილის შესახებ აღნიშნავდა, რომ მისი ნამუშევარი ღირსშესანიშნავია: მან ყველაფერი დაუქვემდებარა მაყურებლამდე პიესის დედააზრის სწორად მიტანას, ყველა მიზანსცენას და ეპიზოდს თავისი შინაარსი და ლოგიკური თანმიმდევრობა მისცა.

ანსამბლურ, რიტმულ სპექტაკლში მსახიობებს კარგად შეუსრულებიათ თავიანთი როლები. განსაკუთრებით აღსანიშნავი ყოფილა ვ. მეგრელიშვილი მწერალ ანდრო სხიარელის როლში. მას თანამედროვე ქართველი მწერლის მიმზიდველი სახე შექმნია.

ბ. კაკაბაძის ცნობილი კომედია „კოლმეურნის ქორწინება“ ქუთათისელი მაყურებლისათვის დიდი ხანია იყო ცნობილი და მისი დადგმა მუდამ წარმატებით სარგებლობდა. მან ამჯერადაც მიიზიდა მაყურებელი.

კომედია დადგა ა. ვასაძემ. სპექტაკლი მან მკვეთრი კონტრასტულობით გადაწყვიტა, „ერთმანეთს დაუპირისპირა მოწინავე და ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, უნარიანი და ცუდი ხელმძღვანელები, წარჩინებულები და ზარმაცები, ძველი დროისა და ახალი ადამიანები, თავიანთი ინტერესებითა და შეხედულებებით, რითაც მაყურებლამდე მთელი სიცხადით მიიტანა პიესის იდეური არსი“ (გაზ. „სტალინელი“, № 64, 1961, 31 მარტი).

ახალგაზრდა კოლმეურნე ქალი, გვირისტინე კომედიის მთავარი გმირია და ამ როლის შესრულებაზეა დამოკიდებული ნაწარმოების წარმატება. როლი ითამაშა ახალგაზრდა მსახიობმა თ. სისაურმა. მან შექმნა მტკიცე ნებისყოფის, ბეჯითი ქალიშვილის სახე, რომელსაც ამავე დროს მოკრძალებაც ახლავს. სიმართლე და უშუალობა ახასიათებდა თ. სისაურის გვირისტინეს.

დანარჩენი როლებიც საკმაო მხატვრულ დონეზე იყო შესრულებული. ამ როლებს ასახიერებდნენ: ი. ხვიჩია (ხარტონი), კ. აბესაძე (მანუჩარი), შ. ხაჯალია (ხახული), ც. ბერიძე (კაკალა), ი. სიხარულიძე (ჯიბილო) და სხვ.

თეატრმა სეზონი წარმატებით დაამთავრა. გასტროლები მოაწყო ტყიბულსა და ზუგდიდში.

1961 წელს ქუთაისის ორ უხუცეს მსახიობს ა. მურუსიძესა და შ. ხონელს მიენიჭათ რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. მოგვყავს მათი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ანდრია ისიდორეს ძე მურუსიძე დაიბადა 1887 წლის 12 იანვარს ქ. ქუთაისში. სწავლა მიიღო ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში და პედაგოგიურ კურსებზე. სცენაზე პირველად გამოვიდა 1904 წელს ქუთაისის თეატრში, ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. მუშაობდა შემდეგ თეატრებში: 1904—1912—ქუთაისის, 1912—1913—ბათუმის, 1913—1914—ჭიათურის, 1914—1917 — ქუთაისის, 1917—1918—ბათუმის, 1918 — 1920 — ქუთაისის, 1920—1921—თბილისის, 1921—1922 — ქუთაისის, 1923—1924 — ბათუმის, 1924—1926 — ქუთაისის, 1927—1928 — ფოთის, 1928—1930 — ქუთაისის, 1930—1931 — ბათუმის, 1932—1933 — ჭიათურის, 1934—1935 — ქუთაისის, 1936—1938 — მოსკოვის კინოსტუდიაში. 1938 წლიდან განუწყვეტლივ მოღვაწეობდა ქუთაისის სცენაზე. თითქმის სამოცი წელი გამოდიოდა ა. მურუსიძე სცენაზე. ამ პერიოდში მრავალი ათეული სხვადასხვა სახასიათო როლი შეასრულა. მას მუდამ ახასიათებდა სცენური სახის მოფიქრებული შესრულება. 1947 წლის 14 აპრილს ქუთაისის თეატრმა მსახიობს გაუმართა სასცენო მოღვაწეობის ორმოცი წლის აღსანიშნავი საღამო. 1940 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, ხოლო 1961 წელს — სახალხო არტისტისა. ა. მურუსიძე გარდაიცვალა 1962 წლის 23 იანვარს.

შალვა სვიმონის ძე ხონელი (გოგოლაშვილი) დაიბადა 1887 წლის 14 იანვარს ქ. ქუთაისში, მსახიობის ოჯახში. განათლება მიიღო თბილისის ქართულ გიმნაზიაში. სცენაზე პირველად გამოვიდა ხონში (წულუკიძეში) დრამატული წრის წარმოდგენაში და 1910 წლამდე ამავე წრის დადგმებში იღებდა მონაწილეობას. შემდეგ მუშაობდა თეატრში: 1910 — 1912 — თბილისის, 1912—1913 — ქუთაისის, 1913—1915 — ბაქოს, 1915—1920 — ქუთაისის, 1920—1923 — ბათუმის, 1923—1926 — ფოთის, 1926—1928 — ჭიათურის და 1928 წლიდან ქუთაისის თეატრში. ასრულებდა სახასიათო როლებს. 1940 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, ხოლო 1961 წელს — სახალხო არტისტისა. 1967 წლის 13 დეკემბერს ქუთაისის თეატრმა აღნიშნა შ. ხონელის დაბადებიდან 80 წლის და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავი. გარდაიცვალა 1972 წლის 1 ნოემბერს.

1961—1962 წლების სეზონი. შვიდი ახალი დადგმა განხორციელდა ქუთაისის თეატრმა, მათ შორის ორი თანამედროვე შინაარსის ქართული ორიგინალური ნაწარმოები: პ. კაკაბაძის კომედია „ცხოვრების ჭარა“ და დ. თაქთაქიშვილის კომედია „თეთრი ღამურა“. ქართული ორიგინალური ნაწარმოები იყო აგრეთვე გ. მდივნის კომედია-ხუმრობა „ვიგოს და გუგას მილიონები“, რომელიც გვიხატავდა საქართველოს წარსულს — უღლეური მენშევიკური მმართველობის პერიოდს. დაიდგა აგრეთვე ორი კლასიკური ნაწარმოები — ა. ოსტროვსკის დრამა „უმზითვო“ და უ. შექსპირის ტრაგედია „რიჩარდ მესამე“.

„ცხოვრების ჭარაში“ გამოსახული იყო ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მახინჯი მოვლენები და მათთან ბრძოლა. პიესის მთავარი გმირი, კარბერისტი ლოპიანა მრუდე გზით ცდილობს მიაღწიოს ცხოვრების მწვერვალს. იგი მხილებულია და დაქვეითებული, მაგრამ კვლავ ოცნებობს „დაწინაურებაზე“.

კომედია დადგა ო. ალექსიშვილმა. იგი შეეცადა სპექტაკლში ხაზი გაესვა და წინა პლანზე წამოეწია დაუნდობელი ბრძოლა, რომელსაც საზოგადოება ეწევა ცხოვრების ხორცეჭების მიმართ. მთავარი გმირის ლოპიანას რთულ როლს ასრულებდა ვ. გვენცაძე, კომედიაში გამოყვანილი იყო უარყოფითი ტიპების მთელი გალერეა, რომელთა მკვეთრი გამოსახვა წილად ხვდათ მსახიობებს: შ. პირველს (ქარხნის დირექტორი გერასიმე), ა. ჩიქვინიძეს (მიჭუჭუნე), ქ. კოლხიდელს (ზეფორე), კ. აბესაძეს (ბეჟანი), გ. კოკელაძეს (ქრისტეფორე) და სხვ.

ა. ოსტროვსკის „უმზითვო“ დადგა ო. ალექსიშვილმა. ახალგაზრდა ქალის — ლარისას მთავარი როლი შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა თ. სისაურმა. მეტად რთული დრამატული როლი მან წარმატებით დაძლია. ეს იყო გულმართალი, კეთილი ქალიშვილის სახე, მაგრამ როგორც პრესა აღნიშნავდა, როლი კიდევ მოითხოვდა დახვეწას.

კარგად შეასრულეს როლები მ. გელაშვილმა (ლარისას დედა), შ. ხაჯალიამ (მოხელე კარანდიშევი), შ. პირველმა (ქნუროვი), გ. ნაცვლიშვილმა (პარატოვი), ი. ბალიაშვილმა (რობინზონი) და სხვ.

სათეატრო სეზონის დამთავრებისას გაიმართა მაყურებელთა კონფერენცია, რომელიც მოაწყვეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობამ.

1961—1962 წლების სათეატრო სეზონში განხორციელებული სპექტაკლების შესახებ მოხსენება გააკეთა თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძემ. მან ვრცლად მიმოიხილა დადგმები, აღნიშნა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მუსიკათმცოდნე ანტონ წულუკიძემ ილაპარაკა მუსიკალური დონის აკვარგიანობაზე ქუთაისის თეატრის სპექტაკლებში.

სიტყვებით გამოვიდნენ რეჟისორი ოთარ ანდრონიკაშვილი, პედაგოგი პავლე ხმალაძე, თეატრის ხელმძღვანელი აკაკი ვასაძე და სხვ.

რეჟისორმა ო. ალექსიშვილმა ხუთი წელი დაჰყო რეჟისორ-დამდგმელად ქუთაისის თეატრში, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თეატრის მხატვრულ შემოქმედებაში. 1962 წელს ის გადაყვანილ იქნა მთავარ რეჟისორად ქიათურის თეატრში. მოგვყავს ო. ალექსიშვილის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ოთარ იასონის ძე ალექსიშვილი დაიბადა 1914 წელს, 30 მარტს, თბილისში და აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1931 წელს შევიდა მოსკოვის ა. ლენაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე და დაამთავრა 1934 წელს. შემდეგ მუშაობდა რეჟისორ-სტაჟიორად ვ. მეიერჰოლდის თეატრში და 1937 წლიდან მოსკოვის სამხატვრო თეატრში. 1940 წელს დაბრუნდა საქ-შობლოში და 1940—1944 წლებში მუშაობდა დამდგმელ რეჟისორად გორის თეატრში, 1945—1947 წლებში ხაშურის თეატრს ხელმძღვანელობდა. შემდეგ მუშაობდა დამდგმელ-რეჟისორად თბილისის მოზარდ მსახურებელთა თეატრში. 1957 წელს გადაყვანილი იქნა ქუთაისის თეატრის დამდგმელ-რეჟისორად. 1962 წელს, ქუთაისიდან წასვლის შემდეგ, მუშაობდა ქიათურის თეატრის მთავარ რეჟისორად, შემდეგ გორის თეატრის მთავარ რეჟისორად. ქუთაისში მუშაობისას დიდი ენერჯია გამოიჩინა საზოგადოებრივ საწყისებზე მოზარდ მსახურებელთა სახალხო თეატრისა და სახალხო საოპერო თეატრის დაარსებაში. 1961 წელს მიენიჭა სსსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1971 წელს სახალხო არტისტის საპატიო წოდება. გარდაიცვალა 1974 წლის 6 სექტემბერს.

**1962—1968 წლების ხეზონი.** ექვსი ახალი დადგმიდან ხუთი პიესა ქართული, ორიგინალური იყო. ორი მათგანი ქუთაისელ დრამატურგებს ეკუთვნოდა. ამ ხუთი პიესიდან სამი თანამედროვე ხასიათისა იყო, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებდა თეატრის რეპერტუარის სწორ ხაზს.

თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებებიდან პირველ ყოვლისა აღსანიშნავი იყო ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა „მე ვხედავ ვხეს“. მის დასადგმელად თეატრმა მოიწვია რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, რომელმაც ეს პიესა მანამდე შესანიშნავად დადგა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ქუთაისის თეატრის წარმოდგენაში როლებს ასრულებდნენ:

გ. კოკელაძე (სოსოია), ლ. ვაშაქიძე (ხატია), თ. სისაური (ქეთო), ზ. ქაფიანიძე (დათიკო), შ. პირველი (ლუკაია), გ. კოკელაძე (ბუენა), ვ. გვენცაძე (გერასიმე), ა. ჩიქვინიძე (ფოსტალიონი), გ. ნაცვლიშვილი (ანატოლი), ა. ქელბაქიანი (ბეგლარი), კ. აბესაძე (ბენედიქტე), მ. ხაჭალია (ბაბილო), ქ. კოლხიძელი (კაკანო), ვ. მეგრელიშვილი (სამხედრო მასწავლებელი) და სხვ.

კ. მეძველია გაზეთ „ქუთაისში“ (№ 220, 1962, 6 ნომბ.) აღნიშნავდა, რომ ა. ვასაძის დამსახურებაა თეატრის შემოქმედებითი დაკავშირება ადგილობრივ მწერლებთან, რის შედეგად შეიქმნა საინტერესო პიესები, გამოვლინდა ახალი ძალები ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. ერთ-ერთი ასეთი იყო დ. კვიციანიძე, რომლის პიესა „მამის კვალზე“ ამ სეზონში უჩვენა თეატრმა ქუთაისელ მაყურებელს (დადგმა ა. ვასაძისა). პიესაში გამოსახული იყო ტყიბულის ქვანახშირის მეშახტეთა ცხოვრება და მათი მძიმე, მაგრამ დაფასებული შრომა. კ. მეძველია აღნიშნავდა რეჟისორის დაკვირვებულ და გულმოდგინე მუშაობას: „წარმოდგენის მთელ მსვლელობას აშკარად ეტყობა რეჟისორის გამოცდილი ხელი. არც ერთი ზედმეტი ფრაზა, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა არ ეჩხირება მაყურებელს თვალში, მაგრამ არც მოდუნებული და უსიცოცხლო ადგილები გაბეზრებენ თავს. ნაკლებად იგრძნობა გარეგანი ეფექტურობა და იაფფასიანი ტრიუკები. აქცენტი გადატანილია მოქმედ გმირთა შინაგანი სამყაროს ლოგიკურად და დამაჯერებლად წარმოსახვაზე“.

ეს იყო რეალისტური სპექტაკლი, დასრულებული, ცხოვრებისეული, მართალი სცენური სახეებით.

მუშა სვიმონ კახნიაშვილის მთავარ როლს თამაშობდა შ. პირველი. მსახიობმა ცოცხლად გადმოსცა მუშის კეთილშობილური სახე. ახალგაზრდა მუშის დათას როლი კარგად შეასრულა ზ. ქაფიანიძემ. ახალგაზრდა ქალის სულიერად ძლიერი, გულწრფელი ადამიანის სახე შექმნა ლ. ვაშაქიძემ.

მ. ფურცხვანიძის მიერ დადგმული ა. აბშილავას დრამა „ადამიანი დაბრუნდა“ აქტუალური შინაარსის ნაწარმოები იყო. პიესა ქადაგებდა მშვიდობის დაცვაზე, კაცთმოყვარეობაზე, ძმობასა და მეგობრობაზე. სპექტაკლში მეტწილად ახალგაზრდები თამაშობდნენ და ამ ლირიკული დრამის პერსონაჟები კარგი მხატვრული დონით გამოსახეს.

საინტერესო იყო „მედეას“ დადგმა (დამდგმელი თ. მესხი, მხატვარი ფ. ლაპიაშვილი, კომპოზიტორი ა. ჩიმაკაძე). ქუთაისელი დრამატურგის ტრაგედია „მედეა“, როგორც ავტორი ლ. სანიკიძე აცხადებდა, დაიწერა კოლხი ქალის მედეას მითის სისწორის აღსადგენად. მეცნიერული წყაროები მოწმობენ, რომ მედეას საკუთარი

შვილები არ მოუკლავს, მან მოჰკლა კორინთის მეფის ასული, ვის-ზედაც დაქორწინებას აპირებდა მედეაზე გულაყრილი იაზონი მედეას შვილები კი კორინთელებმა დახოცეს. ევრიპიდეს თავის ცნობილ ტრაგედიაში მედეა გამოჰყავს შვილების მკვლელად და აქედან სამუდამოდ დაკანონდა მედეას სახე, როგორც საკუთარი შვილების მკვლელისა. ლ. სანიკიძე წერდა (გაზ. „ქუთაისი“, № 247, 1962 15 დეკ.): „ჩვენ ვცდილობთ დღეისათვის „მედეას თემა“ საინტერესო გავხადოთ შემდეგი საკითხების დასმით: 1) აღდგენა მივიწყებული თქმულებისა, რომ მედეას არ მოუკლავს თავისი შვილები, არამედ შვილები დაუხოცა კორინთის სამეფოს არისტოკრატიაში, 2) მედეა არის მსხვერპლი ჰელინელთა ისტორიული „შოვინიზმისა“ და „რასიზმისა“, 3) მედეა არის მსხვერპლი გადახეწილი ადამიანის ტრაგედისა. 4) მედეა არის მსხვერპლი პატივმოყვარე და ეგოისტი ქმრის ღალატისა, 5) მედეა არის მსხვერპლი გზასაცდენილი სიყვარულისა და 6) მედეა არის კეთილშობილი მებრძოლი სული ზოგად-კაცობრიული ფრძობებისა და იდეებისა: სიყვარულისა, ჰუმანიზმი-სა და თვისუფლებისა“.

ამ სპექტაკლის გამო რ. ბეროძე და კ. მეძველია გაზეთ „ქუთაისში“ (1962, 25 დეკ.) წერდნენ, რომ ლ. სანიკიძის ტრაგედია მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული დრამატურგიისა არა მარტო იმიტომ, რომ თითქმის 24 საუკუნის შემდეგ აღადგინა სიპართლე ქართველი ქალის ტრაგიკულ ცხოვრებაზე, — სისხლი ჩამოწმინდა მედეას უღანაშაულო ხელებს, არამედ იმიტომაც, რომ იგი საინტერესოდ არის დაწერილი და არანაკლებ საინტერესოდაა გააზრებული ქუთაისის სცენაზეო.

სპექტაკლის დიდ ღირსებად სთვლიდნენ მის თანადროულ ქვეყნობას, იმას, რომ გამოთქმულია დამპყრობლური ომების მიმართ პროგრესული თვალსაზრისი, რომ მედეა კაცთმოყვარეობის და ჰუმანურობის კეთილშობილური იდეების დამცველად გვევლინება.

სპექტაკლი აწყობილი იყო ანტიკური ტრაგედიის დამახასიათებელი ნიშნით, — დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობის დაცვით. ამ ერთიანობას ემორჩილებოდა ფ. ლაპიაშვილის საინტერესო დეკორაციები. ა. ჩიმაკაძის მუსიკა მეგრულ „ნანაზე“ და ქართული ტირილის მოძახილზე იყო აგებული. იგი შესანიშნავად ეხმიანებოდა ტრაგედიის მსვლელობის სიმძაფრეს.

ტრაგედიაში მედეას სახის შექმნა წილად ხვდა ახალგაზრდა მსახიობს თ. ლასხიშვილს, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი ურთულეს ამოცანას. გაზეთ „ქუთაისში“ წერდნენ: „მაყურებელი გულწრფელად გაახარა თ. ლასხიშვილის აქტიორულმა ოსტატობამ, იმ შინაგანმა მგზნებარებამ და ტემპერამენტმა, ურომლისოდაც წარ-



მოუდგენელია მედეას დიდი სულიერი კატასტროფის გადმოცემა. ისასიობი სწრაფად მონაცვლე სიტუაციების შესატყვისად აგებს მოხდენილ მიმიკას და ინტონაციას, რითაც ღრმად ახედებს მაყურებელს გამტყუნებელი სიყვარულით, სამშობლოს დაკარგვით, შვილების ვერაგული მკვლელობით განადგურებული ქალის სულში და მისდამი უჩვეულო თანაგრძნობით იმსჭვალებით. ერთნაირად ძლიერია თ. ლასხიშვილი-მედეა, როგორც ნაზი და მოსიყვარულე დედა, ერთგული მეუღლე, ხალხის მწყალობელი მკურნალი, ბრძენი ქალი, რომელიც შეიცნობს რა სიმართლეს ბერძენთა მედიდურობასა და ქედმაღლობაზე, დამწვარ გულსა და გონებაში მაინც უტოვებს ადგილს ჰუმანურ გრძნობებს“...

იენისში თეატრი თავისი ახალი სპექტაკლებით ბათუმს ესტუმრა. გასტროლები დაიწყო 11 იენისს „კოლხეთის ცისკარით“. შემდეგ დღეებში წარმოდგენილი იქნა უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“, მ. ჯაფარიძის „ბულარა“ და სხვ. გასტროლებს დიდი წარმატება ხვდაწილად.

1963—1964 წლების სეზონი. ეს სათეატრო სეზონი მრავალფეროვანი იყო თავისი შინაარსით. დაიდგა გ. აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“, გ. ლორკას „სისხლიანი ქორწილი.“ ყურადღება მიიქცია ორმა ორიგინალურმა თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებმა, რომლებიც ერთ თემას ეხებოდნენ, სახელდობრ, ჩვენს ცხოვრებაში შემორჩენილ უარყოფით მოვლენებს. ეს პიესები იყო ი. ვაკელის „ხელაშვილების ოჯახი“ და დ. თაქთაქიშვილის „მგლები“, რომლებიც დადგა მ. ფურცხვანიძემ.

დაიდგა აგრეთვე. ო. დგებუაძისა და ა. აბშილაგას სათავედასაველო დრამა „განთიადის დედოფალი“ (ო. დგებუაძის ამავე სახელწოდების რომანის ინსცენირება). პიესა დადგა თ. მესხმა.

დაიდგა ო. ჩიჯავაძის დრამა „თეთრი ჩრდილები“ (დადგმა თ. მესხისა), რომელშიც აღწერილია აფრიკელი ხალხის ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ადამიანური უფლებებისათვის. დადგმამ პრესის დადებითი შეფასება მიიღო. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 47, 1963, 22 ნომბ.) აღნიშნავდნენ, რომ „მაყურებელს ერთი წუთითაც არ უნელდება ინტერესი იმ მძაფრი ბრძოლისადმი, რომელიც რეჟისორის საცესებით მართებულად წინა პლანზე აქვს წამოწეული“.

1964—1965 წლების სეზონი. სათეატრო სეზონის ექვსი ახალი დადგმიდან ოთხი თანამედროვე ხასიათის ნაწარმოები იყო. ხოლო ერთი მათგანი „გამარჯობა, ჩემო ქალაქო“ — ქუთაისელ მწერალს უ. კვიციანიძეს ეკუთვნოდა. პიესის მთავარი გმირის ლევან ხიდაშელის როლი მალალხარისხოვნად შეასრულა შ. პირველმა; პიესაში

აგრეთვე ითამაშეს მ. გელაშვილმა, გ. კოკელაძემ, შ. ხაჯალიამ, ა. ქელ-  
ბაქიანმა, თ. ლასხიშვილმა, ე. სვანიძემ, ი. ბალიაშვილმა, ნ. წიკლა-  
ურმა, ა. მოწონელიძემ და სხვ. დადგმა ეკუთვნოდა თ. მესხს.

ხელნაწილად დადგეს პ. კაკაბაძის კომედია „ცხოვრების ჯარა“  
(დადგმა ა. ვასაძისა, რეჟისორი მ. ფურცხვანიძე).

დაიდგა ო. იოსელიანის ორმოქმედებიანი პიესა „როცა სიყვა-  
რული მოვა“. პიესა მისი ცნობილი ნოველების — „აკაციის ყვავი-  
ლობისა“ და „თეთრი ქალიშვილის“ მიხედვით შეიქმნა.

ო. მამფორიას კომედია „ტაგუ“ დადგა თ. მესხმა. მთავარი გმი-  
რია სოფლელი ბიჭი ტაგუ, რომელიც სოფლიდან წამოვიდა, რომ  
თავისი ადგილი ეპოვა ცხოვრებაში. ტაგუს როლს ასრულებდა ნ.  
წიკლაური.

თეატრმა დადგა აგრეთვე ფ. გულრიჩისა და ა. ჰაკეტის ცნობილი  
დრამა „ანა ფრანკის დღიური“. როგორც ვიცით, პიესა მისი ერთ-  
ერთი გმარის, ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპულ ანა  
ფრანკის ნაშთი დღიურის ინსცენირებაა. პიესა დადგა მ. ფურ-  
ცხვანიძემ. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს წარმატება  
უპირველესად ანა ფრანკის როლის შემსრულებელმა ლ. ვაშაკიძემ  
განაპირობა. რეცენზენტი რ. შამელაშვილი (გაზ. „ლიტერატურული  
საქართველო“ № 52, 1964) აღნიშნავს: „ლ. ვაშაკიძის ანა მაცურე-  
ბელს ხიბლავს ბავშვური გულბრყვილობითა და უშუალობით, მა-  
ხვილგონიერებით და დაკვირვებულობით, სიცელქითა და მოჭარბე-  
ბულა განცდებით. როცა მაცურებელი ანას რეპლიკების დიალოგს  
ასმენს, როცა ხედავს მის მოძრაობას, უბრალო ფეხის გადადგმასაც  
კი, რწმუნდება, რომ აქ გადაჭარბებული არაფერია, ყველაფერი ბუ-  
ნებრივად და უშუალოდ ხდება. ლ. ვაშაკიძე ღრმად ჩაწვდა ანას სუ-  
ლიერ ცხოვრებას, გულთან მიიტანა მისი „უბედო ბედი“, უსიხა-  
რულო ბავშვობა, დამსხვრეული ოცნება და სწორედ ამიტომ დამა-  
ჯერებლად, ფსიქოლოგიური სიზუსტითა და სისწორით გადაუშალა  
მაცურებელს პატარა ანას სპექტაკი გული. როცა უყურებთ ამ ამ-  
ღელვებელ სპექტაკლს, გგონიათ, რომ ლ. ვაშაკიძე სწორედ ამ რო-  
ლის განსახიერებისათვის არის დაბადებული“.

**გასტროლები.** სეზონის დამთავრებებს შემდეგ 15 ივნისიდან 5  
ივლისამდე ქუთაისის თეატრმა სპეციალურად წარმოდგენები გა-  
მართა თბილისში, შემდეგ კი გასტროლები განაგრძო სოხუმსა და  
ფოთში.

გასტროლების დროს წარმოდგენილი იყო პ. კაკაბაძის „ცხოვ-  
რების ჯარა“, ო. ჩიჯავაძის „ცხოვრების ჩრდილები“, ო. იოსელიანის  
„როცა სიყვარული მოვა“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“,  
ო. დგებუაძისა და ა. აბშილაგას „განთიადის დედოფალი“, ლ. სანი-

კიძის „მედია“, უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“, გ. ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ და კ. ვიტლინგერის „ვარსკვლავიდან ჩამოსული კაცი“.

თბილისელმა მსახურებელმა წარმოდგენები კარგად მიიღო, პრესაში გამოქვეყნდა ვრცელი სტატიები. განსაკუთრებით აღინიშნა ა. ვასაძის მიერ რიჩარდ მესამის როლის საინტერესო შესრულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის ლადო მესხი-შვილის სახელობის ქუთაისის თეატრი დაჯილდოვდა სსსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო მსახიობებს ვ. მეგრელიშვილს, შ. პირველს და შ. ხაჯალიას მიენიჭათ რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო საგასტროლო წარმოდგენების განხილვა. სიტყვებით გამოვიდნენ დ. ანთაძე, ვ. კიკნაძე, ნ. ურუშაძე, ბ. ჟღენტი, მ. გიფიშვილი, ა. შალუტა-შვილი, ი. ვაკელი, ნ. შვანგირაძე, ა. წულუკიძე. ა. ვასაძე

1965—1966 წლების სეზონში თეატრმა ხუთი ახალი დადგმა განახორციელა, სახელდობრ: ბერძენი დრამატურგის დ. ფსათასის კომედია „სულელნახევარი“, ე. სარტრის „ედმუნდ კინი“, ე. რანეტის კომედია „ბრაკონიერები“, ლ. სანიკიძის „ნერონი“ და შ. დადიანის „გუშინდელი“. ყოველი მათგანი თავისთავად საინტერესო იყო, განსაკუთრებით კი ლ. სანიკიძის „ნერონი“ და ე. სარტრის „ედმუნდ კინი“, მაგრამ თეატრის რეპერტუარში ვერ ვხვდებოდით თანამედროვე საბჭოთა პიესებს.

1966—1967 წლების სეზონი. ამ სეზონში რეპერტუარი უხვი იყო თანამედროვე შინაარსის ნაწარმოებებით. ეს იყო ა. აბშილაძის დრამა „ციხფერი მდინარე“ (დადგმა მ. ფურცხვანიძისა), ა. ჩხაიძის კომედია „იზუზუნე, ფუტკარი“ (დადგმა თ. მესხისა), ო. მამფორიას დრამა „ნუგეზა“ (დადგმა თ. მესხისა). ამათ დაემატა ს. შანშიაშვილის შესანიშნავი დრამა „ანზორი“ (დადგმა ა. ახმეტელისა, აღდგენილი ა. ვასაძის მიერ) და გ. ნახუცრიშვილის ბრწყინვალე კომედია-ზღაპარი „შაითან ხიზო“ (დადგმა თ. მესხისა).

ა. აბშილაძის პიესა „ციხფერი მდინარე“ ასახვდა მოგონებას დიდ სამამულო ომზე, უმაგალითო შერკინებას ვერაგ მტერთან. პიესაში ოჯახის მამის — დათუს როლს შესანიშნავად თამაშობდა ე. მეგრელიშვილი. მსახიობი რეალისტური სიმართლით ხატავდა გმირის ხასიათს. დედის როლს ასრულებდა მ. ივლაშვილი. ომჯდაბდილების შთამბეჭდავ სახეებს ჰქმნიდნენ ნ. წიკლაური და ნ. ბალია-შვილი.

ა. ჩხაიძის კომედია „იზუზუნე, ფუტკარო“, არ გამოდგა სრულყოფილი დრამატული ნაწარმოები, მაგრამ დამდგმელმა რეჟისორმა და მსახიობებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მხატვრულად დამაჯერებელი სპექტაკლი შეექმნათ.

თანამედროვე ხასიათის პიესების ძიებისას ქუთაისის თეატრი გაბედულად უთმობდა სცენას ახალ ნაწარმოებებს.

ქართული თეატრის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „ანზორის“ აღდგენა. ამ სპექტაკლმა ადრე შორს გაუთქვა სახელი ქართულ თეატრს. პირველად იგი ა. ახმეტელმა ა. ვასაძესთან ერთად დადგა 1929 წელს, ამჯერად სპექტაკლი ა. ვასაძემ აღადგინა ახმეტელისეული საერთო გეგმით, შიზანსცენებით, პერსონაჟთა ხასიათების გახსნით. განახლებულ დადგმაში როლებს ასრულებდნენ: კ. მეგრელიშვილი (ანზორი), კ. აბესაძე (მანსური). ა. ქელბაქიანი (პეტროვი), გ. კოკელაძე (ჩინელი), ბ. კოკელაძე (სადგურის უფროსი), ვ. გვენცაძე (მემანქანე), ვ. ოყრეშიძე (ახმა), ე. სვანიძე (კაპიტანი), ი. ბალიაშვილი (მიწა) და სხვ.

პიესის ავტორი ს. შანშიაშვილი გაზეთ „ქუთაისში“ (№ 64, 1967, 31 მარტი) წერდა: მე დავესწარი 23 მარტის პრემიერას. თვალზე ცრემლმორეული ვუცქერდი მსახიობების თამაშს და ჩემს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მე, 80 წელიწადს მიღწეული, თითქმის გავახალგაზრდავდი. „ანზორის“ აღდგენა აკაკი ვასაძის მიერ ჩემთვის ზეიმი და დაუფასებელი ამბავი. იგი არაფრით ჩამოუვარდება წინათ დადგმულს. პირიქით, ზოგიერთი სცენა უფრო გარდამავებულია და მსახიობებს თამაშიც უფრო დახვეწილი“.

1967 წელს მსახიობებს თამილა ლასხიშვილსა და ივანე მიქიაშვილს მიენიჭათ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

1967—1968 წლების სეზონი. დაიდგა ქუთაისელი პოეტი ქალის რუთა ბეროდის ორმოქმედებიანი ლირიკული დრამა „ახირებული“ (დადგმა მ. ფურცხვანიძისა). „ახირებულის“ სახელით ცნობილია პიესის მთავარი გმირი ახალგაზრდა მუშა ზაზა იოსელიანი. საყურადღებო დადგმა იყო ჩვენი გამოჩენილი დრამატურგის პ. კაკაბაძის დრამა „დავით მერვე“. პ. კაკაბაძის პიესა წარმოგვიდგენდა ფეოდალური საქართველოს ტიპურ სურათს გაბატონებული კლასის მთელი უარყოფითი თვისებებითა და მშრომელი ხალხის უსაზღვრო თავდადებით თავისი მიწა-წყლის დასაცავად.

იმერეთის მეფის ბაგრატის როლს ასრულებდა ვ. ოყრეშიძე. ახალგაზრდა მსახიობის თამაშმა ქება დაიმსახურა. სადიპლომო სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს ახალგაზრდა რეჟისორმა მანანა იმედა-

ქმ. მან დადგა ჰ. იბსენის დრამა „მოჩვენებანი“. ახალგაზრდა შემოქმედმა წარმატებით დასძლია პიესის მრავალი სირთულე და მოსაწონი სპექტაკლი შექმნა.

შეხვედრა სამამულო ომის ვეტერანებთან. ამ სეზონში ქუთაისის თეატრის კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო სამამულო ომის ვეტერანებს—თავისი კოლექტივის წევრებს: ა. ქელბაქიანს, ა. მოწონელიძეს, ა. აღფაიძეს, შ. სვანიძეს, გ. სალთხოციშვილს, მ. მგელაძეს, ს. ხაჯალიას. მათი საგმირო საქმეები დამსწრეთ გააცნო მსახიობმა ზ. ცირამუამ. შეხვედრის მონაწილეებმა ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი სცეს ფრონტზე დაღუპულ თეატრის მუშაკებს, მსახიობების — ა. აღხაზიშვილის, ა. ოქრუაძის, ა. აფხაიძის, ა. მამრიკიშვილის, მ. ბინიაურიშვილის, ა. ვაშაკიძის, ლიტ. ნაწილის გამგის პოეტ გ. ნაფეტვარიძის, რეჟისორის თანაშემწის გ. ჭიბუტის და დამამზადებელი საამქროს გამგის ი. ნინიაშვილის ნათელ ხსოვნას. ომის საინტერესო ეპიზოდები მოიგონეს ა. აღფაიძემ და ს. ხაჯალიამ.

ომის ვეტერანებს მიესალმა თეატრის ხელმძღვანელი ა. ვასაძე.

1968—1969 წლების სეზონში ქუთაისელ დრამატურგთა კიდევ ერთი პიესა შეემატა თეატრს. ეს იყო დ. კვიციანიძის დრამა „როცა სიცოცხლე გეძახის“. პიესას საფუძვლად დაედო ავტორის რომანი „ნდობა“, პიესა ავციწერდა ჩვენი ახალგაზრდობის როლს დღევანდელი ცხოვრების მშენებლობაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში. პიესა დადგა ა. ვასაძემ.

ამ სეზონში დაიდგა ი. ვაკელის ცნობილი კომედია „აპრაქუნე ჭიმიმელი“. კომედიაში მთავარ როლს ბრწყინვალედ ასრულებდა ვ. გვენცაძე. ამ დადგმის თაობაზე გაზეთი „ქუთაისი“ იუწყებოდა: „აპრაქუნე ჭიმიმელას“ დამდგმელმა რეჟისორმა მ. ფურცხვანიძემ დაიცვა ქუთაისის თეატრში კომედიის მაღალ დონეზე დადგმის ტრადიცია. მისმა რეჟისორულმა უშუალობამ ცხოვრებისეულ ანსამბლად აქცია სპექტაკლის შემქმნელი კოლექტივი. სპექტაკლის კომედიური მხარე დახვეწილია, ყოველი მოქმედი პირის ხასიათი—ცხადად გამოკვეთილი, ყოველი პაუზა — შევსებული სცენური მოქმედებით, მასა — გააქტიურებული და მოქმედი“...

თეატრმა დადგა ვ. სობკოს თანამედროვე შინაარსის საინტერესო დრამა სამამულო ომის თემაზე „შეინახეთ ჩემი საიდუმლო“ (დადგმა თ. მესხისა).

თეატრმა დადგა ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ ინსცენირება, რომელშიც პეპიას როლი ბრწყინვალედ შეასრულა ა. ვასაძემ.

თეატრში შემდეგ უჩვენა სოფოკლეს ტრაგედია „ანტოგონე“ (და-

დგმა თ. მესხისა) და გ. ზაპოლსკაიას ტრაგიკომედია „პანი დულ-სკაიას მორალი“ (დადგმა მ. იმედაძისა).

სათეატრო სეზონის შემაჯამებელი წერილი გამოაქვეყნა თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძემ „თეატრალურ მოამბეში“ (№ 6, 1969). ნ. შვანგირაძე წერდა, რომ ამ სეზონში თეატრის იდეურ-შემოქმედებითი გეზი სწორი იყო, საინტერესო რეპერტუარმა, კარგმა რეჟისორულმა და აქტიორულმა ნამუშევრებმა საერთო ყურადღება მიიქცია, მაყურებლის სიყვარული მოიპოვა.

ა. ვასაძე. ამ სეზონში ქუთაისის თეატრს დაემშვიდობა მისი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ა. ვასაძე. ქუთაისში ათი წლის მოღვაწეობის შემდეგ იგი თბილისში დაბრუნდა სამუშაოდ, როგორც რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი. ამავე დროს მსახიობად მიიწვიეს რუსთავეის თეატრში.

ა. ვასაძის მოღვაწეობა ქუთაისში უაღრესად ნაყოფიერი და სასარგებლო იყო ადგილობრივი თეატრისათვის. მან ყოველგვარი პირობები შექმნა მსახიობის ოსტატობის გამოსაწართობად, განამტკიცა კოლექტივში მაღალი პროფესიონალიზმი. ა. ვასაძემ განსაკუთრებით დიდი ყურადღება გამოიჩინა ქუთაისის სცენაზე თანამედროვე ხასიათის ქართული ორიგინალური რეპერტუარის დასაწარმოებად.

გამოჩენილმა სცენის ოსტატმა სრულფასოვნად მოიხადა ვალი თავისი მშობლიური ქალაქის წინაშე.

ნ. შვანგირაძის ზემოთ აღნიშნულ წერილში ა. ვასაძის ქუთაისის თეატრში მოღვაწეობაზე ვკითხულობთ: „თეატრიდან წავიდა მისი სამხატვრო ხელმძღვანელი, მთელ საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი სამსახიობო და სარეჟისორო ხელოვნების სახელმძღვანელო ოსტატი აკაკი ვასაძე. მან ათი წელი უთავკაცა ქუთაისის თეატრს და არა ერთი დიდი სასახელო ფურცელი ჩაწერა ქართული კულტურის ისტორიაში. აკაკი ვასაძის ხელმძღვანელობა ფრიად მნიშვნელოვანი, საინტერესო და ნაყოფიერი იყო. როდესაც თვალს ვავლებთ ამ აღიარებული ოსტატის მოღვაწეობას ქუთაისში, პირველ რიგში ვმსჯელობთ იმაზე, თუ რა შესძინა მან ამ თეატრსა და მის მაყურებელს. ვფიქრობთ, ორი რამ: ერთი — რეპერტუარში დიდი ხვედრითი წონა მოუპოვა ქართულ დრამატურგიას, მეორე — განსაკუთრებული ყურადღებით იმუშაობდა ახალგაზრდობასთან“...

ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი აკაკი ალექსის ძე ვასაძე დაიბადა ქუთაისში 1899 წლის 6 აგვისტოს. მოწაფეობისას გატაცებული იყო თეატრით და 1917 წელს უკვე მუშაობდა ქუთაისის თეატრში მხატვრად და სცენის თანამშრომლად. ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1919 წელს,

ვასაძე შევიდა ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში. ამავე დროს დაიწყო სწავლა გ. ჯაბადარის დრამატულ სტუდიაში. სტუდიაში 1920 წელს შეწყვიტა მუშაობა და სტუდიის მსმენელთა დიდი ნაწილი, მათ შორის ა. ვასაძეც, ახლად ჩამოყალიბებულ თბილისის ქართული თეატრის დასში ჩაირიცხა. ამის შემდეგ ა. ვასაძე განუწყვეტლივ მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის თეატრში, როგორც მსახიობი და რეჟისორი. 1922 წელს ის მონაწილეობდა კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ „ცხვრის წყაროში“, საიდანაც იწყება საბჭოთა ქართული თეატრის წელთაღრიცხვა. 1924 წელს ა. ვასაძე იყო მსახიობთა კორპორაცია „დურუჯის“ აქტიური მონაწილე. როგორც ცნობილია, კოოპერაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული თეატრის განახლების საქმეში.

ა. ვასაძე 1935 წელს დაინიშნა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. 1958 წელს გადაყვანილ იქნა ქუთაისის თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად.

ა. ვასაძემ მრავალი სცენური სახე შექმნა, რომელთა დიდი ნაწილი ქართული თეატრის სამსახიობო ოსტატობის საგანძურშია შესული. სახეთა სრულყოფისათვის მსახიობი დიდ ნიჭსა და ოსტატობას იჩენდა. შესანიშნავად ფლობდა ყველა ბუნებრივ მონაცემებს: განვითარებულ დიქციას, მუსიკალობას, პლასტიკურობას. მსახიობი თანაბარი ოსტატობით ასრულებდა ყველა ხასიათის როლებს. დღესაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ა. ვასაძე შესანიშნავად ასახიერებს ურთულეს როლებს.

ა. ვასაძის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მენგო (ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“), კლავდიუსი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“); კომძალა (ნ. შიუჟაშვილის „აპერიკელი ძია“), ახმა (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), ფრანც მოორი (ფ. შილერის „ყაჩაღები“), პილატე (გ. ბუხნიკაშვილის გადმოკ. „ნაბიჭვარი“), ბერესტი (ა. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“), იაგო (უ. შექსპირის „ოტელო“), კოწია (შ. დადიანის „გუშინდელნი“), კიკვიძე (ვ. დარასელის „კიკვიძე“), კრუტიცკი (ა. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“), შუისკი (ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“), ჩადუნელი (ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“), პეპია (ა. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“) და მრავალი სხვა.

ა. ვასაძემ სარეჟისორო მოღვაწეობა დაიწყო 1926 წელს. მისი დადგმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. შანშიაშვილის „არსენა“, შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე“, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“ და სხვ.

მრავალი როლი აქვს შესრულებული ა. ვასაძეს ქართულ კინოფილმებში.

ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას დრამატულ სტუდიებში და რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში:

ა. ვასაძეს 1934 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება, 1936 წელს კი სსრ კავშირის სახალხო არტისტისა. სამჯერ დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით: 1942 წელს („კიკვიძე“), 1946 წელს („დიდი ხელმწიფე“) და 1952 წელს („ჩაძირული ქვები“). დაჯილდოებულია ლენინის ორდენებით (1946, 1951), შრომის წითელი დროშის ორდენებით (1936, 1958) და მედლებით.

1938 წლიდან მრავალჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1939 წლიდან.

ა. ვასაძე თავისი ნიჭით ბრწყინვალედ გამოხატავს სოციალისტური საზოგადოების კეთილშობილურ იდეებსა და მხატვრულ მრწამსს. ამიტომაც არის, რომ მან, როგორც შემოქმედმა და საზოგადოებრივმა თეატრალურმა მოღვაწემ, სახელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს თეატრის განვითარების ისტორიაში.

ქუთაისის თეატრში 1968 წლამდე მუშაობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ხაჯალია.

შოთა ივანეს ძე ხაჯალია დაიბადა ქუთაისში 1917 წლის 5 მაისს. საშუალო განათლება იქვე მიიღო. 1937 წელს შევიდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჯერ კიდევ მოწაფეობისას, შ. ხაჯალია მონაწილეობას იღებდა დრამატული წრის წარმოდგენებში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შევიდა ახლად დაარსებულ გორის თეატრის მუდმივ დასში.

გ. ერისთავის სახელობის გორის თეატრში შ. ხაჯალიამ 1952 წლამდე იმუშავა. შემდეგ იგი გადავიდა ქუთაისის თეატრში, ხოლო 1968 წელს მუშაობა დაიწყო ე. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში. შ. ხაჯალია ნიჭიერი, ფართო დიპლომატის მსახიობია. დიდი ოსტატობით ასრულებს სახასიათო როლებს.

1969—1970 წლების სეზონში ა. ვასაძის წასვლის შემდეგ თეატრს სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მსახიობი შ. პირველი.

ამ სათეატრო სეზონში მთელი რიგი საინტერესო დადგმები განხორციელდა. ასეთებია: ა. ჩხაიძის თანამედროვე ხასიათის ნაწარმოები „ზიდი“, კ. გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების“ ინსცენირება, ს. ამბროჯის კომედია — „ბიუროკრატიზაცია“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, ლ. სანიკიძის დრამა „არქეოლოგიური ქრონიკა“ და ა. ყაზბეგის „განკიცხულის“ ინსცენირება.



დიდი ინტერესი გამოიწვია პიესა „ხილმა“. მასში საინტერესოდ არის ასახული მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები. სპექტაკლი დადგა ნუგზარ გაჩავამ. გაზეთი „ქუთაისი“ (№ 196, 1969, 1 ოქტ.) დ. ბარათაშვილის რეცენზიაში აღნიშნავდა წარმოდგენის აკვარგია-ნობას და განსაკუთრებით აქებდა როლების შემსრულებლებს ლ. ვაშაკიძეს (პროკურორის მოადგილე), შ. პირველს (ინჟინერი გიორგი გორდენიანი), გ. ნაცვლიშვილს (პროკურორი), ვ. მეგრელიშვილს (ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) და სხვ. „ა. ჩხაიძის პიესა „ხილი“, — ვკითხულობთ რეცენზიაში, — გვიჩვენებს ჩვენი ადამიანების, კერძოდ სასამართლო-პროკურატურის მუშაკების ცხოვრებასა და საქმიანობას, იგი რეალისტურად ასახავს, თუ როგორ მხარდაჭერასა და თანაგრძნობას პოულობს ყველა სიმართლის დამცველი ადამიანი“.

1970—1971 წლების სეზონი. სათეატრო სეზონში მთავარ რეჟისორად მოიწვიეს ზელოვნების დამსახურებული მოღვაწე იური კაკულია, რეჟისორ-დამდგმელად — ილია მაცხოვნაშვილი; შემდეგ სეზონში, ი. კაკულიას ნაცვლად, თეატრს სათავეში ჩაუდგა თამაზ მესხი როგორც დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

1970—1971 წლების სათეატრო სეზონი საიუბილეო იყო. საბჭოთა საქართველო აღნიშნავდა თავისი არსებობის 50 წლისთავს. ამ თარიღს მიეძღვნა ი. კაკულიას დადგმა, ნ. ღუმბაძის ახალი პიესა „ნუგეშინია, დედა“.

გარდა ამისა, განხორციელდა ახალი დადგმები: ბ. გამრეკელისა და გ. ნახუცრიშვილის ზღაპარი „ნაცარქექია“ (დადგმა თ. მესხისა), ე. ბრაგინსკისა და ე. რიზანოვის კომედია „ერთხელ, ახალწლის ღამეს“ (დადგმა მ. ფურცხვანიძისა), ა. გეწაძის დრამა „წმინდანები ჯოჯოხეთში“ (დადგმა ი. კაკულიასი), სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“ (დადგმა თ. მესხისა) და თ. იოსელიანის კომედია „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ (დადგმა ი. მაცხოვნაშვილისა).

თეატრის შემადგენლობა. მოგვყავს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრის სამხატვრო პერსონალისა 1971 წელს.

შოთა მიხეილის ძე პირველი დაიბადა 1914 წლის 28 თებერვალს. ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1932—1935 წლებში სწავლობდა თბილისის სასცენო ხელოვნების კურსებზე, ხოლო შემდეგ, 1937 წლამდე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში. 1937—1940 წლებში მსახიობად მუშაობდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში, ხოლო 1940 წლიდან მუშაობს მსახიობად ქუთაისის თეატრში.

1969 წელს დაინიშნა თეატრის დირექტორად. ასრულებს სახასიათო როლებს. შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ხევისბერი (ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, ინსცენირება ს. შანშიაშვილისა), შაჰ-აბასი (დ. ერისთავის გადმოკ. „სამშობლო“), მიკირტუმ გასპარიჩი (გ. ერისთავის „გაყრა“), ლუკაია (კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“), თთარბეგი, ანანია (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“). კინი (ე. სარტრის „ედმუნდ კინი“), ფრანც მოორი (ფ. შილერის „ყაჩაღები“), და სხვ. 1950 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1965 წელს სახალხო არტისტის საპატიო წოდება, არის სკკპ წევრი.

თამაზ ბენიამინის ძე მესხი დაიბადა 1933 წლის 25 დეკემბერს ზემო სვანეთის სოფ. მესტიაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1957 წელს. ამავე წლიდან მუშაობს რეჟისორად ქუთაისის თეატრში. მისი დადგმებიდან განსაკუთრებით აღინიშნა: ლ. სანიკიძის „ქუთათურები“, თ. მამფორიას „ტაგუ“, გ. ნახუცრიშვილის „შიათან ხიხო“, სოფოკლეს „ანტიგონე“, გ. ლორკას „სისხლიანი ქორწილი“ და სხვ.

მურმან ეპიფანეს ძე ფურცხვანიძე დაიბადა 1932 წლის 20 თებერვალს ქუთაისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს და ამავე წლიდან მუშაობს ქუთაისის თეატრში რეჟისორად. ამ პერიოდში მან განახორციელა დადგმები, რომელთა შორის აღსანიშნავია: გ. ბერძენიშვილის „ლერწამი ქარში“, ი. ვაკელის „ხელაშვილების ოჯახი“, დ. კვიციანიძის „როცა სიცოცხლე გეძახის“, ფ. გულდრიჩისა და ჰაექტის „ანა ფრანკის დღიური“ და სხვ. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. არის სკკპ წევრი.

ილია შალვას ძე მაცხოვნაშვილი დაიბადა დაბა სურამში 1937 წლის 5 თებერვალს. საშუალო განათლება მიიღო სურამში. შემდეგ შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. მისი დამთავრების შემდეგ მუშაობდა რეჟისორად თელავში, ბათუმსა და ცხინვალში. 1970 წელს დაინიშნა რეჟისორად ქუთაისის თეატრში.

ჯეირან ნიკოლოზის ძე ფაჩუაშვილი დაიბადა 1942 წლის 3 აგვისტოს ქუთაისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1968 წელს დაინიშნა ქუთაისის თეატრის მთავარ მხატვრად. შეასრულა დეკორაციები დადგმებისათვის: დ. კვიციანიძის „როცა სიცოცხლე გეძახის“, ი. ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“, ი. ვაკელის „აპრაქუნე ჭიმჭიმელი“, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ვ. სობკოს „შორეული ფანჯრები“ და სხვ. არის სკკპ წევრი.

გრიგოლი ივანეს ძე მარჯანიშვილი დაიბადა 1901 წელს ქუთაისში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და მუსიკალური სასწავლებელი. ხელმძღვანელობდა სხვადასხვა ორკესტრებს. მუშაობდა ქუთაისის თეატრის მსახიობად. 1928 წელს დაინიშნა ქუთაისის თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგედ და დირიჟორად. ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას. ამასთანავე 1941 წლიდან მუშაობს მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში საორკესტრო კლასის პედაგოგად. დაწერილი აქვს მუსიკა ქუთაისის თეატრის 80-მდე დადგმისათვის.

ალექსანდრე სეითის ძე ალფაიძე დაიბადა 1913 წლის 15 აგვისტოს ქუთაისში. 1930 წელს ქუთაისში დაამთავრა საშუალო სკოლა. ქუთაისის რკინიგზის კლუბის დრამურის ხელმძღვანელად მუშაობდა 1930—1933 წლებში, 1934—1938 წლებში — სამტრედიის თეატრის მსახიობად, 1939—1940 წლებში სწავლობდა ოდესაში თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე, 1940—1941 წლებში მსახიობობდა ზესტაფონის თეატრში, 1941—1946 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში და კურსანტიდან მაიორის წოდებას მიაღწია, მონაწილეობდა მრავალ ბრძოლაში, კერძოდ — მარუხის უღელტეხილზე. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებით და მედლებით. 1946—1952 წლებში იყო ქუთაისის თეატრში სადადგმო ნაწილის გამგე, შემდეგ — კულტსახლის დირექტორი, ხოლო 1965 წლიდან კვლავ ქუთაისის თეატრში მუშაობს მუზეუმის გამგედ. არის სკკპ წევრი.

მარი ვლადიმერის ასული გელაშვილი დაიბადა 1917 წლის 18 სექტემბერს თბილისში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. შემდეგ დაამთავრა კ. მარჯანიშვილის თეატრთან არსებული დრამატული სტუდია. 1938 წელს მიღებული იქნა მსახიობად ქუთაისის თეატრში და მას შემდეგ იქ მოღვაწეობს როგორც წამყვანი მსახიობი. უმთავრესად თამაშობს დრამატულ როლებს. მისი სცენური სახეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ფაცია (შ. დადიანის „გუშინდელნი“), თეკლე (ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“), დარიკო (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“), ნადია (მ. გორკის „მტრები“), ჯესი (კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი“), ევრიდიკე (სოფოკლეს „ანტიგონე“), დედოფალი ელისაბედი (უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“) და მრავალი სხვა. 1964 წელს მ. გელაშვილს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ლამარა ნიკოლოზის ასული ვაშაკიძე დაიბადა 1933 წლის 8 თებერვალს ქუთაისში. აქვე დაამთავრა საშუალო სკო-

ლა და 1952 წელს შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1958 წელს, მიღებულ იქნა მსახიობად ქუთაისის თეატრში. ლ. ვაშაყიძე ფართო დიპლომატიის მსახიობია. მისი როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: ნატო (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), ირინე (დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“), ხატია (ნ. ლუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“), ციციხო (პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჭარა“), ციალა (დ. კვიციანიძის „მამის კვალზე“), გაიანე (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“) ანა ფრანკი (გუდრიჩისა და ჰაკეტის „ანა ფრანკის დღე-ღამე“) და სხვ.

ნ ე ლ ი ა პ ო ლ ო ნ ი ს ა ს უ ლ ი თ ო დ ა ძ ე დაიბადა 1935 წლის 25 აგვისტოს ქუთაისში, აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1953 წელს შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. მისი დამთავრების შემდეგ, 1963 წლიდან მსახიობობას იწყებს ქუთაისის თეატრში. შესრულებული აქვს მრავალი საინტერესო როლი, რომელთა შორის იყო: ნათია (რ. იოსელიანის „როცა სიყვარულილი მოვა“), თამარ გაბაშვილი (ა. ჩხაიძის „იზუზუნე, ფუტყარო“), ნებიერ ხანუმ (გ. ნახუციანიშვილის „შაითან ხიხო“), ხალიდე (ს. შანშიაშვილის „ანზორი“) და სხვ.

ნ ე ს ტ ა ნ ე ვ ს ე ე ვ ი ს ა ს უ ლ ი კ ვ ე ი ძ ე დაიბადა 1939 წლის 20 აგვისტოს ქუთაისში. აქვე მიიღო საშუალო განათლება, პარალელურად დაამთავრა მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი. ქუთაისშივე მიიღო უმაღლესი განათლება—1962 წელს დაამთავრა ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. მოწაფეობიდანვე მონაწილეობას იღებდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. 1966 წლამდე მუშაობდა პედაგოგად, ხოლო 1966 წლიდან მუშაობს მსახიობად ქუთაისის თეატრში. შესრულებული აქვს მრავალი წამყვანი და ეპიზოდური როლი. ცნობილია, როგორც მწერალი, გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი მოთხრობები. არის სკკპ წევრი.

თ ა მ ა რ ი ვ ა ნ ე ს ა ს უ ლ ი კ ი კ ნ ა ძ ე დაიბადა თბილისში 1906 წელს. აქვე მიიღო საშუალო განათლება. შემდეგ დაამთავრა პროლეტკულტის დრამატული სტუდია. მსახიობად მუშაობდა შემდეგ თეატრებში: 1924—1928 წლებში პროლეტკულტის „წითელ თეატრში“ და თბილისის მუშათა თეატრში, 1928—1929 — ჭიათურის თეატრში, 1929—1930 — ქუთაისის თეატრში, 1930—1932—... ჭიათურის თეატრში, 1932—1933—ფოთის თეატრში, 1933—1937—თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში. 1938 წლიდან მოღვაწეობს ქუთაისის სცენაზე. ნათამაშევი აქვს მრავალი სხვადასხვა ხასიათის როლი. 1950 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ციხუკი მიხეილის ასული მესხი დაიბადა თბილისში 1933 წლის 30 დეკემბერს. საშუალო განათლებაც აქვე მიიღო. შემდეგ დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1955—1957 წლიდან მუშაობს ქუთაისის თეატრში. შესრულებული აქვს სხვადასხვა ხასიათის წამყვანი როლები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: პეპელა (ი. ვაკელის „აბრეჯუნე ჰიპიმიელი“), ნათელა (პ. კაკაბაძის „ბაგრატ მეშვიდე“) ზაირა (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), ნადიკო (შ. დადიანის „კაკალ გულში“), ციციხო (გ. ქელბაქიანის „ხმაღულისა“), რუქაია (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), ანტიგონე (სოფოკლეს „ანტიგონე“), ბიანკა (უ. შექსპირის „ოტელო“) და სხვ.

ქეთევან ვარლამის ასული ნაჭყებია (კოლხი დელი) დაიბადა 1920 წელს ფოთში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებული დრამატული სტუდია. მსახიობად დაიწყო მუშაობა ფოთში 1937 წელს, სადაც დაჰყო 1952 წლამდე. ამის შემდეგ მუშაობს ქუთაისის თეატრში, ასრულებს მთავარ დრამატულ როლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ელენე (ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“), ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“), ქეთევანი (დ. ერისთავის გადმოკ. „სამშობლო“), ქრისტინე (ე. ნინოშვილის „ქრისტინე“), კატერინა (ა. ოსტროვსკის „ქუხილი“), ტატიანა (ბ. ლავრენევის „რღვევა“), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), ივდიოთი (ს. გუცოვის „ურთელ აკოსტა“) და სხვ. 1960 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. არის სკკპ წევრი.

ნანი რაქდენის ასული ყორყოლიანი დაიბადა 1946 წლის 15 ივლისს სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1968 წელს დაიწყო მუშაობა მსახიობად ქუთაისის თოჯინების თეატრში, ხოლო 1969 წელს გადავიდა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში.

მარგარიტა ლავრენტის ასული ფხაკაძე დაიბადა ქუთაისში 1920 წლის 29 აპრილს. აქვე მიიღო საშუალო განათლება და მსახიობად შევიდა ქუთაისის თეატრში. არის ფართო დიაპაზონის მსახიობი. შესრულებული აქვს გულიკო (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“), ვახუშტი (გ. ნახუცრიშვილის და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“), გაიანე (ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“), მაშენკა (ა. აფინოგენოვის „მაშენკა“), ლუიზა (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), სპინოზა (კ. გუცოვის „ურთელ აკოსტა“) და სხვ.

თინათინ ლევანის ასული დვინიაშვილი დაიბადა

თელავის რაიონის სოფელ ვანთაში, 1901 წელს. 1918 წელს დაამთავრა თელავის ქალთა საშუალო სასწავლებელი. თელავის თეატრის სცენაზე მოღვაწეობდა 1922 წლამდე. შემდეგ მუშაობდა: 1924—1925 — ქუთაისის, 1925—1926 — ქიათურის, 1926—1935 — რუსთაველის სახელობის, 1935—1936 — სიღნაღის, 1936—1937 — თელავის, 1937—1938 — ველისციხის თეატრებში 1938 წლიდან მოღვაწეობს ქუთაისის სცენაზე. არის ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობი. განსაკუთრებით აღსანიშნავია: მარინე (ვ. გუნიას „და-ძმა“), ვარდო (ს. მთვარაძის „სურამის ციხე“), გულთამზე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), ქეთევანი (დ. ერისთავის ვადმოკ. „სამშობლო“), ზენაბი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ჭატიანა (პ. ლავრენუვის „რღვევა“), ამალია (ფ. შილერის „ყაჩაღები“) და სხვ. 1946 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ლარისა კონსტანტინეს ასული ხაჭაპურიძე დაიბადა 1948 წლის 20 თებერვალს თბილისში. აქვე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. 1968 წლიდან დაიწყო მუშაობა მსახიობად ქუთაისის თეატრში.

კაპიტონ მელქისედექის ძე აბესაძე დაიბადა ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში 1898 წელს. 1920 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და ამ წლიდანვე დაიწყო მოღვაწეობა მსახიობად ქუთაისში. მუშაობდა იქ არსებულ სეზონურ დასებში. 1928 წლიდან კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ მეორე სახელმწიფო თეატრში. 1933—1934 წლებში მუშაობდა თელავის თეატრში, 1934—1935—ქუთაისის თეატრში, 1935—1936 — თელავის თეატრში, 1936—1937 — ხაშურის თეატრში, 1937—1938 — თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში, ხოლო 1938 წლიდან — ქუთაისის თეატრში. ცნობილია როგორც კომედიური როლების შემსრულებელი. ნათამაშევი აქვს მრავალი როლი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მანუჩარი (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), ჭიბო კვანტრიშვილი (შ. დადიანის „გუშინდელნი“), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), ყორჩიხანი (ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“), პან კაზიმირი (ს. კლდიაშვილის „გრაფის ქვრივი“), ბესო (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ბენ აკიბა (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“) და სხვ. 1947 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

გივი შალვაძე ბერიძე დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს, ქუთაისში. 1945 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა და დღემდე მსახიობად მუშაობს ქუთაისის თეატრში,

ამასთან ერთად ხელმძღვანელობს თვითმოქმედ დრამატულ წრეებს.

რევაზ ტარასის ძე ბოკუჩავა დაიბადა 1931 წლის 20 აპრილს ქუთაისში. 1962 წელს დაამთავრა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის თეატრალური განყოფილება. 1963—1964 წლებში მუშაობდა მსახიობად ზუგდიდის თეატრში. 1964 წლიდან მუშაობს ქუთაისის თეატრში. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: ხარიტონი (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), მევარკაცი (ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიჭიკმელი“), ჯიშკარიანი (გ. ქელბაქიანის „განა ეს სიყვარულია?“), კირილე (დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“) და სხვ.

ვალერიან რომანოზის ძე გვენცაძე დაიბადა 1913 წლის 16 იანვარს, ამბროლაურის რაიონის სოფელ ლაღიშში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში. შემდეგ დაამთავრა თბილისის სასცენო ხელოვნების უმაღლესი კურსები. მუშაობდა მსახიობად სიღნაღის და სოხუმის თეატრებში, ხოლო 1938 წლიდან დღემდე მუშაობს ქუთაისის თეატრში. ასრულებს სახასიათო და კომედიურ როლებს. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ზაალ ბარათაშვილი (ს. შანშიაშვილის „არსენა“), ოსმანაღა (ს. მთვარაძის „სურამის ციხე“), ტარიელ მკლავაძე (შ. დადიანის „ნინოშვილის ფურია“), კაქუტა (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), ხარიტონი (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), აპრაკუნე (ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიჭიკმელი“), გოროდნიჩი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), მაჯფერსონი (კ. სიმონოვის „რუსეთის საკიზნი“), ჰოფმარშალი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“) და სხვ. 1960 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ბონდო მიხეილის ძე გურიჩიანი დაიბადა მესტიის რაიონის სოფელ ეცერში, 1932 წლის 10 მარტს. საერთო განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა ვ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1958 წელს. 1959 წლიდან მუშაობს მსახიობად ქუთაისის თეატრში. ასრულებს სახასიათო როლებს.

ლიმზენ ვლადიმერის ძე კანდელაკი დაიბადა 1941 წლის 1 ნოემბერს გეგეჭკორის რაიონის სოფელ კიწიაში. 1964 წელს დაამთავრა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის თეატრალური განყოფილების სრული კურსი. მუშაობდა კულტსახლის დირექტორად. 1969 წლიდან მუშაობს ქუთაისის დრამატული თეატრის მსახიობად.

ბარნაბ ირაკლის ძე კოკელაძე დაიბადა 1901 წელს

ქუთაისში. 1918 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. სამსახიობო მოღვაწეობა დაიწყო 1920 წელს ქუთაისში, სადაც მუშაობდა 1926 წლამდე. შემდეგ განაგრძო მოღვაწეობა ფოთში. 1927—1930 წლებში კვლავ ქუთაისის დაუბრუნდა. 1930—1932 წლებში მუშაობდა სოხუმის თეატრში, 1932—1933 წწ. თელავის, 1933—1936 წწ. — კვლავ ქუთაისის და 1937—1938 წწ. — ფოთის, 1938 წლიდან კი ქუთაისის თეატრში. ასრულებს სახასიათო როლებს. მისი როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: სიმონი (ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“), სილიბისტრო (შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“), გოგია უიშვილი (შ. დადიანის „ნინოშვილის ვურაა“), დათია (ე. ნინოშვილის „ქრისტიანე“), ბესო (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ფონ შტუბე (ბ. ლავრენევის „რღვევა“), ფრანც მორი (ფ. შილერის „ყაჩაღები“) და სხვ. 1963 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

**გრიგოლ დავითის ძე კოკელაძე** დაიბადა 1915 წელს. 1932 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი. ამ წელსვე დაიწყო მუშაობა ქუთაისის თეატრში, სადაც დღემდე მუშაობს. ასრულებს სახასიათო როლებს. მისი როლებიდან აღსანიშნავია: გამომძიებელი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), ბეჟანა (ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“), შაითან ხიხო (გ. ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო“), უფლისწული (მ. ჭაფარიძის „უამთაბერის ასული“), საქო (ს. გედევანიშვილის „მსხვერპლი“) და სხვ. დიდი სამამულო ომის წლებში თავი ისახელა სამხედრო საშეფო კონცერტებში მონაწილეობით. სულ მონაწილეობა მიიღო 750 კონცერტში. 1963 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

**გუდარ ბარნაბის ძე კოკელაძე** დაიბადა ქუთაისში 1924 წლის 28 აგვისტოს. ქუთაისშივე დაამთავრა საშუალო სკოლა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სრული კურსი. 1950 წლიდან დღემდე მუშაობს ქუთაისის თეატრში. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს, რომელთაგან აღსანიშნავია: მირანგულა (გ. ჩიტაიშვილის „მირანგულა“), რეზო (გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“), ტიტციო (ვ. დარასელას „კიკვიძე“), სოსოია (ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“), ომარი (გ. ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო“) და სხვ.

**ვახტანგ პავლეს ძე მეგრელიშვილი** დაიბადა 1928 წლის 10 იანვარს სამტრედიის რაიონის სოფელ ღანიშში. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა სამტრედიის 1935 წელს. თვითმოქმედ დრამატულ წრეებში მონაწილეობდა 1932 წლიდან. 1936—1938 წლებში მსახიობად მუშაობდა თბილისის მუშა-ახალ-



გაზრდობის თეატრში. 1938 წლიდან მუშაობს ქუთაისის თეატრში. ფართო დიაპაზონის მსახიობია, უმთავრესად ასრულებს გმირულ-დრამატულ როლებს. მისი სცენური სახეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: კეცხოველი (გ. ნახუცრიშვილის „კეცხოველი“), თედო (ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“), გორგი სააკაძე (ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“), ჩონთა (ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი“), ლოპიანა (პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა“), ანზორი (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), ოთარ-ბეგი (ა. სუმბათაშვილის „დალატი“), კოშკინი (კ. ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“), ოტელო (უ. შექსპირის „ოტელო“), კარლ მოორი (ფ. შილერის „ყაჩაღები“) და სხვ. 1955 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, ხოლო 1965 წელს — სახალხო არტისტის წოდება. არის სკკპ წევრი.

ივანე დავითის ძე მიქიაშვილი დაიბადა 1914 წლის 15 სექტემბერს ქ. ფოთში. იქვე 1934 წელს დაამთავრა სამელიორაციო ტექნიკუმი. 1932—1935 წლებში მსახიობად მუშაობდა ფოთის თეატრში, 1935 — 1936 წწ. ბაქოს თეატრში, 1937 — 1952 — წლებში — კვლავ ფოთის თეატრში, ხოლო 1952 წლიდან მუშაობს მსახიობად ქუთაისის თეატრში. მისი როლებიდან აღსანიშნავია: სიკო (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“?, შუქრი (ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“), კარაპეტა (გ. ერისთავის „ძუნწი“), ვარდენი (ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიშკიველი“), კრეონი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), ბენ იოხაი (კ. გუცყოვის „ურთელ აკოსტა“) და სხვ. 1967 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. არის სკკპ წევრი.

არ დევან ალექსანდრეს ძე მოწონელი ძე დაიბადა 1919 წლის 2 მაისს ამბროლაურის რაიონის სოფელ ზედა ღვარდიაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს. ამავე წელს დაიწყო მუშაობა ქუთაისის თეატრში და დღემდე აქ მუშაობს. 1941—1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებით და მედლებით. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: საქო (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ხელაშვილი (ი. ვაკელის „ხელაშვილების ოჯახი“), ჰასანი (გ. ნახუცრიშვილის „შაითან ხიზო“), სართანია (ა. ჩხაიძის „ხიდი“), სილვიო (კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“) და სხვ. არის სკკპ წევრი.

გრიგოლ ალექსანდრეს ძე ნაცვლიშვილი დაიბადა 1913 წლის 8 ივლისს სამტრედიის რაიონის სოფ. ბაშში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა თბილისის სასცენო

ხელოვნების უმაღლეს კურსებზე, რომელიც დაამთავრა 1932 წელს. 1933—1934 წლებში მუშაობდა სიღნაღის თეატრში, 1935—1937 წლებში — სოხუმის თეატრში, 1938 წლიდან დღემდე მუშაობს ქუთაისის თეატრში. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს, უმთავრესად დრამატულს. მისი როლებიდან აღსანიშნავია: ანდრო კახიანი (ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“), მეფე ლუარსაბი (ა. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“), შოთა (გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა“), ბახა (ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი“), ანზორი (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), იაკობ ბარდინი (მ. გორკის „მტრები“), მიხეილ იაროვოი (კ. ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია“), კრეჩინსკი (ა. სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწილი“), ფერდინანდი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“) და სხვ. დიდი მონაწილეობა მიიღო სამამულო ომის წლებში სამხედრო-საშეფო კონცერტების გამართვაში. მისი ხელმძღვანელობით გამართული იყო 1400 კონცერტი. 1960 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. არის სკკპ წევრი.

ანზორ დიმიტრის ძე ნიკოლაიშვილი დაიბადა 1939 წლის 20 მაისს სამტრედიის რაიონის სოფელ გამოჩინებულში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1969 წელს დაამთავრა ქუთაისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის თეატრალური განყოფილების სრული კურსი, მუშაობდა თვითმოქმედ დრამატულ წრეებში, ხოლო 1969 წლიდან მუშაობს მსახიობად ქუთაისის თეატრში. არის სკკპ წევრი.

ვაჟა სპირიდონის ძე ოყრეშიძე დაიბადა 1941 წლის 3 ოქტომბერს ქუთაისში. მამა იყო ქუთაისის თეატრის რეჟისორი, დედა ქუთაისის თეატრის მსახიობია. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში. მონაწილეობდა თვითმოქმედ დრამატულ წრეებში. 1964 წლიდან მუშაობს მსახიობად ქუთაისის თეატრში. არის სკკპ წევრი.

ერემია ვლადიმერის ძე სვანიძე დაიბადა 1930 წლის 30 მაისს ქუთაისში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში, რის შემდეგ შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. ინსტიტუტი დაამთავრა 1950 წელს და ამ წელსვე დაიწყო მუშაობა ქუთაისის თეატრში. შესრულებული აქვს სხვადასხვა ხასიათის როლები და მათ შორის: დათო (ინსცენირება, ი. ჭავჭავაძის მოთხრობის „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით „ჩატეხილი ხიდი“), ადიკო (შ. დადიანის „გუმინდელნი“), ნეზელასოვი (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), ლეანდრო (გ. ლორკას „სისხლიანი ქორწილი“) და სხვ.

მიხეილ ვეგენის ძე სვანიძე დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ ყაჩაეთში 1900 წლის 6 ივნისს. საშუალო სასწავლებელი დაამთავრა 1917 წელს. 1922 წელს მიღებული იქნა მსახი-

ობად ქუთაისის თეატრში და მას შემდეგ აქ მოღვაწეობს. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს, მათ შორის: გეგელია (ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“), ვ. ი. ლენინი (შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“), ნინოშვილი (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“), ბარძიმი (მ. ჭაფარიძის „უამთაბერის ასული“), ბერდოსანი (შ. დადიანის „გუშინდელნი“), ბარდნი (მ. გორკის „მტრები“), იაზონი (ევროპიდეს „მედია“) და სხვ. 1940 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება. არის სკკპ წევრი.

ი ა კ ო ბ ს ი მ ო ნ ი ს ძ ე ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე დაიბადა ქუთაისში 1925 წლის 28 სექტემბერს. 1941 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1943 წლიდან მსახიობად მუშაობს ქუთაისის თეატრში. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს. მათგან აღსანიშნავია: კუკუჩი (ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“), ჯიბილო (პ. კაკაბაძის კოლმეურნის ქორწინება“), კაცია (გ. ბერძენიშვილის „ლერწამი ქარში“) და სხვ. არის სკკპ წევრი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე პ ა ვ ლ ე ს ძ ე ქ ე ლ ბ ა ქ ი ა ნ ი დაიბადა წულუკიძეში 1911 წელს. საშუალო განათლება მიიღო წულუკაძეში. სამსახიობო მოღვაწეობა დაიწყო 1930 წელს სოხუმში. ამის შემდეგ მუშაობდა თეატრებში: 1931—1932 წლებში თბილისის წითელი არმიის, 1932—1933 — თელავის, 1933—1934 — ქუთაისის, 1934—1937 — ბაქოს, 1937—1941 — ხაშურის თეატრებში. 1941—1942 წლებში მონაწილეობას იღებდა დიდ სამამულო ომში. 1942 წლიდან მსახიობად მუშაობს ქუთაისის თეატრში. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს. მათგან აღსანიშნავია ოსმან-ალა (ს. მთვარაძის „სურამის ციხე“), ვასილ კიკვიძე (ვ. დარასელის „კიკვიძე“), დუნდიჩი (კაცისა და რეშევესკის „ოლეკო დუნდიჩი“). გიჟუა (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), გოდუნი (ბ. ლავრენევის „რღვევა“), სმიტი (კ. სიმონოვის „რუსეთის საკითხი“), დათო (ა. სუმბათაშვილის „ლალატი“) და სხვ. 1960 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

ნ ი კ ო ლ ო ზ ვ ა ს ი ლ ი ს ძ ე წ ი კ ლ ა უ რ ი დაიბადა 1933 წლის 3 იანვარს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ საფუძრებში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1954 წელს. ამ წლიდანვე დაიწყო მუშაობა ქუთაისის თეატრში. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს. ამ როლებიდან აღსანიშნავია: არსენა (ს. შანშიაშვილის „არსენა“), ვანუა (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), შალვა (ვაჟა ფშაველას „მოკვეთილი“), ნერონი (ლ.

სანიკიძის „ნერონი“), ტაგუ (ო. მამფორაას „ტაგუ“), ტირესი (სოფოკლეს „ანტიგონე“) და სხვ. არის სკკპ წევრი.

ბიჭიკო მიხეილის ძე ცერცვაძე დაიბადა 1940 წლის 15 მარტს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ქვედა გომში. 1959 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1957 წლიდან მსახიობად მუშაობდა სახალხო თეატრში. 1970 წლიდან — ქუთაისის თეატრშია.

ზურაბ სტეფანეს ძე ცირამუა დაიბადა 1927 წლის 15 აპრილს ქუთაისში. 1945 წელს ქუთაისშივე დაამთავრა საშუალო სკოლა და ამავე წელს დაიწყო მუშაობა მსახიობად ქუთაისის თეატრში, სადაც დღემდე განაგრძობს მოღვაწეობას. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის როლებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: სევასტი (ი. ვაკელის „აბრაკუნე ჭიმჭიმელი“), მაქაცარია (შ. დადიანის „კაკალ გულში“), ქილორდავა (შ. დადიანის „გუშინდელნი“), გოგიჩა (ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“), ვახუშტი (გ. ნახუცარიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“) და სხვ. არის სკკპ წევრი.

მერაბ ჯრიგოლის ძე ჩიქოვანი დაიბადა 1946 წლის 10 მაისს ქ. ქუთაისში. 1966 წელს დაამთავრა ქუთაისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის თეატრალური ფანჯოფილება და 1967 წლიდან მსახიობად მუშაობს ქუთაისის თეატრში.

ჯემალ ბიჭტორის ძე ჩხეიძე დაიბადა 1940 წლის 14 ნოემბერს ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის თეატრალური ფანჯოფილება, 1969 წლიდან ქუთაისის თეატრის მსახიობია.

ანზორ მელიტონის ძე ხერხაძე დაიბადა 1937 წლის 20 თებერვალს ქუთაისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1962 წელს და მას შემდეგ მუშაობს ქუთაისის თეატრში. ასრულებს სხვადასხვა ხასიათის წამყვან როლებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: სოსოია (ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“), სევასტი (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“), პეტროვი (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), ემოკრატე (ი. ვაკელის „აბრაკუნე ჭიმჭიმელი“), თარაშ ემხვარი (ყ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ ინსცენირება), კარანდიშევი (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“), ოსვალდი (პ. იბსენის „მოჩვენებანი“) და სხვ.

ადმინისტრაციული და სამწიგნობო ტექნიკური პერსონალი: ღირეჭტორის მოადგილე ა. ბეთანელი, მთავარი ადმინისტრატორი შ. სვანიძე, უფრ. ბუჰხალტერი ო. ბობოხიძე, მისი მოადგილე ნ. ფირცხა-

ლავა, მოლარე ტ. ჭარხალაშვილი, კანცელარიის გამგე გ. ახვლედიანი, სამნეო ნაწილის გამგე მ. ლორთქიფანიძე, კომენდანტი ვ. ეზგემლიძე, მეხანძრენი — ს. შალიკიანი, ჯ. ბერაძე, ი. მუკუბანიანი, ა. გურგენიძე, ტ. ყურაშვილი, ა. ჩიხლაძე, გ. ბიბილეიშვილი, ა. ყიფიანი, საბილეთო სალაროს მოლარე ნ. ჭანელიძე, უფრ. კონტროლიორი ე. ფიფინოვი, კონტროლიორები — თ. ცინცაძე, თ. მესხიძე, ნ. ლომთათიძე, მ. სეფერთელაძე, ვ. ნოვიკოვა, ს. გიგიბერაშვილი, ვ. ჭიჭინაძე, თ. ყიფშიძე, ბ. მაჩაძე, კ. ნაჭყებია, ს. ჭიქია, ქ. გვენცაძე, უფრ. მეგარდერობე ს. სეფიაშვილი, მეგარდერობენი — ნ. სვანიძე, ე. ყურაშვილი, მ. ჭიჭინაძე, ყ. ლაშქარაშვილი, ა. სულამონიძე, ნ. რუხაძე. უფროსი დამლაგებლები—ლ. იქედაძე და ვ. გოგიავა, დამლაგებლები—ვ. აბულაძე, მ. მანაგაძე, ს. მანაგაძე, ყ. მანაგაძე, ყ. ფურცხვანიძე, თ. ფურცხვანიძე, ყ. ობოლაძე, ქ. გედენიძე, ე. მაისურაძე, ა. მეტონიძე, დ. კიბ, ა. კასილოვა, ა. პაროშინა, მეელსმენენი — თ. ნარჩემაშვილი, ე. ლიპარტელიანი.

საწარმოო ტექნიკური პერსონალი: სადაღმგო ნაწილის გამგე ი. სალთხუციშვილი, მოკარნახე გ. კუჭავა, უფრ. მხატვარი-დეკორატორი დ. კოკელაძე, სცენის უფროსი მემანქანე უ. აფრიდონიძე, სცენის მემანქანე ი. კოსტანოვი, დეკორაციის უფროსი ამწყობი ნ. ჩოგოვაძე, დეკორაციის ამწყობნი — ა. იობიძე, ვ. ფხაკაძე, თ. არჩვაძე, მ. კოკელაშვილი, ა. ხუჯავაძე, დ. გორდუზიანი, ყ. სინაურიძე, გ. რიეამაძე, განათების უფროსი მხატვრები — ნ. ქობალიანი, ა. მორჩაძე, ელგამანათებლები — კ. გიორგაძე, ა. როხვაძე, კავშირგაბმულობის უფრ. ტექნიკოსი ი. ჭიშკარიანი, რადისტი ა. კაჭკაჭიშვილი, უფრო. ბუტაფორი ნ. მალულარია, უფროსი რეკვიზიტორი და მეავეჯე ა. ინჯია, რეკვიზიტორი და მეავეჯე ვ. დოდელია, უფრ. კოსტიუმერი თ. თევდორაძე, უფრ. მკერავ-გამომკრელები — მ. ვორონოვა, რ. დვალისვილი, მკერავი მ. ჭელიძე, ფეხსაცმლის მკერავი ს. ხაჯალია, ჩამცმელები — ნ. მორჩიაშვილი, ნ. ტყემალაძე, მრეცხავი ო. ჭეიშვილი, უფრ. გრიმიორი ნ. ახვლედიანი, გრიმიორი ლ. ბერძენი, ზეინკალი შემდუღებელი მ. ხუნდაძე, ავტობუსის მძღოლები — შ. ვაშაყმაძე, ი. კიკვაძე. თეატრს სულ ემსახურებოდა 134 კაცი.

გარდა მუდმივი მხატვრისა, თეატრი, როგორც წინათ, სამოციან წლებშიც ხშირად იწვევდა ცალკე დადგმებზე ჩვენს ცნობილ მხატვარ-დეკორატორებს. ამ მხრივ პირველყოვლისა აღსანიშნავია რესპუბლიკის სახალხო მხატვრების დ. თავაძისა და ფ. ლაპიაშვილის ღვაწლი. მათი მხატვრობა ძვირფასი შენაძენი იყო თეატრისათვის. მათ გარდა ცალკეულ დადგმებზე მოწვეული იყვნენ მხატვრები: გ-

ბერეჩიძე, გ. გუნია, ა. კაკაბაძე, თ. მურვანიძე, ი. პეტრაიტისი, ა. რატიანი, ჯ. ფაჩულია, ი. შტენბერგი, ა. ჭელიძე, შ. ხუციშვილი.

სპექტაკლებისათვის მუსიკის შესაქმნელად მოწვეული იყვნენ კომპოზიტორები: ვ. აბრამიშვილი, ვ. აზარაშვილი, ი. არაყიშვილი, ა. ბალანჩივაძე, ი. ბობოხიძე, ვ. ბუხაიძე, რ. გაბიჩვაძე, ვ. გოჯი-ელა, დ. ივურგენიძე, ო. თაქთაქიშვილი, ბ. კვერნაძე, ა. მაჭავარიანი, კ. მელვინეთუხუცესი, შ. მილორავა, ს. მირიანაშვილი, ს. ნასიძე, ა. ჩიკაძე, ნ. ძნელაძე, გ. ცაბაძე.

ცეკვების დამდგმელი ქორეოგრაფები — ე. გუმბერიძე, ვ. კუპრიშვილი, ნ. ლომთათიძე, დ. მაჭავარიანი, ა. მაჭარაძე.

## XV. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალი

ქართული ოპერის პირველი დადგმის ცდები. ქართული მუსიკის ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღია 1969 წლის 29 დეკემბერი. ამ დღეს ქუთაისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალი.

ასრულდა ქუთაისელთა დიდი ხნის ნატვრა — შეიქმნა საოპერო ხელოვნების კერა.

დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის მშობლიურ ქალაქში ცარიზმის დროს მუდმივი ქართული საოპერო თეატრის დაარსებაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ისტორიას შემორჩა რამდენიმე ფაქტი, როდესაც ქუთაისში საგასტროლოდ ჩასულა საოპერო დასი, ისიც არაქართული. გაიმართა ერთი ქართული საოპერო წარმოდგენაც. 1905 წელს თბილისში დაარსდა ქართული საოპერო ამხანაგობა, რომელმაც რამდენიმე ქართულად თარგმნილი ოპერა წარმოადგინა. ერთი ასეთი წარმოდგენა ამხანაგობამ მომღერალ კ. ცხომელიძის მოთავეობით ქუთაისშიც გამართა. ქართულად წარმოადგინეს ჯ. როსინის ოპერა „სევილიელი დალჯი“.

1919 წლის თებერვალში ქუთაისში გაიხსნა მუსიკალური სკოლა. სკოლის დაარსების ინიციატორი იყო კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეტროგრადიდან მშობლიურ ქალაქ ქუთაისში გადმოსახლდა. ეს სკოლა 1921 წელს საშუალო მუსიკალურ სასწავლებლად — ტექნიკუმად გადაკეთდა. სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა მუსიკოსი ილია აბაშიძე, მელიტონ ბალანჩივაძე კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე განათლების სახალხო კომისარიატის მუსიკალური სექციის გამგედ დანიშნეს.

ქუთაისის მუსიკალურ ტექნიკუმში მიიღეს პირველი მუსიკალური განათლება ჩვენმა ცნობილმა მომღერლებმა ეკატერინე სო-

ხაძემ, ნადეჟდა ცომაია, პეტრე ამირანაშვილმა და სხვ. 1926 წლის აპრილში მათი მონაწილეობით, ი. აბაშიძის დირიჟორობით ქართულად წარმოადგინეს ც. კოუის საბავშვო ოპერა „წითელქუდა“ და ერთი მოქმედება ა. დარგომიესკის ოპერიდან „ალი“. დირიჟორი იყო ი. აბაშიძე. რამდენიმე წლის შემდეგ ი. აბაშიძემ კიდევ სცადა ქართული ოპერის დადგმა. ქუთაისის ნორჩ პიონერთა საქალაქო ბიუროს დახმარებით მან შეადგინა პიონერთა დასი და მათი მონაწილეობით ქუთაისის თეატრის სცენაზე წარმოდგინა შალვა თაქთაქიშვილის ერთმოქმედებიანი საბავშვო ოპერა „ბრძოლა“ (ლიბრეტო ლადო გეგეჭკორისა). ამ წარმოდგენის საერთო ხელმძღვანელობა კოტე მარჯანიშვილმა იკისრა. სპექტაკლის რეჟისორი იყო ვახტანგ აბაშიძე, დირიჟორი ი. აბაშიძე, მხატვარი პ. ოცხელი, ბალეტმაისტერი ლ. შჩერბიციკაია. წარმოდგენა გაიმართა 1930 წლის 2 მარტს.

პიონერთა კოლექტივის ხელმძღვანელი და წარმოდგენის ადმინისტრატორი იყო ა. შანიძე, ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ვ. აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის დირექტორი.

სამამულო ომის პერიოდში, სახელდობრ 1942 წლის 18 მაისს, ქუთაისის თეატრის მსახიობის შალვა ქარცივაძის თაოსნობით წარმოდგენილი იყო ზ. ფალიაშვილის ოპერის „დაისის“ მონტაჟი. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ე. სახელაშვილი (მარო), ე. ქუთელია (ნინო), ა. მატოსოვი (მალხაზი), ვ. ქუთათელაძე (კიაზო), დ. მეგრელიშვილი (ვანგალა).

კ. მეღვინეთუხუცესი. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ აღიძრა საკითხი ქუთაისში საოპერო თეატრისათვის ნიადაგის მომზადების შესახებ. ამ მიზნით 1947 წელს ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა ცნობილი კომპოზიტორი კ. მეღვინეთუხუცესი. მან სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან ერთად მომავალი საოპერო თეატრისათვის შემოქმედებითი ცადრების მომზადებაც ითავა. თეატრი, მეტწილად, ადგილობრივი ძალებით უნდა შექმნილიყო. ამ მიზნით მუსიკალურ სასწავლებელში 1948 წელს გაიხსნა საოპერო კლასი, ხელმძღვანელად დაინიშნა ს. კუხიახიძე.

უკვე ერთი წლის შემდეგ, სახელდობრ 1949 წლის მაისში, ქუთაისში გაიმართა საოპერო კლასის საჩვენებელი წარმოდგენა. შესრულებული იყო მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერის“ მეორე და მესამე სურათი, ხოლო საკონცერტო განყოფილება დაეთმო ქართულ მუსიკალურ ნაწარმოებებს. სპექტაკლის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო კ. მეღვინეთუხუცესი, რეჟისორი ვ. ქუთათელაძე, დირიჟორი ი. ხარაბაძე, ბალეტმაისტერი ლ. შჩერბიციკაია. წარ-



მოღვენამ დაამტკიცა, რომ ქუთაისში მოიძებნებოდა ძალები საოპერო თეატრის ნიადაგის შესაქმნელად.

კ. მეღვინეთუხუცესმა განაგრძო ამ ძალების მომზადება. 1951 წლის მაისში ცვლავ გაიმართა საჩვენებელი წარმოდგენა. ამჯერად დაიდგა ე. ოდრანოს ცნობილი ოპერეტა „ნატურის თვალი“ („მასკოტა“). სპექტაკლის რეჟისორი იყო გ. იოსელიანი, ღირიჟორი კ. მეღვინეთუხუცესი.

1952 წელს ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის საოპერო კლასის სათავეში ჩაუდგა თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული მუსიკოსი თ. კობახიძე. მისი სახით კიდევ ერთი სასარგებლო ადამიანი შეემატა ქუთაისში საოპერო თეატრის შექმნის საქმეს.

სამწუხაროდ, 1952 წელს კ. მეღვინეთუხუცესმა უარი განაცხადა ქუთაისში მოღვაწეობაზე. მას უთანხმოება მოუვიდა ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან.

1956 წლის ზაფხულში ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოვიდა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. მაცურებელმა ნახა: „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ქეთო და კოტე“, „მთების გული“, „გორდა“, „ევგენი ონეგინი“, „გედის ტბა“, „დონ კიხოტი“, „ბაღჩისარაის შადრევანი“, „აიდა“, „ტრუბადურები“, „ტრავიატა“, „რიგოლეტო“ და „კარმენი“. გასტროლებში მონაწილეობდნენ ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების ცნობილი ოსტატები: პ. ამირანაშვილი, ვ. ჭაბუკიანი, ნ. ხარაძე, ე. გოსტენინა, ნ. ცოპაია, ვ. წიგნაძე, ნ. ბელაქელი, ზ. კიკალეიშვილი და მრავალი სხვა.

გასტროლები გაიმართა ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის დრამატული თეატრის ახალ, შესანიშნავ შენობაში.

მუსიკალური წრე თ. კობახიძის ხელმძღვანელობით. კ. მეღვინეთუხუცესის ქუთაისიდან წასვლის შემდეგ საოპერო თეატრის დაარსების საქმეს თ. კობახიძე გაუძღვა. ქუთაისში, ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის სახლთან მან შექმნა მუსიკალური წრე. 1956 წელს წრემ მოამზადა და მაცურებელს უჩვენა პ. ჩაიკოვსკის ოპერის „პიკის ქალის“ პირველი მოქმედება. 1957 წელს დაიდგა ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და ცოტე“. წრემ ამ წარმოდგენით მონაწილეობა მიიღო 1957 წელს თბილისში მოწყობილ მხატვრულ თვითმოქმედების დათვალიერებაში და წარმატებასაც მიაღწია.

ოპერის სახალხო თეატრი. ქუთაისის საოპერო თეატრის შექმნის საქმეში ღიხსნესანიშნავი ფაქტი იყო 1959 წლის ივნისში მუსიკალური წრის მიერ ზ. ფალიაშვილის ოპერის „დაისის“ დადგმა. ამ დადგმით მუსიკალური წრე სახალხო საოპერო თეატრად იქნა აღი-

არებული. „დაისის“ დამდგმელი იყო ო. ალექსიშვილი, დირიჟორი თ. კობახიძე, მხატვარი ი. ასკურავა, ხორმაისტერი დ. ფაჩულია, კონცერტმაისტერი დ. გელოვანი, ბალეტმაისტერი მ. ლომთათიძე. ამ ისტორულ წარმოდგენაში მღეროდნენ: თ. ნიკოლაძე (მარო), მ. ნიქაბაძე და ც. მამარდაშვილი (ნანო), გ. სიხარულიძე, ა. ტაბატაძე, ნ. ნაჭყებია და ნ. ჩხეიძე (მალხაზი), ა. მამუკელაშვილი (კიაზო), ფ. მეძმარიაშვილი (ტიტო), ს. კუხიანიძე და ი. ოცხელი (ცანგალა): გუნდში იყო 100 კაცი, ორკესტრში — 40. წარმოდგენები იჯამართა ზედიზედ 25, 26, 27, 28 და 30 ივნისს. პირველ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს დირიჟორმა ვ. ფალიაშვილმა, მომღერლებმა პ. ამირანაშვილმა და ბ. კრავეიშვილმა.

პირველ წარმოდგენას საზეიმო ჩასიათი მიეცა. მას დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენლები. სპექტაკლის დაწყებამდე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ა. ვასაძე, დ. მკედლიძე, ი. ტუსკია, გ. კოკელაძე.

ოპერის სახალხო თეატრის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა, რეჟისორმა ო. ალექსიშვილმა გაზეთ „სტილინელში“ (№ 125, 1959, 27 ივნ.) ამ წარმოდგენის შესახებ მოათავსა სტატია, რომელშიც აღინიშნა თუ რა ენერგია გამოიჩინეს ქუთაისელმა ახალგაზრდა შემოქმედებმა. „დიდი მუშაობა ჩატარდა შემსრულებელ ანსამბლთან, — წერდა ო. ალექსიშვილი, — მონაწილეთა უმრავლესობა პირველად გამოდის სცენაზე, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ამ დიდი ეროვნული საქმისადმი სიყვარული, რომ ყველა მათგანი თავგამოდებით და ხალისით მუშაობდა“.

1960 წლის ნოემბერში ქუთაისელებმა „დაისი“ თბილისში წარმოადგინეს. სპექტაკლმა თბილისელ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. დედაქალაქის საზოგადოებრიობა დარწმუნდა ქუთაისში საოპერო თეატრის არსებობის სრულ შესაძლებლობაში. კომპოზიტორი დ. თორაძე ამ წარმოდგენის შესახებ წერდა: „...დარწმუნებული ვარ, — ყველას, ვინც კი ამ დარბაზში იყო, გულწრფელად გაუხარდა მოყვარულ მუსიკოს-შემსრულებელთა შემოქმედებითი წარმატება, რომელიც ნათლად მეტყველებს მეორე ქართულ საოპერო თეატრის მშვენიერ მომავალზე“.

**დ. მკედლიძის ღვაწლი.** შემოქმედებითი ძალები საოპერო თეატრისათვის ქუთაისის უკვე საყმაოდ ჰყავდა. ახლა გადასაწყვეტი იყო შენობისა და თეატრის ფინანსირების საკითხები.

აზრი დაიბადა ძველი (ხარაზიშვილისეული), მრავალჯერ გადაკეთებული შენობის კიდევ ერთხელ გადაკეთებისა, ამჯერად საოპერო თეატრის მოთხოვნათა შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგა-

ნიხაცები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ თეატრის შექმნის საქმეს, ყველა საკითხის მოსაგვარებლად მაინც საჭირო იყო ენერგიული, საქმის მცოდნე ადამიანი. ასეთი იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დიმიტრი მჭედლიძე. მან, რომ იტყვიან, თავი დასდო ამ საქმისათვის. და თუ ქუთაისში საოპერო თეატრის შექმნის საქმე წარმატებით გადაწყდა, — ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის დიმიტრი მჭედლიძეს.

1968 წლის 3 სექტემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოიტანეს დადგენილება 1969 წლის 1 იანვრიდან ქუთაისში ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ფილიალის დაარსების შესახებ.

1968 წლის 3 ოქტომბერს გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანება ფილიალის შექმნის შესახებ. ბრძანებაში განსაზღვრული იყო დასის შედგენის, თეატრის დაფინანსებისა და რეპერტუარის შერჩევის ვადები. ფილიალის დასი და ტექნიკური პერსონალი 161 კაციტ განისაზღვრა.

მთავრობის ასეთი ღონისძიებების გამო დ. მჭედლიძე გაზეთ „კომუნისტში“ (№ 220, 1968) წერდა: „ფრიად სასიხარულოა რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილება, რომ ქუთაისში დაარსდეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალი. ეს ამბავი დიდ კმაყოფილებას გამოიწვევს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში. იგი ჩვენი ერის სულიერი ცულტურის შემდგომი განვითარების საგულისხმო ისტორიული ფაქტია“. აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფილიალის არსებობას დასავლეთ საქართველოს დაბაქალაქების მოსახლეობისათვის, დაბოლოს შენიშნავდა: „ჩვენ გვწამს, რომ ქუთაისის მკაყურებელი შეიყვარებს თავის საოპერო თეატრს და არ მოაკლებს სიბზოს და კეთილ განწყობას. ქუთაისში ოპერის თეატრის ფილიალის შექმნა დიდი საჩუქარია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით“.

1969 წელი თეატრის შექმნის ინტენსიური მზადების პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. ამ წლის 21 თებერვალს დ. მჭედლიძის თავმჯდომარეობით შედგა ფილიალის სამხატვრო საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც განიხილა მზადების მთელი რიგი საკითხები. მოისმინა ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ორკესტრის, გუნდისა და ბალეტის ჯგუფის შესრულებით. თეატრის გახსნამდე სამხატვრო საბჭომ კიდევ სამი სხდომა გამართა.

თეატრის შენობა. ხარაზიშვილისეული ძველი შენობისაგან, სადაც გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს ფეხი აიდგა ქუთაისის პროფესიულმა თეატრმა, ერთი კედლის მეტი აღარაფერი იყო დარჩენილი. ახლანდელი გადაკეთებისას ეს კედელიც მოიშალა და სრულიად ახალი, კეთილმოწყობილი თეატრალური შენობა წამოიშალა. გაზეთ „კომუნისტის“ (№ 301, 1969, 27 დეკ.) სტატიაში „სიყვარულმა ააშენა“ ქუთაისელი კორესპონდენტი შ. ჯავახიძე ასე აგვიწერდა ახალ შენობას: „...ქუთაისის საოპერო თეატრი ფილარმონიის ყოფილ საზამთრო შენობაშია მოთავსებული. „მოთავსებული“, ვამბობთ, თორემ ეს „მოთავსება“ უბრალოდ ძველ ბინაში შესახლება როდი იყო. მით უფრო ცხადი გახდება ეს, თუ იგავითვალისწინებთ საოპერო თეატრის სპეციფიკასა და ისედაც ძველი თეატრის მოძველებულ მოწყობილობას. ყველაფერმა — სცენიდან დაწყებული, ინტერიერებამდე, თეატრის წინა მოედნის ჩათვლით, ძირეული რეკონსტრუქცია განიცადა, შესრულდა საკმაოდ დიდი მოცულობის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები. სახე ოცვალა სცენამ, მაყურებელთა დარბაზმა, საორკესტრომ, ფოიემ, თანამედროვე სტილით გადაწყდა ინტერიერები, იატაკი კურსების გრანიტით არის მოპირკეთებული. მოეწყო ანტრესოლი. თეატრის ფასადი ეკლარის ქვით არის დამშენებული, ზოლო პოლიასტრები — გრანიტის გაკრიალებული ქვით“.

სტატიაში შემდეგ ჩამოთვლილი იყო ის პირები, რომლებმაც ამაგი დასდეს ახალი შენობის შექმნას, სახელდობრ: რეკონსტრუქციის პროექტის ავტორი, არქიტექტორი გ. თოდაძე, კონსტრუქტორი, ა. ზაქარიაძე, მხატვრები ბ. ნებიერიძე და ო. ქანდარია, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსი ვ. აბულაძე, მთავარი ინჟინერი ვ. მემარიანიშვილი, სამუშაოთა უფროსი მწარმოებლები გ. ერისთავი, დ. გიორგაძე, ი. აბდალაძე, და თ. გარდაფხაძე. კომპლექსურ სამუშაოთა ბრიგადირები კ. ბობოხიძე და ჯ. კობახიძე, კალატოხები გ. ჭიშკარიანი და ვ. ცუხიშვილი, მებათქაშეები კ. ზვიადაძე, გ. ფარულავა, გ. შანიძე და ვ. ზივზივაძე, ხუროები — გ. გელაშვილი, შ. ბუიძე, ს. სირბილაძე, დ. გოგლიჩიძე და თ. ტაიკოვი, მღებავები ვ. კეჭუყმაძე, ნ. კილაძე, გ. კილაძე, გრანიტის მომპირკეთებლები ვ. ტერცვაძე და ვ. ვერბოვი, კულტურის სამინისტროს სათეატრო სამონტაჟო სამშენებლოს უფროსი ლ. ორახელაშვილი, სამუშაოთა მწარმოებლები ე. ბახმანი და გ. ზაუტაშვილი, ექსპერიმენტული საკონსტრუქტორო სახელოსნოს დირექტორი ლ. ვერნიცკი, „საქელექტრომონტაჟის“ და „საქსანტექმონტაჟის“ ქუთაისის სამმართველოების უფროსები ვ. ტატუნაშვილი და

ი. გაგუა. სამუშაოთა მწარმოებლები ი. მეგრელიშვილი და ნ. არჩაია.

თეატრის გახსნა. თეატრი გაიხსნა 1969 წლის 27 დეკემბერს. „ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენის მომსწრეა ქუთაისი, მაგრამ ალ-ზათ, კულტურის ასეთი დღესასწაული, რომლის მოწმენიც 27 დე-კემბერს გაეხდით, ჯერ არ ჰქონია — წერდა გაზეთი „თბილისი“ (№ 304, 1969, 29 დეკ.). დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ქუ-თაისს ესტუმრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდო-მარე გ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტ-რალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხაკვი-შვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვა-ლი, კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, სსრ კავში-რის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუხარსკი, ცნობილი მწერლები, მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები.

დღის პირველ საათზე თეატრის წინ, ბაღში გაიმართა მიტინგი და საძირკველი ჩაეყარა ზ. ფალიაშვილის ძეგლს. საღამოს კი გა-იღო თეატრის კარი. საზეიმო სხდომა გახსნა ქუთაისის მშროშელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე უ. ცქვი-ტინიძემ. მისალმებებით გამოვიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ბოჭოძე, საქართველოს სსრ კულტურის მი-ნისტრი ო. თაქთაქიშვილი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მო-ადგილე ვ. კუხარსკი, მოსწავლე ი. სულაბერიძე, ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. პირველი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდო-მარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, სსრ კავშირის სა-ხალხო არტისტი ვ. გომიაშვილი, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბი-ლისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მკვდლიძე.

წარმოდგენილი იქნა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. დადგმა ი. გაჩეჩილაძისა, დირიჟორი თ. კობახიძე, მხატ-ვარი ი. ასკურავა, ბალეტმეისტერი ა. მაჭარაძე, ხორმაისტერები ს. განუგრავა და ა. მაჭავარიანი. პირველ წარმოდგენაში მონაწილე-ობდნენ: ი. ქუთათელაძე (აბიო), ლ. ღვედაშვილი (ნათელა), სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე (აბესალომი), რესპუბ-ლიკის სახალხო არტისტი ნ. ტულუში (მარეხი), სსრ კავშირის სა-ხალხო არტისტი პ. ამირანაშვილი (მურმანი), ო. ჭურღულია (ნანა), რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი (ეთერი), რეს-პუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. კანდელაკი (თანდარუხი), ა. გოგოლაშვილი (მხლებელი), ო. ოცხელი (სახლთუხუცესი).

მეორე დღეს წარმოდგენილი იყო მ. ბალანჩივაძის ოპერა „და-

რეჟან ცბიერი“, დადგმა გ. ვაჩეჩილაძისა, ღირიყორი გ. გოციბრი-  
ძე, მხატვარი კ. კუკულაძე, ბალეტმაისტერი ა. მაჭარაძე, ხორმაის-  
ტერები ა. განუგრაფა და ა. მაჭავარიანი. წარმოდგენაში მღეროდნენ:  
მ. ეგაძე (დარეჯანი), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ტულუში  
(ცირა), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. კანდელაკი  
(ნიკო), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. შუშანიანი (გოჩა), ა.  
გოგოლაშვილი (მასხარა), ვ. კუბლაშვილი (ვეზირი).

ორივე წარმოდგენამ ქუთაისელი მსახურებლის დიდი მოწონება  
დაიმსახურა.

მსახურებელმა მოიწონა თეატრის მიერ 1969—1970 წლების სათეა-  
ტრო სეზონში განხორციელებული ოპერები: ვ. გოციბლის „წითელ-  
ქუდა“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“ და ვ. დოლიძის „ქეთო და  
კოტე“.

სათეატრო სეზონი წარმატებით დამთავრდა. თეატრს მუშაკე-  
ბმა დიდი მონღომება და საქმის სიყვარული გამოიჩინეს. სრული სა-  
ფუძველი შეიქმნა, რომ მომავალში ეს საოპერო თეატრი ღირსეულ  
ადგილს დაიჭერდა საბჭოთა კავშირის თეატრებს შორის.

თეატრის შემადგენლობა. პირველ სეზონში ფილიალის შემად-  
გენლობაში იყვნენ სოლისტი ქალები — ლ. გაბუნია, მ. მკერვა-  
ლიძე, ლ. მესხი, ე. შეიხოვა, ი. შომახია, ო. კურდულია, ნ. ჭონქაძე;  
სოლისტი ვაჟები — დ. ბათიაშვილი, ა. გოგოლაშვილი, ვ. კუბლა-  
შვილი, გ. კუბლაშვილი, ბ. მელაძე, ი. ოცხელი, შ. დოლობერიძე,  
ა. კურდულია; ბალეტის მსახიობი ქალები — ი. დეისაძე, ვ. ველია-  
შვილი, ნ. კვარაცხელია, ნ. ნაკაშიძე, ე. ერგიენკო, ვ. ლურჯუმი-  
ლიძე, ს. ყურაშვილი, ა. ჩერნიშოვა, მ. ჩიკვილაძე, ნ. ჩიკვილაძე;  
ბალეტის მსახიობი ვაჟები — ე. ასათიანი, ვ. გაბუნია, რ. გიორგობი-  
ანი, დ. კობია, გ. მესხორაძე, ვ. ნიჟარაძე, რ. სვანიძე, ა. ხონელიძე;  
გუნდას მსახიობი ქალები — ნ. ამირანაშვილი, კ. ასათიანი, გ. ახ-  
ვლედიანი, ნ. ბებიავა, ნ. ბუკოვსკაია, ნ. გამყრელიძე, გ. გოგსაძე,  
მ. გოგისვანიძე, ნ. გორდაძე, ე. გულუა, ნ. ერისთავი, რ. თავხელი-  
ძე, ტ. იგნატოვა, ნ. კიკვიძე, ლ. კილაძე, ნ. ლებანიძე, თ. მალაფერი-  
ძე, ნ. მელაშვილი, მ. მემშარიაშვილი, რ. რუსაძე, მ. ქათამაძე, ნ. ჩან-  
ქსელიანი, შ. ჩირვაძე, ნ. ჩიხლაძე, რ. ჩხენკელი, ნ. ხიზანიშვილი,  
დ. ჭინჭელაშვილი; გუნდის მსახიობი ვაჟები — გ. აბესაძე, ი. აბუ-  
ლაძე, გ. ბერიშვილი, ა. გაბუნია, კ. გენძეხაძე, ჯ. გოგოლაშვილი,  
ს. დუშუაშვილი, გ. კვინიკაძე, რ. ლეჭინაძე, ვ. მიქაუტაძე, თ. ნემსი-  
წვერიძე, ა. ჟადაშვილი, ა. საკანდელიძე, ა. საჯია, შ. ფულარიანი,  
ს. ფხაკაძე, კ. ქასრაძე, მ. ყვავაძე, ო. ყურაშვილი, გ. წითაძე, ბ.  
ხარჩილაძე; ორკესტრის მსახიობები — დ. ბალანჩივაძე, რ. ბალან-  
ჩიძე, ა. ბათიაშვილი, მ. ბებერაშვილი, რ. ბეღიაშვილი, შ. გე-

ლოვანი, ვ. გოგიაძე, გ. დარახველიძე, ი. დეიჩუკი, ო. დერგაჩი, გ. თურმანიძე, მ. იაკობაშვილი, დ. იაშანიძე, ვ. იაროში, ზ. ივანიძე, ო. იობაშვილი, ა. კუბლაშვილი, ა. კუკულდავა, მ. მგელაძე, ვ. მეზერი, ი. მელამერსონი, გ. ნუცუბიძე, ნ. ორკოდაშვილი, ნ. ორჯონიკიძე, ვ. ოსტრომენსკი, ნ. საროვა, გ. სეხნიაშვილი, ფ. სინელნიკოვი, ნ. სოხაძე, ი. სკოროდუმოვი, ვ. სტუვალოვი, ი. ტურაბე-ბელიძე, რ. ტურაბელიძე, დ. იუფფა, ვ. უშვერიძე, ც. ფარულავა, ი. ფიზიცი, ა. ქერიშვილი, ი. შამელაშვილი, ი. ჩიკვაიაშვილი, პ. ჩი-ლინგარაშვილი, ა. ჯიმშელეიშვილი; დირიჟორები თ. კობახიძე და გ. გოცირიძე, ხორმაისტერები ა. განუგრაევა და ა. მაჭავარიანი, ბალეტმაისტერი ა. მაჭარაძე, სადადგმო ნაწილის გამგე ლ. კიკვიძე, სარეჟისორო სამმართველოს უფროსი ს. გოცირიძე, სპექტაკლების წამყვანი რეჟისორი ა. ჩიქვინიძე, დირექტორი დ. მჭედლიძე, დირექტორ-განმკარგულელებელი შ. მძეველია, ადმინისტრატორი კ. ძოწენიძე.

**1970—1971 წლების სათეატრო სეზონი საქართველოში** საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს დაემთხვა. ფილიალმა განახორციელა შემდეგი დადგმები: 6 დეკემბერს — ზ. ფალიაშვილის „დაისი“ (დადგმა ჯ. ანჯაფარიძისა) და 20 ივნისს ა. კერესელიძის „ბაში აჩუკი“ (დადგმა გ. გაჩეჩილაძისა).

**კონსერვატორიის ფილიალი.** საოპერო თეატრის ფილიალის იმეშა-ობის დაწყებას კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი დაემატა. 1970—1971 სასწავლო წელს ქუთაისში გაიხსნა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის ფილიალი და გამოცხადდა მიღება ვოკალურ განყოფილებაზე (საღამოს დასწრებული), საორკესტრო საკრავების განყოფილებაზე (დაუსწრებელი) და მოსამზადებელ კურსებზე. ამრიგად, ქუთაისშივე შეიქმნა უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ახალ კადრებს გამოზრდის საოპერო თეატრისათვის.

## XVI. ქუთაისის თოჯინების თეატრი

ამ ნახევარი საუკუნის წინათ არავის შეეძლო ფიქრი ქართული სახელმწიფო თოჯინების თეატრის არსებობაზე. აღრე თეატრის ეს ერთ-ერთი უძველესი სახეობა მხოლოდ მოყვარულთა წრეების სახით არსებობდა.

თოჯინების თეატრის მოყვარულნი ქუთაისშიც იყვნენ.

თოჯინების თეატრის რეჟისორსა და მსახიობს სერგო ცაგარეიშვილს, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ქუთაისის თოჯინების თეატრის შექმნაში, შეუსწავლია ამ სანახაობის წარსული ქუთაისში და საინტერესო მასალა შეუკრებია. ს. ცაგარეიშვილმა მასალები სახელმწიფო სათეატრო მუზეუმს გადასცა. მათში ბლომადაა ცნობები თოჯინების იმ მოხეტიალე მსახიობებზე, რომლებიც ძველად ქუთაისში მართავდნენ წარმოდგენებს.

1954 წელს ს. ცაგარეიშვილს ჩაუწერია ოსტატ დავით ჭითავას მოგონება, მასში იხსენიება ერთი ოჯახი, გვარად ტორაძეები, რომლებიც, თურმე, მამა-პაპათაგან მისდევდნენ თოჯინების „მოთვინიერებას“. ეს იყო ხელზე ჩამოსაცმელი ე. წ. სათითურებიანი თოჯინები. 1908 წელს დ. ჭითავას ნ. ტორაძისაგან უსწავლია თამაშის ოსტატობა, მასთან ერთად ბევრჯერ უვლია ქუთაისის ეზოებში და წარმოდგენები ეგუმართავს. შემდეგ დამოუკიდებელი მუშაობა დაუწყია და საქმის გაფართოება განუზრახავს. 1939 წელს თეთრ ხიდთან შენობაც უქირაავებია და რეგულარულად აჩვენებდა თურმე წარმოდგენებს, მაგრამ მალე ისევ ეზო-ეზო სიარული დაუწყია.

სათეატრო მუზეუმში დაცულია, აგრეთვე, მწერალ კუკური გოგიაშვილის მოგონება. მას ბავშვობიდან ჩარჩენია მეხსიერებაში თოჯინების მოხეტიალე ოსტატი, გვარად ბურძგლა, რომელიც ქუთაისში ლევაშოვის ქუჩაზე ცხოვრობდა.

ამ წიგნის ავტორი 1906—1909 წლებში ქუთაისში სწავლობდა და კარგად ახსოვს იქ ნანახი „პეტრუშკა“. რუსეთიდან შემოსული და ჩვენში ფართოდ გავრცელებული თოჯინების თეატრის ეს



სახეობა ყველაზე დასამახსოვრებელი; მართლაც, ქუთაისში იყო, რადგან მისი პერსონაჟები: მღვდელი, ბოქაული, ვაჭარი და თვით პეტრუშკა — ყველგან, გარდა ქუთაისისა, რუსულად ლაპარაკობდნენ, აქ კი ისინი ქართულად ამეტყველდნენ. ქართველად მოინათლა მთავარი გმირიც და პეტრე ეწოდა. „პეტრეს“ ხშირად თან ახლდა ცნობილი ქუთაისელი მეგარმონე დანიელა, რომელიც, აგრეთვე, ქართულ ჰანგებს უკრავდა.

თოჯინების ქართული სახელმწიფო თეატრი თბილისში 1934 წელს შეიქმნა გ. მიქელაძის ხელმძღვანელობით, ხოლო ოთხი წლის შემდეგ დაიბადა აზრი ასეთი თეატრი ქუთაისშიც შეექმნათ.

თოჯინების მუდმივი თეატრის დაარსების ცდები. 1938 წელს, ქუთაისში დრამატული თეატრის აღდგენა დაევალა რეჟისორ დოდო ანთაძეს. მან სეზონის გახსნისთანავე გამოჰყო მსახიობთა პატარა ჯგუფი თოჯინების წარმოდგენების მოსამზადებლად. ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ამ საქმის ერთ-ერთი ინიციატორი მსახიობი ქალი ა. ჰავჭანიძე.

ჯგუფს დიდი დახმარება გაუწია თბილისის თოჯინების თეატრმაც, — ივანეძე თავის სცენაზე ნათამაშევი ა. ბელიაშვილის პიესა „თეთრი ფინიას“ ეგზემპლარი მუსიკის პარტიტურითა და მზა თოჯინებით. თეჯირისა და დეკორაციების მასალა ქუთაისის დრამატულმა თეატრმა გაიღო, ხოლო მხატვარი ვლადიმერ კიკვიძე ჯგუფს თეჯირის დადგმასა და დეკორაციების დამზადებაში დაეხმარა.

„თეთრი ფინიას“ რეჟისორი იყო ალექსანდრა ჰავჭანიძე, მონაწილეობდნენ ქუთაისის თეატრის მსახიობები: ვ. ჩხიკვაძე, ვ. კინწურაშვილი, თ. ტატიშვილი, თ. კიკნაძე, მ. სვანიძე, ი. სალაღიშვილი და თვითონ ალ. ჰავჭავაძე. ჯგუფის ადმინისტრატორი იყო ვახტანგ კანდელაკი.

ამრიგად, საძირკველი უკვე ჩაყრილი იყო. 1941 წლის 1 ივნისიდან ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრთან თოჯინების ქართული თეატრი უნდა ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა დიდი სამაშალო ომის დაწყების გამო.

ომის დამთავრების შემდეგ ქუთაისში თოჯინების თეატრის დაარსების საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგა.

სათეატრო მუზეუმში დაცულ ქუთაისის თოჯინების თეატრის მასალებში ინახება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის 1946 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული ბრძანება: „ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს

მოაწყოს თოჯინების თეატრი ქალაქ ქუთაისში, მეოთხე ჯგუფის თეატრების შტატებისა და ხელფასების მიხედვით“.

ეს იყო თეატრის დაარსების ოფიციალური ნებართვა, ფაქტიურად კი თეატრი ამაზე ადრე ჯერ კიდევ 1946 წლის ზაფხულში შეიქმნა. თეატრის დირექტორმა დ. ანთაძემ მთავარ რეჟისორად თოჯინების თეატრის გამომცდილი ოსტატი სერგო ცაგარეიშვილი მოაწვია:

თეატრის კოლექტივს წინ მრავალი დაბრკოლება გადაეღობა. მის შემდგომი წლები არც თუ ისე ხელსაყრელი იყო ახალი თეატრის შესაქმნელად.

არ იშოვებოდა ტექნიკური მასალა. კომპოზიტორი გიორგი ჩირაძე, რომელმაც თოჯინების თეატრის დადგმებისათვის მრავალი მუსიკა შექმნა, თავის პატარა მოგონებაში აგვიწერს თუ რა ჯაფა ადგა კოლექტივს. იგი წერს: „ქარგად მახსოვს 1946 წლის ცივი შემოდგომა, როდესაც ქუთაისში ახლად ჩამოყალიბებული თოჯინების თეატრისათვის მოცემული სკამების გადმოსაჭიანად დაღამებას ვუცდიდით, რადგან ჩვენი ხელით უნდა გამოგვეტანა ტრანსპორტის უქონლობის გამო. სწორედ ამ დღემ განაპირობა ჩემი მოღვაწეობის დაწყება — ყოველგვარა შტატის გარეშე — ყველასათვის საყვარელ თეატრში. ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა, აჩრდილივით დაუდევდი აწ განსვენებულ მუსიკათმცოდნე-კომპოზიტორს პატივცემულ გიორგი კემულარიას და ვცდილობდი ღრმად ჩავწვდომოდი მის მიერ დაწერილ ჰანგებს, რომლებიც პატარების ბუნებიდან გამომდინარეობდა“...

თეატრის გახსნა. 1946 წლის 31 დეკემბერს, სწორედ ახალწლის დამეს, საზეიმო ვითარებაში აიხადა ახალი თეატრის ფარდა. ეს იყო ჩინებული საჩუქარი თეატრის მოყვარული ქუთაისელებისათვის, ნორჩი მაყურებლებისათვის. ახალი თეატრისადმი ინტერესი დიდი იყო. დარბაზი ძლივს იტევდა სტუმრებს.

წარმოდგენილი იყო ა. ბელიაშვილის „თეთრი ფინია“.

პრესა უმალ გამოეხმაურა ამ ღირსშესანიშნავ ფაქტს. გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ დაიბეჭდა პირველი სტატია ახალი თეატრის შესახებ. სტატიის ავტორი იყო პედაგოგი პ. ხმალაძე. ავტორი გულდასმით მიმოიხილა ვადა სპექტაკლს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ალ. ქავჭავანიძემ, რ. თოდუამ, მ. სვანიძემ, რ. თავდიდიშვილმა, ე. თოდუამ, ლ. შენგელიამ და ქ. მესხმა.

პირველი სეზონი. თავისი არსებობის პირველ სეზონში თეატრმა, გარდა „თეთრი ფინიასი“, კიდევ ორი პიესა უჩვენა ნორჩ მაყურებელს: დ. ჯალაღანიას „ფისუნია“ და ს. ცაგარეიშვილის „კურ-

„ღღელი“. ორივე სპექტაკლის მუსიკა, ისევე, როგორც „თეთრი ფინიასი“, ეკუთვნოდა გ. კემულარიას, მხატვრობა ვ. კიკვიძეს.

ვრცლად შეეხო „ფისუნიას“ დადგმას გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“. „ფისუნია“ ბავშვებს ელაპარაკება მათთვის გასაგები ენით, უხატავს ცხოველთა და ფრინველთა თავგადასავალს და რაც მთავარია, აძლევს მათ საჭირო ცოდნას ამ ცხოველების შესახებ. ამასთანავე, სპექტაკლი უმაღლებს ნორჩ მაცურებელს შეგნებას, უვითარებს მათ მეგობრობის კეთილშობილურ გრძნობას და ასწავლის ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლას — ვკითხულობთ გაზეთში.

სპექტაკლის შეფასებისას რეცენზენტი იწონებდა მსახიობების — მ. სანიკიძის (მელა), ქ. მესხის და რ. თავდიდიშვილის (ფისუნია), ე. თოდუას (კურდღელი) და ლ. შენგელიას (მამალი) თამაშს.

ასევე დადებითი შეფასება მიიღო სპექტაკლმა „კურდღელი“. საუწყეთესო შემსრულებელთა შორის რეცენზენტმა გიორგი სამხარაძემ გაზეთ — „ინდუსტრიულ ქუთაისში“ საგულდაგულოდ გამოკყო მსახიობები რ. თავდიდიშვილი (კურდღელი), ა. ჭავჭავანიძე (მელა), ს. ცაგარეიშვილი (დათვი), მგლისა და ზღარბის როლებში რ. თოდუა.

ამავე სტატიაში გაზეთი თეატრს ურჩევდა თავის რეპერტუარში შეეტანა თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები.

თეატრის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: დირექტორი დ. ანთაძე, მთავარი რეჟისორი ს. ცაგარეიშვილი, რეჟისორის თანაშემწე ალ. გვანცელაძე; მსახიობები: მ. სანიკიძე, ე. თოდუა, რ. თავდიდიშვილი, ქ. მესხი, ალ. ჭავჭავანიძე, ლ. შენგელია, რ. თოდუა; კომპოზიტორი გ. კემულარია, მხატვარ-დრეკორატორი ვლ. კიკვიძე, მოქანდაკე ვ. მიზანდარი, სცენის მემანქანე ი. სინაურიძე, სცენის მუშა გრ. ჭელიძე, გამნათებელი თ. ნიჟარაძე, მკერავი ა. ნიჟარაძე, ბუტაფორი ხ. ჩიბურდანიძე; ორკესტრის წევრები: გ. ჩილინგარიშვილი (ვიოლინო), თ. ბეალავა (ჩელო), გ. სალაღიშვილი (კლარნეტი), ქ. რიაზანცევა (პიანინო).

ასე დაიწყო ქუთაისის თოჯინების თეატრის ისტორია, რომელიც პირველი წარმოდგენიდანვე შეუყვარდა ნორჩ მაცურებელს. მის სპექტაკლებს მუდამ დიდძალი მაცურებელი ესწრებოდა, არა მარტო თვით ქუთაისში, არამედ ივასტროლების დროსაც, რომელსაც თეატრი აწყობდა ქუთაისის ახლომახლო სოფლებსა და მეზობელ რაიონებში. არსებული ცნობებით, თეატრი პირველსავე სეზონში 18 000 მაცურებელს მოემსახურა.

სერგო ცაგარეიშვილი ჩინებული მასწავლებელი და ხელმძღვა-

ნელი აღმოჩნდა. ის წვრთნიდა მსახიობებს არა მარტო პრაქტიკულად — პირადი მაგალითით, არამედ თეორიულ ცოდნასაც აძლევდა მათ, ასწავლიდა თოჯინების თეატრის მდიდარ ისტორიას, თოჯინების თეატრის მსახიობის გარდასახვის ხერხებსა და მეთოდებს. ერთი სიტყვით, თეატრი მიჰყავდა იმ ნაცადი გზით, რომელიც საბჭოთა თეატრში დამკვიდრდა ლენინგრადის (ა. დემენის) და მოსკოვის (ს. ობრაზცოვის) თოჯინების თეატრების მაგალითზე.

თეატრის ერთ-ერთი ვეტერანი, მსახიობი მერი სანიკიძე, თავის პატარა მოგონებაში წერს: „უნებლიეთ მაგონდება 1946 წლის შემოდგომა, ჩვენს პატარა თეატრს ხელმძღვანელობდა სერგო ცაგარეიშვილი, რომელმაც საყურადღებო როლი შეასრულა თეატრის ჩამოყალიბების, კადრების აღზრდის და რეპერტუარის გამდიდრების საქმეში. ის რეჟისორიც იყო, აქტიორიცა და ხელმძღვანელიც“.

პირველი ხუთი წელიწადი. ხუთ წელიწადს მეთაურობდა სერგო ცაგარეიშვილი ქუთაისის თოჯინების თეატრს და ბევრი საინტერესო ნაწარმოები უჩვენა ნორჩ მსახურებელს.

დიდი ქება დაიმსახურა თეატრმა „ჩემგებნიანი კატის“ დადგმით. ეს პიესა, რომელიც მე-17 საუკუნის მწერლის, შარლ პეროს ზღაპრის მიხედვით შექმნა ვ. ვლადიჩინამ, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ საბჭოთა კავშირში. იგი თარგმნა და დადგა კიდეც ს. ცაგარეიშვილმა. მთავარი გმირის, ჩემგებნიანი კატის როლს ჩინებულად ასრულებდა რუთა თავდიდიშვილი.

მსახურებელს მოეწონა კ. გოგიაშვილის პიესა „ბალნარში“. მასში ასახული იყო სამამულო ომის მრისხანე დღეები. ამ სპექტაკლით თეატრი არა მარტო მოუწოდებდა მსახურებელს სულგრძელობისა და პატიოსნებისაკენ, არამედ საჩინოდ ხდიდა გადატანილი ომის საშინელებას და ნორჩ მსახურებელს უღვივებდა სიყვარულსა და მადლიერების გრძნობას იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც შესწირეს თავი ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას.

გ. გორდაძის ისტორიულ თემაზე დაწერილი პიესა „კალმაათხანი“ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავდა.

იმ ხანებში თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა იყო ილია ჭავჭავაძის „კაცია აღამიანი?!“ (ინსცენირების ავტორი კ. გოგიაშვილი). ეს სპექტაკლი, რომელსაც პრესის აზრით აშკარად აჩნდა გამოცდილი რეჟისორის ხელი, ნორჩი მსახურებლისათვის სახიერსა და გასაგებს ხდიდა მშობლიურ კლასიკას და დიდ აღმზრდელობითს მნიშვნელობას იძენდა. ამასთანავე, სპექტაკლი ფრიალ საინტერესო იყო ესთეტიკური თვალსაზრისით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ სპექტაკლ „სათაგურის“ წარმატებაც. ეაუა-ფშაველას ამ დიდებული ნაწარმოების ინსცენირება თოჯინების თეატრისათვის უაღრესად მიზანშეწონილია, რადგან მისი გმირების ხასიათი პირდაპირ მოითხოვს თოჯინურ შესრულებას, რამაც გარკვეულად ვანაპირობა კიდევ დადგმის გამარჯვება.

გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ 1950 წლის 13 მაისს, ნ. ბ-მე განიხილავდა რა თეატრის მორიგ დადგმებს, წერდა: „თოჯინების თეატრმა, რომელიც სამ წელზე მეტია, რაც ჩვენს ქალაქში არსებობს, ნორჩი მაყურებლის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივის მართლაც თავდადებული შრომის შედეგად, თეატრი ყოველნაირად იზრდება და სრულყოფილი ხდება. თეატრის რეპერტუარი სისტემატურად მდიდრდება მაღალხარისხოვანი პიესებით, მაღლდება სპექტაკლების იდეურ-მხატვრული დონე...“

ნორჩმა მაყურებელმა მოიწონა სპექტაკლი „აღმასის საბადოები“, რომელიც ამხილებდა და იგმობდა ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებას, ამორალობასა და ანგარებას.

კაპიტალისტური სამყაროს მახინჯ ყოფას ასახავდა აგრეთვე იმავე სეზონის პრემიერა — ა. ლუბიმოვის „თეთრა“.

თ. ჩხაიძის პიესა „თოჯინების აჯანყება“, რომელიც 1952 წელს დაიდგა, კვლავ კაპიტალისტური ყოფის მხილებას ისახავდა მიზნად. თეატრს სურდა ნორჩი მაყურებლისათვის ეჩვენებინა, თუ როგორ იბრძვიან კეთილი ნების ადამიანები ამერიკაში მშვიდობის დასაცავად.

თანამედროვე შინაარსის ქართული ორიგინალური პიესები. თეატრის მიერ განხორციელებული თანამედროვე ქართული ორიგინალური პიესებიდან გვინდა აღვნიშნოთ რ. ქორქიას „მართალი კაცი“, ს. ცაგარეიშვილის „ყვავი, ბუ და მელაკულა“ და კ. გოგიაშვილის „აღუბლები ჰყვავიან“.

სპექტაკლი „მართალი კაცი“, ცხოველებისადმი სიყვარულის გრძნობას უღვივებდა ბავშვებს.

თავისი არსებობის ხუთი წლის მანძილზე თეატრმა ოცდასამი სპექტაკლი განხორციელა. მათი უმრავლესობა თანამედროვეობას ასახავდა. მცირე ნაწილი ისტორიულ წარსულს ეხებოდა. ფარდა ამისა, ნაჩვენები იქნა კლასიკური ნაწარმოებების ინსცენირებები. ამასთანავე, რეპერტუარში ფართოდ იყო წარმოდგენილი ზღაპარიც.

ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რეპერტუარის შექმნისას თეატრი ძირითადად ორიგინალურ ქართულ დრამატურგიას ემ-

ყარებოდა. განხორციელებული ოცდასამი პიესიდან თექვსმეტი ქართველ დრამატურგთა კალამს ეკუთვნოდა. ამრიგად, თეატრი არა მარტო თეორიულად იზიარებდა, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებდა იმ უცილობელ ქვეშაირიტებას, რომ ყოველა ეროვნული თეატრის წარმატებას, უპირველესად, ეროვნული დრამატურგია განაპირობებს.

თეატრმა ხუთი წლის მანძილზე დადგა შემდეგი ქართული ნაწარმოებები: ა. ბერიაშვილის „თეთრი ფინია“, დ. ჯალალნიას „ფისუნია“, ს. ცაგარეიშვილის „კურდღელი“. და „უვავი, ბუ და მელაკუდა“, კ. გოგიაშვილის „ბალნარში“, „ალუბლები ჰყვავიან“ და „ცერცეტა“, გ. ჩიხლაძის „ცელქი ჯიმშერი“, მ. ჭაფარიძის „ლამპარი“, ილია ქვექავაძის „კაცია ადამიანი?!“, მ. მესხიშვილის „ალმასის საბადოები“, რ. ქორქიას „მართალი კაცი“, ნ. ოქროპირიძის „გაქვევებული ქალაქი“, გ. გორდაძის „კალმათ-ზანი“, ვ. კობელის „წკიპა“ და ვაჟა-ფშაველას „სათაგური“.

ამ ხუთი წლის განმავლობაში თეატრის ყველა დადგმა, გარდა ერთისა, რეჟისორ ს. ცაგარეიშვილს ეკუთვნოდა, ხოლო მუსიკალური გაფორმება, ასევე გარდა ერთისა, ცომპოზიტორ გ. კემულარიას. რაც შეეხება სპექტაკლის მხატვრობას — მათი უმრავლესობის ავტორები იყვნენ ჯერ ვ. კიკვიძე და ს. ცაგარეიშვილი, ხოლო შემდგომ გ. ბერეჩიკიძე. სპექტაკლების მხატვრული გაფორმება ეკუთვნოდათ ვ. ცომაიას, ს. მესხოვს და ვ. ოქროპირიძეს.

როგორც უკვე ითქვა, ქუთაისის თოჯინების თეატრი პირველად სეზონიდან სისტემატურად მართავდა წარმოდგენებს ახლომდებარე რაიონებში.

1951 წლის შემოდგომიდან თეატრის მთავარი რეჟისორი ს. ცაგარეიშვილი სამუშაოდ თბილისის თოჯინების თეატრში გადავიდა, ხოლო თეატრის დირექტორი დ. ანთაძე ივანთავეისუფლდა ამ შეთავსებული თანამდებობიდან. შემდეგ წლებში თეატრის დირექტორის თანამდებობაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: შ. პირველი, დ. კვიციანიძე, დ. მანდარია, ლ. შენგელია.

ს. ცაგარეიშვილი. ს. ცაგარეიშვილს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის თოჯინების თეატრის ჩამოყალიბების საქმეში. იგი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქუთაისთან. ამ ქალაქში დაიბადა და აქვე მიიღო საშუალო განათლება. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდას კარგად უჭრიდა კალამი და ხატვაც ჩინებულად ეხერხებოდა, მაგრამ თეატრმა გაიტაცა, თბილისს გაემგზავრა და იქ დ. კობახიძის თეატრალური სტუდია დაამთავრა. ამის შემდეგ დაუბრუნდა ქუთაისს და სხვა ენთუზიასტებთან ერთად მუშა-ახალგაზრდობის თე-

ატრი დააარსა. 1936 წლიდან თბილისის თოჯინების თეატრში მუშაობდა რეჟისორად და მსახიობად. 1946 წლიდან ისევ ქუთაისშია, მონაწილეობდა თოჯინების თეატრის დაარსებაში და ხუთი წლის მანძილზე არა მარტო მისი მთავარი რეჟისორი, არამედ ამ თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლის დამდგმელი იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის დაუღალავად იღვწოდა თოჯინების თეატრისათვის, თარგმნიდა პიესებს, აკეთებდა ინსცენირებებს და წერდა ორიგინალურ ნაწარმოებებს.

გარდა ამისა, პროფესიულად დაეუფლა თოჯინების თეატრის ტექნიკის საკითხებს, გაანაზოგადა თავისი დიდი გამოცდილება და თბილისის თოჯინების თეატრში გადმოსვლის შემდეგ გამოაქვეყნა შრომები: „თოჯინების თეატრის ელემენტარული საკითხები“ (1955) და „თოჯინების თეატრი“ (1963). „ქართული თოჯინების თეატრი“ (1972). ეს წიგნები ამჟამადაც საუკეთესო სახელმძღვანელოდ არის მიჩნეული თოჯინების თეატრის მუშაებისათვის.

სერგო ცაგარეიშვილი გარდაიცვალა 1972 წლის 5 თებერვალს.

**ლ. შენგელია.** 1951 წლის შემოდგომიდან ქუთაისის თოჯინების თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა ლ. შენგელია.

საქართველოს სსრ ზელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლევან ალექსანდრეს ძე შენგელია ახლობელი იყო თოჯინების თეატრის კოლექტივისათვის. მას ნათამაშვეი ჰქონდა როლები თეატრის პირველ სპექტაკლებში „თეთრი ფინია“ და „ფისუნია“. მართალია, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი დაუბრუნდა დრამატულ თეატრს, რომელთანაც ხანგრძლივი მუშაობა აკავშირებდა, მაგრამ მალე კვლავ თოჯინების თეატრში მოვიდა, ჩაუდგა მას სათავეში და 18 წელი ზელოვნებულად. საკმარისია გადავხედოთ ამ წლების რეპერტუარს და გადავიკითხოთ რეცენზიები, რომ ჩვენთვის ცხადი გახდეს, თუ როგორი სიყვარულით და გულისყურით ეკიდებოდა იგი ბავშვთა მხატვრული და ზნეობრივი აღზრდის პასუხსაგებ საქმეს და რაოდენ მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია თეატრის შემოქმედებითს წინსვლაში.

**ორმოცდაათიანი წლები.** ამ წლებში ძირითად სამსახიობო ბირთვის შეადგენდნენ: რ. თავდიდიშვილი, რ. თოდუა, მ. გალდავა, მ. სანიკიძე, ა. ჭავჭავაძე, ა. ყურაშვილი, ე. თოდუა, ნ. ჭაჭაია, პ. გაბუნია, თ. ჭელიძე.

ამ ხანებში თეატრმა ორმოცდასამი ახალი დადგმა უჩვენა. მათი უმრავლესობა თეატრის მთავარ რეჟისორს ლევან შენგელიას ეკუთვნოდა. ცალკეული სპექტაკლები კი განახორციელეს რეჟისორებმა თ. წეროძემ, თ. ლორთქიფანიძემ და მსახიობმა რ. თოდუამ. ძირითადად დადგმების მხატვრული გაფორმება თეატრის მთავარ

მხატვარს გ. ბერეჩიკიძეს ეკუთვნოდა. რამდენიმე სპექტაკლისათვის მოწვეული იყვნენ მხატვრები დ. თაყაიშვილი და ი. პეტრიატიანი, ხოლო ერთი სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა თეატრის მოქანდაკემ ვ. მიხანდაძმა. რაც შეეხება სპექტაკლების მუსიკაა, მისი ავტორები კვლავინდებურად იყვნენ გ. კემულარია და ახალგაზრდა კომპოზიტორი გ. ჩირაძე. გ. ჩირაძე ამ დროიდან უკვე რეგულარულად მუშაობდა თეატრისათვის. ორი სპექტაკლის მუსიკა რ. ფურცელაძემ დაწერა.

ამ ათეული წლის მანძილზე რეპერტუარში საგრძნობი ადგილი ჰქონდა დათმობილი ქართული ავტორების ორიგინალურ ნაწარმოებებს.

დადგმული იყო რამდენიმე ქართული, რუსული და სომხური კლასიკური ნაწარმოებები: დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „დარისპანის გასაქირი“, ვაჟა ფშაველას „საბალო ნუკრია“ და „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, ი. გოგებაშვილის „იანვანამ რა ჰქმნა?“, ო. თუმანიანის „გიკორი“ და ნ. გოგოლის „მაისის ღამე“.

პრესის შესანიშნავი შეფასება მიიღო დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალის“ დადგმა, რომელიც 1954 წლის 19 მაისს განხორციელდა. ამ წარმოდგენის შესახებ ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“ მ. ტუსკია წერდა: „დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (ინსცენირებული რ. თოდუას მიერ) საინტერესო სპექტაკლია ნორჩი მაყურებლებისათვის. ინსცენირების ავტორს მოქმედი პირობებისათვის შეუწარმუნებია დავით კლდიაშვილის ხელწერა. მაყურებლის თვალწინ ცოცხლდებიან დავით კლდიაშვილის გმირები მათი დამახასიათებელი თვისებებითა და მეტყველებით. სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ლორთქიფანიძემ ნაწარმოების შინაარსი და გმირების ხასიათები დ. კლდიაშვილის შემოქმედების ღრმა ცოდნით გახსნა. მან ყველა მოქმედ პირს შეუწარმუნა საკუთარი ინდივიდუალობა, ამასთან, ისინი გვიჩვენა როგორც ერთი სოციალური ფენის შვილები, ისტორიის კანონზომიერებით დასაღუპად განწირული ადამიანები, რომელთაც დაკარგეს საზოგადოებრივი ფუნქცია და ქვეყნისათვის საჩვენებლობის მოტანა აღარ შეუძლიათ“. მხატვარმა გ. ბერეჩიკიძემ დამახასიათებელი შტრიხებით ასახა მე-19 საუკუნის დამლევის იმერეთის სოფლის პეიზაჟი და ყოფა-ცხოვრება.

ორი წლის შემდეგ თოჯინების თეატრმა საიუბილეოდ წარმოადგინა სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“. იგი მეორასედ დაიდ-



გა. თოჯინების თეატრის დირექტორი დ. კვიციანიძე საიუბილეო წარმოდგენასთან დაკავშირებით გაზეთ „სტალინელში“ წერდა, რომ „სამანაშვილის დედინაცვალი“ არა მარტო ქუთაისის ნორჩ მაყურებელს უნახავს, არამედ ქალაქ სოხუმის, ვალის, ტყიბულის, ამბროლაურის, ონის, ცხაქაიას, აბაშის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს და სხვა რაიონის მოსწავლეებსა და საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობასაც. მას ყველგან დიდი წარმატება დაუმსახურებია.

ჩინებული სპექტაკლი გამოვიდა „დარისპანის გასაჭირიც“.

თეატრის საუკეთესო დადგმად იყო აღიარებული ო. თუმანიანის „გიქორი“. ამ სპექტაკლის შესახებ გაზეთ „სტალინელში“ დ. ახო-ბაძე წერდა: „თეატრმა ახლახან მაყურებელს უჩვენა ო. თუმანიანას „გიქორი“. ინსცენირება ეყუთვნის ქუთაისში მომუშავე ახალგაზრდა მწერლებს დავით ხუროძესა და შოთა ნიჟარაძეს. ამ ინსცენირებით ორი კარგი საქმე გააკეთეს: ნორჩ მაყურებელს გააცნეს მოძმე სომეხი ხალხის კლასიკოსი მწერლის ოვანეს თუმანიანის ერთ-ერთი საუკეთესო რეალისტური ნაწარმოები და თანაც პატარებს სახიერად უჩვენეს ის მკაფიო განსხვავება, რაც რევოლუციამდელი ბავშვების მძიმე, დუხჭირ ცხოვრებასა და დღევანდელ ბედნიერი საბჭოთა ბავშვების ცხოვრებას შორის არის. ინსცენირება დაწერილია სუფთა, დახვეწილი ლიტერატურული ენით. ბოლომდე შენარჩუნებულია თუმანიანისათვის დამახასიათებელი ცოცხალი რეალისტური საბეჭები და კოლორიტი“...

სოციალური უთანასწორობის გამომხატველ ამ შესანიშნავ ნაწარმოებში გიქორის როლს ასრულებდა რ. თავდიდიშვილი. მისი თამაში გულწრფელი და დამაჯერებელი იყო.

ასევე კლასიკურ მემკვიდრეობას აცნობდა ბავშვებს ბ. ნარეკლიშვილის პიესა „ჰერაკლეს გმირობა“. ამ სპექტაკლს პატარა მაყურებელი ძველი საბერძნეთის ზღაპრულ სამყაროში შეჰყავდა, აცნობდა მათ მსოფლიო კულტურის უდიდესი საგანძურის — ანტიკური მითოლოგიის საინტერესო ნიმუშებს. მაგრამ სპექტაკლი მარტოდონდნ შემეცნებით ხასიათს როდი ატარებდა, ამავე დროს, იგი ბავშვებში ზრდიდა სამართლიანობისა და გმირობის გრძნობას.

თანამედროვეობის ამსახველ პიესებს შორის ერთ-ერთ საინტერესო სპექტაკლად ჩაითვალა გ. ივანიშვილის „ნატურის თვალი“.

დ. ხუროძის პიესის „ოქროს ხელების“ სიუჟეტი გაშლილი იყო ზღაპრის ფონზე და აჯერებდა მაყურებელს, რომ ადამიანის უპირველესი ღირსება პატიოსანი შრომაა.

მუყაითი შრომისაკენ მოუწოდებდა ე. ყორჟოლიანის პიესა „სარცხვილს გაეჭკა“. ამ ნაწარმოების სიუჟეტი აგებული იყო თანამედროვე სკოლის ცხოვრებაზე.

ვაზეთ „სტალინელში“ მ. ტუსეია წერდა, რომ რეჟისორებმა ლ. ნენგელიამ და თ. ლორთქიფანიძემ „ბავშვებისათვის ადვილად ასათვისებელი, მხატვრულად მიმზიდველი და პედაგოგიურად გამართლებული სპექტაკლი შექმნეს“. როგორც ყოველთვის, წარმატებით შეუსრულებიათ როლები რ. თავდიდიშვილს (რეზო), ა. ჭავჭავაძეს (რეზოს დედა), თ. ქელიძეს ნ. ქაჯაიას, ე. თოდუას (რეზოს ამხანაგები) და სხვებს.

რაც შეეხება რ. ლეზგიშვილის პიესას „მზიურას“, მისი დადგმა მიზნად ისახავდა შეეყვარებინა პატარა ბავშვებისათვის მუსიკა. ვაზეთი „სტალინელი“ წერდა: „ვინც ამ სპექტაკლს ნახავს, მოიხიბლება პიესის კარგი ვააზრებით, რეჟისორული ნამუშევრით, მსახობებს თამაშით“.

ზღაპარი ის უშრეტო წყაროა, საიდანაც იღებს თოჯინების თეატრი თავის შემოქმედების ძირითად მასალას. ასეთი სპექტაკლებიდან გვინდა დავასახელოთ „წითელქედა“, „ბულბული“, „ერთი მგელი, ორი მონადირე და სამი გოჭი“, „დათუნის სამართალი“, „არტანუჯელა ჭაბუკი“ და სხვ.

კ. მაქარაძის „დათუნის სამართალი“ ხატოვანი, ნათელი და დინამიკური წარმოდგენა იყო, რომელიც ძალიან მოსწონდა ნორჩ მაყურებელს. რეცენზენტი მ. ვარდანიძე წერდა, რომ „დათუნის სამართალი“ თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის მიღწევას, რომ „მაყურებელთა ყურადღების ცენტრში არიან დათუნია (რ. თოდუა), რომელიც სამართლიანი, ოდნავ გულუბრყვილო და კეთილი „პიროვნებაა“, გულკეთილი ირემი (ნ. ქაჯაია), გონებამახვილი, მოხერხებული და კარგი აღმზრდელი დედა ციყვი (მ. სანიკიძე)“. რეცენზენტი საგულუაგულოდ აღნიშნავდა მოქანდაკე ვ. მიზანდარის თოჯინებს: „ვ. მიზანდარს, თოჯინების შესრულებისას, მთავარი ყურადღება არა მარტო ცხოველების გარეგნობისათვის მიუქცევია, არამედ მოქმედ პირთა ხასიათებისთვისაც. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ თეატრში ცხოველები პირველად გამოიყვანა ტანსაცმელში, რითაც ბავშვებს სპექტაკლის ათვისება კიდევ უფრო გაუადვილდათ“.

რ. ბერძის „არტანუჯელი ჭაბუკის“ შესახებ პ. ხმალაძე ვაზეთ „სტალინელში“ წერდა, რომ ავტორს უხვად გამოუყენებია მდიდარი ქართული ფოლკლორი, რომ თვით ამბავი აღებულია ქართველი მშრომელი ხალხის უმირიული წარსულიდან, რომ პიესა დაწერილია ბავშვებისათვის გასაგები ენით და მიზნად დაუსახავს კეთილშობილური იდეა — „აღზარდოს ნორჩ მაყურებლებში მშრომელი ხალხისადმი სიყვარული, რწმენა მის ძალებში, ქედუხარელობა დაბრკოლებათა წინაშე“.

1955—1956 წლების სეზონის უკანასკნელი დადგმა იყო გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უ. ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალან“.

შეიძლება დაევედრეთ იმაში, თუ რამდენად საჭირო იყო ბავშვთა თეატრში ამ ოპერეტის ჩვენება, მაგრამ ყარვამა დადგმამ და მსახიობთა ოსტატობამ იგი ნორჩი მაყურებლისათვის მიწვიდევლავახადა. ბავშვებს იტაცებდა მელოდიური და ხალისიანი მუსიკა, რაც აღნიშნა კიდევ რეკენზენტმა გ. სამხარაძემ. იგი წერდა: „ნორჩი მაყურებლები მხურვალედ ეხმაურებიან მოსწრებულ დიალოგებს, გულში ჩამწვდომ მუსიკასა და ცეკვებს. დარბაზი მუდამ სავსეა ნორჩი და მოზრდილი მაყურებლებით, რაც თეატრის კოლექტივის სერიოზული მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს. სვენაზე ჩვენ ვხედავთ მეტად ხალისიან, ესთეტიკურად დამატკობებელ სანახაობას, მოძრავ და მეტყველ თოჯინებს, რომლებიც იშვიათი მხატვრული სიმართლით განახორციელებენ საინტერესო როლებს“. როლებს ასრულებდნენ: გ. წეკლაძე (ასკარა), პ. გაბუნია (ჩიხან-ხანუმი), რ. თოდუა (სოლეიმანი), თ. კელიძე (ვალი), ა. ყურაშვილი (სულთან-ბეგი), ე. თოდუა (გულჩოჩა), ნ. ქაჯაია (ასრა), მ. სანიკიძე (თელი).

რამდენივე ხნის შემდეგ თეატრი კვლავ დაუბრუნდა ამ ენარს და დადგა მუსიკალური სპექტაკლი „თქვენც იპოვეთ საქმე“, რომლის ტექსტი ეკუთვნოდა ა. დონნაძეს, მუსიკა გ. ჩირაძეს. ამ სპექტაკლმა მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია.

სპეციალურად თოჯინების თეატრისათვის მუსიკალური ნაწარმოების დაწერა მისასაღმებელია, მაგრამ ამ წამოწყებას ფართო ხასიათი არ მიეცა.

საინტერესო იყო პროგრესული იტალიელი მწერლის ედმონდო დე ამიჩისის მოთხრობის „დედას“ ინსცენირება. ინსცენარება და დადგმა ეკუთვნოდა თოჯინების თეატრის მსახიობს რ. თოდუას. სპექტაკლი განსახიერებელი იყო ლანდების თეატრის პრინციპით, რაც ამ თეატრისათვის სიახლეს წარმოადგენდა.

თეატრის ათი წლისთავი. 1956 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრს ათი წელი შეუსრულდა.

გაზეთმა „სტალინელმა“ ამ თარიღს სპეციალური გვერდი მიუძღვნა. წერილში „ჩვენი თეატრი ათი წლის მანძილზე“, თეატრის დირექტორმა დ. კვიციანიძემ მკითხველებს მოუთხრო თეატრის წარსულსა და აწმყოზე, მომავლის გეგმებზე. მთავარი რეჟისორი ლ. შენგელია თავის კოლეგებს უფრო მეტი შემოქმედებითი სწავლებისაკენ მოუწოდებდა.

დიდი სახალხო დღესასწაულები. იგინდა აღვნიშნოთ ქუთაისის

თოჯინების თეატრის ერთი ჩინებული ტრადიცია — იგი ყოველთვის საგანგებოდ ეხმაურება დიდ სახალხო დღესასწაულებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლის იუბილეს თეატრი შეეგება ვ. გუბარევის პიესით „დიდი ჯადოსანი“, რომელიც მაყურებელს ჩააგონებდა, რომ ადამიანის პირველი საქმე შრომაა, სიზარმაცე კი ბედნიერებისა და სიხარულის მტერია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავს თეატრმა მიუძღვნა გიორგი სამხარაძის ზღაპარი „უცარი ბედნიერება“.

ლენინური კომკავშირის ორმოცი წლისთავისათვის თეატრმა დადგა ზ. კუხიანიძის პიესა „შარახანო“. ეს სპექტაკლი თეატრის დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო, რისთვისაც თეატრის კოლექტივი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, აულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აპატიო სიგელით.

„შარახანო“ დადგა რეჟისორმა ლ. შენგელიამ.

გ. ბერეჩიკიძე. საგულდაგულოდ აღინიშნა მხატვარ გ. ბერეჩიკიძის ნამუშევარი, რომელმაც ამ სპექტაკლის გაფორმებისათვის საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი დაიმსახურა.

გიორგი გიორგის ძე ბერეჩიკიძის მთელი შემოქმედებითა გზა ქუთაისის თოჯინების თეატრთან არის დაკავშირებული. 1950 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, იგი ამ თეატრში იწყებს მუშაობას და სპექტაკლების დიდი უმრავლესობა მის მიერ არის მხატვრულად გაფორმებული.

1969 წელს მიიღო საქართველოს დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება.

სამოციანი წლები. ამ წლებში ქუთაისის თოჯინების თეატრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: თეატრს შეემატნენ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც მალე ჩინებულად დაეუფლენ თოჯინების ტარებას. თეატრში მოვიდა აგრეთვე ორი დამდგმელი რეჟისორი, ვახტანგ ქუთათელაძე და სიკო ვაჩნაძე. ერთი სიტყვით, შემოქმედებითი კოლექტივი საგრძობლად გაიზარდა, ამან კი თეატრს უფრო ფართო და რიტმული მუშაობის საშუალება მისცა.

1961-62 წლების სეზონიდან 1972 წლის პირველ იანვრამდე თეატრმა ორმოცდათორმეტი ახალი დადგმა განახორციელა და შეიღიბათას ხუთას ოცდათექვსმეტი სპექტაკლი უჩვენა.

რაც შეეხება თეატრის რეპერტუარს, კიდევ უფრო გაიზარდა ქართული დრამატურგიის ზვედრითი წონა. ამ პიესების საგრძნობი ნაწილი ქუთაისელ მწერლებს ეკუთვნოდა. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით თოჯინური პიესების შექმნაში, ესენი არიან: რ. ბეროძე, ჯ. გაბუნია, ნ. დარსაველიძე, რ. თოდუა, ნ. კემულარია, დ. კვიციანიძე, ზ. კუხიანიძე, თ. მესხი, ე. ჟორჯოლიანი, გ. სამხარაძე, ლ. სანიკიძე, ს. ცაგარეიშვილი, ლ. მენგელია, ს. ჭეიშვილი, ლ. ნუცუბიძე, დ. ხუროძე, შ. ნიქარაძე და სხვ.

1961-62 წლების სეზონში დაიდგა თოჯინების თეატრის მსახიობის ნ. კემულარიას პიესა „რევიზორი ვეფხვი“. იგი ამთრახვებდა სოციალისტური ქონების დამტაცებლებს. სპექტაკლის რეცენზენტი კ. კვიციანიძე აღნიშნავდა, რომ ქუთაისის თოჯინების თეატრში თოჯინები იმდენად სრულყოფილია, რომ მაყურებელზე სულდგმულის შთაბეჭდილებას ტოვებენო.

რეცენზენტი აქებდა როლების შემსრულებლებს: „გასაოცარი შთაბეჭდილებით ატარებს მელიას თოჯინას მსახიობი მ. სანიკიძე, მელიას უბრალო გამოხედვაც საკმარისია იმისათვის, რომ მაყურებელმა გაიგოს მისი ბუნება“. რეცენზენტი განსაკუთრებით ამახვილებდა მკითხველის ყურადღებას თეატრში ახლად მოსული მსახიობი ქალის, ო. კობიძის მიერ შექმნილ სახეზე (ტურა), მსახიობების ა. ჭავჭავაძისა და ა. ყურაშვილის ნამუშევრებზე (ძალი ბახულა და შოფერი ბაქია).

ცალკე აღნიშნავს იმსახურებს რ. თოდუას „დირექტორი დათვი“, — ამბობს რეცენზენტი და მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ტექნიკურ სრულყოფას აღწევს დათვის სიმღერა და ცეკვა: „მისი მოქმედება, მოძრაობა ანსამბლთან შეთანხმებული და გაანგარიშებულია“. სპექტაკლისათვის მუსიკა დაწერა გ. კემულარიამ.

ყოველ სეზონში ახალი, საინტერესო დადგმები ემატებოდა თეატრს: ე. ედიშერაშვილის „მეგობრობის ძალა“, ზ. კუხიანიძის „ბიჭები ეძებენ გაზაფხულს“ და „ვინ დახატავეს“, ს. ჭეიშვილის „დაიყვილე. მამალო“, ი. ივანიშვილის „ცისფერი პლანეტა“, ლ. ნუცუბიძის „ძმები“, ს. მაკულაშვილის „კოპიტკო“, პ. ხაფავას „ვაჟიკა“, ა. ლევანიძის „ნატერისთვალი“, ნ. კემულარიას „მოხერხებული ყასია“, კ. გოგიაშვილის „ბაქია“ და სხვ.

მწერალი კუჭური გოგიაშვილი ქუთაისელია. მისი არაერთი პიესა დაუდგამს ქუთაისის თოჯინების თეატრს. ამ დადგმების უმრავლესობას ნორჩი მაყურებლის მოწონება დაუმსახურებია. 1966 წლის 10 ნოემბერს კ. გოგიაშვილმა ვახუთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდა სტატია სათაურით „შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე“. სტატია ეხებოდა თოჯინების თეატრის ახალ დადგმას „ვინ

დახატავს“. ავტორი წერდა: „მწერალ ზ. კუხიანიძის ლექსად დაწერილი პიესა მიმზიდველი, ლიტერატურულად დახვეწილი ნაწარმოებია, რომელსაც შთამბეჭდავი ზღაპრული ფერებით ხორცი შეახსებს დამდგმელმა რეჟისორმა თ. მესხმა და თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლ. შენგელიამ. უცქერი სპექტაკლს და გიხარია, რაოდენ წინ წასულა ქუთაისის თოჯინების ქართული თეატრი, რომელმაც სიცოცხლით საფსე სპექტაკლის სახით მშვენიერი საჩუქარი უძღვნა ბავშვებს. მხატვარ გ. ბერეჩიქიძეს, კომპოზიტორ გ. ჩირაძეს და ქორეოგრაფ ნ. ლომთათიძეს დიდი სიყვარულით უმუშავნიათ პიესაზე. ადვილად ასათვისებელი, მხიარული და მიმზიდველი მელოდიები, ჩინებულად დადგმული ცეკვები, მშვენივრად გაფორმებული სპექტაკლი — ჩალისიანი სანახაობაა“.

„დამზარდლობითი სპექტაკლი“ — ასე დაასათურა ე. ჟორჯოლიანმა თავისი სტატია გაზეთ „ქუთაისში“. ავტორი ლ. ნუცუბიძის პიესას „ძმების“ დადგმას აანალიზებდა: „ლამაზია და თვალწარმტაცი სპექტაკლის ფინალი: თოვს, სცენაზე მსხვილი თეთრი ფანტელები ცვივა. პირველ თოვლს აღტაცებაში მოჰყავს თოჯინებო, მღერაიან, ცეკვავენ. სცენის მხიარული განწყობილება თოვლის ფიქვებთან ერთად დარბაზში გადმოდის და ლამაზი განცდით ავსებს პატარების სულს. სცენის განწყობილებაში ჩართულია მაყურებელიც“.

**თეატრის ოცი წლისთავი.** 1966 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრს 20 წელი შეუსრულდა. გაზეთ „ქუთაისში“ დაიბეჭდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის გიორგი ხარატიშვილის სტატია. მან მაღალი შეფასება მისცა თეატრის კოლექტივს და მის მუშაობას ოცი წლის მანძილზე. „სადღეისოდ, — წერდა იგი, — თეატრი იმდენად მიმზიდველია, რომ თმაშევერცხლილი ადამიანებიც კი საზოგნებით და ინტერესით უყურებენ მის სპექტაკლებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თეატრმა ყველა ასაკის ადამიანების სიყვარული დაიმსახურა“. „...კმაყოფილი პატარა მაყურებელი ნიჭიერი კოლექტივი-ზაგან კვლავ მოელის ჩვენი ცხოვრების ამსახველ სპექტაკლებს“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავს ქუთაისის თოჯინების თეატრმა სამი ახალი დადგმა მიუძღვნა. ეს იყო კ. გოგიაშვილის პიესა „ბაქია“, გ. ტიქინაძის და გ. ხარნაულის „კოკროჭინა“ და ბრაუნსევიჩის „ბიჭი აზნაურის ტბიდან“. სამივე სპექტაკლის პრემიერა შედგა ზედიზედ, 1967 წლის 4. 5 და 6 ნოემბერს.

ამ პერიოდში ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის თეატრის კოლექტივს მაღლობა გამოეცხადა, გადაეცა კულტურის სამი-

ნისტროს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი.

1969 წელს ლ. შენგელია თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ. დიდი სიზბოთი იხსენებს ღვაწლმოსილი რეჟისორი ქუთაისის თოჯინების თეატრში გატარებულ წლებს. „ეს არის მეტად მშრომელი, დაუზარელი შემოქმედებითი კოლექტივი, — წერს იგი თავის მოგონებაში, — ყველანი — მსახიობები, მხატვარი, საბავშვო მელოდიების ოსტატი-კომპოზიტორი, ნოვატორი-მექანიზატორი თუ მკერავი, გამნათებლები, სცენის მემანქანე, რეკვიზიტორი და ბუტაფორი, — ისეთი ენთუზიასტები აყვნენ, რომ ბუნებრივია, საქმე ჩინებულად მიდიოდა“.

სპექტაკლ „კოკროქინას“ გამო რეცენზენტი ე. ჟორჯოლიანი წერდა: „პიესა ნატურალისტურად არის გადაწყვეტილი, მას აკლია ზღაპრული, ფაქიზი და ჰაეროვანი ფერები“. როგორც ჩანს ამ პიესას არ ჰქონია წარმატება.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი პრესა განსაკუთრებულ გულსყურს იჩენდა თოჯინების თეატრისადმი.

1969 წელს ქუთაისის თოჯინების თეატრს ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა სათავეში. თეატრის დირექტორად თელავიდან გამოიყვანეს გერვასი ონისიმეს ძე ცხადაძე.

თეატრის მთავარ რეჟისორად დაინიშნა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სიმონ გიორგის ძე ვაჩნაძე — საკმაო გამოცდილების მქონე ხელოვანი.

ს. ვაჩნაძე. ქუთაისის თოჯინების თეატრში ს. ვაჩნაძე პირველად 1965 წელს მოიწვიეს. მაშინ მან განახორციელა ქ. ხაფავას პიესა „ვაჟიკა“. სპექტაკლმა თვალსაჩინო მოწონება დაიმსახურა. 1967 წელს ს. ვაჩნაძე ხელმეორედ მოიწვიეს, ამჯერად თეატრის რეჟისორად.

ქუთაისის თოჯინების თეატრამდე ს. ვაჩნაძემ ხანგრძლივი და ნაყოფიერი სცენური გზა განვლო. ლენინგრადში სტუდიის დამთავრების შემდეგ თბილისის სატირის თეატრის მსახიობად დაიწყო მუშაობა. 1930 წლიდან რეჟისურას მოჰკიდა ხელი და სხვადასხვა დროს მუშაობდა ბაქოს ქართულ თეატრში, ფოთის, ბათუმის, ხაშურის, გორის თეატრებში. იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. დადგმული აქვს ასამდე პიესა. მისმა ბევრმა სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ სპექტაკლებიდან ს. ვაჩნაძეს ეკუთვნოდა კ. გოგიაშვილის „ბაქიას“ დადგმა. ეს იყო ხალისიანი წარმოდგენა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის.

სპექტაკლი გამოირჩეოდა ზუსტად მიგნებული მხატვრული ხერხებით, ცოცხალი, ერთიანი რიტმით. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. ყაზბეგის ნათელ ფერებში შესრულებული მოხდენილი დეკორაციებით. გაზეთ „ქუთაისში“ ე. ჟორჯოლიანი წერდა: „ბაქია, რიტმული, სიცოცხლით სავსე სპექტაკლია. იგი კარგადაა შეკრული. გამოკვეთილია მოქმედ პირთა ხასიათები. რაც მთავარია, სპექტაკლი მაღალმხატვრულ ფორმაშია გადაწყვეტილი“.

რეცენზენტი დადებითად აფასებდა თ. ჭელიძის — ბაქიას, ე. თოდუას — მელას, რ. თოდუას — დათეს, შ. ფხაკაძის — მგელს, ლ. ხინგავას — კურდღელს და მ. სანიკიძის — ციყვს.

ერთი სოტყვით, „ბაქია“ შესანიშნავად და ოსტატურად გამართული თოჯინური წარმოდგენა იყო. სათეატრო მუზეუმში დაცულია რეჟისორ ს. ვაჩნაძის ხელნაწერი, რომელიც თოჯინების თეატრის სპეციფიკას შეეხება. იგი წერს: „ქუთაისის თოჯინების თეატრის მთავარი რეჟისორის ესტაფეტა ლ. შენგელიამ გადმომაბარა და არ შემიძლია მადლობით არ მოვიხსენიო იგი, რადგან მან მომცა საშუალება მანამდე, ამავე თეატრში, როგორც რეჟისორ-დამდგმელი, გავცნობოდი თოჯინური თეატრის სპეციფიკას. თოჯინური სპექტაკლი, როგორც საზოგადოდ თეატრი, საწყისს იღებს ლიტერატურული ნაწარმოებიდან — პიესიდან. თოჯინების თეატრის პიესა ისეთივე ნაწარმოებია, როგორც სხვა თეატრისა, გათვალისწინებულია არა მარტო წასაკითხად, არამედ სცენაზე დასადგმელად და ამიტომ უნდა პასუხობდეს სცენის მოთხოვნებს. მაგრამ თოჯინური თეატრის პიესა ერთგვარად განსხვავდება კიდევ ჩვეულებრივი დრამატული თეატრის პიესისაგან. პირველი თავისებურება, რასაც ავტორმა უნდა გაუწიოს ანგარიში, ის არის, რომ თოჯინას არა აქვს ცოცხალი თვალები, მოკლებულია მიმიკას და მის მაგივრად მეტყველებს უხილავი მსახიობი. ამიტომაც განცდის დრამა თუ ტრაგედია თოჯინების თეატრში ფეხს ვერ იკიდებს. ზღაპარი, იგავ-არაკი, პამფლეტი, სატირა, მით უმეტეს, თუ ალეგორიული ხასიათისაა, — თოჯინური თეატრისათვის საუკეთესო მასალაა“.

შემდეგ იგი ლაპარაკობს თოჯინების თეატრის მსახიობზე: „თოჯინური თეატრის მსახიობი დაჯილდოებული უნდა იყოს მუსიკალობით, რიტმულობით, იყოს პლასტიკური, კარგად იცნობდეს ადამიანების, ცხოველების ბუნებას და ხასიათს, მათს თვისებებს და ყველაფერი ეს უნდა გამოიყენოს თოჯინის სრულყოფილად „გაცოცხლებისათვის“.

თეატრის ვეტერანები. ქუთაისის თოჯინების თეატრი მდიდარია ვეტერანებით. ესენი არიან: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები — ა. ჭავჭავაძე, მ. სანიკიძე, რ. თოდუა, ა. ყურაშვილი და



მსახიობები — რ. თავდიდიშვილი, ე. თოდუა, ა. ბარქაია, პ. გაბუნია, ო. კობიძე, ნ. ქაჯაია, თ. ჭელიძე, შ. ფხაკაძე. მათი ნიჭი და ოსტატობა თეატრის მრავალ წარმატებათა საფუძველია.

გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

**ალექსანდრა ჭავჭავანიძე** სამსახიობო ბიოგრაფია თბილისის მუშა-ახალგაზრდობის თეატრში დაიწყო და შემდეგ მთელ რიგ რაიონულ თეატრებსა და აგრეთვე თბილისის თოჯინების თეატრში განაგრძო. ქუთაისის თოჯინების თეატრში იგი მოვიდა როგორც ამ საქმის ინიციატორი და ენთუზიასტი. მას ეკუთვნის იმ პირველი სპექტაკლის დადგმა, რომელიც ჯერ კიდევ 1938 წელს იყო წარმოდგენილი და, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა თოჯინების სახელმწიფო თეატრს ქუთაისში.

**რ. თოდუა.** დიდი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი სკოლა გაიარა რ. თოდუამ ვიდრე თოჯინების თეატრში მოვიდოდა. მან პირველი ნაბიჯები ქუთაისის თეატრის სცენაზე გადადგა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, სათავეში ედგა მთელ რიგ თვითმოქმედ დრამატულ წრეებს, 1946 წლიდან კი თოჯინების თეატრის წამყვანი მსახიობია.

**მ. სანიციძე.** მერი სანიციძემაც მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით აიღვა ფეხი სცენაზე. ისიც ქუთაისის თოჯინების თეატრის შექმნის ერთ-ერთი მონაწილე და დღემდე მისი წამყვანი მსახიობია. „მუდამ ვცდილობდი გამოგვეძებნა გზები, — წერდა იგი თავის პატარა მოგონებაში, — რომ ბავშვებისათვის მართალი და გულთბილი სპექტაკლები გვეჩვენებინა... დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით ჩვენს საქმეს და მაყურებლის დიდ სიყვარულსაც ვიმსახურებდით“.

**ა. ყურაშვილი.** ლეგენდარული ჰერაკლე, ზღაპრული გულივერი, იმერელი მოხუცი ბეკინა, მხიარული შოფერი ბაქია სპექტაკლიდან — „რევიზორი ვეფხვი“... ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი სხვა ჩინებული როლებით გაუხარებია ბავშვების გული მსახიობ აკაკი ყურაშვილს ოცი წლის მანძილზე. იგი ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრიდან წამოვიდა და თავისი შემოქმედებითი ბედი თოჯინების გაცოცხლებისა და პატარა მაყურებლის მხატვრული აღზრდის დიდ საქმეს დაუკავშირა.

**გ. კემულარია.** რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გიორგი ანტონის ძე კემულარია ქუთაისელი იყო. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა ჯერ ფოთში, შემდეგ კი თბილისში რუსთაველის თეატრის დირიჟორად. 1943 წლიდან დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მუსიკალურ მასწავლებელ-

წი. გ. კემულარიას განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქუთაისის თოჯინების თეატრის წინაშე. 1946 წლის 31 დეკემბრიდან, ე. ი. თეატრის გახსნის დღიდან, გ. კემულარიამ არაერთი სპექტაკლისათვის შექმნა მუსიკა. გ. კემულარია გარდაიცვალა 1971 წელს.

ამავე პერიოდში მთელი რიგი დადგმები განახორციელა რეჟისორმა ვ. ქუთათელაძემ. ამ დადგმათა უმრავლესობა თეატრის წარმატებად იყო მიჩნეული. 1970 წელს ვ. ქუთათელაძე თბილისში გადავიდა სამუშაოდ.

სამაგიეროდ თეატრს შეემატა რეჟისორი მუჰამან ფურცხვანიძე. სულ მოკლე ხანში მან რამდენიმე საინტერესო სპექტაკლი განახორციელა.

**თეატრი და საზოგადოებრიობა.** ქუთაისის ფართო საზოგადოებას თეატრისადმი მზრუნველი დამოკიდებულება ახასიათებს. ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მთელი წყება ფაქტებისა, რომლებიც სწორედ ამ გულითად ზრუნვაზე მოგვითხრობენ.

კონფერენციამ, რომელიც თოჯინების თეატრის ოცდახუთი წლისთავს მიეძღვნა, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქუთათურებში. იგი საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გამართა. კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დიდიმ ქეიშვილი, თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ვაჩნაძე, მოქანდაკე, რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარი ვ. მიზანდარი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. შვანგირაძე და პროფესორი ი. მეგრელიძე, ფილოლოგი ე. მეძველია, პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თ. მდივნიშვილი, პედაგოგი რ. ფურცელაძე, საბავშვო ბაღის გამგე თ. უშვერიძე და სხვ. მომხსენებლები ერთხმად აღნიშნავენ თეატრის მიღწევებს და საზავდნენ მისი შემდგომი აღმავლობის გზებს.

ოცდახუთი წლის მანძილზე თეატრმა განახორციელა ასთერამეტი ახალი დადგმა და მოემსახურა, დაახლოებით, ორ მილიონ მაყურებელს. თუ გავითვალისწინებთ ამ ციფრებს, ჩვენთვის გასაგები გახდება, რატომ აღელვებს ეგზომ თეატრის დირექტორს გერვასი ცხადაძეს, უპირველესად, რეპერტუარის საკითხი. იგი წერს: „მინდა მორიდებული საყვედური გამოვთქვა ცნობილი ქართველი მწერლებისა და დრამატურგების, ქართული სიტყვის დიდოსტა-

ტების მიმართ, რომლებიც დროს ვერ პოულობენ იმისათვის, რომ ჩვენს ნორჩ მაყურებელს შეუქმნან მაღალხარისხოვანი პიესები“.

სამდურავი სავსებით მართებულია. ურიგო არ იქნება, თუ ქართული სიტყვის დიდოსტატები მაგალითს აიღებენ ჩვენი გამოჩენილი ბელეტრისტის აკაკი ბელიაშვილისაგან, რომლის პიესითაც დარწყო მოღვაწეობა ქუთაისის თოჯინების თეატრმა.

**თეატრის შემადგენლობა 1971 წლისათვის:** დირექტორი — გერვასი ონისიმეს ძე ცხადაძე, მთავარი რეჟისორი ს. ვაჩნაძე (საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), დამდგმელი რეჟისორები: მ. ფურცხვანიძე და ი. მაცხოვნაშვილი, მთავარი მხატვარი გ. ბერეჩიციძე (საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი), აკომპანიატორები: ე. კოჩიანი, გ. ხმელიძე; მთავარი აღმინისტრატორი — დ. ხურცილავა; საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: რ. თოდუა, ა. ყურაშვილი, მ. სანიციძე, ა. ჭავჭავაძე. მსახიობები: ნ. ქაჯაია, ე. თოდუა, თ. ჭელიძე, ო. კობიძე, ნ. კემულარია, შ. ფხაკაძე, პ. გაბუნია, შ. ბარქაია, ლ. ხინგავა, რ. თავდიდიშვილი, ლ. გიორხელიძე, ა. ყურაშვილი, ა. ფანცხავა, ა. ასათიანი; სადადგმო ნაწილის გამგე — გ. ირემაძე, უფრ. მხატვარი-გამნათებელი — გ. ნასარაია, გამნათებელი ე. მალლაკელიძე; რეჟისორის თანაშემწე — ნ. გერაძე; აღმზრდელი-პედაგოგი — ლ. ნესოშვილი, მხატვარი-მექანიზატორი — მ. ჩიქვილაძე, თოჯინების მკერავი — თ. ბუღალავა, ბუტაფორი — მ. გალდავა; რეკვიზიტორი — ლ. კობიძე, სცენის მემანქანე ს. ზედაშიძე; დეკორაციების ამწყობნი: ნ. მებურიშვილი და მ. რიყინაშვილი, უფრ. ბუღალტერი — გ. გეგეშიძე, საქმეთა მმართველი — ც. ტორაძე; მოლარე — მ. ფოჩხიძე, კონტროლიორი — მ. შიშინაშვილი; მძღოლები: ნ. იმედაძე, ვ. ბედენაშვილი და ზ. კუჭუხიძე; მეხანძრე გუშაგები: შ. სულაქველიძე, ა. კვერნაძე, ნ. ჩაჩიბაია; დაპლაგებლები: თ. აფრიდონიძე, ო. გაბუნია.

## XVII. ლენინური კომპარვიზირის სახელობის მოზარდ მახურებელთა სახალხო თეატრი

1963 წელს, ქუთაისის მასწავლებელთა სახლში, რეჟისორ ოთარ ალექსიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი, რომელიც წარმოდგენებს მართავდა მოზარდებისათვის. კოლექტივში შევიდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და ახლადკურსდამთავრებულები.

ო. ალექსიშვილმა ამ კოლექტივში ორი დადგმა განახორციელა: ა. თაბორიძის პიესა „სინდისის ქისა“ და ა. კაქკაქიშვილის კომედია „ამბავი ორი ბიჭისა“. ამ ორივე წარმოდგენამ დიდი წარმატება მოიპოვა მოზარდ მაყურებლებში. წარმოდგენების მონაწილენი იყვნენ: ნესტან კვიციანი, მარიეტა ლაფერაშვილი. ზურაბ წიტიანიშვილი. მეგილო ლოლობერიძე, ჭუმბერ მალაქელიძე. რაფიელ ჩიკვაშვილი, ქეთევან იობიძე, ამირან ქელიძე, გურამ ვერულაშვილი და სხვ.

ამ წარმოდგენებმა პრესის ყურადღება მიიქცია. გაზეთ „ქუთაისში“ (1963, 19 აპრ.) მოთავესებელი იყო წერილი „ამბავი ორი ბიჭისა“ დადგმის შესახებ. წერილში მოწონებული იყო ახალგაზრდობის ეს ინიციატივა და ნაქები იყო სპექტაკლის მონაწილეთა თამაში. „როგორც აქამდე განხორციელებული დადგმები ადასტურებენ, მოზარდ მაყურებელთა თეატრის თვითმოქმედი კოლექტივის ხელმძღვანელობას გეზი აქვს აღებული მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შესაფერი რეპერტუარის დამკვიდრებისაკენ. რამდენადაც იგი, პირველყოვლისა, მიზნად ისახავს ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საპატიო ამოცანას, ეს ერთი ლომობილური მიზანი თავისთავად აყენებს დღის წესრიგში ამ კოლექტივისადმი საზოგადოებრიობის ყურადღების გამახვილებას“.

ერთი წლის შემდეგ, როდესაც ო. ალექსიშვილი ქუთაისიდან გადაიყვანეს, რეჟისორობა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის

მსახიობმა ა. ჩიქვინიძემ იკისრა. კოლექტივის ამ ახალმა ხელმძღვანელმა ენერგიულად განაგრძო მუშაობა. მოამზადა და მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექა“ (დადგმა ა. ჩიქვინიძისა, მხატვარი ი. პეტრაიტისი, მუსიკა რ. აბულაძისა), ს. მთვარაძის „სურამის ციხე“ (დადგმა ა. ჩიქვინიძისა, რეჟისორი ფ. ზარქუა, მხატვარი გ. ბერეჩიკიძე) და გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ (დადგმა ა. ჩიქვინიძისა, მხატვარი გ. ბერეჩიკიძე, მუსიკა გ. მესხიშვილისა). ამ პოპულარულმა ნაწარმოებებმა დიდი წარმატება მოიპოვეს მოზარდ მაყურებელთა შორის.

უკვე აღიძრა საკითხი, რომ კოლექტივის მიენიჭოს სახალხო თეატრის წოდება. 1966 წლის 16 თებერვალს სახეიმი ვითარებაში გაიხსნა „ქუთაისის განათლების მუშაკთა სახლთან არსებული ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახალხო თეატრი“.

თეატრმა გახსნისას უჩვენა თ. გოლოსოვსკის მოთხრობის „მინდა გჭეროდეს“ — ინსცენირება 4 მოქმ. 13 სურ. „შენ მართალი ხარ, დედა“ ა. ჩიქვინიძისა, დადგმა მისივე, მხატვარი გ. ბერეჩიკიძე, მუსიკალური გაფორმება გ. მესხიშვილის და ი. ჭიშკარიანისა. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა: გ. ივერიელმა, ა. ჩიქვინიძემ და სახალხო თეატრის წევრებმა: ც. გუგუნავამ, გ. ფრუიძემ, მ. ნიუარაძემ, მ. გოგიშვილმა, გ. მუშკუდიანმა, ა. ნიკოლაიშვილმა, მ. ნიშნიანიძემ, ზ. კაჭარავამ, გ. ვერულაშვილმა, ო. გოგოხიძემ და ზ. მანაგაძემ. მაყურებელმა ეს წარმოდგენაც პოიწონა.

ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს თეატრმა მიუძღვნა ლ. ქიჩილის „გვადი ბიგვა“. დადგმა განახორციელა ა. ჩიკვაიძემ. მანვე შეასრულა გვადის როლი. მხატვრობა ეკუთვნოდა გ. ბერეჩიკიძეს, მუსიკალური გაფორმება ლ. ხურცილავას.

1968 წელს თეატრმა უჩვენა ო. იოსელიანის „ოქროთი სავსე ქვეყანა“, კომ. 3. მოქ. 7 სურ. გადმოყ. ი. კლდიაშვილის მიერ (დადგმა ა. ჩიქვინიძისა, მხატვარი გ. ბერეჩიკიძე, მუსიკალური გაფორმება გ. მესხიშვილისა).

1969 წელს თეატრმა დადგა ი. გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“ — ინსცენირება ლ. ისაკოვისა, დადგმა (სადიპლომ) ა. ნიკოლაიშვილისა, მხატვარი — გ. ბერეჩიკიძე, მუსიკა — პ. ბუხანიძისა.

1970 წელს თეატრმა უჩვენა გ. ბერეჩიკიძის პიესა „სადა ხარ, ჩვენო მეზღვე“. სპექტაკლი დადგეს ა. ჩიქვინიძემ და მ. ფურცხვანიძემ, მხატვრობა ეკუთვნოდა გ. ბერეჩიკიძეს, მუსიკალური გა-

ფორმება — ბ. სვანიძეს და ი. ჯიშკარიანს. დადგამს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დათვალაიერებაზე პირველი ხარისხის დიპლომი მოიპოვა.

დარწმუნებული ვართ, სულ მალე ეს სახალხო თეატრი პროფესიულ თეატრად იქცევა. ეს კი იქნება მეოთხე პროფესიული თეატრი ქუთაისში.

## XVIII. თვითმოქმედი დრამატული ხელოვნება

თვითმოქმედ დრამატულ ხელოვნებას ქუთაისში შინაარსიანი ისტორია აქვს\*.

ჩვენ აღრე მოვიხსენიეთ თვითმოქმედი დრამატული წარებების მოღვაწეობა ქუთაისში გასული საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში, ზომლის ნიადგზეც 80-იან წლებში პროფესიული თეატრი შეიქმნა.

აქ მოვიყვანთ მოკლე ცნობებს თვითმოქმედი დრამატული წრეების შესახებ რევოლუციის შემდეგ. თვითმოქმედ ხელოვნებას (არა მარტო დრამატულს, არამედ ყველა დარგისას) ქუთაისში მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს და იგი უეჭველად მოითხოვს ცალკე აღწერასა და გამოკვლევას.

მუშათა კლუბი „ხელოვნება“. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქუთაისის რკინიგზელთა ინიციატივით და მათივე შრომით 1917 წლის 15 მარტს გაიხსნა კლუბი „ხელოვნება“. შენობად გამოყენებული იყო ქუთაისის რკინიგზის სადგურთან მდებარე ყოფილი სატვირთო სადგურის შენობა. ეს იყო უბრალო ფარდული, რომელსაც ფანჯრების ნაცვლად სატვირთო ვაგონების მსგავსი პატარა სარკმელები ჰქონდა. რკინიგზელებმა ცოტათი შეაკეთეს შენობა, გააკეთეს პატარა სცენა, იშოვეს სკამები. აქ იმართებოდა საღამო-წარმოდგენები და მუშა-მოსამსახურეთა კრებები.

დრამატული წარის პირველ შემადგენლობაში იყვნენ: ნ. ბაკურაძე, ე. ბურჯანაძე, პ. გაბუნია, ს. ვაშაკიძე, ნ. პატარიძე, ე. პატარიძე, ლ. სახელაშვილი, თ. მუსერიძე, თ. შანიძე, ნ. ჭოლოშვილი, ნ. ჯაფარიძე, ვ. კიკნაძე, მ. კოლუაშვილი, ვ. ლალიაშვილი, ვ. ლეჟავა, ს. მგელაძე, ა. მშვიდლობაძე, ან. ნაჭყებია, ვ. ქუთათელაძე, გრ. შენგელია, ჭ. ცინცაძე, გ. წერეთელი და სხვ.

\* ცნობები მოკვანოდა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა ალ. ალუაიძემ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კლუბი რკინი-გზელთა პროფკავშირის ხარჯზე იქნა გადაყვანილი: შენობა საფუძვლიანად შეეკეთა, გაფართოვდა და სახეიმო ვითარებაში გაიხსნა 1922 წლის 1 მაისს. კლუბს მიენიჭა ფილიპე მახარაძის სახელი. დრამატული წრე ჩამოყალიბდა შემდეგი პირებისაგან: ს. ვაჩაბერიძე, ტ. პატარია, ა. ნაჭყებია, თ. ხომასურიძე, ნ. კოლოშვილი, ლ. სახელაშვილი, მ. სიმონიშვილი, პ. გაბუნია, ნ. ბაკურაძე, დ. გვეტაძე, კ. აბესაძე, თ. რამიშვილი, დ. ლაკვეხელიანი, ბ. საყვარელიძე, მ. კოლუაშვილი, ალ. ალფაიძე, მ. ხომასურიძე, ვ. ფირცხალაშვილი, ვ. ხმალაძე, ვ. ქუთათელაძე, კ. ცინცაძე და სხვ. მერე და მერე მრავალი წევრი შეემატა წრეს, რომლებიც პროფესიულ სასცენო ხელოვნებაშიც კი დაწინაურდნენ. ასეთებია: მსახიობები ალ. ალფაიძე, კ. აბესაძე, ვ. სევანელი, მ. სევანიძე, ბ. და გრ. კოკელაძეები, ნ. სირბილაძე, ვ. გვენცაძე, ვლ. ტყეშელაშვილი, ე. ლორთქიფანიძე, დირიჟორი კ. სირბილაძე, კინორეჟისორები — შ. მანაგაძე, ნ. პიპინაშვილი, კ. გრძელიშვილი და სხვ.

დრამატულ წრეს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ვ. ბალანჩივაძე, გრ. ჩარკვიანი, მ. ნემო (ჩანუაშვილი), ა. მურუსიძე, შ. ხონელი, ი. ზარდალიშვილი, ნ. კრავეიშვილი, მ. ჭულელი, ზ. ურუშაძე, პ. მურულულია, ივ. შავგულიძე, კ. თავბერიძე, ალ. ალფაიძე, ვ. ტყეშელაშვილი, მ. ფურცხვანიძე და სხვ. წრეს აქემამდ, 1971 წლისათვის ხელმძღვანელობს გ. ბერძენი.

ადრეულ პერიოდში წრეში განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობდა კონსტანტინე თავბერიძე. იგი იყო რეჟისორი, მსახიობი. მთელი რიგი აგიტსატირული ნაწარმოებების ავტორი. მის კალამს ეკუთვნოდა ოპერეტა „სანჩო-პანჩო“, რომლისთვისაც მუსიკა დაუწერია ზაქარია ფალიაშვილს (სამწუხაროდ იგი დაკარგულია). წრემ წარმოადგინა მისი პიესები: „ძმები“, „ლოთი მამა“, „ორთქლმავალი დაიწვა“, „რკინიგზის სადგური“, მ.ჭავჭავაძის „ჩაყოს ხიზნების“ ინსცენირება და სხვ.

წრემ ოციან წლებში შექმნა აგიტსატირული ბრიგადა რომლის ხელმძღვანელი იყო კოწო დოლონაძე. წევრები: მ. კოლუაშვილი, პ. ტატარუნკო, ვ. შავგულიძე, ვ. ხმალაძე და სხვ. დიდი სამამულო ომის წლებში არსებობდა აგიტმხატვრული ბრიგადები, რომლებიც გამოდიოდნენ სამხედრო ჰოსპიტლებში და ჯარის ნაწილებში. ოთხი წლის განმავლობაში სულ გამართული იყო 240-ზე მეტი საშეფო კონცერტი. ეს აქტიური მოღვაწეობა დაფასდა. კლუბს გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოს საპატიო სიგელი.

თავისი ორმოცდაათი წლის არსებობის მანძილზე, წრემ მრავალი დრამატული ნაწარმოები უჩვენა მაყურებელს, მათ შორის:



ი. მაჩაბლის „ადვოკატი მელაძე“, კ. ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“, ნ. შიუკაშვილის „მეგობრობა“ და „სულელი“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ხანუმა“ და „ციმბირელი“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ა. ყაზბეგის „არსენა“, ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, ვ. მონტის „კაი გრაცხი“, ა. წერეთლის „კინტო“, გ. ერისთავის „ძუნწი“, ვ. გუნიას „დაძმა“, და „სიძე-სიმამრი“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“, მოლიერას „სკაპენის ოინები“, ია ეკალაძის „ნომერი 21 ჯვრით“, ს. ერთაშვინდელის „ცეკვა ბებუთით“, ტ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“, შ. დადიანის „შენი ჭირიმე“, ე. ნინოშვილის „ქრისტიანეს“ და „გოგია უიშვილის“ ინსცენირებები, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ ინსცენირება, გ. ბუხნიკაშვილის „შეთქმულება“ და მრავალი სხვა.

1967 წელს კლუბში მოეწყო საზეიმო საღამო, მიძღვნილი მისი არსებობის 50 წლისთავისადმი. საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ წრის ვეტერანები.

ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის სახლში შეიქმნა დრამატული წრე. ეს წრე არის კლუბის მთავარი შემოქმედებითი ორგანიზაცია. გარდა ამისა არსებობს ქორეოგრაფიული, ვოკალური და სხვა თვითმოქმედი წრეები. არის საექსტრადო ორკესტრო. სახლთან შექმნილი იყო სახალხო საოპერო თეატრი, რომლის შესახებ ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. სახლთან ჩამოყალიბებულია მუსიკალური სკოლა.

დრამატული წრის მოღვაწეობა თავიდანვე შინაარსიანი იყო. 1947 წლიდან მან მაყურებელს უჩვენა ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ და „მამის მკვლელის“ ინსცენირება, ვ. გუნიას „დაძმა“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, „კინტო“ და „ბუტიანობა“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და „ციმბირელი“, შ. დადიანის „გეგეკოორი“, „მზის ამოსვლამდე“ და „ბატონი და ყმა“, ა. ალფაიძის „ლოთის ბედი“, და „შეშთხვევა აგარაკზე“. მ. ჯავახიძის „უამთაბერის ასული“, ნ. კეჟულარიას „სოლომონ პირველი“, ა. აბშილავას „სპეკულანტები“, ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“ ინსცენირება ა. ჩეხოვის „ხელის თხოვნა“ და „დათვი“, ს. მიხალკოვის „წითელი ყელსახვევი“ და მრავალი სხვა. გარდა ამისა, წრემ დადგა მ. გოგიაშვილის, ვ. პატარაიას, ა. დევიძის, ა. ალაზნისპირელის მცირე ფორმის პიესები. 1947 წლიდან 1967 წლამდე დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა ა. ალფაიძე. გარდა ამისა, წრის ხელმძღვანე-

ლებად სხვადასხვა დროს იყვნენ: ა. ჩიქვინიძე, მ. ფურცხვანიძე, თ. მესხი. ცალკე დადგმებზე მოწვეული იყვნენ ლ. მილორავა, ო. კობიძე და გ. ბერძენი.

აბრეშუმის კომბინატის კლუბი 1934 წლიდან არსებობს. კლუბის დრამატული წრის ხელმძღვანელად თავდაპირველად მსახიობი იუზა ზარდალიშვილი იყო. შემდეგ წრეს რეჟისორობდნენ: რ. თოდუა, გ. ბერულავა, დ. ბერიძე. 1961 წლიდან კლუბში დაარსდა მინიატურების ანსამბლი და საესტრადო ორკესტრი. 1960 წელს დრამატული წრეების რესპუბლიკურ დათვლიერებაში ქუთაისის სახელს იცავდა აბრეშუმის კომბინატის კლუბის დრამატული წრე. მან დადგა ვ. კანდელაკის პიესა „ამაღლებული სოფელი“, რომელშიც 60-მდე მონაწილე იყო. დრამატულმა წრემ დათვლიერებაში პირველი ადგილი დაიკავა, მის წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა წილად.

მაუდის ფაბრიკის კლუბი დაარსდა 1938 წელს. კლუბში იმავე წელს შეიქმნა დრამატული წრეც. მას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: კ. ჩიქოვანი, ვ. ტყემელაშვილი, ბ. კანდელაკი, ნ. კემულარია, ნ. წიკლაური, მ. ფურცხვანიძე, გ. ბერძენი, რ. ასათიანი. წრეს დადგმული აქვს თანამედროვე ხასიათის მრავალი ნაწარმოები და აგრეთვე კლასიკური დრამატურგიის ნიმუშები.

საავტომობილო ქარხნის კულტურის სახლი დაარსდა 1949 წელს. მრავალფეროვანია ამ სახლის კულტურული მუშაობის სახეობანი, ხოლო მათში მთავარი ადგილი დრამატულ წრეს უკავია, რომელიც უკვე 25 წელია არსებობს. წრის უძველესი წევრებია: ა. მენაბდე და ტ. ჩარგეიშვილი. გარდა ამისა წრეში მუშაობენ: ლ. ენდელაძე, ნ. მახარაშვილი, ნ. ფურცხვანიძე, ლ. ონიანი, ე. გერაძე, თ. ახვლედიანი, ნ. ჩოგოვაძე, ს. მახარაშვილი, ნ. მეტრეველი, ყ. მეტრეველი, ჯ. ჩიქოვანი, რ. მეძმარიაშვილი, ვ. ცირამუა, ა. ჯიმშელი-იშვილი, ზ. ბარბაქაძე, ტ. ონიანი და სხვ. წრეს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ი. ბერულავა, ვ. კანდელაკი, მ. ფურცხვანიძე, ა. ალფაიძე, ნ. ჩოგოვაძე. მხატვარი ი. პეტრაიტისი. წრემ მრავალი საინტერესო დადგმა განახორციელა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ და „ციციას“ ინსცენირებები, ვ. დარასელის „კიკვიძე“, კ. ბუაჩიძის „კეთილი მეზობლები“ და „ფაქიზი განცდები“, ვ. გუნიას „და-ძმა“, დ. ერისთავის „სამშობლო“, გ. ბერძენიშვილის „მზესთან ახლოს“, გ. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნას?“ ინსცენირება, გ. ნახუცრიშვილის „აჩაყუნე“, კ. გოგიაშვილის „ფარავნელი ქაბუკი“, ლ. სანიკიძის „ქუთათურები“, ლ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“, ვ. შვეარციანის „სხვისი ბავშვი“ და სხვ.

საკონსერვო ქარხნის კლუბი დაარსდა 1948 წელს. კლუბის დაარსებიდანვე შეიქმნა დრამატული წრე, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: თ. მესხი, შ. ხაჯალია. დ. ბადრიძე, ვ. ტყეშელაშვილი და სხვ. ამჟამად წრეს სათავეში უდგას გიული სვანიძე. აქ დადგეს მრავალი ნაწარმოები, მათ შორის პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ა. წერეთლის „კინტო“ და სხვ. კლუბთან, აგრეთვე, არსებობს აგიტმხატვრული ბრიგადა. კლუბთან არსებობს ბავშვთა სექტორი. ბავშვთა მონაწილეობით ამ სექტორმა დადგა ვ. გოციელის ოპერა „წითელქუდა“, რომელმაც კარგი შეფასება მიიღო.

№ 4 საამშენებლო ტრესტის კლუბი დაარსდა 1953 წელს, ხოლო მისი დრამატული წრე ჩამოყალიბდა 1955 წელს. ამ წრის ორგანიზატორი და პირველი ხელმძღვანელი იყო მსახიობი გრიგოლ კოსტავა, ხოლო შემდგომში წრეს თაოსნობდა და დღესაც სათავეში უდგას სიმონ ფიჩხაძე. წრემ სხვადასხვა დროს უჩვენა მაყურებელს ა. წერეთლის „პატარა კახი“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ ინსცენირება, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, შ. დადიანის ინსცენირება „გლახის ნაამბობი“ და სხვ. კლუბთან არსებობს საესტრადო ანსამბლი, რომელმაც საინტერესო გამოხვედები ჩაატარა ბალტიისპირეთის ქალაქებში.

ელექტრო-მექანიკური ქარხნის კლუბი გაიხსნა 1955 წელს. კლუბის თვითმოქმედ წრეებს შორის არის აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ვაჟა ტალახაძე.

ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა კლუბი გაიხსნა 1959 წელს. 1963 წელს მას შეუერთდა კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კლუბი და მას ეწოდა ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშათა და მოსამსახურეთა კულტურის სახლი. მთელ რიგ წრეებს შორის თავი ისახელა ამ სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომელსაც მარტო საქართველოში როდი იცნობენ. არსებობს დრამატული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს გ. ბერძენი.

№ 4 სამკერვალო ფაბრიკის კლუბი დაარსდა 1963 წელს. მის თვითმოქმედ წრეებს არაერთხელ გაუმარჯვნიათ შეჯიბრებებსა და ფესტივალებზე. კლუბის დრამატულ წრეს ხელმძღვანელობს ნიკო წიკლაური.

## XIX. საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილება

ქუთაისის თეატრალური ცხოვრება იმდენად გაძლიერდა და გაფართოვდა, რომ საჭირო შეიქმნა თეატრალური საზოგადოების ადგილობრივად შექმნა. იგი შეიქმნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სახით.

ქუთაისში უკვე ორასამდე თეატრალური საზოგადოების წევრი იყო. მათი კონფერენცია შედგა 1971 წლის 18 მარტს. საქალაქო კონფერენციამ აირჩია 7 კაცისაგან შემდგარი ქუთაისის განყოფილების გამგეობა. გამგეობაში შევიდნენ: ა. ბარათაშვილი, შ. პირველი, ს. ფხაკაძე, შ. მეძველია, ალ. ქელბაქიანი, გ. ცხადაძე და დ. ჭეიშვილი. გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს დიდიმ ჭეიშვილი.

დიდიმ ვიქტორის ძე ჭეიშვილს კარგად იცნობს ქუთაისის თეატრალური საზოგადოება, როგორც გამოცდილ ენერგიულ მოღვაწეს. დაიბადა 1908 წელს ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და შემდეგ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დრამატული სტუდია. იგი 1930 წლიდან რეჟისორად მუშაობდა ზესტაფონში, ჩხარში, ახალციხეში. 1942—1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. დემობილიზაციის შემდეგ 1946—1948 წლებში გორის თეატრის რეჟისორ-დამდგმელია, 1948—1952 წლებში კი თერჯოლის სარაიონო კულტურის სახლის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა. 1952 წლიდან ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის დირექტორ-განმკარგულბელი იყო.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას მრავალი აპოკანა აკისრია, როგორც ქუთაისის თეატრის მრავალრიცხოვან მუშაკთა პროფესიული ინტერესების განსახორციელებლად, ასევე მაყურებლის დასარაზმავად თეატრის ირგვლივ.

ქუთაისის თეატრალური ცხოვრების აღწერას ვამთავრებთ ისტორიული თარიღით — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავით. სწორედ საბჭოთა პერიოდმა შეუქმნა მკვიდრი ნიადაგი სათეატრო ხელოვნების განვითარებას ქუთაისში, უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა მისი შემოქმედებითი დონე.

მაგრამ მაცურებლის გემოვნება და ესთეტიკური მოთხოვნები დღითიდღე იზრდება. დღევანდელი მაცურებელი უფრო დიდი საზომით უდგება თეატრის იდეურ-მხატვრულ დონეს. სწორედ ამ აზრს გამოხატავდა სტატია სათაურით — „ფიქრები მშობლიურ თეატრზე“ (გაზ. „ქუთაისი“, 1971, 12 ნოემბერი), რომელსაც ხელს აწერდნენ სოციალისტური შრომის გმირები: იოსებ ხაზარაძე, ბორის ვაშაკიძე და სხვები.

სტატიაში ერთგვარად შეჯამებულია ქუთაისის თეატრის შემოქმედებითი დონე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე და ამასთანავე გამოთქმულია მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები. იქვე ნათქვამია, რომ თეატრი ამჟამად ყოველმხრივ უზრუნველყოფილია, მაგრამ მისი შემოქმედებითი დონე მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ბევრ სპექტაკლს დამაჯერებლობა და სცენური სიმართლე აკლია, რის გამო მათი შემოქმედება მაცურებელზე ძალზე სუსტია. აშკარად ემჩნევა, რომ ამ სპექტაკლებს აკლია რეჟისორის ხელი. დასი მეტწილად ახალგაზრდა მსახიობებისაგან შედგება, მათგან უდავოდ ბევრია ნიჭიერი და პერსპექტიული, მაგრამ ჯერ კიდევ აკლიათ დაოსტატება.

ჩვენი სურვილია ქუთაისის თეატრმა შეუწელებლად იბრძოლოს თავისი შემოქმედების იდეურ-მხატვრული სრულყოფისათვის.

## კუთაისის დრამატული თეატრის რეპერტუარი

### სცენისმოყვარეთა წარმოდგენები

- 1861 — „გაყრა“, კომედია 4 მოქმ. გ. ერისთავისა, დ. ბაქრაძის თაოსნობით, 3 მარტს.
- 1862 — „მზის დაბნელება საქართველოში“, კომედია 3 მოქმ. ზ. ანტონოვისა, ა. წერეთლის ხელმძღვანელობით. კიდევ ორი-სამი წარმოდგენა.
- 1865 — „შეშლილი“, კომედია-პოემა გ. ერისთავისა.
- 1866 — სალიტერატურო საღამო.
- 1867 — „ქმარი ხუთი ცოლისა“, კომედია 2 მოქმ. ზ. ანტონოვისა, ყველიერში.
- 1868 — „მზის დაბნელება საქართველოში“, კომედია 3 მოქმ. ზ. ანტონოვისა.
- 1869 — „უჩინმაჩინის ქული“, კომედია I მოქმ. გ. ერისთავისა, „ორი სასიძო“ (?) 19 იანვ; კონცერტი ფ. ქორიძის მონაწილეობით, 26 ივნისი.
- 1870 — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ვოდევილი 2 მოქმ. გადმოკეთებული რ. ერისთავის მიერ; „უჩინმაჩინის ქული“, კომედია 1 მოქმ. გ. ერისთავისა, ყველიერში.
- 1871 — „მზის დაბნელება საქართველოში“, კომედია 3 მოქმ. ზ. ანტონოვისა, 4 ოქტომბერს.
- 1873 — „დავა“, კომედია 5 მოქმ. გ. ერისთავისა, თებერვალი; „დავა“, კომედია 5 მოქმ. გ. ერისთავისა, თებ.; „ყვარყვარე ათაბაგი“, დრამა 5 მოქმ. გადმოკ. გ. ერისთავის

მიერ, „ქმარი ხუთი ცოლისა“, კომ. 2 მოქმ. ზ. ანტონოვისა, მაისი; „ჯიბრი“, კომედია 2 მოქმ. გ. წერეთლისა, „ძალად ექიმი“. კომედია 2 მოქმ. გადმოკ. ი. ერისთავის მიერ, მაისი; „თილისმით მოარშიყე“, კომედია (?) ივნ.; „შუშანიკის წამება“, დრამა 3 მოქმ. მ. კარინიანისა, თარგმ. (?), ქართულ-სომხური წარმოდგენა, სექტ.

1874 — შინაური სალიტერატურო სადამო ი. ჭავჭავაძის. ე. ბებურიშვილისა და სხვ. მონაწილეობით, 18 აპრ.; კონცერტი ვ. გეგიძისა და სხვ. მონაწილეობით, აპრ.; „მზის დაბნელება საქართველოში“, კომედია 3 მოქმ. ზ. ანტონოვისა, 20 ივლ.; „პეპო“, კომედია 3 მოქმ. გ. სუნდუკიანისა, თარგმ. ავტორისა, 21 ოქტ.; „შემოსავლიანი ადგილი“, კომედია 5 მოქმ. ა. ოსტროვსკისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა და ი. მიქელაძისა, 10 ნოემბ.; კონცერტი იმენაზიელების ხოროს მონაწილეობით, დეკ.

1875 — „პეპო“, კომედია 3 მოქმ. გ. სუნდუკიანისა, თარგმ. ავტორისა, იანვ.; „სკაპენის ცულლუტობა“, კომედია 3 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. ა. წერეთლისა და „დღედაცა ცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“, კომედია 2 მოქმ. რ. ერისთავისა, ქართული სცენის სასარგებლოდ, 12 იანვ.; „ძალად ექიმი“, კომედია 2 მოქმ. გადმოკ. ი. ერისთავის მიერ, „მდგმური ტროპიკონით“, ვოდევილი, 1 მოქმ. ს. ბოიკოვისა, თარგმ. ვ. აბაშიძისა, ქართულ-რუსული წარმოდგენა, ორი იმენაზიელის სასარგებლოდ, 2 თებ.; „სკაპენის ცულლუტობა“, კომედია 3 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. ა. წერეთლისა, თებ.; „შრომით ნაშრონი პური“, კომედია 4 მოქმ. ა. ოსტროვსკისა და ნ. სოლოვიოვისა, თარგმ. ი. მიქელაძისა, თებ.; „მედია“, ტრაგედია 3 მოქმ. თარგმ. ი. კერესელიძისა, „სცენა საპატიმროში“, 1 მოქმ. ა. წერეთლისა, 14 აპრ.; „კბილის ექიმი“, კომედია. თარგმ. ტერ-დავით იარალიანისა, 18 აპრ.; „შემოსავლიანი ადგილი“, კომედია 5 მოქმ. ა. ოსტროვსკისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა და ი. მიქელაძისა, 25 მაისი; ქართულ-რუსული წარმოდგენა. აგვ.; „ფიგაროს ქორწინება“, კომედია 5 მოქმ. ბოშარშესი, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა. აგვ.; „მაიკო“, დრამა 3 მოქმ. ნ. ბეკლემიშვილისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა; „ახირებული უბედურება“ (?), ოქტ.;

„კიდევ ერთი მსხვერპლი“, კომედია 3 მოქმ. გ. სუნდუკიანისა, თარგმ. ტერ-დავით იარალიანისა; „დაბურდული საქმე“, ვოდევილი 1 მოქმ. ა. წერეთლისა, 27 დეკ; „კიდევ ერთი მსხვერპლი“, კომედია. 3 მოქმ. გ. სუნდუკიანისა, თარგმ. ტერ-დავით იარალიანისა; „დაბურდული საქმე“, ვოდ. 1 მოქმ. ა. წერეთლისა, 30 დეკ.

1876 — „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, კომედია 2 მოქმ. ზ. ანტონოვისა, „ბრაზიანი ამერიკელი“, ვოდევილი 1 მოქმ. ფ. ბურდინისა, თარგმ. ი. ბისტალაძისა, 3 იანვ; „პეპო“, კომედია 3 მოქმ. გ. სუნდუკიანისა, თარგმ. ავტორისა, 15 თებ.; კონცერტი ღარიბ გიმნაზიელთა სასარგებლოდ, 6 მარტი; „დავა“, კომედია, 5 მოქმ. გ. ერისთავისა, ერთი ახალგაზრდა ქალის სასარგებლოდ, 22 მარტი; წარმოდგენა ერთი ახალგაზრდა ყმაწვილის სასარგებლოდ, ივლ.

1878 — „ქორე დანდენი“, კომედია 3 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. გ. თუმანიშვილისა „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“; ვოდევილი. 1 მოქმ. ფეოდოროვისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა, ზამთ.; „ომი ცოლ-ქმარს შუა“, ვოდევილი. 5 მოქმ. ნ. სოლოვიოვისა, თარგმ. (?) „ცოლი თუ გინდა ეს არის“, ვოდევილი. 1 მოქმ. ვ. აბაშიძისა, აპრ.; „შემოსავლიანი ადგილი“, კომედია. 5 მოქმ. ა. ოსტროვსკისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა და ი. მიქელაძისა, 23 აპრ.; „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“, ვოდევილი. 1 მოქმ. ფეოდოროვისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა, 23 აპრ.; „ხათაბალა“, კომედია 3 მოქმ. გ. სუნდუკიანისა, თარგმ. ტერ-დავით იარალიანისა, 9 მაისი; „შემოსავლიანი ადგილი“, კომედია 5 მოქმ. ა. ოსტროვსკისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა, 17 მაისი; „გვეო მინას და კომპანია“, კომედია. 3 მოქმ. გადმოკ. დ. ერისთავის მიერ, 18 ივნ.; „ცელქები“, ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქმ. ნ. კულიკოვისა, თარგმ. ე. ნიკოლაძე-ჭიჭინაძისა, 19 ივლ.; „სიყვარული და ცრუმორწმუნეობა“, კომედია. 3 მოქმ. მელევილისა, თარგმ. ტერ-დავით იარალიანისა, 3 ოქტ.: „მაიკო“, დრამა: 3 მოქმ. ნ. ბეკლემიშევისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, „ძალად ცოლის შერთვევიება“, კომედია 1 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. დ. ყიფიანისა, ერთი ღარიბი სტუდენტის სასარგებლოდ, 25 ნოემბ.



1879 — „სკაპენის ცულლუტობა“, კომედია. 3 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. ა. წერეთლისა, „მოტია“, ვოდვეილი 1 მოქმ. კ. ტარნოვსკისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა, 31 იანვ.; „გაყრა“, კომედია 4 მოქმ. გ. ერისთავისა; „ახირებული უბედურება“ (?), ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების სასარგებლოდ, 7 თებ.; „შემოსავლიანი ადგილი“, კომედია 5 მოქმ. ა. ოსტროვსკისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა და ი. მიქელაძისა, 16 ივნ.

### თბილისის თეატრალური კომიტეტის დასის გასტროლები

„პეპო“, კომედია 3 მოქმ. სუნდუქიანისა, თარგმ. აეტორისა, „სხვა რიგი სიყვარული“, ვოდვეილი 1 მოქმ. გადმოკ. ი. ბარათაშვილის მიერ, 29 ივნ.; „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“, ვოდვეილი 1 მოქმ. ფეოდოროვისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა, 1 ივლ.; „ბნელ ოთახში“, ვოდვეილი 1 მოქმ. ვ. როდისლავსკისა, თარგმ. გ. ჩიქოვანისა, სცენები — კ. ყიფიანი და ა. ცაგარელი, ქართული სიმღერები — ნ. გაბუნია, 3 ივლისი; „ცოლი თუ გინდა ეს არის!“, ვოდვეილი 1 მოქმ. ვ. აბაშიძისა; „მოტია“, ვოდვეილი 1 მოქმ. ვ. ტარნოვსკისა, თარგმ. ა. ჭიჭინაძისა; „ცელქები“, ხუმრობა-ვოდვეილი, 1 მოქმ. ნ. კულიკოვისა, თარგმ. ე. ნიკოლაძე-ჭიჭინაძისა, „შეშლილის წერილები“ ნ. გოგოლისა, თარგმ. კ. მესხისა, 6 ივლ.

### დრამატული დასი ა. ლორთქიფანიძის რეჟისორობით

1879-80 წლების სეზონი — „მზის დაბნელება საქართველოში“, კომედია 3 მოქმ. ზ. ანტონოვისა, 21 თებ.; „სიყვარული მკურნალობს“, კომედია 3 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. დ. ყიფიანისა, „ყვავი ფარშავანგის ფრთებით“, ვოდვეილი 1 მოქმ. გადმოკ. ვ. აბაშიძის მიერ, თებ.; „ეჭვით ავადმყოფი“, კომედია 3 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა, თებ.; „ქოროლი“, ტრაგედია 4 მოქმ. ზ. ანტონოვისა, 22 მარტი; „ძალად ცოლის შერთვევინება“, კომედია. 1 მოქმ. მოლიერისა, თარგმ. დ. ყიფიანისა, „ქმრები გავაბით მახეში“, კომედია 2 მოქმ. ა. მეიფარჩიანისა, 5 აპრ.; „ოჯახის ასული“, დრამა 3 მოქმ. გ. წერეთლისა, 5 მაისი; „სკაპენის ცულლუტობა“, კომედია 3 მოქმ, მოლიერისა, თარგმ. ა. წერეთლისა, 16 მაისი.

სხვადასხვა სანახაობანი და ცალკეული წარმოდგენები: ფ. ქორიძის კონცერტი კ. მესხის მონაწილეობით, 7 ივნ.; ფ. ქორიძის კონცერტი საქველმოქმედო მიზნით, 10 ივნ.

1880—1881 წლების სეზონი — „ძალად ექიმი“, კომედია 2 მოქმ. გადმოკ. ი. ერისთავის მიერ; „დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესია“, კომედია 2 მოქმ. რ. ერისთავისა, სცენისმოყვარეთა წარმოდგენა ერთი ღარიბი ოჯახის სასარგებლოდ; „ჩიბრი“, კომედია 2 მოქმ. გ. წერეთლისა, „კალანდობა“, კომედია 1 მოქმ. ი. ანდლულაძისა.

### თბილისის დრამატული დასის წარმოდგენები

რამდენიმე წარმოდგენა ა. წერეთლის ხელმძღვანელობით, დეკ.: „კინტო“, კომედია-ხუმრობა 3 მოქმ. ა. წერეთლისა, 9 მაისი; კიდევ რამდენიმე წარმოდგენა ამავე თვეს; „ორ ცეცხლს შუა“, დრამა 3 მოქმ. ე. დე-ვირაჰდენისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა, ავგ.

